


644/
1973/3

1973
ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՆՈՒՆԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ

Կարգադրություն

8

1973



სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ
მდივანს ლეონიდ ილიას ქე ბრეჟნევის
გადასცემენ საერთაშორისო ლენინურ პრემიას.

უნიკარსი

კოეზია, კროჯა

- 3. რევაზ ასაივი. მხ სიზღვარბარმთ ვნახე ბილადა. ლექსი. თარგმნა ვახტანგ ჭავჭავაძემ
- 6. ნოდარ დუმბაძე. ძაღლი. მოთხრობა
- 17. გიორგი გიგაური. შუქი არაბვეში. ლექსი
- 18. მინდელი ძვლივიძე. ბავშვობის კუთხელი. მოთხრობა
- 26. ალუდა არაბული. ლექსები
- 27. ნოზადი ბართია. ლექსები
- 29. გივი ალხაიფილი. ლექსები
- 31. სოსო კაიჭაძე. უკანასკნელი დღელი. მოთხრობა
- 69. ბადათერ არაბული. ლექსები
- 70. შოთა ხოლაშენი. ლექსები
- 71. ოთარ კანდელაკი. ლექსები
- 72. ჯემალ მონიავა. თიბრალური ნოველები
- 79. მარი აბრამიშვილი. ლექსები
- 80. იოსებ ომაძე. მშვეთი. მოთხრობა

ახალი თარგმანები

- 83. რაბინდრანთ თაგორი. ლექსები. თარგმნა მურმან ჭვუბურიამ

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

- 85. თენგივ კვიციანი. თბილისი 2000 წელს
ხუთწლედის მკლავი ნაბიჯები
- 93. ვიტალი მიქიშვილი. კვი სავსე ითხვისელთაგან
- 100. ნინო კვიციანი. მიქიშვილი. მიქიშვილი

— 60 —

- 02. გიორგი ჯიბლაძე
მშვერლის არქივიდან
- 04. კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ტიციან ტაბიძის ერთი წერილი ზამო

80 — მანიაკოვსკი — 80

- 08. ვლადიმერ ჯაფარიძე. მანიაკოვსკის ოჯახი

წ ე რ ი ლ ე ბ ი

- 114. ჯანსუღ ლვინჯილია. შუბრალ „ვისკრის“ კროჯა 1972 წელს
- 129. ალექსანდრე ციგულაშვილი. ბუკარესტის მიღვა
- 141. გურამ შარაძე. არგონავტების თქმულება და მადეას კროჯაზე კვილ კართულ მწერლობაში
- 152. ჯანსუღ ნარკვიანი. „ნათღება“
- 155. ბეჟან ბარდაველიძე. ტრაგიკული დავით კლდე-აშვილის კროჯაში

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ნარკვიანი

ნარედაქციო კოლეგია:
 გურამ ასათიანი,
 აბაძი ბაქრაძე,
 გივი გეგეჭკორი,
 გურამ გვარდუნიანი,
 მერაბ ელიოვიშვილი,
 კარლო კალაძე,
 კონსტანტინე
 ლორთქიფანიძე,
 ოტიან კაჭკაჭია,
 (პასუხისმგებელი მდივანი),
 ნუგზარ ფოცხაძე,
 ნოდარ წულეჩიანი,
 ტარიელ მანუჩარი,
 სერგი შილაძე,
 თამაზ შილაძე,
 ლევა ჯანაშია.

მე საგლვარბერეთი ვნახე ბელადი

მარი-როზ — ვიწრო ქუჩა პარიზის.
 მზე თითქოს ჩასვლას არ აპირებდა.
 გრილი ნიავი ქროდა ხალისით
 სენის ლამაზი სანაპიროდან.
 ის აქ ცხოვრობდა. ალბათ ზოგისთვის
 იყო უბრალო კაცი კეთილი,
 აზვირთებული ტალღა ვოლგისა —
 წყნარი და მშვიდი ჩანდა ღმერთივით.
 არცეი იცოდა სახლის პატრონმა,
 გრიგალს ეძინა მყუდრო ბინაში,
 დიდმა მიზანმა განამარტოვა,
 ჯერ მარტო იყო თავის წინაშე.
 დარი იყო თუ ცუდი ტაროსი,
 ყოველთვის მშვიდი ჩანდა გარედან,
 ის პერ-ლაშეზის სასაფლაოზე
 ბევრჯერ მისულა კომუნარებთან.
 მიჰქონდა სისხლისფერი ყვავილი,
 ნიშანი დიად გამარჯვებათა,
 გული უძგერდა ქარიშხალივით
 და შორს იმედის ვარსკვლავს ხედავდა.

ვისლის წმინდა სარკეში იმზირება ვარშავა,
 დრომ და კაცის მარჯვენამ ომის კვალი წაშალა
 შენდება და მშვენდება, დაემსგავსა გოლიათს,
 გული ასე მგზნებარე არასოდეს ჰქონია.
 აქაც ვნახე დიადი კერა დიდი ბელადის,
 ვარშავის ცა დაპყურებს ლამაზი და ფერადი.
 არასოდეს არ არის კარი გამოკეტილი,
 კართან შემომეგება მასპინძელი კეთილი.
 მისი ბრძოლის გრიგალმა ცხრა მთა გადამატარა
 და ტალღებზე მარწია, როგორც ნიავი პატარა.
 მისი ნივთი ყოველი დამშვენდა და დაფასდა,
 მე მივდივარ პატარა საქადრაკო დაფასთან.
 საიდუმლო ბარათებს ეს მაგიდა მალავდა,
 აქეთ ძველი ტახტი, იქით ძველი კარადა.
 მე დავყურებ თავსაფარს, ნაომარს და ნატყვიარს,
 ამ თავსაფარს მრავალი სისხლის წვეთი ატყვია.
 თურმე მისი პატრონი ცხრაასხუთში დაეცა,
 როცა თოფით ებრძოდა ხალხის მტერს და გარეწარს...

როცა „პრავდა“ გაბრწყინდა ცის და მიწის ღიმილში.
გაზაფხულზე კრაკოვში ჩამოვიდა ილიჩი.
თითქოს გული გაუთბო მიწას ცივს და ნაზამორალს
და ამ ლამაზ მხარეში სამუდამოდ დასახლდა.

პორთინშიც შენს ნაკვალევს ვეძებ,
მივდივარ და გზად შემომსხვდენ იქნებ,
გამზირებზე, ქუჩებზე და გზებზე
თითქოს ვხედავ შენს მიზნებს და ფიქრებს.
შენი მყუდრო ოთახიდან — გარეთ
გამოვდივარ, პედესტალზე დგახარ,
ღიმილს მატებ ულამაზეს მხარეს
და მწესავით ასხვივსნებ ახლაც.
კარპატები ასვეტილან თვალწინ,
უკან მისდევს ქარი ნისლის ფარას,
ცაზე ფრთები გაუშლია არწივს
და ღრუბელი ზეცას ვეღარ ფარავს.
იქით მხრები გაუშლიათ ტატრებს
და კლდეები აღმართულან ცამდე,
ნისლის ფარდას ხიშტებივით ხევენ
და უწვიდან მწესს დათოვლილ ხელებს.
ნაკადული იზადება მთებში,
თავდაღმართში კისრისტეხით გარბის,
ტყეების და მდელოების ეშხით
არ ისვენებს ნიაფქარი სწრაფი...
სადაც ვიყავ. მთა არი თუ ვაკე,
ყველგან შენი ნატურფალი ჰყვავის, —
ყველა მხრიდან იჩქარიან აქეთ,
ფუტკრებივით დაეძებენ ყვავილს.
მეც ყვავილით მოვრთე შენი კერა,
რახანია, აქ ჩამოსვლა მსურდა,
შენი ტკბილი, მამობრივი მწერა
ფრთებს გვასხამს და გვაიმედებს მუდამ.

ჰაავა, ტურფა ჰაავა,
სული ხარ ტურფა პოლანდის,
შენმა მშვენებამ ააგო
ჩემი ოცნების ხომალდი.
შენი აზრია სპინოზა,
შენი ცეცხლია რემბრანდტი,
შენს ლამაზ სანაპიროსთან
ვისვენებ დამწუხრებამდის.
აქ ყოველი ხე იცინის,
აქ ქვაც რაღაცას განიცდის, —
მძიმე დღეებში ისინი
ილიჩს უსმენდნენ ხალისით.
მგზნებარე ბოლშევიკები
აქ შეიკრიბნენ ლენინთან,

განმტკიცდა მათი რიგები,
მათი გულები შენივთდა.
აქ დგას მშვიდობის სასახლე,
და მეც ამაყად მოვედი,
ოთხივე მხარეს გავაძახე:
— მშვიდობა იყოს ყოველთვის!..

ხმელთაშუა ზღვა. იტალიის ანკარა ზეცა.
ფხიზელი მზერა ეფერება ცასა და ხმელეთს.
ადელვებული ზღვა ტალღების მარაოს კეცავს
და მზისკენ იშვერს ქათქათა ხელებს.
ნელა ირწყვავ, აკვანივით, მწვანე კუნძული,
კაპრის კლდოვანებს უამრავი ტალღა ეხლება,
მისმა სიმტკიცემ ზღვა თანდათან დააუძღურა
და მონასავით დააჩოქა თავის ფეხებთან...
მადლიდან დაცქერ, ზღვის მოქცევას კვლავ ველოდები,
გარემო თითქოს იდუმალმა ძალამ დანადმა.
ვეებურთელა თეთრი ლოდები
საუკუნოვან კოშკებივით დგანან ამაყად.
— ა იქ მასიმო-სინიორთან* ერთად ილიჩი
სათევზაოდ და საცურაოდ ხშირად ყოფილა! —
გვითხრეს, დავბრუნდით წარსულიდან სინამდვილეში
და ზღვამ თავისი არსებობა შეგვატყობინა.
იდგა ჭადარა კომუნისტი, იტალიელი,
იგი იცნობდა რუსეთიდან მოსულ არწივებს,
რომლებმაც იგრძნეს მშრომელების ნება ძლიერი
და ხალხს გულები თავიანთი გაუნაწიოეს...
დანავარდობდნენ თოლიები მღელვარ ტალღებთან,
ეურჩებოდა ნიავეჩარი თამამ თოლიებს,
მაგრამ ვერაფერს ვეღარ აკლებდა,
თვით ნიავეჩარი თოლიებმა აიყოლიეს.
ისინი ჰგავდნენ რუსეთიდან მოსულ შევარდნებს,
გალაღებულებს ნიავეჩარი როგორ დაღლიდა...
მე მძიმე წარსულს ვადარებდი დღეებს დღევანდელს
და სიამაყით დაცქეროდი ტალღებს მადლიდან.

* ასე ეძახდნენ მაქსიმ გორკის იტალიაში.

გამოჩენილ ოს საბჭოთა პოეტს რეზაზ ასაძეს და-
ბადების 50 წლისთავი შეუსრულდა. მისი მეგობარი
ქართველი მწერლებისა და მრავალათასიანი მკითხველის
სახელით ყურნალი „ცისკარი“ სულითა და გულით ულო-
ცავს პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს
ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ნოღარ ლაშხაჲ

მ ა ლ ლ ი

ეს ამბავი 1941 წლის აგვისტოში დაიწყო და ზუსტად 2 წლისთავზე გათავდა. ომი სულ რაღაც 2 თვის გამოცხადებული განხლდათ, მისმა სუსხმა რომ ჩვენს სოფელს მოაღწია. ასე თუ ისე, შეძლებულ ცხოვრებას მიჩვეულმა გლეხმა უცებ ვერ აწონა ქვეყნად მომხდარი საშინელება, უცებ ვერ დააგდო ხელგაშლილი ცხოვრება და უკვე აგვისტოში, ბევრის ბეღელი, ქური და სალარო დაცარიელებული აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში ჩვენს ოჯახს ასე დაემართა.

წყალმანკით დაუძღვრებული და ძვალგაციებული ბაბუაჩემი სპირიდონი დღედაღამ ბუხართან იჯდა და მთელი ოჯახის სიმძიმე მე მაწვა კისერზე. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ტყიდან შეშისა და ფიჩხის თრევას ვერ ვუთავდებოდი, რათა ძვალგაციებულ ბაბუას ბუხარი არ გაპარვოდა.

1941 წლის 25 აგვისტოსთვის ყველაფერი გავვითავდა. ბაბუაჩემმა განჩინიდან თავზე ტაროს ნაქურჩელით დაცობილი, მისი ღვიძლის მომწელებელი, არყით სავსე ათლიტრიანი ბოცა გამომატანინა და მითხრა:

— ჩადგი გოდორში, წაიღე ჩოხატაურას ბაზარში და ერთ ფუთ სიმინდში გადაცვალე. ვინც ნაკლები შეგაძლიოს, დაამხვე თავზე ბოთლიანად და წამოდი. ამის ფასი მარტო მე ვიცი, ბულონაა და 50 გრადუსია, — მერე სევდიანი

თვალი გააყოლა ბოცას, ამოიოხრა და ხელით მანიშნა—წადიო.

ბოთლის თავზე დამხობა კი არა, ბაზარში არყის ისეთი სპეციალისტი შემხვდა, ერთი ფუთი ფრჩხილის სისხო ყვითელი სიმინდის კაკალიც ჩამიჩხრიალა ტომარაში, სამი თუმანიც ჩამიკუჭა ჯიბეში, ლოყაზეც მომითაუნა ხელი და მეორე კვირისთვის ისევ იმ ადგილზე დამიბარა.

ბაზრის პირდაპირ რომ სასადილოა, იმის კარი შევალე და გოდრიანად მივადექი დახლს:

— კატლეტი გაქვთ? — ვკითხე მებუფეტეს.

— ფული გაქვს? — მკითხა მებუფეტემ.

— კი!

— რამდენი?

— სამი თუმანი.

— მაჩვენე! — ვაჩვენე.

— დაჯექი აბა აგერ და მოგიტანი!

— სამი პორცია! — ვუთხარი მე და გოდორი მოვიხსენი.

— შენ, ბიჭო, უღლეური ხომ არ ხარ? — გულწრფელად მკითხა მებუფეტემ.

— მშიერი ვარ მე! — განვუმარტე.

— კარტოფილით მოგიტანო, თუ მაკარონით?

— ორი მაკარონით და ერთი კარტოფილით, სამივე პორცია ცალ-ცალკე.



— ლიმონათი რამდენი?

— ლიმონათიც სამი, — ვუთხარი მე და ქამარი წინდაწინ მოვიშვი. მებუფეტე ისე დამაკვირდა, შევატყვე, ისევ უნდოდა ეკითხა — უღღუერი ვიყავი თუ არა, მაგრამ გადაიფიქრა. ყველაფერი რომ მომიტანა, ალერსით შეიტხა:

— ის სამი თუმანი რომ მაჩვენე წელან, რა უყავიო!

— აგერ მაქვს! — ვუთხარი რიხიანად და წითელი სამთუმნიანი დავაძერეჯიბიდან. მებუფეტემ ფული გამომართვა, სინათლეზე გახედა, ჭუჭყიანი ხალათის ქვეშ რომ უფრო ჭუჭყიანი ხალათი ეცვა, იმის გულისჯიბეში ჩაიდო — თავისუფალი ხარო, — გამიღიმა და წავიდა.

სასადილოში დაბალი, გრძელი და შავი ძაღლი შემოიძურწა, ფერდები ჩაცვნილი ჰქონდა. რამდენიმეჯერ ამიარჩამიარა, თან ირიბად მიცქეროდა. არაფერი რომ არ ვუთხარი, ახლოს მოვიდა, კატლეთი ვერ გავიმეტე და მაკარონი გადავუგდე ჭიკყელსავით. ჰაერშივე გაქაჩა და გადაყლაპა. გათამამდა. ახლა წინ დამიჭდა კუდის ბაკუნითა და ნერწყვის ყლაპვით. ისევ ვესროლე მაკარონი, ისევ ჰაერში გადასანსლა. მერე, ყურადღება რომ აღარ მივაქციე, დამიყვდა, — მომხედეო!

— გადი, ძაღლო, გარეთ, შენი ბანალი დაიწვა! — გაუჭავრდა მებუფეტე.

— რა ქვია? — ვკითხე.

— რა ვიცი, მაგის პატრონი გადაშენდა!

— ვისია?

— რა ვიცი, მოუკვდა პატრონი. გადი, ძაღლო გარეთ! — დანა მოუღერა მებუფეტემ. ძაღლმა კუდი ამოიძუა და გარეთ გავარდა.

მოვრჩი ქამას, გოლორი მოვიკიდე და კარებისაკენ წავედი. მართლაც ნამეტანი მომივიდა, სულს ძლივს ვითქვამდი.

— ხურდა არ მერგება? — ვკითხე სხვათა შორის.

— გადაყვები ზედ! — მითხრა მებუფეტემ.

— სულ, არა? — ვცადე ბედი

— უბედური შენი მარჩენალი. — შეეცოდა ბაბუაჩემი მებუფეტეს. გართომ რომ გამოვდიოდი, თვალი მოვკარი, ის ძაღლი ისევ შეიძურწა სასადილოში. სოფლის გზას დავადექი, ათი ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმული, ძაღლის ენით აუწერელი კვილი მომესმა. უცებ შლიგინით ჩამიქროლა გადარეულმა ძაღლმა, ხიდის ქვეშ წყალში შევარდა. მერე ამოვარდა წყლიდან, სილაზე დავგორდა და საცოდავ წკავწკავს მოკყვა. მოვიხედე. სასადილოს კარებში ცვირგარუშებებული მებუფეტე იდგა, ხელში ქვაბი ეჭირა, ქვაბს ოხშივარი ასდიოდა.

— დადულრე? — ვკითხე.

— არა, ფეხები დავუთბილე! — გაიკრიჭა მებუფეტე.

— ვირიშვილი ხარ შენ! — ვუთხარი მე. მებუფეტე გამტერდა, მერე ქვაბი დადგა, მარჯვენა მკლავი დაიკაპიწა და გალურჯებული სახით წამოვიდა ჩემსკენ.

— დამიცადე მანდი! — მთხოვა. გოლორი ჩამოვდგი, დავიხარე და გზის პირას დავგორებული დიდი ქვა ავიდე. მებუფეტე მონუსხულივით შედგა. ერთ ხანს ასე იდგა, მერე, სილურჯემ რომ გადაუარა, თავი სინანულით გადაიქნია და სასადილოში შებრუნდა.

ძაღლი ხიდის ქვეშ იწვა, ორთავე თათი დამდულრულ ცვირ-პირზე ჩამოეფარებინა, წყალში გალუმპულს დროდადრო ასლოკინებდა და სიმწრით წკავწკავებდა. ახლო რომ მივედი, შემომიღრინა. დავაკვირდი, მარჯვენა თათიც დამდულრული ჰქონდა.

— მომიშვი! — ვუთხარი. — ეს რა მიქენითო, შემომტირა წკმუტუნით. წინ ჩაუტუტუტედი, მოლოდინში გაიტრუნა დაღუშეული მარცხენა თვალიდან ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა. რა უნდა ვუყო ახლა ამას. — გავიფიქრე, მე-

ნოდარ დუმბაძე
ძაღლი

რე ხალათი გავიხადე, პერანგი შუაზე გავხიე და წყალში დავალბე. თვალის ახვევა რომ დაუწყებ, ისევე ატირდა. თათიც რომ შევუხვებო, ხელი ამლოკა. ვედარ მოვიტოვინე, სილაზე დავჯექი და მეტ ტირილი დავიწყე. ძაღლი რის ძაღლია, კაცის ტირილის მიზეზს თუ ვერ მიხვდა. მომიჩოჩდა და თავი კალთაზე დამადო.

მახსოვს, 14 წლის ვიყავი, გერვასი ჯაბუას თინა რომ გათხოვდა ნაბელღაველ არსენა სიამაშვილზე, მაშინ ვინატრე პირველად — ღმერთო, ახლა მქენი 20 წლისა და ამ ანგელოზივით ქალს ამას როგორ გავატან-მეთქი... და ახლა ვინატრე მეორედ: — ღმერთო, ახლა იმ მებუფეტის ხნის მქენი და მერე მომკალი-მეთქი. და არასდროს ისე არ მინატრია ნატვრის ასრულება, როგორც ახლა, ამ პატარა ხილის ქვეშ.

— ვინაა, ბიჭო, ეს? — მკითხა გაკვირვებულმა ბაბუამ. ვოდრიდან რომ დაფუფქული ძაღლი ამოვიყვანე და წინ დავუხსვი.

— ძაღლია! — ვუთხარი მე.
 — რა უგავს ძაღლს! — თქვა ბაბუამ და მიმქრალ ბუხარში შეაფურთხა.
 — მებუფეტემ დადულრა!
 — წუწკია ალბათ! — გაამტყუნა ძაღლი ბაბუამ.
 — მშიერია! — გავამართლე მე.
 — მოხსენი მაგი ჭინჭები! — მითხრა ბაბუამ. მოგხსენი. ბაბუამ დაშავებულ ადგილებზე დახედა.

— ცუდ დროს კი დაუდულრავს იმ უგვანოს, მარიამობის თვეა, ამ სიცხეში როდის შეუხორცდება... წადი, ერბო მოიტანე და დაადევი ზედ ცოტას დაუამებს, თვალზე რა ეშველება, თორემ თათს კი მოირჩენს ლოკვით.

როგორც მითხრა, ისე მოვიქციე. დილით უკვე ჩვენს ეზოში ძაღლი ყფდა, მართალია, ჯერ სუსტად და გაუბედავად, მაგრამ მაინც ყფდა.

რა არ ვუძახეთ მე და ბაბუამ ძაღლს:

ხან ჯეკა, ხან ბროლია, ხან ჯულბანი, ხან რა და ხან რა, არც ერთზე ხმას არ გვცემდა. ძაღლის ნამდვილ სახელს რომ ვერ მივაგენით, უბრალოდ „ძაღლო“ შევარქვით. ერთი თვისთავზე დადულრული თათიც და თვალიც მოუჩნა. დანადულრავ ადგილზე ახალი, თოვლივით თეთრი ბანალი ამოუვიდა. ეს ბანალი ისე მოუხდა, სოფლის ბარე ორი ძაღლი ვერ გაეჯიბრებოდა სილამაზეში.

სხვა მხრივ, როგორც ძაღლი, სხვა ძაღლებისაგან მაინც და მაინც დიდი ნიქიერებით არ გამოირჩეოდა, ეს კი იყო ბავშვებმა და ქალებს არ ერჩოდა, ჩვენს ერთადერთ, კვერცხისმდებელ, კისერყინტორა ქათამსაც სცნობდა, ათას სხვა ქათამში გამოარჩეოდა, თუმცა ძაღლმა ესეც თუ არ ქნა, მაშინ რაღა ძაღლია, კაცთაგან კი ბაბუასა და ჩემს გარდა დედამიწაზე მისთვის სხვა კაცი არ არსებობდა. ეს კაცთმოძულეობა ალბათ მებუფეტემ რომ დადულრა იმ დღიდან დაიწყო.

რამდენჯერ უთქვამთ მეზობლებს საყვედური:

— სპირიდონ, ძაღლიან გვინდა მოსვლა, მაგრამ ამოგვიკვეთა ფეხი შენს ოჯახში ამ უჯიშომ. მაგისი შიშით სკვინჩა ვერ შემომჯდარა შენი ღობის სარზე, ან დაბი, ან ვადააშენე აქედან. — მაგრამ ბაბუა ისე დაუშეგობრდა ძაღლს, უმალ მე გამავდებდა სახლიდან, ვიდრე მას. შეშის მოსატანად თუ წამყვებოდა ხანდახან, ან წისქვილში, ისიც ღამით, თორემ სხვა დროს იწეა ბაბუას ფეხებში გაწვართული და ელოდა მის განკარგულებას. თვალეები თაფლისფერი მქონდა, სევდიანი და ჭკვიანი, მოძრაობა ზანტი, მაგრამ საკმარისი იყო ხიდან ვაშლს ან მსხალი ჩამოვარდნილიყო, შურტულლივით მოწყდებოდა ადგილს, ღორმა არ მიმასწროსო, მივარდებოდა ხის ძირში, აიღებდა ნაყოფს და ბაბუას მოუბრუნებდა. ბაბუა თავის მხრივ ქეჩოაში წაგლებდა ხელს. ნახად მოქაჩავდა მადლობის ნიშნად, მერე ნაყოფს ვათლიდა, გულს თვითონ შექამდა და ნათლს

ძალს დაუყრიდა და ისიც ისეთი სიამოვნებით მიირთმევდა ბაბუას ხელიდან მიერთმეულ ნათალს, თითქოს იმ ხის ძირში ვაშლი და მსხალი თავსაყარი არ ყოფილიყოს. ყურისგდებაც კარგი იცოდა ძაღლმა. მარტო მას შეეძლო ბაბუას ათასჯერ მონაყოლი ამბის წარბეჭედებად მოსმენა. რაც უფრო გრძელი იყო ამბავი, მით უფრო ყურადღებით ისმენდა ძაღლი, თან ისე შესცივინებდა თვალეზში, თითქოს ეხვეწებოდა — თუ კაცი ხარ, მაგ ამბიდან ერთი სიტყვა არ გამომიტოვო.

ერთხელ ასეთ საუბარზე შევისწარი ორთავე:

— ომს შეურცხვა საქციელი, ძაღლო, თორემ შენისთანა ძაღლი მსხალს უნდა ჭამდეს? — ეუბნებოდა ბაბუა და სინანულით იქნევდა თავს. ძაღლი თავის მხრივ ისე უქიცივნებდა თავს, თითქოს უდასტურებდა — აბა, აბა!

— დაგავიწყდა ხომ, ძაღლო, ხორცის გემო? — ეკითხებოდა ბაბუა.

— კიო! — თავს უქნევდა ძაღლი.

— მაგრამ, ნუ გეშინია, — ამშვიდებდი ბაბუა. — ნუ გეშინია, გამოჩნდება, ალბათ, სადაცაა, გვიტას მამა არსენა და მოგვხედავს კაცურად. რას იტყვი შენ? — ძაღლი არ იცნობდა *მამარქმ* არსენას, მაგრამ თავს მაინც უქნევდა ბაბუას. — არადა, გათავდება, ალბათ, ეს ოჯახდასაქცევი ომი... — განაგრძობდა ბაბუა. — ეს სატყეიარიც გამივლის, ალბათ, აბა, რა ჭირი ეცემა? წამოვღებები, შენ ხარ ჩემი ბატონი, წავალ მოსკოვში, ჩაუფარდები მუხლებში მთავრობას და ერთ კილო ჰიტლერის ხორცს როგორ არ გამოიმეტებს ჩემთვის და შენთვის? ჰიტლერის სისხლით და ხორციით უნდა გავძღვით და დავთვრეთ იმ დღეს მე და შენ, ძაღლო, მაგრამ როდის დადგება მაგი დრო, როდის?.. — ეკითხებოდა ბაბუა და ძაღლიც კიანხვით სავსე თვალეზით შესცქეროდა თვალზე ცრემლმომდგარ ბაბუას.

ისხდნენ ასე მეგობრები მზემომდგარი აივანზე და ფიქრობდნენ: ერთი, ალბათ,

ომის დამთავრებასა და შვილის დაბრუნებაზე, მეორე კი — ხორცზე...

სხვა მხრივ ძაღლი ჩვეულებრივი ძაღლი იყო. დამლაშობით სხვა ძაღლებივით მასაც გარეთ ეძინა. მამლის ყვივლს, კატის ცნავილსა და ტურის კივილს, ყველა თავის მოძმესავით ყვეფით ეხმინებოდა, სოფლის ყველა ძაღლთან ერთად ისიც ყმუოდა, როდესაც სოფელში ვინმე ომში დაღუპულს შეიცხადებდნენ, სხვა ძაღლივით ისიც უღრუნდა და თავის ღელიდან ურმის თვალივით ამოგორებულ სავსე მთვარეს. ძუკნაობის დროს ისიც სხვა ძაღლებივით შარახვეტიაობდა და ისევე, როგორც სოფლის ყველა ნაქებარი ძაღლი, ისიც ფეხაწეული ამარდავდა ბოსტანში ახალამობიბინებულ ნაზურს. ასე მისდევდნენ დღეები დღეებს. ეცხოვრობდით მე და ბაბუა ისე, როგორც აღამიანებს შეეფერება ომის დროს. ძაღლი კი ისე, როგორც ძაღლს შეეფერება.

1943 წლის 22 აგვისტოს, ღამით, სოფელი ძაღლების გნისამა შესძრა. ძუკნაობა იყო და ამ ამბისთვის მაინცდამაინც დიდი ყურადღება არავის მოუქცევი:

ღილით ასლახა თავზე, იქვე კაიშვილების საცივთან დაგლეჯილი ძაღლი იპოვა. არც ეს გაგვიკვირებია, რადგან ძაღლების ძუკნაობა უამისოდ არ ჩივილის, ამიტომ ის დაგლეჯილი ძაღლი სადაც ვიპოვეთ, იქ დავმარხეთ და სახლებში წავედით.

შუაღღებზე სოფელში უცხო კაცმა ჩამოიარა. ძაღლს ეძებდა. ასლანასთან მიასწავლეს. იმ საუბარს მეც დავესწარი:

— კირილე ვარ მამალაძე, ხევიდან! — გაეცნო უცხო...

— რაზე შეწუხებულხართ, ბატონო? — ჰკითხა ასლანამ.

— ძაღლს ვეძებ ჩემსას, ასე მითხრენ,

ნოდარ მუხამაძე
ძაღლი

დაგლეჯილი ძაღლი გიპოვიათ ვითომ თქვენ და დაგიმარხავთ.

— კი, მე და ამ ბაღანამ დავემარხეთ, არ უნდა დაგვემარხა?

— რას ბრძანებთ, მაღლობელი ვარ ჰირსულფლობისათვის, მაგრამ ის ადგილი უნდა მაჩვენოთ.

წავყევით და ვაჩვენეთ. საფლავი მოთხარა, ძაღლი ამოათრია და დააკვირდა.

— კი, ჩემია! — თქვა ბოლოს დაბეჯითებით.

— გადასვენებას ხომ არ უპირებთ, ბატონო? — გაუღიმა ასლანამ.

— გადასვენებას კი არა, დანა კბილს არ მიხსნის, ბავშვი დამიჭამა გუშინ ამ ძაღლიშვილმა, ასე მითხრეს პასტერის სადგურში: იმ ძაღლის თავი მოგვიტანე, ანალიზს ავიღებთ ტვინში, თუ არა და, ცოფის ნემსის გაკეთება მოგიწევთო. ჩემ თავს არ ვჩივი, ასლან ბატონო, მუცელში ორმოცი ნემსის გაკეთებას გაუძლებს ჩემი ბაისასვით გაყვითლებული და უღლეური ბაღანა? — ამოიოხრა კირილე მამალაძემ და ტომრიდან ნაჯახი ამოიღო. ასლანას აღარ დაველოდე, შემოვბრუნდი და სახლში წამოვედი.

ბაბუას მოვუყვები ყველაფერი.

— არაა მაგი კარგი ამბავი. — თქვა ბაბუამ ფიჭვის შემდეგ და მის ფეხებთან უღარდელად გაშოტილ ძაღლს თვალი შეავლო.

სალამოს ბადრია მეთუთუნე მოადგა ჰიშკარს და თოფი თხოვა ბაბუას.

— რად გინდა თოფი, ბადრია? — ჰკითხა ბაბუამ.

— ძაღლი უნდა მოვკლა, სპირიდონ!

— რას ერჩი?

— წუხელ რომ ხევიდან გადმოვარდნილმა ძაღლმა მთელი სოფლის ძაღლები დაცოფა, შენ არ გაჯივია? იქ არ იყავი, ბიჭო, შენ, იმ კაცმა რომ თქვა ბაღანა დამიჭამაო? — მომბრუნდა მე ბადრია.

— იმ კაცს არ უთქვამს ცოფიანი იყო ძაღლიო! — ამოვღეპე მე.

— როდის იყო, ბიჭო, ჭკუათმყოფელი ძაღლი პატრონს კბენდა, ისიც ბაღანას? — მკითხა ბადრია.

ვერაფერი ვერ ვუპასუხე.

— მაგ საქმისთვის თოფს ვერ გათხოვებ, ბადრია! — გააწვილა ბაბუამ.

— აბა, რითი მოვკლა!

— სარით!

— სარით რა, მხეცი კი არა ვარ! — ეწყინა ბადრიას.

— მაინც ვერ გათხოვებ! — თქვა ბაბუამ. ბადრია მიხვდა, წყალს რომ ნაყავდა და წავიდა.

— ამელამ ძაღლი ახორში დაამწყვდიე! — მითხრა ბაბუამ და ძაღლს ხელი გადაუსვა თავზე.

პირველი თოფი ასლანა თავბერიძის ეზოში გავარდა და ძაღლის კივილმა ცა გახია.

— რა რიცხვია დღეს, ბაბუა? — მკითხა ბაბუამ.

— ოცდასამი აგვისტო! — ვუპასუხე მე.

— დაიწყო ბართლომეს ღამე! — თქვა ბაბუამ და თავი ჩაქინდრა.

პირველ თოფს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, მესამეს — მეოთხე... თოფის ხმა გრილით გადადიოდა ეზოდან ეზოში, ყმული, ყაფა, წკავწკავე, ყიყინა, ბავშვების ტირილი, საქონლის ბღაეილი — ყველაფერი ერთმანეთში აირია, გავარდა ბადრიას ეზოში, ალისტრახოს ეზოში, მერე ჩვენი ყურის მეზობლის მაკარიეს ეზოშიც გავარდა და ძაღლის კივილმა და წკმუტუნმა დაანგრია ქვეყანა.

— ფილთა აქვს მაგ უღმერთოს, და რა გაუძლებს ამ ძაღლის საცოდობას, სანამ მაგი მავას ხელმეორედ დატენის. — თქვა ბაბუამ და აკანკალებული ხელები ყურებზე აიფარა.. ერთი საათი გრძელდებოდა ეს ძაღლების აუწერელი ქლეტა. ერთი საათი გუგუნებდა ცა და დედამიწა ჩვენს გარშემო. ერთი საათი ანგრევდა და აწყვდებოდა გადარეული ჩვენი ძაღლი ღრენითა და კბილების

ღრუპენით ვარედან სარგაყრილ ახორის
კარებს. მერე ნელ-ნელა მიწინარდა ხმა-
ური, საღდაც უქანასკნელი თოფი გავა-
რდა.

— ეჭპეჭპე... — დაიციჟინა მთელ
სოფელზე ომხიანად ვილაცამ.

— გათავდა! შენ მოგეცა ამათი ცოდ-
ვა კაცის გაჩენისათვის, ღმერთო! —
თქვა ხელაპყრობილმა ბაბუამ და სო-
ფელი ჩაკვდა.

მამალმაც იყვილა, ძროხამაც იბღა-
ლა, სკოლის ზარმაც დარეკა, მზეც ამო-
იწვერა კონცხოულაზე, თხამაც დაიბე-
ტელა, თიკანმაც დაიციჟინა, კატამაც დაი-
ქნავლა, ქათამმაც დაიკაკანა, მაგრამ დი-
ლა დილას არ ჰგავდა, რაღაც აკლდა
სოფელს, რაღაც თითქოს შუემჩნეველი,
მაგრამ უზარმაზარი, მშობლიური, თბი-
ლი, ახლობელი, და როდესაც მხარზე
წალდგადებულმა ასლანამ ჩაიარა ორ-
ლობეში და უკან ძალღი არ მისდევდა,
მივხვდი, რომ ეს რაღაც უზარმაზარი,
სოფლის განუყოფელი ნაწილი, მისი
სისხლი და ხორცი, ძალღი იყო, ჩვეუ-
ლებრივი ძუნკალი ძალღი. უძაღლოდ
გათენდა 1943 წლის 24 მარტიმობისთვე
ჩემს სოფელში.

იმ დილით ჩვენი ძალღი ახორიდან არ
გამოსულა, არც დაუყვებია და არც საქ-
მელი უქამია. სკოლიდან დაბრუნებულს,
ბაბუას ფეხებში დამხვდა გამოტილი და
თვალდახუჭული, მკვდარივით ეგდო,
მუცელი უფეთქავდა ოდნავ და მხო-
ლოდ იმაზე თუ შეატყობდი, რომ ცოც-
ხალი იყო.

— რას შეება? — ვკითხე ბაბუას.

— წუხანდელ დამეს ინელეებს. —
თქვა ბაბუამ, — ნუ გეშინია, ძალღია
და დაავიწყდება! — დააყოლა ბოლოს
და მერე თავზე ხელი მოუთათუნა აღე-
რსით. ძალღი არ განძრეულა.

შებინდებისას ქიშკარს ისევ ბადრია
მეთუთუნე მოადგა. ნასვამს ჰგავდა.

— საღამო მშვიდობისა, სპირიღონს! —
მიესალმა ბაბუას.

— გავიმარჯოს, ბადრია! — უპასუხა

ბაბუამ და რატომღაც ეზოში არ ჩამო-
იბატიეა.

— სპირიღონს! — ცოტა ყოყმანის შე-
მდეგ დაიწყო ბადრია, — ხალხი ჩივის,
სპირიღონის ეზოში წუხელ თოფი არ
გავარდნილაო...

— რატომ უნდა გავარდნილიყო, ბა-
დრია, თოფი, ჩემს ეზოში წუხელ კა-
ლანდა იყო, ომი დამთავრდა თუ ჩემი
ბიჭი არსენა დაბრუნდა?.. — ჰკითხა
ბაბუას.

— ნუ გადაუდგები, სპირიღონს, სო-
ფელს, ძალღის გულისათვის. მოკალი
მაგი ძალღი. ჩვენ რა, შენზე ნაკლები
უჯიშო ძალღები გყავდა, თუ შენ ჩვე-
ნზე გულჩვილი გამოდები?!!

— არ ვიხამ მე, ბადრია, ისე, რომ
მოვკვდე და ჩემს ეზოში ძალღმა არ
დაიყმუველოს. — უთხრა ბაბუამ.

— სპირიღონს, მაგი რომ გაცოფდეს
და ბაღნები დამიკბინოს, ნავთს მივცემ
შენს ოდას და შენც შიგ გამოგფუფ-
ქავ! — თქვა ბადრია და ბარბაცით წა-
ვიდა.

უკვე ბნელოდა, მაგრამ მე დავინახე,
როგორ გაფითრდა ბაბუა.

— ბადრია! — დაუძახა უცებ, ბადრია
შემოტრიალდა. — ბადრია ლაწირაკო,
კუუით იყავი, ნუ ჩამადენინებ ცოდვას
და ნუ გამათბობინებ შენი ისლით გადა-
ხურული სახლის ნაკვერჩხალზე ამ გა-
ციებულ ძვლებს.

არ ვიცი, იმ წუთში სიბნელეში გა-
შეშებული ბადრია რას ფიქრობდა, მე
კი ბაბუას სიტყვის ფასი და ხასიათი
რომ ვიცოდი, ბადრიას ადგილზე იმ და-
მით არ დამემძინებოდა.

შუალამისას ჩვენი ეზოს ბოლოში
ორჯერ გავარდა ზედიზედ თოფი. ბოლო
გასროლას ნელსონის ღრენაშერეულა
კივილი მოჰყვა. გულგახეთქილი წამოე-
ვარდი, თოფს ხელი ვტაცე და გასრო-
ლის ადგილას მივირბინე. ვილაც ბარ-
დებში გაშლივინდა და თავქვე დაეშვა.

ნოდარ ლუგაძე
ძალღი

ჩვენი ძალი ღობის ძირში იწვა და ჩუ-
მად წკმუტუნებდა. ხელში ატატებული
შევიყვანე. ოდაში. ბაბუას კრაქი აენთო
და ბუხართან იჭდა თხისტყავზე ფეხ-
მორთხმული. ნატყვიარი გაუსინჯა
ძაღლს. საფანტს უკანა ფეხში გაეარა.
ჯერ სპირტით მობანა კრილობა, შემდეგ
თეთრნი დააყარა და მაგრად შეუკრა.

— არაფერია, ძვალს არ გაკარებია! —
თქვა ბაბუამ. მერე ისე შეხედა ძაღლს,
თითქოს რაღაცა უნდა ჰკითხოსო. ძაღლ-
მაც ისე შეხედა ბაბუას, თითქოს რაღა-
ცა უნდა უთხრასო. ასე უცქერდნენ
ერთმანეთს დიდხანს.

— ვინ იყო? — მკითხა უცებ ბაბუ-
ამ.

— არ ვიცი! — ვუპასუხე მე.

— ამან კი იცის ვინ იყო, მაგრამ არ
გინდა ათქმევინო?! — თქვა ბაბუამ და
ძაღლს თვალბზე ცრემლი მოწმინდა.

ღლით ბაბუამ თავი აივანზე გამაყვა-
ნინა. ძაღლი ადგა, კოჭლობით გამოყვა
და ფეხებთან დაუწვა.

გადასახედზე იდგა ჩვენი ოდა, და ბა-
ბუა ახლა ისე უყურებდა სოფელს, გე-
გონებოდათ თავის სოფელში კი არა,
სხვის სოფელში იყო სტუმრად მოსული
და პირველად ხედავდა აქაურობას. გო-
ლოს მომიბრუნდა და ჩამწყდარი ხმით
მითხრა:

— მართალია, ბაბუა, არ შეიძლება
კაცი ძაღლის გულისთვის სოფელს გა-
ლაუდგეს... ადექი ახლა, აიღე თოფი,
ჩააბი ბაწარი და... ოღონდ მე ნუ გამა-
გებინებ და ნუ დამანახებ, სოფლის გა-
დაღმა გადაიყვანე...

— რა გავაკეთო მერე, რომ გადავიყ-
ვანო?! — ვკითხე მე და ვიგრძენი,
როგორ ამიკანკალდა ნიკაბი და როგორ
გამექცა ქვედა ტუჩი საღდაც.

— რაც მთელმა სოფელმა გააკეთა,
ის უნდა გააკეთო შენც, ბაბუა. — მითხ-
რა მან და თვალი ამარიადა.

ავდექი, თოფი მხარზე გადავიკიდე,
ძაღლს ბაწარი ყელზე ჩავაბი და მოვქა-
ჩე. არ გამომყვა.

— წამოდი, ძაღლო! — ვუთხარი და
ისევ მოვქაჩე. ძაღლმა ფეხი აითრია და
განწირული თვალბით გახედა ბაბუას.

— წაყვიე, ძაღლო, წაყვიე! — უთხრა
ბაბუამ და ცრემლით სავსე თვალბზე
ხელი აიფარა. ძაღლი წამომყვა.

სოფელი გადავქერით. მთავარი შარი-
დან გადავედი და მდინარისაკენ მიმა-
ვალი ბილიკით ფიქლიანი ჩაშლილი
ფერდი ჩავიარეთ. ნელსონი კოჭლობით
მომდევდა და მთელი ამ ხნის მანძილზე
ერთხელ არ ამოუხედა ჩემსკენ. მდი-
ნარის პირას ჩავედი. ნელსონს ყელზე
ბაწარი შევხსენი და დიდ ქვაზე ჩამოვ-
ჯექი. ცოტა ხანს ვიჯექი ასე. გული სა-
შინლად მიცემდა. ბოლოს, როგორც იქ-
ნა, დაწყნარდა. თოფი გადმოვიღე
მხრიდან. მაშინ აწია თავი ძაღლმა და
პირდაპირ შემხედა. თვალი ვერ გავუს-
წორე. თოფი გადავხსენი, ორივე გილ-
ხი ამოვიღე სავანხედან და წყალში გა-
დავყარე. თითქოს უზარმაზარი ტვირთი
დამეგდოს, ისე გავიმართე მხრებში და
თავისუფლად ამოვისუნთქე. ძაღლი გა-
უბედავად მომიახლოვდა და ხელი ამ-
ლოკა. უცებ მოწყდა ადგილიდან, წყალ-
ში გადავარდა, იდგაფუნა, იწუწავა,
ააღუდა ნაპირი, მერე ისევ ამოვარდა,
ისტუნავა და ბოლოს ილაჯაწყვეტილი
გაგორდა სილაზე. მე დავინახე, როგორ
გამოჟონა თეთრ დოღბანდზე გახსნი-
ლი ჭრილობიდან სისხლმა ძაღლს და
როგორ წამოთუვიდა ჭკვიანი თვალბი-
დან ცრემლი, მაგრამ, თუ გნებავთ, ახ-
ლაც დავიფიცებ ხატზე, რომ იმ წუთში
ძაღლი იცინოდა.

— წადი ახლა შენ, სოფელ-სოფელ
არ იარო, ასე აყვიე კადაშისპირს. ავი
ხარ შენ და გზაში არავის გადაეყარო,
არ დაუღრინო, წაუწევი ყველას, ვინც
შეგხვდება, ახლა ასეა საჭირო, თორემ
ცოფიანი ეგონები ვიდაცას და მოგკლა-
ვენ. წადი, ძაღლო, ხომ ხედავ, ჩვენ
სოფელში არ დაგედგომება. წადი და
არ დაბრუნდე. ხომ გესმოდა რა თქვა
ბაბუამ? — არ შეიძლება ძაღლის გული-
თვის კაცი სოფელს გადაუდგესო. ეტ-

ყოფა მართლა არ შეიძლება. მაგრამ მე მაინც ვადავდივარ ბაბუს სიტყვას და ნუ დაბრუნდები სოფელში, ნუ მიზამ მაგას, იქნებ მართლა ცოფიანი ხარ და ნუ ჩადგები სოფლის ცოფვაში. წადი ახლა, შენი ჰირიბე, წადი.. — ამას კი არ ვეუბნებოდი, ვფიქრობდი. ძნელია იმის თქმა, ხვდებოდა თუ არა ძაღლი, რას ვფიქრობდი მე, მაგრამ რომ ავდექი და სოფლისკენ წამოვედი, არ გამომყოლია.

— რა ქენი? — მკითხა ბაბუამ დაბრუნებულს. ხმა არ გავეცი. თოფი მოვიხსენი მხრიდან და მივაწოდე. ბაბუამ თოფი ჩამომართვა, გადახსნა და სინათლეზე გახედა ლულას.

— ასე თუ ქენი, ბაბუა, შენ გავიჭირდება ცხოვრება. — მითხრა მან და თოფი დამიბრუნა.

ერთი კვირისთავზე, ღამით, ექვთიმე სირაძის თხას ტურამ შიგ ბოსელში გამოლადრა ყელი, იმის მესამე დღეს ვილაციის საქათმიდან მელამ ორი დედალი წაათრია, ათი დღის შემდეგ ასლანა თავბერიძეს ცოლიკაურით სავსე ათფუთიანი ჭური ცარიელი დახვდა. ერთ მშვენიერ დღეს, ხაკუნა ბერძენიშვილის ძროხამ ჩვენს ეზოში ოთხი ნაყევი გადაქამა, ერთი თვისთავზე სოფლიდან უკვლოდ გაქრა ნინა ძნელაძის მეწველი ძროხა და საბიტო მათითაშვილის მოწვერი. ერთ ღამეს კირილე თითმერიას ნალიიდან კაკალ-კაკალ გაზიდეს რვა ფუთი სიმინდი, ბოლოს, აკივლდა ხალხი, დაიწყო გადაკრული სიტყვები, ექვიანობა, წყევლა, სარგების ძროხა ღობიდან და დედ-მამის სულის ტრიალი. აირია და შეწუხდა სოფელი.

15 ოქტომბერს ისეთი წვიმა მოვიდა, გუბაზოულმა, რაც ჩვენი სოფლის გაყოლებაზე წისქვილები იყო, დახვეტა და სუფსაში ჩაიტანა.

16 ოქტომბერს ბაბუამ საფქვევი სასწაულით გადარჩენილ გორაბერეოულის წისქვილზე გამატანა. შუაღამეზე ჩამოთავდა ჩემი სიმინდი. ტომარა ზურგზე მოვიგდე, ის იყო უნდა წამოვსული-

ყავი, რომ წისქვილის კარი ხეველმა კირილე მამალაძემ შემოაღო და საფქვევი შეაგდო სასწორზე.

— გამარჯობა, თეოფანე! — მისალმა მეწისქვილეს, მე ვერ მიცნო.

— როგორაა თქვენი შვილი, ბატონო? — ვკითხე მე.

— რომელი?

— ცოფიანმა ძაღლმა რომ დაკბინა!

— არ გამოდგა ის ძაღლი ცოფიანი, — თქვა კირილემ და სასწორის გამართვა დაიწყო.

— რას ამბობთ, კირილე ბატონო?!

— რა ვთქვი, ბიჭო, დაუჯერებელი, არ გამოდგა ის ძაღლი ცოფიანი! — თქვა კირილემ და თავისი საქმე განაგრძო.

— ღმერთმა შეგატყვევინა, კირილე მამალაძე — ვთქვი მე და მუხლმოკვეთილი დავკვიე ტომარაზე.

— ვისია, თეოფანე, ეს უზრდელი მამაძალი? — ჰკითხა ვაკვირებულმა კირილემ მეწისქვილეს.

— ვისი ხარ, ბიჭო, შენ? — მკითხა მეწისქვილემ.

— არავისი არ ვარ მე! — ვთქვი და წისქვილიდან გამოვედი..

17 ოქტომბერს მთელი დღელამე ვფიქრობდი მეთქვა თუ არა ბაბუსათვის წისქვილში მომხდარი ამბავი. და მხოლოდ გათენებისას ვადავწყვიტე არ მეთქვა.

18 ოქტომბერს ბაბუამ ლოგინიდან აღვგომაზე უარი თქვა.

20 ოქტომბერს სკოლაში არ გამეშვა.

25 ოქტომბერს მარჯვენა ხელი დაფეხი გაუსივდა.

27 ოქტომბერს დამიძახა და სალაროს გასაღები ჩამაბარა.

28 ოქტომბერს დაბალი სკამი მომატანინა, წინ დამისვა, ისე რომ პირდაპირ ეცქირა ჩემთვის:

— ყველაფერს აქვს ქვეყნიერებაზე დასაწყისი და დასასრული, ბაბუა, — დაიწყო მან. — მე დღეს თუ ხვალ გავთავადები. უბედურებაა როდესაც კაცი

ნოღარ ღუზაძე
ძალი

შეუცნობელში მიდის, ამიტომ არ მეშინიაო რომ ვითხრა, ტყუილი იქნება, მეშინია... მაგრამ შენ არ უნდა შეშინდე, ბაბუა... თუ არაფერში მივდივარ, საშინელი არაფერია, რადგან არაფერში არაფერი არ არსებობს. თუ მართლა უნდა გარდავიცვალო და მეტი არაფერი, მაშინ მით უმეტეს არ უნდა შეგეშინდეს, ისევ ამ ქვეყნად დავრჩები და სხვა სახით მოვალ ან ზედ, ან ბალახად, ან ჩიტად, ან ძაღლად... იცოდე, თუ მოვალ, ისევ შენთან მოვალ, მარტო არ დაგტოვებ. და თუ რამეში სიბზო, სიხარული და სიყვარული იგრძენი, ქვეც რომ იყო, იცოდე, ის ქვა ბაბუაშენია... ამიტომ მარტოობის არ შეგეშინდეს, არ იფიქრო მარტო ვარო. ეს ოდა არ მიმიტოვო, ბაბუა, და დადარი არ გამოიციო. ცეცხლი, ქრთი ნატეხი ჭადი და ჭიქა ღვინო დაახვედრე მამაშენს. დანარჩენს თვითონ მიხედავს, რომ ჩამოვა. ეს ერთი კვირაა, ვინც ამ ქვეყნიდან წასულია, ყველას ვხედავ სიზმარში. მამაშენი არ გამოჩენილა. ცოცხალია ესე იგი. შეუნახე სახელი და სახელი. ნუ გაახარებ მტერს, უქვევლად დაბრუნდება, წელს თუ არა გაისად. ომსაც აქვს დასასრული. კაცი იწყებს ომს და კაცმა უნდა დაამთავროს იგი. ომი კაცს ვერ გაათავებს. წადი ახლა და ძალიან ბევრი შეშა მოიტანე. — იმ დამით თვალზე რუღი არ გამკარებია. ბაბუა ხმას არ იღებდა. ბურანში მოგიზგივე ალს თვალს არ აცილებდა და ტუჩის კუთხით, ოდნავ შესამჩნევად უღიმოდა რაღაცას.

29. ოქტომბერს წყალი მოაწვა გულზე, სუნთქვა გაუჭირდა და საწოლზე წამოჯდომა მთხოვა.

წამოვჯიწე და გარშემო ბალიშები შემოვუწყე.

— მოდის, მოდის, დალოცვილი, მაგრამ ძალიან მძიმედ მოდის. — თავისთვის ჩაილაპარაკა.

30. ოქტომბერს ისევ დამიძახა და ისევ გამაფრთხილა.

— მოემზადე, ბაბუა, მოემზადე და არ შეშინდე. ხვალ სიმსივნე გულზე გადმო-

ვა. ყველაფერს თავისი წესი აქვს და იმ წესს მეზობლები ამიგებენ. ნუ შეშინდები. ერთზე კი მწყდება გული, ქალი აღარ დარჩა ჩვენს ოჯახში, რომ შემიცხადოს.

1 ნოემბერს, შუალამისას, ბაბუა საწოლიდან წამოდგა და შუა ოთახში დგა.

— ბიჭო, გოგიტა, დავინახე! — თქვა მან უზომოდ შეწუხებულმა და გაკვირვებულმა.

— რა დავინახე, ბაბუა? — ვკითხე მე და ვიდრე წამოვდგებოდი, იგი მაგიდაზე დაემხო, მერე ნელ-ნელა დაცურდა და იატაკზე გულაღმა გადაეარდა.

— ბაბუა! — მივვარდი მე, მაგრამ იგი უკვე აღარ იყო.

ბრძენი კაცი იყო ჩემი ბაბუა და ისე მოხდა, როგორც მას უნდოდა.

მე არ შემშინებია.

ჩავიციე, ოდის ყველა კარი, ყველა ფანჯარა გავადე და აივანზე გავედი.

2 ნოემბერი თენდებოდა გარეთ. ცა სარკესავით ცივი და პრიალა იყო, გაფერმკრთალებული, სასწორ-სამართალი პირდაპირ ჩვენი ეზოს თავზე ეკიდა, ეზოში ჩავედი, დაცვარულ ბალახზე შევედექი ფეხშიშველი. გრილმა ქრუანტელმა დამირბინა ტანში. ყანაში აუტრელი ჩალის ღეროები შრიალებდნენ. რატომღაც გავიფიქრე, ალბათ, ყველაფერი იციან და ახლა ჩემზე ჩურჩულებენ-მეთქი. მსხლის ძირში რომ გავიარე, დავიხარე და ჩამოვარდნილი მსხალი ავიღე მიწიდან, პერანგის სახელოზე შევიწმინდე და ჩავკბიჩე. ჩავკბიჩე და მხოლოდ ახლა ვიგრძენი, როგორ მქონდა პირი გამშრალი. ეზოს ჭიშკარი ბოლომდე გავხსენი, შუკაში გავედი და მეზობლის ჭიშკარს მივადექი.

— მარგალიტა! — დავიძახე. რომ არავინ მიპასუხა, ხმას ავუწიე. ყველაფერს ვაკეთებდი მშვიდად და დინჯად. მეორე დამახებზაზე კარი ჭრიალით გაიღო და აივანზე მარგალიტა გამოვიდა.

— რომელი ხარ? — იკითხა ნამძინარევი ხმით.

— მე ვარ, გოგია!
— რა იყო, გოგია, ამ შუალამისას
რამ შეგაწუხა?

— ჩამოდი ერთი ეზოში, საქმე მაქვს
შენთან.

— მთვრალი ხარ, გოგია?

— ბაბუა მოკვდა, მარგალიტა, და შე-
მიცხადე, თუ ქალი ხარ!

— გაგიჟდი, გოგია?!

— ნუ გამაწბილებ, მარგალიტა, თუ
და ხარ, შემიცხადე ბაბუა! — მარგალი-
ტა ჩამოვიდა ეზოში და ისევე, როგორც
იყო, ფეხშიშველა, გამომყვია. ჩემს ეზო-
ში რომ ჩავედი, წინ ვაეშვი. კიბეზე
რომ შედგა, უკან მოიხედა შემკრთალმა.

— ნუ გემინია! — ვუთხარი მე მშვი-
დად და ჩემი აივნის პირდაპირ მოლზე
დავჯექი. მარგალიტა აივანზე ავიდა, ბირ
კვილიან მოაჯირს მოადგა, თმები გაიშა-
ლა და სოფელს გახედა.

ბაბუას გასვენების დღე, 1943 წლის
4 ნოემბერი, კვირა იყო.

ხალხმა ნაშუადღევს იწყო მოსკლა.
მეზობლის ქალები, რომლებიც ქირი-
სუფლობას სწევდნენ, ბაბუას ნაცკლად
მე მტიროდნენ.

— უბედურო გიგიააა, რა-გე-შვე-
ლე-ბა ნე-ნააა!

მე ვიდექი კარებთან, მკლავზე შვარ-
შიაშემოხვეული, და მშვიდად ვართმევ-
დი ხელს მოსამძიმრებს. არც ერთი
წვეთი ცრემლი, არც ერთი ამოოხრება.

— იტირე, გოგია, თორემ გავისკ-
დება გული, ბიჭო! — მთხოვა მარგალი-
ტამ. მე თავი დავუქნიე, კი, ვიტირებ-
მეთქი... ხალხი მოდიოდა მოყვრობის,
მირონის, გვარებისა და უბნების მიხედ-
ვით დაწყობილი. ყველა ჯგუფს წინ
ბურბუმელას გვირგვინიანი ორი ბავშ-
ვი და ერთი თმაგაშლილი დედაკაცი
მოუძღვებოდა. შუკა, ეზო და აივანი მო-
ტირალი ხალხით აივსო. ყაყანებდნენ, კა-
მათობდნენ, მსჯელობდნენ. აქა-იქ თავ-
შეკავებული სიცილიც ისმოდა. უცებ
ეზო შეტორტმანდა, ჯერ ჩოჩქოლი
ატყდა, მერე სამარისებურა სიჩუმე ჩა-

მოვარდა და ხალხი ორად გაიყო. ფარ-
თოდ გაღებულ ქიშკარში ხოხოკით გა-
წეპილი, წითელ ალიზა ტალახში ამოსე-
რილი, გაბანჯგვლული, დაქანცული, ყუ-
რებჩამოყრილი და თავჩაქინდრული
ძალი შემოვიდა. მან გვერდზე გაუხე-
დავად გაიარა ორად გაყოფილი ხალხი,
აივანზე ამოვიდა, დიდი ოთახი, რომელ-
შიც ბაბუა ესვენა, გადაჭრა, ბაბუას სა-
წოლ ოთახში შევიდა და ცარიელ სა-
წოლს დახედა, მერე ზალაში გამოვიდა.
ტახტზე დასვენებულ კუბოს მიადგა.
უკანა ფეხებზე შედგა, წინა თათები
ტახტს დააბჯინა, კისერი წაიგრძელა და
ბაბუას დახედა. ლამაზი, სპეტაკი, მშვი-
დი და სათნო იწვა ბაბუა თავის სასახ-
ლეში. ძაღლმა ერთ ხანს უყურა ბა-
ბუას, მერე მოტრიალდა, წამოვიდა და
ჩემს ფეხებში დაწვა გატრუნული.

— დიდება შენდა, უფალო! — აღმო-
ხნდა ვიღაცას ჩემს უკან. მე თავი ვეღარ
შევკიკევე, სახეზე ხელები ავიფარე და
ხმამალა ავტირდი.

დაახლოებით ხუთ საათზე კიდეც ერ-
თი სასწაული მოხდა. ზალაში ბადრია
მეთუთუნე შემოვიდა. ჩემს ფეხებთან
გაწოლილი ძალი რომ დაინახა, შეკრ-
თა, მაგრამ ისტიბარი არ გაიტეხა და სა-
მძიმრის მოსახდელად ჩემსკენ დაიძრა.
მამინ წამოდგა ძალი, მთელ ტანზე ბა-
ნალი აემაგრა, კუდი ბოროტად წაუგზ-
ძელდა, ეშვები გააელვა და ვაბმულად,
შემზარავად დაიღრინა. ბადრიამ უკან
დაიხია. ძაღლმა ერთი ნაბიჯი გადადგა
მისკენ.

— გაჩერდი, ძაღლო! — თქვა ბადრი-
ამ და ფერი წაუვიდა. ნელსონი შეილ-
დივით მოზიდული იდგა.

— მტირე, ძაღლო, ეს პატიოსანი
მოხუცი! — უნაიროდ გაიღიმა ბადრიამ,
ძაღლიმ ღრენას უმატა და კიდეც ერთი
ნაბიჯი გადადგა.

— უთხარი, ბიჭო, ამ უჯიშოს რამე!
— მომიბრუნდა საქციელწამხდარი ბად-
რია. — ამან კი იცის, ვინ ესროლა თო-

ნოღარ ღუშაბამ
ძაღლი

ფი, მაგრამ არ გინდა ათქმევინო?! —
გამიელვა თავში ბაბუას ნათქვამმა...

— გადადი, ბადრია, ეზოდან! — ვთქვი
მე. მერე ისიც გამახსენდა, ბაბუამ ცა-
რიელი თოფი რომ დამიბრუნა და მითხ-
რა — ასე თუ ქენი, ბაბუა, შენ, ცხოვრე-
ბა გაგიჭირდებო, — მაგრამ აღარ გა-
დავთქვი.

— გადადი, ბადრია, ეზოდან! — გა-
ვძმეორე და ბადრია გადავიდა ეზოდან.

დილით აღრე ხმაურმა გამაღვიძა,
იგვანზე გავვარდი საცვლების ამარა.

— ბიჭო, გოგოცა, გააჩერე ეს შობელ-
ძალი, თორემ დაგვჭამა ცოცხლად! —
მეძახდა სკამების წასაღებად მოსული
მეზობელი.

სოფელს გავხედე. ოღებოდან კვამლი
ამოდიოდა თეთრ ბოლქვებად. მამლები
ყოფდნენ, ძროხები ბლაოდნენ, თხები
პეტელობდნენ, თიქნები კიკინებდნენ,
ქათმები კრიახობდნენ, კონცხოულაზე
უშველებელი მზე შემომდგარიყო...
უცებ სხეული სითბოთი ამევესო და ყუ-
რებში სასიამოვნო ზარმა დარეკა.
ჩემს ეზოში ძალი ყეფდა.



19 492

შუქი არაგვი

1. შემოთქმვა შინაგანად

ცამ ღრუბლის ქულის ფერად ინათა
და ვარსკვლავების ჯარი მოცელა,
უცებ შევდექი მგზავრი ჟინვალთან,
მეწვია ფიქრი და გაოცება.

იქნებ ხევსურეთს მიდის ზურაბი,
მას ხომ მთა დარჩა დაუპყრობელი...
არა, სხვაგვარად მშეთბს სურათი —
წარსულზე ფიქრის უარყოფელი.

კლდეებს აწყდება სხვა ხმა,
სხვა ზარი,
სხვა იარაღი,
სხვა ხე,
სხვა რკინა,
არაგვთან მოდგა ხალხი აზარი
და მანქანები დიდნი საკვირვლად.

თხრიან და გლეჯენ,
გლეჯენ და თხრიან,
აი, იმგვარად,
ზღაპრად რომ უთქვამთ,
ვიღა დაგიდევს მდინარის ღრიალს,
დაუფლებიათ მომავლის სუნთქვა...

მამულის ძელქვა — თეთრი კაშხალი
სახელგანთქმული არხთა ბარაქით,
განათებული პესის მამუალით
ოთხი ხეობა ოთხი არაგვის.

ჟინვალთან ვდგავარ ახალი წინსვლის,
ახალი მთის და
ბარის მლოცველად,
ჟინვალთან ვდგავარ წარსულის ნისლი,
მომავლის ფიქრი და გაოცება.

2. ხმისშეწყობი მშენებლობაზე

მთიდან დაემუნენ სხვაგვარი განცდით,
გადმოჭრეს ჭალა ძნელად სავალი...
და კლდეს გვევთა სამასი კაცი, —
სამასი გმირის შთამომავალი.

ფაფრაშლილებს ცხელი მზე სახრავს,
მაინც მხნეობენ ქართლის მუხებო
და სანამ მხრებით ასწევენ კაშხალს,
წყალს აკავებენ ქედმოუხრელნი.

3. შუქი არაგვი

არაგვზე აღარ ქრება სინათლე,
მთებს დაყრდნობია მზე მოკაშკაშე,
არ უღამდებთ მთათა ბინადრებს, —
მდინარეებთან შებმულ ვაჟაკებს.
ვარსკვლავთცვენა სოფელ ჟინვალთან,
სიბნელე სადღაც გაუჩინარდა.
რომ ხალხმა წყარო აღარ ინატროს,
ველ-მინდვრებიდან გვალვა ალაგმოს,
ამიტომ აღარ ქრება სინათლე
შენს ხეობაში,
ჩემო არაგვო!



12. 423

ქ. შარტავის ს.ხ. საქ. სსრ
სახელმწიფო რ. საბჭოთა
ბი. ლიტერატურა

მხაილ ქვლივიძე

ბავშვობის კუნძული

გემუდარებით,
გონივრით,
გუნდით,
ნუ დამაყვებდნენ უნებურ კენესას:
სულს სამარხში გათხრებს ვეწვევი,
ვეძებ დაკარგულ ბავშვობას ჩემსას!

ახლადდაბადებული ბავშვი დაუსახ-
ლებელ კუნძულზე მოხვედრილ რ-
ბინონს ჰგავს, რომელიც თანდათან
ეცნობა და ეთვისება მისთვის უცნობ
გარემოს...

ბირველი ჩემი აღმოჩენა დედა იყო.
ამბობენ, ძუძუთა ბავშვები თავდაყო-
რა ხედავენ ყველაფერს. ფერებსაც ვერ
არჩევენ: თეთრი შავად ეჩვენებათ, შა-
ვი — თეთრად და ა. შ.

არ ვიცი, ასეა თუ არა, მაგრამ დედა-
ჩემი, იმ წუთიდან, რაც დაინახე, ყო-
ველთვის ბუნებრივად გამოიყურებოდა.
მართალია, როცა წამოვიზარდე, ბევ-
რჯერ მინახავს თავდაყორა მდგარი არა
მარტო აღამიანები, არამედ შეხედუ-
ლებებიც, შავიც ძალიან ხშირად თეთ-
რად მომჩვენებია, მაგრამ ეს ცალკე
თემაა... მე იმ დაუსახლებელ კუნძულზე
მინდა დაგაბრუნოთ, სადაც ცხრათვიანი
ქარიშხლის შემდეგ ბედის „მეცხრე
ტალღამ“ ცოცხლად და უვნებლად გა-
დამისროლა.

მაგონდება ცალკეული სურათები,
როგორც დიდი ხნის წინათ ნახული
ფილმის კადრები:

თბილისი... „ვარანცოვის“ მოედანი...
„ვარანცოვის“ ხიდი.. ხილს ქვემოთ,

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, იქ, სა-
დაც ახლანდელი კამოს ქუჩა იწყება,
ეტლები წამწყვრივებულან. აქ მათი გა-
ჩერებაა. საღამოა. ნაწვიმარი ფილაქანი
გაქონილივით ბზინავს. მეეტლებს
ქურქის საყელოები აუწევიათ და კო-
ფოზე თვლემენ. ყურისწამლებად გაჰყ-
ვირიან გაზეთის გამყიდველები: „მუ-
შაა!“, „მუშაა!“... „ვეჩერნი რაბოჩი!“...
გაზეთის სქელი დასტები ფილაქანზე
აწყვია და ახლადდაბადებული თოვლი-
ვით, სწრაფად დნება. წამდაუწუმ გა-
ისმის: „იზვოზჩიკ! ავლამბრამდე რამ-
დენს აიღებ?“... „ხაზინ, ნავთლულში
წამიყვან?“... მე და მამაჩემი სახლში
ვბრუნდებით. სადღაც ვიყავით, შეგვაგ-
ვიანდა და ამიტომ ვჩქარობთ. მამა ფარ-
თოდ აბიჯებს, მე გამწვარებული ვცდი-
ლობ ფეხი ავუწყო, მაგრამ ჩავკიდე-
ბივარ კალთაში და ქვევიდან შევყურებ
ქვეყანას. ყველაფერი დიდი მეჩვენება:
მოედანიც, სახლებიც, ხეებიც, აღამი-
ანებიც — ყველაფერი მაღალია, გაუგე-
ბარი, უცხო და საშიში. მამა გაზეთს ყი-
დულობს, მერე პაპიროსის ჯიხურთან
ჩერდება. წინასწარ ვიცი: ან „ტროიკა“
მოითხოვს, ან „ფედერაციას“, მერე გა-
აბოლებს და მე ცხვირზე ავიფარებ,
რადგან პაპიროსის კვამლს ვერ ვიტან...
გავცილდებით ხმაურიან მოედანს, გავ-
ყვებით ნახევრადჩაბნელებულ „ჩერქე-
ზოვის“ ქუჩას, სადაც ტრამვაის ხაზია
გაყვანილი. აქ — სიმყუდროვეა, ხალხიც
ნაკლებია. სიჩუმეს მხოლოდ ჩვენი ფე-

ხისხმა არღვევს. მერე, უცებ, შემზარა-
ვი ღრქალით შემობრუნდება მოსახ-
ვევში ტრამეის ვაგონი, რახარხითა და
დაგადუგით ჩავვიქროლებს, თან დანჯღ-
რეული, ირწევა და ქანაობს ისე, ლამის
გადმოვარდეს ლიანდაგიდან და ნაწილ-
ნაწილ დაიშალოს! სველ მავთულზე
მიბჯენილი ბუგელი ნაპერწკლებს ისე-
რის, ელექტროელვა წამიდან წამზე გა-
ანათებს ხოლმე დაცარიელებულ ქუჩას,
ჩაბნელებულ შენობებს, მავრად, თით-
ქო სამუდამოდ დაკეტილ სადარბაზოებს
და ურდულგაყრილ დარბებებს... და ისევ
სიჩუმე, ისევ სიბნელე დაისადგურებს,
მხოლოდ ფეხისხმა ისმის ჩუენი: „დაგ-
დუგ, დაგ-დუგ...“ მძიმე და დინჯი —
მამისა და „კაკ-კუკ“, კაკ-კუკ...“ მკაფიო
და ჩქარი — ჩემი. მამა დროდადრო მი-
საყვედურებს: „გადმოადგი ფეხი. ბი-
ჭო, რას მოჩანჩალებ!“... უინქლავს.
თოვლნარევი წვიმა სახეში სველ სა-
ფანტს მაყრის, მე ვიქყანები, და ჩუენ
შინისკენ მივიჩქარით, სადაც სითბოა,
სინათლეა და დედა გველოდება...

გაივლის კიდეც ოცი, ოცდაათი წელი
და იმ ღამის შთაბეჭდილება თავისებურ
გამოძახილს ჰპოვებს უკვე დავაქაცე-
ბული კაცის ლექსში:

წვიმა ეყრება სახეს ჭორფლივით,
ცრის და არ აცლის დაწვებს გამრობას...

ვინ იცის, იქნებ სწორედ იმ ღამით,
როცა „ვარანცოვის“ ხიდიდან შეეხედე
მტკვარს, პირველად შევამჩნიე, რომ

ელნათურები სანაპიროდან
ყვიოთელ პერანგებს მტკვარში ალბობენ...

ან იქნებ საყვარელი დედის სახეც
იქიდან ამოტივტივდა, იმ შორეული
წარსულიდან:

შენ ეგ ხელები ჩემთვის დაღარე,
ნეტავო, ძუძუს კვლავ მაწოვიდე...
და იცო, დედავ, რარივ მახარებს,
რომ ისევ შენთან უნდა მოვიდე!

ბავშვობის კუნძული!.. ეს ის მხარეა,
სადაც ლიტონი სიტყვა არავის არ სჯე-
რა, სადაც ჩვეულებრივი, ნაცნობი საგ-
ნები ხელახლა უნდა აღმოაჩინოთ, გაუ-
სინჯოთ ფერი, გემო, სუნნი, შეეხოთ

თითებით, რომლებსაც მეტი მგრძობე-
ლობისთვის კანი გადაადრეს და ნერვე-
ბი გაუშიშვლეს!.. იქ, იმ ბავშვობის კუნ-
ძულზე, მთაზე შეფენილი ნაძვები
იერიშზე გადასულ ჭარისკაცებს გვანან.
ჭრიჭინები ხომ ტოტებზე პაწაწინა მო-
ტოკიკლებს დაქტოლებენ; წილის
„თეთრ წყვდიადში“ შავი ვარსკვლავე-
ბი ბრწყინავენ, სიჩუმე კი — ჭირისუ-
ფალივით, საფლავის ქვაზე ჩამომგდარა
და სასოწარკვეთილი სახეს იკაწრავს...
ბავშვობის კუნძულზე ყველაფერი მნიშ-
ვნელოვანია და საინტერესო. სამშობლო
ისეთი პატარაა, რომ ზღამიანის გულში
ეტევა, ოთანი კი, სადაც ცხოვრობ (თექ-
ვისმეტი კვადრატული მეტრი, მეტი არა!)
ისეთ განცდას იწვევს, რომ...

რა უსასრულო მეგონა აღრე
ჩემი ოთახის განი და კიდე, —
მის ჭერზე უფრო მაღალი საღმე
აღარ მეგონა თუ იყო კიდე!
ცათამბჯენს ჰგავდა ყველა შენობა,
სიკვდილს უღრიდა წყენა მცირედო, —
ქვეყნის თავი და ბოლო მეგონა
მამადავითი და მტკვრისპირეთი!

ბავშვობის კუნძულზე არა მარტო მის-
შტაბებია შეცვლილი. იქ ადამიანის მის-
წრაფებაც სხვანაირად ფასდება:

საგარეუბნო მატარებელში
ბავშვმა ჯიბიდან გაოფლილ მუქით
ამოაცოცა ჭრელი კენჭები
და გულმოდგინედ გადაითვალა...
ესაა მთელი მისი სიმდიდრე!
მგზავრებო, თქვენში (ნუ გაიკვირებთ!)
მასზე მდიდარი — არავინაა!

ნეტავ იმას, ვისაც თავის ღროზე გა-
ნუცდია ასეთი რამ, ვისაც დიდხანს
გაჰყოლია ბავშვური უშუალობა და
სიწრფელე:

...ზურგი შეაქციეს ერთმანეთს, ამა-
ყად იხედებიან განზე და თვითველ მათ-
განს თავისი თავი გენიოსი ჰგონია.
ქუჩაში კი, უღარდელი სტენით მიაბი-
ჯებს ნამდვილი გენიოსი და ფიქრობს:
„სტადიონის ბილეთი მაშოვნინა და

მიზილი კვლივიკი
ბავშვობის კუნძული

ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არ იქნებოდაო!”

თბილისი... დილით ახალი ხმებით ივსება ქუჩები. ინათებს თუ არა, აყვირდება ჩვენი სახლის წინ წყნეთელი ან ტაბახმელელი გლეხი: „მაწონი-მალაკოო!.. მაწონი-მალაკოო!“. ამ შედახილს ვირის ყროყინიც მოჰყვება. ზოგჯერ პირიქით ხდება: ჯერ ვირი დაიყროყინებს, მერე „მაწონი“, დაიძახებს გამყიდველი. მაწონი მაღალყელიან, კოხტად მოჭიქულ ქილებშია შედედებული და ზევიდან ფოთოლი აფარია. ქილები ხურჯინში აწყვია და ვირის უკმაყოფილო ყროყინი ალბათ ხურჯინის სიმძიმითაა გამოწვეული... ახლა, როცა ვიკონებ იმ მემაწვენს, ასე მგონია, რაც უფრო საწყლად ყროყინებდა პირუტყვი, მით უფრო ხალისიანად გაჰკიოდა მისი პატრონი.

მემაწვნის ხმას სხვა შედახილი მოსდევს: „ზემლანოი ზემლა!“ — უცნაურ, ჩემთვის გაუგებარ სიტყვებს გაიძახის ზურგზე ტომარააკიდებული ქართველი გლეხი. დიდხანს მაწვალებდა ამ სიტყვების საიდუმლო, რადგან დედაჩემს არასდროს არ შეუძენია ეს „ზემლანოი ზემლა“, და ისე ჩაუარეს ჩემს ბავშვობას და გაჰქრნენ წარსულში ამ იდუმალი „ზემლანოი ზემლას“ გამყიდველები, ვერ გავიგე: რას ყიდდნენ, რა უნდოდათ, რისთვის გვაღვიძებდნენ დღაადრიან თავისი შედახილით? შემდეგ, როცა გავიზარდე, ყური მოვკარი, როგორ დაიძახა ერთმა ასეთმა გლეხმა „ზემლანოი ზემლა“ და მიაყოლა ქართულად „ყვაილების მიწა“-ო და მაშინ მივხვდი: რუსული „ზემლანოი ზემლა“ — „ჩერნაზომ ზემლიას“ ნიშნავდა, შავმიწას...

შვის სხივები პირველად ჩვენს ფანჯრებს მოადგებოდა, მათ შემოჰქონდათ ოთახში რაღაცის დაპირება და მოლოდინი. ტრუსის ამარა გავვარდებოდი აივანზე. რკინის დაქანებულ მოაჯირზე ალაგ-ალაგ წუხანდელი წვიმის წვეთები იყო შეგუბებული. მოაჯირს ძლივს ვწვდებოდი, ფეხისწვერებზე ავიწევდი

და მოვსვამდი იმ წყალს. მოტკობ სუნია და გემო ჰქონდა. იმის შემდეგ არასოდეს დამიღვია ისეთი გემრიელი წყალი!...

ვიღეკი აივანზე ნამძინარევი, პირდაუბანელი და გამოუცნობი მღელვარებით შევეცქეროდი მზით გაჩახახებულ, უკვე პირდაბანილ ქვეყანას. ჩვენი აივანიდან კარგად მოჩანდა მთაწმინდა და მის კალთებზე კამათლებივით მიმოყრილი სახლები. ვაკონის პაწაწინა კოლოფები მიღოღავდნენ მის მკერდზე, მთა კი ბუმბერაზი მეჩვენებოდა, რადგან ზევით, მის ქიმზე, სულ პაწაწინა შენობა იდგა ორი, ცას მიბჯენილი, წვეტიანი კოშკით.

ქუჩა თანდათან იღვიძებდა; ივსებოდა მზით, ჩიტების ჟღერტულით და ზრუნვის ფერხულში აბამდა დიდს და პატარას.

აი, გაიჯახუნა სადღაც სადარბაზო კარმა. მკაფიოდ ისმის ფილაქანზე აჩქარებული ტყაპატყუბი — ეს მეზობლის თმაგაჩეჩილი გოგო პურზე გააგზავნეს... სულ ცოტა ხნის შემდეგ, ისევ მოისმის ფლოსტების ფლატუნი, ამჯერად აუჩქარებელი: გოგო შინ ბრუნდება, გადავეყუდები მოაჯირს და ვხედავ: თონის პური უჭირავს ხელში და მადიანად ილუკმება. თავი თუ ასწია და შემამჩნია, აუცილებლად დაიჭყანება და ენას გამომიყოფს...

ქვაფენილზე ბორბლების რახრახსადა ფლოქვების მწყობრ მაჯისცემას ზარის ხმა აყვება: „კერაასინი! კერაასინი!“ — ყვირის ნავთის გამყიდველი. მერე ზარის ხმა წყდება და სრულ სიჩუმეში მხოლოდ რკინის კასრების ჯაყაყაყი, ონკანიდან მოთქრიალე აქაფებული ნავთის ჩხრიალი და ქალების ყაყანი ისმის. ხანმოკლე პაუზებში გამაყრუებლად ყიფილებენ ბელურები...

„სტაარი ადოჟ! სტაარი ვემ შაავუპაემ!“ — გაბზარული ბარიტონით, ერთხელ და სამულამოდ დასწავლილ ჰანგზე წაიმღერებს კოკლი მექველმანე. ილიაში ამოჩრილი ტომრით იგი დინჯად მიჰყვება ქუჩას, დროდადრო ჩერდება,

სართულებსა და აივნებს ათვალეირებს. არც ერთ ეზოს არ დატოვებს, ყველა ალაყაფში შეიხედავს და ოდნავ სევდიანი, გაბზარული ხმით წამოიწყებს თავის მოკლე და ნაღვლიან სიმღერას...

„სტიოკლა ესტავლიატ! სტიოკლა ესტავლიატ!“ — რიხიანად, თითქო სამხედრო ბრძანებას იძლეოდეს, გაჰყვირის ახმახი მეშუშე, მხრებზე შედგმული ზის ყუთით, რომელშიაც სხვადასხვა ზომის შუშები აწყვია. მზე თვალისმომკრელად ბრწყინავს შუშებზე, მეშუშე მიჰყვება ქუჩას და მე მეჩვენება, თითქოს მის ყოველ დაძახილზე საეკვოდ ზანზარებენ ჩვენი ფანჯრის მინები (განგებ ხომ არა ყვირის ასე ხმაამალა ევ დალოცვილო?!).

„ტაჩიტ ნაჟი-ნოჟინცი! ტაჩიტ ნაჟი-ნოჟინცი!“ — ბანს აძლევს შუშების ჩამსმელს დანების მლესავი...

„სამოვარნი პესოკ! სამოვარნი პესოკ!“ — „ნეტა, ვის რაში ჰირდება ეს „სამოვარნი პესოკი“? — გაკვირვებული გეკითხები ჩემს თავს...

და ისევ: ყოვლად გაუგებარი შეძახილი — „სენც-ვან-ვაზოლი! სენც-ვან-ვაზოლი!“, რაც ადამიანურ ენაზე თურმე კოჟრების წამალს, „სრედსტვო ოტ მოზოლი“-ს ნიშნავს... (დიდება შენი, უფალო, მიდი და გაიგე!)

ჩვენი ქუჩის კუთხეში მეკურტნე მუშების „ბირჯაა“. ზედ ტროტუარზე ჩამომსხდარან აისორი მეკურტნეები და მზეს ეფიცებიან. ზოგჯერ შაშის თამაშით იქცევენ თავს: ფილაქანზე ცარცით „დაფას“ დახაზავენ, ერთი მოთამაშე თეთრი კენჭებით თამაშობს, მეორე — აკურის ნატეხებით. შაშისთვისაც ხომ თეთრი და წითელი კოჭებიც საჭირო!... მთელი დღე შეუძლიათ მუშებს უსაქმოდ ჯდომა, იქამდე, სანამ ვინმე არ დაიძახებს: „მუშა!“ მაშინ, გიჟვარდეს, წამოცვივდებიან ფეთიანებივით და ერთმანეთის ხელისკვრითა და კურტნების ქნევით მიაშურებენ მუშტარს, თან ისეთ ყაყანს ასტეხენ, მეორედ მოსვლა გეგონება! კიდევ კარგი, თუ „კლიენტს“ პიანინო ან როიალი აქვს გადასაზიდი, —

ამ საქმეს ექვსი კაცი სჭირდება და მუშები როგორმე მორიდდებიან. უფრო ხშირად კი ასე ხდება: ერთ მუშას გაუღებენ კურტანზე განჯინასა ან ძველებურ, რკინის სალტეებით მოჭედილ „ზანდუსკ“ და მიაბიჯებს ოთხად მოკეცილი, ოფლად გაღვრილი კაცი, რეპონის ბურლაკივით მეკრძზე და ნიკაბქვეშ ამოდებული ტყავის თასბით, რომლითაც კურტანზე ტვირთია დამაგრებული. შორიასლო კი, ჯიბეში ხელბეჩაწყობილი ტვირთის პატრონი მოსიერნობს არხეინად, პაპიროსს აბოლებს, თან გზას ასწავლის მეკურტნეს: „აქეთ გაუხვიე! იქით წადი! ნელა, ნელა, კედელს არ წამოედო!“

ყველაფერი ეს — ბავშვის თვლით დანახული სინამდვილეა, რომელიც ოდესღაც აღიბეჭდა მეხსიერების ფსკერზე და შემდეგ დაგვიწყებას მიეცა. საგანგებოდ ამაზე არასოდეს არ უფიქრია კაცს, და მაინც იქიდან, იმდროინდელი თბილისიდანაა წამოსული ეს სურათი:

ქვა რომ შეაგლო მაღლა, ჰაერში, დაიწყარუნებს შინა გამტყდარი!

ეს აღსარებაც:

მინდა გიმღერო ქება,
მინდა გიწოდო „ჩემო“, —
გერ დამევიწყეს წლებმა
შენი ჰაერის გემო.
შენი მთაწმინდის კალთა,
გადასახედი წყნეთის,
შენი კუჩია, საღაც
დამრჩა საფლავი ღედის...

...ბავშვობის პირველი განცდა, მახსოვს — ში ში იყო. ეს გრძნობა ჩემში აზროვნების ჩასახვასთან ერთად გაჩნდა. (ან იქნებ აზროვნებას წინ უსწრებდა?). რანაირი შიში არ მახსოვს: სიბნელის შიში, სიმარტოვის შიში, უცნობი საგნების და უცხო ადამიანების შიში... მაგონდება ჩვენი სახლი ლენინაშენის ქუჩაზე. ორი ოთახი მეორე სართულზე და მათ შუა — მეზობლებთან საზიარო

მიხეილ ავლინიძე
ბავშვობის ატმოსფერო



დერეფანი. ამ დერეფანში დღისითაც
ბნელოდა. აქვე იყო ქუჩიდან შემოსას-
ვლელი კარი, რომელსაც „ინგლისური“
კლიტით და რკინის ფოსოში გასაყრე-
ლი ჯაჭვით კეტდნენ. ქვემოთ, სადარ-
ბაზო არ იკეტებოდა.

ჩვენ, პატარებს, მე და ჩემს ძმას, ქუ-
ჩისპირა ოთახში გვაძინებდნენ. უფრო-
სები გვიანობამდე ისხდნენ სასადილო
ოთახში და საუბრობდნენ. მათი ხმა არ
გვესმოდა, ქუჩაც წყნარი იყო, ამიტომ
ჩვენს ოთახში შებინდებისთანავე სი-
ჩუმე ისაღვრებოდა.. დედაჩემი გამხდი-
და ფეხსაცმელს, შემასკუბებდა ლოგინ-
ზე, მერე მთლად გამატიტვლებდა, კო-
ჭებამდე გრძელ პერანგს გადამაცმევ-
და (ცივი იყო გახამებული პერანგი!) და
ჩავგორდებოდი ლოგინში (ლოგინიც
ცივი იყო!). კარგად მახსოვს საბანი —
ფაფუკი ღრუბელი, რომელსაც უზბე-
კური ხალათივით წითელი და ყვითელი
ზოლები დაყვებოდა. ჩავწვებოდი ლო-
გინში, დავხუჭავდი თვალებს, საბანსაც
ყურებამდე წავიფარებდი და ვთხოვდი
დედას, არ წასულიყო, ცოტა ხანს დარ-
ჩენილიყო. დედაჩემიც საწოლზე ჩამოჯ-
დებოდა და სანამ ჩავთვლემდი, თავზე
ხელს მისვამდა, თან თავის მოგონილ
ზღაპარს მიაშობდა პატარა „მატრაკვე-
ცაზე“ და მის ოინებზე. ზღაპარს არც
თავი ჰქონდა, არც ბოლო და მისი გმი-
რი, ცელქი და გაუგონარი „მატრაკვე-
ცა“ რაღაც საეჭვოდ გვგავდა მე და ჩემს
ძმას...

ჩამეძინებოდა და ვერ ვამჩნევდი,
როგორ აღგებოდა დედა და ფეხაკრე-
ფით გავიღოდა ოთახიდან. მაგრამ გა-
ვიღოდა თუ არა, იმწამსვე თვალებს და-
ვაჭყეტდი, საბანს თავზე წავიფარებდი,
მოვიკუნტებოდი, მუშტისოდენა გავხდე-
ლოდი და ვიწყევი ასე, გაუნძრევლად,
სუნთქვაგამედილი, და სული მეღოდა
შიშისგან... „ქაშ-ქუშ!.. ქაშ-ქუშ!..“ —
ჩამესმოდა ყურში რაღაც უცნაური ხმა-
ური და მეღანდებოდნენ ვეებერთელა
ჯარისკაცები, მძიმე ჩექმებით, მწყობ-
რად რომ დააბიჯებდნენ კარს იქით,
ბნელ დერეფანში, რომელიც ყრუ კე-

დელივით აღმართულიყო ჩემსა და
დას შორის. არავითარი აზრი არა ჰქონ-
და არც ტირილს, არც დაყვირებას, რად-
გან დედაზე ადრე ჩემს ხმას ის ბორო-
ტი ძალა გაიგონებდა, დერეფანში რომ
დააბოტებდა და მაშინ... მაშინ...

ჩემი შიში უსაფუძვლო როდი ყოფი-
ლა. „ჯარისკაცები“ — პირობითი სა-
ხელწოდებაა — იმისა, რისიც მეშინო-
და. მაშინ თბილისში დიდი ავაზაკობა
იყო და ჩვენი მშობლები ხშირად სუფ-
რაზე, ბავშვების გასაგონად, ჰყვებოდ-
ნენ ათასკვარ საშინელ ამბებს: თუ რო-
გორ გატეხეს ქურდებმა ვიღაც ნაცნო-
ბისა თუ უცნობის ბინა, როგორ გამოჰ-
რეს ყელი სახლის პატრონს და მის
ცოლ-შვილს, რომლებმაც გაიღვიძეს და
უცხო აღამიანების დანახვაზე ყვირი-
ლი მორთეს... ასეთი ამბები გახურებუ-
ლი შანთივით მესობოდა ტვინში, აცხო-
ველებდა ჩემს ფანტაზიას და წარმოიდ-
გინეთ, ახლაც კი, ორმოცი წლის შემ-
დეგ, უფროსების ზოგიერთი მონაყოლი
დაწვრილებით მახსოვს.

„პაენებით“, ანუ უპატრონო ბავშვე-
ბით, გატენილი იყო თბილისი. ჩვენს
უბანში, მაშინდელ „ვარანცოვზე“, ეს
საცოდავი, მაგრამ საშიში არსებანი ნა-
ლებად გვხვდებოდნენ. სამაგიეროდ, ქა-
ლაქის მთავარ ქუჩებში, „გოლოვინის“
და „მინალოვის“ პროსპექტებზე (რუს-
თაველის და პლეხანოვის პროსპექტე-
ბი) ბუხებივით ირეოდნენ ჩამოქნძილი,
ფეხშიშველა, პირმოთხუპნილი ბავშვები
და მოზარდები, რომლებიც შიშის ზარს
სცემდნენ მოსახლეობას. სუსხიან დე-
კემბერსა თუ იანვარში, ან „სუფსარქი-
სის“ ქარ-წვიმიან დღეებში (მაშინ ზამ-
თრობით დიდი თოვლი იცოდა და საკ-
მაოდ ყინავდა) ეს ბავშვები პირდაპირ
ტროტუარზე ეყარნენ მაღაზიის ვიტრი-
ნებთან, იქ, სადაც მიწაში გათბობის
ქსელი იყო გაყვანილი, ან სარდაფები-
დან ამოშვერილი საკვამლე მიწების ახ-
ლო თბებოდნენ. აშშორებულნი, აქოთე-
ბულნი, ისხდნენ და იქეებოდნენ, თან
გამვლელ-გამომვლელს სამათხოვროდ
ხელს უწვდიდნენ... მახსოვს, ერთხელ

მე და დედაჩემი გოლოვინის პროსპექტზე მივდიოდით. „პაცანების“ ჯგუფს ერთი ახმაზი გამოეყო და დედაჩემს ფული სთხოვა. დედამ ხურღა მისცა. „პაცანას“ ეტყობა ეცოტავა, ბინძურად შეიგინა, უბიდან ასანთის კოლოფი ამოიღო, გახსნა და დაემუქრა დედას: ქალღმერთის ფული მოიტა, თორემ ამას შეგაყრიო... კოლოფი გატენილი იყო რაღაც ნაცრისფერი ფხვნილით. დედაჩემს ფერი წაუვიდა, სასწრაფოდ ამოიღო საფულედან, რაც მოხვდა ხელში და „პაცანას“ მიაჩეჩა. ამის შემდეგ, ჩვენ თითქმის სირბილით გავცილდით იქაურობას. სახლში დედამ მითხრა: „ის კოლოფი ტილებით იყო სავსეო!“... ეს ყველაფერი შუადღისას მოხდა, პროსპექტის ყველაზე ხალხმრავალ მონაკვეთზე, იქ, სადაც ქაშუეთის ეკლესიაა...

გავიდა წლები და გამოუცნობი ბავშვური შიში, დიდი შიში — ყველასი და ყველაფრისა — გაქრა. მაგრამ იმ შიშის გამოძახილი მაინც ისმის სტრქიონებში, სადაც დედის სახეა გაცოცხლებული:

ყველაზე უფრო ძნელი და მწარე ეს არი — შენი დაკარგვის შიში. მე წამიყვანე, სიკვდილო, ბარემ, თუ ახირდი და შენსას არ იწლი!

სტრქიონებში, სადაც ბუნებასთან ერთიანობის, მასთან განუყრელობის სანუგეშო აზრი ასეთი დეკლარაციის ფორმას იღებს:

თუ გინდა, ბედო, მომკლა როდისმე, — მომკალი ღამით. დილის ჰაერით სუნთქვა მალისმე, — დავსველდე წამით. მომკალი მერე, როცა შუადღის სარბევად მოხვალ, და თუ შენ მაშინ შიში შემატე, — წამებით მომკალ!

...ყოველ ზაფხულს მე და ჩემი ძმა სოფელში ვატარებდით. ჩვენი სოფელი ხაშში გარეკახეთში ერთ-ერთ შეძლებულ და კულტურულ სოფლად ითვლებოდა. განთქმული იყო ხაშმური „საფერავი“, ხაშმური ხილი და ხაშმური ციება. ცნობილი იყო აგრეთვე გა-

მოჩენილი ხაშმელები: იმედამშვილების, ბაქრაძეების, ყვარელაშვილების და სხვათა გვარები. ქვლივიძეები — მართა ჩვენ ვიყავით ხაშმში. ბებიაჩემს კახურ ყაიდაზე, მეტსახელად „კოროშას“ ეძახდნენ. „კოროშა“ რაღაც ისეთს ნიშნავდა, რაც პირქვეში, გაუცინარი ადამიანის სახის გამომეტყველებასთანაა დაკავშირებული. „კოროშანთ ბიჭი ხარო?“ — მკითხავდნენ ხოლმე გლეხები და მეც თავს დავუქნევდი, თუმცა ქალაქელ ბიჭს, ცოტა არ იყოს, მწყინდა ეს სახელწოდება. სამაგიეროდ, მსიამოვნებდა ის, რაც ამ კითხვას მოჰყვებოდა: გაიგებდნენ თუ არა, რომ მე „კოროშანთი“ ვიყავი, სოფლელები მაშინვე მამაჩემს გაიხსენებდნენ, რომელმაც ახალგაზრდობაში საკუთარი სახსრებითა და მეცადინეობით ხაშმელებს გზა გაუყვანა და წყაროც გაუმართა...

ჩვენს ეზოში, ლობესთან, ერთი ბებერი გულაბი იდგა. გემრიელ ნაყოფს ისხამდა. მისი გაშლილი ტოტები ლობეს სცირდებოდა და თითქმის სანახევროდ ფარავდა გზას. მთელი უბნის ბიჭები ამ გულაბზე იყვნენ დაღესილი. და განა მართო ბიჭები? ყველა, ვინც კი გაივლიდა გზაზე, ცხენოსანი თუ მეურმე, ქალი თუ კაცი, თავის მოვალეობად თვლიდა ან ქვა ესროლა, ან სახრე შემოექნია საწყალი გულაბისათვის!.. გაიგონებდა თუ არა ტოტების ლაწა-ლუწს, მარჯვედ გასროლილი ქვის შლივის ხშირი ფოთლებში, ბებიაჩემი გამოფარდებოდა აივანზე და ქოქოლას აყრიდა არამზადას: „აი, გაგისმეს ხელები! გაგისკდა მიწა და ნუ გაეზრდები დედაშენს, შე სასიკვდილევ!“... — იწყებდებოდა „კოროშა“, ლობის ვადღმა კი, შეეკვებულ სიცილი და ქვაფენილზე ტერფების ტყაბატყუბი ისმოდა: გასაქცევად გამზადებული ონავრები გამალეობით იტენიდნენ უბეებს ზიდან ჩამოცვენილი გულაბებით...

იმავე ბიჭებთან, ასე რომ ამწარებდნენ ბებიაჩემს, იორზე დავდიოდი საბა-

მისიელ ავლივიძე
ბავშვობის კონსული

ნაოდ, ვიპარავდი ნედლ სიმინდს, „ლა-
გატით“ დავდედი ბედურებს...

ცეცხლი ვგაჩაღეთ და შემკრთალ კაცივით,
სიბნელემ ერთბაშად უკან დაიხია...

შემოდის მეველე და ჩოხის კალთებით
ნაწიბარ ქედების სურნელი შემოაქვს...

სილამაზის ეს მარცვლები იქ, ბავშვო-
ბის კუნძულზეა ნაპოვნი და მოკრეფი-
ლი.

...ბავშვობის ხსოვნა — უძირო ჭასა-
ვითაა, არასოდეს არ ამოშრება წყალი
მის ფსკერზე! საჭიროა მხოლოდ, რაც
შეიძლება ღრმად ჩაუშვა თოკი და მო-
თმინებით დაელოდო ბადის გავსებას,
მერე კი ფრთხილად ამოსწიო, რომ არ
დაგექცეს არც ერთი წვეთი. ხსოვნა ჭა-
სავითაა კიდევ იმიტომ, რომ ძირაძღე
თუ ჩახვედი, მოგონებთა სიღრმეში თუ
ჩაყვინთე, იქიდან ვარსკვლავებსაც დაი-
ნახავ. ღამით კი არა, დღისით. ვარსკე-
ლავების მიხედვით კი ბედის გამოცნო-
ბა შეიძლება, — ასე ამტკიცებენ მო-
ხუცები, რომლებსაც, როგორც იტ-
ყვიან, ტყუილიც დაეჯერებთ!

ბავშვობის კბილი კარგა ხანია მოც-
ვეთილი მქონდა, როცა თბილისის ქუ-
ჩებში ერთი შავებში ჩაცმული ქალი
დავინახე და მისმა სახემ ისევ ოცდა-
ათიან წლებში დამაბრუნა.

შემოდგომა... შუახნის ქალი
ბეწვში ჩამალავს დაღარულ სახეს,
გაპყვება ქუჩას და ავი ქარი
ფეხთან დაუგდებს გაზეთის ნახევს.
შემოდგომა... შემოდგომა...
ცხოვრება — მუდამ ფეხზე ღვამა!

ვინ იყო ის ქალი? ვის გლოვობდა?
რატომღაც დედაჩემი გამახსენდა, რო-
მელსაც შიშისგან სული მისდიოდა, რო-
ცა მამას შინ მოსვლა დაავიანდებოდა,
ან შუალამისას, ჩვენს საღარბაზოსთან
მანქანა გაჩერდებოდა: „სახლიდან გა-
ვიდა და აღარ დაბრუნდა...“

ამ ლექსის გმირიც ხსოვნის ქიდან
ამოჰყვა ბადიას...

ბავშვობის მოგონება ყოველთვის
როდია გაცნობიერებული. ჩვენი ცხოვ-
რების რთული რელიეფი ხშირად სა-

ხეს უცვლის გეოს და ძნელია დადგი-
ნო: რისი გამოძახილია ესა თუ ის ფიქ-
რი ან განცდა. და მაინც, ასაკში შესუ-
ლი კაცის თვალით დანახულ სილამაზე-
ში დაკვირვებული მკითხველი ახლად-
გადვილებული გრძნობის გამოუცნობ
მღელვარებასაც ამოიკითხავს:

მისი თვლების ლურჯ სიმუქეში
არ ჩამქრალიყო ჯერაც ანცობა, —
ორი რიყის ქვა ეწყო უბეში,
რომ ჩაეჭოლა ჩემი კაცობა!

...და თუმცა გრძნობდა — ძალღონეს
კარგავს,
ქალს მაინც მზესთან ჰქონდა ცილობა,
და გლეჯდა მკერდზე მოდებულ ლამას
ჯიუტი ტანის ატეხილობა!

მიამიტობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ
ადამიანის მოქალაქეობრივი, ფილოსო-
ფიური და პოლიტიკური მრწამსი პირ-
დაპირი, უშუალო შედეგია ბავშვო-
ბაში მიღებული შთაბეჭდილებებისა.
ოჯახური აღზრდა, სასკოლო და უმაღ-
ლესი განათლება, საზოგადოებრივი ურ-
თიერთობა და ცხოვრების სიავკარგე
თავის დაღს ასვამენ ადამიანს, აყალი-
ბებენ მას, როგორც პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ს,
მაგრამ ზნეობრივი ბუნება ადამიანისა
ისახება უკვე ბავშვობაში, მის ყველაზე
ადრინდელ საფეხურზე.

და როდესაც ხანშიშესული ადამი-
ნი ამბობს

...სულერთიო — შენი თავისთვის,
თუ ვინმე სხვისთვის გიღალატნია!

ამ მტკიცებაში იმ დღეთა გამოცდილე-
ბაც ურევია, როცა სიცრუე და ორპირ-
ობა, დასჯის შიშს თუ არა, სინდისის
ქენჯნას მაინც იწვევდა პატარა არსებაში.

უბედურია მარტოხელა კაცი. ცუდია,
როცა არ გეგულება გვერდით ადამი-
ანი, ვისაც შეგიძლია გაუზიარო შენი სი-
ხარული, მწუხარება, ან თუნდაც ახალი
შთაბეჭდილება. ეს ყველამ ვიცით, მაგ-
რამ ამ განცდის ფესვები, მისი საწყისე-
ბი იქ უნდა ვეძებოთ, ბავშვობის კუნ-
ძულზე, სადაც რაიმე საჩუქარს (დაბა-
ლების დღეზე მოტანილ წიგნს ან სათა-
მამოსს!) ფასი მხოლოდ მაშინ ჰქონდა,

როცა შენთან ერთად სხვებიც ვაიხარებ-
დნენ შენი შენაძენით:

მერცხლები ჰაერს ჭყვილით ჰხევენ
და მზე კასრებით იღვრება ციდან...
ჩამოდი მალე! ამ არყის ხეებს
შენი თვალებით შევხედო მინდა!

მეცნიერების და ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ ადამიანის ძლიერება წარმოუდგენლად გაზარდა. კაცობრიობის ხელში ამჟამად გაშიშვლებული ატომია — ნვრევისა და შენების უდიდესი საშუალება. ამ იარაღმა ადამიანს არაჩვეულებრივი ძალა და თავისუფლება მიანიჭა. როგორ მოიხმარს თავისუფალი ადამიანი ამ ძალას — დაანგრევს ქვეყანას, თუ ააშენებს? — ასე დგას ჩვენს დროში „ყოფნა-არყოფნის“ ჰამლეტიკული კითხვა. ამიტომ დღეს, ისე, როგორც არასდროს, საჭიროა დაენერგოთ სიკეთისა და სილამაზის გრძნობა, შთავაგონოთ ადამიანს ვაჟკაცობა, სიმხნევე, კეთილშობილება და გულისხმიერება, რათა ღირსი გავხადოთ იმ ძალი-სა და თავისუფლების, რაც მას თანამედროვე ტექნიკურმა პროგრესმა მიანიჭა. ამ დიდ ამოცანას ჩვენს საუკუნეში ემსახურება ხელოვნებაც, კერძოდ — პოეზია. ლიტერატურას ადამიანზე ზე-

მოქმედების ბევრი საშუალება გააჩნია და ერთი მათგანი — ბავშვობის მოგონებაა. მაგრამ ამის შესახებ ჩვენზე უკეთ დოსტოევსკის აქვს ნათქვამი:

„...ამიტომ, იცოდეთ: თქვენი მომავალი ცხოვრებისთვის მოგონებაზე უფრო ამაღლებული, მასზე უფრო ძლიერი, ჯანმრთელი და სასარგებლო არაფერია, მით უმეტეს, თუ ეს მოგონება ბავშვობის ასაკიდან, მშობლების სახლიდან გამოგყვით. ახლა ბევრს ლაპარაკობენ აღზრდაზე, მაგრამ ყველაზე კარგი აღზრდა — მშვენიერი და უცოდველი ბავშვობის მოგონებაა... ასეთი მოგონებები ბევრი უნდა დაიგროვოთ და გაიყოლოთ ცხოვრებაში და მაშინ არასდროს არ წაწყდებით. ერთი კარგი მოგონება რომ დაგრჩეთ გულში, ისიც ვიხსნით როდისმე და ვადაგარჩენთ დალუპვისაგან...“ („ძმები კარამაზოვები“).

ჩქარობს დრო... ჩვენს მკერდში თანაზომიერად ტიქტიკებს საათი და ითვლის ცხოვრების წუთებს. უკვე შორსაა ჩვენგან ეგზიუბერის „პატარა პრინცის“ ქვეყანა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ მას, თუ არ გვინდა გავთავადეთ უფრო ადრე, ვიდრე შეწყდება ჩვენი მაჯისცემა.



პაი ყვის სიკვდილი

ედუარდ უფიანს

ასწიეთ მაღლა წიგნი,
 რთვორც დროშა ან ხმალი,
 კაცის, რომელმაც მოიხადა მამულის ვალი.
 მსუმიც,
 რაინდი,
 ერისკაცი,
 ქველი,
 წმინდანი,
 კაიკაცობით უმდიდრესი იყო მდიდარი.
 მამულთ, —
 ცრემლი და ტირილი კაი ყმას უნდა. —
 განა სიკვდილი
 ე მავთ შვილს
 წაგართმევს მუდამ...

მამულის ნახვა მომინდა,
 ხანდაზმით ჩამოგარე...
 მივალ და გემშვიდობები, --
 აღარცრას დავიგვიანებ.
 მეშინის,
 თვალი არ მომჭრას,
 შენი მზე ისე ბრიალებს.
 შენი ცა უფრო ლურჯია,
 უფრო ლამაზად კრიალებს.
 შენი საკრავი, — ჩემზედა, —
 ომახიანად გრიალებს.

შენი ქერის და ქერსვილის
 თავთავი ოქროიანი,
 ჩემს ყანებს ეგრე დასხმული
 ენატრებოდა ტიალი...
 მე წავალ, შენ აქ დარჩები,
 ესეა ბედის ტრიალი.
 მე წავალ დამშვიდებული, —
 შენ კვლავაც დავლათიანი
 იყავი, —
 არ დაგელიოს
 მზის და ყანების შრიალი...

ბ ა ლ ა ბ ი რ ე ბ ა

ციხენ აგიგებ რისასა,
 ნათალი სმარადისასა.
 კარს შეგიბამდი რისასა,
 ამომავალი მზისასა.
 კაბას ჩაგაცვამ რისასა,
 ოქრომკედ ჩიგინისასა.

ტახტს დაგიდგამდი რისასა,
 ებანოზისა ხისასა.
 სასთუმალს — კიდევ რისასა,
 ლამაზსა ყვავილისასა.
 ასლა თუ გინდა წამამყე,
 თუ გინდა წადი სხვისასა.

მეგობლები

რა გვალვები დაიჭირა,
როგორ დაჭკნა ყველაფერი!
მიიღია ეს თვე ძველით
და საშველი აღარა ჩანს.
გვალვა კიდევ არაფერი,
გახსოვს შარშანდელი ქარი?
ჭადრის ძირას ჯდომა მიყვარს
და ამინდზე საუბარი.

●

დღისით აქ ძროხებს ვაბალახებდით,
შაშვის ბარტყებით ვივსებდით უბეს.
ეს ტყე ყველასთვის საერთო იყო,
ტყუილად ერქვა სანაიების.

შებინდებისას, როდესაც ტყიდან
გამოვდენილად ფერდსავსე ძროხებს.
ეძგერებოდნენ მშვიერი მგლები
ტყეში თბილსა და ქონიან ჰაერს.

სიხინათელას

ნეტავ ვიცოდე,
სად გძინავთ ახლა,
რომ თბილ ღუმელთან
გაგითბოთ ფრთები.
რა უსაშველო ზამთარი დადგა,
რა აღრიანად ჩამოთოვა
ინჩხურძის მთები.

მეგრული მოთხვა

ვაჟის მამა გახდი, ოფა.
ულვაშებში ჩაგვლიმა.
მარანში რომ შეგვიყვანე,
შუალამე იქნებოდა.

ფანჯარასთან დადგი ჭრაქი,
ქვეურის თავი გადაცოცხე.
სანამ სიტყვას აიღებდი,
გაგვასინჯე ყველას ღვინო.

●

შუალამე იყო, გელვას,
რომ გესტუმრა ცოლის ბიძა,
წაბლისფერი დეკეული
ჩამოჰკიდე ხეზე ფეხით.
მერე მონადირის დანით
ფრთხილად ყელი გამოლადრე,
დაგისველდა სისხლით ხელი,
დანის ტარი გისხლტებოდა.

მგინი ღღე

რომ იცოდე, ჩემო გურამ,
როგორ ვვარებიხარ ყველას.
შენს ტირილში, შე ბედშავო,
საიდან არ ჩამოვიდნენ!
ამინდმაც რომ გაგიმართლა —
გადიდარა თითქოს განგებ!
ღვინოც დაილია, მაგრამ
არვის აგვრევია ფეხი.
ნაჯახაოს სახაფლაოს
მიგაბარეს შუის ჩასვლისას.
შენს საფლავზე შენი ცოლი
შავი მანდილივით ეგდო.



სამსახურისკენ მიმავალი ავტობუსიდან,
მე ვიშორები საბავშვო ბაღის
აყვავებული ხეივნებისკენ,
სადაც ალუბლის ყვავილები
აპრილის ქარში,
მთიებზე დაფარფატებენ.

უცხო მცენარე აღმოცენდა სხეულში თითქოს
და ბედისწერის სიახლოვეს მივხვდი გუმანით —
იზრდება ტოტი, იფოთლებს,
სივრცეებს ითხოვს
— „მოეც სინათლე“ — ჩამჩურჩულებს ხმა იდუმალი,

რისთვის მაგონებს გაზაფხული გარდუვალ კავშირს
დედამიწასთან,
(თითქოს მიწა მეძახის მაშვრალს)
ჩუალამა, თამბაქოს და ფიქრების კვამლში
აჩრდნობ ნეტარ ტკივილს,
როგორც ხეზე ყვავილის გაშლას,

ჩოგაული ქანდაკება

ის ცოცხალია,
სუნთქვაშეკრული დგას და
უძველეს დაღადის უსმენს,
მიშტერებია გაოგნებული
მარტოდენ მისთვის ხილულ სამყაროს.

მეტყველი მზერა,
თვალეში ცეცხლი
და ბაგეებზე შეყინული
ორიოდ სიტყვა:

„გლადიუს დეი“.

ის ცოცხალია,
სუნთქვაშეკრული,
კბილებით იჭერს ამაყ გრიგალებს.
ის ცოცხალია,
სადაცაა გადმოაბიჯებს
ღა შეგუბებულ საუკუნეებს ამოისუნთქავს.

აქ, ერთი დღე და ერთი ღამე
მარადიული გუშაგებევით
ენაცვლებიან ერთიმეორეს
აქ, ერთი დღე
და ერთი ღამე გრძელდება მუდამ.

დღე,
ღამე,
დღე,
ღამე.

შეჩერდა ჟამი, გაიყინა.
მაჯის საათი წამებს არ ითვლის,
იგი ითვლის შენს მაჯისცემას.

●

ორწყლიდან თხილიანამდე
ფეხით გავლიე მანძილი,
არაგვის პირას, ჭალაში
გადამედობა მაცილი;
— საით მიდიხარ ბეჩაფო,
სად უნდა სჭამო დანძილი?

ეს არამკითხე ვინ არის,
დამცდა კბილების ღრჭიალით,
მოეზიდე ხანჯალს, ქარქაშში
ჩაქანგებულა ტიალი,
დაჯკარი თოფი, ლუკიდან
გაისმა ფოთლის შრიალი.

მიცქერის, თვალს არ მაცილებს,
სიცლით კვდება მაცილი,
ვდგავარ უმწეო მხედარი,
ღამეში — ღამის ნაწილი.

უცებ იქუხა ზეცამა,
მოვარდა ქარი ფრთიანი,
ელვა გამოკრთა, ვიფიქრე
ლახტია პიროფლიანის;
გამოჩნდა გორი იახსრის
მშვიდი და სინათლიანი.



უკანასკნელი დუბლი

ხშირად თვალწინ დამიდგება ერთ პატარა ზღვისპირა ქალაქში ნანახი სურათი:

შუადღეა. წვიმს. მივყვები ვერცხლისფერი თქორით განბანილ ქუჩას და ქვაფენილის გასწვრივ ჩარიგებულ ლამპიონებს ვუყურებ. ალბათ დავიწყებიათ მათი ჩაქრობა, ან იქნებ სხვა რამ მიზეზია, მაგრამ, ასეა თუ ისე, ლარივით გაჭიმული ქუჩის ორივე კიდეზე ჩამწკრივებული ნათურები ანთია და მათი უსასოო კამკამი საამოდ ალბობს გარემოს, ყოველივეს ნელთბილ ბურში ხვევს, ფერს უცვლის, თუმცაღა ღონემიხდილი ნათელი ოდნავადაც ვერ ერევა დღის სინათლეს, თითისდადებამდეც ვერ შორდება თავისისავე თავს, მხოლოდ მოგრძო მილაკებს ჰბურავს გულის მოსალბუნე სითბოდ, მხოლოდ მათში დვას და მე მეჩვენება, რომ აქ, ამ სივრცეში, რომელსაც დასდებია ნახად-ავადმყოფური და მშვენიერი იერი, თვლემს რაღაც საიდუმლო...

ყველაფერი ელვისუსწრაფესად მოხდა: ანვიამ დაინახა როგორ აყირავდა მარცხნივ აღმართული ციცაბო კალთა, თვალი შეასწრო მბრუნავ სივრცეში გადაქანებული ხეების აჩონჩხილ სილუეტებს და ვეებერთელა დაგრაგნილ ღრუბელს, უძლიერესმა დაჯახებამ ადგილს მოწყვიტა და ავტობუსის კარს

მიანარცხა და მაშინვე შეეფთა ჩვილბავშვიანი ქალის გაოგნებული თვალები, სავარძლიდან გადმოვარდნილი ბიჭის შეშლილი სახე, ერთიმეორეს კრუნჩხვით ჩაფრენილი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და ისევე მოწყდა ადგილს, წინ გადაქანდა, რკინის ლერძს გადაეკიდა და ახლოს, სულ ახლოს იხილა შექტარების მოკლე ჰავლით გეგარვარებული მიწა და სამუდამოდ ჩაეჭვდა გონებაში მისი მომჯადოებელი სილამაზე — თითქოს გამადიდებელი შუშით დაინახა სადღაც შორეულ, ყრმობისდროინდელ ხსოვნებში მიმქრალი ხატი სველი გოროხებისა, იმავე წამს შუქიც დაიკეცა, მიწაზე გართხმული ორი ნათელი ლაქა შეიკუმშა, დაიხუთა, სმენას მისწვდა შუშის მსხვრევის ხმა და ჯახანი, ყურებში ჩამდგარი ზრიალი გაჰკვეთა ქალის განწირულმა კივილმა, მაშინვე საშინელმა ინერციამ გაწყვიტა წელში, კეფაზე დაცეცხლა და სანამ გონებას დაჰკარგავდა, შორეულ ექოდ დაიჭირა სადღაც ძირს გაფრენილი ველური ღრიალის ცხელი, განმგმირავე გორგალი...

როცა გონს მოეგო, სველ მიწაზე იწვა პირქვევ. ძლივს აითრია წელი, ციცაბო კალთაზე ფეხი მოიკიდა და გასწორდა; მიმოიხედა. დაგუდული მსუილი შემოესმა. ჯერ ეგონა, ჭალის ხმაური იყო, მაგრამ უცებ სულ ახლოს ვაიგონა და მიხვდა, რომ ყურები უმსუოდა.



თავი გააქნია ამ ხმის გასაფანტავად და კეფა ეტყინა, ისე ძლიერად, რომ კვნესაც კი აღმოხდა. ფრთხილად მოაბრუნა კისერი, ხელით მოისინჯა და სწორედ ამ დროს დაინახა ჩამორღვეული ნაპირი გზისა, გადაჯეგილ-გადაღეწილი ბუჩქები და ბნელში ალაგ-ალაგ გამომჟვორვალე სითეთრე გატყავებული ხეებისა და უცებ დაეძგერა გამოგნებელი აზრი: ავტობუსი გადაიჩენს! გაქვავდა. მღუპარე ბნელს მიაყურადა — ჩქამიც კი არსიდან ისმოდა. შხუილიც უცებ მიწყდა და გარშემო ყინულის ლოდივით ცივი და მძიმე სიჩუმე აღიმართა. ნელ-ნელა ეწვია შიში, თანდათან შეიპყრო და აიტაცა. დაზაფრული მზერა მოავლო ირგვლივ, ჩალუსკუშებულ უფსკრულს ჩახედა, მერე გზისპირამდე აღმართული კედელი მოზომა თვალთ და ციცაბო კალთას ეცა. გაშმაგებული ფხოქნიდა მიწას, ბუჩქებს ებლაუჭებოდა, მიფორთხავდა, უცებ მოეჩვენა, რომ ვიღაც ქოშინით მიჰყვებოდა უკან, მიიხედა, ვერავინ დაინახა და ისევ გააფთრებით ეკვეთა ფლატეს. მაინც გაიგონა ეს ქოშინი; კინაღამ დაიყვირა განმგმირავი შიშისაგან, მაგრამ ახლა ამ ყვირილის უფრო შეეშინდა, ეკლიან ტოტს მოეპიდა და ძლივს აათრია ტანი, შემდეგ მეორე ტოტს მისწვდა, დაეკიდა, მაგრამ ტოტი მოტყდა და ანგია ისევ დაბლა დაეკურდა. პირი ტალახით გაევისო, სახე დაებლოტა და მოეჩვენა, რომ ვიღაცამ ხელი ჩაავლო საყელოში. დაფეთებული ამოტრიალდა და გულადმა დაენარცხა მიწას... კვლავ არავინ იყო... გადარჩა! მარტო ანგია გადარჩა! ამის გაფიქრებაზე ისევ დაეძგერა გამოგნებელი შიში — ყველანი დაიხოცნენ და მარტო ანგია გადარჩა! არ ახსოვდა როგორ გადმოვარდა მანქანიდან, მაგრამ ახლა ამაზე აღარც ფიქრობდა. იქ, ქვევით, უამრავი სიკვდილი იყო! უფსკრულიდან უთვალთვალებდა რაღაც დაუჩერებელი მდგომარეობა და რაც შეიძლება ჩქარა უნდა გაცლოდა მას, დამალვოდა!... წამოხტა და ისევ აფორთხება დაიწყო. ჯერ სიკვდილის ახლოს

იმყოფებოდა და უნდა დასხლტუნებოდა და დაბრუნებოდა სიცოცხლეს, რომელიც საღდაც მალა ეგულებოდა, ამ ციცაბო კალთის თავზე, შინ, შინ, საყვარელ, მანუგეშებელ გარემოში, ცოლთან და შვილთან, მონატრებულ, მოწყურებულ სიმშვიდეში... გზისპირს შიადწია, ქანცალეული მოეპიდა მიწაში ჩაგრებილ ფესვს და გზაზე აფორთხდა. ერთხანს ოთხზე იდგა და სულს იბრუნებდა, შემდეგ წამოდგა, გაიმართა, გზის იქეთა კიდეზე გადავიდა და კედელს აეკრა. შემზარავი სიჩუმე იდგა. მხოლოდ საკუთარი სუნთქვა ესმოდა. მონუსხულივით მიაჩერდა მიღმა ჩაშავებულ სივრცეს — თითქოს იქიდან კვნესა თუ ტირილი ისმოდა. გაშეშდა, უფრო მიეტმასნა კლდეს და ყური მიუგდო. ისევ შემოესმა ეს კვნესა თუ ტირილი და ადგილს მოწყდა, უკანმოუხედავად გაიქცა; რაც შეიძლებოდა მალე უნდა გაცლოდა ამ ადგილს და თავისი სიცოცხლე გაეტანა, სასწრაფოდ უნდა მოფარებოდა რაღაც უხილავ მოდარაჯე თვალს, გზაზე გადმოშვერილ ქიმს იქით დამალულიყო, რომ აღარავის დაენახა, აღარ მოსწვდენოდა ის ხმები. აი, შიადწია იმ ქიმს, გაუსწორდა, მარცხნივ გავარდა და უცებ ძლიერმა შუქმა დააბრმავეა, შედგა და თვალეზე ხელი აფარა, მობრუნდა, უკან გაქცევა დააპირა, მაგრამ შიშმა ისევ ხელფეხი შეუბორკა. მანქანა ნელა მიუახლოვდა.

— ეი! — მოესმა ბოხი, ძლიერი ხმა. ანგია მიიხედა და სარკმლიდან ეჭვით მოჩერებული სვანურქუდიანი კაცი დაინახა.

— რა მოხდა, ძაო! — კითხა კაცი. მანქანევი კიდევი ორი სახე დალანდა ავტომანქანაში.

უცებ დამშვიდდა, გული საგულეს ჩაუდგა, დაუკითხავად გამოალო მანქანის კარი და იმ ორის გვერდით დაჯდა.

— ავტობუსი გადავარდა, — თქვა წყნარად, — აი იქ...

— ა? — თითქოს ვერ გაიგო სვანურქუდიანმა, მობრუნდა და ანგიას მია-

ჩერდა. ანგიამ უსიტყვოდ გაიშვირა ხელი, კუთხეში მიიკუნჭა და კანკალი აუვარდა. შოფერმა მანქანა დაძრა. მალე ჩარღვეული გზისპირი და შუშის ნაშხარევეები გამოჩნდა.

— ვა! — გაიოცა შოფერმა, — მართლა აი...

— ხალხი იჯდა შიგ? — ჩასძახა ვილაცამ ანგიას.

ანგიამ თავი დაუქნია.

— მერე? — იყვირა იმავე ხმამ, — დაიხოცნენ?

ანგიამ ისევ დაუქნია თავი, მერე მხრები აიჩეჩა და სევანურქუდიანს მიაშტერდა. სევანურქუდიანი მანქანიდან ჩამოვიდა და ჩარღვეულ ნაპირს მიადგა.

— როდის გადავარდა? — დაიძახა იქიდან.

— ახლა. — ჩუმად თქვა ანგიამ.

დანარჩენებიც ჩავიდნენ.

— ახლა გადავარდნილა, — ხმამალა თქვა დაბალმა, მსუქანმა კაცმა, — იქნებ ცოცხალია ვინმე.

— გიჟია მერე ეს ოხერი?

— შეშინებულთა, — თქვა მსუქანმა კაცმა, — სული ძლივს უდგას.

— რა ვქნათ, ჩავიდეთ?

შოფერი უფსკრულთან მივიდა და გადაიხედა.

— ვერ ჩავალთ, არაფერი არ ჩანს. აქ იმოდენა ხრამია, რო...

— აბა, რა ვქნათ, კაცო, — დაფიქრდა სევანურქუდიანი, — ტელეფონი მაინც იყოს ახლო-მახლო.

— ქალაქში გავრეკოთ, — თქვა შოფერმა, — ექვსი კილომეტრი იქნება... სასწრაფო დახმარება...

— წავედით! — დაიძახა სევანურქუდიანმა და მანქანისაკენ გაქანდა. — მალე!

ყველანი ჩასხდნენ და მანქანა მოკრიბლებულ ასფალტზე გაფრინდა.

— შენ სად იყავი! — გაახსენდა უცებ სევანურქუდიანს და ანგიას გაოცებით მიაჩერდა.

— შიგ ვიჯექი — თქვა ანგიამ.

— სად შიგ?!

— ავტობუსში...

— მერე? შენ...

— არ ვიცი, — შიშით თქვა ანგიამ და უფრო მიიკუნჭა კუთხეში, — მგონი კარი გაიღო და გადმოვვარდა. ახ ვიცი...

მსუქანმა კაცმა ეჭვით შეხედა ჯერ ანგიას, მერე სევანურქუდიანს.

— როგორი ავტობუსი იყო?

— არ ვიცი... — თქვა ანგიამ... — მივიღინებაში...

— ჩქარა! — დაუყვირა სევანურქუდიანმა შოფერს, — ჩქარა, კაცო!

მანქანა გზაზე გადმოშვებულ ქიმს გასცდა და მუხრუჭების ღრქალით შევარდა მოსახვევში. შუქფარების ნათელი ჭავლი წყვილიდს მიაწყდა, ხრამიდან ამოშვებულ ნაძვებს გადაეგლო და უმწუოდ ასავსავდა ჩალუსკუმებულ სიცარიელეში. ანგიას გული გაეყინა — შიში თითქოს სადღაც ვარეთ დაიბადა, მერე სხეულზე მოეხვია და ბუმბულივით აიტაცა. მაგრად ჩააფრინდა სახეულურს და თვალეები დახუჭა. ცოცხალია! ანგია ცოცხალია და შინ მიდის, თავის ოჯახს უბრუნდება! ანგია გადარჩა! იმიტომ რომ კართან იდგა, იმიტომ რომ... ორიოდ დღეში კეფის ტყვილიც გაუვლის და ყველაფერი უკვალოდ გაქრება. უკვალოდ... უკვალოდ... და ცარიელ ქაში ჩაგდებულ კენჭის ექოსავით გახმიანდა გონებაში: „უკვალოდ, უკვალოდ...“ შემდეგ ეს ექო გაიზარდა, სულ სხვა აზრით შეიმოსა, სასოწარკვეთილ ყვირილად იქცა და მთელი გონება ამოუფსო. შემზარავი, სულის გამტივალებელი სიცარიელე იზრდებოდა ირგვლივ, გარს ეხვეოდა და თავის წიაღში ითრევდა. შიშით მისჩერებოდა გზას, რომელიც თვალშეუვლები სისწრაფით მოედინებოდა მისკენ, ფეხებქვეშ იქცეოდა და წამი-წამ აახლოვებდა უკვარაღაც უცხო ეჭვებით აღსავსე სამყაროს, იმას, რომლისკენაც ილტვოდა ასეთი მოუთმენლობითა და იმედით.

თერთმეტი.. თერთმეტი.. მეთორმეტი..

სოსო პაიჭავაძე
შაანასანელი დუბალი



ტე ანგია იქნებოდა. და რალაც გაუგებარი სამსჯავროს მოლოდინით სასოწარკვეთილი გონება წურბელასავით ჩაეწება მაგიურ ციფრებს, ციფრებს კი არა, იმ აზრმიუწვდომ მანძილს, რომელიც უცებ მთელი არსებით იგრძნო ამ „თერთმეტსა“ და „თორმეტს“ შორის. სადღაც აქ, ამ ფარატინა აფსკივით დაძვარულ ზღვარში წვალობდა მთელი მისი ცხოვრება, მისი პიროვნება, უფლება... და უცებ, თითქოს შორეული ნაპირის კიდეს უშველებელი მუგუზალი მთარეკესო, ჩინჩხლებად აფარფატდა მანათობელი ნათურებით დასეტყვილი ღამეული ქალაქი და უმალ თვალს მიეფარა. ანგიას გული შეუქანდა და უილაჯოდ მიესვენა საზურგეს.

— ჩქარა! — გაიგონა ნერვიული ხმა, — ჩქარა!

●
გავიდა ხანი.

ქალაქის ძველი, მიყრუებული უბანი უჩვეულოდ გაცოცხლდა ერთ წყნარ თბილ საღამოს. რიყის ქვებით მოკირწყლული ქუჩაბანდის ორივე მხარეს, ჩუქურთმებიანი სახლების აივნებსა და ფანჯრებში გამოფენილი ცნობისმოყვარე ადამიანები უცნაური სანახაობის ცქერით ერთობოდნენ — იღებდნენ ახალი ქართული ფილმის ერთ ეპიზოდს. აუარება ხალხი ირეოდა ირგვლივ, ფუსფუსებდნენ, დარბოდნენ, გაპყვიროდნენ. რამდენიმე ბიჭი გრძელ ელექტროსადენს მიათრევდა აღმართზე, ერთმანეთს ეჯუჯღურებოდნენ და იქაურობას გინებით იკლებდნენ. ერთი დაგვაჯული, ჩანჩურა კაცი შუა ქუჩაში იდგა და თათრულად უქცევდა: „კოლია! თაშითე დიგ! ვოთ ზდეს, ვოთ! — და გამეტებით სცემდა ფებს იმ ადგილას, სადაც, მისი აზრით, ეს „დიგი“ უნდა დაედგათ. „ი ვოთ ზდეს“ — ადგილი მოინაცვლა მან, — „კოლია! ია თვიო...!“ ტროტუარის გაყოლებაზე უკვე დააგეს ვიწრო ლიანდაგი, ქვემოდან, მთელ სიგრძეზე, თეთრი პალოები ამოუჭიკვიკეს. ორმა ლომივით ვაჟკაცმა რის ვაი-

ვავლახით შეაგორა ზედ დაბალეშენი მე ურიკა, ურიკაზე აწოწილი ქიშკილა რატი შეაკოლიკეს და საქმის ცოდნით, ყურადღებით დაუწყეს კირკიტი, თან წამდაუწუმ ყელს იღერებდნენ და გაბლენძილები იყურებოდნენ აქეთ-იქით. „ჩართეთ!“ — დაიყვირა ჩანჩურა კაცმა.

დაბლა, ქუჩის ბოლოს ყურისწამლებად არახრახნდა ვავონის მსგავსი ვერცხლისფერი მანქანა, ჰაერი სულისშემხუთავი კვამლით ააქოთა და იქაურობა გააყრუა. შემდეგ რალაც ტკაცან-ბზუილით აკანკალდა, აფრთხილდა და კაშკაშა სინათლემ აავსო სივრცე — ჯერ უზარმაზარ ხელსაწყოთა ჩამქრალი თვალები გავარვარდა, აბოლდა, მერმე ერთბაშად იფეთქა თვალისმომჭრელმა ნათელმა, სახლებს დაექგერა, უეცრად ამოყარა ბნელში ჩაძირული მორყეული აივნები, პერანგები, საცვლები... აივნებიდან ჯერ ამ ანაზღეული კარნავალით დაფეთებული ქალების წიოკობა გაისმა, მაგრამ მაშინვე, რაკი იაზრეს მთელი ჩვენი ავლა-დიდება საჩინო გახდაო, სარეცხს ეცნენ და ფაცაფუცით ჩამოდლიზხეს თოკებიდან, თან თვალებს იჩრდილავდნენ და ნაძალადევი მორცხვობით იძახდნენ — „გაწიეთ იქით, გაწიეთ!“ პიკამოიანი მამაკაცები მზიარულად შეეხმიანენ ერთმანეთს, ბავშვებმა ყიყინა დასცეს და ეს ბნელი, უნიათო ქუჩა უცებ გაივსო სიცოცხლითა და ხალისით. ერთბაშად მოგროვდნენ გამვლელები, სავანგებოდ ამოუხვიეს აქეთ, შორიახლო მოგროვდნენ და ცნობისმოყვარედ ავლებდნენ თვალს, რა ხდებოდა. — კარგია. ეყოფა! — ბრძანა ჩანჩურამ, რატომღაც ხელები დაიფრთხა და ვალმოხდილი კაცის კმაყოფილებით გააბიჯ-გამოაბიჯა შუა ქუჩაში. მაშინვე გადნა მთელი ეს ავარდნილი, გატკეცილ-გაძვინებული სივრცე, ერთბაშად კი არ ჩაქრა სინათლე, — კედლებზე ჩამოსრიალდა, ყველაფერი ჩამოხვეტა, ქვაფენილს განერთხო, უკან დაიხია, აიკრიფა და ჩაიძურწა ჯერ კიდევ მღუპარ თვალებში. ერთხანს კიდევ



ისმორა მანქანის დგრიალი, შემდეგ ისიც მინელდა, ამოიქლოშინა, მიწყდა, და მძიმე, მფრთონავმა სიჩუმემ შთანთქა ყოველი. ისევ ატყდა გადაძახილ-გად-მოდახილი, ახლა ვილაცის ბოზი, მბრძანებლური ხმაც ჩაერია საქმეში, მაგრამ ხმები უკვე თითქოს ღრმა უფესკრული-დან ამოდირდა და მოკლე ლარებზევით იძაგრებოდა ჰაერში. ქუჩაც უკიდევანო სივრცედ იქცა და მის ხილულ ნაწილს იქით, უეტრად ჩამოწოლილ წყვედიადს მიღმა გაჩნდა დიდი, დაუსრულებელი სიცარიელე...

— იმ კაცს ხედავთ? — ჰკითხა და-ბალმა კოხტა ქალმა ბრეზენტისქურთუ-კიან თმაჰადარა კაცს. ისინი ღია ეზოს წინ გაჩერებულ „ვილისთან“ იდგნენ — ქალი მანქანას მიყრდნობოდა და სიგარეტს აბოლებდა, მამაკაცს კი ფეხი ბორბლისთვის მიეზჩინა, იდაყვით მუხლს დაყრდნობოდა და უაზროდ მისჩერებოდა რალაცას.

— რომელს? — ჰკითხა ქალს უხალი-სოდ.

— აი, ბერეტი რომ ახურავს, ხედავთ რა სახე აქვს?

— ისა? — ისევ უგერგილოდ ჰკითხა კაცმა, თვალეზი მოჭუტა და დააკვირდა.

მოპირდაპირე ეზოს ალაყაფთან იდგა ძველი, გახუნებული ფოტოსურათიდან ჩამოსული კაცი. გამხდარ ტანზე ფრაკივით შემოკვალთოდა გრძელი, ნაცრის-ფერი კოსტუმი. თავზე ეხურა ბერეტის-მაგვარი ფართო ნაოჭებიანი ქუდი, ხე-ლები ზურგსუკან ეწყო და ქანდაკე-ბასავით გაშეშებულიყო. სახესა და მხრებზე ეცემოდა მალლიდან ჩამოღვენ-თილი თეთრი შუქი და ამიტომ თითქოს ჩარჩოში გაქვავებულიყო მისი გრძელი, ნაადრევად მობერებული, ჩატეტკილი სახე და მხოლოდ კატისებრ მოელვარე მყიფე თვალეზი და შუქზე მბზინვარე თეთრი თმა ჰფენდა მის იერს სიცოცხ-ლის ერთადერთ ნიშანს.

— პანტომიმა. — გულგრილად ჩაი-ლაპარაკა ბრეზენტისქურთუკიანმა კაც-მა და სხვა მხარეს გაიხედა.

— რას ამბობთ?! — გაიოცა ქალ-

მა, — რამდენიმე დღეა თან დაგვეხედავს ამ დილითაც ჩვენთან იყო პორტუგალი ნათლუხეც დავაკვირდი. გასაგებელი სახე აქვს.

— მერე? — კაცმა ღონივრად მო-იყლიშა მსხვილი, ნაყვავილარი ცხვი-რი, ცალი ნესტო თითით დაიგმანა და მეორეთი ნაწყვეტ-ნაწყვეტ შეისუნთქა.

— იცით რა იქნება ფართო პლანიო? წინ რომ გავუშვათ და კამერა მივაყო-ლოთ... პირდაპირ, ხ აიხ.

კაცმა მხრები აიჩჩა, ისევ ამოგმა-ნა ცალი ნესტო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოქაჩა ჰაერი.

— Вы думаете? — ამოიდუღღუნა ძლივს.

— მე მგონია კარგი იქნება.

— მოვეშვათ ერთი, — თქვა კაცმა, — მაგის თავი გვაქვს? ისედაც გვიანია.

— უცნაური კაცი ხართ, — ეწყინა ქალს. მანქანას მოსცილდა — Удивля-ете, Михаил Давидович! — ჯიმშერს დაუძახეთ.

— კი ბატონო, თქვენი ნებაა, — ამ-რეზით უთხრა კაცმა და დაგუღული ხმით გასძახა: — ჯიმშერ! ჯიმშერ!

მოვარდა თავმოტელებილი კაფანდა-რა კაცი, ქალს წინ აეტუზა და მორჩი-ლად მიაჩერდა სახეში.

— შენ აქაური არა ხარ? — კითხა ქალმა.

— კი, ბატონო...

— იმ კაცს იცნობ? — თავით ანი-შნა, — მოიყვანე რა ჩემთან?

ჯიმშერი შეყოყმანდა, კისერი წაი-გრძელა და ბერეტიანს დააკვირდა.

— ანგას? — წინ წამოღდა ახმაზი, გავრიმული ბიჭი, რომელიც აქამდე შორიანლო იდგა და ყურდაცქვეტილი უსმენდა ამ ლაპარაკს. ქალმა თავი მოა-ბრუნა და გულგრილად ახედ-დახედა.

— აფრენს! — უცებ აჯახა ბიჭმა. ბრეზენტისქურთუკიან კაცს სიცილი წასკდა.

სოსო პაიჭაძე
შაანასანელი დუბლი



— როგორ ავტრენს? — თქვა საქცი-
ვლწამხდარმა ქალმა — რა ეტყობა?

— ყოველდღე ჩვენთანაა, — უთხრა
გაგრძელებმა, — სანაპიროზეც იყო
და სასტუმროსთანაც. მაგას აქ ყველა
იცნობს.

— მართლა არ ეტყობა. — თქვა ჯიმ-
შერმა.

— რაც ცოლი მოუყვდა, მას მერე
ხმა არ ამოუღია, — თქვა გაგრძელებ-
მა, — დაბოდილობს ასე და არის. თურ-
მე მანამდე ამბობდა, დიდი მსახიობი
ვიყავიო.

ქალმა გაოცებით შეხედა.

— მართლა მსახიობი არ გეგონოთ.
— გაიჭყანა გაგრძელები.

— გესმით, მიხეილ დავიდოვიჩი? —
მიუბრუნდა სახეგაბადრული ქალი ბრე-
ზენტისქუთუიან კაცს, რომელიც ისევ
დამცინავი ღიმილით უსმენდა ამ საუ-
ბარს და გულგრილად უყურებდა ქვა-
ფენილს გაღმა ჩაბნელებულ ეზოსთან
მდგომ ანგიას, — რომ ეუთხრათ?

— ვეტყვი, — თქვა ჯიმშერმა, — მაგ-
რამ რაში გამოდგება.

— ეს მე ვიცი! — გაჯავრდა ქალი.
ეტყობოდა უკვე ეპკვი ეპარებოდა ამ
საქმეში, მაგრამ იხტიბარს არ იტეხ-
და. — უთხარი, ოლონდ ფრთხილად.

— ერთი ქალიშვილი ჰყავდა, ისიც
რუსეთში გაჰყვა ვიღაც მეზღვაურს, —
ჩამოკაცლა გათამამებულმა გრიმიანმა,
მაგრამ ქალს ყურადღება არ მიუქცევია,
ზურგი შეაქცია და მოუთმენლად ცქმუ-
ტვას მოჰყვა.

ჯიმშერი ანგიასთან მივიდა და თავი
დაუკრა. ანგია არც შერხეულა.

— თუ შეიძლება, ერთი წუთით. რე-
ჟისორს სურს თქვენთან საუბარი.

ანგია მშვიდად უყურებდა და ხმას
არ იღებდა.

— აი ის ქალი მთავარი რეჟისო-
რია, — უთხრა ჯიმშერმა და ქალზე მი-
უთითა, — თქვენი გადაღება უნდა. —
და მეტი სიმტიცისათვის დაუმატა, —
კინოში... — ანგია შეიჩხა, უნდობლად
შეხედა მოსაუბრეს, მერე ქალისკენ გაა-

პარა მზერა. უცებ შეტრიალდა და
ცილდა.

ჯიმშერი ერთხანს ყოყმანით უყურებ-
და, მერე ხელები გაშალა და რეჟისო-
რისაკენ წავიდა.

— არ ეყურება. — უთხრა დამნაშა-
ვესავით.

— ვერ ეტყოდი, — გაიღიმა ქალმა,
— არაფერი არ შეგიძლიათ. მასოვკა
მზად არის!

— ქვევით არიან. — უთხრა გულმო-
ცემულმა ჯიმშერმა და ავტობუსზე მიუ-
თითა.

— Приготовились! — თქვა ქალმა,
სიგარეტი გადაადგო და ფეხები მამკა-
ცურად გააბიჯა. — ზევით ამოიყვანეთ,
რეპეტიციაა.

— რეპეტიცია! — გასძახა ჯიმშერმა
და ხელი ხელს შემოჰკრა.

— ასვეთიფელი ფო მესთამ! — მხე-
დრული რიხით დაიყვირა ჩანჩურამ, რო-
მელიც ისევ შუა ქუჩაში დაიფხორებო-
და.

— სინათლეები ჩააქრონ სახლებში!
— დაუძახა რეჟისორს ზონზროხა პე-
რანგამოჩაჩულმა ოპერატორმა, — მა-
რინა, სინათლეები უნდა ჩაქრეს.

— ჩაქრეს მერე, — გაბრაზდა რეჟი-
სორი, — მე ჩავაქრო?

— ვინავატ! — დაიხვიხვინა ოპერა-
ტორმა, — ხუტა, ორგანიზუი!

ხუტამ აივნებს ახედა.

— ხალხო, რამდენიმე წუთით გა-
მორთეთ შუქი. გადაღება იწყება! — აივ-
ნებზე უკმაყოფილო ბუზღუნი გაისმა,
მაგრამ ორი-სამი სარკმელი მაინც ჩაქ-
რა, მალე ახლომახლო სახლები მთლად
ჩაბნელდა.

— სვეთ!

ისევ აგუგუნდა მანქანა, სივრცე
ათრთოლდა, აცახცახდა, ელვასავით გა-
კრთა დამაბრმავებელი ნათელი, უცებ
ჩაქრა, მაშინვე კვლავ აფარფატდა, გაი-
ვსო, გაიზარდა და თვალისდახამხამება-
ში გაიმტკიცა ქუჩა, ხეების ბრიალა, გე-
სლიანი ზურმუხტით შეიღება.

ანგია შეკრთა. მონუსხული მიაჩერდა
საოცარ სანახავს, ანგარიშმიუცემლად



წაღდა ნაბიჯი, კაშკაშა სინათლისავე და-
იძრა, გაჩახჩახებული ქუჩის გულში: გა-
მოვიდა და დამეხილვით შედგა.

— ბიძა, ბიძა, მანდ იდექი! — გას-
ძახა ოპერატორმა, აპარატის ჭოგრის მიე-
წება და ანგიას გახედა, ხან წინ გააგო-
რებინა ურიკა ორ გაწრიბულ ბიჭს, ხან
უკან. კარგახანს უყირიკიტა, მერე გასწო-
რდა და დაიყვირა: — მეტი სინათლეა,
აი იქ ბაღე ჩაადგეთ, კიდევ, იმაშიც...
ეყოფა! გავიდეს ის კაცის რევისორი
მზად არის?

— მოიცა, — წყნარად თქვა ქალმა.
მოჯადოებული უყურებდა შუა ქუჩაში
გაჯვიმულ ანგიას, ოპერატორს მკლავზე
წაუბოტინა და მიახედა — შეხედე ერთი,
რა კაი ვიღაცაა...

— კლასია! — თქვა ოპერატორმა
და მოშიშვლებული გვერდი მოიფხანა,
— კლასია, ჩემმა მზემ.

ქალი ანგიასავე წავიდა.
— გამარჯობათ. — უთხრა მორიდე-
ბით.

ანგია უაზროდ მიაჩერდა. ქალი ერთ-
ხანს დაბნეული წრილებდა, არ იცოდა,
როგორ დაეწყო, ბოლოს, როგორც იქ-
ნა, გაბედა: — თუ შეიძლება, რამდენი-
მე წუთი რომ წაგართვათ... თქვენი ვა-
დალება გვინდა, თქვენი სახე... აი ასე ჩა-
მოვიღვით, — ქალი მობრუნდა, ხელით
მოხანა სივრცე, — აქედან ამ ხემდე და
მორჩა. მანქანა რომ დგას, ხომ ხედავთ?
ანგია ისევ ჩუმად იდგა.

— მე მითხრეს, რომ თქვენ მსახიობი
ბრძანდებით, — ფრთხილად შეაპარა
ქალმა. ანგიამ გამომცდელად შეხედა და
უკან დაიხია. წამით დაეპყვებულ რეჟი-
სორს გული მიეცა და ილაყვზეც შეეხო,
— სულ ცოტა ხნის საქმეა.

ანგიამ ოდნავ დაუქნია თავი და კვლავ
გაკაშკაშებულ სივრცეს გახედა.

— წამობრძანდით, — უთხრა გათა-
მამებულმა რეჟისორმა, მკლავში ხელი
გამოსდო და ზევით წაიყვანა. — აქედან
წამოხვალთ, როცა გეტყვით. ყველაზე
წინ... იმ ხესთან რომ მიხვალთ, ჩვენ-
განისწნებთ და თავქვეზე გაიქცევით. აი
იმ მანქანამდე. ეს არის და ეს... — ქალი

ოპერატორისავე წავიდა. ერთხანს
მოდგინედ უხსნიდა რაღაცას, თან წამ-
დაუწუმ ანგიასავე ახედებდა. სახეგა-
ბადრული მობრუნდა და დაიძახა: —
მოემზადეთ!

ანგიასთან ჯიმშერი მივიდა და მხა-
რზე ხელი დაადო: — ვიწყებთ...

— კამერა! — დაიყვირა ქალმა.
ვილაცამ მსუბუქად წაუბიძგა. ანგი-
ამ ნაბიჯი გადადგა, ნელ-ნელა წავიდა
თავდაღმართზე, გაოგნებული მიჩერე-
ბოდა თციოდე ნაბიჯიდან მობჯენილ
აპარატს, რომელიც თანდათან მიგორა-
ვდა რელსებზე, მაგრამ არ შორდებოდა,
ზუსტად, გამოზომილად მიყვებოდა წინ.
აი მიუახლოვდა ქვაფენილზე გაწოლილ
მკვეთ მიჯნას, თითქოს შიშის ზღუდედ
აღმართულა ბნელისა და სინათლის გა-
მყოფი ზოლი, წამიც და ვადააბიჯებს
ამ ზოლს, ამ ავისმომასწავებელი გახსე-
ნების აღქმით დამუხტულ საზღვარს. შე-
დგა...

— არ გაჩერდეთ! — ჩაესმა ვიღაცის
ხმა და მონუსხულივით დამორჩილა მის
მბრძანებლურ ტონს, ნაბიჯი გადადგა
და მაშინვე გაქრა ყველაფერი, — ხალ-
ხიც, ქუჩაც, ორსავე მხარეს აზიდული
სახლებიც, ხეებიც, — ყველაფერი სად-
ღაც უკან, მანუგეშებელ ბნელში დარ-
ჩა, ყოველივე ამ კაშკაშა ნათელმა ააე-
სო, აიტაცა და ანგიაც უხსეულოსავით
დაითრია თავის ანდამატურ წიაღში,
გაშაგებული სინათლის მორეგში დაა-
ბრუნა, დაატრიალა და ააა. ცოცხლდე-
ბა რაღაც ბედისწერული ხილევა, რაღაც,
მის დაღუპებულ არსებაში ჩადაღული
აპირებს შექანებას, თავბრუ ეხვევა.
ამ ჩქვრ მოწოლილი შორეული განც-
დისაგან, გაოგნებული მიჩერებია თვა-
ლისმიმჭრელი ნათელით ატაცებულ სივ-
რცეს, საღდაც მის მიღმა, გაუვალ ზღუ-
დედ აღმართულ ფარდის გარეთ-გასწუ-
რა მხერა და დამაბრმავებელი ტრვი-
ლით გაიციხადა იქით აღმართული სახ-
ლების ჩამქრალი სარკმლები, აიენებო,

სოსო კაიხაძე
შახანსკელი ფაულე



ზედ გამოფენილი ხალხის მრუდე სილუეტები; პროექტორებისა თუ შუქფარების სინათლემ იფეთქა ქვემოთ, ტორტმანით ამოზიდა შორს ჩამოწოლილ ბნელში დანთქმული ხეები, ბოძები, რიყის ქვევით მოკირწყალული ქუჩის დამრეცი კალთა, მზერას მიაწყდა ორი გავარვარებული თვალი ავტომანქანისა, შემდეგ კიდევ ორმა ღვარამა ააყირავა ქუჩა და ანგია შედგა, გაქვავდა და ისევ შექანდა შორეული ზმანებისა თუ სინამდვილის ლანდი, თანდათან გამოიკვეთა, გაცხადდა და აჰა, ნელ-ნელა დაიძრა დიდი გაჩახახებული სცენა, ლიტინ-ძაგძაგით დატრიალდა ჩაბნელებული პარტერის თავზე და თითქოს სცენა კი არა, დარბაზი მიტორტმანებს მის თვალწინ და რამზაზე აღმართულ სინათლის კედლის მიღმა, იქ, სადაც შავად ჩავარდნილა გადამწვარი ჩირალდანი და კაშკაშა სინათლის გისოსებში ამოცლილ წკრივით ჩართულა ოდნავ შებნელებული ზოლი, ბინდად მოჩანს მაყურებელთა მოკლე მწკრივი და ცარიელი სკამების მოწყენილი საზურგეები, რომლებიც ნელა მიცურავენ განზე და დარბაზის სიბნელეში იკარგებიან. ანგიას ესმის მბრუნავი სცენის ყრუ ვულკანური გუგუნე, მუხლებში უღიტინებს ნელი ძიგძიგი, თითქოს ნეტარი ყრუანტელი უფლიდეს მხუთავი სურნელით გაქვინთილ მტვრიან იატაკს, — თუ ეს მანქანები ამოდიან მოკირწყალულ ქუჩაზე, საბურავების კანკალი გადმოდის სხეთელში და მოტორის ყრუ, თანაბარ-ზომიერი უგუნე ესმის ამ შორეული განცდის გამღვიძებელ ხმოვანებად? — და დგას გაჩახახებული სცენის გულში და ყველაფერი — მასთან ერთად მბრუნავი მუყაოს ეანგისფერი კედლები, წითელხავერდგადაფარებული სარეცელი და მძიმე, ელვარე მეწამული ფარდები და მრგვალი, მდიდრული მაგიდა, რომელზედაც კანკალით იწვის ბრინჯაოს შანდალში ჩამაგრებული სამი სანთელი, ყველაფერი — მისთვის უჩინარი ჩაბნელებული პარტერის თითოეული სკამი, შორეული იარუსები და დიდი,

მძიმე ჩამქრალი ქალი, ფრთადაცხელი ფრინველივით განაბული ბნელი დარბაზის კამარაზე, — უხილავი ძაფებით გამობმია მისი სხეთელის ყოველ ასოს, მასთან ერთად ბრუნავს, ტრიალებს და ანგია ნელ-ნელა იჩოქებს სცენაზე, რომელიც თანდათან უკლებს სვლას, ყრუ გუგუნეც იღვევა და ავანსცენის კიდეზე დაცემული გრძნობს, როგორ იძაბება სივრცე უკანასკნელი ტაშის მოლოდინში.

მაგრამ როდის იყო ეს ღვთაებრივი წამი?

ახალგაზრდა თეთრხალათიანმა ექიმმა, რომელსაც ძალიან ლბილი, ვარდისფრად გამჟჭირვალე ხელისგულები ჰქონდა და მთელს ტანზე პიტნის სიგრილე და სურნელი ეფინა, კარგად დასწავლილი სათნო ღიმილით უთხრა: „თქვენ დაღლილი ხართ და სიმშვიდე გჭირდებათ. ჩვენთან წამოხვალთ, დაისვენებთ და ყველაფერი კარგად იქნება“. შემდეგ ანეტას მიუბრუნდა: „ნუ გეშინიათ, ქალბატონო, ყველაფერი კარგად იქნება. აი ნახავთ.. გამოიყვანეთ გარეთ“.

ანგია ყურადღებით უსმენდა და ხედებოდა, რომ ექიმი მართალი იყო. მართლაცდა, ეს ხომ არასოდეს ყოფილა, რადაც არ აგონდება ეს დღე, ან იქნებ იყო, ოდესღაც, შორეულ წარსულში...

მაგრამ თვით წარსული უაზრო სიცარიელედ შემომდგარიყო ირგვლივ. ყველაფერი იქ, მის აზრმიუწვდომ წიაღში ესვენა. თვით ანგიაც სადღაც შორს, ყოვლის მიღმა იდგა და ვერა და ვერ გადმოსულიყო აქეთ, გამოღმა მხარეს, ამ კუბოსავით დახშულ გრძელ ყუთში, ამ თეთრხალათიან ხალხთან, რომლებიც ჩუმად ისხდნენ მანქანაში, გულგრილად იყურებოდნენ გარეთ და მისხალ ყურადღებასაც არ აქცევდნენ არც მას, არც თავჩაკიდულ, გაქვავებულ ანეტას... „დაისვენებთ და ყველაფერი კარგად იქნება“.. „ყველაფერი“... ანგიამ თავს ძალა დაატანა, შეეცადა გაეღწია იქით, გაღმა განაბულ სივრცეში და ეს „ყველაფერი“ დაენახა, მაგრამ იქ არაფერი იყო, გარდა უცნაურად განრიდე-



ბული, ლოდევით მძიმე განცდისა, რომელიც მისი არც იყო, სხვა ლანდურად მორიალურ არსებას ეკუთვნოდა, მაგრამ მაინც მოკვეთილ კიდურებით გრძობდა მის სისხლხორცულ სიახლოვეს. და აი ისევ საავადმყოფოში მიჰყავთ. გაეღიმა: — იქნებ სჯობდეს კიდევ ასე.

სიბრალულით გადახედა კუთხეში მიკუნჭულ ცოლს. სიბნელეში გაარჩია თუ მოეჩვენა მის სახეზე დაქდებული მწუხარება და შიში. თანაგრძნობით გასწვია ხელი, კალთაში ჩაუღო და გალიგვულ თითებზე მოუქირა. ანეტამ ნაძალადევად გაუღიმა.

ანგია შეჩქვიფდა. რა უცნაური იყო ეს ღიმილი. შორს, წარსულის სიცარიელეში გაჩნდა, იქვე ჩაქრა და ჩაიყინა. როდინდელია იგი? და თითქოს ფერადი პეპლების გუნდი აიშალაო, უამრავი ღიმილი აფარფატდა ჰაერში, ჰაერში კი არა, ამ გარშემომდგარ ქაოსში და აჰა, დაიძრა დრო, თითქოს ანაზღვეულმა ნიავმა ააფორიაქა უძრავად ჩამოწოლილი ბურუსი.. სად იმყოფება ახლა? რა ნათდება გონებაში ასე საჩინოდ?

— Стоп! — ქალის მოწყვეტილმა ბრძანებამ გაჰყინა დიდებული წამი და უცებ დაუბრუნა გარსმობვეულ სინამდვილეს.

რეჟისორი ურჩიკიდან ჩამოხტა. ჩქარი ნაბიჯებით ამოუყვავა აღმართს და ანგია-საკენ წამოვიდა.

— გვეყოფა! — დაიძახა მან, — ადგილებზე! ვიწყებთ გადაღებას!

— გამორთეთ ლიხთვაგენი! — გაისმა თათრული აქცენტი. მაშინვე მიწყდა შორეული დგრიალი. ქუჩა შექანდა, გადნა, გაიპარა და ანგიაც სანეტარო სიმშვიდეში ჩაიძირა.

— დეჟურნი სვეთ!

თანდათან შემღვრეული სიბნელე ქუჩის გარდიგარდმო გაჰკვეთა ცალმა მაგნეზიურმა ქავლმა, თეთრ კედელს მიეხრჩინა და ცერად გაეჩხირა სიერცეში. ქვაფენილის ხორკლიან ზურგს ოდნავ ეხებოდა მკრთალი, უდრტვინველი ნათელი. ამ ზოლმა გაიტაცა და... სად იმყოფება ახლა? რა ნათდება მის დაბინდულ გონებაში ასე საჩინოდ?

აი თვლემს წარმტაცი ხეივანს ალბუნე სიჩუმეში. რა სიმშვიდეა ირგვლივ, რა სიწყნარება. თითქოს ყოველივე სიზმარი იყო, გრძელი, შფოთიანი სიზმარი და შემდეგ უეცრად გაიღვიძა ამ გრილ, სანეტარო ჩრდილოვანში.

უკვე ყველაფერი დამთავრებულია.

რისთვის იწამებდა თავს. სიმართლისათვის? მერედა, რა არის ერთი კაცის სიმართლე? იგი ხომ უაზრო ტვირთია, რომელიც მხოლოდდამხოლოდ წელს გწყვეტს, გღლის, გაოსებს. ერთი კაცის სიმართლე კატორღაა, რომლის კარი მხოლოდ მაშინ გაიღება, როცა დაიღლები და იყვირებ: — „მე თავისუფლება მინდა! ამიტომ ჩემი სიმართლეც სიცრუეა!“.

და აი, თვლემს ახლა ამ წარმტაცი სავანის საამო სიგრილეში და ტკბება თავისუფლებით.

რა იოლი ყოფილა ამის მიღწევა. ერთი პატარა მოძრაობა, უმნიშვნელო შეტოვება ხელისა და ყველაფერი დამთავრდა: — თავისუფალია! და თავისუფალია ყველა, ვინც ამ კატორღის კედლებად აღმართულიყო მის ირგვლივ.

მხოლოდ ერთი უმნიშვნელო მოძრაობა: დინჯად ამოიღო ქაღალდის მოგროძო, გაცრეცილი ფურცელი, თითები ჩასკიდა, ოდნავ, სულ ოდნავ შეატოკა ხელი, თითქოს ძალიან შორიდან მოესმა გაუგებარი ბგერა, რომელიც რაღაცით ჩამოგავდა ქაღალდის გახვევის ხმას, მერე ერთხელაც განმეორდა ეს ბგერა, ახლა უფრო მოკლე, და მან საოცარი სიმსუბუქე და შეება იგრძნო და უცებ შეეზიზღა თავისი თავი იმის გამო, რომ აქამდე არ ჩაიღინა ეს.

ახლა ზის წყნარ ხეივანში და ტკბება მისი სიმშვიდითა და სილამაზით.

ფიჭვის ტოტებში მოძვრება შუადღის მზე და მწველი ლაქებით აფორაჯებს მოკენჭილ ბილიკს. თვალი მოჭუტა და ცერად გახედა დაჰორფლილ გზას; კენჭები ვადნა, ერთმანეთში აიზილა, ცხე-

სოსო კაიხაია
შპანასანილი დუხალი

ლი, მოზაიკური ფარდავი გაეფინა ბი-
ლიკს და აცახცახდა, ზევით წამოვიდა,
მოჭუტულ თვალებს გაუსწორდა; კინა-
ლამ გული აერია, სწრაფად გაახილა
თვალი, ზიზღით მობრუნდა და დაინახა
ზოლიან შეზღონგში ნებიერად გადა-
წოლილი თვალდახუჭული ელისო, მისი
მზისგან ფერდაკრული სახე, გაწვართუ-
ლი, მოქნილი ტანი, მუხლებს ზემოთ
თამამად წამოხდილი ყვავილებიანი სა-
რაფანი და სწორი, ღონიერი ფეხები.
ანახლად ვაკკრა იღუმალი ეკვის ჩრდი-
ლმა, რალაც საგანგებო და მოჭიბრე
ენიშნა შეილის მთელ იერში და თვალი
მოარიდა, შექანდა, ხაზგასმული უდარ-
დელიობით გადაწვა შეზღონგში და ტო-
ტებს შორის ვამომპვირვალე ცისკენ
გაძვირინა მზერა: ვეაგრვარებული ტატ-
ნობიცი გულისამრევედ ზიმზიმებდა უსი-
ცოცხლოდ გარინდულ მტერიან წიწვე-
ბის ცხაურში, თუნუქივით კრიალებდა
და თვალს ტყენდა. გვერდზე მიწვა, თა-
ვი ღერძს მიაყრდნო, ცალი თვალი ამო-
აფარა და მეორეთი ქურდულად გახე-
და ხელმარჯვნივ გადაფლამულ ცოლს:
ანეტა გულხელდაკრფილი იჯდა. სა-
ხეზე უზრუნველი ღიმილი შერჩენოდა
(სულ სხვაა ეს ღიმილი, სულ სხვა!)
თავმოწონებულად მოეღერებია ყელი
და ამყად ათვალეირებდა ვარემოს.
ერთხანს მალულად უყურა ცოლს, თან-
დათან ეუფლებოდა მძიმე, დამამკრე-
ბელი სინანული და მერე ესეც გაიყი-
ნა, გაქვედა, ავადმყოფურ უილაჯობად
შეეზარდა სხეულს, ნელ-ნელა დაენი-
ლა მზერა, ქუთუთოებიც დაუძძიმდა,
ყოველივეს წყლისფერი სუღარა გადა-
ეგო, გაკვიმა და ნათელი ოთახის სიერ-
ცეს შეერია. ოთახის ბოლოს კრიალა,
შინდისფერ მაგიდასთან ლამაზი, ჭარმა-
ვი მამაკაცი ზის და სათნო ღიმილით
უყურებს. ანგია მისკენ წავიდა, ნელა
გაიარა გრძელი, დაუსრულებელი გზა
კარიდან მაგიდამდე და მორჩილად შედ-
გა. «ყური დამივდეთ, — უთხრა კაცმა
და წამოდგა, — მე მესმის თქვენი, მაგ-
რამ ისიც ვიცი, რომ სისულელეს ჩადი-
ხართ. თქვენი ასაკის კაცი ასე არ უნდა

შეცდეს. მოეშვით ამ საქმეს, თქვენთვის
საც უყეთესი იქნება და სხვისთვისაც.
ეს არის ჩემი მამაშვილური რჩევა, თუ
გნებავთ, მეგობრულიც; ჯერჯერობით
მეგობრული, — ორაზროვნად დამარც-
ვლა კაცმა, წარბები აწკიპა და გაიდი-
მა, — მე მითხრეს, რომ თქვენ კარგი
მუშაი ხართ, ცოლ-შვილის პატრონი,
დაუფიქრდით ამ ამბავს. დაგეხმარებით,
ხელს შეგიწყობთ, თქვენს დამსახურე-
ბას გავითვალისწინებთ, — ახლოს მი-
ვიდა, მხარზე ხელი დაადო, ისევ გაუდი-
მა და ჯიბეზე ანიშნა — აბა, მოიტათ, ეგ-
რე აჯობებს, დამიჯერეთ...»

ერთი უმნიშვნელო მოძრაობა, მცი-
რეოდენი შეტოკება ხელისა და ყველა-
ფერი დამთავრდა. ახლაც ცემის ქალა-
ლის სუსტი ხმა... ანეტასათვის, ელისო-
სათვის და...

უკვე ყველაფერი დამთავრდა და
ამაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ახლა ზის
ამ წალკოტში და თვლემს, რადგან თა-
ვისუფალია და ყველა თავისუფალია —
ანეტაც, ელისოც, და ყველა.

«თქვენ დაღლილი ხართ და სიმშვი-
დე გჭირდებათ, — უთხრა ექიმმა, —
ჩვენთან წამოხვალთ, დაისვენებთ და
ყველაფერი კარგად იქნება.»

აი, რით დამთავრდა! დასთმო! ქალა-
ლის წამიერმა ბგერამ დაასრულა ეს
«ყველაფერი».

ბოლოსდაბოლოს, რა იყო ეს, რა უნ-
დოდა? ახლა სადღაც ძირს, ყოვლის
ფსკერზე თვლემს იმ თბილი გრძნობის
ლანდი, რომელიც მუდამ თან ახლდა და
სანეტარო სიმშვიდით აესებდა. ჰო, იყო
რალაც დაიდი სიმშვიდე იმ აფორიაქე-
ბულ ყოფაში, უცნაური წონასწორობა
ივანებდა მთელ მის არსებაში, როცა
სამსახურიდან დაბრუნებული კარზე მი-
მაგრებულ ღილაკს თითს დააჭერდა და
ოთახის სიღრმეში გახშიანებული ყრუ
ზრიალი საამო- თრთოლვად უვლიდა
სხეულში, ნეტარი მოლოდინით აბრუ-
ებდა კარის გაღებამდე დარჩენილ წუთს
და როცა ანეტას ფეხის ხმას გაიგო-
ნებდა, როცა წამით წარმოუდგებოდა
მისი ვაფაციცებული მზერა, შეკითხვით



ილსავსე იერი და შემდეგ, მართლაც რომ შეეფეთებოდა ეს ცოლური შიშით, ამოცნობის სურვილით შეპყრობილი სახე, ანგიას ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს მისი სულისა და სხეულის ნაწილი იყო ცოლის ეს გამომეტყველება, თვითონ ასხივებდა, სანუკვარნივითვით შეჰქონდა ოჯახში, მყარ საყრდენად ეშველებოდა ჰერს ეს შიშნეული მოლოდინი, ცოლის მთელ იერში გამომჰქვირვალე მუდარა „დასთმე, დასთმე!“ ეს ვერაგული, მუხანათური ღიმილიც, იმავე წამს რომ დაეტყობოდა გაურკვეველი აზრით შეცვლილ სახეზე, ეს შემპარავი დედაკაციური ლაქუციც, რომელსაც ცხადად გრძნობდა ცოლის ყოველ საქციელში და ზიზღნარევი სიბრაალული ეუფლებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ ანეტა საცოდავად ლამობდა გაერღვია ოჯახური საზრუნავებითა და ცოლ-ქმრული ცხოვრების მღორე, ერთფეროვანი კმაყოფილებით ამოქოლილი სიღრმე საკუთარი სულისა, ჩასწვდენოდა უშფოთველი წლებით ჩაჩუქტულ სათავეს თავისი ქალური გრძნობებისას, მოგონებინა ქმრისათვის ოდესღაც ასე საყვარელი ჩვევები, რომელთა ინსტინქტური ხსოვნა ჯერ კიდევ უსაზმოდ ბეუტავდა მასში და ამით გადაერჩინა, ხელახლა დაესაკუთრებინა ქმარში ის, რისი დაკარგვის საფრთხესაც ასე მძაფრად ანიშნებდა თავისი დედაკაციური გაავებული გუჰანი და ერთ დღეს, როცა შინდაბრუნებულმა ანგიამ ქალიშვილურად თმდაავარცხნილი, ნაძალადევი გზნებით ატაცებული და თითქოს გაახალგაზრდავებული ცოლი იხილა, იგრძნო, რომ უკვე საღდაც ახლოს ტრიალებდა ის მთავარი და ნატრული ძალა, რომელიც ყოვლის ერთადერთი მეუფე უნდა ყოფილიყო.

რა საბრალო იყო ეს ვარცხნილობა! როგორ არ ესადაგებოდა ამ ბედისწერულად ნაცნობ სახესა და მთელ გარეგნობას! როგორ არღვევდა იმ მყარ, მღორე სიმშვიდეს, რომელიც უკვე ოცი წელია ღონიერ მდინარესავით მოედინებოდა ერთი უშორესი დღიდან და

თანდათან გუბდებოდა ამ სახლში...
 ლებში, ამ საყვარელ სამყაროსა და ადამიანებში... უცხო სიბრაალული და სინაზე წამოვძალა ცოლის შეხედვისას: ასე ივარცხნიდა იგი ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, სანამ შვილი გაუჩნდებოდათ. მაშინ ანეტას ეშინოდა მისი, მისი კი არა, რაღაც სხვა, მომჯადოებელი ძალისა, რომელიც ჯერ კიდევ გააჩნდა, ჯერ კიდევ არ დაეხარჯა; არ გაემიშვლებინა ამ საბედისწერო, გამპარტახებული სიშიშვლით! და ჰა, თითქოს აღზევებულა ეს სანეტარო ძალა!

დრო ისევ შედგა, გაიყინა და სიფრთვანა ფარად ჩაღვა ანგიასა და აზრმიუწვდომ სიცარიელეს შორის. ყველაფერი აქეთაა, გამოღმა, ამ ფარდის წინ, აქ დარიალებს ლანდურად რაღაც სხვა, შემაშინებელი არსება, რომელსაც ვერ მისწვდომია მისი გონება. წარსული აღარ არის, ყველაფერი აწმყოა. შვილის დანახვისას გაფაჩუნებული შემამშფოთებელი ეჭვიც აწმყოა, ანეტას ღიმილიც აწმყოა, თეთრხალათიანი ექიმის გრილი სურნელიც. ყველაფერი ამ წამს აჯსებს, თვალის ამ დაფახულებას. შეუძლია მშვიდად ჩაღვეს მათ შორის.

ყველაფერი აწმყოა...
 აი, წვიმს...

უცაბედად ჩამოღვა გონებაში ეს შორეული, წვიმიანი საღამო. ჩუმად მიბიჯებდნენ სველ, ყვითელი ფოთლებით მოფენილ ხეივანში. ბალი ცარიელი იყო. ანგია გრძნობდა, როგორ ეეჭვებოდა რაღაც ამ სევდიან, უჟაცრიელ სამყაროში. იმ თავდაჯერებას, რომლითაც სავსე იყო მისი არსება, მის სიყვარულსა და ბედნიერებას აკლდა რაღაც მთავარი და შეუვალე მამაკაციური სიმყარე და ამიტომ

— რაღაც უნდა გიამბო. — თქვა წყნარად და შუბლი მოისრის ანეტამ შიშით ახედა.

— ერთი უბრალო ამბავია, — გაეღმა ანგიას, — გიამბო?

სოსო კაიხაძე
 შპანასწანილი ღვებლი

— ჰო.

— ისეთ გუნებაზე ვარ, რომ აუცი-
ლებლად უნდა ვიამბო.

ანეტა მკლავზე მიეხუტა.

— მიამბე...

— ჩვენს სოფელში ერთი უპატრონო
გოგონა იყო, — თქვა ანგიამ და გაჩუმ-
და. კარგა ხანს მიდიოდნენ ჩუმად.

— მერე?

— მერე...

...და იგი სამზადის ღია კარებში იჭ-
და. ოდის სახურავზე თანაბარხმიერად
შხაპუნობდა წვიმა, ალერსითა და, ამავე
დროს, მოსაბეზრებელი ერთფეროვნე-
ბით შემოდინდა ტანში სამზადის წინ
აზურტლული აყალო მიწის ლორწოვანი
სიცივე, წინ კი, ფერდად შეფენილ გა-
ლუმპულ ჩალის ყვითელ ღეროებში
იდგა მაშინ მისი ბავშვური გონებისათ-
ვის მიუწვდომელი განცდა დიდი ბედის-
წერული კმაყოფილებისა, — სწორედ
აქ იწყება ეს აზრმიუწვდომი წარსული,
ეს ფარდის მიღმა მორიალე სამყარო! —
ის, თორმეტი წლის ბიჭი (ნუთუ მართ-
ლა ანგია იგი?) ზის სამზადის ღია კა-
რებში, ვაჟყურებს ბურუსითა და წყლით
გაყიყინებულ სივრცეს და გრძნობს,
როგორ სივდება გულში უსაგნო, ბავშ-
ვური ბოღმა—ახლა აღარ ახსოვს, მართ-
ლა მოვიდა ნათია, ფეხშიშველა, გა-
ლუმპული, უპატრონო გოგონა, სოფ-
ლის სამადლოდ დაგდებული, თუ ეს
დროით აკვიატებული წარმოსახვაა სნე-
ული გონებისა, იქნებ ეს სხვა დროს
იყო, მაგრამ ნათია მოტანტალდა იმ
თავსხმაში, კარის ზღურბლზე შედგა და
თავისი უხაკელი ღიმილით მიაჩერდა.

— რა გინდა!

— არაფერი...

სად ბუდობდა ეს დიდი და უსახელო
ზიზღი? ბავშვური გულის რომელ კუნ-
ჭულში იმალებოდა ეს აუხსნელი
ღვარძლი თუ შური, რომელმაც მაშინ
მოულოდნელად აავსო, მკერდში მიაწ-
ვა და გარეთ გამოხეთქა!

— წადი აქედან! — იყვირა ანგიამ.

ნათია ისევ ღიმილით იდგა ზღურბ-
ლზე, ცით ჩამომდგარი თავსხმის, აუჩა-

ლელო ყანისა და შორს, მთებსმოხვეული
ჯანდის ფონზე გაფრენილი, როგორც
ანგელოსი, და მაშინ, — ნუთუ იმანაც
იგრძნო, თავისი ბავშვური გუმანით
ინიშნა აზრი ამ უცნაური ამბოხისა —
ამაყად მიტრიალდა, წავიდა, მთელ
ღღეს აღარ გამოჩენილა და ანგიას გულ-
ში დატოვა რაღაც სამარადისოდ წა-
რუშლელი გრძნობა, რომელიც მუდამ
თან დაჰყვებოდა, მალულად თვლემდა
მის არსებაში და აცოცხლებდა...

— ნუ მაშინებ, ანგი, ნუ მაშინებ, შე-
ნი პირიმი... — ჩუმად თქვა ანეტამ.

და ანგია მიხვდა, რომ უყვარდა ეს ქა-
ლი, რომელიც მისი ცოლი უნდა გამხ-
დარიყო, უყვარდა სწორედ ამ შიშისა
თუ საყვარელი თვალთმაქცობის გამო...

— მოიცა, — თქვა უჩვეულოდ ბოხი,
აღვზნებული ხმით.

...ნათია, ნათია, შვიდი თუ რვა წლის
ციცქნა გოგონა თხმელის ბუჩქებით
ჩაქალტამებულ ქალაში, საქონლის ფე-
ნითა და ნაჩლიქარებში ჩამდგარი
წყლით სუნდაკრულ დელის პირას ჩა-
ცუტქული და იქვე, სველ ლოდზე შე-
მომჯდარი თვითონ ანგია, თორმეტი
წლის ბიჭი და მალა, ჩამავალი მზის
შუქით გადამდნარ მინდორზე მობალახე
აგურისფერი ძროხა, შორს კი ცეცხლ-
წაქიდებულ ღრუბელთა ქვემოთ გაწ-
ვართული ქედის მალაქიტური კონტუ-
რები და მისი მკვეთრი ზიგზაგიდან
ამოჩრილ მთის თავზე მწუხარედ მო-
ლივლივე მიმინოების მეჩხერი გუნდი
და თითქოს მათი მშვიდი რონინის ხმა
აგერ, სულ ახლო, ყურისძირთან სა-
ამოდ მოლივლივე დელის ხმაური და
ყოველივე გამსჭვალულია რაღაც წყნა-
რი, სათუთი სიყვარულით, მეტისმეტად
საკუთარი, მშობლიური სიახლოვის
გრძნობით და ამ ნეტარ სიმშვიდეში —
ანგიას ერთხელ კიდევ მტკივნეულად
შეეკუმშა გული კარსმომდგარი განც-
დის გამო — ამ ნეტარ სიმშვიდეში შე-
მოპარული ექვი თუ სიძულვილი, ჰო,
აღბათ სიძულვილი, სირცხვილიანი,
თბილი და ტკბილი ზიზღი წყლისპირას
მოფუსფუსე გოგონას მიმართ, მხოლოდ-



დამხოლოდ იმის გამო, რომ ამ უზუნა-
ესი სიყვარულით აღსავსე სამყაროში,
ამ ღვთაებრივი სიკეთით დაყურსულ
წამს ის იყო უცნაური ჯადოს მატარე-
ბელი არსება, ქვეყნად თავისი საიდუმ-
ლო მოვლინებით მოძალადე სული, რომელიც
რალაც საკუთარსა და უფლებამოსილს
ართმევედა ანგიას, რალაცას ისაკუთრებდა
ამ ქვეყნის მისმიერი წილიდან. ეს
ობოლი და მიუსაფარი გოგონა ფლობდა
სრულიად უცხო, თავისი უჩვეულობითა
და იდუმალებით გამღიზიანებელ
საუნჯეს, რომელსაც მუდამ თან დაატარებდა
და ახარებდა ისევე, როგორც ერთი
ბავშვი ახარებს მეორეს ახალ სათამაშოს
და ამით გულისმომწყვლელად აუჭევებს
იმ სიყვარულის სრულფასოვნებაში,
რაც ყველასაგან გარს ახვევია. და
ანგია იყო ნაკლული, არასრულყოფილი
არსება, შეუცნობელ ბოროტებას
დაატარებდა გულით და, — ამასაც
მხოლოდ ახლა ხვდებოდა, ახლა
საცნაურდება მის სწელ გონებაში
მთელი სიგრძე-სიგანით ის შემაშინებელი
სურვილი — ნათიას სიკვდილი უნდოდა,
მისი გაჭრობა ქვეყნიდან, რათა მი-
ეჩქმალა, საკუთარი თავისთვის დაემალა
ეს გამტიალებელი ეჭვი, ეს გაუგებარი
ღვარძლი თუ შური და მაშინაც, იმ
წყნარ საღამოს, უმზერდა წყლის პირას
მოფუსფუსე ნათიას და — არა, ცხადი
არ ყოფილა ეს, ღმერთმა დაუფაროს,
ცხადი არ ყოფილა! — მაგრამ ახლა
გრძნობს, როგორ წრიალებდა მის გულში
ეს დამამცირებელი ბოღმა, როგორ
ეეჭვებოდა შორს, მალაქიტური მთის
თავზე უკვე ნერვიული ბინდით შესუღრულ
სივრცეში განცხრომით მორიგე მიმინოების
გუნდისა, ღელის საამოლიკლეისა
და ყველაფრის, რაც ასე მოჯიბრე,
თავის თავში დაჭერებულ ძალმოსილებით
დავანებულიყო ამ მომჯადოებულ
გარემოში. და ორი წლის შემდეგ
ნათია მოკვდა რალაც უკურნელი
სენით, სამუდამოდ გაჭრა და ანგიას
მწუხარებაში, მის ალაღმართალ ცრემ-
ლებში იყო მონანიების, დანაშაულის
გამოსყიდვის უსასოო ქინი და დიდი,
უნა-

პირი სიყვარულის განცდა, რომელიც
თვისაც ვერც მაშინ და ვერც მერე
ახსნა ვერ მოუძებნია...

— ნუ მაშინებ, ანგი, ნუ მაშინებ,
შენი ჭირიმე...

რა იყო ეს? მართალი შიში? ქალური
კეკლუცობა? ეჭვი? ახლაც თვალწინ
უდგას ანეტას სახე, მისი მორჩილი,
დამონებული მზერა, რომელშიც იყო
რალაც ყალბი, თვალთმაქცური
სინაზეც, მაგრამ უფრო შიში იმ ჭერ
შეუცნობელი მამაკაცური ძალის
წინაშე, რომელსაც თანდათან
უნდა აეგსო ქალის ცხოვრება,
თანდათან უნდა გამეფებულიყო
მასში და აღარაფრისთვის ადგილი
არ უნდა დაეტოვებინა.

ეს სხვა გრძნობა იყო, სხვა სიყვარული,
არა ისეთი, წიგნებში რომ წაუკითხავს
ან გაუგონია. ამ სიყვარულით იგი
საკუთარ თავს ეჯიბრებოდა, ატყუებდა...
ეს მორჩილი, დანდობილი ქალი
იყო ერთადერთი არსება მის
ახლოს, ვისთანაც თავისი მოგონილი
სახის გასაღება შეეძლო, ვინც
თანახმა იყო ერწმუნა მასში
ის სანატრელი ძალა, რომლის
არსებობა თვით ანგიასაც არ
სჯეროდა...

„ნუ მაშინებ, ანგი, ნუ მაშინებ
შენი ჭირიმე...“

იქნებ ეს თვალთმაქცობა იყო? ქალური
მზაკვრობა? მაგრამ ანგია ამასაც
სჯერდებოდა. მიხვდა, რომ უყვარდა
ეს ქალი, მიხვდა ისევე ცხადად,
როგორც ახლა, ამ საღამოს, როცა
ქალიშვილურად თმადავარცხნილი
ცოლის მუდართა და შიშით
აღსავსე სახეს შეავლო თვალი...
აჰა, თითქოს აღწევებულა ის
ძალა! „კაცო, — ეუბნებოდა
ანეტა, — რამ გადავრია, რამ
შეგიშალა გონება. ამხელა
გოგო გყავს და ახლა მოგინდა
ქვეყნის გასწორება? რალა
მიანიცდამაინც შენ უნდა
გამოიღო თავი. დაიღუბა
ოჯახი! რა ექნა, ღმერთო,
შენი სახელის ჭირიმე,
გადაიღია კაცი...“

ამისთვის იბრძოდა! ამით უნდა შე-

სოსო პაიჭაძე
უპანასანელი დუბლი



ვესო ის დამზაფრავი სიცარიელე, რომლის არსებობა ერთხელ მოულოდნელად აღმოაჩინა — რაღაც გამჭრალიყო შასში, უიმედოდ დახარჯულიყო და მხოლოდ ახლა შენიშნა ეს, ახლა შენიშნა, რა დანაშაულებრივი გულუხვობით ფლანგავდა საკუთარ თავს ამ წუთისაჲკენ მომავალ გზაზე.

თავისთავად, მისი ნებისა და სურვილის გარეშე იქმნებოდა ის შეცდომა, რომლის გამოსწორებაც უკვე გვიანი იყო. როდის გადმოუხვია აქეთ? იქნებ მაშინ, როცა შვილი გაუჩნდათ და ერთ საღამოს პირველად დააკვირდა ანეტას მკერდზე მიწებებული ჩვილის სახეს? ახლაც კარგად ახსოვს, როგორ დაეშვა გარშემო ფერადი პაეროვანი ფარდები, როგორ მოიხილდა მისთვის მუდამ მშფოთვარე სამყაროს ერთი ცოცხნა ადგილი, გათბა, გატება და ანგია სამუდამოდ ჩარჩა მის მშვიდ, საყვარელ უბეში.

ამ ფარდებს მიღმა არსებული სამყარო ამიერიდან მხოლოდ ლამაზი ველი იყო, რომელსაც საკუთარი ოჯახის სარკმლიდან უმზერდა. მუდამდღე გადიოდა ამ ველზე, საღამომდღე იქ რჩებოდა, მაგრამ — ამასაც ახლა გრძნობს — ყოველ ნაბიჯზე კუს ჯავშანივით დაათრეფდა იმ საოცარ ბანცდას, შვილის ხილვისას რომ დაეუფლა. ნიადაგ მზად იყო ამ ჯავშნისათვის შეეფარებინა თავი და შერცკი შენიშნა, როგორ თვალსა და ხელშუა დაუქცნა ეს ველი, თანდათან გახრიოკდა და დაცარიელდა.

და რამ აუხილა თვალი? ნუთუ მაინცდამაინც ის საბედისწერო ღამე იყო საჭირო, რომ ასე გამოაოგნებელი სიცხადით ეგარძნო ეს სიცარიელე? თერთმეტი, თერთმეტი... ანგია მეთორმეტე იქნებოდა და გადარჩა, იმიტომ რომ კართან იდგა; იმიტომ რომ...

მაგრამ, აი წევს ბნელი უფსკრულის ძირზე თერთმეტ დასახიჩრებულ გეამთან ერთად და უსასოოდ ებრძვის სიყვდილს. ყველაფერი აქაა, მთელი მისი ცხოვრება, მისი ოჯახი, მისი შემთხვევით გადარჩენილი სიცოცხლე, მისი სიყვა-

რული. ყველაფერი ამ გაუგებარებაში ლეთში ჩამომდგარა და რაღაცას თხოვს.

„მითხარი, — ესმის ანგის, — მითხარი“... თვალნი გაახილა, ჩამქრალ მხერაში აელანდა ანეტას მუდარით აღსავსე სახე. ანგია წვალობს, სათქმელს ეძებს. ახლა უნდა გამეკლავნდეს ის საიდუმლო, რომელსაც მთელი ცხოვრებაა ამ წუთისათვის ინახავს. „მე, — ამოსთქვა ძლივს და უცებ აავსო სანატრელმა, ჭერარგანციდილმა სიამაყემ, — მე...“ მაგრამ ესეც ხომ ტყუილია!

ყოველთვის ემინიოდა ოდნავ მაინც შეხებოდა ამ აკრძალულ საიდუმლოს, სულ ცოტათი მაინც მიახლოვებოდა მას, რისა სინანულის მომგვრელი ხსოვნაც ასე აწვალებდა. ყველაფერი, რაც მის პატარა, მყუდრო სამყაროს არ ეკუთვნოდა, უკვე კარგახანია ზარავდა თავისი სიუცხოვით. თვით სამსახურიც, სადაც ყოველდღე დადიოდა, საკუთარი ოჯახის ნაწილად შეიჩვია. ყოველ დილა-საღამოს უხილავ დერეფანში გადიგამოდიოდა სახლიდან თავის სამუშაო ოთახისაკენ და თანდათან დააგვიწყდა, რომ ამ დერეფანში სხვა კარიც არსებობდა...

ოჯახს ამსხვერპლა ყველაზე დიდი საუნჯე, რაც გააჩნდა — ნიჭი სიუცხოვისა. მუდამ ამ ნიჭით სულდგმულობდა. ხშირად ტყუოდა კიდევ, მაგრამ ეს იყო ლამაზი, აუცილებელი ტყუილი, რომელიც საკუთარი ძალის რწმენას უნერგავდა. ეს ტყუილი ამაგრებდა მის სიყვარულს, ამ ტყუილით მეუფებდა და ამიტომ უყვარდა. სხვებსაც ამით შველრდა.

აი მისი სიმაართლე! ამ ღალატში იყო ძალა მისი ოჯახისა, ისევე, როგორც ზღაპრული ურჩხულისა ოკეანის ფსკერზე ჩაძირულ კვერცხში. გრძნობდა, რომ საღდაც აქ იმალებოდა ჭეშმარიტება. მაგრამ მთელი საქალეთი მისთვის ანეტათი იწყებოდა და მთავრდებოდა. ცოლის სიყვარული ფარავდა ყველა სხვა გრძნობას, მაგრამ ამ სიყვარულში იყო რაღაც გამღიზიანებელი, დამაგჷპებელი სიმსუბუქე, რომელიც მოს-

ვენებას არ აძლევდა. ანგია თითქოს სასწორის ერთ მხარეზე იდგა — აქ იღო მისი შემთხვევით გადარჩენილი სიცოცხლე, მისი ოჯახი, მისი სიყვარული და ეს ყველაფერი საეჭვოდ აღძრულიყო მალა, თითქოს ცას გამოჰკიდებოდა, ხოლო მეორე მხარე შავი უფსკრულის ძირზე ჩავარდნილიყო და უიმედოდ დაკვდომოდა მიწას. როგორმე უნდა გაწონასწორებულიყო ბედისწერული სასწორი. და მან მოიხმო ღალატი — უსუსური ამბოხება თავისი სიყვარულის წინააღმდეგ!

ხანდახან, მარტოობის ქაშის ან ოჯახურ სიმყუდროვეში ჩაფლული, სიზმარულ სინამდვილედ წარმოისახავდა ხოლმე ამ ღალატს და ტკბებოდა და შემდეგ, როცა გამოერკვეოდა, გაოცებული აღმოაჩენდა, როგორი შემაშინებელი ჯიბრით, შურისმაძიებლური განხლებით დიქროდა თურმე ამ ზმანებიერ სამყაროში, როგორი შმაგი სასოწარკვეთით ებლაუქებოდა არარსებული ცხოვრების ამგვარად გამოხმობილ ლანდებს, მშვიერი ძაღლივით გლეჯდა და აქეთ, საკუთარ ბუნავში მოათრევდა..

აი, ისევ წვიმს... ბნელი ქუჩის თავში ეულად მანათობელ ნათურას აბლაბუღასავით შემოხვევია მსუბუქი თქორით მოქსოვილი ბური, რბილად ჩაფენილა ღამეული სივრცის უბეში და სანეტარო ვანცდების მოლოდინით ათბობს ანგიას მთვლემარე ზმანებას. აჰო, შედის ამ სინათლის წრეში — პალტოს საყელო წამოუწევია, საბრალოდ აბუზულა და მძიმედ მიაბიჯებს ნაწვიმარ ქალაქში. აი ნელა ადის ვიწრო კიბეზე, კართან ჩერდება და ზარის ღილაკს თითს აჭერს!

„ვინ არის?“ ისმის ნაცნობი ხმა და მთელ ტანზე ედება საამო, დამაოსებელი თრთოლვა. მოკლე ჩხაკუნი, კარი ოდნავ იდება და მაშინვე ყველაფერი ქრება, დნება და ანგია სასოწარკვეთით მისდევს კარის ღრიტოში წამით გამომკრთალ და მაშინვე გაუჩინარებულ ლანდს და ვერასოდეს ვერ წარმოუდგენია ნათლად იმის სახე, ვინც ასე მოუთმენლად

ელოდება... და შემდეგ ზის მწვანე სავარძელში, საზურგეზე გადაწოლილა, ნეტარად ჩაძირულა სუფთა ოთახის უცხო სიმყუდროვეში და ელის მის სიახლოვეს...

მაგრამ ეს ხომ იყო უკვე?! ეს სიმშვიდე, ეს სანეტარო შეგარძნება სიუცხოვისა, ეს მეუფება მისი სულის, ეს სიყვარული — ყველაფერი ხომ იყო ადრე, დიდი ხნის წინ, ვიდრე ასე ხელგაშლით გაფლანგავდა ყველაფერს. ეს ხომ ანეტა, ეს ხომ იგივე თავდაჯერებაა, რაიც მულამ ეუფლებოდა ხოლმე იმ შორეულ დროს, როცა შეეძლო ნაწილ-ნაწილ ეხარჯა მაშინ მხოლოდ მისი კუთვნილი და სხვისთვის საიდუმლო საუნჯე. ეს ხომ იყო ადრე და მხოლოდ უდაბურ ნისლად ჩამომდგარი ქაში ამორებს მისგან, და მაინც, რა უცნაური მოჯიბრე კმაყოფილება ეუფლება ხოლმე, როცა ამ ხილვაში იძირება და — მხოლოდ ახლა ხედება ამას, ამასაც ახლა სწვდება ცხადად მისი სნეული გონება — საკუთარ ორეულთან დალატობდა ანეტას, ოცი წლის წინანდელ ანეტაში ცვლიდა და ისე ძლიერად ეუფლებოდა ეს სიყვარული, რომ შინ ეელოდა ჩერდებოდა, გაბრუებული დგებოდა და მიდოდა გარეთ, საღდაც, უმიზნოდ რომ ეხეტიალა.

— მალე მოვალ...
ანეტა უხმოდ გამოვიდოდა ოთახში, ნელა მიუახლოვდებოდა, მხარზე დაფრენილ ბეწვს მოაცილებდა, ფრთხილად ჩამოუსვამდა ხელს— „არ დაიგვიანო ვახშმად, გოგოც მოვა საცა“ — და მორჩილ მზერას გააყოლებდა. და თვალსა და ხელშუა ქრებოდა ეს ზმანებიერი ღალატი, ყველაფერი დნებოდა ამ ჩუმ, ბრალეულ მორჩილებაში.

— მალე მოვალ — იტყოდა ისევ, ცოლს გაუღიმიებდა და მიდიოდა, თითონაც არ იცოდა რატომ, იქნება სურდა ამ გაუგებარი წასვლით დაეფრთხო ანეტა, დაეეჭვებინა მის ოჯახურ სიმშვი-

სოსო კვიციანი
შპანასენელი ლტოლნი

დღეში და ამ ეჭვით გაემაგრებინა თავი-
სი უფლება — უფლება მეუფების,
უფლება სიყვარულის, რომლითაც აღ-
სავსე იყო მისი გული! იქნებ სურდა,
წასულიყო და ორიოდ საათის შემდეგ
გარედან შემოეტანა ის, რის აუცი-
ლებლობასაც ტკივილით გრძნობდა იმ
წუთას — მხოლოდ საკუთარი, ყველა-
სათვის უცხო სული. და გვიან დამემდე
გნებტობდა ქალაქში.

ეს იყო მისი დალატი. ყველაფერი,
რასაც მამინ ირგვლივ ხედავდა, ყოველი
საგანი, მთელი ეს დამეული სამყარო
იყო მისთვის ის საიდუმლო არსება, ვი-
საც აღევდა თავის გაუგებარ, მოჯიბ-
რე სურვილს, უნაპირო სიყვარულსა და
გნებას და მერე, შინდებრუნებული, და-
მნაწვევსავით ჩაუვლიდა მომლოდინე
ცოლს, მძინარე შვილს გადახედავ-
და, უსიტყვოდ ჩამოქდებოდა ტახტზე
და ელოდა, მოუთმენლად ელოდა შე-
კითხვას, რომლის პასუხიც უკვე დიდი
ხანია მზად ჰქონდა: „არა უშავს, გაივ-
ლის ყველაფერი“.

„მე მიყვარს“ — იყვირა ერთხელ
ასეთ სიჩუმეში, მაგრამ ეს ყვირილი
არავის გაუგონია. — „მე მიყვარს და
ნუთუ ეს არაფერს ნიშნავს!“

აი მისი სიმართლე! ამ ტყუილშიც იყო
ძალა მისი და მისი ოჯახისა, როგორც
ზღაპრული ურჩხულისა ოკეანის ფსკე-
რზე ჩაძირულ კევრცხში.

რა თქმა უნდა, ამით არაფერი შეცვ-
ლილა. ცხოვრება ძველებურად მიედ-
ნებოდა და მისი ოჯახი, მისი ორი მყუ-
დრო ოთახი ისევ ისე არის იქ, რვა-
სართულიანი სახლის სხვა ბინებში ჩა-
ფლული და ჩამარხული, ისევ დევს მას-
ში, როგორც პატარა წყნარი კაიუტა
უზარმაზარ გემში და ნელა მიემართება
სადღაც შორს, სადღაც აზრშიუწვდომი
დასასრულისაკენ.

აი, დგას ამ რვასართულიანი სახლის
წინ ქუჩის გაღმა მხარეს, სამრეწველო
საქონლის მაღაზიის, ვიტრინასთან და
უყურებს, როგორ მიცურავს ეს გრძე-
ლი, მძიმე შენობა ბნელით ავსებულ
სივრცეში, დგას და სხვადასხვაგვარად

განათებულ სარკმლებში ეძებს ერ-
თადერთ საკუთარ სარკმელს — მე-
ხუთე ქვევიდან და მერვე მარჯვნიდან
— აი ისიც, მკრთალად განათებული,
თითქოს შუქი კი არ ანთია, ნარინჯის-
ფერი შუშა ჩაუსვამთ ჩარჩოში და
თეთრ კედელზე იღვრება მოწყენილი,
მონოტონური სინათლე, — არის მას-
ში რაღაც სხვა სარკმლებისაგან განს-
ხვადებული, თითქოს პატრონთა იერი
შერევია ბრმად განათებულ ოთხკუთ-
ხედს, — საოცრად გრძნობს ამ მსგავ-
სებას, — ძველი ფერგადასული სურათი
ჰკიდია კედელზე ან მიცვალელების
ოდნავ მიმსგავსებული, გახუნებული
ბარელიეფია საფლავებით გაჭედულ სა-
საფლაოზე.

მაგრამ მას ელიან და გრძნობს, რო-
გორ მიიზღანება დრო ამ მოლოდინ-
ში. იმ ბინაში, რომლის კარსაც ახლა
შეადებს, იქ, შუაგულ ოთახში, ტელევი-
ზორის მკვდარი ნათელითა და ლანდე-
ბით დასახლებულ სამყაროში დგას
მისი ჩრდილი, ყველაზე ძლიერი და ამა-
ყი ჩრდილი და არც ცოლს, არც შვილს
უმისოდ ყოფნა აღარ შეუძლიათ...

და ბოლოსდაბოლოს დასთმო. ანეტა-
სათვის, ელისოსათვის... ქაღალდის წა-
მიერმა ბეგრამ დაასრულა ეს მეუფება...

ვილაცა მკლავეზე შეეხო:

— ბატონო, თქვენ გეუბნებით.

— ა?

— აქეთ წამობრძანდით, გადაღებას
ვიწყებთ.

ანგიამ დაბნეულად შეხედა მის წინ
მდგომ კოხტა, პირმრგვალ ქალს.

— ლეილა! — გასძახა რეჟისორმა, —
მოდი ერთი, შეალამაზე.

ვილაცა გაკანაქული ტუჩა გოგო მიე-
ხლა, ხის პატარა ყუთი ძირს დადო,
ვაიმართა, თავი მოხდენილად გადააქნია,
ბიჭურად შეკრეპილ თმაზე ხელი გადაი-
სვა და ანგიას ახედ-დახედა, ქული შეუ-
სწორა, პიჯაკზე ხელი ჩამოუსვა და ლო-
ნიერად დაქაჩა კალთაზე.

— არაფერი არ უნდა, — თქვა და-
ფიქრებით, — ბარონივითაა, რა უნდა, ა?

— ჰო, კარგი, — უთხრა რეჟისორმა

და ანგიას მიუბრუნდა, თავი უკან გადასწია და ცერად აათვალიერა, — უფრო ცოცხლად წამოდით, იქ, ქვევით, მკვლელობა ხდება, კაცს ჰკლავენ. აი იქ, — ხელი გაიშვირა ქალმა, — თქვენ პირველმა დაინახეთ და მისაშველებლად გარბინართ, აი აქედან. — ახლა მეორე მხარეს გაიშვირა ხელი, ისე რომ ანგიასათვის თვალი არ მოუცილებია, — შემდეგ ეს ხალხიც მორბის. ჯერ ჩქარი ნაბიჯით მიდისხართ, შემდეგ გაიქცით, აი იმ ხეს რომ მიადწევთ, გასაგებაა?

ანგიამ თავი დაუქსია.

— ჯიმშერ! — დაუძახა რეჟისორმა და ანგიაზე ანიშნა.

ანგიას გვერდით ერთი დაპრანჭული დედაბერი ამოუდგა.

— ნუ გეშინიათ, — დაიჩლიფინა და მკლავზე ხელი მოჰკიდა, — გაბედულად გააკეთეთ. თქვენს შემდეგ მე და ის ყმაწვილი მოგრბივართ.. აი ის...

ანგიამ ახმახ, წვერმოშვებულ კაცს შეხედა. კაცმა გაუღიმა და ღოჯა კბილები გამოაჩინა.

— ვაჰ, ეს ანგია არ არის? — გაიოცა ვილაკამ. — თამაზ, თამაზ, ნახე ანგია მოუყვანიათ.

— ე, გიყების დოღია?..

— მოეშვით, — თქვა ჯიმშერმა, — თქვენს საქმეს მიხედეთ.

— მთავარ როლშია?

— როგორ შეიძლება, ყმაწვილო! — დაიჩლიფინა დედაბერმა — როგორ არ გრცხვენიათ.

ანგიას და ჯიმშერს ხალხი შემოერთყა.

— რა ამბავია მანდ! — იკითხა რეჟისორმა — ჯიმშერ, რა ამბავია, რატომ არ ვიწყებთ?

— აბა, ადგილებზე! — ხელი ხელს შემოჰკრა ჯიმშერმა. ეტყობოდა თვითონაც ვერა ვაგვო რა ამ საქმისა და უხერხული ღიმილით იხედებოდა აქეთ-იქით.

— მოამზადეთ აქტიორი! — დაიძახა ოპერატორმა.

ხალხში სიცილი გაისმა. ფეხათრევით

შეუდგნენ აღმართს და ქუჩის თავში მოგროვდნენ. მომლოდინე ღუმილი გამეფდა ირგვლივ.

— ასვეთითელი! — გაისმა ბრძანება.

— ხუტა! ხუტა! — ღრიალებდა ოპერატორი, — რა დროს ეგვებიო, კაცო, ნამუსი არაა? ჩააქრეთ მაქ სინათლე! — გასძახა ვილაკას აივანზე, — რა მიიმუნობაა!

— ნუ ილანძღები, — უთხრა რეჟისორმა, — რა ამბავია...

— კარგი რა, მარინა, ამის დედა ვატირე.

რეჟისორს გაეცინა

— მზად არის? — იკითხა ხმამაღლა და პასუხისათვის არ დაუტვია, დაიყვირა: ნომერი!

— ახლავე, — დაბალი, ჩამრგვალებული ქალი ბაჯბაჯით ამოუყვია აღმართს, — ახლავე, ახლავე! — იძახდა დაფეთებული.

— გადამრვეს ეს ხალხი! — ხელები გაშალა რეჟისორმა — საღ ხარ, ნუცა, ადამიანო!

— ახლავე, ახლავე, — ქოშინებდა ნუცა, თან ხელში შავ დაფას ატრიალებდა და ნომრებს არჩევდა. როგორც იქნა, მორჩა ფაციფუტს, აპარატის წინ გამოვიდა, დაფა ასწია, ღერძს ხელი მოჰკიდა და დაიყვირა:

**„სიმაგი“ ნაიროდი „მაკლელოზა“.
დუბლი პირმული.**

და ღერძი გაატკაცუნა.

— კამერა!

და ანგიამ გაიგონა რალაც მონოტონური რაკრაკი და ერთბაშად მოაწვა მკერდში სულსშემხუთავი ტალღა, ნელ-ნელა გადნა, დაიშალა და მომთენთავ ნაკადად ჩაედგარა სხეულში, კიდურებს დაურბინა, სახსრები მოუდუნა და სადღაც ქვემოთ მიიღია ცხელ, გამაბრუებელ ნეტარებად. მაშინვე ის შავი დაფაც მოსცილდა აპარატს და დაინახა ჩიქურ მოზაქენილი მთუთქავი

სოსო პიპაძე
უკანასკნელი დუბლი



თვალი, რომელმაც უცებ ყველაფერი ადგო, შთანთქა და თავის მაგნიტურ, უძირო წიაღში გააქანა მთელი ძალ-ლონე, გონება, გაბრუებული არსება მისი. მომთვარულივით გადაღვა ნაბიჯი.

— ბრწყინვალეა! — გაიგონა ქალის შორი, ზეცით ჩამომავეალი ხმა, ყურებში ჩაუღდა და მთელი გონება ამოუვსო.

— წავიდა! — ისევ დარეკა იმ ხმამ და მაშინვე ნელა დაიძრა ეს შავიური თვალი, ეს მაგნიტური უფსკრული და ანგია მონუსხულივით მიჰყვა მას, თვალს არ ამორებდა და იგრძნო, როგორ ამოძრავდა ირგვლივ შემომდგარი გარემო, როგორ დაქანდა ეს გამოკვებელი ნათელით, ღვთაებრივი სიმსუბუქით და მორაკრავე ბგერებით ატაცებული სივრცე, რაღაც უზომოდ ვიზარდა, გაფართოვდა, საზღვრები დაჰკარგა, ყოველივე გაქრა, ყველაფერი შორ, სიზმარულ ბურანში ჩაძირულ ლანდებად არიალდა თვალწინ, თვით ეს ქუჩაც, მისი მანუგეშებელი მყარი სიმტიციეც და დარჩა მხოლოდ შავი, უფსკერო სიღრმე, ეს ხმა, — საღღაც ზეგარდმო სიმორიდან მრეკავი და თვით ანგია, უკიდევანო სამყაროს გულში აღმართული ადამიანი, შერჩენილი გონისწამართმევი სიხარულისა და რაღაც უზენაესი ძალის წინაშე, რომელსაც ვერ ასაცნაურებდა ახლა, ვერ სწვდებოდა, მაგრამ მაინც მთელი არსებით გრძნობდა მის ბედისწერულ, მაგიურ მოვანებას.

და რეკავდნენ შორეული, მივიწყებული ხმები, რაღაც უქამობის წიაღში ჩაქირული ცოცხლდებოდა, გზას მოიკვლევდა, მოფათურობდა და აჰა, მოვიდა, მოადწია და აქვეა, ამ თილისამურ თვალში, მის ყოვლისმშთანთქავ სიცარიელეში ცხადდება ის სანეტარო ძალა — სიმართლე მისი!

წაიღეთ, გაინაწილეთ! აგერაა. მის წინაშე, მის მეუფებაში...

თქვენ გესმით ეს ზეციური ბგერები? იგი მისთვისაა, მისთვის ხმიანობს და ნელ-ნელა აჭედებს კაშკაშა ნათელით ატაცებულ სივრცეში, ამკვიდრებს, ამაგრებს, რათა ზუსტად დიხსომოს მისი

სახე, ყოველი ასო, ყოველი შეტყუების მისი ტანისა და ჰა, გამოერღვა სხეულს ის გარდასული ორეული, სამუდამოდ ჩასახლდა საღღაც გარეთ ამ უძირო, ყოვლისმომცველი თვალის წინაშე, ჯიქურ რომ მობჯენია და იზეპირებს, იზეპირებს!..

იმ წუთას მის სნეულ გონებას ვერ სწვდებოდა ამ ამბების ნამდვილი არსი. არაფერი არ იყო მისთვის, იყო მხოლოდ ეს ნათელი სივრცე, ძვირფასი, საყვარელი სახეებითა და მოგონებებით დასახლებული სამყარო და იღვა საჩინო და გამორჩეული ამ ბედისწერული თვალის წინაშე, საღღაც იქ, საზეიმო მწუხარებით გაქლენილ გაჩახჩახებულ ოთახში, ზეწარგადაფარებულ სარეცელთან, რომელზეც ესვენა ძვირფასი ნეშტი ანეტასი, თუ მანამდე, მძიმე, ტყვიანსფერი შუქით შესუდრულ კედლებს შორის, თეთრად მოხასხასე საწოლთან, რომელშიც ძლივსდა ბუტუავდა ცოლის მიმჭრალი, გულისმომწყვლევი სინანულით მბოლავი მზერა და საოცარი კდემით გასხვიოსნებული სახე... აჰა, ანეტა, სიმართლე ჩემი! აი ის შემაშინებელი, გაუგებარი ძალა, რომელსაც მთელი სიცოცხლე ვეძებდი, რათა მომეტანა და ამეგსო ის დამზაფრავი სიცარიელე, ახლა რომ გადაულახავ ზღუდედ აღმართულა ჩვენს შორის!

როცა შენ ტიროდი, როცა ცრემლიანი მევედრებოდი ჰკუას მოუხმეო, რისი უფრო გეშინოდა მაშინ — იმისი, რომ შენი ქმარი თავს რაიმე უბედურებას დააწევდა, თუ იმისი, რაღაც რომ შეიცვალა შენს ცხოვრებაში? შენ ამ სითამამის უფრო გეშინოდა, ქმრის ამ შეუცნობელი, სხვა სახისა. შენ გაჯობეს და გაბოროტდი, შენ დაგამარცხეს და გაგრიყეს! რაღაც სხვა, უფრო ძლიერი გეტოქებოდა შენ და შენს ოჯახს, რაღაც იყოფდა ჩემს გულსა და გონებას! — აი რისი გეშინოდა! შენ იფიქრე, რომ ამ სითამამიდან ერთი ნაბიჯი იყო ცოლ-ქმრულ დალატამდე. შენ გეგონა, რომ იკარგებოდი, როგორც ქალი, რადგან გაჩნდა რაღაც სხვა, რომელმაც

მე დამიმორჩილა. ის შენი მეტოქე იყო, სხვა ქალი და ეჭვი არ გასვენებდა. შენ შეგეშინდა, რომ ამიერიდან შესაძლოა აღარ დაეჭვრდე იმას, რაც გამაჩნია, ალბათ მაშინ პირველად დაუჭვირდი, რომ მე მხოლოდ ორმოცდაათი წლის ვიყავი და ამ ასაკის ჯანდონით სავსე შინიან მამაკაცს შეუძლია სხვა ქალი გაიჩინოს. ჩემს ბრძოლაში შენ საკუთარი ოჯახის წინააღმდეგ ამბობხვაც მოგჩვენა! შენში ქალმა გაიღვიძა, მაგრამ უკვე გეშინოდა ჩემი და ამიტომ თვალთმაქცური მუდართითა და თავის შებრალებით, მამაკაცური ძალის წინაშე უმწეობის თამაშით, ანდა საზიზღარი გულგრილობით ცდილობდი ჩემს დამარცხებას და შესძელი კიდევ, რადგან მარტო არ იყავი! გქონდათ კი ამ ეჭვისა და შიშის საბაბი? თქვენ ხომ არ იცით, რა მოხდა, მაშინ...

...მაშინ მან პირველად იგრძნო ის დიდი და ჭერარგანცდილი ალტყინება... ყოველივე აქამდე არსებული, მთელი მისი ცხოვრება უშინაარსო, ნაკლებ სიცარიელედ შეგროვდა, გაავსო და გააოგნა. ეს იყო უდიდესი ნეტარება, ისეთი, რომლის მსგავსი არასოდეს სწევია. თავის სასოწარკვეთილ გამბედაობაში და გამაფრთხილებელ შიშში, მაშინვე რომ დაეფულა, მან მამური გუშანი ინიშნა ის მთავარი და ყველასათვის გაუგებარი მიზეზი, რომელსაც მხოლოდ შემდეგ, ყველაფრის დასასრულს ჩასწვდა ცხადად. მომბოდიშებული მხერა მოავლო ოთახში შეკრებილთ, თითქოს უდიდეს დანაშაულს ჩადიოდა, წამოდგა, ძლივს მოიბრუნა სული და მღელვარებისაგან დამბრჩელი ხმით თქვა: „ყველაფერი ტყუილია!“ — და უცებ ჩამოვარდნილ სამარისებურ სიჩუმეში, რომელმაც გახურებული შანთივით ამოუწვია ყურები, გაიგონა ძალიან შორიდან მომავალი, მშვიდი, თავის ძლევამოსილებაში დაჯერებული ხმა: „რა არის ტყუილი!“ „ყველაფერი! — ხმას აუწია ანგიამ,

— ის რაც აქ ხდება, ტყუილია! — ეს „მე“ საგანგებო ხაზგასმით და ხმამაღლა წარმოსთქვა და მაშინვე გულრ გაუფლითა ამოვებისა და სინანულის გაუძლისმა ტალღამ და ენა გაუხვევდა, — „მე არ მსურს თოჯინასავით ვიჯდე აქ და ვისმინო ეს..“ „დაბრძანდით!“ — ისევე გაიგონა ის მტკიცე, თავისი ძლევამოსილებით მოზეიმე ხმა და ანგია მონუსხული დაემორჩილა, დაჯდა და თითქოს ზღვის ფსკერზე ჩაიძირა.

ანეტასათვის, ელისოსათვის! იგი უცებ აიტანა შიშმა იმის გამო, რომ მიხვდა: თვით ეს ამბობხვა იყო ტყუილი, ისეთი ტყუილი, რომლის ბოლომდე ტარებას ვერ გაუძლებდა! ამ გაბედულებას არაფერი ჰქონდა საერთო იმასთან, რასაც ეს ხალხი ფიქრობდა. ამ მშფოთვარე მოლოდინით დამუხტულ მდუმარების მიღმა, ამ შეჩვეულ და, ამავე დროს, გულის დამამძიმებელი სიუცხოვით გარინდებულ სახეთა იქით, რომელთაც თვალს ვერ უსწორებდა ანგია, მაგრამ მაინც გრძნობდა მათ შეცბუნებულ იერს, კიდევაც თანამგრძნობ, მაგრამ ნაძალადევი ირონიით გამსჭვალულ გამომეტყველებას, ამ ოთახს გარეთ, რომელიც უკვე ნელ-ნელა მოქანავე ზღვის სიღრმესავით ირწეოდა მის ირგვლივ, სადღაც შორს, უკვე მიუწვდომელ ნაპირზე იდგა მისი სახლი, მისი სიყვარული, მისი ძალა, რომელსაც საყრდენი ეცლებოდა. უფლება... უფლება... ჰო, აი ნამდვილი სახელი ყოვლის: უფლება დაგმანულმა წყაროსთვალმა ამოხეთქაო, სადღაც მკერდის სიღრმეში ამოვარდა ძლიერი, მამაკაცური სიმშვიდე და მთელი სხეული გაუესო. თავი აიღო, მეფური მხერა მოავლო ირგვლივ, ჯერ კიდევ შიშგამოუწუნებელ სახეებს ჩამოუარა და, თითქოს ბაზრობაზე იმყოფებოდა, — სწორედ ასე გაიფიქრა იმ წამს მისთვის უჩვეულო, უცებშეძენილი ირონი-

სოსო კაიხაძე
შატანსაძენი ღვალი

ით, — თითქოს ბიზრობაზე იმყოფებოდა, საოჯახო საყიდლებივით აჭრიდა ამ სახეებზე დატყეული დადი-საკუთარი სითამამისა!

მაგრამ ვინ მიხვდება ამას! ვინ გაიგებს თუ რა გრძობა დაეუფლა ერთხელ, რამდენიმე დღის შემდეგ, როცა შინ მიდოდა, და ზღვისპირა პარკის ზღუდესთან მიმავალ ახალგაზრდებში უცებ ელისოც იცნო. პირველად მაშინ იგრძნო ყველაზე ცხადად, რომ რაღაც შეცვლილა მასში, აღზევებულია რაღაც აქამდე არარსებული დიდებული განცდა, რომელიც არ გავდა მარტო მამობრივ სიყვარულს:

— ანგია იდგა ქუჩის მეორე კიდეზე მაგნოლიების ჩრდილში და შვილს უყურებდა. ელისოს თეთრი კაბა ეცვა, მხარზე გრძელთასმიანი ჩანთა გადაეგდო, ამაყად მოაბიჯებდა, მიღალ ბიჭს უსმენდა და იცინოდა. დროდადრო შედგებოდა, ბიჭს მკლავში ჩააფრინდებოდა, თავს უკან გადააგდებდა და ანგიამ იგრძნო, რომ იქ, შუაში, შვილის გვერდით იდგა თვითონაც, უჩინარი და უტყვი, თვითონ კი არა, რაღაც მისეული უსახელო ძალი, ლანდურად რიალებდა მათ შორის, ანრდილივით დაჰყვებოდა შვილს. ყველაფერი იქ იყო: მისი გაბედულება, მისი შიში, მისი ბრძოლა, თვით იმის შეგნებაც, რომ ყოველივე ამო იყო, ისიც, რომ თვით ანგიას ეპარებოდა ეჭვი თავის სიმართლეში და ისიც, რაც ასე მყარ, ნანატრ თავდაჯერებად ჩასახლებულიყო მის არსებაში... ყველაფერი შვილს ახლდა, მასაც ეკუთვნოდა, ყვარჯენივით ედგა მხარში, უფლებას აძლევდა, აცოცხლებდა.

და უცებ ზედ ყურთან გავარდა ქალის ნერვული ყვირილი... „მასა!“ და ახალა შენიშნა, რომ ხელივით მიაბოტებდა თავდადმართში, უსაშველოდ გრძელ ნაბიჯებს ადგამდა, კუნთები დაძაგრვოდა, ფეთიანივით იქნევდა ხელებს.

— მასა! მასა! — ისევ ჩაესმა ქალის ძახილი და მაშინვე მახინჯ ექოსავით გახმინაო ქუჩის თავში მამაკაცის მამ-

ლაყინწური ყვილი — „მასა! მასა!“ და კინაღამ ანგამაც აიტაცა ეს უაზრო სიტყვა. დაუოკარი ეინი მოაწვა ყელში და იმავ წამს გაიგონა, როგორ იხუვლა რაღაცამ ზურგს უკან, თქარათქურით წამოვიდა, დაედგენა... ანგია შედგა, იმ ხმაურისაკენ შებრუნდა და დაინახა თავქვეზე სირბილით ჩამომავალი ხალხის გუნდი, რომელიც ლოდივით მოგორავდა მისკენ და სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა: ახმახი, წვეროშვებული კაცი მობრბოდა წინ, ხელებს იქნევდა და გაჰყვიროდა, უკან გაღუული დედაბერი მოფერფეტობდა, სახეს მანჭავდა, იმუქრებოდა, ძვალტყავა მუშტებს უღერებდა, მერე ჩამორჩა და ბრბოში დაინთქა. ახლა ორი თეთრკიტელიანი მამაკაცი დაწინაურდა—ერთი კოკლობით მობრბოდა და გაშვებული ფეხით უზარმაზარ რკალებს ხაზავდა ჰაერში, მეორე ვეება ნაბიჯებს ადგამდა და წისქვილის ფრთებივით ატრიალებდა დევის მკლავებს.

წაასწრეს! წაასწრეს! დანაშაულზე დაიჭირეს ისევე, როგორც ქურდს დაიჭირენ ხოლმე დღისით-მზისით. აი თავხედობა! ეს ქურდი მარტო ფულს კი არ იპარავს, რაღაც იღუმალ, თითოეული მათგანის არსებაში უიმედოდ ჩამქრალ ძალას ეჯიბრება და დასცინის, რაღაც ახსენდება ხალხს, რაღაც სხვა, ყოველდღიურობის მიღმა არსებული უცხო სურვილი ებრძვის მათ საექვო თავდაჯერებას და ისინი ბრაზობენ, ყვირიან, ქურდობას კი არა — საკუთარ თავს უჯანყდებიან, საკუთარ დღეს, რომელიც ასე სინანულის მომგვრელად გავს მეორეს, აგერ იმას, ნაძალადევი ირონია რომ მოუხმია, რათა ამით მაინც შეინიღბოს სახე, რომელიც ასე გულის მომწყვლელად გაშიშვლდა ამ უცნაური ადამიანის წინაშე თავისი ყველასაგან განურჩევლი, ერთნაირი, დამამცირებელი სიშიშვლით: აი ქურდი — სინდისგარეცხილი ბოროტი კაცი!

ეს იყო მისი სიმართლე!
როცა დილით დაწესებულებაში შედიოდა, როცა დინჯად ჩაივლიდა ვიწ-

რო უსინათლო დერეფნებს და თავაზიანი თავის დაკვირვით ესალმებოდა თანამშრომლებს, გრძნობდა, რა მოგონილი გულგრილობით პასუხობდნენ ისინი, რა საგანგებოდ განუჩინებელ, მაგრამ აშკარად დაეჭვებულ შხერას აგებებდნენ ვზადაგზა. ეს იყო ნიღაბი, — ანგია მისნურად გრძნობდა ამას, — ეს იყო ნიღაბი, რომლითაც ამაოდ იფარავდნენ სახეს. სწორედ ამ ყალბ გულგრილობაში იყო ის, რისთვისაც იბრძოდა, რაც შეუწყველად არწმუნებდა თავის სიმართლეში...

— გაიქცეო! — ისევ მოესმა ქალის მრეკავი ხმა — ბატონო, თქვენ გეუბნებით, გაიქცეო, იქით, იქით!

ანგია მოჯადოებული მიაჩერდა მის ნათელ, ბავშვურ სახეს, სიღრმიდან გამომზიარალ თილისნურად მოციმციმე თვალებს, სხარტ მკვრივ ტანს, თოჯინაზავით რომ შესკუბულიყო ურიკაზე, თითქოს ნახტომისათვის შეძგიბულიყო და ამ ნერვული ქინით ატაცებულმა სხეულმა ანაზღად კიდევ ერთი წამიერი ლანდი შეაფათურა იმ ფარდის მიღმეულ სივრცეში, მაგრამ სახამ მასაც გაიცხადებდა გონება, ნელა დაიძრა ურიკა, ვაცურდა, ანგიაც გაიყოლია და შემდეგ ყველაფერი აირია — ვილაკეებმა ჩაუბრინეს წინ, ხელი ჰკრეს და გვერდზე მიაგდეს, გროვად დაქანდნენ დღმართში, ანგია თვალწინ მობანცალე სხეულებში ერებდა რალაცას, გვერდულად მიდიოდა, კისერს იგრძელებდა, ცდილობდა ხალხს ზემოთ გადაეწვდინა მზერა, არ დაჰარგულიყო, არ მოწყვეტოდა მაგიურ თვალს, მაგრამ ვეღარაფერს არჩევდა: — ყოველივე მოძრაობს, დადს, თვალსა და ხელშუა იცვლის ფორმას და ატრიალებს თავის შმაგ, მღულარე მორევში! თვით ეს ქალაქიც, რომელშიც ცხოვრობს, რომლის ჰაერითაც სუნთქავს და უყვარს, სადღაც მიბობდავს, ასუფხას საცეცებით ეგება სივრცეს, იტოტება, იფთხვება მიწაზე. რა ძალა მართავს ამ მოძრაობას, ვინ განაგებს, ვინ მეუფებს თავისი ყოვლისღამორგუნავი გამყლელი ძლევაძმოსი-

ლებით? (— ჩქარა! ჩქარა! — ყვირის ვილაც, — ნუ ირევით, მარჯვნივ, მარჯვნივ! — ვილაც ისევ დაეტაკა და გვერდზე მიაგდო). რა არის იგი, რასაც ასე მორჩილად მინებენია ყოველი? ყველაფერში გრძნობს მის ბედისწერულ არსებობას, მაგრამ არასოდეს განუცდია ასე ცხადად: იცდა თავისი სახლის აივანზე და გაჰყურებდა მიმწუხრის ბინლით შესუდრული ქალაქის დაკბილულ სილუეტებს. შორს დამრეც კალთაზე შეფენილი სახლების ნაირფერად სახურავებს მიღმა, უეცრად შემართულ გადაგუსილ სერზე ილანდებოდა მაღალი, ჯერ დაუმთავრებელი შენობებისა და ხარაჩოების ანონჩხილი სილუეტები და მათი უძრავი, ამაყი მღუმარება, რომელშიც იყო რალაც მოწიწების, შეუცნობელი მოკრძალების აღმძვრელი თავისი დაუსრულებელი, ჯერ კიდევ გამოუჩენელი ნამდვილი სახის გამო, ანგიას საოცარი სიცხადით ანიშნებდა სწორედ ამ უხილავი, ფარული ძალის მაგიურ მეუფებას. აქამდე არც შეუნიშნავს, როგორ თვალსა და ხელს შუა წამოზრდილა ამოდენა უბანი, ღონიერი მკლავით გამობმია თვალსაწიერამდე განფენილ სივრცეს, ზედ წამოდგომია და ჰყვლეს თავისი მკაცრი, მოძალადე იერით. შემადრწუნებელი ქინით დამუხტულიყო ეს უსწორმასწორო ზოლი ზრდადაუსრულებელი შენობებისა, ცოცხალ არსებასავით გადაგებოდა სულთმობრძავი ნათელით შეფაკლულ ტატანს, ზღაპრულ გოლიათივით მოსკიდებოდა ტყეისფერ ცარვეალს ამწეების ცადაღრული მკლავებით და თავს იმაგრებდა, რომ თავისი სიმძიმით არ გაესრისა ყოველი, რაც ახლა ასე თვალისა და გულის მოსალბუნე სილამაზედ გართხმულიყო მის ფერხით და მოკიფე ნათურების მანუგეშებელი სიმშვილით ავსებულყო. ქამიყამ ბუგელების მაგნიზიური ნათელი გაჰყვესავდა დაბლა, უღიმღამო რეკლამებისა და განათე-

სოსო პაიჭაძე
შპანსაკნელი დუბლი

ბული ვიტრინების ნაგლეჯებით დაფლეთილ ბინდში, ან კრიალა ავტომობილი გაკრთებოდა გზაჯვარედინზე, შუქფარების ნათელით აავსებდა ბნელი ქუჩის მონაკვეთს, წინ და უკან მოარული მგზავრების ბუტაფორულ სხეულებს გაამჟღავნებდა, შემდეგ თვალის დახამხამებაში გასხლტებოდა და ყოველივეს ბნელ ფარდას ჩამოათარებდა და მაშინ ანგიას მზერას მიიტაცებდა შორს, ზღვისპირა პარკის თავზე ჩალუსკუმებულ სივრცეში ამოჭრილი მარაოსებრი ნათელი, რომელსაც ალბათ გაჩახჩახებული საცეკვაო მოედანი აშუქებდა დაბურულ ტევრიდან, თანდათან იზრდებოდა, ყოველივეს ეფარებოდა.

ვინა ხარ შენ, ამ ჯადოსნური ფერადოვნებით მოთამეშე სამყაროსა და დამეული სივრცის წინაშე, რომელიც თვალსა და ხელშუა იძაბება, იძაგრება და ლამისაა გაწყდეს მისი ფარატირა აფსკი — უხილავი კედელი შენი დღისა და ღამისა!

და, ყველაფერი ტყუილია! — დაიყვირა მან, — ყველაფერი, და მე არ მინდა, რომ — „დაბრძანდით!“ — დაეძგერა შორი, მბრძანებლური ხმა და ანგია დაჯდა და თითქოს ზღვის ფსკერზე ჩაიძირა...

მაგრამ არავინ უწყის მისი სიმართლე. არავინ იცის, თუ რა იგრძნო ერთხელ, ადრე გაზაფხულზე, როცა ბუნება ცოცხლდებოდა, ლუოდა, როცა საამო სურნელი ასდიოდა თანდათან ღონემოკრებილი მზით გამთბარ და ტკარცალამინანქრულ ნათელში გადაღვრილ ქუჩებს, როცა ყველაფერი მოძრაობდა, წრილებდა და ამ გამაბრუებელ გარემოში ჩამომდგარიყო რაღაც გასაგებებული ყინი, უჩინო, მფრთონავი არსება, რომელიც ყოველივეს ავზორცული სისმავით უხმობდა თავის ვნებამორეულ წიაღში, როცა ანგია გრძნობდა, როგორ თქვუნავდა ეს ყოვლის ამავსებელი ველური ძალა, ყველაფერში შემომდგარი და მოწოლილი, როგორ სრესდა და ანადგურებდა მის არსებაში დასადგურებულ სიმშვიდესა და წონასწორობას,

სადაღაც ყველაფრის გარეთ, ყველაფრის მიღმა მიერეკებოდა (ნათია! — ნათია!) და ნელ-ნელა შემოსეული ექვებით უმღვრევდა მარადიულ თავდაჯერებას.

იქნებ არც ეს ყოფილა? იქნებ ესეც ზმანებაა მისი სნეული სულისა? მაგრამ ახლა ცხადად გრძნობს, როგორ მიჰყვებოდა მაშინ გვერდით მუდამ თანმხლები ავბედითი ძალა და ურცხვად თხოვდა თითოეული ნაბიჯის საფასურს...

სადაღაც ახლოს, სულ გვერდით იდგა მისი დღე, მისი დილა და საღამო. აგერაა, აგერ, აი ეხება კიდევ, ესმის მისი ნაცნობი, საკუთარ ხმასავით სისხლბორცეული შრამუნი — ხელი ჯიბეში ჩაიყო და მაგრად მომუქა რბილი, გაცრეცილი ფული. ამ ქალღღებში მომწყვდეულა თვითონ, მათში დევს, მათში ჩატეულა მისი წილი ყოველივე იმიდან, რასაც ახლა ირგვლივ ხედავს და გრძნობს: ამ ცის, ამ მიწის, ამ დაუსრულებელი მოძრაობისა და მონაცვლეობის. აი სახემოლიმარი ბიჭი მოდის, ლაბადის ღილები შეუხსნია, გამალეზით იქნევს ხელებს და გრძელი ნაბიჯებით მოიქჩარის; აი დალეული, შავი დელაბერი მიხანხალეს შუა ქუჩაში, მანქანების ეშინია, ფხიზლობს, მაგრამ მაინც კინალამ შეუფარდა წითელ ფურგონიან ავტომობილს, დაფაცურდა, პალტოს კალთაზე ხელი წაივლო და ცუხცუხით გადაიბრინა ქუჩა; მერე შავმა გაპრიალებულმა ავტომობილმა ჩაიჭროლა; ანგიამ მხოლოდ ქალის ქერა თმები დალანდა და მანქანის ღია სარკმილიდან გამოვარდნილი ბგერებიდა დაიჭირა — „ლა-ლა-ლა“, და მაშინვე საშინელი ჯახანი, მსხვრევის ხმა და ქალის შეკივლება გაიგონა და უკან მიიხედა: მწვანე დაგვაჯული ავტომობილი შესკდომოდა უშველებელ ავტობუსს... უზარამზარი ლევა ღრუბელი მოხობავდა ლილისფერ ცაზე, ყველაფერი მოჰქონდა. და ეს ყველაფერი აგერაა, ამ ერთ მუქა ქალღღის გროვამი — მისი წილხვედრი სიხარული, მისი უფლება, მისი ყოველი ნაბიჯი, მისი დღი და სა-

ღამო და აი, დგას პატარა სარკმელთან, იდაყვებით რაფას დაყრდნობია და უყურებს, როგორი გულმოდგინებით ითვის მსუქანი, სათვალისი ქალი ფერად ქაღალდებს, მოწიწებით აწყობს ერთიმეორეზე... ანგია თვეში ორჯერ ხვდება ამ ქალს, პატარა ოთხკუთხედში ხვდება მის დაზვინულ, მაგიდის კიდეზე დახვავებულ მკერდსა და განიერ ზეკებს, კოტიტა ხელებსა და შეუფერებლად წვრილ, ჩამოქნილ თითებს, რომლებიც თითქოს საგანგებოდ ფულის სათვლელადაა გაჩენილი, დაკეცილ დაბაბსა და დიდ, სქელტუჩებიან პირს, შეუჩერებლად რომ ცმატუნობს, ითვის. შემდეგ ქალი თავს წამოწევს, ცქაფი მოძრაობით აიტაცებს მაგიდიდან მომცრო დასტას და რაფაზე შემოდებს და არის ამაში რაღაც გარდუვალი, თვით ანგიას არსებობით განპირობებული აუცილებლობა, რაღაც კუთვნილი მისაგებელი ამ უცხო, დამმონებელი და ყოვლის დამთრგუნავი ძალისადმი, რომელიც ყოველ ნაბიჯზე, ყოველ დროს თან ახლავს. მერე საგანგებო გულგრილობით იღებს ამ მსუბუქ დასტას, დაუთვლელად იღებს გულის ჯიბეში და გრძნობს, როგორ ივსება მთელი მისი არსება მძიმე, წუხილნარევი სიმშვიდითა და სიმყარით, სხეულის თითოეული წერტილი უმგრძობიარესი საცეცებით ეხება ყველაფერს, რაიც უცებ ასე მოძალადე, წვერწამახული საჩინოებით წარმოდგება ყოველი მხრიდან: მუქარით გამოჩრდილა დანისპირივით ალესილი ძვირფასი კედლისა, ფეხსაცმლის ლანჩებით გრძნობს პარკეტზე დაგებულ ხალიჩის ხაოიან ზედაპირს და რბილად ეფლობა მასში, ხმაც კი ესმის, თითქოს დატკეპნილ პრაქუნა თოვლზე მიდიოდნეს, კიბის გრანიტის საფეხურებში და კრიალა სახელურში გროვდება მთელი აზრი ამ მძიმე კათედრალური ბინდით მოცული შენობისა და, თუმცა უჩვეულო სიმსუბუქეს შეუპყრია ანგიას სხეული, ზაინც გრძნობს საფეხურებზე სიმყარესა და სიმტკიცეს, მთელი

ძალღონით ეკიდება მსხვილ, ენაქანულ ისე მაგრად, რომ კუნთები ეძარღვება და სახსრები ეშლება, სხეული ტერასებზე გადმოქუხარე ჩანჩქერით იმსხვრევა კიბეზე და ყველაფერს ავსებს, ყველაფერში ნაწილდება და იკარგება და ქუჩაში გამოსვლისთანავე თავბრუდამხვევი სისწრაფით უერთდება აწრიალებულ საგანთა მორევს.

აგერაა, ამ ერთ მუტა ქაღალდებშია მისი ძალა, მისი სული და ხორცი, მისი ოჯახი, სიყვარული. ესაა საზომი ამ სიყვარულისა, უფლება სიყვარულისა, გზა სიყვარულისაკენ და აი დგას თვლებმომციმციმე ყუთის წინ; ამაყად და ძლევამოსილად იღებს ჯიბიდან ოქროსფერად ბზინვარე ლითონს, დინჯად უშვებს ზუსტად მოსადაგებულ ქრულში და იმავ წამს ესმის მის დამნთქმელ სიღრმეში გახშიანებული მოკლე ჩხაკუნი და მაშინვე ჩამოვარდნილი მეტყველი მღუმარება — უხილავმა მტაცებელმა დაპკრა თავისი მძლავრი ნისკარტი ანგიას სხეულს, ძვალს უწია ფოლადის კაუჭმა, ხორცი მოაგლიჯა და თვლისდახამხამებში გადასანსლა თავის უძღებ სტომაქში — ანგიამ ამწონავი მზერა ესროლა ავი ძაღლებივით ჩასაფრებულ ავტომატურ რაზას, ცქაფად დაუსხლტა წამით წამოფრენილ პატარა შიშს (ასეთი მიშებისაგან შედგება მთელი ცხოვრება!) ტურნიკეტში გაიჭურწა და შვეებით ამოისუნთქა — ხსნილია გზა!

ვისი ვალი გმართებს? ვის დაესხნე დაბადებითვე და ვის უხდი ასე ნაწილ-ნაწილ მთელი სიცოცხლის განმავლობაში? ვის თხოვ იმ დიდი სიყვარულის უფლებას, რომლითაც აღსავსეა მთელი შენი არსება, ვინ მართავს...

— მასა! მასა! — ისევ დაეძგერა უეცარი ხმა და გამოარკვია ირგვლივ მიმოიხედა. კვამლით შედედებულ ნათელში უთავბოლოდ დაბორილობდნენ გაოფლილი სახეები, ზღვის სიღრ-

სოსო კაიხაია
შაანასანილი დუბლი

მეში ჩაყრილ მედუზებზევით ზიმიზიმე-
ბდნენ და იცვლებოდნენ.

მე ვიცნობ ამ სახეებს! მე ვიცნობ ამ
სახეებზე აღბეჭდილ გამომეტყველებას.
ეს შიშია, შიში იმ ამოუცნობი, ინსტინქ-
ტური ლტოლვის წინაშე, რომელმაც აქ
მოგვიყვანა. მე ვიცნობ ამ ლტოლვას:
ესაა ბრძოლა სიყვარულისათვის... არა,
სიყვარულის უფლებისათვის. ჰო,
უფლება, უფლება და სხვა არაფერი.
უფლება სიყვარულისა. უფლება მეუ-
ფების და მერე სიყვარულისა. უფლე-
ბა ერთი დღის, ერთი წამის, რომელიც
მთელს შენს ცხოვრებას უდრის. ეს
შიშია, ამ ერთი წამის უფლების შიში,
ეს სამზადისია ამ ერთი წამისათვის...

— გაიქცეით, ბატონო, ნუ გაჩერ-
დებით, გაიქცეით!

„ყველაფერი ტყუილია! — დაიყვირა
მან, — ყველაფერი, და მე...“

„დაბრძანდით!“

..და საფეთქლები უხურდა მოძალე-
ბული სასმელისაგან. ნეტარად ჩაძირუ-
ლიყო საღდაც ძირს, თამბაქოს კვამლით
დაბინდულ ოთახის სიღრმეში და ზღვის
ფსკერის ხმაურივით უზუზუნებდა ყუ-
რებში შეზარხოშებული ხალხის ღრი-
ანკელი. თევზის ძვლებით და დასერი-
ლი თევზებით დახერგილ მაგიდას ექვს-
ნი უსხდნენ. ანგია ხედავდა, როგორ
ცდილობდნენ ისინი სამსახურებრივი
ყოველდღიურობით მოყირკებული ჩვე-
ვების და მიმიკების დავიწყებას, რაღაც
პირველყოფილსა და უცხოს ეძებდნენ
საკუთარ ხასიათში, რაღაცას იგონებდ-
ნენ, წვალობდნენ...

— ანგიას გაუმარჯოს! — თქვა თამა-
დამ, ჭიქა! თითები წკიბად მოკიდა და
შეატრიალა. — „მე მიყვარს ჩვენი ან-
გია“, — განაგრძო ღუმულის შემდეგ,
ანგიას სუნთქვა შეეკრა, თამადას ცერად
გახედა და თვალები მოჰუტა — „მე მი-
ყვარს ჩვენი ანგია, რადგან იგი კეთილი,
გულითადი კაცია, დადის თავისთვის ამ
ქვეყანაზე, არ გაწყენინებს, არ გაგყი-
დის არ გილატებს. ამიტომ გვიყვარ-
ხარ, ჩემო ანგი და გაგიმარჯოს! შენს კაი
კაცობას გაუმარჯოს, შენს ოჯახს გაუმა-

რჯოს, ძმაო, ცოლშვილით, ბედნიერად
იყავი! აბა შენ იცი“ — თვალი ჩაუკრა
და ჭიქა მიიყუდა. „გაუმარჯოს!“ —
თქვა მეორემ და დაფიქრდა, უხერხუ-
ლობის დასაფარავად გაუღიმა, საგსე
ჭიქა ასწია და ცალი თვლით გახედა
სინათლეზე, შემდეგ ისევ მაგიდაზე და-
დგა და ტუჩები მოპრუწა. („გაიქცეით,
გაიქცეით!“ ეს ვინ ყოფილა, კაცო! არ
გესმის? გაიქცეი!“ — ვილცამ ზურგ-
ში ხელი ჰკრა და კინაღამ წააქცია —
„აქტიორა ნე ვიდნო! გდე აქტიორ!“)
და ისევ დაეძგერა ღვინო, გონება
აერია. ჩვენ ვერ ვამჩნევთ! ჩვენ არა-
ფერი არ ვიცით! არაფერი არ მომხდარა!
შენ ისევ ანგია ხარ, ანგია! იციან, რომ
ეს უფრო ძნელია, ვიდრე ყოველდღიუ-
რი შეგონება... მოუნდა აეყირავებინა
მაგდა, ეყვირა, ეგაჟა, თავიბრი დაე-
მტვრია ამ ხალხისათვის, არა, ამ ხალ-
ხისათვის კი არა, იმ მოძალადე რაღაცე-
ისათვის, ყველაფერს რომ ართმევს, აჩა-
ნაგებს, უფლებას არ აძლევს... — ყვე-
ლაფერში, რაც ირგვლივ გახვევია, ყვე-
ლა საგანსა და გრძობაში, რომელიც
საკუთრებად მიგაჩნია, არის რაღაც
სხვა, მონაწილე ძალა. ყველა ნივთიდან
გიმზერს სხვისი იდუმალი თვალი—თვა-
ლი უცნობისა, თვალი ნაცნობისა, თვა-
ლი ცოცხლისა, გარდაცვლილისა — და
არავინ მოგცემს ნანატრი მეუფების
უფლებას, ის სიყვარულიც, რომლითაც
აღსაესეა შენი არსება, სხვისი წილია,
უამრავი ძალა დგას ამ სიყვარულში და
შენ ყველა უნდა დაიმორჩილო, თუ გი-
ნდა რომ დაისაკუთრო ეს სიყვარული
და გაათავისუფლდე. ყველაფრის დამო-
რჩილება კი შეუძლებელია. შეუძლებე-
ლია იმ სტიქიური ძალის დამორჩილება,
რამაც შენი სახლი ააგო, რამაც ეს ქალა-
ქი აღმართა, რამაც ის საგნები შექმნა,
რომლებიც გარს გახვევია და რომლე-
ბისკენაც ილტვი, ილტვი შმაგი, გახელე-
ბული ლტოლვით. ხოლო შენი სიყვარუ-
ლი ამ სტიქიისაგან შედგება და ამ ნივ-
თების ვალი გმართებს. ყოველ დღე, ყო-
ველ წუთს, ყოველ ნაბიჯზე იხდი ამ
ვალს შენი თვინიერობითა და მორჩი-

ლებით და რაც უნდა იბრძოლო, ვერ გაიმარჯვებ, რადგან ეს ბრძოლა ცვალის გადახდა და მაინც ვერ გათავისუფლდები ამ ვალისაგან. და თუ ვინმე წინ გეღობება, საშველს არ გაძლევს, — ესეც შიშის ბრალია, შიშისა ამ ვალის წინაშე, და თუ გინდა მოიპოვო ნანატრი ძლიერება, თუ გინდა მარტოდმარტო დაეუფლო შენს უსაზღვრო სიყვარულს, გათავისუფლდი მათგან! ეძებე წამი, რომელიც დაგიხსნის ამ ტყვეობიდან. ერთი წამი, რომელიც შენი იქნება! მხოლოდ ერთი წამი!.. — ვინაა, მკლავზე რომ ეპოტინება, რაღაცას ჩასჩინიებს და ცხვირწინ ქიქას უტრიალებს! ვინაა ეს დორბლიანი, ზურგუკან რომ ბანცალებს, ებლაუჭება და მხრებზე აწვება!.. „ახლავე მოვალ!“ — დაიყვირა ანგიამ და წამოვიარა. „მოიცა, კაცო! — „მოვალ“ — თქვა და გასასვლელი-საკენ წავიდა, ძლივს გაიკვლია გზა მაგიდებსა და სკამებს შორის. ყველა ყვიროდა, ყველა რაღაცას იძახდა და ხარხარებდა. „არ მინდა, არ მინდა! — ბლაოდა მწითური ცალთვალა ჯოჯო და ხელებს იქნევდა. ანგია მაგიდის ძგიდეს წამოედო და კინაღამ ააყირავა. „ეი!“ — დაუყვირა ვიღაცამ და სკამიდან წამოიქანა, მაგრამ ანგიას უკან აღარ მორუხედავს, საფეხურებზე ალაჯა, კარს ხელი ჰკრა და გარეთ გავარდა. კარმა გაიჭახუნა. ასხლტა, მეყსეულად ჩამოვარდნილ სიჩუმეში ყველასავით გავარდა სარდაფის ხმაური, ფეხებთან წამით გადმოსროლილი სინათლის თოკი თვალის დახამხამებაში გაცოცდა უკან და ბოლო საფეხურიდან ამოსული ანგია ბნელი ქუჩის სიღრმემ დაითრია. თითქოს ზურგსუკან, სარდაფის ადგილზე უპაერო სივრცე გაჩნდაო, რაღაც მხტილით ავარდა მალა, უკანიდან წაუბიძგა, ფეხი ისე გადადგა, თითქოს ციკაბოზე აბიჯებდა და ის-ის იყო წონასწორობა უნდა დაეკარგა, რომ ანგარიშშიუცემლად ახედა მალა, მთელი სხეულით ნაგრძნობ ეულად მანათობელ სარკმელს და მაშინვე ყველაფერი გაწონასწორდა.

— სტოპ!

ანგია დამეხილვით შედგა, ცალი ჰაერში გაუშვს ნახულზე შემდგარ მწვეარივით. ზონზროხა ოპერატორი გაიმართა, ზანტად შეისწორა ამოჩაჩული პერანგი, შიშველი მუცელი მოიფხანა და გულმოსულმა გადააფურთხა. რეჟისორმა სასოწარკვეთით გაშალა ხელები, უმწეოდ მიიხედ-მოიხედა, თითქოს ბოდიშს ინდისო, და ურიკიდან ჩამოხტა. ჯიქურ, თვალისმოუშორებლად წამოვიდა ანგიასაკენ.

— გამორთეთ სინათლე! — გაისმა სადღაც და ისევ გადნა კაშკაშა ნათელი, ნელ-ნელა დიხნია უკან, ატყორცილი სივრცეც ელვისუმალ დაილია, დაბლა დაქანდა, ქვესკნელში ჩაძვრა და ვარსკვლავებით გადაკაჟული ცა ვადაემზო უცებ ჩამოწოლილ ბნელს.

— ჩართეთ მორიგე! — ისევ გაისმა ის ხმა და წამით დასადგურებული წყვილიანი ცერად, ქუჩის გარდვიგარდმო გაჰყვება მაგნეზიურმა ნათელმა, რუხ კედელს მიეზჩინა. სადღაც ზემოთ, უნიათოდ გამოიხედა სარკმლიდან მკრთალმა, თავისი მშობლიური სიმყუდროვით მოსალბუნე შუქმა.

— თქვენ ვერ გამიგეთ, — უთხრა ანგიას რეჟისორმა. — ქვემოთ უნდა გაქვეულოყავით. ამ ხალხს უნდა გაასწოროთ და შემდეგ შეერიოთ, როცა ქვევიდან მანქანები შემოვლენ, ხომ გეძახდით, გაიქეცითო.

ანგიამ თავი დაუქნია.

— აი იმ ხესთან რომ მიხვალთ, გაიქეცით, რაც შეგიძლიათ გაიქეცით და შემდეგ შეერიეთ ხალხს, როცა მანქანებს დაინახავთ.

— მარინა! — დაუძახა ოპერატორმა — მოდი შევეშვით მაგ კაცს, ხომ ხედავ არაფერი გამოდის. სმენა უთავლებათ ბიჭებს.

— რა სმენა, კაცო. ნუ გადამრევთ! — გაიკვირვა რეჟისორმა, — სმენაა მითვარი?

— გამნათებლები წავლენ, მე ვერ დავაკავებ, ძმაო... — ხელები გაშალა

სოსო პაიჭაძე
შპანასანელი დღეული

ოპერატორმა. რეჟისორი ერთხანს დაფიქრებით უყურებდა ანგიას, მერე მობრუნდა და ოპერატორთან მივიდა.

— არ გეცმის, კაცო? მე ამის სახე მინდა, მსხვილი პლანი, აი ასე, — ქალმა ხელები ოდნავ მოხარა და მთელი ტანით შემობრუნდა ადგილზე, — ოცდაათი მეტრი მაინც, ასეთ სახეს სად იშოვი.

— Ясно! — თქვა ოპერატორმა გულგრილად, — ბოლოს რომ გავუშვათ? ყველაზე ბოლოს წავიდეს და აქ რომ მოაღწევეს, ოცდაათმეტრიანი პავაროტი გააკეთოს. უკეთესიც კი იქნება.

С сюжетом, даже, молдის?!

— მოდის, — თქვა ქალმა და ანგიასთან მივიდა. — იცით რა, — უთხრა მორიდებულად, — თქვენ მოიცადეთ. ჭერ ეს ხალხი წავიდეს, შემდეგ, პატარა ინტერვალით, თქვენ გაიქცევით. აი იმ ხესთან რომ მიხვალთ, მობრუნდით სახით კამერისაკენ, გაჩერდით, შემდეგ შებრუნდით და ისევ გაიქცევით, როცა მანქანები წამოვლენ. გასაგებია?

ანგიამ ოდნავ დაუქნია თავი.

— ჩვენ განიშნებთ, — დაუმატა ქალმა და მოსცილდა — ჯიმშერ, აუხსენი.

ანგიას ირგვლივ ხალხი მოჭარულყოფა და ცნობისმოყვარეობით უმხერდნენ. ანგიამ თავი ჩალუნა და ზევით წავიდა.

— ბოლოს უნდა წახვიდეთ? — აეციდა თეთრკიტელიანი მოხუცი.

— ჰო, ჩვენს შემდეგ, — ანგიას მაგივრად უპასუხა ვიღაცამ. — ჩვენ წავალთ და მერე ესეც წამოვა. მიზანსცენა შეიცვალა...

„მიზანსცენას“ განსაკუთრებით გაუსწავა ხაზი.

— ჰოო...

ახლა ბერეტისანი დედაკაცი წაეპოტინა.

— ჩვენ ხომ ვიცნობთ ერთმანეთს, — სახეზე მკვდარი ღიმილი დაეტყო — მიცანით?

ანგია დედაბერს მიაშტერდა.

— მიცანით? — ისევ კითხა დედაბერმა, სახე ნიკაბთან მიუტანა და გამოქვრალი თვალებით ამოხედა.

ანგიამ უაზროდ გაუღიმა. — აი ხომ ხედავთ, — გავხარდა დედაბერს, ანგიას მკლავი გაუყარა და თავის ქიცინით გაჰყავა.

— იქ გაჩერდით, — უთხრა გაწრიბულმა ჩექმებიანმა კაცმა, ანგიას ხელი მოჰკიდა და კმაყოფილი სახით ჯიმშერს მიჩერდა, — აქ არ უნდა გაჩერდეს?

— ზევით ადით, ზევით, — წაუბიძგა ჯიმშერმა, — ამან იცის თავისი საქმე. ანგია ხის ძირას დადგა.

— ნუ გეშინიათ, — უთხრა დედაბერმა და თანაგრძნობით მოუქირა ხელი, — მე წავალ, თორემ მალე დაიწყება.

ანგია გრძნობდა, რომ მისი მიზეზით რაღაც არ გამოვიდა. ამიტომ უთხრა რეჟისორმა — „თქვენ მოიცადეთ. ჭერ ეს ხალხი წავიდეს, შემდეგ თქვენ...“

„თქვენ დაღლილი ხართ და სიმშვიდე გჭირდებათ“ — უთხრა თეთრხალათიანმა ექიმმა, — „ჩვენთან წამოხვალთ, დისვენებთ და ყველაფერი კარგად იქნება...“

ყველაფერი... ყველაფერი...

და ნაწვიმარი ასფალტი სივრილესა და სინესტეს აორთქლებდა სახეში. ყურებში ისევ უზუზუნებდა სარდაფის ხმაური, საფეთქლები უხურდა. თვლებში უფერული ბუმბუტებით ირეოდნენ კვამლში ჩაძირული მოვრალი სახეები. გაღმა, ზღვაში სოლივით შეჭრილ ნავმისადგომზე რამდენიმე ნათურა ბეჭტავდა. ზღვა ოდნავ ირწეოდა და ნათურების სპირალური ათინათები ზღვის ზედაპირს ამოწებებული ოქროსფერი წურბლებით იკლაკებოდა. საზღვაო ვოჯლის გუმბათში ჩასმულ საათს შეხედა. ძლივს გაარჩია ისრები სიბნელეში. „რატომ არ ანთია სინათლე“ — როგორღაც ხმამაღლა გაიფიქრა მან, ისე ხმამაღლა, რომ კინაღამ საფეთქლები გაუხვრიტა სადღაც სიღრმეში გახმინებულმა ექიმ. ჩამქრალ ლამპიონებს გახედა. არეულ მხერაში მოცახცახე ნათურები თეთრი ჩიტებივით აილანდა ზღვის მელნისფერი სივრცის ფონზე. ახლა ამ სივრცემ წაართვა სხეული, ანდამატური ძალით მიიზიდა მისმა



უფსკერო სიციარიელემ, შესრუტა და თავისკენ წაიყვანა. და უცებ აავსო უცნაურმა, შემაწუხებელმა მოლოდინმა და მაშინვე, შეცბუნებულმა თავი ასწია თუ არა, დაინახა, როგორ გავარდა მეორე მხარეს, მარჯვენა ქვენილის გასწვრივ ნათელი ზოლი, ერთლამ დაურბინა ელვისუსწრაფესად განათებულ ქუჩას, მარცხნივ, თუარ ჯებირს მიღმა ჩაწოლილი სივრცე ჩაშედა, ჩავარდა და ქუჩა დაფერდა, როგორც სასწორი. ამ უეცარმა ცვლილებამ გაახევა. უცებ სხეულს მეტისმეტად ნაცნობი განცდის წინაგრძობამ დაურბინა და მაშინვე ისიც გაახსენდა: ასე დაქანდება ხოლმე თეატრი, როცა დარბაზში სინათლე ქრება და იღუმალი აზრით გასრიალებული ფარდა ნელ-ნელა გაამკლავნებს განათებულ სცენას. და უკვე ამ მოულოდნელმა წამმა გააღვიძა მასში ის საბედისწერო ავადმყოფური ზმანება, რომლის არსებობა მაშინ გუმანიტაც კი არ უგრძენია. მაშინ ვერ ინიშნა ამ თითქოსდა უაზროდ გაელვებულ ხილვაში ის, რამაც მხოლოდ დროებით მიიძინა, მაგრამ კი არ ჩაქრა, სამუდამოდ ჩასახლდა მის არსებაში, შეიპყრო და ყველაფერის დასასრულისაკენ გააქანა. იგი თანდათან იდგამდა ფესვებს და ელოდა მხოლოდ ერთ, უკანასკნელ გასხვიოსნებას მისი სწეული სულისა.

— ნუცა!

— ახლარავე!

ანგია ველარაფერს ხედავდა. მის წინ უამრავი ხალხი შეჯგუფებულიყო. მოუთმენლად ცმუკავდნენ, ერთმანეთს აფრთხილებდნენ და დაძაბულად იყურებოდნენ წინ. ანგიამ ნაბიჯი წადგა, იქით გახედვა უნდოდა, მაგრამ ვიდეცამ შეაჩერა.

— ჯერ არა, — უთხრა ჯიმშერმა მკაცრად, — როცა გეტყვი, მაშინ.

— რატომ?.. — კითხა ანგიამ. ჯიმშერმა გოცებით შეხედა. პირველად ესმოდა ამ კაცის ხმა და შეაერთო მისმა გაღიზიანებულმა, მუქარით აღსავსე ტონმა.

— ასეა საჭირო! — თქვა ხმამაღლა ანგიამ მკლავი აიჭნია და ხელი გაავრდინა. სმენად იქცა. შორიდან გაიგონა ქალის დაღლილი ხმა:

„სიზმარი“. აპიზოდი „გაკვლეოგა“
დუხლი მირიამი

— კამერა!

წინ აღმართული გუნდი შეტოკდა, გაიშალა, შემდეგ ისევ შეიკუმშა და კედლად აეფარა თვალწინ. კუპრივით ჩამუქებულ ასფალტს ალაგ-ალაგ ეცემოდა სხეულებში გამოძვრალი სინათლის ბასრი, მგესლავი ჰავლი და ანგიას ამ კედლის მიღმა არსებულ გარემოსადმი ეჭვით აფორიაქებდა. უფსკრულივით გაწოლილიყო ეს ბნელი მონაკვეთი, ყოვლის მიღმა ტოვებდა, უკან აყენებდა, გამიიჯნავ ზღუდედ წვებოდა მასსა და იმ განცდას შორის, რომელიც ისევ ნელ-ნელა იღვიძებდა და თანდათან სანეტარო წარსულში აბრუნებდა. მაგრამ წარსულიც აღარაა, ყველაფერი აწმყოა, ყოველივე ამ დამამკირებელ წამს აესებს, ამ გაუგებარ სამყაროში ჩამომდგარა, მის გვერდით, ხელის გაწვდენაზე...

აი დილაა...

ნელა აიარა საფეხურები, მძიმე კარს მიაწვა და ვესტიბიულში შევიდა. შენობაში სასიამოვნო სიგრილე და სიმყუდროვე დგას. ვიდეც მომკვდარა. განცხადებების დაფაზე გაკრული ოთხკუთხა ფურცელი იუწყება: „მონაგარიშე იონა ნემსაძეს გარდაეცვალა მეუღლე ივლიტა (მაშო) ნებეირიძე. პანაშვიდი... გამოსვენება..“ ანგიამ ვერ გაიხსენა რომელი იყო ეს იონა ნემსაძე და მეორე სართულისაკენ აუყვა კიბეს.

ღია კარებთან შეჩერდა და ქალაღლებით გამოტენილ კარადაში თავშერგული ნიკოლოზი დაინახა.

— გამარჯობათ, ბატონო ნიკოლოზ!

სოსო პიპიაძე
შაანასანიძე დუხლი



— ანგიას გაუმარჯოს. რავაა საქმე, ისე რა, ისე რა.. ხომ?

— ისე რა...

— ისერაა, ისერაა... — წაიმღერა ნიკოლოზმა, — მომკლა ამ დასაწვავმა ქაღალდებმა. დამმარხა. ამის მომგონი...

კარადიდან მოზრდილი შეკვრა გადმოვარდა, ზღართანით დაეცა იატაკზე და მტერის ბული დააყენა.

— ფუი, შენი... — შეიგინა ნიკოლოზმა და ზანტად დაიხარა... ანგია კარებს არ შორდებოდა.

— შენს უფროსს უთხარი, მიხეილს...

— რა უთხრა, ბატონო ნიკოლოზ...

— ანგიას კინალამ სული შეეხუთა უცებ მოწოლილი მღელვარებისაგან, სწრაფად გადადგა ნაბიჯი, იგრძნო როგორ შეუხურდა სახე. — ნიკოლოზ — ხმის თრთოლვით დამარცვლა სახელი, ჩაცუცქულ ნიკოლოზს მიუახლოვდა და ქაღალდებს ფეხი დააბიჯა. ნიკოლოზმა გაოცებით ამოხედა, ყბა ჩამოუვარდა.

— რას შეგები, კაცო...

ანგიამ ფეხი მოიქნია, დასტას გაჰკრა და კარადის ქვეშ შეაგდო.

— ვადაირიე? — იყვირა ნიკოლოზმა. წამოდგომა დააპირა. ანგიამ კისერში ხელი ჩაავლო, მთელი ძალით დააწვა და თავი მუხლებში ჩაუტენა, — ბატონო ნიკოლოზ!

— რას შეგები! რას შეგები შენ თუ იცი! — ძლივს ამოიხროტირა ნიკოლოზმა და უმწეოდ ასხმარტალდა...

— არაფერს. — მშვიდად თქვა ანგიამ და დერეფანში გავარდა. საზიზღარი უძღურება დაეუფლა. სიცხიანის ზმორებასავით უვლიდა ამაოების ვულის-მომწყვლელი შეგნება. კარებს ხელი ჰკრა და ოთახში შეიხედა.

— გამარჯობა თქვენი! გაიგულებით, კაცო, რას შეგებით.

ოთახში ოთხი კაცი და ერთი ქალი იჯდა. ყველა აბოლებდა.

— ანგი, მოდი ჩემთან, — უთხრა ანიკომ, — როგორა ხარ, გენაცვალე?

— კარგად.

— ბიკოს!

— კარგად ვარ! — თქვა ანგიამ ცერის აწვიპა, — ასე ვარ!

— ბიკოს.. — ისევ გაიკვირვა ვილაკამ.

— თქვენ? — იკითხა ანგიამ — თქვენ როგორა ხართ?

— ლომებზევით — უთხრა შოთამ, — მხეცებზევით...

— მერე? რას უყურებთ?

— რავა?

— ამას ვერ ხედავთ? — ანგია ანიკოსთან მივიდა და მოშიშვლებლ ბარძაყზე ხელი მოუთათუნა, — ვერ ხედავთ ამას?

— ნახალ! — ივივლა ანიკომ და გაცოფებული წამოვარდა.

— შეხედე ამ გლახას! — წამოდგა ნუგზარი, გრძელი ცხვირის ნესტოები ნერვიულად აუთრთოლდა, დალაქული სახე მოეღრცია.

ანგიამ გადაიხარხარა, უკან-უკან დაიხია, ზურგით გაალო კარი და გამოვიდა. მაშინვე ბიკიკოს შეეჩხება. იგი დერეფანში გარბოდა, თან გზადაგზა ქაღალდებს ალაგებდა.

ანგიამ ხელი ჩაავლო.

— რავა ხარ?

— ნელ-ნელა. — თქვა ბიკიკომ და წასასვლელად გაიქაჩა.

— სად გეჩქარება? — არ გაუშვა ანგიამ, — სად გეჩქარება, რწყილო, — ბიკიკომ თავი დაუქნია და გავარდა. უცებ შედგა და მოტრიალდა.

— რა თქვი?

— რწყილო-მეთქი! — იყვირა ანგიამ.

ბიკიკომ სათვალე მოიძრო, კისერი წაიგრძელა და ანგიასაკენ წამოვიდა. სირაქლემასავით მოლაჩებდა წვრილ, გრძელ ფეხებს. ანგია პირველად ხედავდა უსათვალეზო ბიკიკოს და უცებ შეაძრწუნა მისმა ავადმყოფურმა, სრულიად უცხო, უსიამო იერმა...

— რა თქვი? — ბეცი თვალეზი გადმოქაჩა ბიკიკომ.

ანგიამ ლოყაზე მოუცაცუნა და თმა აუბურძენა.

— კარგი კაცი ხარ შენ, — უთხრა ღიმილით, — რწყილი ხარ.

ბიჭიკო გაოგნებული იდგა და ენის მობრუნებას ვერ ახერხებდა. ანგიამ ისევ მოუცაცუნა ლოყაზე და მოსცილდა, კანცელარიის კარებში შეჰყო თავი..

— ვერა მატვევენა!

— Да!

ეს იყო თამაში. უაზრო, სულელური თამაში. არც კი იცოდა, რატომ ჩადიოდა, მაგრამ უკვე უკან დახევა აღარ შეეძლო. მასში დაჰქროდა რაღაც ყოვლისდამთრგუნავი, დაუოკებელი კინი, რაღაც უნდა გადაერჩინა, უნდა დაებრუნებინა ის დასაკარგავად განწირული საუნჯე, რომელსაც მოულოდნელად დაეუფლა და ახლა ასე უსინდისოდ ართმევდნენ, აპარტახებდნენ. ამოებებს გულისგამყინავი შეგნება არ შორდებოდა, უკან ახედებდა, აჩერებდა, მაგრამ ყოველივეს აღემატებოდა აზრი წუხანდელი ღამისა, მთელ არსებას უესებდა და აღარაფერს ადგილის აღარ უტოვებდა: ის იდგა ბნელი ოთახის შუაგულში მაგიდაზე და ხელში გადამწვარი ნათურა ეჭირა. სამზარეულოდან ისმოდა დანა-ჩანგლის წკარუნი და წყლის შემაწუხებელი ჩხრილი—ანეტა ვახშამს ამზადებდა და ღიღინებდა. შემდეგ კი, უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში გაიგონა ფლოსტების რბილი ტკაცუნი პარკეტის იატაკზე. სძინებელი ოთახისაკენ გააპარა თვალი და ვარდისფერი ფარდის ზემოდან დაინახა სრულიად ტიტველი ელისო. იგი სარკის წინ იდგა, ორივე ხელი კეფაზე შემოკედო და ნელა ირწეოდა ტორშერის იელისფერი შუქით დანისლულ ბინდში.

შემდეგ ანგია იდგა მზით გაჩახჩახებულ მინდორში; წელამდე სცემდა ლორთქო ბალახი და ველზე მიმოზნეული ყვავილების სურნელით ბრუვდებოდა. ნაირფერად მოღადანე მინდორს სისინით უვლიდა ნელი სიო. ანგია ხედავდა მას, ვერცხლისფერ ფრთად რომ გადადიოდა ბალახის წვერებზე და ადგილს მოსწყდა, დაედევნა, ძლივს მიაპობდა უსიერ ტევრს და უცებ გაფრინდა სადღაც ძირს, შავ უფსკრულში გადაიჩეხა

და ჰა, მირონინობს წყვილადაც, ძირს ეშვება და ეშინია ამ უძირობის, ამ უსასრულობის და კედლებს ეპოტინება, ეჭიდება, მაგრამ ხელს ვერ იკიდებს და ვიღაც დალანდა შემზარავ წკვარამში. ანეტა! როგორ გაჩნდა აქ?! ჰრელი, ფოთლებიანი კაბა აცვია, საოცრად უხდებოდა გადატყეცილი, სწორი თმა და მუდარაა თუ ღიმილი მის სახეზე? (სულ სხვაა ეს ღიმილი, სულ სხვაა!), მუდართა თუ ღიმილით უწყვდის ხელს, მაგრამ ვერც მას სწვდება ანგია და ყვირის და უცებ ეშვება ძირს, იელისფერი შუქით შესუდრულ ოთახში, რბილად ეცემა მის ნაცნობ, მანუგეშებელ სიმყუდროვეში და თვალებს ხუჭავს. ვიღაც ეხება, ვიღაც დგას გვერდით, მისი შიშველი ტანის შხამიან სიმხურვალეში იძირება და უცებ სასოწარკვეთილი ყვირილით აღმობდა: ეს ხომ ელისოა! და სიზმარია... სიზმარია... სიზმარია... აჰა, იღვიძებს, იღვიძებს და.. უცებ დაემხო გათანგულ გონებას ოთახის სიბნელე და გაიგონა საკუთარი გულისცემა, ისეთი ძლიერი, რომ შეეშინდა ანეტას არ გაღვიძებოდა. სიზმარი იყო, სიზმარი.. სიზმარი..

— რა ამბავში ხარ! — მკაცრად წარმოთქვა მიხეილა.

— რაო?

— რაო და რა ამბავში ხარ? სულ გაგიქდი ხომ?

— არ გვინდა ახლა...

— აბა რა გვინდა! ვის ეჯობრები თუ იცი! შენ გგონია ქვეყანა გადაგყვება? ფეხქვეშ გაგეგება? ჰკვიანი კაცი ხარ და არ გეკადრება ეგ ამბავი. რას ერჩოდი იმ ბერიკაცს, კისერი რომ მოუგრიხე! — მიხეილი წამოდგა და ოთახში გაიარგამოიარა, — ვიცი მე შენ რაც გინდა!

— არ იცი. — გამოსტრა ანგიამ.

— ვიცი! — იყვირა მიხეილა და ხმა აუთრთოლდა, — მაგრამ არაფერი არ გამოგივა! არ დაგანებებთ!

ანგია სუნთქვაშეკრული იჯდა და უსაშველო აღტაცება უფლეთდა გულს.

სოსო კაიხაძე

შპანასანდლი დუბლი



„იყვირე!“ — გაიფიტრა მან — იყვირე, დაამსხვრიე ყველაფერი!“

— შენ გგონია ჩვენ გლახები ვართ, არა? — ხმა დაეგუდა მიხეილს, — ჩვენ გვიღვინს? გინდა გვაჯობო, ხომ? რომოცდახუთი წლის კაცი ხარ და ამდენი არ იცი? რას ამოგვართვი სული! რა გინდა დაგვანებე თავი! მოგვასვენე, ბატონო! დავიღალეთ!“

ო, როგორ იბრუნება ეს ცარიელი ხახადაღებული უფსკრული, როგორ თანდათან ღრმავდება მისი შავი სიცარიელები!

დრო, უსასრულოდ განფენილი საღდაც აზრმიუწვდომ სიმორეში, დრო, რომელიც ნელა, მოსაბეზრებლად იღვრება მასში, არა, მასში კი არა, რაღაც შემოუსახლვრავ უფსკერო ჭურჭელში, უცერად ისევ შედგა, გაიყინა, უზარმაზარ გამჭვირვალე აისბერგად აღიმართა ირგვლივ და საღდაც შუაში, მის კრისტალურ, ტკრციალა-ლაყვარდისფერ წიადში ჩაეირულ ანგეას ესმის დანა-ჩანგლის წყარუნი, ონკანის შემაწუხებელი ჩხრიალი და ღიღინი — ანეტა ვახშამს ამზადებს სამზარეულოში, საძინებელი ოთახიდან კი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმის ფლოსტების რბილი ტკაცუნი — ელისო ახლახან გამოვიდა სააბაზანოდან და ალბათ სარკის წინ ტრიალებს — და ამ ჩვეულებრივ ოჯახურ საღამოში, ამ შეჩვეულ და სისხლხორცეულ ხმებში, რომელსაც მუდამ შემოჰქონდა მასში ნანატრი წონასწორობა და სიმყარე, ახლა იყო სულ სხვა, გაბზარული სიმშვიდე... ელისო შიშველი იდგა სარკის წინ, ორივე ხელი კეფაზე შემოეჭდო და ნელა ირწეოდა მძიმე, იელისფერი შუქით დანისლულ ოთახში, ანგეა დაიბნა, თვალი აარიდა, უხერხულად შეატრიალა ნათურა, ფეხისწვერებზე აიწია და ჰაღს წაებოტინა. ნელა, გულდაგულ ჩახრახნა ნათურა ბუდეში, თითები გაატკაცუნა და ჩამოსვლა დააპირა. ელისო კვლავ სარკის წინ ირწეოდა. მოხრილ ხელებზე ეცემოდა ნარინჯისფერი შუქი, ილიისქვეშ მწიფედ დაჰიმულ კანს ანათებდა და მკვრივ ფორთოხლისფერ სიმრავე-

ლეს აჩენდა შვერდზე. დანრდილი სწორი ზურგი, ოდნავ შეზნექილი და მშვილდით გაძგიბული წვირლ წელთან, სწორი, სწორი ხაზი თეთრი, გრძელი, ღონიერი წვივებისა და სახეზე აღბეჭდილი გამომეტყველება — ნაღვლიანი, სინანულისა თუ იღუმალი შიშისმაგვარი, მაგრამ მომლოდინე, მომლოდინე! — ანგეა ახლაც ცხადად ხედავს ამ დამფრთხალ, აფორიაქებულ მოლოდინს — და უცნაურად წასული საღდაც გარეთ, ამ მყუდრო კედლებს იქით, ნარინჯისფერი შუქით დანისლულ წყნარ ოთახს მიღმა, ღია, ფარდებდაშვეებულ სარკმილიდან გაფრენილი საღდაც შორს..

და მას უცებ დაეძგერა დაუთრგუნავი მამაკაცური ეჭვი. ეს ყველაფერი: დაბალ მაგიდაზე დამცინავი მუქარით განაბული ჩამქრალი ყუთი ტელევიზორისა, საძინებელი ოთახის სიღრმეში კრიალა სამფეხზე შემოდგმული წითელი დაგვაჯული ტელეფონი, რომელიც ასფეხა ცხოველივით გადაჩაჩხვოდა გარედან მტრულად მოდარაჯე სივრცეს, თავისი გრძელი საცეცებით იწოვდა და აქ, ამ კედლებში შემოჰქონდა რაღაც ურცხვად მოვიბრე ძალა, ეს ერთადერთი ღია სარკმელი ქუჩისაკენ და ზედ იღუმალი აზრით მტოკავი ჰაეროვანი ფარდა — სრულიად უცხო, არაამქვეყნიურ და სიზმარულ სამყაროს წიადში მიმხმობი, ყველაფერი: — ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოხმინე სიღერა ცოლისა, ყოვლისაგან განდევილი და ანგეასათვის სრულიად უცნობი ხალისით გამოწვეული, და შვილი, რომელიც უცხო თვალთ აფანებდა საკუთარ სხეულს..

და ანგეა იდგა შუაგულ ოთახში, მაგიდაზე, საყრდენგამომლილი, ჰაერში გამოკიდებული და ატაცებული ისევე, როგორც უცებ, ამოხეთქილი შადრევანი აიტაცებს მსუბუქ ბურთულას და თავის კენწეროზე აათამაშებს და მას მოუწინა ყვირილი, ბრძანება, რომ თავისი უფლებამოსილებით გაესრისა ეს ურცხვო მოძალადე — მაგიდიდან ჩამოხტა, უმწეოდ გაჩერდა შუა ოთახში, ხელში ყუმბარასავით ეჭირა გადამწვარი ნათურა,



მაგრად ბლუჯავდა მის ხრახნიან ტარს და გრძნობდა, როგორ ელეოდა ძალა. ყველაფერი იბინდებოდა მასში — სიამეც, შიშიც და თანდათან იპყრობდა უფრო მწარე, ჭერარგანცდილი გრძნობა — ტკივილით გამოეყო და გვერდით ამოუდგა რაღაც უფორმო და უშინაარსო მასა, საზარელი ჯოჯო...

ნუთუ ესეც ტყუილია! ნუთუ არც ეს ყოფილა! არა, ნამდვილად იყო ჩაბნელებულ ოთახში და ცხადად გრძნობდა, როგორ იდგა მის გვერდით ეს უაზრო სხეული, როგორ იცლებოდა მთელი მისი არსება და რჩებოდა უსასოო, ნაკლებული ნაწილი, ირღვეოდა დიადი ჰარმონია, ბედისწერული თანხმობა და მას შესძულდა ეს დარჩენილი, ყოვლის ფსკერზე მოფართხალე მითოვებული მამაკაცი...

— ასეა, ძმაო... — გაიგონა მიხეილის დამცხრალი, ოდნავი სინანულით გამსქვალული ხმა. დაურიდებლად წამოდგა, კარი გაღო, სწრაფად გაიარა დერეფანი, კიბე ჩაირბინა და ქუჩაში გაეარდა.

იცოდა, რომ სისულელე იყო რასაც ახლა ჩადიოდა, მაგრამ უკვე თავის დამორჩილება აღარ შეეძლო. „შინ არ იქნება! — დარეკა მის გონებაში — „არ იქნება!“ სინდისი ჰქენჯნიდა ამის გაფოქრებაზე, მაგრამ უკვე ესეც აღარაფერს ნიშნავდა. თვალებს აცეცებდა, ცარიელ მანქანას ეძებდა, თან თითქმის მირბოდა და გრიგალივით მიჰყვებოდა ყოვლის დამთრგუნავი ეჭვი. ცხოველური ალტყინება და ალტაცება მოებჯინა ყელში. იგი ზეიმობდა! რაღაც მხსნელსა და შეუტყნობელ ძალას ემუქრებოდა გულში, ჭერარგანცდილი სიამაყით ივსებოდა და მირბოდა. სიცხით გათანგულ გონების მიღმა დღულდა ეს გულისგამხეთქავი, მოჭიბვრე ალტაცება. არა, არაფერს არ იზამს, ნახავს და წამოვა, სადმე წავა!

გატენილი ავტობუსი დგრიალით გამოძვრა მოსახვევიდან და გაჩერდა. ერთიმეორეზე შეწებებულ სხეულებში ძლივს მოძებნა სახელური და ხელი ჩაავლო, მთელი ძალდონით მიაწვა ვილა-

ცის სქელ თემოს და მეორე ხელიც ჩაავლო სახელურს. მაშინვე კარიც მიიხურა — ფერდებზე მოუჭირა, ასლტა და ჯახანით მიიკეტა. მსუქანმა კაცმა თავისუფლება იგრძნო, უკან გადმოწვა და მკერდზე დააჯდა. ანგია უმწეოდ ასხმარტალდა, ბოლოს როგორც იქნა, იპოვა არე მსუქანი მამაკაცის ქალურ თემოსა და საზურგეზე შემომჯდარ კონდუქტორის მუტეკლს შორის. წამით დაამშვიდა მისმა მოთახთახე სირბილემ. მთლად მოეშვა, მოითენთა და რკინის თეჯირს მიეკრა. თითქოს ისვენებდა კიდევ ასე გაქყლელი და კონდუქტორის სხეულში ცხვირჩარგული. თავზე გრძნობდა დაზინული მკერდის სიმძიმეს და ზიზღნარევე ნეტარებაში იძირებოდა. მთელს ტანზე წურწურით ჩამომავალი ოფლიც აუწერელ სიამეს გვრიდა. და ამ ყოფაში მან იგრძნო სიკვდილი! კი არ იგრძნო, გაახსენდა იგი, სისხლხორცეულ, ძვალსა და რბილში გამჯდარი ნიშნებით წარმოუდგა გონებას არსებობა რაღაც დაუჯერებელი, შემამინებელი, მაგრამ ამავე დროს, სრულიად ცხადი მდგომარეობისა, რომლის აზრი უცებ ვერც გაისაცნაურა, მაგრამ ეს იყო სიკვდილი, — შეგრძნება რაღაც აზრმიუწვდომი, ცარიელი გზის იქით არსებული დასასრულისა (საით მიზოზინობს ეს ავტობუსი! საით მიჰყავს ამ სულისშემხუთავ გარემოს?).

ეღაცა შუბლზე მიიწვა და წაუბიქვა.

— ბილეთი, მოქალაქე! — კონდუქტორი დამცინავად წკურავდა უფერულ თვალეებს. მსუქანი კაცი კვლავ არხეინად აჯდა მკერდზე და არც აპირებდა თავის შეწუხებას. ანგია ზურგზე მიაწვა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო.

— აიწიე ცოტა! — იყვირა უცებ.

მსუქანმა კაცმა ძლივს მოაბრუნა კისერი და მშვიდად კითხა: — რა იყო შე კაცი!..

— ადი ზევით!

სოსო პაიპაძე
შპანასანელი დუბლი



— ადგილი არის მერე? — კვლავ მწევიდად კითხვა კაცმა.

— რა ვქნა აბა! — იყვირა ანგიამ და თვითონვე შეაშინა საკუთარმა ხმამ. — რა ვქნა აბა!

— რა გაყვირებს! — ისევ მოაბრუნა კისერი მსუქანმა კაცმა, — ჩაგიყვან ახლა და გაგხვებ შუაში!

— დედას გიტყვებ! — გაცოფდა ანგია და რაც შეძლო გაიქაჩა-გამოიქაჩა მსუქანმა კაცმა მთლად მიუშვა თავისი თქმო და ანგია კარებს მისასრისა.

— შოფერს, გააჩერე მანქანა! — იყვირა კონდუქტორმა.

ავტობუსი გაჩერდა.

— გააღეთ! — იყვირა ანგიამ.

— გააღე უკან! უკან გააღე! — ატყდა ძახილი. კარი ძლივს გაიღო. ამასობაში კაცი უფრო და უფრო უტყევდა და ბოლოს ანგია ბურთივით გამოიქნია ავტობუსიდან.

მსუქან კაცს შარვლის ტოტზე ჩააფრინდა.

— ჩამოდი ძირს!

კაცი ამას არ მოელოდა, დაფეთებულ იყურებდა და ფეხს იქნევდა.

— ჩამოდი! — კბილები დაკრიჭა ანგიამ, ჩამოდი შენი...

— წადი, კაცო, წადი! — შუძახეს მძღოლს.

ავტობუსი დაიძრა. ანგიას აღარ უცდია ასვლა. თანდათან უცხრებოდა შიში, გული საგულეს ჩაუდგა. მარჯვნივ გაუხვია და ვიწრო აღმართიან ქუჩას შეჰყვია...

დამთავრდა. ქალაღდის იმ წამიერმა ბგერამ დაასრულა ყველაფერი. რა იყო ეს? რა უნდოდა? ვერაფერს მიხვდება მის გაუგებარ ამბოხებას. თვით მასაც კი ვერ აუხსნია კარგად ამ დღეების აზრი. თითქოს ყოველივე სიზმარი იყო, გრძელი, შფოთიანი სიზმარი. და აი, ყველაფერი დამთავრდა.

რა ძალა მიერეკება ახლა? რა იმედი წრიალებს მის გულში? „ჩქარა!“ — უბრძანა საკუთარ თავს, მაგრამ ეს უკვე მისი ხმა აღარ იყო... სევანურქუდიანი კაცი ნერვიულად ჩაფრენოდა სახელურს

და დაძაბული მისჩერებოდა გზას. რა! — ეუბნებოდა შოფერს, რა! — იქ, უკან, ბნელი უფსკრულის ძირზე, სიკვდილის მეუღებაში იმყოფებოდა თერთმეტი ადამიანი. თერთმეტი... თერთმეტი... ანგია მეთორმეტე იყო და გადარჩა. გონება ისევ ჩააკვდა ამ მაგიურ ციფრებს, ციფრებს კი არა, რაღაც აზრმიუწყვდომ მანძილს, რომელიც ამ თერთმეტსა და თორმეტს შორის უნდა ყოფილიყო, ფარატინა აფსკივით დაძაგრულ სივრცეს, რომელსაც ყველაფერი უნდა გაემართლებინა — მისი სიცოცხლე, მისი ბრძოლა, მისი მარცხი... მაგრამ ციფრები ერთ მთლიან, გაუგებარ მასალ შეზღოლიყო ერთმანეთში, ვერა და ვერ იხელთებდა სანატრელ სივრცეს და მხოლოდ გუშინ განცდილივით ცოცხლდებოდა გონებაში უცებ აყირავებული ციციბო კალთა, ცაზე გაფრენილი ხეების აჩონჩხილი სილუეტები, ჩვილბავშვიანი ქალის გაოგნებული თვალები, სავარძლიდან თავდაყირა გადმოვარდნილი ქერათმიანი ბიჭუნა, ერთიმეორეს კრუნჩხვით ჩაფრენილი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, უფსკრულში გაფრენილი სასოწარკვეთილი ღრიალის ცხელი გორგალი და მიწა — ძალიან ახლოს, სადღაც მის არსებაში გაელვებული სველი, ბუსუსა ფესვებით შეკრული წითელი მიწა...

საფეხურები აირბინა, წამით შეყოვნდა კარებთან, ზარის დასარეკად გასწია ხელი, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, ჯიბეში გასაღები მოძებნა და კარი გააღო. გაიარა წინკარი, სამზარეულო, შუშაბანდიდან სასტუმრო ოთახში გავიდა და საძინებელ ოთახს მიაშურა.

— ელისო? — სადღაც შორიდან მოესმა ანეტას ხმა. კარს ხელი ჰკრა და შედგა. ანეტამ გაშლილი წიგნი საწოლზე მიაგდო და შეშინებული წამოვარდა, ანგარიშმიუცემლად წაივლო ხელი გაღლილ გულისძირზე, მაგრამ მაშინვე გაუშვა, ანგიას მიაჩერდა. „შენ ხარ?“ ანგიამ თვალი შეასწრო ამ უნებლიე მოძრაობას, ისევ მთელი ძალით იფეთქა მისმა გაუგებარმა ეჭვმა, წიგნისაკენ გა-

აპარა თვალი, უნდოდა სათაური წაეკო-
თხა, მაგრამ ვერ გაარჩია და ისევ ცოლს
შეხედა, ჯიქურ დაამტერდა მოღეღილ
მკერდზე. „რა მოხდა?!“ — კითხა ანე-
ტამ, დინჯად შეისწორა კაბა და აწეწილ
თმაზე ხელი გადაისვა — „რომელი სა-
ათია?“

არა, ეს არ იყო არც სიგიჟე, არც
ხელმეორედ მოძალებული ეჭვით გამო-
წივებული სიშმაკე.

„მოვკლავ!“

ეს გადაარჩენდა, დაასამარებდა ყვე-
ლაფერს, რაც ასე მტანჯველ, გამოგ-
ნებულ ვნებად ბოზობრივად მასში, უნ-
და გამქრალიყო მისი მარცხის ყველაზე
ნამდვილი მოწმე, ის, ვისთვისაც ცოცხ-
ლობდა, ვისი გადაარჩენაც ეწადა თავისი
უსუსური ამბოხებით. მხოლოდ ეს იყო
საშველი. მარტო ეს დაამშვიდებდა, ყო-
ველივეს თავის ადგილას დააყენებდა,
კვლავ დააბრუნებდა მონატრებულ სიმ-
შვიდში. მხოლოდ ეს მკვლევობა გაუ-
ლებდა აუტანელი კატორღის კარს...
შმაგად მოეჭიდა ამ მხსნელ აზრს. ყვე-
ლაფერი გაქრება: ეს გამპარტახებელი
ეჭვიც, ეს სიყვარულაც. ეს უსახელო
ძალაც, რომელმაც ასე დათრგუნა თავი-
სი ძლიერი, აღუმატებელი მეუფეებით.
მხოლოდ ეს სიკვდილი გადაარჩენს ისე-
ვე, როგორც იმ უპატრონო გოგონას
სიკვდილმა გადაარჩინა ერთ დროს, რო-
გორც უშველა იმ დამამცილებელი, სა-
კუთარ თავში დამაეჭვებელი სიყვარუ-
ლის განადგურებამ.

მიხვდა, რომ მხოლოდ ამისათვის მო-
ვიდა. მან დაჰკარგა უფლება სიყვარუ-
ლისა, უფლება მეუფებისა!

ფეთიანივით მიმოიხედა ირგვლივ,
საწოლის თავს ჩაეჭიდა, შეაწვრიდა,
დაეძიძგილა, თითქოს მოხეთქვას ლა-
მოზდა, მერე ანეტასაკენ გაქანდა და ზედ
გადაემხო. გულისპირზე ჩააფრინდა,
მოსწია და საკინძე შემოაფხრინა.

და ანეტამაც იგრძნო, თავისი ქალური
გუმანით მისწვდა ყველაფერს, ვნები-
ანად შეხედა ქმარს, გაჯიქდა, ასმარტა-
ლდა, მაგრამ ანგია ისევ ზედ გადაემვა.
„გამიშვი!“ — იყვირა ანეტამ, ორივე ხე-

ლით მიაწვა მკერდზე, მაგრამ ძვრაც ვერ
უყო და უღონოდ მიესვენა საწოლს.
„გულო!“ თქვა წყნარად — „ანგი, გუ-
ლი“ მაგრამ ანგიას აღარაფერი ესმო-
და. იგი გადავიდა უზენაეს, არამიწიერ
ნეტარებაში. ყელზე და სახეზე იგრძნო
ქალის გახურებული ტუჩების ლაციცი,
შემდეგ ყოველივე გაქრა, საწოლიც, ან-
ეტაც, ყველაფერი და იგრძნო, როგორ
თანდათან ივსებოდა მონატრებული,
ყოველისდამთრგუნავი ძალმოსილებით,
რალაც ერთბაშად მაღლდებოდა მასში,
რალაც ბრუნდებოდა, ავსებდა და ამაგ-
რებდა. მთელი სამყარო, მთელი ცხოვ-
რება გართხმულიყო მის ფეხქვეშ და
იგი მეუფებდა, მბრძანებლობდა, უყუა-
რდა...

—...ჩქარა, ჩქარა! — მისწვდა ნაცნო-
ბი ნერვიული ხმა — ნულარ ჩერდებით!
აპა, ისევ მობჯენია ეს თვალი.

მარტოა, მარტო! მრუდე სილუეტებად
ებლანდება მზერას უკვე კარგა მანძილ-
ზე დაწინაურებული მობარბაცე სხეუ-
ლები და ჩრდილები. ანგია მარტოა, ყვე-
ლას წინაშე საჩინო და გამორჩეული ამ
უთვალავ ლანდთა შორის! და ყველაფე-
რი აქაა, მასთან, მის გვერდით: ანეტა,
ელისო, მისი სახლი, მთელი მისი სიცო-
ცხლე, ყოველი დღე, ყოველი წამი! ეს
ღვთაებრივი წუთიც აქაა, მის ფერხთით
გართხმულა და იგი მეუფობს, მბრძა-
ნებლობს!..

— ჩქარა, ჩქარა! — კივის ნერვიული
ხმა.. და ანგიამ ნაბიჯი გადადგა, ნელა
დაიძრა იმ მაგიური თვალისაკენ, თანდა-
თან უახლოვდებოდა, უახლოვდებოდა, მაგ-
რამ ისიც ნელ-ნელა გაცურდა უკან, და-
შორდა და ანგიამაც მოუმატა ნაბიჯს,
თავქვეზე დაქანდა. აი, უკვე კიბეზეა,
ღია კარებიდან ესმის ანეტას უღონო
ძახილი: „ანგია, ანგია!“ მაგრამ აღარ ჩე-
რდება, სადარბაზოდან გამოდის და მზო-
ან ქუჩაში ეშვება...

გრილ თრთოლვად ეპარება ტანში
მორწყული ქუჩის ნესტიანი სუნთქვა.

სოსო პაიჭაძე

უკანასკნელი დღეები



თითქოს ვიღაც უხილავი ცივსა და სველ ფუნჯს უსვამს ტიტველ სხეულზე, — ზევიდან ქვევით, ქვევიდან ზევით, მერე სხეულშიაც იგრძნო ეს სველი ფუნჯი. შექანდა, მხრები გაშალა, თავი ააღირა, აკაციებით დაჩრდილულ ქუჩაზე მიმო-ბნეული ნათელი ლაქები ჰაერში მოფარფატე საპნის ბუშტებად აელანდა სა-დღაც შორს, დაღმართის ბოლოს უაზ-როდ მოსრიალე მზერას, თავს ზემოთ კი ყრუდ ესმის გიგანტური ფრინველის ფათქუნავით ახშიანებული ცემა — ვი-ღაცა ლოგინს თუ ხალიჩას ბერტყავს აივანზე, და ხალის ყრუდ სკდომადმა ბგერებმა უცებ შეავსეს უცნაური სიმ-სუბუქით, მზითა და თვალწინ მორიალე ბრჭყვიალა ლაქებით გაქდენთილი წა-მი იმ ერთადერთი და აუცილებელი ხმით, რომელსაც ითხოვს მისი გაბრუ-ებული არსება, და ანვიამ იგრძნო, რომ რაღაც დაასრულა ამ მონოტონურმა ცე-მამ, რაღაც უცებ გადაიხსნა მასში, ზე-ვით აიხედა, აივანს დაუწყყო ძებნა და უცებ შეაკრთო იმისმა შეგნებამ, რომ ყველაფერი იყო მადლა, ძალიან მადლა, კედლები, ფანჯრები, რომელსაც თითქ-მის სწვდებოდა თავით, გასაშრობად გა-მოფენილი თეთრეულიც სადღაც შორს, დაუსრულებულ სიმაღლეზე ქანობდა, თვითონაც ყოვლის ზევით, ამ უფსკე-რო ჰის თავზე ფარფატებდა, დიდი, უს-აზღვრო ნაწილი მისი სხეულისა გადა-გებოდა ქვეყანას, ნისლივით იფანტე-ბოდა, იზრდებოდა, მხოლოდ ამ გიგან-ტური ფრინველის ფრთებივით მოფა-თქუნე ცემას ებღაუჭებოდა ჯერ კიდევ მფეთქავი ინსტიქტი, მას ეკიდებოდა, რომ იგი, ადამიანი, საბოლოოდ არ გამ-ქრალიყო ამ ამბოხებულ სამყაროში, შემდეგ ეს ცემაც მიილია, მიიბჟუტა და თითქოს უეცრად გაწყდაო დაკომული თოკი, — ანვია კვამლით ვაბერილი ბუ-შტკვით გაფრინდა...

— სტოპ!
 — არ ვარგა, კაცო! ხომ გეუბნები არ ვარგა-მეთქი! — ყვირის ოპერატორი,
 — გიყია ეს ვიღაცაა...

სორმა, — არაფერი არ გამოდის, ერთ-
 თიც გადავიღოთ ჩვეულებრივად და
 მორჩა.

— ჩქარა, — ყვირის ოპერატორი, —
 უკანასკნელი დუბლია.

— აღარ მორჩა? — ბუზღუნებს ვი-
 ლაც, — ეს რას გადაეყარე, კაცო, ნუ-
 ცას შკოლაა?

— იყოს შუქი! — ყვირის ოპერატო-
 რი — არ ჩააქროთ!

— აქეთ გამოდი! — უთხრა ჯიმშერ-
 მა ანგიას — ხელს ნუღარ გვიშლი. —
 ანვია წამოვიდა და ისევ ჩვეულ ადგი-
 ლას დადგა ხესთან.

— აქეთ, — უთხრა ჯიმშერმა — გა-
 მოდი მანდედან, თავისუფალი ხარ.

— აღარ მიდის? — ჩაიქირქილა ვიღა-
 ცამ ანგიას ყურთან. — გაუტკბა, ხო
 იცი.

— მოემზადეთ, მოემზადეთ! ადგილე-
 ბზე! — გაჰკიოდა ცივი ხმა, — უკანასკ-
 ნელი დუბლია.

ხალხი ბუზღუნითა და ზოზინით მო-
 ემართებოდა ზევით. ჯიმშერმა ანგიას
 ხელი მოჰკიდა და ტროტუარისაკენ წა-
 უბიძგა. ანვია გაჯიქდა. „ხელი!“ — გა-
 მოსტრა კბილებში და მკლავი აიქნია. შე-
 შინებული ჯიმშერი გვერდზე გადა-
 „მართლა გიყია, ეს ოხერი“ — თქვა შე-
 ცბუნებული ღიმილით. ანგიასთან ახმა-
 ხი, წვერებმომშვებული კაცი მივიდა,
 ღონივრად ჩაავლო ხელები და ჩაბნე-
 ლებული ტროტუარისაკენ წაიყვანა.

— ხუტა! — ყვიროდა ოპერატორი —
 ხუტა! კამერა მოამზადეთ, კაცო, რას ბა-
 ვშვობთ მანდ!

უცებ შებარბაცდა ქუჩა, თვალსა და
 ხელშუა გადნა, გაიბარა...

— რა ამბავია? — იკითხა ქალმა —
 რატომ ჩააქრეთ?!

— უხოდმი! — გაისმა თათრული აქ-
 ცენტის — ბასთა! ხვათით ნნას!

— უყურე ახლა! — დაიხადრა რეჟი-
 სორი, — უთხარით სისულელეებს მოე-
 შვას, თორემ ხვალვე დატოვებს სტუდი-
 ას! ყველა უფროსი როგორაა! ახლავე
 ჩართეთ! — იკვილა უცებ ისტერიული
 ხმით.

ანგია ალაყაფის კარს უკან იდგა წვე-
რამ ბნელში. მას ეძინა. კუნძივით იღო
ხასხასა საწოლში და თითქმის არც სუ-
ნთქავდა, შუბლსა და საფეთქლებზე მა-
რწუხივით უჭერდა ღამე.

შემდეგ უცრად გაიღვიძა. მან ცხა-
დად შეივრძნო გაღვიძების ხანგრძლივი
წამი: ცნობიერება წვალებით მოიკვლე-
ვდა გზას არყოფნისა თუ ფერიცვალე-
ბის უფერული ქაოსიდან, ძლივს მობო-
ბდავდა მოცახცახე ლაქებით დასვრილ
ხეშეშ სივრცეში, ჯიქურ მოიბრძოდა
სადღაც ახლოს, აგერ, სულ აგერ, ყუ-
რისძირთან ყრუდ მოზუზუნე რაღაცისა-
კენ, რომელიც იყო ნაფლეთი, უმცირე-
სი ნაწილი დაუსაბამოსა და დაუსრუ-
ლებელისა და მის ყოვლის მიღმეულ
ფაჩუნში გათანგულ გონებას მეტისმე-
ტად საკუთარი, შეჩვეული და მანუგე-
შებელი სამყაროს სიახლოვე ენიშნებო-
და. მერე ანგიამ ივრძნო საკუთარი სხე-
ულის სანეტარო სიმძიმე და რაღაც ამ-
ფორიაქებული, უსიამო გახსენების აღქ-
მით აღსავსე მღუშარება, რომელიც არ
პგავდა ჩვეულებრივი ღამის სიჩუმეს და
თვალს გაახილა.

საწოლზე წამოჯდა და სმენად იქცა.
ღრიჭოდ დარჩენილ კარს იქით ფაჩუ-
ნი ვაისმა, შემდეგ ტანსაცმლის შრა-
შუნიც გაიგონა. ანგია ადგა, ფრთხი-
ლად გაიარა ოთახი, კარი გააღო და გა-
რეთ გაიხედა. მაშინვე იყნოსა წამლე-
ბის სასიამოვნო სურნელი. გრძელ, მკ-
რთალად განათებულ დერეფნის ბო-
ლოს პატარა მაგიდასთან თეთრხალა-
თიანი ქალი იჯდა და წიგნს კითხუ-
ლობდა. ანგია დერეფანში გავიდა, ქა-
ლმა თავი ასწია, შეშინებულმა დახუ-
რა წიგნი და ადგა. ჯერ წამოსვლა და-
აპირა, შემდეგ შეჩერდა და უმწეოდ
მიიხედ-მოიხედა.

— ეს საავადმყოფოა? — კითხა ან-
გიამ.

— დიახ. — თქვა ქალმა.

— მე როგორ მოვხვდი აქ?

ქალმა მხრები აიჩეჩა.

— ჩემით მოვედი?

— არა, — უთხრა ქალმა, — ვიღაც

კაცმა მოგიყვანათ მანქანით,
წაქეუულიყავით.

— უცნაურია, — ჩაილაპარაკა ანგი-
ამ, — რამ წამაქცია.

— ახლა როგორ ხართ? — კითხა
ქალმა.

— არ ვიცი, — თქვა ანგიამ, — რა
უნდა მჭირდეს! ჩიტვივით ვარ.

ქალს გაეცინა.

— ექიმი დილით მოვა. მანამდე გა-
მოიძინეთ. ჯერ ხუთი საათია.

— თქვენ არ მიცნობთ?

ქალმა უხერხულად გაიღიმა და თა-
ვი გააქნია.

— არა? — ისევ კითხა ანგიამ —
მე... სცენაზე არ ვინახივართ?

ეს თქვა და მოულოდნელად სოცია-
რმა შიშმა შეიძყრო: თვალები გაუ-
ფართოვდა და აკანკალდა.

— ცუდად ხართ? — ქალმა ნაბიჯი
გადმოდგა.

— არა, — თქვა ანგიამ და უკან და-
იხია — მე თქვენ არ მიცნობთ?

ქალი დაფეთებული შედგა და ანგი-
ას მიაჩერდა.

— წავალ, — წყნარად თქვა ანგი-
ამ, — ექიმი დილით მოვა?

— კო.

— ღამე ნებისა...

ერთხანს გაშეშებული იდგა, შემდეგ
შემობრუნდა და ნელა წავიდა. ოთა-
ხისკენ. არ ეძინებოდა, მაგრამ სინათ-
ლე მაინც არ აუნთია. საამურ სიმსუ-
ბუქეს გრძნობდა მთელ სხეულში. უჩ-
ვეულო სიხარული მოსვენებას არ აძ-
ლევდა. ფანჯარასთან მივიდა.

გარეთ დნებოდა მსუბუქი, სპილენ-
ძური, ციკაბო ღამე. საავადმყოფო
აღბათ ქალაქის გარეუბანში იდგა, რა-
დგან ახლო-მახლო არც ერთი მაღალი
სახლი არ ჩანდა. ბნელში ილანდებო-
და მხოლოდ მეჩხრად გაბნეულ ხეთა
აჩონჩხილი სილუეტები და დაბალი
თეთრსახურავიანი შენობა, ეშლად გა-
ნმდგარი შებაცებული ცის ფონზე. და

სოსო პაიჭაძე
შაანასანილი დუბლი

ყველაფერში იყო რაღაც შეწუხებული, ნერვიული სიმშვიდე. უკვე საიდანდაც, ძალიან შორიდან მოდიოდა ცისკარი და ნაზად შემკრთალ ბნელში ჯერ გაუცნობიერებელ მაგრამ მტანჯველ გუმანივით წრიალებდა ლევა ბურუსი. დაბლა, ფანჯრის ქვემოთ, უჩინარი ნათურის შუქი ეფინა მიწას. მისი ოვალური, უძრავი ნათელი ლორთქო ბალახის გამჟვრვალე სიმწვანეს ეზიდებოდა ბნელი ლამის ფსკერიდან, აქვე, სულ ახლოს ამოჰქონდა და იყო რაღაც მსგავსი ანგიას დადუმებულ არსებასა და ამ მიუწვდომი აზრით აღსავსე სურათს შორის, — თითქოს ჰაეროვანი ბადია გატრუნულიყო ბნელი ჭის ფსკერზე, სადაც იყო დაიძვრებოდა, ზევით წამოვიდოდა და ამოიტანდა მას, რისი გაცხადების გარდუვალობასაც სასოწარკვეთით გრძნობდა ახლა საკუთარ უძრაობაში ჩაყირული გუმანი. და აი, შეტოკდა ეს ბადია, ნიავემა თუ შეაქანა უჩინარი ნათურა, ნათელი ოვალი შეტორტმანდა და ნელა, რწვევარწვევით წამოვიდა ზევით დიდი გაჩახახახებული სცენა, ღიტინ-ძაგძავით დაიძრა ჩაბნელებული პარტერის გასწვრივ და, თითქოს სცენა კი არა, პარტერი მიტორტმანებს და რამაზზე აღმართული სინათლის კედლის მიღმა, იქ, სადაც შავად ჩავარდნილა გადამწვარი ჩირაღდანი და კაშკაშა სინათლის გისოსებში ამოცლილ წკირივით ჩართულა შებნელებული ზოლი, ბინდად მოჩანს მაყურებელთა მოკლე მწკრივი ან ცარიელი სკამების მოწყენილი საზურგეები, რომლებიც ნელა მიცურავენ მარცხნივ და პარტერის სიბნელეში იკარგებიან. ანგიას ესმის მბრუნავი სცენის ყრუ, ვულკანური გუგუნე, მუხლებში უღიტინებს ნელი ძიგძიგი, თითქოს სანეტარო ჟრუანტელი უვლიდეს ძალიან ნაცნობი, მხუთავი სურნელით გაუღნთილი მტვრიან იატაკს და დგას ამ გაჩახახებული სცენის შუაგულში და ყველაფერი: მასთან ერთად მბრუნავი მუყაოს ჟანგისფერი კედლები, წითელხა-

ვერდგადაფარებული საწოლი და მძიმე, ელვარე-წითელი ფარდები, მრგვალი, ძველებური მაგიდა, რომელზეც კანკალით იწვის ბრინჯაოს შანდალში ჩამაგრებული სამი სანთელი და დიდი, მძიმე ჩამქრალი ქალი, ფრთადაკეცილი ფრინველივით განაბული ბნელი დარბაზის კამარაზე, მაგიური ძაფებით გამობმია მისი სხეულის თითოეულ წერტილს, ყველაფერი ბრუნავს, ტრიალებს და ანგია იჩოქებს, ნელ-ნელა ეშვება სცენაზე, რომელიც თანდათან ანელებს სვლას, ყრუ გუგუნე იღვევა და ავანსცენის კედლე დაცემული გრძნობს, როგორ იძაბება სიერცე უკანასკნელი ტაშის მოლოდინში..

ახალგაზრდა თეთრხალათიანმა ქალმა, რომელსაც ძალიან ლბილი, თითქმის ვარდისფრად გამჟვრვალე ხელისგულები ჰქონდა და მთელს ტანზე პიტნის სიგრილე და სურნელი ეფინა, კარვად დასწავლილი სათნო ღიმილით უთხრა: „თქვენ დაღლილი ხართ და სიმშვიდე გჭირდებათ, ჩვენთან წამოხვალთ, დაისვენებთ და ყველაფერი კარვად იქნება. აი ნახავთ!“

ეს შეცდომა! თქვენ არ იცით! მართლა იყო ეს, მართლა! ახლაც ცხადად უდგას თვალწინ. ვანა შეეძლო არ ეთქვა ანეტასათვის, ელისოსათვის..

ექთანმა ცივად შეაესო მისი ანექტა! გვარი... სახელი... მამის სახელი... იყო თუ არა ავად — არ ყოფილა

და ყველაფერი დამთავრდა. „თქვენ დაღლილი ხართ“. — „ღმერთო“ — ამოიოხრა ანექტამ — „ღმერთო, როგორ გავგაწვალე!“

და ანგიას მოეჩვენა, რომ კიდევ ერთი შეთქმულება მზადდებოდა მის წინააღმდეგ. იგი სადღაც მიჰყავდათ. ეს უკანასკნელი ღონისძიება იყო ამ ხალხისა, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწყევია. მის არსებაში დავანებულიყო ღვთაებრივი სიმშვიდე და სათნოება და უკვე ყველაფრის პატიება შეეძლო. როცა გარეთ გადიოდა, სიყვარულით მთავლო თვალი ირგვლივ მყოფთ.

ელისო კარბთან იდგა და ტიროდა. შვილის ცრემლებშიაც, რომლის აზრი ახლა ვერაფრით ვერ გაეგო, მან იგრძნო მამაკაცური სიმყარე და სიამაყე და რაღაც ისეთი აღმაფრთოვანებელი თავდაჯერება, რომელსაც უკვე ვეღარავინ წაართმევდა! დრო ისევ დაიძრა და მიჰყვა თავის თანაბარზომიერ, წყნარ მდინარებას, დრო ხილული და ხელშესახები, როგორც გაშლილ ხეობაში ნება-ნება მონანავე ბურუსი, ყველაფერი მოიცვა, ამოძრავა და შექპურა თავის დიად მბრძანებლურ მეუფებაში, დაიძრა და თან გაიყოლია ანგია და მთელი ქვეყანა, მთელი სამყარო, რომელშიც უცებ ეულად მანათობელ სხვიმიმკრთალ ვარსკვლავივით აციმციმდა და ჩაქრა ლანდი დელის პირას ჩატუცქულ გოგონასი..

- ნუცა! ნუცა!
- ახლავე, ახლავე! Разве не кончили?
- არა, ერთი კიდევ!
- Надеюсь последний?
- ჩქარა!

და წუთით დასადგურებულ ნერვიული მოლოდინით დამუხტულ სიჩუმი უხალისოდ გაისმა:

„სიზმარი“. ნაიზოდი „გავლელოგა“, დუზლი მისამი

— კამერა! — ბრძანა ცივმა, მშვიდმა ხმამ.

აი ვილაც მორბის თავდაღმართში, ხელებს იქნევს, თვალებს აბრიალებს და კისერგაშეშებული მიიჩქარის თავქვეზე... აი მეორეც გამოეყო ქუჩის თავში დაგუბებულ ბნელს, ჯერ ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა, შემდეგ სირბილით დაეშვა. უცებ რიყის ქვას წამოჰკრა ფეხი, წონასწორობა დაჰკარგა, მაგრამ არ დაცემულა, ვასწორდა, კისერი წაიგრძელა და გაიქცა, მაშინვე კიდევ ორი კაცი მიჰყვა წინწასულთ...

— მასა! — გავარდა ქალის ნაცნობი ძახილი.
ანგია წინ წამოვდა, ტროტუარის

კიდზე გაჩერდა და იქით გაიხედა, საიდანაც ეს ხმა მოდიოდა.

— ჩქარა! — ყვიროდა ვილაც, — ჩქარა! ერთმანეთს ნუ ებლანდებით! უკვე ველარაფერს ხედავდა, ყველაფერი ირეოდა ირგვლივ, ყოველი მხრიდან გამორბოდნენ, წინ უსწრებდნენ და მიათრევდნენ. ვილაცამ იდაყვი ჰკრფერდში და გვერდზე მიაგდო. ტყავისქურთუკიანი გახვითქული კაცი გამოვარდა ზურგიდან, კინაღამ დაეჯახა სხარტი ილეით აუარა გვერდი და წინ მიმავალთ შეერია. ახლა ხავერდის-პალტოიანი დამანქნული დედაბერი ამოუდგა გვერდით, ქლოშინით მიცუხცუხებდა თავდაღმართში და ანგიას ეპოტინებოდა. ანგია შუაგულ ბრბოში მოექცა, უაზროდ მიჰყვა... როდის აღმოჩნდა აქ? რა უნდა? აკი გააგდეს! აუტრძალეს! ფეთიანივით მიმოიხედა ირგვლივ. რაღაცას დაუწყო ძებნა, კისერს იგრძელებდა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. გაუძლისი ტკივილი მოაწვა მკერდში, ყელში ცხელი გორგალი დაუტრიალდა, ერთბაშად აავსო ნაცნობმა სიმშავემ. წინ გავარდა. წამით გაიელვა პროექტორის გავარვარებულმა თვალმა. მაშინვე რეჟისორიც დაინახა — იგი ურიკაზე იდგა, ხელი წინ გაეშვირა, ნერვიულად კრუნჩხავდა თითებს და რაღაცას გაჰყვიროდა. ანგია მონუსხა ამ სანახავმა! მისკენ გაქანდა, მაგრამ მაშინვე შეიკრა ეს საზარელი გუნდი, თვალწინ მობანცალე სხეულები აეფარა და ყველაფერი გაქრა, მხოლოდ კვამლით შემღვრეული ნათელი აბოლდა სადღაც მაღლა, სახლებს ზევით ჩამუქებულ ცისკედურზე

— მანქანები! წამოვიდეს მანქანები!
ანგიამ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და იგრძნო, როგორ შექანდა ქუჩა მის ზურგსუკან, აიზნიქა, შეტორტმანდა და თითქოს უზარმაზარი მსუბუქი ზვირთი გადაემხო თავზე, მაშინვე სირენების ზმილიმა გაუყინა

სოსო პაიჯაძე
უჩანასაძე დუზლი



გული; შედგა, უკან მოიხედა. მობარბაცე-სხეულთა ტევრში დაინახა სადღაც ეზოსა თუ ვიწრო ჩიხის სიღრმიდან გამოვარდნილი ორი ნათელი თვალი ავტომობილისა, შექფარების ჭავლი დაქვევრა პირდაპირ აღმართულ კედელს, ელვისუძმალ გადაევლო და გასწორდა. მაშინვე კიდევ ორმა ნათელმა ღვარმა გაიელვა, ყველაფერი აავსო, დააბრუნა, დაატრიალა და აჰა, დაიძრა დიდი გაჩახჩახებული სცენა, ლიტინ-ძაგავით დატრიალდა ჩაბნელებული პარტერის გასწვრივ და...

— ვინ გამოუშვა ეს კაცი! — იბღავლა ვილაკამ, — გავიდეს!

— იყოს! — მოესმა ანგიას ქალის აღზნებული ხმა და კინალამ გული გაუსკდა აღტაცებისაგან.

— გამიშვით! — ვილაკას დაქვევრა, გვერდზე მიაგდო, თვალისდახამხამებაში გაძვრა სხეულთა შორის, წინ გამოვარდა, წამით დალანდა რამდენიმე ნაბიჯიდან მობჯენილი ის მავიური თვალი, ყველაფერი აავსო მისმა სანატრელმა უძირო სივრცემ, აიტაცა და დაითრია და მაშინვე თვალისმომპკრელმა ნათელმა შეიპყრო ყოველი, ანგიას მოეხვია და ბურთივით აისროლა, მობრუნდა — აი ეს წამიც! წამი, რომლისთვისაც ცოცხლობ! როცა ის წამი დადგება, უკვე უძლეველი ხარ! უკვე მოიპოვე უფლება სიყვარულისა და მთელი გზა ამ სიყვარულში გავილის. ამისათვის გაჩნდი ქვეყნად! ამ ერთი წამისათვის! ეს არის შენი თავისუფლება — ერთი ღვთაებრივი წამი! და თუ შენ მოყვასისათვის ხარ ქვეყნად, უნდა იცხოვრო ამ ერთი წამის ძიებით! ოღონდ მთავარია მიხედვ: სიცოცხლეში მხოლოდ ერთია ასეთი წამი და მას სხვაში ნუ არევ, მხოლოდ ერთია შენი და ეძებ იგი, რათა იცოცხლო! — და მობრუნდა, ცალი ფეხი გავეშებით დაჰკრა მიწას და იმ კამკამა ნათელისაკენ გადახტა! თითქოს

სადღაც გარეთ, საკუთარ თავს იხედა, მან დაინახა ეს ნახტომი, მეყვსეულად გაუელვა თვალწინ ანთებულ სივრცეში ვაფრენილმა სხეულმა და მაშინვე, სანამ რაიმეს გაისაცნაურებდა, მუხრუჭების ღრქიალმა დაუარა გონებას, სმენას მისწვდა ქალის კივილი, მკერდში რაღაც დაქვევრა და უკან ისროლა.

მას არ უგრძენია არც ტკივილი, არც შიში, არც სინანული. არაფერი არ იყო ირგვლივ. იყო მხოლოდ ეს სინათლით გავსებული სივრცე, საყვარელი სახეებითა და მოგონებებით დასახლებული სამყარო და იწვა განათებული ქუჩის გულში, საჩინო და გამორჩეული უამრავ თვალთა წინაშე, სადღაც იქ, საზეიმო მწუხარებით გაქლენილ ოთახში, ზეწარგადაფარებულ სარეცელთან, რომელზეც მშვიდად ესვენა ძვირფასი სხეული ანეტასი, თუ მანამდე, ბნელი უფსკრულის ძირზე, თერთმეტ დასახიჩრებულ გვამს შორის... და აჰა, ტრიალებს დიდი გაჩახჩახებული სცენა, თანდათან ანელებს სვლას, ყრუ გუგუნიც იღევა და ავანსცენის კედელზე დაცემული ანგია გრძნობს, როგორ იძაბება სივრცე უკანასკნელი ტაშის მოლოდინში...

თვალი გაახილა. დანისლულ მზერას აელანდა მჭრქალი, გადაშლილი სახეები და მოცახცახე სხეულები. ღვთაებრივმა სიყვარულმა აავსო მისი არსება!

— ღმერთო. ეს რა მოგვივიდა! — გაიგონა ქალის დაზაფრული ხმა.

— ვინ გამოუშვა...

შემდეგ ყველა ხმა ერთმანეთში აიორია, შეერთდა და გაუგებარ ზუზუნად ჩაუდგა ყურებში. მაინც მისწვდა მაკაკის შორი, ზეცით მრეკავი კითხვა: — ეს დუბლიც გაფუქდა?

ანგია დაიძაბა, სმენად იქცა სანატრელი პასუხის მოლოდინში, მაგრამ მეტი არაფერი გაუგონია.





ჩემო მამულო:
 ჩემო ციხევე, ჩემო ტაძარო,
 უნდა მაცალო,
 ცოტა კიდევ უნდა მაცალო...
 ჩემო სოლომონ,
 ჩემო ბრძენო,
 ჩემო მწუხარო,
 პატარა კახო,
 დათოვლილო საბა-სულხანო.
 ჩემო გეგუთო,
 ჩემო გრემო,
 ჩემო შატილო,
 სისხლო და ცრემლო აქ დაღვრილო და დანატირო...
 ჩემო არაგვო,
 ჩემო თერგო,
 ჩემო ენგურო, —
 მომიკვდეს თავი თუ ოდესმე ვერ გიერთგულო!

ახლა შენ ტანზე გაცვია თოვა,
 მაღალი ქარი სავსე ფანტელით
 და გჯერა, მალე ვილაცა მოვა
 თოვლივით სუფთა და სანატრელი.
 და აგისდება რაც კი ინდომე, —
 კვლავ სიყვარულის მზით და ზღვის დეღევით

შენც აივსები, როგორც მინდორი,
 საგაზაფხულო ხვნით და სიმღერით...
 ახლა კი ტანზე გაცვია თოვა,
 მაღალი ქარი სავსე ფანტელით
 და მაინც გჯერა, ვილაცა მოვა
 თოვლივით სუფთა და სანატრელი

ხამსურული ვოკაბეზიდან

წყაროზე თუნგით ჩახვედი,
 ერთა ვაჟაიც გეტანა.
 ადგილზე გაეშრი, გაფხვედი, —
 — არ ჩამაგველო ნეტარა...

არა მინდოდა, გავძლებდი,
 სხვა არ მენახა შენთანა.



ა მ წ ე ე ბ ი

ცას მიბჟენილან გაშლილი მსრებით,
თვალსაწიერზე დგანან ამწენი.
რკინის ხელებით, მძლავრი ხელებით
ხვალე ასაგებ სახლებს არწევენ.
ისე ჩუმად და წყნარად აგებენ,
თითქოს ვიდაცის დიდი რიდი აქვთ,
სახლებს აძლევენ თავის სიმაღლეს
და კმაყოფილი სხვაგან მიდიან.
მერე ერთ სახლში ჩვილი თვალს ახელს,
სხვა სახლში ახალ სტრიქონს ეძებენ.
ქუჩას კაცივით არქმევენ სახელს
და დიდ სიცოცხლეს უანდერძებენ.



ისევ და ისევ
თავისკენ მიხმობს
სახე, რომელიც
ფიქრში აენთო.
შენი თვალეზი
შერჩება სტრიქონს,
თუ კი ეს ლექსი
შემრჩა საერთოდ.



რევოლუცია, პეტროგრადი,
დროშების ჯარი,
თავისუფლების სამრეკლოზე
რეკავდა ჯარი.
დიდი ოქტომბრის ნათელი დღე
იდგა ძლიერი,
მეწამულ ფერად კრთოდა ზეცის
დასალიერი.
ნევის ნაპირზე გამარჯვებას
სჭედავდა გრდემლი,
იყო ლენინი, იყო ქვეყნად
მოსკოვი, კრემლი.
რევოლუცია, ქარიშხალი,
წითელი ჯარი,
თავისუფლების საგალობელს
მღეროდა ქნარი.

ლ ც მ ლ ვ ა

ხელს ვუწვდი ნაძვს და იფანს,
(შენ რომ გიყვარდა ერთ დროს),
შეხედე — მზე პირს იბანს
და ცეცხლს უკიდებს ფერდობს.
ზევით — ფირუზი ზეცა,
ქვევით — ხავერდი მოლის,
მესმის სიცილი შენი,
როგორც წკრიალი ბროლის.
ჩემს დაუდგრომელ სურვილს
შენსკენ უჭირავს გეზი.
და კვლავ ფათქუნობს გული,
როგორც მორევში თევზი.



ჯამალ მონიავა

თეატრალური ნოველები

ძველი თეატრალური კოსტუმი

რა მომავალზე უნდა ეფიქრა, ჩვეულებრივზე ცუდი ნაჭერი იყო, სქელი, უხეში და ხორკლიანი.

— „ჰი... ჰი... ჰი...“ — ქილიკობდნენ მის გვერდით, თახჩებზე ჩამოლაგებული აბრეშუმები, ფარჩები, დიბები, ატლასები.

გადიოდა დღეები. თანდათან თხელდებოდა მისი მეზობელი თოფების სისქე. თანდათან ილეოდა მათი მარაგი და ეს ანაღვლებდა.

— ჰი... ჰი... ჰი...“ — მაკრატელის ყოველ გაკრაჭუნებაზე ისევ ისმოდა ქილიკი. რამოდენიმეჯერ მაღაზიის წინ, ქუჩაში, თვალი მოჰკრა ოცნებაახდენილ მეგობრებს. მოშარიშურობდნენ კოხტა თეძოებს შემოკვართულნი და თვალს უყენებდნენ გამვლელთ.

ეს კი იდო მაღალ თახჩაზე და თანდათანობით ეფინებოდა მტვერი. დღეები მიდიოდა, მის გვერდით ახალ-ახალი თოფები ჩნდებოდა — ფარჩების, აბრეშუმების, დიბების და აი, ერთ დღეს რამდენიმე კაცი მოადგა დახლს. საქმიანი იერი ჰქონდათ, ძალზე აღზნებულნი თვალეები. რაღაცას კამათობდნენ, რაღაცაზე ბჭობდნენ, გამყიდველმა, როგორც ყოველთვის, მისი მეზობლები გადმოუღვავა, მაგრამ, ჰოი, საკვირველება, მაღალმა კაცმა, რომელიც ყველაზე მეტად იყო აღზნებული, სწორედ ის მოითხოვა.

ღიახ, ღიახ, ეს არ იყო სიზმარი. თვალნათლივ დაინახა, რომ სწორედ მისკენ იყო ხელი მოშვერილი. მერე გამყიდველის დიდი ხნის მონატრებული თითები იგრძნო წელს ქვევით და პაერში აფარფატდა. გამყიდველმა ბოდისი მოიხადა და ზედაპირზე ფენად დადებული მტვერი გადაწმინდა. — „რა მეშველება, ახლა კი ნამდვილად დამაბრუნებენ თახჩაზეო“, — გაიფიქრა დამფრთხალმა, მაგრამ მაღალმა აღტაცებით წამოიძახა — „მივაგენი, როგორც იქნა, მივაგენიო!“ მერე მაკრატლის-საამო ღიტინი იგრძნო ილიებში, გაახვიეს და წაიღეს. კვლავ აკრაჭუნდა მაკრატელი. დაჭრეს, დაკუწეს, აკემსეს და ვიღაც ახლადულვაშებზელინდულულ ჭაბუკს მოაზომეს. მისი ტანის სიახალგაზრდავე და სიმხურვალე იგრძნო და ათრთოლებული შემოეტმასნა.

ეს მაღალი, სულ გარშემო უტრიალებდა, სინჯავდა, რაღაცას ეჩხუბებოდა ოსტატს, უსწორებდა. ბოლოს საკვრავ მანქანას გაუგეს ფეხქვეშ. ააწყვეს, დალაინდაგეს და ისევ ჩაიცვა იმ ახალგაზრდამ.

გული ამოვარდნაზე ჰქონდა. რა ხანია მზად იყო, ახალგაზრდა ყოველდღე იცვამდა, მაგრამ ერთხელაც არ გასულა ოთახიდან. მას კი ისე უნდოდა გაჭრილიყო ქუჩაში. ჩაველო მაღაზიის წინ და მედიდურად გადაეხედა თახჩებზე

ჩალაგებული დობილებსთვის, მაგრამ
ოთახიდან რატომღაც არ უშვებდნენ.

ერთ ღღეს აზრიალდა შენობა. საო-
ცარი სისწრაფით ამოძრავდა ყველა.
თვალისმომკრებლად ბევრი შუქი დაილ-
ვარა ირგვლივ. მერე ერთ წამს ყველა-
ფერი მიწყნარდა. უზარმაზარი ხაერ-
დის ფარდა შარიშურით გადაიწია და
დარჩა ის ამ მოზიზიზივე შუქში, თავის
პატრონს შემოხვეული. შქერთა, მკერდ-
ქვეშ გულის აჩქარებული ბავუნი იკრძ-
ნო, უფრო მიეკრა პატრონს. ქვევით,
დარბაზში თვალი მოჰკრა დობილებს:
ღიბებს, აბრეშუმებს, ფარჩებს, რომ-
ლებიც აღტაცებულნი შესცქეროდნენ,
მაგრამ ახლა მათთვის არ ეცალა. რო-
ნინობდა ატკარცალებულ შუქზე. ხან
ფარშავანგის მარაოსავით გაიშლივინე-
ბდა, ხან ისევ შემოეტმასნებოდა პატ-
რონს და ოფლით იქლინებოდა.

იფეთქა ტაშმა, ივრიალა ოვაციამ. ის
იღვა ამავი. დალილი, გაოფლიანებუ-
ლი, აჩქარებული სუნთქავდა და მკერდ-
ში იხუტებდა სურნელოვან ყვავილებს.

თითქმის ყოველ საღამოს მეორღე-
ბოდა ერთი და იგივე: უკვე შეეგუა
აქურობას. წინასწარვე გრძნობდა, რო-
გორ გულისცემას იგრძნობდა მკერდ-
ქვეშ, როგორ გაიწურებოდა ოფლში,
როგორი ოვაცია იქნებოდა. მერე მოსა-
ლოცად მოსულ ფარჩებს, აბრეშუმე-
ბსა და ატლასებს იხუტებდა მკერდში.
შურღათ მის დობილებს, აშკარად შუ-
რღათ მისი და ეს აამაყებდა.

ასე-გრძელდებოდა თვეები, წლები.
სად არ იყო, რომელ ქალაქში არ უკ-
რავდნენ ტაშს, ვინ არ შენატროდა. მი-
სი პატრონი აღარ იყო ახლადშედინლ-
ული ჭაბუკი. სიგანეშიც მოიმატა ცო-
ტა და გვერდში ახალი ნაწერი ჩაამა-
ტეს, მაგრამ არც ეს ანაღვლებდა. ოფ-
ლში უფრო მეტად იღვრებოდა, გულიც
უფრო ძალუმად უფეთქავდა, მაგრამ
ტაში კვლავ არ ცხრებოდა, ტაში კვლავ
იღვრებოდა ტბილ საღუნდა.

მოძველდა თავადაც, დედაბრის ჩაც-
ვინილ კბილებივით ღილებიც ააწყდა

აქა-იქ, მაგრამ ოვაციები კვლავ
ქვეოდა მის ირგვლივ.

ერთ ღღეს კი გაახვიეს თეთრ სულა-
რაში. რაღაც თეთრი ფხვნილი შეაფრ-
ქიეს და ბნელ ოთახში გამოკეტეს. გუ-
ლი სულ ვარეთ, მოზიზიზივე შუქისაკენ
მიუწევდა, მაგრამ ირგვლივ წყვდიადი
იყო გამეფებული. მხოლოდ შორიდან
ესმოდა ტაშის აფეთქება და აღტაც-
ებული შეძახილები.

გადიოდა ღღეები, თვეები, წლები,
არავის მოჰგონებია მის პატრონზე ეს-
მოდა მხოლოდ შემომატებულ ტანსა-
ცმელთაგან: — „გაიხარდაო, სახელა
გაიფქვა, მთელს მსოფლიოში ცნობილი
კაციოა“.

მთლად დაჩივდა, მტკრის ფერი და-
ედო. არაფერი აღარ ედარდებოდა, აღა-
რაფერზე აღარ ფიქრობდა. მხოლოდ
ზოგჯერ, როცა კვლავ გაიგონებდა თა-
ვისი პატრონის ქებას, მხრებს შეათამა-
შებდა, მტკერს გადაიყრიდა, თითქოს
კვლავ უნდა სცენაზე გაიჭრასო. მერე
ისევ გაინაბებოდა.

ღღეები უღიმამოდ მიიზღახნებო-
დნენ. დროის შეგრძნების უნარი და-
კარგა.

ერთ ღღეს გამოიტანეს და ვილაც
ქერა ყმაწვილს ჩააცვეს. გაიხარა ისევ,
თითქოს ძველი ფერიც დაუბრუნდა.
ერთი სული ჰქონდა, როდის გაიშლი-
ვინებდა სცენაზე, როდის აიხდებოდა
ფარდა, როდის გამობრწყინდებოდა
ქახუახა შუქზე.

ფარდაც გადაიწია, შუქიც უხვად და-
იღვარა, მაგრამ უცნაური იყო: —
მკერდქვეშ ვერ გრძნობდა ათრთოლე-
ბულ გულისცემას, არც ოფლი შეუს-
რუტავს, არც ხშირ სუსტოქვას აუნთია.
რაღაც ავის მომასწავებლად იყო დარ-
ბაზი გაყუჩებული. მერე საღდაც აბრე-
შუმინამა ჩაახველა, მას ფარჩინამა მი-
ბაძა, მერე ვილაცამ დასტვინა, მერე მე-
ორემ და აირია ყველაფერი.

საშინლად შერცხვა. უნდოდა მოცი-

ჯემალ მონიავა
თეატრალური ნოველები



ლებოდა ახალ მფლობელს, მაგრამ ვერ ახერხებდა. ქერთაშიანმა უხეშად გადაიძრო და გაბრაზებულმა მოიქნია ოთახში. სულ არ ნაღვლობდა, რომ მთელ ჯავრს მასზე იყრიდნენ. პირიქით, საშინლად მოუხდა ისევ ჩაეეცათ ბნელ ოთახში, გავხვიათ თეთრ სუდარაში, აღარ დანახებოდა თავის დობილებს, აბრეშუმებს, ფარჩებს, დიბებსა და ატლასებს.

ასეც მოხდა, ეკილა თავისთვის დარცხენილი. მის გვერდით შემომატებულა კოსტუმები კი ახალ ამბებს ყვებოდნენ, კორაობდნენ, იცინოდნენ, ის კი ხმას აძლიებდა, ეკილა ჩუმად შერცხვინილი და მივიწყებული.

ერთ დღეს, ახლადმოსულმა კოსტუმმა მოუტანა ამბავი: „გარდაიცვალა შენი პირველი პატრონი“, — თვალა დაუბნელდა, სიცოცხლესთან მაკავშირებელი ერთადერთი სხივი გაუწყდა. ვინდა მოხედავს ახლა, ვილას რად უნდა უპატრონო და მიუსაფარი? კინლა გაიყვანს ჭახჭახა შექზე, ვინ კადაახედებს რამპის ზემოდან დარბაზში გატრუნულ აბრეშუმებზე, ფარჩებზე, ატლასებზე. უცებ გაახსენდა ერთხელ გავონილი: რომელიდაც მსახიობი თავისსავე თეატრალურ კოსტუმში დაკრძალესო და გული აუთრთოლდა: ხომ შეიძლება ისიც ჩაატანონ, ხომ შეიძლება? — მაგრამ მოლოდინი მოლოდინად დარჩა.

მერე იგრძნო, რომ თავადაც მოკვდა. მოეშვა, მხრები უსიცოცხლოდ ჩამოეკიდა, თითქოს ორკაზზეა ჩამოცმულიო, ყურთასმენა დაეხშო და სუნთქვაც შეუწყდა.

ერთ დღეს კი, ისევ გაიღო კარები.

ძლივს გამოვლივს გარშემო შემოკვართულ აბლაბუდას, გამოიტანეს და დაეციოდაც სხვა ახალგაზრდას მოარგეს. ეუცხოვა, სხეული, მაგრამ ინსტინქტურად მინც მიეკრა. ვილაცამ თქვა: — „აღარ ვარგა, ახალი უნდა შეიკეროსო“, — მაგრამ ახალმა მფლობელმა იტყვიდა. „არამც და არამც, იცით ვინ თამაშობდა ამ კოსტუმშიო“. გაწმინდეს, გაასუფთავეს, ახალი ღილები დააკერეს და ახალ პატრონს შეუტანეს ოთახში.

პრემიერა ახლოვდებოდა. ამას უკვე ხვდებოდა. ეს უკვე კარგად იცოდა. უკვე გრძნობდა ახალი პატრონის გულისძგერას, მის ოფლს, მის სუნთქვას. ახალგაზრდა მოწიწებით იხდიდა და ფრთხილად კიდებდა თავის ოთახში. მას კი გამუდმებით ესმოდა ხმები: „ეგ ვერ ითამაშებს ამ როლს. იცით ვინ თამაშობდა ამ ტანსაცმელში, იცით რა ხმა ჰქონდა, რა პლასტიკა? მის შემდეგ ვერავინ ვერ ითამაშა ეს როლიო“.

მან კი იცოდა, გუმანით გრძნობდა, თუ როგორი იქნებოდა მისი ახალი მფლობელი. მას ყველაზე უკეთ ესმოდა აძგერებული გულის ხმა, იგი ყველაზე უკეთ გრძნობდა გამონადენი ოფლის გემოს და იცოდა სუნთქვის გარჩევაც. ეს სუნთქვა ჰგავდა სწორედ იმას, რაც დიდიხნის წინათ შეუტრძენია. ეს გულის ძგერა ჰგავდა სწორედ იმას, რასაც აუთრთოლებია და ეს ოფლი ჰგავდა სწორედ იმას, რაც თავდავიწყებით შეუსრუტავს.

მან, ყველაზე კარგად იცოდა, რომ მისი ახალი მფლობელი დიდი გზის დასაწყისში იდგა.

მასზე უკეთ ვერავინ იგრძნობდა ამას.

მონოლოგი

მას შემდეგ აღარ გაკარებია თეატრს..

კარგა ხანი გავიდა, მაგრამ ერთხელაც არ გაკარებია: აუვლიდა გვერდს, შუბლსქვემოდან გახედავდა შესასვლელში აზუზუნებულ ხალხს, მაგრამ

შიგ არ შესულა. შინაგანი ხმა, რომელიც დიდი სიამაყის, თუ შეურაცხყოფის სახით ჰქონდა ჩაბუდებული, არ აღლევდა ამის საშუალებას.

მთელი ცხოვრება შეალია ამ სამკედლიან სცენას. ცხოვრობდა აქ, არსებო-

ბლა, იღწვოდა, სუნთქავდა. ეს იყო მისთვის მთავარი და არა ის, რომ ვიღაც უცქეროდა, ვიღაც განიცდიდა მის აზრებს, ან არ განიცდიდა.

ორმოცდახუთი წელი შეაღია სცენას. არასოდეს არ ღირსებია სქელტანიანი როლი. მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე, მის მიერ წარმოთქმული სიტყვები თორმეტფურცლიან რვეულში თუ დაეტოვდა. მაგრამ რეკვიზიტი ჰქონდა ამოუწურავი. რა არ გაუთამაშებია სცენაზე, რომელი უსიცოცხლო ნივთისთვის არ ჩაუღვამს სული და თავდაც ყოფილა რეკვიზიტი, ცოცხალი რეკვიზიტი.

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს უთხრეს: — გეყოფა, პალიკო, შენ ახლა დასვენება გჭირდებაო, — და აკი გაუშვეს კიდეც.

ცოდვა გამხელილი სჯობს და მთელი ხუთი წელი ელოდა ამ დღეს. სულ ეშინოდა: — აი, ახლა გამიშვებენ პენსიაში, აი ახლაო, მაგრამ როცა ეს დღე დადგა, მინც ეწყინა. ეწყინა კი არა უზარმაზარი კენჭი დაადგა ყელზე და ლამის დაახრჩო.

არაფერი დაუკლიათ გამოსამშვიდობებელ საღამოზე. არც ტკბილი სიტყვა, არც გულუხვი სურვილები, მაგრამ სასულეში გაჩრილი კენჭი ვერა და ვერ გადააგორა.

რას ერჩოდნენ, ხომ არაფერს თხოვლობდა? იქნებ უნდოდა კიდეც ეთხოვა რამე, იქნებ აწუხებდა კიდეც, მაგრამ ხომ არ უთქვამს არასოდეს.

ორმოცდახუთი წელიწადი შეაღია სცენის სიყვარულს და არაფერში არ გაუცვლია, არც დაუხურდავებია არაფერზე. პირიქით, საკუთარი სიყვარულიც კი ვერ იპოვნა ცხოვრებაში. ჰოდა, რა უნდოდათ, რას ერჩოდნენ?

აი, ამისთვისაც აღარ ვაპკარებია თეატრს.

პენსია დიდი არ ჰქონდა, მაგრამ ყოფნიდა. მით უმეტეს, რომ მუცელი არასოდეს უქორებია და ჩაცმა-დახურვაზე მოჭარბებულად არასოდეს უფიქრია. — მაინც ვერ ჩერდებოდა სახლ-

ში. ხან ქუჩებში მორიგეობდა, რაზეღებებს ეხმარებოდა, ხან სტადიონებზე ხავდით, ხან სად და ხან სად, მაგრამ თეატრში მას შემდეგ აღარ შესულა.

ახალ წელს მასავით მარტოხელა, პენსიონერ ბუღალტრის სახლში შეხვდა. ძალზე დაახლოვდნენ ამ ბოლო ხანებში პალიკო და ბენო. ბენოც ძალზე აქტიური პენსიონერების ჯგუფს ეკუთვნოდა.

ბევრს ეხვეწა ბენო დარჩიო, მაგრამ ვერაფრით დაიყოლია. ძილი ნებისა უსურვა მასპინძელს, დაბანცალბებული ღიღინით დაყვა ქუჩას. უცნაურია ბედისწერა, შენი ფეხით მიგიყვანს იქ, სადაც არ გინდა და თანაც მოძახილს გათქმევინებს.

უცებ შედგა პალიკო. იგრძნო, რომ სასულე გადაუქეტა ყელში მომდგარმა კენჭმა და შედგა. თვალები მოიფშვნიტა, აშკარა იყო, რომ თეატრის წინ იდგა, თავისი თეატრის, მისი საყვარელი თეატრის წინ. მუხლები აუკანკალდა და მთელი სხეულით მიეხალა ცივ კედელს, რომ არ წაქცეულიყო.

კარგახანს იდგა ასე, სულს ითქვამდა, იხსენებდა, წვალობდა, ცდილობდა არაფერი გამოპარვოდა. ყველაფერმა გაურბინა თვალწინ. ყოველმა დღემ ყოველმა წუთმა. ფარდის ყოველმა ახდამ და დახურვამ.

მერე ძალა მოიკრიბა და კედელ-კედელ გაყვა შენობას. ვიწრო, ჩაბნელებულ კარებს მიადგა. არც დაფიქრებულა, ისე დაარახუნა. ხმა არ გასცა არავინ. ახლა უფრო მომეტებულდ დასცხო. ისევ არავინ გამოპასუხებია. გული ამოვარდნას ლამობდა. სასულეში გაჩრილი კენჭი ახრჩობდა და მინც არ ჩერდებოდა. არახუნებდა და არახუნებდა.

— რომელი ხარ? — მოისმა კარებს იქიდან დახშული, ნამძინარევი ხმა.

ჯემალ მონიავა

თეატრალური ნოველები



— პალიკო ვარ.
 — ვინ პალიკო კაცო?
 — პალიკო ვარ, პალიკო.
 — სახლი შეგწლია, გაიარე თუ ძმა ხარ.

— გაიოზი ხარ შენ? — უცებ გაუნათდა სახე პალიკოს!

— რომელი ხარ, კაცო? —
 — პალიკო ვარ, გაიოზ, ვერ მიცანი?
 — რას მეუბნები, კაცო?

საკეტში გასადებმა გაიჩხაკუნა და კარები ყურთამდე გაიღო.

— გამარჯობა, გაიოზ.
 — გამარჯობა, პალიკო შენი.
 — მოგილოცავ ახალ წელს.

— იცოცხლე; მრავალს დაესწარი, — ეხვეოდა პალიკო კარებში გაჩხერილ მოხუც მეხანძრეს, — მარტო ხარ?

— შემოდი, შემოდი. საღ დაიკარგე, რომელმა ქარმა? — ჩამოზნელებულ დერეფანში გაუძღვა გაიოზი, — მოგვიძულე ხომ? რასა იქ, როგორა ხარ?

— ვარ ასე, დაჩაჩანაკებული.

— ა, ეგ სიტყვა არ გამაფონო, პალიკო. სადაცაა შენი ხნის მოვიყრები მეც და სულაც არ მინდა დაჩაჩანაკებული მერქვას. აგერ ჩამოჯექი. შეგხედო ერთი. რას ინაზები? არავინ არ არის, მარტო ვმორიგეობ დღეს.

— შენ რას შევები, არ გაუშვიხართ ჯერ?

ვერ მეღევიან აღბათ. დაჯექი ახლავე გავაჩენ ყველაფერს და... გაიშალა სულრა.

— აგერ მაქვს ყველაფერი, მაგრამ ხომ იცი მარტო კაციო... შენ გაგახარა ღმერთმა, ასე ქრისტესავით, რომ გამომეცხადე ჭიქის მომჭახუნებლად. ხომ იცი, არასოდეს არ მიყვარდა მარტო სმა, — არ ცხრებოდა გაიოზი.

— მარტო არა მაგრამ ისე შემთხვევას არ უშვებდი ხელიდან:

— გახსოვს ხომ? ის თუ გახსოვს თეიმურაზის ბანკეტზე ლიტრიანი რომ მოვიყუდე?

— მეც — დავლიე.

— კი დალიე, მაგრამ მეორე დღეს

დაზგიდან გადმოვარდი სპექტაკლი დროს.

— უჰ, შენ რა გითხარი.
 — რა შეგეშინდა, ბიჭო.
 — ხომ ყოჩაღად დავხტი?
 — კი, კი. გაგიმარჯოს, მოვილოცავ ახალ წელს.

— იცოცხლე.
 — ის გახსოვს: ქანდაკების მაგივრად რომ იდექი სენატის სცენაში და ბუზი რომ დაგაჯდა ცხვირზე, ა? — ჩაიქილი-კა გაიოზმა.

— რამ გაგახსენა, შე უღმერთო?
 — გაგიმარჯოს.
 — იცოცხლე.

— ფრაკის ბოლოთი რომ დაგაბეჭკულსებში და სცენაზე გასული ზამბარასავით რომ შემოვარდი უკან?

— იცოდი ხომ, შე უღმერთო, რომ მაბამდნენ?

— ვიცოდი, მაგრამ, რომ მეთქვა მოკლავდნენ.

შენ რა გითხარი შენ. გაგიმარჯოს.

— იცოცხლე.

— შენ გაგახარა ღმერთმა; პალიკო.

— ის თუ გახსოვს, დათიკოს რომ ფინალში სიტყვები დაავიწყდა და მე რომ ვთქვი? — ახლა პალიკომ შეუბრუნა კითხვა.

— მაგას რა დამავიწყებს. მაღლობაც გამოვიცხადეს მაშინ. სპექტაკლი გადაარჩინაო. იცოცხლე.

— გაგიმარჯოს. დამბაჩა რომ არ გავარდა ბრძოლის სცენაში და ვახტანგი ხელით რომ დავახრჩვე?

— აბა ძალიან მოიფიქრე, თორემ დაილუბებოდა ყველაფერი. შენ გაიხარე, პალიკო, არ გამომაცოცხლე ეს ჩაძინებული კაცი, — სიცილისაგან სულს ძლივს იბრუნებდა გაიოზი.

— დამისხი, გაიოზ, — შეთამამდა პალიკო, — ის გახსოვს, თამარს რომ ფეხი დაუცდა და დავიჭირე?

— აბა წესით ხელის ხლების უფლებ-ბა არ გქონდა. ის დედოფალი იყო და შენ პაყს თამაშობდი, მაგრამ რომ არ

მიშველებოდი, ტვინს დაასხამდა ძირს. გაგიმარჯოს.

— გამიმარჯოს.

— ახლა რას შევები, როგორა ხარ, ჩემო პალიკო?

— გიტარას რომ ვუკრავდი კულისებში და სიმი რომ გამიწყდა?

— გახსოვს, რა გაამართლა შოთამ?

— ჰო. ვაგიმარჯოს.

— იცოცხლე. თეიმურაზმა რომ დაიგვიანა და შენ ჩაგაცვეს?

— უცებ შეწყვიტა სიცილი პალიკომ. სახე გაუფითრდა და იგრძნო, როგორ მოაწვა კენჭი სასულეში.

— ა?

— არ გახსოვს? ის იყო სცენაზე უნდა გასულყავი და მოიყვანეს კიდეც. შენ გაგხადეს და ისევ იმან ითამაშა, — არ დაცხრა გაიოზი.

— ჰო.

— მთვრალი იყო, მაგრამ მისი როლი იყო და ათამაშეს.

— მახსოვს.

— ერთი ხმა არ ამოვიღია.

— არა.

— არა და ითამაშებდი შენ იმ როლს.

— რა ვიცი.

— კი ითამაშებდი. ვიცი მე, ითამაშებდი. ისე უცნაური კაცი იყავი. არ იტყოდი არაფერს. არ მახსოვს ერთხელ მაინც გეთხოვოს რამე მათამაშეთო.

— არა.

— იმ როლს კი ითამაშებდი. თეიმურაზი რომ არ მოეყვანათ, ითამაშებდი.

— რა ვიცი.

— სიტყვები ხომ იცოდი?

— სიტყვები იცოცხლე.

— ჰოდა, ითამაშებდი. არასოდეს არ გიციდია დიდი როლი გეთამაშნა, მაგრამ იმ როლს ითამაშებდი.

— ვითომ?

— დაიჩაგრე ძალიან.

— ეჰ...

— არ უნდა გაგხადათ მაშინ შენთვის მითუმეტეს, რომ მთვრალი იყო თეიმურაზი.

— რა ვიცი.

— ის როლი, რომ გეთამაშა, მეტე ნაბადნენ, რაც შეგეძლო.

— შეიძლება.

— ა?

— არაფერი.

მერე ისევ სიჩუმე ჩამოწვა. პალიკო გრძნობდა, რომ სასულეში მომდგარი კენჭი პადა პა ბოლოს მოუღებდა. მომეტებულად გადაყლაპა ნერწყვი, მაგრამ ძვრაც ვერ უყო იმ ოხერს.

— ვაგიმარჯოს! — ჭიქა მიუჭახუნა გაიოზმა.

— ჰო. — ხმის ამოუღებლივ დალია.

— მითხარი რამე? — ჩაეკითხა გაიოზი.

— ა?

— რამე ხომ არ გინდოდა-მეთქი?

— არა, არაფერი.

— ჰოდა დალიე.

— ჰო დავლიე.

— შეგარგოს ღმერთმა.

— გაიოზ!

— გისმენ.

— დარბაზი თუა ღია?

— რად გინდა?

— არაფრად, ისე ვიკითხე.

— გავალებ თუ გინდა.

— არა, იყოს.

— ვაგიმარჯოს.

— აღარ მინდა.

— როგორც შენ იტყვი.

— ძმურად. ვერ გაალებ?

— რა მოგივიდა, პალიკო.

— გააღე ერთი თუ კაცი ხარ.

— ახლავე.

კარგა ხანს იდგა ჩუმად. გაიოზი კარებში ჩამდგარიყო და მხრებაწურული შესტკეროდა. პალიკო შეიშმუნნა, თვალი მოავლო პარტერს. ირვკლივ სიბნელე იყო. მხოლოდ გასასვლელების ამლნიშვნელი წარწერები ციმციმებდნენ წითლად. სცენისაკენ გააპარა თვალი. ფარდა ღია იყო: სცენაზე მორიგი ნათურა ენთო და ოდნავ ანათებდა მის ჩამუქებულ კონტურებს. პალიკო გაუ-

ჯამალ მონიამა

თეატრალური ნოველები



ბედავი ნაბიჯით დაიძრა რამპისაკენ. გაიოზი პარტერში შემოვიდა და სავარძელში უხმოდ ჩაეშვა. პირველ რიგთან პალიკო შეჩერდა. თვალით მოზომა, შევძლებ ახტომას თუ ვერაო. მერე ხელებით დაეყრდნო ავანსცენას, ღრმად შეისუნთქა და შეხტა. შუა სცენაზე შეჩერდა, თავი ხელებში ჩარგო, ნელა მობრუნდა, თვალი მოაგლო უძირო პარტერს და დაიწყო:

— თუ მისთვის ჩემოვ ებრაელობას, რომ გავგამასხარო და კვლავ დაგვცინოთ. თავდაპირველად ხმა ოდნავ ხრინწიანი იყო, მაგრამ ნელ-ნელა გათბათ თითქოს. ძველებურად დატრიალდა ბგერა და ბოლქვად გამოიტყორცნა გარეთ: — ყური დაუგდე წყევლას, ცოდვილო! რომელ კარზედაც დაარახუნო, გავილოს იგი ხელმა მტრისაჲ. — გაოზი სუნთქვაშეკრული მისჩერებოდა სცენას. — ვით ბრმამ იარე და წყეული იყოს, ვინც მოგცეს ხელში შენ ყავარჯნები.

ბევრი რამ ენახა ამ სცენაზე გაიოზს. ენახა აწყვეტილი, დაუოკებელი მსახიობი. ენახა მოხეტიალი, ხალასი ნიჭი და უშუალობა, გამოცდილება და ოსტატობა, მაგრამ რასაც ახლა უყურებდა არასოდეს არ ენახა. დაგუბებული ბრაზი, რომელიც სადღაც წლებს იქიდან მოდიოდა. ბრაზი და შეუვალობა, სი-

ლიადე და სიამაყე, ძალა. უზარმაზარ ძალა კაცისა, რომელიც მთელი სცენის მანძილზე უთქმელად მიიწევდა ამოჩემებულ მიზნისაკენ. აჰა, მიაღწია საწადელს და გრძნობდა, რომ დრო საშუალო იყო. უნდა მოესწრო ყველაფერი, ყველანაირად უნდა გამოეყენებინა ეს საშუალება. უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი ამ მიღწეულის ღირსია, რომ ღირდა ამ წამისათვის ცხოვრება.

— წყეულმც იყოს საშო, რომელმაც შენ, უწმინდური და ბილწი გმობა!

ქარიშხალი გრიალებდა სცენაზე. აბოზოქრებული ტალღები საშინელის სიმძლავრით აწყდებოდნენ პარტერის კედლებს.

— ისე დადნები სიყვარულისგან, რომ ვერ გაიგებ ვერც ერთ ქალისაგან მხურვალე ალერსს!

დასრულდა. ჩადგა ქარიშხალი. აიკეცა ტალღები ზღვამ. შეწყდა გრგვინვა და ქუხილი... პალიკო იდგა სცენაზე დაღლილი, დაცლილი, გამოფიტული და მძიმედ სუნთქავდა. უცებ შეიგრძნო, რომ ყელში აღარ აწევებოდა კენჭი, იგი სადღაც გვამში ჩაკარგულიყო.

— კი ითამაშებდი შენ ამ როლს, პალიკო, — თვალზე ცრემლმომდგარი ჩურჩულებდა თავისთვის გაიოზი, — კი, ნამდვილად ითამაშებდი, ნამდვილად.



გოლოლინი

გზაშია ახლა ჩემი მერცხალი,
მაღე, სულ მაღე ჩამოფრინდება,
ცოტალა დარჩა დაუკეცავი
ცის ლაჟვარდები და მოფრინდება.

მზე დაიღვრება ცაზე სისხლივით
და ჩამეღვრება სულში ლექსებად, —
ჩემს აივანზე ახლა მზის სხივი
ნაზამთრალ ბუდეს ეალერსება.



შენ გამახსენდი და გამეცინა.
ო, არ იფიქრო,
ძველ სიყვარულს რომ დავცინოდე;
მაგრამ სად იყო იქ სიყვარული?
იქ იყო გრძნობა,
როცა თვალი გატყუებს მხოლოდ
და სიყვარულს მოწყურებული
სული სვამს წყაროს —
სიყვარულივით მოჩუხჩუხეს და არა წმიდას.

დათოვლილი გავაფხული

მაყვალა მრევლიშვილს

რატომ მიყვარს ლურჯი ია?
თოვლში ამოქოჩრილია,
გაზაფხული მან პირველმა
მასარა,
შენ გეკუთვნის,
შენი არი
ლამაზი და მშვენიერი
მთელი ქვეყნის ყვავილები,
მაყვალა.

ვერც ლექსების ჟრიაშულმა,
ვერც ბავშვებმა მხიარულმა,
ვერაფერმა,
ვერაფერმა დაღალა!
მიტომ მიყვარს უმეტესად
სიყვარულის პოეტესა,
დათოვლილი გაზაფხული —
მაყვალა.



მე რომ სევედას არ ვაფრთხოვდებ
ასლა ლანდი ვიქნებოდი.
მე რომ ეკალს არ ვახმობდებ —
დედავ, ხომ მოგიკვდებოდი.
მე რომ რწმენა დამემარსა —
ახლა განზე ვიდგებოდი.
მე რომ ლამე არ მენახა —

მზეო, ხომ გამიქრებოდი.
მე რომ წერა არ ვიცოდებ —
მინც ლექსად ვითქმებოდი.
არ მიყვარდეს?
არ ვიწვოდებ?
მაშინ რალა ვიქნებოდი.



მ ა ზ ი ა თ ი

ხიდისთავში ავტობუსიდან ჩამოსვლას არ ვჩქარობ.

სოფლის მოედანზე ჩამომხტარი, დიდხანს ვდგავარ იქვე და თვალს წყალს ვალევივებ.

გუბაზეული ძველებურად მიაშხუილებს ტალღებს, ხიდის იქით, მეორე ნაპირზე, სკოლის დიდი შენობა წამომართულა. მდინარის პირას იხვეები და ღორები დასეირნობენ. თეთრი ბატები დინჯად დაცურავენ და დროდადრო ჩაიყურყუმელავენ — რაღაცას ეძებენ ფსკერზე.

დღეს უქმე დღეა, მოედანზე ხალხი ირევა, ბაზრობაა. ისმის ცხარე და ხმა-მალალი ლაპარაკი. ვაკვირდები — ქალაქურად აცვიათ. თითო-ორილა თამბაქოსგან უღვამებშეყვითლებული მოხუცი თუ დაჩინდრიკობს უბრალო ტანსაცმელში, თავზე ყაბალახწახვეული. აგერ ერთმა გადმოირა ხიდზე კიდევ, შუახნის შარვალაკაპიწებულმა კაცმა, მხარზე თოხი გაუდგია. ალბათ არხს წმენდდა სადმე ან ყანაში მუშაობდა.

მალალი გორაკების ფერდობებზეა შეფენილი სოფელი მეწიეთი; ქვევით გუბაზეულის ნაპირებზე გაშლილ დიდ სოფელ ხიდისთავს ზევიდან დაჰყურებს.

მეწიეთისკენ შამაჯალ ვზას მივუყვები.

ცალ მხარეს ჩამწკრივებულ მღაზი-ებში ტევა არაა. აგერ კლუბიც, მის წინ, მცირე პარკში — ობელისკი აღმართულა.

გადავდვივარ პატარა მდინარეზე. ლუგუბას ეძახიან. ზაფხულის ამ ცხელი დღის მიწურულს წყალი თბილი იქნება. ალბათ როგორც ხემს პატარაობაში, ბიჭები აჭერენ თეთრი მუცლებით ამოტივტივებულ, სიცხისგან გაოგნებულ

ღორვებსა და წვერებს, ქალებს სარტეხი ჩამოუტანიათ და ნაპირას ჩაცუცქულან. ისმის ლაპარაკი და წყლის ქყაბუნი.


გრილ ორღობეში შუქი და ჩრდილი მაქმანივით მოხატულა მიწაზე. ძალმა ჩაიციუნცულა, მხოლოდ წამით მოძაპურო ქვეიანი თვალები და დინჯად განაგრძო გზა. კრელი ქათამი გაძვრა „ღობერში“, წიაგ-წიავით მიჰყვენენ წიწილები, ერთი. ყველაზე პატარა, ჩამორჩა, გასაძრომი ვერ უპოვია დაბნეულს და კრუხის ქოთქოთზე უმწეოდ წრილალებს, სუსტი ფრთების ფოქა-ფუთქით ცდილობს ზევით ახტეს; ბოლოს ძალისძალით ეკვეტება ვიწროში სარებს შორის და დანარჩენებს უერთდება. დაუღღუღლი ღორი მოღრუტუნობს, მიწას სუნავს. აგერ მამალმა იყივლა ვიდაცის ეზოში, მეზობელი ეზოდან მეორემ მისცა ბანი, შემდეგ უფრო შორიდან გამოებასუხა მესამე და გაიმართა გადაძახილ-გადმოძახილი... დიდ ქალაქში სოფლურ მყუდროებასა და ფერებს გადაჩვეული და მონატრიბული, ახლა ყოველ წვრილძანს, რასაც კი შევიგრძნობ, ცხოველი ყურადღებით ვაკვირდები, რატომღაც გულაჩვილებული ვისმენ მამლების ყვილისაც კი... და მაგონდება აქაურების ასეთივე შორით გადაძახილ-გადმოძახილი, როცა უნდათ რაიმე ამბავი შეატყობინონ. „კუჭუღლია, უ-უ-უ!!! — ისმის ბავშვის წკრიალა ხმა. „მობრძანდი!“ — ერთი კილომეტრიდან პასუხს ვაცემს „ადრესატი“ კარგად მუშაობს ეს უმავთულო ტელეგრაფს — სწრაფიცაა, მოხერხებულოც, ხმასაც აღლიერებს, სმენასაც ამახვილებს... და ყოველ დღე ისმის ალაგ-ალაგ მწვანე გორაკებზე მწვანეში ჩამჯდარი სახლებიდან ხან ქალის გამყინავი ხმა, ხან ბავ-

შვის მელოდიური ძახილი, ხან კი —
მამაკაცის ბუხუნი...

ორღობეების გზაჯვარედინზე პატარა
მინდორს მივალწიე, ომბალოს სუნითა
და ფუტკრების ბზუილით ავსებულს.
აღმართი უფრო ციცაბო ხდება.

ღობეებში ჩატანებულ თხმელებსა და
წვრილნაყოფა ხურმებზე მორცხვად
შეთვალვას იწყებს იზაბელა. მოსალა-
მოვდება თუ არა, ალბათ მონოტონუ-
რად ტკბილად ისმის: „ქრ-ქრ-ქრ...“ —
ქრიკინობლები გაბმულად ხმიანობენ,
„ამწიფებენ ყურძენს“. თვენახევარში
ხეებს შეესევთან ვაჟაკები და ერთი
ღლით ახმიანდება სოფელი: „ა, გიდე-
ლი!“ — შრიალით გაკვეთს ფოთლებს
გიდელის წვერი, ხის ძირში მას დაკოჟ-
რილ ხელებს შეავებებენ და ჩამუქე-
ბულ მტევენებს გადაუძახებენ გოდორ-
ში. გათავისუფლებული გიდელი მსუ-
ბუქად გასრიალდება ზევით, ხალასიანი
სიმღერა კი ერთი წუთითაც არ წყდე-
ბა... მხარბეკიანი ბიჭი გაუყრის მკლა-
ვებს სამხრეთლებში, ერთს დაიძაბება,
წამოდგება და მძიმე ნაბიჯებით, გოდორის
პრიალით დაიძვრება საწნახელისკენ...
საწნახელის უშველებელი მუცელი ნელ-
ნელა აივსება, მერე საგულდაგულოდ
დაიბანენ ფეხს და მალე გაედინება
ტკბილი წვენი და დატრიალდება და-
მათრობელი სურნელი... ქვებებს სურ-
ნელოვანი ორთქლი აუვით, დაიწყება
ფუტკრების შემოსევა, დიასახლისები
აფუსფუსდებიან — ფელამუში დარიჯ-
დება თეფშებზე, ჩურჩხელები გოგოს
ნაწნავებივით წყვილ-წყვილად ჩარიჯ-
დება აივანზე გასაშრობად...

ორღობე ფერღობზე მიიკლანება;
ორივე მხარეს სიმინდის ტანმალაღი ყა-
ნებია, ყანებში ალა-ალაგ — ხეები, ხე-
ებზე — მალლარი... ხის ქიშკრები, ხას-
ხას მოლი ოღების წინ ეხოვებში, სამ-
ზადის სახურავიდან ლურჯი ბოლი იბ-
ნევა მზის სხივებით გაკამაშებულ პა-
ერში ხახპარე არ გეგონოთ, კერია სო-
ხანეზე აქნება სამზადის შუაში გაჩაღე-
ბული, კვამლს გასასვლელი არ აქვს და
ძალაუნებურად იძულებულია ყოველი

კუჭკუტანიდან გააღწიოს ვარეთ.  ადვილად წარმოიდგენ ცეცხლთან
ფუსფუსე მოხუც ქალს, ფეხებზე კრუ-
ტუნით რომ ეხახუნება კრელი კატა,
საჭმლის მძაფრი სუნით გაღიზიანებუ-
ლი.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, უკვე კარგა
ხანია მეწიეთში ვარ. როდის გადმოვედი
ხიდისთავიდან მეწიეთში, ღმერთმა უწ-
ყის — არასდროს მცოდნია, სად არის
მათ შორის საზღვარი.

წითელი თიხა შარავზაზე გამომშრალ-
გაფერქრთალებულა — ეტყობა დიდი
ხანია არ უწვიმია აქეთ. გზის რამდენი-
მე მიხვევ-მოხვევა და ბებიაჩემის ფიც-
რული ოდაც გამოჩნდა. სიჩუმეა აქ, რო-
გორც მრავალ სხვა სახლშიც — კარე-
ბი დაკეტილია, მწვანე კონიდან არ
დარბიან ბავშვები, არ ისმის ქათმების
კრიახი, ჭაში ჩაშვებული ვედროს ჯა-
ვის ჟღარუნია... ასეა, სამწუხაროდ, მე-
წიეთში თითქმის მხოლოდ ხნიერნი დაბ-
ჩნენ, უმეტესობამ ახალგაზრდობისა ქა-
ლაქს მიაშურა; ვინც შემორჩა, ახლა
ყანებსა და პლანტაციებში იქნება წა-
სული.

გზა აქ ირკალება, ორი მხრიდან ვუჯ-
ლი ბებიაჩემის კარ-მიდამოს, ოდის თუ-
ნუქის სახურავი არც კი ჩანს ხეხილნარ-
ში. ერთ დროს ჩემი კარგი ნაცნობი იყო
თითოეული ხე — დიდად გავუხარებო-
ვარ ამ ნაშენ მსხლებსაც, კორკიმელ-
საც, ხურმის თაფლივით ნაყოფებსაც
და იმ შავქლიავსაც, რომელიც უკვე რა
ხანია გახმა და მისი კვალიც არ ჩანს...

გზა ახლა შავ ვულკანოგენურ ქანებ-
შია გაჭრილი (მწვანე კონცხეც, ზომ
ასეთივე ქანებია!); უფრო სწორად,
უზარმაზარი ქარაფის ძირში ერთი საკ-
მაოდ დაფერდებული ტერასაა გამოჭ-
რილი გასაკვლევად. ზევიდან დავყუ-
რებ მწვანეში ჩაფლული სახლების სა-
ხურავებს მრავალ აქაურს, წინათ და
ახლა მცხოვრებს, კარგად ვიცნობდი,
ზღვრი რამის გახსენება შეიძლებოდა,

იოსებ ოთახი
მეწიეთი



მაგრამ სხვა დროისთვის გადავდოთ — უკვე გამოჩნდა დეიდაჩემის კარ-მიღამო. იქითკენ მივიჩქარე, იმ „ალაგესკენ“, ლობეზე გადასასვლელისკენ, რომელზეც ფეხის ერთი დადგმით გადახტები ეზოში... მაგრამ მანამდე, მოდით, მარცხნივ შევუხვევ, სადაც ციკაბო, მაგრამ განიერი ბილიკი მარცხნივ აუყვება და შავი ქარაფის ნაპრალებით დასერილ შვეულ კედელს თავზე მოექცევა.

ქარაფის თავზე, სერზე, მოსწორებულნი, მწვანე ხასხასა მოლიანი ადგილია. ვეშაპოურა! ასე ჰქვია ამ ადგილს და დაიმსახურა კიდევ, რომ საკუთარი სახელი ჰქონდეს...

სერიდან დიდებული გადასახედი აყვლა მხარეს. დასავლეთით — ხიდისთავი, სუფსის გზებით გადახაზული ველი, გორაკები... მათზე შეფენილი სოფლებით; ჩონხატაურთან კარგად მოჩანს გორაბერეკოულის მუქი კვიპაროსები და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის თეთრი შენობები; ჰორიზონტთან — ალაგ მთები, ალაგ დაბლობი...

აღმოსავლეთით — სერიდან ეშვება შეწამლული ვენახის მოცისფრო რიგები, გუბაზეულის ამწვანებული ხეობა იერთებს მარცხნიდან შენაკადებს — მდინარეების კალაშისა და საშუალებს ტყიან ხეობებს. გუბაზეულის ხეობის ციკაბო ფერდობზე საავტომობილო გზა მიიკლაკნება ბახმაროსკენ, მაღლამალა მიიწევს ღრუბლებით შებურთული გურიის მთების მწვერვალებისკენ...

რამდენჯერ მზისთვის მიფიცებულ ამ ვენახიან ფერდზე ბიჭებთან ერთად სირბილით დაქანებულვარ თავქვე, კალაშის გრილ და გამჟვირვალე წყალში ღვაფუნით შევპირილვარ; ხელობითაც მითევზავია და წყალში დიდხანს ყოფნით გალურჯებულს, ხუთიოდე წვერა და ღორჯო თუ მისვრია ნაპირის ქვიშაში...

ყველაზე კარგი საბანაო ადგილი კა-

ლაშზე მორვეი იყო, წისქვილი ზევით. წისქვილის ხავსისგან გამწვანებული ღარის ნახვრეტებიდან წყალი ალმასის მძივებად მოიპარებოდა, მოღულუნე წისქვილის კარებთან თავმოსვლებილი სანდრო მეწისქვილე ხველებით ახვევდა გაზეთის ქალაღში თუთუნს და გვიყურებდა, როგორ ვხტებოდით კლდის ქიმიდან მუქ ბოთლისფერ წყალში, ყვირილით ვადგაფუნებდით აქაფებულ მდინარეში ხელ-ფეხს, შემდეგ აკანკალებულნი ვკოტრიალობდით ნაპირის ცხელ ქვიშაზე; წყალი კი თეთრად აქოჩრილ ჩქერებზე ხმაურობდა, ხეობის ციკაბო ფერდობებიდან მაღალი ხეები იცქირებოდნენ მდინარეში და მათი ანარეკლი ამუქებდა წყალს...

დილით ადრე თუ არ შეგეზარება წამოხტომა, ვეშაპოურადან მზის ამოსვლა-ამობრძანების ხილვას არაფერი სჯობს... ან არადა, საღამოს, როცა ახალგაზრდობა შეიკრიბებოდა აქ, ისმოდა სიცილი, სიმღერა, ფანდურის წკრალი, მზის უზარმაზარი ფორთოხალი კი დიდებულად ესვენებოდა დასავლეთით, ჰორიზონტი წითლად ღუოდა, გარშემო კი ნაცრისფერდებოდა ყველაფერი; იწყებდნენ ჰრიჭინობლები თავიანთ გაუთავებელ სიმღერას, ოდნავ მოგვიანებით ციციანთელების ნაპერწყმები ალაპაზებდნენ ჩამუქებულ გარემოს...

ვეშაპოურადან ისევ ქვევით ვეშვები და გამოვდივარ შარავზაზე. დეიდაჩემის ეზო ოცდაათიოდე ნაბიჯზეა. მოხუცი პასიკოც ვერ გაჩერდა მარტო სოფელში და მახარაძეს მიაშურა, მაგრამ ზაფხულობით ისევ ძველ საბუღარს აკითხავს. იქნება ახლა შინ? აი გადავალ ალაგზე, ხეების სიმწვანით გადახურული ბილიკით გზას გავიკვლევ სიმინდის ყანაში და სამზეოზე მდგარი სააღის ფართო აივნის ჰრიალა კარებს გავაღებ.

— რომელი ხარ? — გავიგონებ ნაცნობ ხმას და ნაცნობი სახის ნაცნობ მილს ჩავეკონები.

რეპინდრანთი თაგორი



როდესაც სიზმრად მშვენიერი არ მეჩვენება,
ასე მგონია, რომ ზაკვავა და შეჩვენება,
მიდის, მეცლება ფეხებიდან მიწა ბებერი,
ცარიელ ზეცას როგორ უნდა გამოეკერო,
მაგრამ ჩვეულად ისევ ვიშვერ ხელებს ცისაკენ
და მეღვიძება უეცარად, ვხედავ ფხიზელი:
ზისარ და ართავ, ფიქრიანი, თაფლივით წყნარი,
პირველყოფილი სიმშვიდეა და ბრწყინავს კვარი.



შემოდგომური სიწყნარება სოფელში ახლა:
წყალია, ხეა, ჭალაკია და მცირე სახლი.
დაღლილ მიწაზე დაიკვცა სიმშვიდის ფრთები,
შორს, ცისკიდურზე, გატრუნულან მაღალი მთები.
მდინარე მიდის, ალბათ მიდის, მაგრამ არ იმღერს,
მეჩხერი ტყეა და წყლისპირას დამრეცი რიყე.
ჩაბნელებული მოჩანს შორით სადგომი გლეხის,
ალარც ცელია, არც ნაჯახი, და ალარც ხერხი.
მაგრამ მე მესმის, ცისქვეშეთში ვდგავარ და მესმის,
მესმის დუმილი ბალახისა და ფიქრი კენესის,
მესმის ძარღვებში თბილი სისხლის სუნთქვა და ჩქამი,
მზის, პლანეტების, ვარსკვლავების, დღისა და ღამის
მსუბუქი ცვლა და ატომების გუგუნი ცხელი.
ჰე, უცნაურო, სიხარულმა დამრია ხელი!



მდინარის წელზე ბორანია, ვისაც უნდება
მიდის სახლიდან, ვისაც უნდა — სახლში ბრუნდება,
განთიადიდან საღამომდე ისმის ჭრიალი,
აქ, ორი სოფლის შუა მიდის წყალი წკრიალით.

რამდენჯერ ერთო ცისქვეშეთში ომის ხანძარი,
ქვეყნად რამდენი დარბეულა წმინდა ტაძარი.
დრონი იცვალნენ, და მეფენიც რარიც იცვალნენ,
რამდენი ბრძენი და ლომგული გარდაიცვალა,
მაგრამ აქ მათი გზა და კვალი არავინ იცის,
ორი სოფელი შესციცინებს ერთმანეთს ისევ.
მდინარის წელზე ბორანია: ვისაც უნდება
მიდის სახლიდან, ვისაც უნდა — სახლში ბრუნდება.

გავშალე აფრა და მივუშვი ხომალდი ნებას,
დაბურულია ტყისპირეთი, სად იგი მება,
სანაპიროთა კორომია ორივე მხარე,
მოჩვენებაა ყოველივე თუ ცხადი არი?
ბანაობს ვიღაც — და მგონია, ზმანი და ბნელი,
დაჩნდება უცებ და გაქრება სანახი ვრცელი,
რას ითვლის ფიქრთა ჩემეულთა მდიდარი ხსოვნა?
ვიხილე, რისიც მონატრული ვიყავი პოვნას.
ვნახე და გაქრა, შევხედე და დამევესო თვალი,
სადა ძველი ელვარების ნიშანი — კვალი?
ვიღებ და ვკარგავ, აღარაფერს ვიტოვებ ჩემთვის,
ასეთი არი ცისქვეშეთში ყარიბის ბედი.
ტკბილი და მწარე, — აი, ყოფნა რითაა უხვი,
მომეცი ნება, მოგიყარო მორჩილად მუხლი,
აღვსდგები კვალად, მივეცემი ისევე ფიქრებს,
ამგვარად მცირე ორნსომელი გრიგალში მიქრის,
მაგრამ მალედევე ეფინება კორომი არუს,
ღამის წყველიადში ადვილია აბნევა მხარის,
ირწევა ნავი, და კუპრია უსაზღვრო კიდის,
ცაზე კაშკაშებს ორიონი და წყალი მიდის.

თარგმან მურომან ჯგუზურიან



თანხიზ კვირკველია

თბილისი 2000 წელს

თავდაპირველად ზოგიერთი ციფრი:

ქალაქის მოსახლეობის რიცხვი 1.250.000 მიაღწევს, 4000 პექტარით გაიზრდება მისი ფართობი. ავითვისებთ ახალ თავისუფალ ტერიტორიებს, ძირფესვიანად გარდაიქმნება ძველი რაიონები, საერთო საცხოვრებელი ფართობი მიაღწევს 15.000.000 კვადრატულ მეტრს, ამ დროისათვის საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყოველ თბილისელზე თორმეტი კვადრატული მეტრი იქნება, აშენდება 105.000.000 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ბინა. განზრახულია აშენდეს საზოგადოებრივი შენობების — საავადმყოფოების, ინსტიტუტების, სკოლების, სამაყურებლო დაწესებულებების დიდი რაოდენობა.

ეს მონაცემები თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმიდან არის აღებული. მშრალი ციფრები გათვალისწინებული მშენებლობის დიდ მასშტაბს მოწმობს და თბილისელთა ყოფისა და სოციალური პირობების მკვეთრად გაუმჯობესებაზე მიგვანიშნებს.

ბოლო ხანს ჩვენ მიგვაჩიევის სხვადასხვა სახის დიდი მასშტაბის გარდაქმნებს. ამ თვალსაზრისით, ზევით მოყვანილი მონაცემები, ერთი შეხედვით ქალაქის რეკონსტრუქციის მხოლოდ მორიგ, მნიშვნელოვან ეტაპზე მეტყველებს — ეს ხომ თბილისის განვითარების რაგით მესამე გენერალური გეგმაა. უფრო მეტიც, ბევრი დიდი ქალაქი მოიძებნება, სადაც ასეთივე და ზოგჯერ უფრო დიდი მასშტაბის მშენებლობაა გათვალისწინებული. ისეთი სწრაფი ტემპებით ვითარდება დღეს ცხოვრება, რომ უკვე ძნელია რაიმემ გაგვაკვიროს. ისეთ დროს ვცხოვრობთ, როდესაც საოცრება ხშირად ჩვეულად იქცევა ხოლმე (ათ წელზე ოდნავ მეტა გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი თანამგზავრი მოსწყდა ჩვენს პლანეტას და ახლა ცნობა მორიგი თანამგზავრის გაშვების

შესახებ ზოგჯერ გაზეთებში პეტიტით არის ხოლმე აწყობილი).

სხენებული მონაცემების „ჩვეულებრიობა“ გაქრება, როგორც კი ქალაქის კონკრეტულ ქალაქმშენებლურ თავისებურებას გავცნობით. მაშინ ეს მშრალი ციფრები სულ სხვა აზრს შეიძენს, ციფრების უკან თქვენ შემოქმედებას დაინახავთ. მრეწველობის წამყვანი დარგების სპეციფიურობაში, ქალაქის განვითარების უკვე დასახულ ტენდენციაში. ადგილობრივ საშენ მასალასა და სხვა მრავალ ფაქტორში გამოსახული თავისებურებანი ყველა ქალაქს გააჩნია. ამ მონაცემებით ჩვენი ქალაქიც გამოირჩევა სხვებისგან, მაგრამ თბილისის თავისთავადობას, განუმეორებლობას უმეტესად მისი ბუნება, რთული მთა-გორიანი რელიეფი განსაზღვრავს. თბილისის რთული ქალაქმშენებლური სტრუქტურის ხასიათი, სინეინრო, ეკონომიური, სატრანსპორტო, დაგეგმარებითი თავისებურებანი დიდად არის შეპირობებული გადასერილი, მთიანი რელიეფით. სხვა მნაშენელოვან პირობას თვით თბილისის ისტორია, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ზრდის ტენდენცია წარმოადგენს. უფრო მეტიც — ქალაქის ადგილმდებარეობამ ბევრად განსაზღვრა მისი ისტორიული ბედობალი. დიდი სავაჭრო გზების გადაკვეთაზე, სტრატეგიულად მომგებიან ადგილზე განლაგებულ თბილისი მოსვენებას არ აძლევდა. მოშურნე მეტრს. თბილისის ისტორია — ეს ხომ ომების, ნგრევის, აღდგენის, მშენებლობის კალენდრისკომური ცვლაა.

ცნობილია, თუ რა დიდ გავლენას ახდენს გარემომცველი ბუნება არქიტექტურაზე. ეს ერთნაირად შეეხება როგორც დასახლების ქალაქმშენებლურ ორგანიზმს, ასევე ცალკეული ნაგებობის, ქუჩის, მოედნის, ანსამბლის დაგეგმარებასა და საერთო მხატვრულ სახეს. აქ ლაბარაიკი არა გვაქვს კლიმატურ პირობებზე,



რაც, ცხადია, აგრეთვე დიდ გავლენას ახდენს. ჩვენ ვგულისხმობთ ბუნების ისეთ კონკრეტულ ატრიბუტებს, როგორცაა ზღვა, მდინარე, ტბა, მთა და მისთანები. მაგონია, რომ ბუნება განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობს მთაში განლაგებულ ქალაქის არქიტექტურაში. ქალაქის ცალკე ნაწილები, შენობები, მათი წახედვები გარსემორტყმულ მთებთან, კლდეებთან, ხეებთან ერთად აღიქმება. მთაგორიანი ადგილმდებარეობა ხშირად მოითხოვს სპეციფიური კონსტრუქციებისა და არქიტექტურული ღორშების გამოყენებას. ყოველივე ეს კი ქალაქს მისი დასახლებისათვის მახასიათებელ ელფერს ძენს. მთები, გორაკები, ფერდობთა ამფითეატრები ქალაქის გაშენებისას მეტად სერიოზულ მოთხოვნებს გვიყენებს და ამავე დროს საინტერესო კომპოზიციური ხერხების გამოყენების საშუალებას გაძლევს. ხშირად თვით რელიეფი გვიკარნახებს ამა თუ იმ ადგილის გაშენების ხერხს.

თბილისის ბუნების განსაკუთრებული ხასიათი, მთიანი ადგილმდებარეობის თავისებურებანი. რომელნიც ესოდენ გავლენას ახდენს ქალაქის აღნაგობაზე და მხატვრულ სახეზე, მუდმივად უნდა გვქონდეს მხედველობაში, როდესაც ლაპარაკია ქალაქის მომავლის პრაბლემებზე.

გაკერით უკვე აღვნიშნე, რომ ახლახანს დამტკიცებული თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გენგეგმა რიგით შესაძლებელია პირველი გენერალური გეგმა 1934 წელს იქნა დამტკიცებული და მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც პირველად მის ისტორიაში, თბილისის მშენებლობას დასაბუთებულ, კვამიური ხასიათი ეძლეოდა. მის საფუძველზე ქალაქში მეტად თვალსაჩინო საბრეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. შემდეგი გენგეგმა 1951-1970 წლებისათვის იყო შედგენილი. ისევე როგორც წინა გენგეგმა, იგი ითვალისწინებდა ისტორიულად ჩამოყალიბებულ ზრდის ტენდენციას მტკვრის გასწვრივ. ამ წლებში მკვეთრად გაიზარდა ქალაქის ტერიტორია. გაჩნდა ახალი საცხოვრებელი რაიონები საბურთალოში, დიღომში, ნეთელდში. ამ წლებში მშენებლობის კომპლექსურმა წარმოებამ დიდი გავლენა იქონია განსწინებანაზე. თუმცა ახალ რაიონებს ბევრი ნაკლი გაჩნდა, როგორც დაგეგმარებითი ისე ესთეტიკური ხასიათისა, მათ მშენებლობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისელთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ ხნის განმავლობაში მწყობრში ჩადგა უამრავი ახალი ბინები საერთო ფართობი — ორი მილიონი კვადრატული მეტრი. დღეს თბილისში შვიდასამდე ახალმშენებლობაა. ამავე წლებში დიდი სამუშაოები ჩატარდა ქალაქის გავიფიქრებისა

და მოხუციანობის. შეიცვალა თბილისის არქიტექტურულ-მოცულობრივი იერსახე. ქი გაიზარდა სიმაღლეში. მაღლივი შენობების გამოჩენამ შეცვალა თბილისის სილუეტი, დამკვიდრდა ახალი ქალაქმშენებლური დომინანტები.

ახალი გენერალური გეგმა წინამორბედთან განსხვავდება როგორც დასახული მშენებლობის მასშტაბით, ასევე თვით ქალაქმშენებლური იდეის ახლებურად გააზრებით. ცხადია, რომ ქალაქის რეკონსტრუქციის გეგმას, მის ხასიათს, მასშტაბს მრავალი კონკრეტული მონაცემი განსაზღვრავს. ამ მონაცემებს სპეციფიკურებში „ქალაქმშენებელი ფაქტორები“ დაარქვეს. გავშიფროთ ეს ტერმინი თბილისის პირობებისათვის.

ქალაქის სიდიდის ერთ-ერთი განმსაზღვრელი „ქალაქმშენებელი ფაქტორი“ მოსახლეობის ზრდის ტენდენცია გახლავთ. 1914 წელს თბილისში 345 ათასი მოსახლე იყო, 1939-ში 519 ათასი, 1959-ში — 703 ათასი, ხოლო დღეს ამ რიცხვმა 900 ათასს მიადგინა. რამ განაპირობა და იქნება თუ არა მომავალშიც შენარჩუნებული ქალაქის ზრდის ამგვარი ტემპები?

ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქია და აქ თავმოყრილია უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციული დაწესებულებანი. თხუთმეტი წლის მანძილზე (1922-დან 1937 წლამდე) თბილისი ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქი გახლდათ. აქ თავმოყრილია რესპუბლიკის ძირითადი საკვლეო და კულტურული დაწესებულებები. თბილისის ადგილმდებარეობამ, აგრეთვე, ბევრად განაპირობა მისი განვითარება. აქ თავს იყრის აზიურკავკასიის რკინიგზის ხაზები. საავტომობილო გზები მას აკავშირებს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან. ერთ-ერთი ძირითადი მაგისტრალი, — საქართველოს სამხედრო გზა საქართველოს დედაქალაქს აკავშირებს ჩრდილოეთ კავკასიონთან, რუსეთთან, საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანეს ცენტრებთან. მრეწველობის ნიარსახეობა უზრუნველყოფს ფართო ეკონომიკურ თრთიერობას სხვა რესპუბლიკებთან.

თბილისი უშვებს მთელი რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის 40 პროცენტს, ხოლო წარმოებაში დაკავებულ მოქალაქეთა რიცხვი საქართველოს მშრომელების 35 პროცენტს შეადგენს. მრეწველობის წამყვანი დარგებია კვების, მანქანათმშენებლობის და ლითონდამამუშავებელი წარმოებანი. ჩვენთან განვითარებულია აგრეთვე მსუბუქი მრეწველობა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხის დამამუშავებას, ავეჯისა და მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოებას. თბილისში თავმოყრილია რესპუბლიკის პოლიგრაფიული ბაზის 70 პროცენტი.



ახალი გენერალური გეგმის შედგენის ერთ-ერთი წინაპირობა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არ ვვარაუდობთ უახლოესი თხუთმეტი წლის მანძილზე მრეწველობის მკვეთარ ზრდას. ეს გადაწყვეტილება პირველყოფლისა აიხსნება ქალაქის ზრდის შეზღუდვის სურვილით. და მართლაც, მილიონიანი ქალაქი ხუთმილიონიანი მოსახლეობის რესპუბლიკაში ბევრზე მეტყველებს. ამის გარდა, თბილისის ზედმეტი დატვირთვა მრეწველობით ერთგვარად აფერხებს საქართველოს სხვა ქალაქების განვითარებას. ამასთან ერთად, მრეწველობის შემდგომი ზრდის შეჩერების აუცილებლობას კარნახობს თბილისის ტერიტორიის საგრძნობი ნაკლებობა, მთებით შემოფარგლული, თბილისი იზრდება და მკვეთრს გასწვრივ და ასეთი ტემპებით თუ ეკვალა გაგრძელდა მისი განვითარება, სულ მოკლე ხანში სამი ქალაქი მცხეთა, თბილისი და რუსთავი გაერთიანდება, შექმნის რა ერთგვარ „თავიკომბალს“ რესპუბლიკაში. იმ დროს, როდესაც ამ მხრივ უფრო პერსპექტიულია ისეთი ქალაქები, როგორცაა გორი, ზაშვარი, თელავი.

მაგრამ ეს როდღე ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სრულიად უარს ვამბობთ მრეწველობის განვითარებაზე. ლაპარაკი მხოლოდ ახალ დარგებზე. არსებული წარმოება კი გაუართოვდება. გენერალური გეგმა იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, რომ მრეწველობის სიმძლავრეთა ზრდა მოხდება არა ახალ საწარმოთა მშენებლობის ხარჯზე, არამედ ახალი ტექნიკის დანერგვის შემწეობით. საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შემწეობით, ძველი დანადგარების ასლებით შეცვლილი.

ტერიტორიის მეტად ეკონომიურად გამოყენების მიზნით (იგულისხმება მსგავსი პროფილის წარმოებათა თავმოყრა) ტრანსპორტის, ენერჯეტიკის, დამხმარე მეურნეობის, საერთო საწარმოო პროცესების კოაპერირების პრობლემების რაციონალურად მოგვარების მიზნით. ნავარაუდევია სანიტარულად მყვერ ოცამდე საწარმოს გატანა ქალაქიდან.

თბილისში თავმოყრილია მსხვილი სამეცნიერო-საეკვლევო ინსტიტუტები და საკონსტრუქტორო ბიუროები. სადაც ელექტროტექნიკის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პრობლემებზე მუშაობენ. ამასთან დაკავშირებით, თბილისში შეიქმნება დიდი საწარმოები, რომელნიც გამოუშვებენ რთულ ხელსაწყოებს, გამოთვლულ მანქანებს და ა. შ.

აღნიშნულ მაღალკვალიფიკირებულ საწარმოებში ძირითადად დაკავებული იქნება თბილისის ინსტიტუტებსა და ტექნიკუმებში მომზადებული კადრები.

თბილისი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრია.

116 სამეცნიერო-საეკვლევო ინსტიტუტში თითო-ღმერთი ათასი მეცნიერი მუშაობს მუშაობს მატემატიკის, ფიზიკის, კიბერნეტიკის, ბიოლოგიის, მედიცინის, ისტორიის, ფილოსოფიის, სოციოლოგიისა და მეცნაერების სხვა დარგების აქტუალურ პრობლემებზე. ნავარაუდევია არქანული ინსტიტუტების შემდგომი საგრძნობი ზრდა და აგრეთვე ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

თბილისი სტუდენტთა ქალაქია. დღეს აქ თერთმეტი ინსტიტუტი და ოცდაშვიდი ტექნიკუმი. უმაღლესი სასწავლებლების მხოლოდ სტაციონარზე დღეს 25 770 სტუდენტი (სულ — 64 600) სწავლობს. წინასწარი ანგარიშით 1980 წლისათვის სტაციონარზე მოსწავლე სტუდენტთა რიცხვი 33 ათასს მიაღწევს, რაც 4600 პროფესორ-მასწავლებელსა და მომსახურე პერსონალს მოითხოვს.

ქალაქშიმქმნელ ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრეთვე ბალნეოლოგიური კურორტის პერსპექტივებს. მინერალური წყლის მარაგის გათვალისწინებით ნავთლისხმევი კურორტის საგრძნობი განვითარება. ვარაუდობენ სანატორიუმების, პანსიონატების, საკურორტო სასტუმროების, ახალი სააბაზანოების მშენებლობას.

ტურიზმი სულ უფრო იკიდებს ფეხს საქართველოში. ქვეყნის ბუნების მაღალი ალბიური ზონიდან სუბტროპიკულამდე ვენახები და ციტრუსის პლანტაციები, მიუვალი მთები, ალპინიზმი. უძველესი არქიტექტურული ძეგლების დიდი რაოდენობა სულ მეტად იზიდავს უცხოელ და შიდა ტურისტებს. ბუნებრივია, თბილისი ცენტრია ტურიზმისა საქართველოში, ნით უმეტეს, რომ აქ თავმოყრილია რესპუბლიკის წამყვანი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები — მუზეუმები, თეატრები, სამეცნიერო ინსტიტუტები. ყოველივეს რომ თავი დაენახოთ, თვით ქალაქი, თავისი ძველი და ახალი არქიტექტურით იზიდავს მრავალ სტუმარს. სულ რაღაც ოციოდ კილომეტრში ხომ მცხეთაა, თავისი უნიკალური არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლებით. ღღიანათვის საშპოთა კავშირის ყველა კუთხიდან თბილისში ყოველწლიურად 80 ათასი ტურისტი ჩამოდის. ვარაუდობენ, რომ ეს რიცხვი 1975 წლისათვის 250 ათასამდე გაიზრდება. ხოლო 1980 წელს კი 620 ათასს მიაღწევს. ე. ი. შეიღწერა გაიზრდება! ტურიზმის ესოდენ მათრი ზრდა მოითხოვს მომსახურე საწარმოთა მკვეთრ გაზრდას. მატერიალური ბაზის განვითარებას.

ასევე გაიზრდება უცხოური ტურიზმი. ახლა თბილისში წელიწადში საშუალოდ ცხრა

თენგიზ ჯიბრაძელი
თბილისი 2000 წელს



ათასი უცხოელი ჩამოდის. აქედან ზაფხულის თვეებში — დღეში ხუთასი. „ინტურისტის“ გაანგარშებით 1975 წლისათვის თბილისში სოველწლიურად 75 000 უცხოელი ჩამოვა. 1980 წლისათვის კი 160 ათასამდე! ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1980 წლისათვის უცხოელი ტურისტების რაოდენობა ჩვიდმეტჯერ გაიზარდება! სოველდღიურად თბილისში თავს მოიყრის ხუთ ათასამდე უცხოელი ტურისტი. დაუმატეთ ამას კავშირის ქალაქებიდან ჩამოსული ტურისტები და თვალნათლივ წარმოიდგენთ, თუ რაოდენ ვითარდება ჩვენში ე. წ. ტურისტული ინდუსტრია. ამ ციფრებს უყან სასტუმროების, კემპინგების, გარეუბნისა და სხვა სახის შენობების დიდი რაოდენობა იგულისხმება.

ზემოთ მოყვანილია უმთავრესი ქალაქებში ჩნდები ფაქტორები, რომელთაც განაპირობებს თბილისის რეკონსტრუქციის ახალი გენერალური პროექტის არქიტექტურულ-დაგეგმვარებით იდეა (გენერალური პროექტის ავტორებია არქიტექტორები ი. ჩხეკელი, ჯ. ჯობლაძე, გ. ჯაფარიძე, გ. შავდა, ეკონომისტები — ი. ლორთქიფანიძე, ი. ბოლქვაძე).

თბილისის ტერიტორიული და მდლივი ზრდა ძირითადად შეპირობებულია საცხოვრებელთა მშენებლობის მასშტაბით. ამ მხრივ მეტად მეტყველია საცხოვრებელი ფართობის სპროექტი ნორმა — 12 კვადრატული მეტრი (დღეს ეს ნორმა 7,1 კვადრატული მეტრია). იმისათვის რომ ავაშენოთ ათი მილიონ ხუთათასი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფონდი, სულ ცოტა ოთხი ათასი ჰექტარი თავისუფალი ტერიტორიისა არის საჭირო. გენერალური გეგმა გულისხმობს, რომ საცხოვრებელთა მშენებლობის 72% განხორციელდება თავისუფალ ტერიტორიაზე და იმ მიწებზე, რომელნიც ახლა სოფლის მეურნეობას აქვს დაკავებული. ამასთან ერთად საკმაო ხვედრითი წონა მოდის არსებული ამორტიზებული საცხოვრებელი ფონდის რეკონსტრუქციასზე. ქალაქში გაშენდება სხვადასხვა ტიპის საცხოვრებლები — ტრასული სახლები ცენტრში და აგრეთვე 5, 9, 14 და 18 სართულიანი საცხოვრებლები.

ეს ტიპური საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც ჩვენ ვაშენებდით წინა წლებში, სრულიად არ გვაკმაყოფილებს არქიტექტურულ გეგმარებით თვისებებით და დიდი ხანია მორალურად ამორტიზებულია. ახლა ახალი პროექტები მუშავდება, შენდება ექსპერიმენტული სახლები, ტარდება კონკურსები. საცხოვრებელი ბინების დაგეგმარების მრავალფეროვნების

მიზნუდავად, შესაძლებელია გამოინახოს ზოგიერთი საერთო თვისება, რასაც კლასიფიკაციის გილობრივი ტრადიციები, ყოფა უძველეს საფუძვლად. დამახასიათებელია ბინის გამკოლი განიავების აუცილებლობა, რაც მის ორმხრივ ორიენტაციას განაპირობებს, ტოჯიების, აივნების მოწყობა. ზოგიერთ ტიპურ სექციაში გათვალისწინებულია მოძრავი ტიხრები, რაც ბინის შიდა სივრცის საპირობებისამებრ ვარდაქმნის საშუალებას იძლევა. უხემა ინსოლაციამ გამოიწვია ოთახების სიღრმივი განლაგება, ამ მიზნებს ნაწილობრივად ემსახურება ლოჯიების მოწყობა.

გენერალური გეგმა იფაქტორებს ქალაქის ტერიტორიის მკვეთრ დანაწილებას სამრეწველო და საცხოვრებელ ზონებად, ისევე გამოყოფილი დასვენებისა და საზოგადოებრივი ზონების ფარგლებში. მოქალაქეთათვის უფრო თვის პირობების შექმნის მიზნით ქალაქი დაყოფილია ცხრა რაიონად. თვითვე ამ რაიონთაგანში მაცხოვრებელი მთლიანად დაიკმაყოფილებს ყველა სახის მოთხოვნებს.

ქალაქის ზრდა სხვადასხვა მიმართულებითაა ნაგარაუდები: ჩრდილოეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით და თბილისის ზღვისაკენ. ავითვისებთ ახალ ტერიტორიებს დილოში, ავჭალა-გლდანში, ავშიანში, საჯირონოში, ვარკეთილში. ქალაქის ზრდა ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ერთგვარად „ტრადიციულ“ გახდა. ახალი გენერალური პროექტი ლოჯიკურად აგრძელებს თბილისის მტკვრის ზემო დინებისაკენ ვარკეთილის ტენდენციას. დილოში და გლდანში ქალაქის მნიშვნელოვან მიკრორაიონებად იქცევა. დილოში 219 ათასი, ხოლო ავჭალა-გლდანის სამრეწველო-სამოსახლო რაიონში 170 ათასი მაცხოვრებელი იქნება. საბურთალოში ძირითადად გაგრძელდება ახალი საცხოვრებელი ინსტიტუტების მშენებლობა.

საბურთალოში შენდება საქართველოში უდიდესი სასწავლო კომპლექსი — თბილისის უნივერსიტეტის ახალი კორპუსები. ტერიტორია გამოყოფილია საბურთალო-ბაგების რაიონში. ძირითადი სამშენებლო ბაქანი საბურთალოშია, მეორე კი ხევის გადაღმა, მდინარე ვერის მარჯვენა ნაპირზე, ბაგებში. ხევის გადაღმა, საბურთალოში სასწავლო კორპუსები განლაგდება, ხოლო საწინააღმდეგო მხარეზე კი საცხოვრებელი ზონა. ამ ზონებს შორის, ხევი გაშენდება ჯებირი, რომლის შემწეობითაც აქ გაჩნდება მცირე წყალსატევ. მას გამოიყენებენ დასვენებისა და სპორტისათვის. ჯებირი ამავე დროს ხიდის დანიშნულებასაც შეასრულებს. სტუდენტთა ქალაქის კომპოზიციის დასაბამს ღია საზოგადოებრივი ცენტრი



ე. წ. ფორტში წარმოადგენს. მის გარშემო დაგეგმულია სასწავლო კორპუსები, რექტორატი, საექტო დარბაზი, მუზეუმი, კაფეტერია, ბიბლიოთეკა. უკვე დაწყებულია ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ბიბლიოთეკის (ხუთ მილიონ ტომზე) მშენებლობა. მდინარის საწინააღმდეგო, შედარებით ციკაბო, ფერდობზე განლაგდება სასტუმროს ტიპის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები ხუთი ათას საწოლზე, პროფესორ-მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები ათას ბინაზე, საცხოვრებელი სახლები ასპირანტებისათვის (350 ბინაზე) და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთათვის (800 ბინაზე). აქვე იქნება ორმოცდაათადგილიანი სახლი ჩამოსულ მეცნიერთათვის. საცხოვრებელ ზონას საერთო სავეჯრო-საზოვადობრივი ცენტრი ექნება. წყალსატევის სიახლოვის გაშენდება დასვენების ზონა და სპორტული კომპლექსი. სპორტულ კომპლექსში ნაგულისხმევია სტადიონი ტრიბუნებით ათი ათას მაყურებელზე, ოთხი დახურული დარბაზი, რომელთაგან სამის გაერთიანება იქნება შესაძლებელი ერთიან მოცულობაში (საჭიროებისა და მიხედვით). გარდა ამისა, გაშენდება გადახურული და ღია საკლერაო აუზები, საწაოსნო სადგური, ათობით სპორტულა ბაქნები.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საბურთალოში განლაგებულია პოლიტექნიკური და სამედიცინო ინსტიტუტების კორპუსები, მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსი, საველეო ინსტიტუტების დიდი რაოდენობა, ცხადი გახდება თუ რესპუბლიკის რაოდენ მნიშვნელოვან სასწავლო და სამეცნიერო ცენტრად იქცევა ეს რაიონი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისის ზრდა-განვითარება ჩრდილოეთისაკენ ერთგვარად ნაყარნახევია წინა წლების გამოცდილებით, და ქალაქის განვითარების უკვე ჩამოყალიბებული ტენდენციით. მაგრამ თბილისის უბნების გამოჩენა „თბილისის ზღვის“ ნაპირებზე — ეს უკვე გენერალური გეგმის ახალი ნიშანდობლივი თვისებაა და მას მეტად თვალსაჩინო კორექტივი შეაქვს ქალაქის სტრუქტურულ აღნაგობაში.

თბილისის ამ უღრდეს წყალსატევს არსებობის არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ დღეს მის ნაპირებზე უკვე ვხედავთ პანსიონატების, მოტელების მშენებლობას, დასვენების ზონებს, პლაჟებს. ამასთან, მშენებლობის უკანასკნელი წლების პრაქტიკაში თვალსაჩინოდ იგრძნობა ზღვისაკენ ლტოლვა (თავდაპირველად ინდივიდუალური მშენებლობისა, ბოლო ხანს კი სახელმწიფოსი) თბილისის ზღვის ციკაბო ნაპირის მოშენების იდეას მეტად დამარწმუნებელი დასაბუთება სდევს თან: პირველყოფისა მშენებლობისათვის ვარ-

დისი ტერიტორიის შედარებით სიახლოვეს მიდამოების მეტად მიმზიდველი კლიმატური და ჰიგიენური პირობები და ქალაქის ცენტრთან სტრანსპორტო კავშირის დამყარების აარგი შესაძლებლობანი. თავისთავად მეტად მაცდველი გამოდგა თვით იდეა ვრცელი წყალსატევის პირას მოზრდილი საცხოვრებელი უბნის შექმნისა. საცხოვრებელი უბანი ტერასებად დაეშვება წყლისაკენ დაფერდილ მთის კალთებზე. საფეხურებად განლაგებული განაშენიანება გამოეხმაურება ძველი თბილისის არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს. ამ საცხოვრებელ რაიონში 250 ათასი თბილისელი დასახლება.

მაგრამ მხოლოდ ამით როდის ამოიწურება თბილისის ზღვის ნაპირის ათვისების იდეის ჩინიშენლობა. ამ აღვილას დიდი საცხოვრებელი მასივის შექმნა მთლიანად ქალაქის სტრუქტურის შეცვლას ნიშნავს, რომელიც მრავალი წლების მანძილზე გრძივად ვითარდებოდა. ახალი რაიონი ქალაქის ცენტრს ეყვრის და მისი გაჩენა თბილისის სტრუქტურას მეტ კონცენტრირებულ ხასიათს შესქენს, ასე ვთქვათ „დაამარგვალვს“ მას გეგმაში. ვარდა ამისა ახალი რაიონის შექმნა გვაიძულებს გადახედოთ თბილისის საზოგადოებრივი ცენტრის ორგანიზაციის პრინციპსა და საზღვრებს.

დღევანდლად თბილისის საზოგადოებრივი ცენტრი ასმულია მტკვრის პარალელურად მიმავალ რუსთაველისა და პლენანოვის-პროსპექტებზე, მდინარის ორივე ნაპირზე. ახალი გენერალური პროექტი გვთავაზობს საზოგადოებრივი ცენტრის სიღრმე, მდინარის მართებულად, განვითარების იდეას. ერთი შეხედვით ასეთი მოსაზრება იმით უნდა იყოს გამართლებული, რომ ახალი საზოგადოებრივი ცენტრი აღარ იქნება მოწყვეტილი ვრცელი რაიონებისაგან და ერთგვარად შემოიკრება მათ თავის გარშემო. ამავე დროს ცენტრი მეტად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ტრანსპორტისათვისაც. ცხადია, რომ აქცენტების გადაადგილება ერთგვარად შეცვლის ქალაქის სტრუქტურას, საზოგადოებრივი ცენტრის გავლენის ზონას, მაგრამ რუსთაველისა და პლენანოვის პროსპექტები თბილისის ცენტრის ძირითად მორგანიზებელ ღერძებად დარჩება. ეს მაგისტრალები ამასთან ერთად გაწეული ქალაქის გრძივი კავშირების ძირითად ელემენტებად რჩება და ეს გარემოება არ გამოპარვით პროექტის ავტორებს.

ჭერ კიდევ ომამდე, სანაპიროების მშენებლობის წყალობით ეს ქუჩები გამონათვისუფლდა სატვირთო ტრანსპორტის მოძრაობისაგან. ახლა მეტად რადიკალურ ზომებს გვთავა-

თბილისი კვირკველია
თბილისში 2000 წელს



ზომენ. რუსთაველის პროსპექტის პარალელურად ორი მაგისტრალი შეიქმნება. ერთი მათგანი ღვრო მადლა, ათარბეკოვის ქუჩის ღონეზე გაივლის და ესტაკადის შემწვობით (ნოსკოვის ქუჩის თავზე) ბარნოვის ქუჩას შეუერთდება, რომელიც გამკოლად გადის მთელ ეკრის უბანზე. მეორე მაგისტრალი კი პროსპექტის დაბლა. ძნელადის ქუჩის რეკონსტრუქციის ხარჯზე შეიქმნება. ქუჩა „ვერისის“ სასტუმროს წინა მოედნის ქვეშ მოწყობილ გვირაბის მეშვეობით ელბაქის დაღმარას შეუერთდება და შემდეგ კი, ზევსა და კიროვის უბანს ქვეშ გამავალ მაგისტრალს ვილით, ლენინის ქუჩაზე გავა, გმირთა მოედნის სიახლოვეს. ამგვარად რუსთაველის პროსპექტის გარეშე შექმნება ცენტრის დაკავშირებას უკმათან, საბურთალოსთან, სადგურთან. პროსპექტის ტრანსპორტიაციან გამონათვისუფლება კიდევ მეტად გაუსვამს ხაზს მის როგორც აბილისის კულტურული ცენტრის მნიშვნელობაზე. ამასთან მისი რეკონსტრუქციის საშუალებაც მოგვეცემა და შექმნება უფრო ეფექტურად ჩაერთო იგი ქალაქის საერთო ხედში. ანალოგიური ღონისძიებანი ჩატარდება პლუბანოვის პროსპექტზეც. ძირფესვიანი რეკონსტრუქციის თავის რიგს ელოდება ლენინის მოედანიც. ამგვარად, გენერალურ გეგმებში გატარებული იდეის საფუძველზე, ტარდება საკავშირო კონკურსი თბილისის ცენტრის დაგეგმარების პროექტზე.

კიდევ მეტად მატულობს ქალაქის სიმაღლე. იმატებს მალღივი შენობების რიცხვი. ალბათ არ არის საკურო დეტალურად შევსებო იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მალღივი შენობების წინაწარ გათქმებული გეგმის საფუძველზე განლაგებას ქალაქის ტერიტორიაზე. მალღივი შენობები მნიშვნელოვნად განაპირობებენ ქალაქის მოცულობრივ კომპოზიციას, მის სილუეტს. ეს მით უფრო იგრძნობა ისეთ ქალაქში როგორც თბილისია, სადაც მრავალი წერტილიანად ადგილად აღიქმება ქალაქის ვრცელი უბნები. ამ კეშმარტებზე მეტყველებს თბილისში ბოლო დროს აშენებული მალღივი შენობები, რომლებზეც „აურზაური“ შეიტანეს ქალაქის საერთო კომპოზიციისა. ალბათ, სწორია ის აზრი, რომ მალღივი შენობები ძირითადი მტკიცის მარცხენა, შედარებით დამრეც, ნაპირზე უნდა გაშენდეს (რა თქმა უნდა წინასწარ დამუშავებული გეგმის საფუძველზე). იგივე ითქმის ვაკის საბურთალოსა და დიდმის უბნებზე. ხოლო რაც შეეხება მარჯვენა ნაპირის ცენტრალურ უბნებს და განსაკუთრებით მთაწმინდის ფერდობებს, ძველ თბილისს (აბანოების მიდამოებში და სოლოლაკის ფერდობებზე) — აქ რეკონსტრუქციისას ტაქტისა და გეგმონების ნაქმომბია გამოსამდგენელი, რათა არ და-

ირღვას საუკუნეებით ჩამოყალიბებული ტაბი და კოლორიტი, რასაც, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა სამხატვრო აკადემიის ახალი კორპუსის მშენებლობისას.

ზოგჯერ გაიგებთ ან პრესაში წიკითხავთ, რომ თბილისი უხვად გამწვანებული ქალაქიაო, სამწუხაროდ ეს ასე არაა. თქვენ რომ შეადაროთ რუსეთის (როსტოვი, ვორონევი), უკრაინის (კიევი, პოლტავა) ან ბალტიისპირეთის (ტალინი, რიგა, ვილნიუსი) ქალაქებს, იოლად დარწმუნდებით, რომ ჩვენ მეტად ღარიბი ვართ ამ მხრივ. უურნალისტების ეპითეტები უფრო კეთილ სურვილებითაა ნაკარნახევი. გენერალური პროექტი ითვალისწინებს მწვანე მშენებლობის ტემპების გაზრდას. ვარაუდობენ თბილისის ვარშემო სატყეო-საპარკო ზონის დამთავრებას. ნაუფლისხმევი, აგრეთვე, დიდი მწვანე მასივების შექმნა თვით ქალაქშიც. დღეს ყოველ მოსახლეზე მწვანე ნარკავების 6,14 კვადრატული მეტრისა მოდის. 1975 წელს ეს რიცხვი თხუთმეტამდე, ხოლო 1980 წელს ოცდაოთხამდე უნდა გაიზარდოს. გაფართოვდება და კეთილმოწყობა საგარეუბნო დასახელებელი ზონებიც, რომელიც საავარკო ადგილებს მოიცავს (კოჭორი, წყნეთი, ბეთანაა, კრწანისი, საცურამო, წოდრეთი, მანგლისი და სხვ).

მეოცე საუკუნის ქალაქმშენებლურმა ვარაქმნებმა ძირფესვიანად შეცვალა ქალაქების გეგმარებითი სტრუქტურა და მხატვრული სახე. მრავალი ტექნიკური თუ ესთეტიკური მხარე იყო ახლად ვაპირებული, მაგრამ სამაგიეროდ ახალი მეტად მწვანე პრობლემებიც გამოჩნდა. ერთ-ერთი მათგანი ძველისა და ახლის შეთავსების, ისტორიულ ძეგლთა დაცვის საკითხია. მსოფლიოს საზოგადოებრიობა სულ მეტად მსტ შემოთავებს გამოთქვას იმის გამო, რომ ურბანიზაცია ანგრევეს ძვირფას ძეგლებს, უსახურს ხდის ქალაქებს, სპობს მათთვის მახასიათებელ ინდივიდუალურ თვისებებს. არქიტექტურული ძეგლი მხოლოდ მატერიალური მცნება როდია. იგი ხალხის სულიერი სიმდიდრის გამომატებელია. არქიტექტურთა მსოფლიო კონგრესები, სიმპოზიუმები, საკავშირო თათბირები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთან ძველთა დაცვის საგანგებო ორგანოს (იკომოსი) დაარსება და მრავალი სხვა მოწმობს იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელსაც ძველთა დაცვის საკითხს ანიჭებენ სპეციალისტები და საზოგადოებრიობა. მრავალი აზრი და რეკომენდაცია იქნა გამოთქმული. ზოგი მათგანი ერთურთის საწინააღმდეგოც კი არის. მაგრამ ორი დებულება, რომელიც ვენეციის მსოფლიო სიმპოზიუმზე იქნა ჩამოყალიბებული ე. წ. „ვენეციურ ქარტაში“ უცილობელი გვკონია:

1. არქიტექტურული ძეგლის ცნება მოიცავს



არა მარტო ცალკე ნაგებობას, არამედ აგრეთვე შენობათა ჯგუფს, კვარტალს, რაიონს, ლანდშაფტსაც კი.

2. ჩვენ არ შეგვიძლია ძველი ქალაქების, ვრცელი რაიონები გამოვყოთ თავისებურ „მუზეუმებად“. თანამედროვე ქალაქისათვის ისინი სასარგებლო ფუნქციას უნდა ასრულებდნენ და თანამედროვე ცხოვრების ფერხულში უნდა იქნას ჩაბმული. არ არის გამორიცხული ისტორიული რაიონის რეკონსტრუქციის შესაძლებლობა. ლაპარაკია ტაქტიკურ, მასშტაბურ, დივერსარების კოლორიტის შემონახვაზე, მხატვრული სახის დაცვაზე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის უბანი მთლიანად წარმოადგენს დიდ ისტორიულ ღირებულებას, იგი ხელშეუხებელი უნდა დარჩეს ანდა უნდა მიხდეს მისი რესტავრაცია და რეკონსტრუქცია (გაჯანსაღება).

ისტორიული ნაგებობების რესტავრაცია და აღდგენა (შეკეთება ახალი დანიშნულებისადრინ), მათა თანამედროვე ინჟინრული აღჭურვა, სატრანსპორტო საკითხების მოგვარება და მრავალი სხვა პრობლემის გადაწყვეტა მრავალი სპეციალისტის ერთობლივ შრომას მოითხოვს. ამ სპეციალისტების კომპლექსური მუშაობის უზრუნველყოფა ამ რთული ამოცანის სწორად გადაჭრის ერთადერთი გზაა.

თბილისი იმ ქალაქების რიცხვს ეკუთვნის, სადაც ისტორიულმა უბნებმა შეინარჩუნეს თავისი სახე. შუასაუკუნეებრივი დაგეგმარება, შიდა ეზოები, ცალკეული ნაგებობები, მტკვრის დალაინილი კალაპოტის სწვრივად ტერასებზე შეფენილი მცირე უბნები ქმნის იმ განუმეორებელ კოლორიტს, რომელიც მხოლოდ ძველი თბილისისათვის არის დამახასიათებელი. ისტორიულმა ბედ-იბაღმა არ დაინდო თბილისი, ძლიერი, მაჰმადიანური სახელმწიფოებით გარშემორტყმული საქართველო და მისი დედაქალაქი მრავალჯერ გამხდარა სისხლისმღერელი ბრძოლების ასპარეზი. მტერს არაერთხელ გაუძარცვავს და დაუნგრევია ქალაქი. მაგრამ თბილისი კვლავ აღსდგებოდა ხოლმე ნანგრევებიდან და ხელახლა შენდებოდა. ირანის შაჰის უკანასკნელი შემოსევის დროს მე-16 საუკუნის მიწურულში ქალაქი მიწასთან იქნა გასწორებული. სწორედ ამიტომ, რომ თბილისს თითო-ორიოლა მოწინააღმდეგეობა შემორჩა.

მაგრამ, შემორჩა საცხოვრებელი სახლები მოაჯირებისა და ფრიზების აყურული ნახატიც, შემორჩა ქუჩების შუასაუკუნეებრივი ხლართი. შემოინახა ძველი თბილისის კოლორიტი, უფსკრულზე შეკიდული იფენები, სახლების შეკიბული მასები, შემოგვრჩა სულა ძველი თბილისელებისა — მშრომელების, ხელოსნების, მშენებლების, მეომრების. და თუ მრავალი სახლი დაძველდა და აშკარად შესაც-

ვლელია, შემოსანახია ყორე ქვით მოჭრული, ადგილებით შეკიბული, ქუჩაბანდები, განაშენიანების მასშტაბი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეტეხის კლდის ვიწროები, საწინააღმდეგო მხარის გაშენება, თბილისის დედა-ციხის ნანგრევები, ვერცხლის ქუჩის ირგვლივ თავმოყრილი ძველი უბანი, კვარტალი ლესელიძის ქუჩასა და სოლოლაკის ქედს შორის. კანტიუქტაღ ისმის წინადადებები ამ უბნების განახლება-რეკონსტრუქციის თაობაზე (სახელოსნოების ორგანიზაცია, მალაზიები, სუვენირების წარმოება, საცხოვრებელი ფონდის გამჭიხრება ბინების კომფორტის რადიკალურად გაუმჯობესებასთან ერთად და ა. შ.). ეს წინადადებები ყოველმხრივ უნდა იქნას მოფიქრებული, რათა გამოუსწორებელი ზიანი არ მივაყენოთ ისედაც მცირედ შემორჩენილ სიძველეს. გენერალურ პროექტში ზემოდ ჩამოთვლილი უბნები განსაკუთრებული რევიმის ზონებად არის მიჩნეული, რაც იმას ნიშნავს, რომ შემდგომში შედგენილი იქნება ამ უბნების რეკონსტრუქციის კონკრეტული პროექტები.

ძველ თბილისს კიდევ ერთი თავისებურება გააჩნია. ქალაქის თანამედროვე ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრი არ თანხდება ძველ ქალაქს, როგორც ესა ტალინში, პრაღაში, მოსკოვში, ვენასა და მრავალ სხვა ქალაქში. ეს ვარეშობა ერთგვარად ადვილებს ძველი უბნების მასშტაბისა და კოლორიტის შემონახვის ამოცანას. მაგრამ, სამწუხაროდ ეს უპირატესობა ჩერ-ჭვრითი გამოუყენებელია. იგივე ტალინსა და რიგაში ძველი უბნები და ძველები მეტად მოვლილია.

სანამ ისტორიული უბნების რეკონსტრუქციის პროექტის შედგენას დაიწყებდეთ, საჭიროა ამ უბნების ზედმიწევნით შესწავლა, იმ მიზნით, რომ დავიდგინოთ მეტ-ნაკლებად მთლიანად შემოსარჩენი ადგილები, დაფიქსიროთ, ავზომოთ ის ნაგებობები, რომლებიც მომავალში შესაძლოა დაინგრევა. ამ საკითხებზე ქალაქის მესვეურები უკვე დღეს უნდა ზრუნავდნენ.

ქალაქის მთავარიანი რელიეფის დახასიათებისას მოკლედ აღინიშნა ზოგიერთი სპეციფიკური სიძნელე, რომელთა გადალახვა უნდებოთ ხოლმე დამპროექტებლებს. ეს თავისებურება განსაკუთრებით იგრძნობა ტრანსპორტის საკითხების მოგვარებისას. თბილისში ასეა თუ ისე, შედარებით გვარდება სატრანსპორტო კავშირები მტკვრის სწვრივად. მაგრამ მეტად პრობლემატურია ვანივი კავშირი ქუჩების ნიშნულებას მკვეთრი სხვადასხვაობის გამო (განსაკუთრებით მდინარის მარჯვენა ნაპირზე, სადაც ციციბო ქანობებია და ვიწრო

თენგივ კვიციანი
თბილისი 2000 წელი



ქუჩები) ერთ-ერთი მეტად მკაფიო მაგალითია ავღაბარი. ეს მეტად ვრცელი უბანი, სადაც ქალაქის მოსახლეობის თითქმის ერთი მეხამედი ცხოვრობს, ქალაქის ცენტრს ფაქტურად ერთადერთი მაგისტრალი — ბარათაშვილის ადმართით უკავშირდება (მასაც 7 % იანი ქანობი აქვს და აქსთან ტრამვაის ხაზით არის დაკავებული).

თბილისი მანქანებით გაჯერებულ საბჭოთა ქალაქებს შორის ერთ-ერთი პირველთაგანია — 33 ერთეული (ავტობუსების ჩათვლით) ყოველათასს მცხოვრებზე. ყოველ ათას მცხოვრებზე დღეს ოცზე მეტი მსუბუქი მანქანა მოდის და ეს რიცხვი განუზრვლად იზრდება. ამ საქმე მართოდვე რაოდენობაში როდია. შემოწმებამ დაგვანახა, რომ თბილისელები მეტად ინტენსიურ ექსპლუატაციას უწყევენ თავის მანქანებს. მგზავრების ქალაქში ვადაყვანის თითქმის მეოთხედი მსუბუქ მანქანებზე მოდის. რამდენიმე მეტად დამახასიათებელ მაგალითს მოვიყვან.

მცირე ორჯონიძის მოედანი სპორტის სასახლესთან დღე-ღამის განმავლობაში ერთი მიმართულებით ატარებს ცხრა ათას მსუბუქ მანქანას და სამი ათას ხუთას ავტობუსსა და ტროლეიბუსს. უფრო მეტად არის გადატვირთული გმირთა მოედანი. რუსთაველის პროსპექტზე, სადაც სატვირთო მანქანების გავლა აკრძალულია, დღეში ერთი მიმართულებით გაივლის ხოლმე ცხრა ათასი მსუბუქი მანქანა, შეიდასი ავტობუსი და ათასობის ტროლეიბუსი. მოძრაობის ინტენსივობით და აღმართ-დაღმართების ხშირი შენაცვლებით გამოწვეულ სიძნელეებს ემატება ის გარემოება, რომ მოძრაობის გადაკვეთა ყველგან (სანაპიროების გარდა) დღეს ერთ დონეზე წარმოებს. უფრო მეტიც, მოძრაობის ვანტაჟის სათვის ჩვენ არა გვაქვს საემარისი ზომების მოედნები და უკვე დღეს ზოგიერთმა მოედანმა და გზაჯვარედინმა ამოწურა თავისი გამტარიანობა და „პიკის“ საათებში იხერკება.

ორი ათასი წლისათვის ყოველ ათას თბილისელზე ასოთხმოცი მსუბუქი მანქანა მოვა ე. ი. მანქანების რაოდენობა (ფარდობით მოსახლეობასთან) ცხრაჯერ გაიზრდება! ამავე დროს გენერალური გეგმის თანახმად ქალაქის ტერატორია ერთნახევარჯერ გაიზრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოგზაურობის გზა იზრდება და მასთან ერთად მატულობს მოძრაობის ინტენსიობა. ახალი გენერალური პროექტი ითვალისწინებს სატრანსპორტო მოძრაობის მოწესრიგებას. ქალაქის ქუჩები მათი დანიშნულების და გამტარიანობის მიხედვით რამდენიმე კატეგორიად არის დაყოფილი. ე. წ. „უწყვეტი მოძრაობის მაგისტრალი“ უზრუნველყოფენ მაღალი სიჩქარეებით მოძრაობას. ეს ვანიერ

ქუჩები (ორმოცდაათი მეტრის მინიმუმის სიგანით) გაატარებენ შორ მანძილზე ტრანსპორტს. ასეთი მაგისტრალები თავისებურ „დორენაის“ როლს შეასრულებენ, „უწყვეტი მოძრაობის მაგისტრალი“ გარე გზატკეცილების გაგრძელების სახით არის დაპროექტებული. მაგილითავე, სანაპიროები ანდა მდინარეები, რომელიც შედგრთვებს ავტოკლას კახეთის გზატკეცილთან და არმელიც მარტყენა ნაპირზე, დაახლოებით რკინიგზის ხაზით დონეზე გაივლის.

დასახულია ზომები იმისათვისაც, რათა ქალაქის ცენტრში არ შემოვიდეს ქალაქგარეთ ტრანსპორტი. ამჟამად ერთ-ერთი, ყველაზე დიდი, საავტობუსო სადგური ქალაქის ცენტრში — ელბაქიძის ხიდან მდებარეობს. განზრახულია თბილისის ორთავ ბოლოში ორი ახალი ავტოსადგურის მშენებლობა იმ მიზნით, რომ ქალაქგარეთა ტრანსპორტი არ შემოვიდეს ცენტრში. ერთი მათგანი, ვამტარუნარიანობით ოცდაათ ავტობუსზე საათში. უკვე აშენდა ორთაქალაში, მეორე ამგვარი სადგური თბილისის საწინააღმდეგო მხარეს იქნება აშენებული.

სწრაფი ტემპებით განვითარდება თბილისის მეტროპოლიტენი. ადრე წინადადება იყო გრძელ ტრასასთან ერთად რკოლორიც შეგვეშენა. გენერალური გეგმა მეტროპოლიტენის ახალ სექმას გვთავაზობს. სადგურ „დიდუბედთან“ ორი შტო წყავს: ერთი დიდმის საცხოვრებელი მასივისავე, მეორე კი — გლდანის მიმართულებით: „ვაჯლის“ სადგურიდან განშტოება საბურთალოსკენ წავა. ძირითადი გრძელი ტრასა კი აეროპორტის მიმართულებით განავრცობს ვანიერთარებას. ამრიგად, თბილისის მეტროპოლიტენის საერთო სიგრძე ორმოცდაათ კილომეტრს მიაღწევს (დღეს ხაზი სულ თორმეტ კილომეტრს შეადგენს).

გენერალური გეგმაში დასაბუთებულია ურელსო ტრანსპორტზე გადასვლის აუცილებლობა. მზედველობაშია ტროლეიბუსისა და, თბილისის პირობებში უპერსპექტივო, ტრამვაის ხაზის თანდათანობით მოშლა. ვთავალისწინებულა აგრეთვე ვერტიკალური ტრანსპორტი — ფუნქიკულიორის, საექსკალატრო-გოლერის, საბავირო გზის გამოყენების შემდგომი ვითარებება.

წერილში მეტად ძენწად არის აღწერილი თბილისის რეკონსტრუქციის რთული ამოცანები. ცხადია, ცხოვრება შეიტანს ზოგიერთ კორექციას დასახულ პროექტში. ორი ათას წელს კი თბილისის ბატონ-პატრონები, ჩვენი მემკვიდრენი, საქართველოს დედაქალაქის განსხლებილ ახალ გეგმებს შეადგენენ.

პიჯალი მიქიაშვილი

კაცი სკანს ითხვისელთაგან

ერთი ცნობილი მწერალი ამბობს, ყველა ქალაქი ერთიმეორეს რაღაცით წააგავსო. არ ვიცი, ვარაუდია იქნებო მართლა წააგავს ვენას, ვენა — ვაშინგტონს, ეს უკანასკნელი პრადას და ასე შემდეგ. მაგრამ ჭიათურა რომ მხოლოდ ჭიათურას ჰგავს, ამაში ერთხელაც დავრწმუნდი, როცა თორმეტი წლის შემდეგ კვლავ ვეწვიე ამ მეტად კოლორიტულ, მეტად თავისებურ, მეტად რიტმულ მდარათელთა ქალაქს. ჩვენი ნარკვევის თემა ზოგადი ხასიათისა რომ იყო, ახრობას ქალაქის სახეცვლილებით და ვიწყებდი, თვალწინ წარმოვიდგენდი რებრებში მომწყვდეულ, ჯერ იმეგ მღვრიე ყვირილას, გაღმა-გამოღმა ფერდობებს ნავდრებზე ამოხეტილი სოკობივით შეფენილი სახლებითა და დაღვარქნილი გზა-ბილიკებით, ახალთ-ახალი მრავალსართულიანი შენობებითა და ახლად დაბადებულ საცხოვრებელი ვარეუბნებით — აგრე უკვე ათეული წლები თვალს რომ არ ამორებს თეატრის დიდ ტერასაზე სავარძელში დაბრძანებული საქართველოს დიდი მგოსანი აკაკი... ჭიათურა ხომ წარმოუდგენელია საბავარო გზების გარეშე... შეძლებისდაგვარად დაგიხატავდი მაჯის სიმსხო ბაგირებით აბლაბუდასავით დაქსელილ მის ცარვეალს, ზედ ვაგონები ფერად-ფერადი ვეება ხოკობივით ვანუწყებტლოვ რომ დაბობდავენ... მაგრამ ქალაქის სახეს, მის ავარჯს ხომ აღამიანები ქმნიან? და აი, დღეს იმ ერთ-ერთ აღამიანზე მოვიხიბობთ, ვინც თავისი ერთგული შრომით სახელი გაუთქვა თავის უბანს, კოლექტივს, ქალაქს.

... გიორგი ბაქრაძის შრომით ბიოგრაფიას რომ გავეცანი, ეს ფუტკარივით მოუსვენარი მშრომელი კაცი გონებაში სულ სხვა ვარგნობისა წარმოვიდგინე. ბუნებრივიცაა, რადგან სიტყვა „მადრო“ უკვე თავისთავად გულისხმობს ბრვე, ახოვან, ფხოვიურად და სულიერად ძლიერ ვაქაცებს; და რა თქმა უნდა, ეს იყო მიზეზი, პარტაურთს ოთახში შემო-

სულ ვაფანდარა, პირხმელ კაცს, ღიმილიანი, საოცრად მოუსვენარი თვალებით რომ უუუარებდა ოთახში მყოფთ, — ყურადღება არ მივაქციე. იგი სპეტქანსაცმელში, კოქარღინი ქუდიითა და მხარზე გადაკიდებული ფართო ქამრიანი სანათურით, საბრძოლო დავალების მისაღებად გამოძახებულ ჯარისკაცს მოგავონებდათ. მკვირცხლი იმერული კილო, ხმელ პირისახეზე ნათელი ღიმილი და გულგახსნილობის უტყუარი გარეგნული სიცხადე კიდევ უფრო გაცნობიერებულს ხდიდა ამ საშუალოზე მაღალ, ბეჭბრტყელ კაცს... მისი დღენიადაგ დაძაბული შრომის ერთადერთი მამხილებელი ასეთ დროს მხოლოდ დაძაბულ-დაცოქირილი ხელებია, ხელის ჩამორთმევისთანავე რომ გაგრძნობინებს წლობით მარგანეცის ქანებთან შერკინებული კაცის ძალას, მისი ხასიათის სიმტკიცეს, უტეხ, შეუპოვარ ბუნებას... იმ დღის შემდეგ ვიგა ბაქრაძისთან არა ერთხელ მისაუბრია მდაროში თუ მდაროს გარეთ, საზოგადოებაში თუ ოჯახში, კრებებზე თუ ცალკე და ყოველთვის თვალი გამირბოდა მისი ძლიერი, დაკორძილ-დაძაბული ხელებისაკენ, რომლებსაც ამ ქვეყანაზე მხოლოდ სასიკეთო, ნათელი საქმე უეთებიათ...

ხალხური სიბრძნეა: „ასჯერ ვაგონილს ერთხელ დანახვა სჯობსო“ და ვშიშობ, — ვი თუ ისე ვერ წარმოვიჩინო თავისი ქვეყნისა და ხალხის საოცრად ერთგული ეს მუშაკი, რომ ჩემსავით დანიახობ და ვანიცადოთ...

... იმ დღეს სუსხმოძალიებული კაშკაშა დღია იდგა. ახალი ითხვისის მდაროს შესასვლელთან ცვლავლ მიმავალი მდაროელები იკრიბებოდნენ, — ზოგს შალითიანი ბირდაბირი ამოელლოავებინა, ზოგს წერაქვი და ნაჯახი გავდომხარზე, ზოგიც სხვების მოლოდინში რელაგებსა თუ მორების ვადანაქრებზე ჩამომსხდარიყო და თუთუნს ნება-ნება ახრჩოლებდნენ. გვირახიდან გრილით გამოდიოდნენ პატარა ელმავლები მარგანეცით დატვირთული ვაგონებით,

ცარიელი კი გვირახში ინთქებოდნენ... თვალი გამიბრბოდა ხან აქეთ, ხან იქეთ, თანაც გულს-
ყურით ვუხსენებდი მზადყოფი მუშების სჯა-
ბასს:

— გაგაწვალედა, აბა! — ჩანდა, ეს ჩანიათ
კაცი კარგახანია დაწყებულ ლაპარაკს აგრძე-
ლებდა.

— მთელი დღე კი არ დამეპარგვია?!.. ის
ოხერი ჩარჩო „დასტაყებიათ“. ისე ვაღაყაჯე-
ვე და გავექევე, ბომბი ძერას ვერ უზამს მეთქი,
მარა ვაგიგონია?! აფეთქებას ასანთის ღერე-
ბივით გამოუყრია.

— შურები გექნებოდა განზე ნახურლი.

— არა, შე კაცო...

— სანგრევზე წყალი ხომ არ გამოსულა?!
— აბა!.. ნავგალებივით, წვეთი რაა, იმა-
საც არ გამოუტონავს... ეეჰ, მთელი დღე გა-
მაცდინა, იმ ოხერმა, — ფაქრიანდ ლაბოლო-
ვა მან, სიგარეტს მოუკიდა და ცოტა დახანე-
ბის შემდეგ ვილაყას ხმამალა გასახა: — თე-
მურია, გუშინდელივით ვაგონებს, თუ დაგვი-
ანებით შემოახრივანებ, იცოდე კაი დღეს არ
დაგაყრი.. — მალაროში საავარკოდ კი არ
შევიდვარ! — გაეცინა მას. სხვებიც აქირქილ-
დნენ.

— იქნება, იქნება! — მადნის საცლელი ბუნ-
კერებიდან მოისმა ვილაყის ხმა.

— წამლისა არ იყოს, დროზე თუ არ იქნა,
მერე გინდა ყოფილა და გინდა არა!..

— ის ერთი ჩარჩო ცოტა წვრილი ბიგების
ჩაგისყამს, — ეს უკვე სხვა ჯგუფიდან ისმის.

— დღესვე უნდა გამოტვალო, თორემ ხომ იცი,
მაგ უბანზე დიდი დაწოლაა და...

— გუშინ უკეთესი არ იყო და გაუმეგრებ-
ლად დატოვებას ასე ვარჩიე...

— ხალხო, გეიგეთ ხომ?! — ზედ მალაროს
პირკართან ჩამოქვარდა ახალგაზრდამ ისე
წამოიძახა, რომ წერატვის წვერით მიწის კირ-
კნა არ შეუწყვეტია, — ჩვენს ავარკას ამ თვე-
ში ორმაგად შეუსრულდება ნორია.

— კი ერთი.. პავლია, მართლა ბიჭო! —
აიოჩქოლდნენ დანარჩენები.

— მერე და რა არის ახლა აქ გასაკვირი! —
ხეზე ბეჭით მიპარდნობილმა ჭაბუკმა თქვა ღი-
მილით.

— არაფერი, მარა...

— გიგა ბაქრაძეს უნდა წამოეწიოს...

— გიგას წამოეწევა ბუერს უნდა, მარა კა-
მეჩთან მოკილავე ხარის ამბავი არ გაუფო-
ნია?..

— ელმავალი მევიდა, ელმავალი! — მალა-
როს სიღრმიდან მოისმა ვილაყის ძახილი.

— ჰე, წაგიდა!..

ხმაურით წამოიშალნენ და ჯგუფ-ჯგუფად
მიიმალნენ მალაროში. მათა ხმამალა ლაპა-
რაკი, სიცილ-ოხუნჯობა და ჩექმების ფლახა-

ფლუტი ახლა ისე ისმოდა, როგორც სწორედ
ხმების ვაგონი...

... ვისაც ხშირად უწევს მატარებლით გვი-
რახის გავლა, დაგვეთანხმება, რომ იგი მომა-
ბერებელია და განსაკუთრებით დღისით... ახ-
ლა კი წარმოიდგინეთ ადამიანები, რომლებიც
წლობით ერკინებიან ძნელად დამყოლ მიწის-
ქვეშეთს. და რა თქმა უნდა, თუ არა დიდი ნე-
ბისყოფა, პროფესიონადმი დიდი სიყვარული,
თუ არა შეგნება იმისა, რას ქმნის და ვისთვის,
— ისე ძნელია აქ კაცმა დიდხანს გაძლოს. იქ-
ნებ ზოგმა იფიქროს, რომ აქ შრომის თანა-
მედროვე პირობები არ არის, ანდა აქ მომუშა-
ვეთ სხვაგან წაასვლელი გზა არა აქვთ?! ამ
დალოცული მიწაზე სამუშაო-სამოღვაწის რა
გამოღვეს! მაგრამ მალარო ისეთია, რომ ერთ-
ნელვე თუ შეგიტყუა მისმა მრისხანე შემო-
ტევამ, მისმა პირქუშმა გამოხედვამ, ერთხელ-
ვე თუ იგრძენი მისი ძლიერი მაჯისცემა, მერე
ვერა და ვერ დასთმობთ ამ სიძნელეებთან კი-
დნის; რაც უფრო აშკარად გრძნობთ მის
სიჭიუტეს, მით უფრო ჭიუტად ეძალდები...
ამიტომ შეარქვეს მას „მეორე ფრონტი“, ამი-
ტომ ამბობენ რომ აქ მოპოვებული სახელი
ტოლფასოვანია ფრონტზე ტყვეების ზუზუნში
მოპოვებული სახელისა... და აი, რამდენიმე
დღე თვალს ვაღვენებდი მთავარ საზიდებში,
ღავეებსა თუ შტრეკებში სანგრევებთან თუ
აღსადგენ უბნებზე მომუშავე მალაროელებს.
თვალს ვაღვენებდი მათ დაძაბულ საქმიანობას,
ზომიერ ოხუნჯობას, საქმიან ვაგონიან-გად-
პოძახილს, რომ შეუძმნეველი არ დარჩეო-
და ამ რთული პროფესიის ადამიანთა ხასიათის
უმნიშვნელო შტრახიცი კი; თავის თანაშემწეს-
თან ერთად მომუშავე გიგა ბაქრაძეს ხომ ერთი
ნაბიჯითაც არ ეტოვებდა უყურადღებოდ. მუ-
შაობის დროს მას ლაპარაკი არ სჩვევია, არც
სცალია საამისოდ, აქ მხოლოდ ხერხის, წერაქ-
ვის, ნაჯახის, უროს ხმები და აქა-იქ წამოძახი-
ლი ვისმის...

ისე გრძელდებოდა ჩვენი ხილული ურთიერ-
ობა.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, საქუშაოს დამ-
თავრებამდე ცოტა ადრე მალაროსათვის ჩვეუ-
ლებრივ ბუღსა და ცოტა ჰაერგაუხშოებულ
შტრეკებში ელვის სისწრაფით მიმოიქცა უბ-
ნის გამგის სიტყვები: „გიგა ბაქრაძემ და ვი-
ტალი გაბესკელიანმა ოცდახუთ დღეში 56 მეტ-
რი გრძივი გაჭრეს და გამოზიდესო... ხე-
დავთ?!.. დღეში თითქმის ორმეტრნახევარი
გრძივი სანგრევის დამუშავება!..

— გიგა, ო, გიგა, — რომელიღაც შტრეკი-
დან მოისმის, — ვილოცავთ, ბიჭო, ვილო-
ცავთ!

— მავს რა უჭირს, რა! — სიცილით იძახის
რომელიღაც, — ქე არის ამ საქმისთვის გაჩე-
ნილი, მარა ე გაბესკელიან ვიტალას რომ ასე



უღროოდ იკლავს ხელში, რავარი საქმეალ
ხმაღლა იცინის გიგა და თანაშემწეს უხ-
 მოდ აგრძნობინებს: „ხომ გესმის რას გიბე-
 დავსო?“ ვაბესკელიანმა დღეს ჩაუმიხსნავად
 იმუშავა და კომპინეზონი მხრებთან გასაწური
 აქვს.

— პავლი, ენას რომ ცბილებს დააქრდე და
 საქმის მიხედვად ვირჩევნია, — ეცინება ვა-
 ბესკელიანსაც, — ეგება ერთხელ მაინც გამო-
 გაჩინოს ხალხში შენმა მარჯვენამ... ჰო, ჰო.
 მართალს გეუბნები!..

უხარია მაღაროში თმაშევერცლილ გიორ-
 გი ბაქრაძეს კიდევ ერთი ახალი წარმატება;
 უხარია, მაგრამ ასე იოლად როდი შესიწრებით
 გამოქმედანებულ სიხარულზე. ძნელად დასაოკე-
 ბელ სიამაყეს იმით აამჯარაუბებს, რომ მუშაო-
 ზნით ვართული ზოგჯერ წაიღიდინებს ხოლმე.
 ეს კი, რა თქმა უნდა, იმის ხმაღალი დასტუ-
 რია, რომ გამარჯვებული მუშა-კაცი ამ წუთამ-
 დე გულში თავისთვის ღიღინებდა...

და ასეა მუდამ, — ასე ულოცავენ ში...ი-
 დან თუ ახლოდან შრომით თუ ასავით დამე-
 გობრებული კოლეგები, — ეკითხებიან, უს-
 მენენ, მავალითს მისგან ლებულობენ...

მაგრამ, ვიდრე გიორგი ბაქრაძე კაცურ კა-
 ცობის ამ საფეხურს დაიმკვიდრებდა, მან
 მეტად ვრძელი და რთული შრომითი გზა გან-
 ვლო, ამ დიდ აღიარებას კაცმა მთელი თავი-
 სი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა. ასეთი
 ბუნების აღამიანებმა კარგად იციან შრომის
 ტვირთი, კარგად იციან, რომ სახელის მოსა-
 ხვევად მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს,
 რასაც მუშური სინდისი, საკუთარი და სხვების
 შრომის ფასი და რწმენა ჰქვია...

იმ დღესაც ფეხდაფეხ მივყვებოდა ცკლის
 შემდეგ ვარტე გამორჩარებულ დაღლილ მა-
 ლაროელებს. ისინი ახლა ცოტას ლაპარაკობ-
 დნენ და ისიც მეტწილ ვიორგი ბაქრაძის წარ-
 მატებებზე. ეუსმენდი ამ დიდებული აღამი-
 ანების ჰქვიანურ მასლაათს, ვუყურებდი მათ
 ჩაფიქრებულ სახეებს და მათთან ერთად მეც
 მიხაროდა და მწყინდა მათი თანახარელი თუ
 საწყენი... მაგრამ როგორც კი ყურს მოვკრავ-
 დი „გვიგაო“, უეცრად ლობრი ეფინებოდა მა-
 ლაროს ისედაც მბეუტავ ნათელს, მქრქალდე-
 ზოდა შუალეზზე მამიმდ მიმავალთა ჩექმების
 ყრუ ფლახუნი, ნელ-ნელა ვეითრებოდი აქაურ
 სამყაროს და, თითქოს ბინდუნდ ამოდისო,
 თანდათან თვალწინ მიკოცხლდებოდა ყოველი-
 ვე, რაც ვამი-ვამ უამზნია თავის თავზე ამ
 კაცს...

მახვილ ბაქრაძის დიდ ოჯახს თოფების ვრი-
 ილით არ უცნობებიათ სოფლის მცხოვრებთათ-
 ვის ქვეყნად ახალი აღამიანის მოკლენა. სოფ-
 ლელი ქალები ჩვეულებრივ — „უჰ, რა ბი-
 ჰია, რა ბიჰიო“, აქვითქვითებულან, — მამა-
 კაცებს კი, წესითა დი, უღვაშებში ღიმილჩაფ-

რქვეული მიხილისათვის ახლადშეძენილ
 გა-ბიჭი ცეცხლივით ორნახალით ფეხზე დაუ-
 ლოციათ, — სიმაკრე, სიფიცხე და საქმის
 ფინანზა ნუ მოაკლოსო!..

პატარა გიგას ცხოვრება თოთხმეტ წლამდე
 ჩვეულებრივი სოფელი ბაჰის ცხოვრებით მი-
 ედინებოდა: სკოლა, რაიკატავაო, პირველი
 გამუმდვენებელი სიყვარულის განცდა, ხენა-
 თესვაში უფროსებისათვის ხელის წაშველება
 და ბაბუსთან მწყემსური ცხოვრების იდილია.
 მერე იყო ყველაფერი ერთბაშად დაზზრიალ-
 და და უეცრად მოვარდნილმა ისტორიულმა
 უკლმართობამ დიდსაც და პატარასაც სულ
 სხვა საზრუნავი, სულ სხვა საქმე გაუჩინა...
 ერთბაშად გაქრა ბავშვური უღარდლობის
 პერიოდი და ვიორგი ამიტომაც უფრო განიც-
 დის მაშინ უღროოდ შეწყვეტილი სიყრმის
 წლებს... ბევრი, ძალიან ბევრი ბავშვი ნადრე-
 ვად დაადინჯა და ცხოვრების მამიმე უღელა
 დაადგა სამამულო ომმა.

— რა შიშის მომგვრელი იყო, — იგონებს
 გიგა, — როცა სოფელელები თვალტრემლიან,
 მუდარის მხრით გააცილებდნენ ომმა მამა-
 ვალ ვეჯიცებს, ხოლო საღამოს, თითქოს სო-
 ფელს დიდმა ურჩხულმა გადაუფრინაო, და-
 ცარიელელებულ ორლობებში, ეხოებასა და სა-
 ჩიხებში კაცის ჰკანება არ იყო... ნერვიულად
 მიჩუმათდებოდა წუთით სოფელი. ასეთ მავნე
 სინთუმს განსაკუთრებით ბავშვები ვერ ვევაუ-
 ზობით და ისე, არაფრის გამო ავტეხლდა ერთ
 ალიაქათს და ყიფნით დავიბრენდიოთ სო-
 ფელს... მერე ისევ მიჩუმათდებოდა ყოველივე
 და მხოლოდ ნახირის ბდავალ-ზმილიდა არღ-
 ვეცდა სინთუმე. დღესავით მახსოვს ერთ-ერთმა
 მშობლის ვაჟაკმა გამცილებელთა ვნაასში ყუ-
 რი არავინ მოკრასო, მინც ხმადაბლა რომ მი-
 თხრა: „გიგა, ბიჭო, ახლა ჩვენთანაც აღარ დარ-
 ჩა მამაკაცი და ამა შენ იცი, ხანდახან მაინც
 თუ წაეხმარები მოხუცებს... ხომ ხედავ, ცხო-
 ვრებამ შენც დაგავისრა დიდი საქმეები... —
 კი მოთხრა მაღვ დავებრუნდება და სამავიგრო
 ჩემზე იყოსო მარა...

ძალიან რომ გაძნელდა ცხოვრება, სხვა ვა
 არ იყო, — ბიჭმა სკოლა მიატოვა და უკაცოდ
 დარჩენილ ოჯახს მხარში ამოუდგა... მაღაროზე
 მაშინ არც უფიქრია. ეს მერე, ცოტა მოგვი-
 ანებით მოხდა, როცა თავმჯდომარემ სხვებთან
 ერთად უკვე საუღვაშეაშლილი ვგა კანტორა-
 ში დაიბარა.

— ასეა, ამხანაგებო, — თანატოლებივით
 ესაუბრებოდა იგი წამოჩიტულ ბიჭებს, —
 დღეს იქ ვართ საკირო და ჩვენც იქ უნდა წა-
 ვიდეთ... საუბრიკო-საქარხნო სასწავლებელში
 პირობები უკვე გივთხარით, — საერთო საც-

ვიტალი მიქიაშვილი
 აბანი სამას იმხმისმელთაზან



სოფრებელი, ჩასაცემლ-დასახურავი და საქ-
მელ-სასმელი უფასოა; ერთი სიტყვით, თქვენ
თვითონ ნახავთ, კმაყოფილი დარჩებით...

მწელი იყო ოჯახური ცხოვრებიდან საფა-
რიკო-საქარხნო სასწავლებლის რეჟიმის შეგუ-
ნება, მერე კი უცერად მალაროში მბურღავის
პროფესიით შესვლა. მაგრამ თურმე, როგორც
ვიორტი ამბობს, მთავარია ცხოვრების მიზა-
ნი. თუ მიზანი არა აქვს კაცს, ნაბადივით გა-
თვლავს ცხოვრება... ჰაბუქისათვის განსაკუთ-
რებით მწელი გამოდგა პირველი დღეები. არ
ეგონა თუ მალაროში მუშაობა ასე ვაუჭირდე-
მოდა. მართალია სხვების თვალში იხტიბარს
არ იტყვია, მაგრამ მძიმე, დაძაბული შრომის-
გან მთელი სხული სტყვია, ფეხზე ძლივს იდ-
ვა. რამდენჯერ დააბირა ყველაფრის მიტოვე-
ბა და აქედან გაქცევა, გაქცევა შორს, ძალიან
შორს... მაგრამ ყოველთვის, როგორც კი ასე-
თი გასაცნობიერებელი სურვილი წამოვსალე-
ბოდა, მაშინვე ბაბუსთან იმ დღის შეკამათება
ვაახსენებოდა:

— აბა, არ იშლი და მალაროში მიდიხარ,
ხომ?!

— ჰო, მივდივარ!

— წადი ბატონო, წადი, ვინ გიშლის! —
ბრდღენიანდა ბერიაკი.

— შენ არ წახვალ, მე არ წახვალ, ის არ წავა!
აბა რა, აღგნენ და მალაროებს ბოქლომები
დაკვიდონ? — პირველი შემხებევა იყო შეი-
ლიშვილი სიტყვას უბრუნებდა ბაბუს.

— არავინ გეკითხებათ ბოქლომებს დაკვი-
დებენ თუ დაჯორგავენს. უყურე ერთი ამას,
გამოუჩნდა აბეკუნს!

— დედამელობას, მართალია ბაბუაშენი,
— ზოგჯერ მორიდებით ჩაერეოდა ხოლმე სა-
უბარში დედაც. — დემრთმა იმ დღეს ნუ მო-
მასწროს, მარა... რა ვიცი, რა ვიცი... მალაროა
და... შენ შემოგველე, გიგა, ამ ერთხელაც და-
უჯერე და...

„ახლა სახლში რომ ასე მოცივლული შეე-
ბოგინდე. — გაუელვებდა ჰაბუქს, — ნეტავ
ბაბუა რას მეტყვის?.. დედას გაეხარდება, დე-
და მაინც დედაა. ბაბუა კი, იცოცხლეთყო,
მომახლის: „გამეჩქეცი აბა, ხომ?!.. ვერ გოუ-
ძელი და გამეჩქეცი, ა?!.. ვიცოდი ასე მოხდე-
ბოდა და იმიტომ ვიტყვხდი თავს, ოჯახს სირ-
ცხელი. არ აქამოს-მეთქი, თვარა მალაროში
შენისთანა გაჭლიკულები კი არა, მთას გადა-
აბრუნებენ ისეთი ვეჯაკები მუშაობენ, თვა-
რა კარგად ნახავდი...“ ეწყინება; ისეთი ამაყი
კაცია, ვიცი ეწყინება.“

ვინ მოთვლის სანგრევებთან ღამენატებს,
ღაქანტულს, რამდენჯერ წამოპარვია თვლემს,
რამდენჯერ წასხეპილივით ჩამოპყრია ელექ-
ტრობურღისა თუ ჰაერის ჩაქურჩისაგან ათრთო-
ლებული მკლავები. მაგრამ რაც უფრო აშკა-
რად გრძნობდა მალაროს რთულ ცხოვრებას, მით

უფრო ცხადად ესახებოდა ბაბუს გონებას
მოსდგვა და მეტი სიჭიქით, მეტი სიბრძნით
ერწინებოდა მიწისქვეშეთს...

— ჰეი, ალიოშა ბიჭო, ხომ არ დეილაღე! —
ხმაურში ვასძახებდა ასეთ დროს თავის კბილა
ქილაქს, რადგან ვუმანით გრძნობდა, რომ
უკეთეს განწყობილებაზე არც ის იქნებოდა.

— აა...! შენ?
პასუხის ნაცვლად გიგა წამით ელექტრო-
ბურღს გამართავდა და თითქოს საოცრების
მხილველი გახდაო, განციფირებული წამოი-
ძახებდა:

— დიდუშ! რას ვაგხარ, ბიჭო! — და ახით-
ხითდებოდა. — გარეთ ვოგოებს რო ეფრთნ-
ცები, მიდი ახლა და ჩეიხედე სარკეში რას
ვაგხარ:

— ჰო, რას ვვაგარ, რას!

— რას დე... ბუხრიწმენდას.

„ბუხრიწმენდასო!“ — აბუხუნდებოდნენ
ახლო ყოფი ძველი მეშახტეები, ვიგას წამო-
წყებულ თუნჯობას ახლა სხვაც წაუმატებდა
რამეს, მისას კიდევ სხვა და შიშინა კარბიტე-
ბით მერთალად ვანათებული მალაროს ნოტიო
აედლები ძლივს იტყვია წუთით შესვენებუ-
ლი მალაროელების ხორბოცს.

... ასე გადიოდა დღეები, თვეები, წლები.
ვიგამ უკვე ბურღვის ოსტატის სახელი მოი-
ხეცვა; მაგრამ მისი სახელი იმხანად ჯერ მხო-
ლოდ მარტო ლენინის სახელობის მალაროში
ტრიალებდა...

— მელენტი, — ერთხელ შესვენებისას რა-
დაცაზე ჩაფიქრებულმა ვიგამ ჰკითხა გამოც-
დილ სამხარაქეს, — ელექტრობურღის შუინ-
დელში ლილვის ღერძი ძირამდე დადის?

— ალბათ... რა იყო, რატომ მეკითხები?

— ისე... ისე... — თავისთვის უფრო ჩაალა-
პარაქა მან და ეკვად ჩაფიქრდა: „შუინდელი
რომ დაგრძელდეს, ლილვის სიგრძეც ხომ თა-
ვისთავად მოიმატებს?... მერე ბურღებს და-
ვაგრძელებთ და...“

ახლა ჩვენმა საუბრემ ისე შეგვაჩვია საოც-
რებებს, რომ გუშინ მთავარზე აღამონის ვაფე-
რენა დღეს იმდენად აღარ გვაოცებს, თორემ
ვიორტი ბაქრაძის მაშინდელი შესანიშნავი თა-
ოსნობა — ღრმა ბურღვის მეთოდი, ერთ-ერთი
მნიშვნელოვანი, დიდი სიახლე იყო მალარო-
ელთა ცხოვრებაში...

— მოკლე ბურღები მუშაობისას ბევრი
დრო უქმად იყარვება, — თავისებური სიმ-
კვირცხლით უხსნიდა შემდეგ ვიგა მალაროს
ხელმძღვანელებს. — ენერგისაც უქმად ვხარ-
ჯავთ, — ბურღებს ხომ მალი-მალ უნდა გამო-
ცვლა. მეორეც, მადანი ცოტა ინგრევა და ხომ
ხედავთ, ახლად დანერგულ მექანიზაციას ერთ
ლუქმად აღარ ყოფნის.

„მართალიაო“, კვერი დაუჯრეს.

— აბა ახლა უყურეთ ღრმა ბურღვის შე-



დღეს: ღრმად ვიკვებთ, უნერგისადაც ვზოგავთ და რაც მთავარია, მაღანი... ღრმა მშურებიათი სანერვიო თითქმის ორჯერ მეტ მაღანს დახვავებს...

...რას გვთავაზობთ, ესეც ჰკითხეს.
— ავღვებ და ქარხანას საცდელი ელექტრობურლები დავუყვებთ და დარჩელებული შპინდელთა და ლილვითა; მერე ბურღვა ორმეტრიათი და დივიწყით, პროცესში ელექტრომარაგის დანადგარი ცოტა უკან დავხიბთ. და... ვნახთ, მოვისწავთ...

— მღელვარე დღეების მეტი რა მქონია ცხოვრებაში, — ღიმილით ამბობს გივა, — მარა ის დღე ალბათ ყველაზე ნერვიული და დამაბული იყო. ხომ იცი, თავის პირველი გამოცდა მაინც სხვაა. ბევრს ეგონა, რომ გრძელი ბურღები რკინასავით ქანებს ვერ გაუძლებდა და პროცესში ლერწამით დატყდებოდა. ბევრს უფრო სხვა რამე აეკვებდა: შახტის გრძივის ვაზრდამ და ახლა უფრო ძლიერმა აფეთქებამ გამაგრებული ჩარჩოები არ გამოუაროს და ჰერს ჩამოქცევის საფრთხე არ შეუქმნასო... ყოველივე გოჯი-გოჯ მქონდა აწონდაწონილი, მარა სხევის ეკვება ეკვი შემაპარა. რა დასაძალია და საცდელ ელექტრობურლის დანადგართან რომ მივედი ამდენი ხალხის თანდასწრებით; ცივმა ოფლმა დამასხა...

ასე ჩაეყარა საფუძველი ღრმა ბურღვას. სიასლუ სწრაფად მოედო მაღაროებს, მაღაროთა სამმართველოებს, ტრენტებს... პატარა ამბავი როდღ იყო, ორჯერ იმატა გამოწვევულმა მადანმა, დაიზოვა მუშის ღრ და ენერგია. ამან თავისთავად განაპირობა შრომის ნაყოფიერების ზრდა და თვითღირებულების შემცირება... სწორედ იმ პერიოდსაც გულისხმობდა უბნის გამიგე ზაზა ლაშვი, როცა ჩვენთან საუბარში თქვა:

— გივა ბაქრაძის სახელი რომ გავიგონე, მაშინ მაღაროში არ ვემუშაობდი. გივა ნოვატორიო, გივა პირველი მბურღელი, სად არ წერდნენ და სად არ ამბობდნენ. აღმამან ყოველთვის გტაცებდს ასეთი სახელოვანი აღამინის ნახვა და გვერდით ყოფნა. არ ვიცი, ჩემი სურვილის ასრულება იყო თუ შემთხვევა, მერე გივასთან ერთად სამი წელი ვემუშაობდი. მაშინ გამოუცდელი ბიჭი ვიყავი და ალბათ გამოპირდებოდა მაღაროში მუშაობა და, ვინ იცის, იქნებ ჩემი პროფესიის საბოლოო არჩევანიც, რომ გივა არ ყოფილიყო... პატარა საქმე როდღა კაცმა კაცს თავისი საქმე შეაყვაროს, სხვისი შრომა დაფასებინოს და აკუთარიც იცოდეს. მაგალითად, დღეს ჩვენი ახლებედების ერთ ნაწილს პირველ ნახებში თვალის გაქცევაზე უპირებს — ძნელ სამუშაოს კაცს ანუ იოლად უბრუნებს. და აი, აქ არის ისეთი აღამინა სპიროო როგორიც გივა... ყვე-

ლავერს რომ თავი დაეანებოთ, როგორ აჩვენებულა საჭიროების დროს ცვლაში ას ტონამდე მარჯანებს მოანგრევს და დატვირთავს?..“

ასი ტონა მაღანი ცვლაში.. და იცით, გიორგი ბაქრაძის ბრივადში რამდენი კაცია?.. ორი.. თვითონ და თანაშემწე. და აი, ეს ორი მაღაროელი სანერგეს კიდევაც ბურღავს, აფეთქებს, ანაივებს, მონგრეულ მაღანს ელექტრომტვირთავი მანქანით კონვეიერიდან ვაგონებში ტვირთავს, გაყავს ლიანდავი, ამგარებს შახტის ახალ კრილს... ბევრი, ძალიან ბევრი დრო და ფიქრი დასჭირდა გიორგის, ვიდრე ვაგონებში ხორცმუსხმულ ამ ახალ „წამოწვებას“ საჯაროდ იტყოდა. მაღაროში ორკაციანი კომპლექსური ბრივადების ჩამოყალიბების გაბედული სიხსლუ ზოგმა ახლოსაც არ გაიყარა... მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო მიწისქვეშ ორკაციან ბრივადს ცვლაში 5-7 კაცის (ესე იგი ძველი ერთი ბრივადის) საქმე ეთავოს. პასუხისმგებლობა რომ იოლი არ იყო, ამას ყველაზე უკეთ თვითონ გიორგი გრძნობდა... მაგრამ რას იზამთ, ასეთი ბუნების აღამანები სწორედ ასეთ გზებს ირჩევენ ცხოვრებაში...

— ჩემი უკვე ვითხარბო... ახლა სიტყვა შენზეა, დაფიქრდი! — კარგა ხნის დუმილის შემდეგ ჰკითხა მაშინ გიორგიმ თავისი მომავალი ბრივადის ერთ-ერთ სავარაუდო წევრს.

— ძნელია... ვაი თუ სირცხვილი ვქამოთ და...

— პო, ძნელი კია და მერე რავარი ახელი, — თავისთვის ჩაიდუღუნა გიორგიმ. „ყველა რომ ასე ამბობს, დაიჯერო მართალი არიან და მართო მე ვცდები?“ — ფიქრობდა კაცი. მერე უტეხ კობაზე შეკრა და მოსაუბრეს გადაჭრით უთხრა:

— შენი არ ვიცი და მე ასე მჭამს, კაცმა თუ შეინდომა, მთას გადააბრუნებს!.. თუ გამოიყვები, არ ვაქმეე სირცხვილს!..

... აღამიანებს სიხარულის ათასნაირი მიზეზი აქვს. მაგრამ გიორგისა და მისი პირველი თანამუშევის მაშინდელმა დღემ სიხარულის კიდევ ერთი ახალი მიზეზი წარმოშვა, — საქმეში ჭიუტი მუშის რწმენამ, ცხოვრების მიზანმა და აღამიანის შესაძლებლობის გამარჯვების დიდმა წყურვილმა თავისი გაატანია ამ გაუტეხელ კაცს...

ბევრი, ძალიან ბევრი შეძლებია გიორგის მუშა-კაცის გამარჯვ. დოვლათიან მარჯვენას...

ეს იყო 1966 წელ!

ღრმა ბურღვის სახელგანთქმული ოსტატი გიორგი ბაქრაძე სხებთან ერთად პრეზიდენტში იჯდა. კარგად იცოდა აქ ყოფნის მიზე-

ვიტალი მიჩაიშვილი
კაცი სამას ითხმისმელთაგან

ზი, კარგად იცოდა, რომ პარტია და სამშობლო კიდევ ერთხელ უფასებდა. ამავს, მაგრამ მინც დღევანდეს ათასგზის ნაცად-ნაწრთობი კაცი, — სულ იმის ფიქრში იყო, თუ რა მოხდებოდა, როცა გამოიძახებდნენ და მაღალ კალდოს — ლენინის ორდენს საჯაროდ გადასცემდნენ...

დაძებულობისაგან თავისი სახელის გავონებაზე უტყრაღ დაიბნა, „გიორგი!.. გიორგი! — ისე ჩავსმა თითქოს ერთხელ წარმოთქმულ მის სახელს ახლა მთელი დარბაზი იმეორებდა.“

— გიგა, ადე ბიჭო, რას უტღი! — გადუჩხრჭალა გვერდით მჯდომმა და წუთით სადღაც გადახეწილ გიორგის იდაყვი ჰკრა...

— იმ დღეს დაჯილდოებულმა მეშახტეებმა თითო ჰიქა ლენინზე დიდხანს ვიძასლათეთ, — ამბობს გიორგი. — ვინ არ მოვიგონეთ, ვინ არ ვახსენეთ... გვიან დავიშალენით... ვიცოდით ვინ მოუთმენდა მელოდენ, გზაც საკმაოდ გრძელი მქონდა (მაშინ სახეგრემდე ტროლეიბუსი სად იყო), მაგრამ რატომღაც ისე მომიხდა თვითან მარტო დარჩენა, რომ სახლში წაყვლა გადამაყიწყდა. დარბაზიდან გამოყოფილი ზეიმური განწყობილება გულდავული გზაფხულის ათასგვარმა სურნელმა გამოათეცა, — მერე ხომ იცით როგორი ვაზაფხული იცის ჩვენთან!.. მივდიოდი მარტო და გონებაში ნელ-ნელა ვფურცლავდი ჩემი ცხოვრების გზას... ძველი აღბოძის, გვერდებივით თვალწინ ცოცხლდებოდნენ ჩემი სოფლის დღენიდაც მოუტეული, ხელუბააბედებელი და სიტყვაპარილიანი ბერეკაეები და ქალები, ომის წლებში და შემდეგდაც წელზე ფეხს რომ იდგამდნენ, შრომაში რომ აღამდებდნენ და ათეზებდნენ. თვალწინ წარმოიდგენს საოცრად მშრომელი, კეთილი მეშახტეები, რომლებმაც გამოუტეველ ბიჭს მალაროვი მუშაობის პირველი მძიმე წლები გადააბატონინეს... დიდღე მნიშვნელობა აქვს ახალბედა მუშას აღივლებდნენ ვინ დახელებდა, როგორი აღამიანი; ზოგი ისეთია, რომ შრომას შეგაყვარებს კი არა, სამუდამოდ ავადებინებს ხელს!.. ფიქრი, ხომ იცით აბრეშუმის ქსოვილივითაა, — ერთი ბოლო თუ მოგყვება ხელში, მთელ ქსოვილს მოარდევებს... რატომღაც სწორად იმ საღამოს მომავონდა ერთი ჩვენებური, ფრენტული ვეჯკაცი. — ორღობებში მომავალს მთელი სოფელი რომ მიჰყვებოდა: ჰკოცნიდნენ, მკერდში იკრავდნენ, მხრებზე ხელს უთათუნებდნენ,

— ის კი მართალია იცინოდა, ხელებს შიდა და ყველას რადაცას პასუხობდა, მაგრამ შევატყვე კაცი სხვა რამეზე ფიქრობდა... ამიტომ არის ზოგჯერ საოცარი ეჩინი მომივლის გვერდით დავისევა ისინი, რომლებიც ყველაფერს ზერელედ რომ ეკიდებთან და პირწმინდად მოუყუეე როგორ ვშრომობდით, როგორი ჯაფათი გავკქონდა დღეები, მინდა ვუთხრა ის ჩვენ-

ბური შინდაბრუნებული ჯარისკაცი მაშინ რაზე ფიქრობდა, რატომ ფიქრობდა; იმანდ რატომ ტყოდი თუ ჩვენ სამსამა მალაროელმა, თუ „300 ითხვისელი“ რომ შეგვარქვეს, რატომ შეგვარით პირი და ახლად ვახსნილ ითხვისის ნაღაროში რატომ ვადადევილი სამუშაოდ, რატომ დავთმეთ შეჩვეული ადგილები და უფრო რთულ უბანს მივაშურეთ!..

ერთმა მალაროელმა ხუმრობით თქვა: „ამოცდახუთ წელიწადში გიგას მონგრეული მადანი ერთად რომ დახევედეს და ზედ შედგეს, მთავარი ნეკა თითითაც მიწვედებაო...“

გიორგი „წინასწარ განკვეტილი“ საქმის საოცარი დაკონკრეტება სჩვევია. ახლა აღარავის აოცებს ორი წლის წინათ სამმართველის მშრომელთა კრებაზე „მისი განცხადება“: „ხუთწლიან გეგმას სამ წელიწადში გამოაყოფეთ,“ — მაგრამ, ამა მაშინ ვადაგებდეთ იქ მოყოფათვის, როცა გიორგიმ წუთის წინ ნათქვამ თავის სიტყვებს უფრო მეტი სიცხადე მისცა: „1973 წელს ავეისტოსათვის ხუთწლიდის გეგმა შეზრულებული მექნებაო...“ ზოგს მაშინ გამბედაობა არ ეყო, თორემ უშეკვლად ეტყოდნენ ამ შრომის ღვათო კაცს: „გიგა, ვარული ხომ არ გეშლებო; ზოგს მაშინდელი ეჭვი წლამდეც კი გაჰყვა. მაგრამ გიორგი იმ აღამიანთა კატეგორიას ეკუთვნის, რომლებსაც სიტყვა და საქმე ერთ მცენება ვადაუტყვევიათ.“

თი რა გვიხზრა ჯალბრისას ქალაქკომის პირველმა მდივანმა პლატონ აბესაძემ:

„ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელის პატრიოტული მოღვაწეობა დაუცხრომლად იბრძოლოს დასახული გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, იყოს საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრების აქტიური მონაწილე. ერთი ამთავანია ახალი ითხვისის მალაროთა სამმართველოს მოწინავე მუშა, კომპლექსური ბრივადის ბრივადირი გიორგი ბაქრაძე. აღამიანი, რომელსაც სამშობლოს საყვილდღედ მიანჩია თვის უმაღლეს მოვალეობად და არ შევედებო, თუ ვიტყვივთ, თანესი კაცური-კაცობის საზომადაც.“

სახელგანთქმულმა მალაროელმა განვილილ ორ წელში მარგანეის გამოღების გეგმა 155 პროცენტით შეასრულა. იგი პირველი ჩაება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებული სოციალისტურ შეჯიბრებაში და მეცხრე ხუთწლიდის გეგმის შესრულება იცისრა მიმდინარე წლის ავეისტოსათვის. კომუნისტო მალაროელის სიტყვა და საქმე არასოდეს არ შორდება ერთმანეთს და არის ყველა გარანტია იმისა, რომ იგი ნამდვილად შესრულებს სამშობლოსათვის მიცემულ პირობას.“

„ისეთი კომუნისტი, მშრომელი, კარგი მოქალაქე და ტყბილი მეოჯახე აღამიანი, როგორიც გიორგია, კოლექტივში რამდენიმეც რომ

იყოს უკვე დიდი იმედია, — ვვითხრა, ახალი ითხვისის სამმართველოს პარტბუროს მდივანმა ემელიან კაპანაძემ — ამას იმიტომ ვამბობ, რომ გიორგიმ ეს საქმით დაამტკიცა და არაერთხელ. დღესაც უბანში თუ სასწრაფო სამუშაოებია, გიგა იქ გადაგვყავს. ზოგჯერ აქეთ დავგასწრებს და თავისი მუშური სინდისის კარნახით თავად მიდის უფრო ძნელ სანგრევზე. მაგრამ ამით გეგმა და ვალდებულება არასოდეს დაუქვეითებია. ამის მაჩვენებელია ყოველდღიური მონაცემები... ამის მაჩვენებელია ისიც, რომ შარშან ხუთწლედის გეგმა ოთხ წელწადში შეასრულა, ხოლო შარშანწინ ვალდებულება აიღო მეცხრე ხუთწლიანი გეგმა სამ წელწადში შეასრულოს. აბა ასეთი კომუნისტი, ასეთი მშრომელი კაცი კოლექტივის საამაუო წევრი არ არის?!

უკრაინაში არის მუშახეტია ქალაქი მარგანეცი, რომლის სახელოვანი მალაროელეში აგერ უკვე რამდენიმე წელია ეჭიბრებიან კიბოლურის მალაროელებს. ქართველ და უკრაინელ მეგობრებს ხშირად აქეთ საქმიანი შეხვედრები, სადაც ერთიმეორეს უზიარებენ გამოცდილებას, შეხედულებებს, მუშაობის ახალ მეთოდებს... სოციალისტურ მეჭიბრებაში, რა თქმა უნდა, გიორგის ბრიგადაც არის ჩაბმული. ადრეული წლების შედეგებს არ ჩამოვთვლით და მხოლოდ შარშანდელ მონაცემებს მოვიტანთ: უკრაინელი ივანე კოზირიაკის ბრიგადამ აღებულ ვალდებულება 102 პროცენტით შეასრულა, გიორგის ბრიგადამ — 150 პროცენტით; მათ თუ ზეგეგმით გამოიღეს 3200 ტონა მარგანეცი, გიორგის ბრიგადამ აქაც იპირველა და 3062 ტონა მარგანეცი გამოიღა; კოზირიაკის ბრიგადამ შრომის ნაყოფიერება 2 პროცენტით გაზარდა, გიორგიმ იგი 10 პროცენტამდე აიყვანა... წელს ქართველმა მალაროელმა უფრო ძლიერი ბრიგადა გამოიწვია, რომელსაც სათავეში უდგას სოციალისტური შრომის გმირი ივანე მოსტოვი. ეს ორი დიდებული მშრომელი ადამიანი ერთიმეორეს გერ მხოლოდ მიწერ-მოწერით იცნობენ. ამიტომ გადავწყვიტეთ დავაკვირებოდი ივანე მოსტოვის და მისთვის ქართველი კოლეგების წარმატებები ვამეცნო, აი როგორი პასუხი მივიღეთ:

Дорогой Гига! Хочу тебе сообщить, что сейчас наша бригада переходит на новую организацию труда, которую предложил нам Герой Социалистического труда И. В. Мельников... Это новая организация позволит нам еще больше поднять производительность и выработку марганца на одну машину...

Пользуясь случаем я хочу пожелать Вам, Гига Михайлович, хороших трудовых успехов. Я, думаю, что Вам представится возможность приехать к нам и посмотреть на наши дела...

— წამოსვლის წინა დღეს კიდევ ერთხელ კინახულე მალაროში გიორგი; ამჯერად ხანმოკლე იყო ჩვენი შეხვედრა, რადგან მინდოდა მხოლოდ რამდენიმე შეკითხვაზე ეპასუხა:

— გიორგი, თქვენი შრომითი წარმატებების მაჩვენებელია არა ერთი მადლობა, სიგელი, გილდო. მაგრამ ერთ-ერთი საინტერესო საკითხია, როგორ ისვენებს მუშა... ალბათ ბევრს დააინტერესებს მუშაობის შემდეგ თქვენს სადსვენებელ, როგორ...

— რაც არ უნდა დაღლილი ვიყო, სახლში რომ მივალ და პატარა შვილიშვილს წავეთამაშებ, მაშინვე მიჭრება დაღლილობა — კარგ ამინდში ორივე ერთად გამოვიდვართ ეზოში და ხომ იცი, ბაბუასა და შვილიშვილის თამაში... აი ეს არის ჩემი დასვენების უბარა წამალი.

— რა გიყვართ ყველაზე მეტად?
— სიმარტლე.

— ხომ არ დაასახელებდით ისეთ ადამიანს, მუშას, რომელაც სამაგალითო იქნებოდა ახალგაზრდა მუშებისათვის?

— მასეთები არიან ჩვენს წარმოებაში. ახლა ზოგი პენსიონერია, მაგალითად, ტრიფონ ფოფხაძე, გოგატიშვილი — ეს უკანასკნელი დღესაც მუშაობს... მათ თავისი დაუღალავი შრომით მიღწიეს გამირობას და სამაგალითო არიან აბა, რა..

— გიგა, ყველაზე მეტად რას აფასებთ მშრომელ კაცში, მუშა კაცში?

— პატიოსნებას, შრომას და მიწის სიყვარულს ვფასებ.



წიგნითმწიფის

მექანიზატორი

ხასხასა მწვანითაა მომთვლი გზის ორივე მხარეს მადლიანი მიწა. მაღალი, უღრუბლო ცა სინათლის ჩქერებად იღვრება. გულიანად იციინის ბრღვიალა მზე. ირიბად დადგმულ სარკეში, ქუცმაცდება.

მიპქრის ავტომობილი. დიდხანია თვალს მიეფარა ჩემი პატარა ქალაქი. — წითელწყარო. უკან დარბიან ზურმუხტისფრად აფეთქებული ხეები, ბუჩქები...

ღია სარკველში შემოჭრილი ნიავე წამით აფართხალდება, მომელამუნება და სისინით უჩინარდება.

ჩაეუჭროლეთ სოფელ გამარჯვებას...

ჩვენს რაიონში ბევრი მოწინავე ადამიანია, მრავალია შრომის გმირი. ბევრის სახელი რესპუბლიკის ფარგლებსაც გასცდა. არსენ ჭრელაშვილი: ერთი იმათიაგანია.

ახლა სწორედ ძია არსენისკენ მივიჩქარი უთენია, მინდა, მასთან ერთად მოვიწახულო მინდვრად გაშლილი სატრაქტორო ბრიგადა: მინდა, საკუთარი თვალით ვიხილო, როგორ ღვრიან ოფლს მზისგან გარუჯული მკლავმაგარი ბიჭები. მინდა, მთელი არსებით ვიგრძნო გაზაფხულის მათობელა სუნთქვა, გულამობრუნებული ველ-მინდვრებისა სურნელი.

უნდა სახლში მივესწრო როგორმე, თუ დამავიანდა, მერე საღლა ვიპოვი: ის ან შირაქის ბარაქიან მინდვრებში დამეკარგება, ან ტარიზანაში, იქნებ მურდომთასთან, ივრის მიდამოებთან, შეიძლება მწარე წყალთანაც ვეღარ მივაგნო...

გზაზე მხედებიან გამარჯვ კოლმეურნეებით სავეს მანქანები, აქორჩილი ტყეებით შეფენილი მთის ფერდობები. ღელე მიჩხრიალებს გზის პირას, რაღაცას ებუტბუტებიან მისი ტალღები ნაპირზე მოფენილ რიყე ქვებს...

სოფელი არბოშიკი...

ასეთი უტყაური სახელი რატომ ქვიათ ამ სოფელს, ალბათ ბევრი იტყვის. ეს სოფელი ოდითვე განთქმული ყოფილა მეცხოველეობით.

ქარასავით ერბოს აშაღებდნენ აქაური ვლეხები. სწორედ აქედან წარმოსდგა ეს სახელიც. ერბო — არბო — არბოშიკი...

ბებერი ციხის ნანგრევები შევებებიან სოფლის თავთან. მიჯრით ჩალაგებულან ქვის უზარმაზარი ლოდები, რაღაცაზე დაფიქრებულან. ძია ასლანს სახლში მაინც ვერ მივესწარი.

— მწარე წყალზე თუ წავიდაო... — მეუბნებიან და მეც იქით მივესწრები.

ისევ ჩამსმის კენჭებზე ვადავლილი საბურავების შრიალი... დამქვრის მაღალი ცა და მხიარულად მომლიძარი მზე. სოფლის ყველაზე მაღალ გორაკზე აღმართულმა ომში წასული ვეკაცების სამახსოვრო ობელისკმა გამახსენა არსენ ჭრელაშვილი სამამულო ომის მონაწილე რომა. უცებ მახსენდება მისი ნაამბობიც:

... 1944 წლის გაზაფხულზე (მარტში) დივიზიის უფროსმა ვასილევსკიმ საბრძოლო დავალება მისცა ძია ასლანსა და მის თანამებრძოლებს, საჭირო იყო მტრის ზურგში შეჭრა და მოენის შეპყრობა. დიდი თავგანწირვის ფასად, ასლანმა და რამდენიმე უშიშარმა მებრძოლმა, უძნელეს პირობებში თავი გაართვეს ამ დავალებას. ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი დამაბული დღე გადაუტანია ფრონტზე...

უკვე გუხლოვდები მწარე წყლის სანახებს. ავ თვალს არ დაენახებია აქაურობა, ისეთი სილამაზეა.

უძველესი, ძარღვებდაბერილი ქართული მიწა... გადამბუნებული ბელტები... ხნულები, ხნულები, ხნულები... ისმის შორეთელი გუფენი და „რკინის ხარების“ გულის ძვრა. თვალს ძია ასლანის ტრაქტორს დაეძებს.

ეს კაცი 1947 წლიდან სატრაქტორო ბრიგადას უღვას სათავეში. ძლიერ მოსწონს თავისი პროფესია და მუდამ მუხლჩაუხრელი ბრიგადის წევრებს მუგაღიოს უჩვენებს შრომით, კაცური კაცობით.

ოხშივარადენილი ქართული მიწა... ხნულები, ხნულები, ხნულები...



ტრაქტორისტი ბიჭების შუგულ გარეუფლი, ღიმილით გადნათებული სახეები...

ძია ასლანი ღიმილით მესალმება. მზისაგან დამწვარ, გაყოჩრილ ხელს მართმევს. ჩრდილისკენ მივყავარ, მომიკითხავს, ბრიგადის ყოველდღიურ საქმიანობაზე მესაუბრება, ამბობს რომ ბევრია მოსასწრები, გასაყეთებელი, ბიჭებსაც არ ემდურის.

მის ბრიგადაში სკოლის დამთავრებისთანავე ბევრი ახალგაზრდა მივიდა და საკოლმეურნეო ცხოვრებაში ჩაება. თავს არ ზოგავენ, რომ პირნათლად და ადრე გააცილონ მეცხრე ხუთწლედის ვადამწყვეტი წილი.

ძია ასლანი ჭაბუკობიდანვე ოცნებობდა შეესწავლა ტრაქტორის მართვა. ოცნება აუხდა. იგი ახლა დამსახურებულ მექანიზატორია. ჯილდო და დღაჟანა არ აკლია.

ყაზახ მეგობრებს ალბათ დიდხანს ემახსოვრებათ ქართული კოლმეურნეების დახმარება მოსკოლის აღების დროს (1954 წ.). არსენ ჭრელაშვილის წვლილიც ერია ამ დიდ თანადგომაში.

ზღვასავით ღელავდა უყიდეგანო ხორბლის ყანა და ძია ასლანის კომბაინი ხომალდით სერავდა ყაზახეთის ველებს...

ღილით, სანამ მუშაობას დაიწყებდეს, მანქანას შეამოწმებს, მექანიზმს ყურადღებით გასინჯავს, თვითნებ დეტალს საკუთარი ხელით შეამოწმებს, თუ რამე გამოსაცვლელია, გამოცვლის, მხოლოდ ამის შემდეგ მიუჯდება საჭეს და... ასე ენაცვლება დღეს დღე, ერთმანეთის მსგავსი და მაინც საოცრად განსხვავებული ისმის ტრაქტორების დაგადევი, მათი შრომის სიმღერა, ხნულზე გადაცურებული, დაკბილული მუხლებების გუგუნო...

ერთი შეადღისას უნდა ნახოთ, როგორ ისვენებენ ოფლში გაწურული ვაკეები. ხის ჩეროში გაშლიან საგზაუს და გინდ ცარიელი წყალი და პური ჰქონდეთ, მაინც გემრიელად

შეეცევიან. რას არ იფონებენ, რას არ იტყვიან — დაღამებამდე მათთან ვამუთუაო.

ერთ საათ დასვენებას ძლივს აკმარებთ ძია ასლანი... ისევ წამოიშლებიან, თავთავიანთ მანქანებს მიაშურებენ.

არსენ ჭრელაშვილს ოჯახიც შესაფერი აქვს. მისი მეუღლეც კოლმეურნეობაში მუშაობს. უფროსი ვაჟი შოთა ჭრელაშვილი წიფელ წყაროს სოფლის მეურნეობის სამმართველოს ინჟინერია, მომდევნო — ზაური — თბილისში სწავლობს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების IV კურსის სტუდენტია, თან ვარდახის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს.

ვემშვიდობები ძია ასლანი, მისი ბრიგადის წევრებს... თან მიმყვება მათი სიტყვა და სახე, ალალი ღიმილით გამთბარი, გულში ვლოცავ მათ მარჯვენას, ბარაქას რომ მატებს ჩვენს დიდ სამშობლოს.

ეტოვებ არბოშის. ძია ასლანის სახლის წინ კიბეზე მის შვილიშვილებს — ქეთინოსა და ნატას მოვყარი თვალი, მიცნეს, ხელი დამიქნიეს პატარებმა...

სოფელს ამშვენებს ორსართულიანი სახლები და საუცხოოდ მოვლილი ბაღბოსტნები.

ზვიადად იცქირება სოფლის ყველაზე მაღალ გორაკზე აღმართული სამამულო ომში დაცემულთა სამახსოვრო ობელისკი.

მიმაცილებენ სოფლის თავთან აღმართული ბებერი ციხის ნანგრევები. კვლავ რაღაცას ებუტბუტებიან პატარა ღელის ტალღები ნაპირზე ჩარბივულ რიყე ქვებს.

ისეთი ლამაზია ჩემი მშობლიური მიწა. ისეთი მაღალი და უჭირთა ცა, გული ვეღარ იტევს მღელვარებას.

მილიმიან ზურმუხტისფერად აფეთქებული ველ-მინდვრები.





== 60 ==

გიორგი ჯიბლაძე

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია გულითადად გილოცავთ თქვენი ცხოვრების ღირსსახსოვარ თარიღს, შემოქმედებითი სიმწიფისა და სიჭარბის ასაკს, ჯანმრთელ სიცოცხლესა და ახალ წარმატებებს გისურვებთ თქვენს მრავალმხრივ, ნაყოფიერ მოღვაწეობაში.

თვალსაჩინოა თქვენი დამსახურება ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში. წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ღრმა ათვისება და ახლის, პროგრესულის დამკვიდრების პათოსი — ეს იყო და არის თქვენი, როგორც მეცნიერისა და მკვლევარის მთავარი საზრუნავი. ყველაფრის აღნუსხვა და უბრალოდ ჩამოთვლაც კი შეუძლებელია, იმდენად ფართოა თქვენი ინტერესების წრე. ძნელად თუ დავასახელებთ გარდასული ხანის თუ ჩვენი ეპოქის თვალსაჩინო ქართველ მწერალს, რომლის შემოქმედება თქვენი დაკვირვებისა და შესწავლის საგანი არ გამხდარიყოს. საფუძვლიანი მონოგრაფიები რუსთაველის, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე, დავით გურამიშვილის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, ეგნატე ნინოშვილის, შაღვა დადიანის, მიხეილ ჭავჭავაძის, ლეო ქიაჩელიის, იოსებ გრიშაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძისა და სხვათა ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ვრცელი გამოკვლევები ქმნიან მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის მდიდარ პანორამას.

განსაკუთრებული ადგილი უკავია თქვენს „კრიტიკულ ეტიუდებში“ რუსული მწერლობის კორიფეების — პუშკინის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, ვერცენის შემოქმედების ანალიზს, ხაზგასმითაა ნათქვამი მათ უდიდეს დამსახურებაზე მშობლიური და მსოფლიო ლიტერატურის წინაშე.

სავსებით სამართლიანად მიგაჩნიათ, რომ მწერლის დასახასიათებლად აუცილებელი არ არის მის ყველა ქმნილებაზე ვილაპარაკოთ, საკმარისია „მთავარი, არსებითი და დამახასიათებელი ნაწარმოებების“ გარჩევა. ეს იყო თქვენი

ნაცადი და სახელმძღვანელო პრინციპი, რომლის გამოყენებითაც მრავალ
მწერალსა თუ მეცნიერს მიეცით ამომწურავი შეფასება.

ესთეტიკის მარადიულსა და ურთულეს პრობლემებს მოიცავს თქვენი
ფართოდ განმარტებული ნაშრომები — „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების
მშვენიერებისა“, „ხელოვნება და სინამდვილე“, „რუსთაველის ესთეტიკური
სამყარო“, „ესთეტიკური აღწერის პრინციპი“ და მრავალი სხვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს თქვენი დამსახურება პედაგოგიის წინაშე. დი-
დაქტიკის აქტუალურ საკითხებზე დაწერილი პრობლემურა ნაშრომები, რომ-
ლებიც ჰუმანურობის მაღალი იდეებითაა გაუღენთილი. აგრეთვე დიდი ჩეხი
განმანათლებლის — იან ამოს კომენსკისადმი მიძღვნილი მონოგრაფია კიდევ
ერთხელ მიგვანიშნებს თქვენს დაუცხრომელ სეცნიერულ ინტერესებსა და
შესაძლებლობებზე.

თქვენი, როგორც პედაგოგის, საქმიანობა მხოლოდ თეორიული ხასიათის
ნაშრომებით როდი განისაზღვრება. ათეული წლების მანძილზე ცოდნასა და
ენერგიას არ იშურებდით და მშვენიერებისა და ქეშმარიტების იდეალებით
აღწარდეთ სტუდენტთა მრავალი თაობა.

თქვენთვის თანაბრად ახლობელი და ამაღლევებელია ანტიკური სამყაროს
ფასდაუდებელი შედეგები თუ აღორძინების ხანის ტიტანთა ქმნილებანი, და-
ვით გარეჯის ფრესკები თუ თრიალეთის სამარხთა ხელთუქმნელი განძი, უვე-
ლაფერი, რაც ადამიანის სულს ამაღლებს და აფაქიზებს.

თქვენი ახალგაზრდული შემართება და დაუსრეტელი ენერგია რწმენას
გვინერგავს, რომ ხვალინდელი დღე ახალი გამარჯვებების მომტანი იქნება,
რომ კვლავაც არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევითა და წიგნით გაამდიდ-
რებთ მშობლიურ კულტურას.





ქონსკანონი ლოკუაიუანიძე

ტიციან ზაგიძის ერთი წერილის გამო

1928 წელი. ზაფხული.

იმ წელიწადს სოლოლაკში ვცხოვრობდი, ლერმონტოვის ქუჩაზე. ჩემი დიასახლისი ერთი დავრდომილი, მოხუცი ქალი იყო, მთელი თავისი წუთისთფელი უზრუნველად რომ გავლია ფუფუნებასა და განცხრომაში. მისი ქმარი, ვეება ორსართულიანი სახლის მეპატრონე, ოთახებს სეზონურად აქირავებდა თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული ცირკისა და ოპერეტის მსახიობებზე. ჩემი დიასახლისი ხანდახან მაგიდაზე დამიდებდა დიდტანიან ხავერდის ალბომს და ოხვრით მეტყვოდა:

— ნახე, კოწიაჯან, რა მდგმურები მყავდა, რა მდგმურები! — და მეც უგულოდ გადავშლიდი ხოლმე ალბომს, საიდანაც გაპარსებული ღიმილით იცქირებოდნენ ბრკყვიალა კილიტებით დაქარგულ კაბებში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალები, კუნთებდაძაგრული, უღვაშებაწყებილი მოკიდავეები და ფერ-უმარილით შეთხუპნილი კლოუნები.

... რევოლუციამ მათაც გამოუტანა თავისი განაჩენი. ზემო სართულიდან ქვემო თაროზე ჩამოიყვანა და უშვილოდ გადაჯიშებულ ცოლ-ქმარს სამი პატარა ოთახი მიუჩინა. მალე ქმარი გარდაიცვალა და მარტოხელად დარჩენილმა დედაკაცმა ორი ოთახი ისევ გააქირავა ერთში მე ცხოვრობდი, მე-

ორეში მისი მომვლელი ქალი, — ქირის საფასურად ქვრივს ოთახს ულაგებდა; საკმელს უკეთებდა და სარეცხს ურეცხდა.

ეზოდან ეს ბინა მიწის პირას იყო, ქუჩის მხრიდან კი ყველაზე განაპირა ჩემი ოთახი მიწაში იყო შექრილი; პატარა სარკმელში მხოლოდ გამვლელ-გამომვლელთა ფეხები მოსჩანდა.

ბევრი კარგი რამ დამამახსოვრა ამ ოთახმა. ყველაზე მკაფიოდ და ხინატრელად რამდენიმე საღამო შემოინახა პეხსიერებამ, როდესაც ამ ოთახში ჩემი სტუმრები იყვნენ ტიციან ტაბიძე და სომეხი პოეტი ელიშე ჩარენცი.

ჩარენცი თბილისის კონსერვატორიის დარბაზში გამაცნო ტიციანმა, სადაც იმ საღამოს ცნობილი რუსი მწერალი ანდრეი ბელი მოხსენებას კითხულობდა ალექსანდრე პუშკინის „ბრინჯაოს მხედრის“ პოეტური რიტმის საფუძვლებზე. ტიციანი და ელიშე დიდად მეგობრობდნენ ერთმანეთს, თუმცა ისინი სულ სხვადასხვა პოეტური სკოლის მიმდევრები იყვნენ. ჩარენცი თბილისში რომ ჩამოვიდოდა, ყველაზე უწინ ტიციანს ესტუმრებოდა. დილიდან საღამომდე დეხით მოივლიდნენ ხოლმე ძველი თბილისის სანახებს — ნარიყალას, მეტეხის უბანს, ორთაქალის ბაღებს.

ჩემი დიასახლისი შორეულ ნათესა-

ვად მოხვდებოდა ელიშეს, ამიტომ როცა ტიციანი და ჩვენი სომეხი მეგობარი ჩემთან მოვიდოდნენ, მოხუცი დედაკაცი მაშინვე დაფაცურდებოდა, მომვლელ ქალს ერევენის მოედანზე ქარვასლაში საყიდლებზე გაგზავნიდა, ხანდახან მეც გავყვებოდი და ხელდახელ პატარა, ღარიბული სუფრა გაიშლებოდა. დიდი ხანის პატრონი მაშინ არც მე ვიყავი და არც ჩემი დიასახლისი.

პირველსავე ქიქას ლექსი მოჰყვებოდა: კითხულობდა ხან ტიციანი, ხან ელიშე. ტიციანმა მთელი ქართული და რუსული პოეზიის მარგალიტები ზეპირად იცოდა და კითხულობდა ამ ლექსებს რაღაც ისეთი საოცარი, მრავალძაფიანი ხმით, იმის აღწერა ჩემთვის თითქმის შეუძლებელია. ტიციანი არ იყო დეკლამატორი ამ სიტყვის ესტრადული გაგებით. ლექსის კითხვის დროს ენას ოდნავ უკიდებდა, ზოგი სტრიქონი ეკარგებოდა და ვინც პირველად უსმენდა, ცოტას შეცბებოდა, იუცხოვებდა, მაგრამ მერე თვითონაც ვერ შეატყობდა. ტიციანის გაბმული, ღვარივით წამოსული ხმა ისე სწრაფად მოსწყვეტდა ამ რეალობას, გარე სამყაროს, იმ ადგილს სადაც ის ახლა იჯდა, რომ ის ფეხვე იმ ლექსის მონა იყო, იმ ლექსის ილუზიების ქვეყანაში ცხოვრობდა. იშვიათად თუ ვინმეს შეეძლო ისეთი სწრაფი და გულთბილი კონტაქტის დამყარება მსმენელთან, როგორც ეს ტიციანმა იცოდა.

ტიციან ტაბიძის კითხვას ქონდა თავისი განუმეორებელი მელოდია, რაც შეიძლება ხანდახან ზუსტად არ ეტეოდა ჩვენი ყურთასმენისათვის ჩვეული რიტმების ჩარჩოში; ის უფრო მოგაგონებდათ ერთბაშად მოვარდნილ ღვარს, თავშეუბრალებლად რომ აწყდება ვეება ლოდებს.

მრავალი დიდებული პოეტი მინახავს — სცენაზე, მეგობრულ წრეშიც, თავიანთ ლექსებს რომ კითხულობდნენ: ვლადიმერ მაიაკოვსკი — რუსთაველის თეატრის სცენაზე და საქართველოს მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკის

დარბაზში. მახსოვს, როგორ კითხულობდა ლექსებს სერგეი ესენინი „ქიმიკონში“ პოეტის პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე: ანდრეი ბელი — სხვიტორში, აკაკი წერეთლის სახლის აივანზე; ბორის პასტერნაკი — ზესტაფონის ფეროს კლუბში; ედუარდ ბაგრიცკი — თავის ავარაკზე, კუნცევიში, სადაც მასთან 1927 წელს სტუმრად ვიყავით მე და კარლო კალაძე; მახსოვს მიხეილ სვეტლოვი, ნიკოლოზ ასეევი, თვალწინ მიდგას ჩვენი ხმაჩუქურთმიანები — პაოლო იაშვილი, ვალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, რომელთაგან ყველას თავისებური, ღვთისაგან მარტო მისთვის ნაბოძები კილომოქცევა ქონდა ლექსის კითხვისა.

ისინი არავის არა გავდნენ იმ წუთებში, როდესაც, ტიციანის თქმისა არ იყოს, სცენაზე ან სუფრაზე ლექსად იქცეოდნენ ხოლმე. ვერასდროს, ვერცერთი დიდი მსახიობი იმ ძალასა და სიმართლეს ვერ მისცემდა მათ სტრიქონებს, რასაც მათი, იქნებ ხშირად უცნაური ავაჯით თქმული სიტყვა აძლევდა.

ტიციან ტაბიძის კილო და მანერა მაინც სულ სხვა იყო. ხუმარა იმიტატორებსაც კი უჭირდათ მისი კითხვისათვის წაბაძვა და მიმსგავსება.

ტიციანის ყველაზე საყვარელი პოეტები იყვნენ ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ბლოკი, ხოლო მათი ლექსებიდან უფრო ხშირად გამოარჩევდა ვაჟას „ჩივილი ხმლისა“ და ბლოკის „რავენას“.

ახლაც ყურში მიდგას მისი თითქოს ზმანებებისა და სიზმრების ქვეყნიდან წამოსული და ჩვენამდე ყრულ მოღწეული ხმა:

„შვილასი წელი გამიხდა,
არ გავპოხილვარ დეშითა,
არ ვუღესივარ ქართველსა
დალიდინებით ჩუშითა.
მისი ხმა აღარ მსმენია:

კონსტანტინე ლორთქიფანიძე მ. ალექსანდრე ბლიცინ ტაბიძის მართი წიგნილი: გამომცემი

„გასკერ, გამიშვი წინაო,
 თუ სახელს არ მამოვნინებ,
 როგორ დაებრუნდე შინაო?“

ან კადვუ

Все что минуто, все что бренино,
 Похоронила ты в веках.
 Ты, как младенец, спишь Равенна,
 У сонной вечности в руках,

რამდენი ახალი სახელი, ჩემთვის მანამდე უცნობი პოეტი — რუსი თუ ფრანგი, ინგლისელი თუ იტალიელი გავიგონე მისგან იმ პატარა სარდაფში, რამდენი ახალი ლექსი დამიახლოვა, შემაყვარა და თავის დროზე მაზიარა მათი სიტყვის მომხიბვლელობას. რამდენი რამ დამაკლდებოდა ცხოვრებაში, რომ ტიციან ტაბიძესთან ეს შეხვედრები არ მქონოდა. ამიტომ მისი ყოველი სტუმრობა ლერმონტოვის ქუჩაზე ნამდვილი დღესასწაული იყო ჩემთვის; მეტადრე მაშინ, როდესაც ის და ქლიშე ერთმანეთს შეებმებოდნენ. ელიშეს უფრო მეტად მაიაოვსკისა და ვე-

ლემირ ზღებნიკოვის ლექსების კითხვა უყვარდა.

ერთხელ ასეთ ყოფაში რომ ვიყავით, კარი გაიღო და ოთახში მერი ნიკარაძე და მისი ამხანაგი ქალი შემოვიდნენ. ისინი მაშინ კონსერვატორიაში, შულგინას კლასში სწავლობდნენ და პირდაპირ გაკვეთილებიდან წამოსულიყვნენ. ლექსებს სიმღერები მოჰყვა. ტიციანს ძალიან უყვარდა მეგრული. ხალხური სევედიანი სიმღერები და იმ საღამოს სული არ მოათქმევინა ახალგაზრდა ქალებს, სამაგიეროდ თვითონაც არ დააყოვნა და გულზე დაგვახალა მთელი ციკლი იმ ლექსებისა, ბლოკმა თავის მერის რომ მიუძღვნა.

აი ეს წერილიც, ახლა რომ ვაქვეყნებ, იმ შორეული საღამოების ერთი უეცარი მოლანდებია. მკითხველი ალბათ გამოიგებს და შემოიწყნარებს, რატომ გავიხსენე ახლა ის დღეები და ტიციანის წერილებიდან რატომ ეს ერთი ამოვარჩიე.

ძმარ კოჭია!

შენი ბარათი დაგვიანებით მივიღე. მთიულეთიდან ჩამოსვლისას. მერე ვიყავი ბორჯომში და ვაპირებდი აბასთუმანში ამოსვლას, მაგრამ ჩვენმა ხალხმა გადაგვიტყუა ბაკურიანისაკენ... და ჩამოვრჩი ყველა ავტომობილს. ასე რომ წერილის დაგვიანება მხოლოდ ამას მიეწერება. შენგან მოწერილ საქმეებსაც გავარიგებ: მგონი ბენიტომ გამოგიგზავნა კორექტურა და ესლა ალექსანდრე არაბიძესაც ნათქვამი აქვს ჩემგან და იმ თანხასაც გამოგიგზავნის ამ დღეებში.

თბილისში პირდაპირ „გეთსიმანიის სევედა“ და სასტიკი მოწყენილობა — ლამაზი ქალები დურაჩეხებით აგარაკებს არიან შეფარებულნი, და უღამაზონი, შენც ხომ იცი, რომ ტიციანს არ უყვარს.

მწერლობაც ძალიან მიწყნარებულა — ძნელად თუ რამე ყურნალი გამოდის და რაც გამოდის, ზაფხულის დასვენება ეტყობა. მე მაინც დიდებულად მაგინებენ, — ამისათვის მათ არც ზაფხული უშლის ხელს...

მე პირადად ვერ მოვეწყვე, ისე რომ ჩაუჯდე საწერად — იმ პლანით და შთაგონებით, მე რომ ვიცოდი. — ისე კი ვწერ რია-რია ლექსებს: ერთი იმათგანი ასე იწყება:

მივალ, მივდივარ და მივიმღერი
 და საქართველოს მიმაქვს ოცნება.
 ვარ გაუთღელი ლერწამის ღერი,
 ტუჩ-მიუღებლად რომ იკოცნება...

და ასე თავდება:

ერთ საწყალ პოეტს ამაზე მეტი
სინდისით აღარ მოეთხოვება,
დამადეთ გულზე ტყეია ცაქეტი
მაგ თქვენი მამის სულის ცხონებას...

საერთოდ მინდა მოვიარო საქართველოს ყველა მხარე — ეხლა
მინდა წავიდე აფხაზეთში და „ახალ ათონზე“ დავამთავრო პოემა,
რომელიც ამ ზაფხულში სულზე მაწევს.

ჩემო კოწია, მომიკითხე მერი — და უთხარი, რომ ჩემთვის მერი
რჩეულია ქართველ ქალებში, — განსაკუთრებით მიყვარს მაგის
სინაზე, რომელიც ჩემი ფიქრით ერთ პოეტად უნდა დაფასდეს.
გთხოვ ჩემი ინტონაციით წაუკითხო:

Опять затепли свечи
Украшь мое жилье,
Пусть будут те же речи
Про вольное житье,
Твои высокие плечи
Безумие мое!

ან და „Девушка из SPOLETO“-დან.

Строен твой стан, как церковные свечи
Взор твой — мечами пронзающий взор..

მოგელით ორივეს თბილისში.

ამაზე ადრე ველი თქვენს წერილებს, — მე კი ჩემი ძმაო, რა
დამრჩენია, წლები მიდიან და მეც უნდა ავტირდე:

О как на склоне наших лет
Нежней мы любим и суеверней..

კოწია, იყავი ბედნიერი და სიხარული და სიყვარული აკაფე
ლექსში, როგორც ლერწამი...

გაკოცებ ბევრს და ვეჯდნობ, რომ შენი მეგობარი ვხდები.

ტიციან ტაბიძე





კლასიკარ ჯაფარიძე

მანიაკოვსკების ოჯახი

მაიაკოვსკების ოჯახი ერთ-ერთი უკეთესობა ჩილესი იყო, გულისხმიერი და გულითადი ჩვენი ქვეყნის მიმართ ჩემ ნაცნობ რუს ოჯახთა შორის ქუთაისში, აგრეთვე შემდეგაც მოსკოვში, საკუთარ სამშობლოდ მიიჩნდათ ოჯახის ყველა წევრებს საქართველო და უყვართ ის მთელი გულით.

მათზე ორივედ სიტყვის დაწერას ჩემ სულიერ მოთხოვნებად ვგაძნობ.

ჩემი მოგონება მაიაკოვსკების ოჯახზე იწყება 1903 წლიდან.

ჩვენი ოჯახი იმ დროს ქუთაისში ცხოვრობდა, საღაც მამაჩემი. მასწავლებელი მალაქია ჯაფარიძე, სამოქალაქო სასწავლებელში მუშაობდა. ეს სასწავლებელი იმყოფებოდა რიონის მარჯვენა მხარეს, გეგუთის ქუჩის ერთ პატარა შესახვევში. ბინაც, იმავე მიდამოებში გეჭონდა. მაიაკოვსკის ოჯახიც ამ უბანში ცხოვრობდა.

გიმნაზიაში გეგუთის ქუჩით დადიოდნენ ოლია და ვალოდია მაიაკოვსკები და ამიტომ ყოველ დღით ვხვდებოდი ერთმანეთს.

ვალოდია მაიაკოვსკი და ჩემი უმცროსი ძმა ალექსანდრე ტოლები იყვნენ, კლასიკურ გიმნაზიაში ერთად სწავლობდნენ და დღეობით სასწავლებელშიც ერთად დადიოდნენ; ფორმაში გამოწყობილი პატარა ბიჭების გარჩევა ერთმანეთისაგან ძნელი იყო, მაგრამ ვალოდია თავისი აღნაგობით, დიდრონი, შავი ბზრიანი თვალებით, ცოცხალი სახით ყველასაგან გამოირჩეოდა. და-ძმა ამ მხრივ ძალიან ვადა ერთმანეთს, ორივე კი მამას, ბრეკ ტანი, სიმპათიური სახის ეფეკაცს, რომელსაც კიდევ უფრო ამშვენებდა თაფლისფერი მოგრძო წვერა, ჩვენებურ, ქართულ იერს რომ აძლევდა. მასაც ხშირად ვხვდებოდი გეგუთის ქუჩაზე მე და ჩემი ძმები და ყოველი შეხვედრის დროს მოწიწებით ეუბნდილი ხოლმე ქულს.

მაიაკოვსკების მამა ბაღდაში (ახლანდელი მთაკოვსკი) მუშაობდა, მაგრამ ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში თავისი ცოლ-შვილის სანახავად. მას, ისევე როგორც მთელ ოჯახს, ძალზე კარგი დამოკიდებულება ჰქონდა მეზობლებთან, ამიტომ, ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი იყო. ყოველ ჩამოსვლაზე მამაჩემს ხვდებოდა ხოლმე; არაერთხელ ვეუბნებოდა მათი გულობილი საუბრის მოწმე.

ჩვენი პატარა მეგობრების მამისადმი კიდევ იმდროს ვიყავით სიმპათიით განწყობილნი, რომ ქართულად ლაპარაკობდა კარგად.

1905 წელს მამაჩემი ერევნის გუბერნიაში გადაიყვანეს სასწავლებლის ინსპექტორად. ჩვენ, ძმები, რიონის მარცხენა ნაპირის რაიონში გადავედი სანსოვრებლად. ჩვენ სასწავლებელთან ახლოს და უკვე ისე ხშირად ვეღარ ვხვდებოდი მაიაკოვსკების ბავშვებს, ვხვდებოდი მათ მხოლოდ დემონსტრაციის დროს.

იმ დროს ქუთაისში ხშირად იმართებოდა მოწაფეთა გამოსვლები. სხვადასხვა სასწავლებლების მოსწავლეები დარბაზული დადიოდნენ ქუთაისის ქუჩებში და „მარსელიროზას“ და სხვა რევოლუციური სიმღერებს მღეროდნენ. ვალოდია მაიაკოვსკი რევოლუციის გამოირჩეოდა სხვა დემონსტრანტ-მოსწავლეებისაგან თავისი აქტიურობით. მგზნებაკ რევოლუციური სიტყვებითა და ლექსებით, რომლებშიც უკვე ჩანდა მომავალი პოეტის სიღიაღე. ასევე აქტიურად მონაწილეობდა დემონსტრაციებში მისი და ოლიაც.

და-ძმა მაიაკოვსკები მით უფრო ჩამბრჩა მეხსიერებაში, რომ მათ ეტყუარებდი როგორც ახლობლებს, მეგობრებს; ეს ასეც იყო, ჩვენ ყოველთვის გულობილად ვხვდებოდი ერთმანეთს. ჩვენი შეხვედრების ადგილი იყო აგრეთვე ქუთაისის თეატრიც, რომლის ხშირი



სტუმარი იყო მთავრობის ოჯახი. ლალო მესხიშვილის მიერ დადგმული, რევოლუციური სულისკვეთებით აღსავსე სპექტაკლები სულიერად ენათესავებოდა ვალოდია მთავრობის ბრძოლას.

გავიდა ხანი. დროებით ჩაწყნარდა რევოლუციური ტალღები, შეწყდა ვაფიციები და დემონსტრაციები და ჩვენც, ახალგაზრდები, მერხებს დავებრუნდით. ხოლო 1906 წელს მე და ჩემმა ძმამ გრიგოლმა დავამთავრეთ ქუთაისის რეალური სასწავლებელი და მოსკოვს ვავემგზავრეთ უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად.

უცნობ ადამიანებში, მოსკოვში ცხოვრებამ, სადაც უბრალო ნაცნობიც კი არ გვავიდა, სევდა მოგგვკვარა. მიტოვებულ ობლებად ვიგრძენით თავი ქუთაისის შემდეგ, სადაც ყოველ ნაბიჯზე მთავარი თუ არა, ნაცნობი მაინც უფროდ შეგვხვდებოდა. გადაწყვიტეთ, წავსულიყავით ისეთ საუნივერსიტეტო ქალაქში, სადაც ქართველობა იქნებოდა და, მაშასადამე, ნაცნობებსაც შევხვდებოდით — ხარკოვში ან ოდესსაში.

მაგრამ ერთ დღეს ბრონაის ქუჩაზე მოულოდნელად ნაცნობი სახეები დავინახეთ.

— ეს ხომ ჩვენი ქუთაისელები არიან! — წამოვიძახეთ გახარებულვება და დიდი ხნით დამორჩენელი ძმებივით ვადავევით ერთმანეთს. ესენი იყვნენ ჩვენი ბავშვობის მეგობრები და-ძმა ოლია და ვალოდია მთავრობები. ძნელია ეცემა წარმოდგინოს ის დიდი სიხარული, რომელიც განვიცადეთ ქუთაისელ მეგობრებთან ასეთი მოულოდნელი შეხვედრის გამო ამ სულიად უცნობ ზღვა ხალხში. მწუხარებით გავიგეთ, რომ მთავრობებს ძმა და-ღუპვივით, რის გამოც ოჯახს სამუდამოდ დაუტოვებია ქუთაისი და გადმოსახლებულა მოსკოვში, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში სწავლობდა და ცხოვრობდა ოჯახის უფროსი ძალიშვილი ლიუდმილა.

მართალია ძალზე დავწყვიტა გული შესანიშნავი ადამიანის დაღუპვამ, მაგრამ ამავე დროს დიდი სიხარულიც ვიგრძენით, რომ თურმე არც ისე მარტონი ვყოფილართ უცხო ქალაქში და მოკეთენი აქაც გვეყოლა. როგორღაც უნებგავექრა მოსკოვიდან წასვლის სურვილი, იმდენად დიდი იყო ბავშვობის მეგობრებთან შეხვედრით გამოწვეული სიხარული.

იმ საღამოსვე მოვინახეთ ელნისნის სახლი სპირიდონოვსაზე, სადაც ჩვენთვის ძვირფასი ოჯახი იყო დაბინავებული და საყვარელ თანამემამულეებთან თავი ისე ვიგრძენით, თითქმის მშობლიურ სახლში ვყოფილიყავით.

ოჯახის დედას — ალექსანდრა ალექსის ასულს, ვერ კიდევ არ გაქრობოდა იმ დიდი მწუხარების კვალი, რომელიც საყვარელი ადამიანის დაკარგვამ გამოიწვია მასში, მაგრამ

დავინახა თუ არა ქუთაისელები, ნათესავები, თველები გუბერნიცა, სიხარული მოვიტინა სიხარულზე. ძალზე თბილად შეგვხვდა, ჩვენები მოიციობს; ტყბილად გავვინა საუბარი, იფონებდა ყოველ წერილმანს, რომელიც კი ქუთაისთან იყო დაკავშირებული.

— დროებითი მარტობა ნუ დავანდვლიანებთ, შეილებო, — გვიბოხრა ალექსანდრა ალექსის ასულმა, — მალე გაიჩენთ მეგობრებს, ჩვენც. აქა ვართ. ჩემი შეილებიც მოწყენილი არიან; მშობლიური მხარე ენატრებათ, განსაკუთრებით ვალოდია, სულ ბაღდადზე ოცნებობს. მაგრამ რა ექნათ, ვაგელის დრო და მიეჩვევით აქაურობას.

თითქმის არც გვქონიათ სევდა, არც გვიგრძენიათ თავი ობლად, ისე წაშალა ყოველივე უსიამოვნებ ძვირფას ადამიანებთან ამ სასიამოვნო შეხვედრამ.

მას უკან ბევრმა დრომ განვლო, ბევრმა წყალმა ჩაიარა, წელთა ბევრი ათეულიც დამარჩა უკან. როცა წარსულზე ვფიქრობ, როცა სიამოვნებით ვფურცლავ ჩემს საყვარელ წიგნებს, განსაკუთრებით სიყვარულით ეწერებოდა ხოლმე ლიუდმილა მთავრობის ნაწიქარ წიგნზე. ეს წიგნი მის მიერ მისსავე ოჯახზე დაწერილი და ჩემთვის დად განის წარმოადგენს. თავფურცელზე კი ავტორის ლამაზი ხელით წარწერილია ჩემთვის საათ სიტყვები: ჩვენი ოჯახის ძვირფას მეგობარს სტუდენტური წლებიდან ლალო გაფარაძეს, იმ წლების მცირე ნაკვეთი — ჩემი აღწერილი. ლუდმილა მთავრობისაა“.

ფურცელზე ამ წიგნს და ჩემი თავი ისევ იქ მგონია, მთავრობის ალერსიან ოჯახში. მადლიერების ვრახნით ვიფონებ იმ შეხვედრას, რადგან მასი წყალობით ჩვენ მოსკოვში დავჩინით და სტუდენტური წლების მანძილზე გავიხარდეთ ვინებრივად და დავავეჯადვით, ჩვენ არა თუ შევეგუეთ მოსკოვს და-სტუდენტურ ცხოვრებას, არამედ სულ მალე ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს აქტიურ წევრებიც კი ვაგხვდით, მონაწილეობას ვღებულობდით მის ყველა კულტურულ ღონისძიებაში.

ქართველ სტუდენტთა სათვისტომოსთან დავკავშირებული ჩვენი საქმიანობა ჩემთვის ყოველთვის საამოდ მოსაინათვ, განსაკუთრებით კი, ჩვენი მონაწილეობა ალექსანდრე სემბათაშვილი-ივენიის იუბილეზე, მცირე თეატრში, 1907 წელს, მოსკოვის სამხატვრო თეატრის ათი წლისთავის იუბილეზე, 1908 წელს, დიდი მწერლის ლევ ტოლსტოის დავკამლვებზე იასნაია პოლიანაში 1910 წელს და სხვა. ორივე ძმას არაერთხელ გავხვსენებია ჩვენი პირველი ძნელი დღეები მოსკოვში და მთავრობებს

ვლადიმერ ჯაშარაძე
მთავრობისთვის ოჯახში



კეთილსამყოფელი გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე, გავლენა, რომელიც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა იმისა, რომ ჩვენთვის მოსკოვი მეორე სამშობლოდ იქცა. ასეთივე გახდა მოსკოვი მთავრობების ოჯახისათვის და ამის ნათელი დანატრებაა ოლღა მთავრობისათვის თბილისი წერილი, რომელიც მან 1941 წლის ოქტომბერში გამოიგზავნა ქალაქ ჩისკოპოლიდან, სადაც იგი დროებით ევაკუაციაში იმყოფებოდა დიდი სამამულო ომის დროს.

„მულითადი სალამი ლადოს! — მწერდა ოლღა მთავრობისათვის. — მივიღე თქვენი დიდი ბარათი და ძალიან ამაღელვებელია თქვენმა ყურადღებამ. ადგილი აქ, მართალია, ლამაზია და წარმტყი, მაგრამ ამაჟამად არაფერი არაა ქვეყნიერებაზე ჩვენი მოსკოვისთანა. ჩემი ფიქრები და გონება მის დასტრიალებს. ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთ დროს თბილისში არ ჩამოვედით, მაგრამ სადაც არ უნდა ვიყო და როგორც არ უნდა ვიყო, ჩემი ოცნებაა, რაც შეიძლება მალე დავბრუნდე მშობლიურ მოსკოვში. სალამი თქვენს ოჯახს და გრძნობას. იყავით კარგად. ოლია“. სიტყვა „ოლია“ მას ქართულად აქვს დაწერილი, თანაც ფრჩხილებში; ასეთი მინაწერიც გაუკეთებია: „ჩერ კიდევ მახსოვს, თუ როგორ იწერება ჩემი სახელი“.

მართალია, დრომ ფერი დაუკარგა მულღა მწერს ბეჭატებს, მაგრამ დაუვიწყარი მეგობრის ნათელი სული, რომელიც შიგ უხილავად ტრიალებს, ისევე ისე ცხოველია ჩემს მეხსიერებაში და სხევებარეყინებულში.

1907 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის სათვისტომო კრებაზე თავზარდამცემი ამბავი გავიგეთ, ვერაგულად მოეკლათ ჩვენი ერის დიდი მოამბე ილია ჭავჭავაძე. ეს ამბავი მთელ უნივერსიტეტს მოედო და ქართველ სტუდენტებში დიდი მწუხარება გამოიწვია. ჩვენმა სათვისტომომ სავანგებო საღამო მოაწყო, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ასეთივე საღამო, მხოლოდ უფრო დრამად გახსნილ პრაგმათით, მოაწყო მოსკოვის ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ.

ქართველმა სტუდენტებმა გადაწყვიტეს, რაც შეიძლებოდა მეტი ნაცნობ-მეგობარი წაგვეყვანა ამ საღამოზე და ჩვენი ეროვნული კულტურისათვის პროპაგანდა გაგვეწვია. გული დაგვეწყდა, როცა ზოგმა მთავანმა ფრიალ ვაიკირვა ეს ამბავი, რადგან ვერ წარმოედგინათ, თუ ქართველებს თავისი მწერლები ჰყავდათ და საერთოდ ჰქონდათ დამწერლობა. მიზეზი ის გახლდათ, რომ მეფის რეჟიმის პირობებში „ინფორმაციის“ ე. ი. არარსი ხალხის ლიტერატურა არ ითარგმნებოდა რუსულ ენაზე, არც აბეჭდებოდა.

სხუნებულ საღამოზე ოლღა მთავრობისათვის მოვიდა, ამხანაგები მოიყვანა, რომლებსაც გატაცებით უყვებოდა საქართველოს შესახებ

და განმარტებებს აძლევდა საინტერესო სენებების ირგვლივ. საერთოდ, ოლღა მთავრობისათვის ძალიან უყვარდა ისეთ კრებებზე სიარული, სადაც შეიძლებოდა შეხვედროდა თავის თანამემამულეებს. უყვარდა აგრეთვე ე. წ. „ქართული საღამოები“ მონაწილეობის მიღება. ეს საღამოები თავისი ორგანიზაციისა და ეროვნული კოლორიტის გამო საქაო პოპულარობით სარგებლობდა მოსკოვში. ამ „საღამოების“ ხშირი სტუმარი იყო ვალოდიაც.

აი, ჩემი ძმა გრიგოლისადმი მოსკოვიდან გამოგზავნილი ოლღა მთავრობისათვის წერილი. რომელშიც იგი „ქართულ საღამოებს“ იგონებს: „გულწრფელი სალამი გრძნობს! მეტად გაციხარე თქვენი წერილის მიღებით, მან შორეული ახალგაზრდობა გამახსენა, როცა ვალოდიასთან ერთად „ქართულ საღამოებზე“ დავდიოდით, მაგრამ ცხოვრება ძალიან გამოიკვალა. დიდი სურვილი მაქვს ჩამოვიდნე სამშობლოში, მაგრამ უველაფერი ეს მეტად რთულია და არ ვციცი, როდის მოვახერხებ ამას, თუ მოსკოვში მოხვდით, აუცილებლად მოდი ჩვენთან თქვენ და ლადო. ცხოვრება მიდის, მაგრამ ძველი მეგობრები არ ივიწყებენ ერთმანეთს, და ეს მეტად სასიამოვნოა. ვისურვებთ ყოველივე კარგს. დედამ და ლოლდამ მოგიკითხეს. სალამი ლადოს და ყველა თქვენებს. მუდამ მახსოვხართ. ოლია“.

ეთნოგრაფიული საზოგადოების ზღერ ჩატარებულმა საღამომ მნიშვნელოვანი ზიგა მისცა ჩვენს ძველ განზრახვას, გავვეცნო რუსი ფართო საზოგადოებისათვის ქართული კულტურა და კერძოდ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება.

მთავრობისათვის შევიარეთ. მთელი ოჯახი სხანაულთ შემოგვევიპა მე და გრიგოლს, შეგვხედნენ როგორც დიდი ხნის უნახავს, სასურველ სტუმრებს. ვალოდიაც შინ იყო, დავაჯავებულყო. ხმა დაბოხებოდა, ჩვენდა სასიამოვნოდ მასპინძლებს ვარდა იქ დავგვხდა აგრეთვე ჩვენი ქუთაისელი მეგობარი კოლა (ისიდორე) მორჩაძე — ცნობილი რევოლუციონერი, მოსკოვის 1905 წლის აჯანყების აქტიური მონაწილე. მთელი ის საღამო ქათაისისა და საქართველოზე იყო დაპარაკი. საუბარში ის აზრიც გამოითქვა, რომ ძალიან კარგი იქნებოდა გავვეცნო რუსი ფართო საზოგადოებისათვის ქართული ლიტერატურის ნიმუშები. მთელი ოჯახი მხურვალედ გამოეხმაურა ჩვენს გადაწყვეტილებას და დახმარება აღგვიქვა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ოლია და ვალოდიაც.

რამდენიმე ხნის შემდეგ მე და ჩემმა ძმამ გრიგოლმა ეთარგმნეთ „გლახის ნაამბობი“, რომელიც პროფესორ ალექსანდრე ხაჩანაშვილის ავტორიტეტული დახმარებით და მისი რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოიცა



გამომცემლობა „პოლხას“ მიერ, როცა წიგნი დისტამბა და გარეგანზე რუსულ ენაზე წაწერილი „ილია ჭავჭავაძე“ დაეინახეთ, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მთავროვნების ოჯახიც პირველი იყო, ვინც ჩვენი ეს სიხარული გულწრფელად გაიზიარა. და ეს სიხარული სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს იყო ერთადერთი პირველი ნაბიჯი, ან უკეთ რომ ვთქვათ, ქარის გაღება შინ ჩაკეტილ შემოქმედებისათვის, სავსური დიდ სარბიელზე გასასვლელად.

გავიდა რამდენიმე წელიწადი, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნდი.

მალე რუს პოეტთა შორის მთავროვნების გვარი გავიგონე და, როდენ დიდი იყო ჩემი სიხარული, როცა გავიგე რომ ეს ჩვენი მთავროვნების ეკლესიის ეკლესია იყო, ჩემი თანამემამულე, ჩვენი ბავშვობის მეგობარი, რომელსაც ყოველთვის გულწრფელად უყვარდა საქართველო, მშობლიური ზღადადი და რომელიც ყოველთვის ამბობდა: „ჩემი სამშობლო სიფელი ზღადადი, ქუთაისის გუბერნია, საქართველო“.

მე დღესაც დიდ სიამოვნებასა და სიამაყეს განვიციდი, როცა ქუთაისში მყოფი ყოფილ ვაჟთა გიმნაზიის ლაშა შენობას შევეყურებ, სადა მარმარილოს დაფზე გამოკვეთილია „ვლადიმერ ვლადიმერის ძე მთავროსი — უნივერსიტეტი პოეტი ჩვენი საბჭოთა ეპოქისა — სწავლობდა აქ 1903-1906 წლებში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოწაფეთა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში 1905 წელს“.

ქუთაისში დიდი ბოლი ითამაშა მთავროვნების ცხოვრებაში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელ ქუთაისსა და მის მოწინავე საზოგადოებას ვლადიმერ მთავროსის მისწრაფებათა ჩამოყალიბებაზე, რომელიც შემდგომ მის პოეზიაში გამოვლინდა. იმ დროს იქ დიდი აკეთი ცხოვრობდა, რომლის მებრძოლი პოეზიის მადლით იკვებებოდა ჩვენი მოწინავე საზოგადოების სულიერი ცხოვრება („გმირებს დაემებს, უყვიის ჩემი დაფი და ნალარა“) და არ შეიძლება ეს გავლენა გიმნაზიელ ეკლესია მთავროსის შეგნებაზეც არ გავრცელდებოდა: ასე რომ, ვლადიმერ მთავროსის პოეზიაში, რომელშიც თავისი ნიჭიერი დასაბამი „ზღადადის ცათა ქვეშ“ ჰპოვა, რეკლამური საძირკველი ცხრაათისიანი წლების ქუთაისში გამოტყდა.

რასაკვირველია, მთავროსის პოეტური ტრადიტი საბოლოოდ მოსკოვში გაღვივდა და გარდურჩენა, მაგრამ ის მადლიანი დასაბამი მაინც ზღადადისა და ქუთაისის პირობებში ჩანსა და გაისვენა.

ამავე ზრისა იყო პოეტის დაც—ლუდმილა. იგი ამბობდა: „ჩემი ძმის ზოგერთი ბიოგრაფს რატომღაც მხედველობდნ რჩება მისი

შემოქმედებითი და საერთოდ ბიოგრაფიული უშუალო კავშირი კავკასიასთან, მე კი ვაძრულებ, რომ კავკასია და კერძოდ საქართველო, ქუთაისი, მისთვის ყველაფერი იყო.“

ამ ზრის ლუდმილა მთავროსისა ხშირად ავითარებდა თავის მეგობრებთან, კერძოდ ჩვენთან საუბარში, როცა მე და პოეტმა მიქელ პატარიძემ ვინახულეთ ის, მისი დეიდამშვილის ვერა ავაროვა-ნანეიშვილის ბინაზე თბილისში ორმოცდაათიან წლებში; აგრეთვე შემდგომ 1965 წლის შემოდგომაზე, იმავე მასინძლისას, სადაც იყვნენ აგრეთვე მწერალი გ. ვ. ზებუთოვი, ავტორი ცნობილი წიგნისა „მთავროსის მოწაფეობის წლები“, პედაგოგი ვ. ი. კაცანაძე, ვლ. მთავროსის თანაკლასელი ქუთაისის გიმნაზიიდან.

უნდა აღვნიშნო აგრეთვე მთავროსის დიდი სიყვარული ქართული ენისადმი. მე უკვე ვთქვი, რომ მათ ოჯახში კარგად ლაპარაკობდნენ ქართულად. განსაკუთრებით ვლადიმერი, რომელშიც ბოლომდე შემოინახა ეს ცოდნა და რომლისთვისაც უკვე მოსკოვში არა ერთხელ მიუპარათავს, უმეტესად კონსპირაციული მიზნით, ახლო ამხანაგებთან ვასო კანდელაკთან, კოლა მორჩაძესა და სხვებთან რეკლამური მუშაობის დროს. მას ძალიან უყვარდა ბავშვობიდან ზეპირად დამასოგრებული ლექსი იროლონ. ეველშვილისა „მეგობრებო, წინ წინ გასწით“, აგრეთვე რომანის „მხოლოდ შენ ერთს“ დამეგრება.

ჩემი ძმა გრიგოლი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც ხშირად იყო მოსკოვში და ყოველთვის მოინახულებდა ხოლმე მთავროსის ოჯახს, ხოლო თბილისში დაბრუნებულ შემთხვევაში სიხარულით მიამბობდა „ჩვენი ეკლესია“ გიგანტურ ნაბიჯებზე პოეზიაში და როდესაც 1930 წელს მისი გარდაცვალების უეცარი ამბავი გავიგეთ, თავზარი დაგვეცა და განვიცადეთ ისე, როგორც შეიძლება კაცმა ვანიცადოს ძალზე ახოვებული ადამიანის დაკარგვა.

უკანასკნელად ვლადიმერ მთავროსის თბილისში ვნახე. 1929 წლის გაზაფხული იყო. ავტობუსიდან დავინახე იგი. ყვიისფერი კოსტურში ეყევა და ახოვანი, ბრვე ვეკაცი გიგანტურ ნაბიჯებით მიდიოდა. გვერდზე ქართული პოეტების წგუფი მიჰყვებოდა. მართალია, დიდი ხნის უნახავი მყავდა, მაგრამ მაინც ვიცანი — ეს ჩვენი მთავროსი იყო, ვალოდა, იმ დღესვე მივიღე ყველა ზომა მის სანახავად, მაგრამ დამაგვიანდა, ის უკვე წასულიყო.

ვლადიმერი იშვიათი ენამახვილი იყო და ქართულშიც მოხდენილი იცოდა, ცნობილი მისი მიმართვა ვალერაან გუნიასადმი ბაქოში:

ვლადიმერ ჯაფარიძე
 მანიაკოსკაძის ოჯახში



გამართულ ერთ-ერთ ბანკეტზე 1927 წელს, რომელიც „სალიტერატურო გაზეთში“ დაიბეჭდა 1933 წლის 31 ოქტომბერს. მოვიყვან ნაწყვეტს.

И теперь вдали от вас висурвебди
вхопилихав

Тквентан ертад, как с братом брат
Хотелось вновь и в глаз и в бровь
Делить и ласку и любовь
И посмеяться и... побалагурить
Клав мовгелхина гвини да пурит
Маглари гвесва канцит да чурит.

თბილისში ჩამოსვლისას მიაიკოვსკები ჩერდებოდნენ ლენინის ქუჩის ერთ პატარა შესახვევში მდებარე სახლში. ამ სახლში ცხოვრობდნენ აგაროევი: ალექსანდრა ალექსის ასულის და მარიამი და მისი შვილები ვერა და კონსტანტინე. მე და გრიგოლი ხშირად ვიყავით ხოლმე აგაროევის ოჯახში ანუ როგორც ხუმრობით ვეძახდით, „მიაიკოვსკების ფლიალ-ში“, მეტადრე კი მაშინ, როცა ოლია ჩამოვიდოდა მოსკოვიდან. ასეთ დროს აგაროევის ოჯახში ბევრი ქუთაისელი მათი მეგობარი ვიყრიდით თავს. მე და გრიგოლი, კოლა ანდრიაძე, ვასო კანდელაკი, კიკო მურუსიძე, მიქელ პატარიძე, კოლა მორჩაძე და სხვები. ბევრს ესაუბრობდით, ვიგონებდით ქუთაისში გეტარებულ დღეებს, დავსვირნობდით თბილისის ქუჩებში. ოლია ცდილობდა ქართულად ელაპარაკნა, რადგან ეს ქუთაისსა და ბავშვობას აგონებდა, ხშირ-ხშირად გვეკითხებოდა, როგორ ატყობი — ბევრი მეშვება უკვე ჩემს ქართულში.

ოლია გარეგნობით, აღნაგობით ძალიან ჰგავდა თავის გოლიათ ძმას, ისეთივე ტანმადალი იყო, ისეთივე ცოცხალი და მეტყველი შავი თვალები ჰქონდა; ოლია სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა 1949 წლის გაზაფხულზე. მოსკოვში, გულის ავადმყოფობით.

მოვიყვან ერთ ამონაწერს ჩემი ძმის გრიგოლის წერილიდან, რომელიც მან მოსკოვიდან გამომიგზავნა 1949 წლის 5 ივნისს: „...დღეს კი ორთავენი (კოლა მორჩაძესთან ერთად) მიაიკოვსკებთან ვიყავით და ეს-ეს არის დაბრუნდი სახლში. ძალიან გულთბილად შეგვგვხდნენ. აქ არიან ალექსანდრა ალექსეევნა, ლიუდა და ვერა აგაროევა. ჩვენი პირველი სიტყვა, რა თქმა უნდა, ოლიას მოგონება იყო: „როგორ უყვარდა ოლიას თქვენი მოგონება, ორივე ძმების გახსენება; რომ ვერ გარჩევდით და გეკითხებოდათ, რომელი ხარ გრიშა, რომელი ხარ ლადო. რა აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ყოველთვის საქართველოზე“ — იგონებდნენ ლიუდა და დედამისი. საათის შვიდიდან ოთრმეტამდე ჩვენი საუბარი ამ თემაზე არ შეწყვეტილა.

ალექსანდრა ალექსეევნა ჩემ კიდეც ვიხსენებ და, თუმცა უკვე 82 წლისაა. ხვალ საინტერესოზე ოთხივენი — მე, კოლა, ლიუდა და ვერა მივდივართ მიაიკოვსკის გამოფენაზე. ამის შესახებ კი პირადად მოგიყვები თბილისში რომ ჩამოვალ. შენი გრიშა.“

ალექსანდრა ალექსეევნა მეტად კეთილი აღმაზანი იყო, გულთბილი და სტუმართმოყვარე. დღე და ღამე ვაერთიანებული ჰქონდა შვილების მოვლასა და სამსახურში.

სიცოცხლის ბოლო წლებში შესანიშნავი მოგონება დაწერა შეიღზე „ვლადიმერ მიაიკოვსკის ბავშვობა და ყრობა“, რომელიც საბავშვო გამოქვეყნებამ გამოსცა 1959 წელს.

მიაიკოვსკების ოჯახის გულთბილი დამოკიდებულება ჩვენდამი, დიდი სიყვარული საქართველოსადმი ნათლად ჩანს თუნდაც იმ წარწერებში, რომელიც დაურთო ლიუდამ ვლადიმერის ასულმა ჩემთვის გამოგზავნილ თავის წიგნს, მოსკოვში რომ დაიბეჭდა ამ უახასენელ წლებში და რომელიც ვლადიმერ მიაიკოვსკის ცხოვრებასა და შემოქმედებას შეეხება. „ჩვენი ოჯახის დიდი ხნის მეგობარს შეირფას ვალო ჯაფარიძეს, საქართველოსა და მოსკოვში ჩვენი შეხვედრების კეთილად მოსაგონებლად, სიყვარულითა და საღამით ლუდ-მილა მიაიკოვსკიათა. მოსკოვი, 1966 წლის 26 აგვისტო.“

ეს წიგნი, ისევე როგორც ყველა მისი ნაწერი, მეტად საინტერესოდ და დაწვრილებით აღწერს რა მიაიკოვსკების ოჯახს და მის ცხოვრებას ბაღდადსა და ქუთაისში, საესეა ჩვენი ქვეყნის ამსახველი ლამაზი ილუსტრაციებით. ამით მინდა მოვთავაზო ჩემი მცირე მოგონება.

მე განგებ ვუწოდებ მას „მიაიკოვსკების ოჯახი“, რადგან ძირითადად ოჯახზე მიქვს საუბარი.

რაც შეეხება კერძოდ პოეტს — ვლადიმერ მიაიკოვსკის, — მასთან პირადად, მის ოჯახს გარეშე, ურთიერთობა არაფერი მქონია, და არც გასაკვირველია, ბავშვი იყო ჩემთან შეღარებით, თუმცა ბრვე და წარმომადგენი, მაგრამ მაინც თავისი საკუთარი მისწრაფებებით, საკუთარი წრით.

დაუღეგარი იყო, ბევრს ოცნებობდა და კიდევ უფრო რევოლუციონერობდა, და იმდენად გატაცებით, რომ პატიმრობაშიც არაერთხელ ყოფილა, იქაც დიდი წუხილი მიაყენა ხოლმე ოჯახს. მომავალი პოეტის ნიშნებს მასში მე იმ დროს ვერც შევამჩნევდი, თუმცა ენამახვილი კი იყო, მეტად, ტემპერამენტიანიც.

თავისი პოეტური ფრთები მან მხოლოდ შემდეგში გავალა, როცა დაუკავშირდა ახალს, რევოლუციონერ ხელოვნებას.

და, სწორედ ამის შემდეგ აღიმართა ის დიდი



პოეზიის ჰორიზონტზე მთელი თავისი ნიჭი-
ერებით.

1964 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა ალექ-
სანდრა ალექსის ასული — მიაკოვსკების დე-
და, ხოლო შარშან 1972 წლის შემოდგომაზე
გამოეთხოვა სიცოცხლეს მიაკოვსკების ოჯახის
უკანასკნელი წარმომადგენელიც — ლიუდმილა
ელდიმერის ასული მიაკოვსკაია, 88 წლის
ასაკში.

თავის ოჯახში ლიუდმილა მიაკოვსკაიამ ყვე-
ლანაირი გააღაპარა სიცოცხლის ხანგრძლივობით.
ლიუდმილა ენერგიული იყო და შრომისმო-
ყვარე, თავისიანებისათვის თავდადებული: რო-
დესაც 1906 წელს მის ოჯახს უბედურება ეწ-
ვია და მარჩენალი მამა დაეღუბა, უმწეოდ დარ-
ჩა და უპატრონოდ, ოჯახის პატრონობა მან
იღო თავს, ცხოვრებაში გამოუცვლელმა სტუ-
დენტმა: დედა მცირეწლოვანი ბავშვებით ქუ-
თისიდან მოსკოვში გადაიყვანა და წლების
მანძილზე მისი ერთადერთი მზრუნველი იყო

და მსახური; ხოლო როცა 1930 წელს მისი
დაეღუპა, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის
დაცვამლად მუდმივად შეტრიალდა და შენა-
ნიშნავი წიგნებიც დასწერა თავის ოჯახს და
ძმასზე, რომლებსაც ელდიმერ მიაკოვსკი შე-
პოქმეტებდა მკვლევარი-ყვერდს ვერ-
საუფლის. მიაკოვსკის ოჯახიდან დღეს უკვე აღარავი-
ნაა ცოცხალი: ისინი წაიღიანნენ წიფისფერი-
დან ისე; როგორც მიდის ყოველი მაკრამ ძვე-
ლი დიდი დასტოვს თავისი არსებობისა ქვეყ-
ნად, სამუდამო; სამარადისო.

და არა მარტო იმ ბრწყინვალე შემოქმედე-
ბის სახით, რომლითაც ვითრულა ამ ოჯახის
შვილმა ელდიმერ მიაკოვსკიმ პოეზიის ცაზე,
არამედ, და მასთან ერთად, იმ წარფელი სიკვ-
რელის სახითაც, რომელიც ჩანერგავს მათ
ჩვენი ხალხის გულში თავიანთი დიდი ად-
მიანობით, თავიანთი კეთილშობილი ლამაზი
ცხოვრებით.



ჯანსუღ ღვინჯილია

ქრნალ „ცისკრის“ პროზა 1972 წელს

ქრნალის შემოქმედებითი სახის განსაზღვრისას ბუნებრივია მასში დასტამბული მასალებიდან ამოდიან. ამ მასალებში ან თვითდინება ჩანს, ან მიზანმიმართული შერჩევის პრინციპი. მეორე შემთხვევაში უკვე შეიძლება ქრნალის პოზიციაზე საუბარი, შეიძლება იმაზე ლაპარაკი, თუ რა მიზანს ემსახურება რედაქცია და რამდენად ფასეულია ეს მიზანი. ქრნალი ვერ გამოირიცხავს უზარისხო ნაწარმოებების დაბეჭდვის შემთხვევებს. ვერც სრულქმნილი ლიტერატურული შედეგის გაზარტის მისცემს მკითხველს. მაგრამ არსებობს შესაძლებლობათა საზღვრები, რომლიც წრეში შეიძლება ფსკერზე რჩებოდე, ან კერძო აღწევდე. ლიტერატურულ პროცესში იშაავითვე გარკვევა ძნელია, მაგრამ საუკეთესოს შერჩევის შესაძლებლობა კი რჩება. აქ ვაღის ზღვარი სტიქიურობასა და მიზანდასახულობას შორის. ქრნალი „ცისკარი“ მეორე მემენტისაყენ იხრება. ძირითადი ნაწარმოებების ანალიზი მიანიშნებს ერთგვარ სისტემატურობაზე, რომელიც ამ ქრნალის მუშაობაში სჯაბნის სტიქიურობას. განსაკუთრებით ეხება ეს პროზასა და კრიტიკის განყოფილებას.

ქრნალი არ არსებობს იმისათვის, რომ თავისი სახე მოახვიოს ცალკეულ მწერლებს. ქრნალი თავის სახეს ეძებს ცალკეულ მწერლებში. ეს ქმნის სირთულეს. თუ ქრნალს აინტერესებს თავისთავადი, ნიჭიერი მწერლების დასტამბვა, ის უნდა შეუთრგდეს იმ ფაქტს, რომ თავისთავადი, ნიჭიერი მწერლები საოტრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მათში ქრნალისთვის მისაღები საერთო მიმართულება ძნელი დასადგენია. მაგრამ ნიჭიერ მწერალთა განსხვავებულობა სწორედ ის მრავალფეროვნება, რაც პირველ პლუსად ეწერება ქრნალს. რაც შეეხება ქრნალის სა-

ხეს, მას განაპირობებს ის სულსიყვეთება, რომელიც დაბეჭდილი მასალების ძირითად ნაწილს გამსკვალავს. ამ შემთხვევაში კი თვით ნიჭიერი მწერლებიც შეიძლება სხვადასხვა პოზიციებზე აღმოჩნდნენ. მაგრამ საქმეს ისევ მთავარი პირობა შეეღის: სულსიყვეთება მხოლოდ მაშინ არის ლიტერატურული, თუ მას ნიჭიერი მწერალი მხატვრულად ასაბუთებს. ნიჭიერი მწერლების სულსიყვეთება თავისა მრავალფეროვნებით ქრნალის სახეს აყალიბებს და გადამწყვეტ ღირსებად ითვლება.

ასეთი სულსიყვეთება ქმნის ერთიან მიმართულებას. ნამდვილი და ყალბი მკითხველი ხშირად ერთმანეთში ერევა ზედაპირული, პასიური ყურადღების გამო და ასეთ დროს დიდია მნიშვნელობა ქრნალისა, რომელსაც შინაგანად დადგენილი ლიტერატურული გემოვნება აქვს. მკითხველის აღზრდა სწორედ უმარტივესი ხერხით იწყება, ის უნდა მიეჩვიოს ნამდვილი ლიტერატურის კითხვას და როდესაც იზრდება „ცისკრის“ ტირაჟი, ეს თავისთავად ნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ უფრო მეტი კარგი მკითხველი ჰყავს იმ ნაწარმოებებს, რასაც ქრნალის ფურცლები ეთმობა.

წერილის მიზანია არა მარტო ცალკეული მწერლების ან ნაწარმოებთა გულდასმითი ანალიზი, არამედ ქრნალის სახის ანალიზიც, ამავე პროზაული ნაწარმოებების შუქზე.

მე არ მინდა დავიცვა ქრნალის ნომრებისა და მასალების თანმიმდევრობა, რადგან ამას ჩემს ამოცანასთან ამკერად არაფერი აქვს საერთო.

„ცისკრის“ მე-2—7 ნომრებში ვაგრძელებებით დაისტამბა ჰაბუა ამირეჯიბის რომანის „დათა თუთაშხის“ პირველი ნაწილი.

„დათა თუთაშხის“ სიუჟეტსა და მიზანდასახულობას მკაცრი ლოგიკა განსაზღვრავს.



ლოგოტირა ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალიც კი. ზედმეტობის განცდას ბადება სწორედ ეს ლოგოტირა სიზუსტე, რომელიც უმეტეს შემთხვევაში აუცილებელ ბუნებრივობად აღიქმება, ხოლო რაც შემთხვევაში ხელოვნურობად იკითხება.

დათა თუთაშხიას ხასიათი დიდ დავას გამოიწვევს რომანის სრულად გამოქვეყნების შემდეგ. მაგრამ მე ამჯერად ეს სადღეო ხასიათი მინატურებს იმისათვის, რომ ნაწარმოებს ხასიათიც განისაზღვროს. ეს სახე განაპირობებს რომანის შინაგან მთლიანობას, იგი ლოგოტირა ძალას ანიჭებს სიმბოლურ სიუჟეტურ დეტალს, რომლებიც თავისთავად აღებულნი, სხვა შემთხვევაში, ალბათ იაფუასიანი დეტექტივის ხლართს თუ შეადგენდნენ.

დათა თუთაშხიას, როგორც პერსონაჟს, ორი მხარე აქვს. ერთი — მოჩვენებითი, რომელიც იგი ნორმალური ცხოვრების კალაპოტიდან ამოგარდნილ აბრაგად წარმოგვიდგება და მეორე — მისი ნამდვილი ბუნება, რომელიც ღრმა და დიდი ვნებებით გამსჭვალულ პიროვნებას წარმოგვიჩენს. ეს მეორე — ძირითადი ბუნება — შიგნიდან ისე აშუქებს პირველს — მოჩვენებით მხარეს, თვით ყველაზე ზერელე ყურადღების მკითხველიც იგრძნობს, რომ უბრალო აბრაგთან არ აქვს საქმე.

რომანისათვის ავტორს წაუშმდგარება ნაწყვეტი მეთოთხმეტე საუკუნის ხელნაწერიდან. ერთი ადგილი იქცევა ყურადღებას: „ჰყავდა ერს განმგებელად და შემწოდ ქვეყნიერთა საქმეთა თვისთა ჭაბუკი პირმშენიერი და რაინდი ევთილანავი — თუთაშხია. არ იყო იგი სულდგმული ერთი და ძე ზორციელი. არამედ კრებითი არის კაცთა წიხლანა შინა ვითა წახნავთაგანი მათი უპირველესი“.

ძნელი სათქმელია, რაიმეს მატებს თუ აკლებს რომანს გმირის ხასიათის ასეთი მშაშხარეული ახსნა. ის კი აშკარაა, რომ უამისოდაც მთელი რომანი მიუთითებს, რომ დათა თუთაშხია „უპირველესი წახნავთაგანი“ იმავე საზოგადოებისა, რომელიც ვარს არტყია მას. რომანის გმირი გაურბის სწორხაზოვნებას და განსაკუთრებულობის პოზას და სწორედ ამის გამო წარმოგვიდგება გამორჩეულ აღაზიანად. მაშასადამე რომანის ხასიათი ებრძვის წინასწარ ახსნას, თუნდაც მშვენიერ ლიტერატურულ იარაღებს.

დათა თუთაშხია თანამედროვე პიროვნებაა, იგი გამოწველივითი ხასიათია. აღამიანთა ურთიერთობის ყველა დროსა დაიწიბა მის სულში. ზოგჯერ სოციალურ მიზეზს ხასიათის განსაზღვრავს ერთადერთ და გადამწყვეტ მიზეზად მიიჩნევენ. ამიტომ ხასიათის რავჯარობას სოციალური წილის ხასიათით ხსნიან. ეს კი ხშირად ჩარჩოში მოაქცევენ ზოგადდამი-

ანურ მსოფლმხედველობას და ძლიერი პერსონაჟების თავისთავადობას. ამ განცხადების დათა თუთაშხიას ჰამლეტად წერაინ წარმოიდგინებს, მაგრამ აქატირა, რომ ის ძალზე რთული პიროვნებაა ლიტერატურაში. დათა თუთაშხია არ არის მხოლოდ სოციალური მიზეზით განპირობებული ხასიათი, იგი მწერლის მიერ აღამიანთა ბუნების ღრმად შეცნობის შემდეგ მდიდარი ფანტაზიით შექმნილი სახეა. აღამიანის ბუნება კი ეყრდნობა ყველა ფაზას, რომელიც დღემდე გაუვლია თავისი ისტორიის გზაზე. ეყრდნობა იმ წინებს, რომლებიც ჯერ კიდევ მკვიდრობენ და იმართ, რომელიც დროსთან ერთად ჩანაგებულან. ეს არის დათა თუთაშხიას ხასიათის ზოგადი საფუძველი. რაც შეეხება მის განწყობილებას კონკრეტულ სიტუაციებში, იგი თანამედროვე აღამიანის ფსიქოლოგიით არის ნაკვეთი. ეს ფსიქოლოგია კი ჭაბუკი ამირეჯიბმა ურთიერად როლი იცის.

აბრაგობის დრო, შესატყვისი სიტუაციებია და ამკესტარები სიმბოლური მნიშვნელობის მომენტებია, რომლებშიც ჭაბუკი ამირეჯიბი მისთვის საინტერესო სათქმელსა და განწყობილებას აქსოვს.

მივყევთ დათა თუთაშხიას ხასიათის გამოვლენას, კონკრეტული სიტუაციები და მოკლები ამკესტარებზე ამ ხასიათის სიმდიდრესაც და მიწეროლ ნაკლსაც.

ჭაბუკი ამირეჯიბის რომანში ხასიათები და ლოგოტირა სიტუაციები შიგნიდან არღვევენ იმ ჩარჩოს, რომელიც ნაწარმოების მთლიანობისათვის მიუფიქრებია ავტორს. მოსალოდნელი იყო ასეთი შინაგანი წინააღმდეგობა, რადგან მწერლის მიზანდასახულება და შემოქმედებითი ფანტაზია რაც შემთხვევებით ერწყმიან ერთმანეთს, მაგრამ ზოგჯერ ურთაერთს ცოლდებიან. მიზანდასახულება გულისხმობს ნაწარმოების სისტემის სახით მოფიქრებას, რათა მასში შემთხვევითი არაფერი იყოს, თვით დეტალბშიც კი. შემოქმედებითი ფანტაზია ზედავს ისეთ სინამდვილეს, რომელიც სწორედ მიზანდასახულობას აცხადებს ტრაფარეტად და არღვევს კიდევ მას, რადგან შემოქმედებითი ფანტაზიის თვითვე დაწყება თან თავისივე სისტემურობა და მიზანდასახულობა.

ფიქტობა, ჭაბუკი ამირეჯიბის არაფერი უნდა ჰქონდეს იმ აზრთან სადაო, რომ გრაფი სეგელის ჩანაწერები არ ღვას ავტორის ინტერესის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ის მეცნიერული დაკვირვების გამოხატეული სიტყვები, რომელსაც გრაფი სეგელის სათქმელად გვაც-

ჯანსუღ ღვინჯილია
 შურსულ „ცისკარის“ კროზა



ნობს, მისივე დაკვირვება, რომ გრაფი სეგედის კა არა, თვით ჰაბუა ამირეჯიბს ჰქირდება დათა თუთაშხიასა და მუშნი ზარანდაის ცხოვრების გზის ჩვენება შემდეგი დასკვნების ნათელსაყოფად:

„ზოგჯერ აღამიანი იქნება ყველაფრით, ათასი საუკეთესო ღირსებით იყოს შემკული და მათი სწორად გამოყენების უნარი კი არ გააჩნდეს. ღირსებები ერთი მონაცემებია, მათი სწორად გამოყენების უნარი მეორე. ორ აღამიანს იქნებ თანაბარი შესაძლებლობები, მაგრამ სხვადასხვაგვარი ზნეობა ჰქონდეს; მაშინ ყოველი მათგანი თავის შესაძლებლობებს საუკეთესო ზნეობის თანახმად გამოიყენებს. აღამიანის ნამოქმედარის ღირებულება მისა ზნეობის ღირებულებით განისაზღვრება. დარწმუნებული ვარ, ყველა დროის საზოგადოებაში იყო არწივის, სვავის თუ ჩიორას მეტნაკლები ასპარეზი და აღამიანი ერთს, მეორეს თუ მესამეს ზნეობრივი მიდრეკილების თანახმად ირჩევდა.“

უნადარბოა შეფის თანამდებობაზე ხანგრძლივმა სამსახურმა, ხოლო გადადგომის შემდეგ ამ წრეებთან სიახლოვემ შესაძლებლობა მომცა თავიდან ბოლომდე გამედევნებინა თეატრული ზემოთქმულის დამამტკიცებელი მკაფიო მავალითათვის. ეს არის ორი ძლიერი პიროვნების — აბრაგ დათა თუთაშხიას და მისი ამიდაშვილის, პოლკოვნიკ მუშნი ზარანდაის ცხოვრება და ურთიერთობა. განგებამ ისინი თანაბრად მიღიარა შესაძლებლობებით მოუვლინა ქვეყანას, მაგრამ ზნეობამ სხვადასხვა ასპარეზზე გაიყვანა.“

ეს არის მწერლური მიზანდასახულობის პირველი ჩარჩო, რომელიც ნაწარმოებს შინაგან ფორმად ეერ შეექსოვება, რადგან მას მწერლის ფანტაზია სიღრმიდან არ ანათებს. ზემოთ მოყვანილი დასკვნა ნაწარმოებს გარეთ დგას. თვით მწერლისა და მკითხველის ცნობიერებაში უნდა დაიწეროს იგი და არა ნაწარმოებში. იქნებ ეს ძალზე საჭირო თუ არა, ხელისშემშლელი დეტალი მაინც არ არის? მაშინ ვნახოთ, დათა თუთაშხიას ხასიათში, რომლის დიდ მნიშვნელობას ამოავითვე აღენიშნავთ, როგორი დისონანსი შეაქვს მას სწორედ თავისი ხელოვნურობის გამო. ეს დასკვნა აიძულებს მწერალს გვირის ხასიათის გამოვლენა ლოგიკური სიზუსტით დაგვიხატოს, მაგრამ ეს სიზუსტე ზოგჯერ ლაბორატორიული ცდის სიმშრალით აღინიშნება. გავიხსენოთ დათა თუთაშხიას რიგში დგომა დახლოთან, ვინზე შეფთავას „ცანცარა ცოლის“ (მწერლის სიტყვებით) სურვილი ურავოდ ნაპრის აღებისა და დათასაგან ამ სურვილის ჩაშლა.

„—მისთვის მოვიტევი ასე, ჩემთვის არ მოვ-

ქტეულვარ! — მისობა დათა თუთაშხიამ. თურმე თავხედებად იმდენი არ უნდა ვხედოთ, რამდენნიც მეერ ხლებიან. თვითონ კი არ ხლებიან, ზენე ვაქტეთ თავხედებად. ქალი იქნება თუ კაცი, შეფთავას ცოლისთანა ტუტუცი, — ერთხელ ინსტინქტურად რომ ჩაიღეს თავხედობას და ამას მორიდებული ხათრიანი კაცის მიმართ იზამს, ეს კაცი თავისი ზნეობრივი მონაცემებიდან გამომდინარე, თავხედობას შეარჩენს. მეორედ: სხვა სიტუაციაშიც შეიძლება ასე გამოუვიდეს. ტუტუცი კია, მაგრამ მიხედება, — თავხედობა ცხოვრებას ადვილებსო და სიკვდილამდე თავხედი იქნება.“

ეს ადგილი ხელოვნურია არა შეგ მოქტეული აზრის გამო, არამედ ცდისეული სიზუსტის გამო.

დათა თუთაშხიას ხასიათი იმდენად ძლიერია, რომ მწერალმა ბუკერი უნდა იზრუნოს მასზე. უნაყოფო ტოტები ჩამოაცდოს და ისე წარუდგინოს ქვეყანას.

დათა თუთაშხიას სხვ თავისთავში იკრებს ერთმანეთის საპირისპირო აღამიანურ ნიშნებს და სიტუაციებში იმდენად განსხვავებული გვევლინება, რომ მის შინაგან მოლოანობაზე საუბარი თითქოს წარმოუდგენელიცაა. მაგრამ პირიქით, დათა თუთაშხიას სწორედ შინაგანი მოლოანობით არის საინტერესო პიროვნება. მწერლის ერთ ყარგ ღირსებაზე უნდა მოვიანიშნო ამასთან დაკავშირებით. ჰაბუა ამირეჯიბი თანამედროვე მწერალია ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. მან „მოხსნა“ განსაკუთრებულთა, როგორც გვირის თვისება, თვით ისეთ პიროვნებასთან მიმართებით, როგორც არის დათა თუთაშხია. მისი გვირის ნიშნობრივი აღამიანია, ყველაღვერ ურთიერთობაში არავისაგან არ განირჩევა. ყოველივე ეს მწერლისაგან მხატვრულად არის დასახულებული. ჰაბუა ამირეჯიბი დათა თუთაშხიას ისეთ სიტუაციაში გვიხატავს ზოგჯერ, თითქოს ამ კაცს ვეყავივობის ნატამალი არ გააჩნდეს და უქლიერეს აბრაგად არ იყოს ცნობილი. მაგრამ როდესაც ხიფათი შეექმნება, ერთბაშად განსხვავება ყველასაგან და მოველი სიმადლით წარმოსდგება ჩვენს წინაშე.

სანამ გვირის ხასიათის არსებითი ნიშნების ანალიზს მივყოფდეთ ხელს უნდა მივანიშნო გვირისათვის ნიშანდობლივ განწყობილებაზე, რომელიც არც თუ უშვითად ვარაუდოვს პიროვნებას და რომანტიულ ელთრზე ჩვენს მას.

ყუბანში, სოფელ ბარაკეჯავაში დათა თუთაშხია აბრაგულმა მოუხვეწარმა ცხოვრებამ მიიყვანა. აქ იგი თიყვა ძაძუთათან ერთად საყასრე წიფლებს ჰრიადა. მოჭრილი წიფლის წაქცევა აფორიაქებს დათა თუთაშხიას: „სხის წაქ-



ევეა დათას არ უნახავს-თქვა, ვერ დიტყვი,— გვწყვება თაყვა ძაძუა, — უნახავს მაგრამ ის ხეები სულ სხვა ხეებია. მათი წაქცევა სხვა წაქცევაა სულ და მიტომ ქონდა დათას ცნობის-მოყვარობა. დიუციანეს პოელონიკებმა, როგორც იქნა, ის უშეკლებელი წიფელი, გაიტაცა-ცუნა ხეში. გაიკონა დათამ ტყეებში, შემატოვა ხელში ბირღაბირი და მაშტერდა წიფელს. დაიძრა ხე, დაენარცხა მიწაზე. შეეხვედ დათას; ხერხების დროს რომ იყო მუხლებზე, ზის ისევ ის, კაცის ფერი არ ადევს, ოფლი ნაწივით აყროა სახეზე და გეფიცები მაღალ ღმერთს, წამოხტომაზე და გაქცევაზეა. თუ არ გაიქცეოდა არ მეგონა“. ეს არ არის შემთხვევითი დეტალი, როგორც იტყვიან, სიტყვას არ მოჰყოლია. იგი მწერალს საგანგებოდ აქვს მინიშნებული, როგორც დათა თუთაშხიას განწყობილება. იგი მოიღის შინაგანი კეთილშობილებიდან, რომელიც ერთიანად აფორიანდება, ღამაში, დიდი ხის წაქცევისას. ეს ის სულიერი მშვენიერების მარაგია, რომლითაც დათა თუთაშხია რიგით ადამიანებზე მაღლა დგას. ამ სულიერმა სიღამაზემ და შინაგანმა ვაყეკობამ „გამოავლო“ იგი მოთმინებისა და შეგუების ბანალური წრიდან და დაუპირისპირა ცხოვრების წესს, თავისი თანამედროვე საზოგადოების დახვეწებულ ფსაქოლოგიას, სათუო ზნეობას და ზნეობრივ კანონებს.

ხასიათის გარდასახვა იწყება სწორედ მას შემდეგ, როდესაც იგი შინაგანმა კეთილშობილებამ ცხოვრების პირისპირ დააყენა და, უსამართლობის წინააღმდეგ აამხედრა. ამ კ საზოგადოების ფსიქოლოგია ჩაეღვარა დათა თუთაშხიას პიროვნებას. ამ „აბრაგის“ ყოველ რეაგირებაში ჩანს, როგორ ვარკეთილი მისთვის: კეთილშობილების ყველა ფორმა, როგორი უნი-ადგო აღმოჩნდა სიკეთის შემართება, როგორ ავიდა ადამიანთა საზოგადოება იმ ფაზადე, სადაც სიკეთისა და ბოროტების ავალი ერთმანეთში ჩაიხლართა და აზრი დაკარგა ჰუმანიზმში.

დათა თუთაშხია მთელი არსებითი განიცდის ავისა და კარგის საწყისების ერთმანეთში გადასვლას: ის დაცილება მოისპო, რომელიც საპირისპირო პოლუსებს გამოიწვევდა ერთმანეთისაგან ადამიანის სულში. როდესაც კეთილ საქმეს კეთილი გზა ჰქონდა და მაღლიერებით სვესე თვალში გასდევდა, როდესაც ბოროტს ყველა ცნობდა და კეთილგანაწივით განერიდებოდა, ის დრო წაივდა. ის დრო დადგა, როდესაც საგნებს თითქმის თავ-თავისი სახელი ჰქვიათ, მაგრამ არასებთან ნიშნებს კარგავენ და ერთმანეთში ითქვიფებიან.

დათა თუთაშხია პირველი ჩაერეოდა ხოლმე საქმეში, მართლის მხარეზე დადგებოდა და საკეთეს აზრობებდა. მაგრამ ეს არსენა მარაბლელისებელი ყაჩაღობის ფორმა: ბანალტრობამდე მივიღოდა თუ ასევე განმეორდებოდა დათა თუ-

თაშხიას სახეში. არსენა მარაბლელისათვის, აქვს კეთილის მხარეზე დადგომას. დათა თუთაშხიასთვის სიკეთის ქმნამ დაკარგა აზრი, რადგან მის მხარეზე დადგომას ისეთივე შედეგი მოჰქვს, როგორც ბოროტებისათვის ხელისშეწყობას მოჰყვება. დათამ ფეხზე დააყენა ბედლარას და ბუღარისას — ამ ხის მკრედელების ახალი, დარბილი ოჯახი. მაგრამ ამ ადამიანების ცნობიერებაში სახელი ვერ დაერქვა დათას კეთილშობილებას. ეს სიკეთე ნაირრიტა ჩვეულებრივი ყოფის წერილობებში და მალე უსანდისოდ გადაუხადეს დათას აწა.

ეს არ არის შემთხვევითი: მომენტო, მაშინ დათა თუთაშხიას პიროვნება არ განახოვადებდა მას და თავისი გზის ერთგული დარჩებოდა, მაგრამ იგი ცხოვრებამ დაარწმუნა, რომ ადამიანის ფსიქოლოგიას უკვე აღარ ძალუქს. დაადგებულ სულზე კეთილშობილების, მაგალითი დაინიოს, აირეკლავს მას. ამიტომ დაამკვიდრდა და შენიფოდა დათა თუთაშხიას ხასიათში ჩაერევის პრინციპი.

„იღვა დათა თუთაშხია განუმებული, მიწაში იყურებოდა, — წადი, — კუთხარი მე, — ცოდვია ეს მანძალა, ვეებ დაეაჯეროს იმ დედაკაცმა მართლად.“

— რას არის, რომ ღამაარაკობ, თიყვა! — ვამიწყრა დათა, — კახა დედაყაყების საქციელში ჩაიქვა რა ვაყაყის საქმეა?! — მე კარგი მინდოდა ამათთვის და წახლენე პირველი. შევიდი ერთხელ და რომ შევიდა კიდებ — არ ივარგებს: ჩემს დასკვნას განამტკიცებს მომღწენო აბხატი: „კახა დედაყაყების საქმეში არ ჩაერევიო! ფოთში კახას რომ აწყენინეს მეზღვაურებმა და გამოესარჩლა, — ვინ იყო ამა? და თას ნეთო მიაყენიტეს მამინ“. აშკარაა, რომ ხასიათი განდაისახა: ამ მომენტიდან იწყება სწორედ ის საინტერესო: რაც თავისთავადობას ანიჭებს დათა თუთაშხიას პიროვნებას და ვინახევენებს თუნდაც უკეთილშობილესი ყაჩაღებისაგან. ამ გააზრებთ დათა თუთაშხია ახალი სახეა ქართულ ლიტერატურაში. ეს მოტივობრიული და სერიოზული განცხადებაა. ამ აზრს ანაღრზით დამტკიცება ჰქონდა. გაყვეთ დათა თუთაშხიას ხასიათის ანალიზს, რაც დაგვიწმენებს ზემოთქმულში.

დათა თუთაშხიას მოუხდა აბელა სეთურის მიერ დამოწმებული ხალხის ცხოვრებაში ჩარევა, მაგრამ მის კეთილშობილებას იმევე მონების კეტები მოუხდა. ამ მომენტის შემდეგ დათა თუთაშხიას შეგნებაში თანდთან დამკვიდრდა ჩაერევის პრინციპი: როდესაც დათა თუთაშხიას შესაძლებლობების ქმნენ პიროვნება აუხარობად მიიწინეს კეთილის ქმნას, ამ დროს საზოგადოებას რაღაც უპირის ეპვის ქვეშ დგება მი-

სახელო ლეონიდი
 შშრნაღ, ცისკრისა, კრწხა, ილიასინ.

სი მომავალიც. აი, ადგილი რომანიდან, სადაც დათა თუთაშვიას თავისი საქციელი კატეგორიული მსოფლმხედველობით აქვს გამაგრებული: „ჩემი გასაჭირი ავუსხენი, ვთხოვე; ცხენი მომაქირავე, ეს ხელსაწყოები ღურუს ღუქნამდე მიმატანიე-მეთქი.“

— არ ვაქირავებ ცხენს, ბატონო, — მითხრა თუთაშვიამ მცირედენი ღუმლის შემდეგ და ღიძრა.

გაუმრი. ეს ერთადერთი ხსნა იყო და ესეც ხელიდან მეტყობოდა.

— გასაჭირი მაქვს და ამ უდაბურ ადგილებში ნადირის საძიძვნად უნდა დამტოვოთ? — მივაძახე გამწარებულმა.

ისევე გაჩერდა. ესლა კარგა მანძილზე იდგა, წაგებისკენ იყურებოდა და ფიქრობდა.

ბერი მიუახლოვდა და უთხრა:

— ცოდვია, ადამიანის შეილია. დაეხმარე, სამაგიეროს მაღალი ღმერთი არ დაგიკარგავს.

თუთაშვიამ გაიცინა და თავის გზას გაუღდა. ჯერ კიდევ ჩაუქვლელმა „ინსტინქტმა“ თავისი გაიტანა. თუთაშვია დაეხმარა ბერსაც და მგზავრსაც, მაგრამ სწორედ ეს სიკეთის ქმნა ინანა:

„მივხვდი, ისეთი კაცი იყო, მაღლობა უნდა მეთქვა და გავტვრენილიყავი, ესეთებთან ბევრა ლაპარაკი ზიანის მეტს არაფერს მოგიტანს.“

იასე ბერიც, ალბათ, იმასვე ფიქრობდა, რომ კრინტი არ დაუძრავს. თუთაშვიაც ჩუმად იყო. მხოლოდ კარგა ხნის მერე ჩაალაპარაკა თავისი თვის:

— შემაცდინეს, მაინც!

მე იმ ნათქვამის ვერაფერს მივხვდი. მაგრამ იასე ბერმა ივლისხმა, თუთაშვია თავის საქციელს ნანობს, უდრტივნიელად რომ არ დამეხმარა და ნუქვშე სცა.

— ღმერთი მოწყალეა!

თუთაშვიამ გაიცინა:

— მე ის ვთქვი, შევედი, რომ შეგებარალე, მაშაო!“

ვინც ამ რომანის ლიტერატურული პარალელელებით დაინტერესდება, ბევრ საინტერესო თანხედენს იპოვის მსოფლიო ლიტერატურის წიაღში. ამ რომანში მონათესავე სიუჟეტები დგანწყობილებანი როდია მთავარი. აქ ყველაფრის მიზეზი ის თანამედროვე საზოგადოებრივი ფსიქოლოგიაა, რომელიც დღესდღეობით განსაზღვრავს ადამიანთა მიმართებას საგნებთან და მოვლენებთან. განსაზღვრავს ზნეობრივ საფუძვლებსაც. მთავარია ადამიანის ფსიქოლოგია, რომელიც წალეკა დადებითი და უარყოფითი ნიშნების დიფუზიამ და ეს პროცესი თავისებურად ვლინდება როგორც ინტელექტუალურ პიროვნებაში, ასევე „აბრაგ“ დათა თუთაშვიაში.

დათა თუთაშვიას გულგრილობას დიდი ტიპიკი ახლავს. მის პიროვნებაში რომანტიკაა გა-

მოგლოვილი. ადამიანის რეალური, დღესდღეობითი ცხოვრება ეთხოვება რაინდობის წყურვილს. მწერალი ღურუს ღუქანში დატრიალებულ ამბებს მთელი თავისი ოსტატობის მაქსიმუმს ახმარს, რათა ამ ამბების შუქზე გამოჩნდეს დათას პიროვნება, მისი სამოქმედო ფილოსოფიის თავი და ბოლო. აქ ამ ადგილებში მკითხველი რამდენჯერმე იმსკვლება დათასადმი ზიხლით და პატივისცემითაც ერთდროულად. ამ აზრს გახსნა პირდება: ღურუს ღუქანში დათას დაუნდობელა ავაზაკები დახვდნენ. „მაგიდაზე უხვი ბურბარული ელაგათ, ღვინოს დიდი ჯამებით სვამდნენ და სამთავეს ერთად, მთელ მათ ღრეობას აჯაგრული ზღარბის იერი დაჰკრავდა“. ასეთი მსუყე ფრაზით გვიხატავს მწერალი მათ სახეს. ერთერთი ყაჩაღი ღურუს ქალიშვილის კიკუს შეცდენას ცდილობს ფულით, აქვე; მაშის ღუქანში. სიტუაცია იძაბება, ღუქანში მსხდომნი ამზარხნად განიცდიან ყველაფერ ამას. საშინელება თანდათან მზადდება. მწერალი შესაშური თანმიმდევრობით გამოხატავს სიტუაციის დაძაბვას. მივაქციოთ ყურადღება, რომ სამივე ყაჩაღი მრისხანე, სისხლისმსმელ და დაუნდობელ მხეცებად არიან წარმოდგენილი. მათ ისე შეავიწროვეს კიკუ, რომ იასე ბერი, რომელიც დათასთან ერთად მოვიდა ღუქანში, წამდაუწყუმ იმეორებს: „ღმერთო, უშველე, ღმერთო, უშველე“. ხოლო გიკო ტატიშვილი, რომელიც ამ ამბავს მოგვითხრობს, განავრძობს:

„საყოთარი უმწეობის ბოღმამ მეც ერთხანტულად დამიარა. დაყოენება აღარ შეიძლებოდა და თანამესუფრეებს აცახტებული ხმით წაეჩურჩულე.“

— ვინმე უნდა ჩაერიოს. ერთხელ თუ შეცდა, მერე მაგას ვერაფერი დააკავებს. ფოთი აქვია, ნავსადგურის მეძავე გახლება, გესმით? ვინმე უნდა ჩაერიოს!

თუთაშვიას მივაშტერდი. ხან საყვედურის მტკიცე მოთხოვნის, ხან მუდარის თვალთ შეცქეროლი. მან ჯერ იასე ბერს შეხედა, შემდეგ თვალ თვალში გამიყარა და გულგრილად, ცივად თქვა:

— არაა ჩემი საქმე, არ ჩავერევი მე.—პატარა ხანს, სულ რამდენიმე წამს ჩუმად იყო. — არასოდეს არ გამოვა კარგად. არავის არ ჰქირდება... თუ სისხლში და მოდგმაში აქვს მაგას, მაინც იზმა, რაც გინდა ქენი შენ. არავინ არაა ღირსი“.

დათა თუთაშვია ამბობს: „არ ჩავერევი მე“.

— „არავინ არაა ღირსი“. აქ კიკუზე უფრო საცოდავი თვითონ დათა თუთაშვიაა, რადგან ძალა, რომელსაც შეუძლია ბოროტება შეაჩეროს. უაზრობად მიიჩნევის თავის დანიშნულებას. ამ ამბავთან დაკავშირებით: დათა თუთაშვიას პიროვნება იდეალისაგან არის დაცილი, მიზნას გარეშეა დარჩენილი, და ამიტომაც ადამიანური ყოფის ტრაგედიას ამჟღავნებს. ზის ეს უკეთილ-

შობილესი ვაჟაკი, შეპყრებს თელწინ მოსახ-
დენ სწინელებას და ამბობს „არ ჩავერევი მე“.
იქნებოდა გულის გამაწვრილებელი სათავედასა-
ვლო ამბის ხლართი, ეს დიდი ხასიათი პრობ-
ლემა რომ არ აქცედეს ამბავს, მაგრამ ყოვე-
ლი დეტალი პრობლემის დასმას და გადაწყვე-
ტას ემსახურება და არა ცნობისმოყვარეობის
დაპყრებას. აი, ერთ-ერთი მათგანი, ასე ტყეა-
დი და მრავლისმეტყველი:

„ჩაზა ჩხეტამ დოინჯი შემოიყარა, ამაში ან
მიზანიც იგარმობოდა, მაუზერთან ხელი ასლო
ჰქონოდა, კიდეც რადიოს თქმა დააპირა, მაგ-
რამ საქმე სულ სხვანაირად შეტრიალდა და სი-
ტყვა პირში შეაშრა: თუთაშხიამ ხის ბუდიდან
ისე მარდად დააძრო მაუზერი, რომ მისი ხელის
მოძრაობას თვალი ვერც ერთმა ვერ შევასწა-
რით. დაძრობა და სროლაღა ერთი იყო. სროლა
და კიუს სიდუნებულად ერთმეორეზე შეკო-
კოლებული თუმნიანების იატაკზე გადაცენაც
ერთი იყო“.

თავისთავად აღებული ეს მომენტი არაფერია,
თუ არა სათავედასავლო რომანის შესაფერი
ადგილი. მაგრამ აქ მისი დანიშნულება აპო-
ლოგურად განსხვავებულია. ამ „რევერანსიო“
სიყვთემ თავისი არსებობა და ძალა შეახსენა
ბოროტებას, ხოლო ავაზაკურ საქმეში რომ
ხელს არ უშლიდა, ეს იმ დუმილითაც კარგად
ჩანდა, რომელშიც ჩაძირულიყო აქამდე დათ-
თუთაშხია. ბოროტებამ განაგრძო თავისი საქმე,
კეთილმა განაგრძო თავისი დუმილი და ჩაურევე-
ლობის განწყობილებას მისცა ერთიანად თავი.
ამიტომაც დათა თუთაშხიას პიროვნება ლოკო-
კური თავისი არსით, ამიტომაც მის მოქმედებაში
ყველაფერი განსაზღვრული. ამბები, სიტუაციე-
ბი, მორბილი დიალოგები იქითვე მიყავს
მწერალს, რომ დათა თუთაშხიას პიროვნება გა-
მოკეთოს რელიეფზე და ამ პიროვნებით სიყ-
ვთისა და ბოროტების გაგების დღეიანდღეო
მწვევე პრობლემას უთხრას თავისი სიტყვა.

ბოროტება უახლოვდება თავის კულმინაცი-
ას, დათა თუთაშხიას კიდეც ერთხელ შეახსენე-
ბენ, რომ ჩარევაა საჭირო, რომ ჩარევა მისა
პირდაპირი მოვალეობაა. დათა თუთაშხია პა-
სუხობს:

„—არაა ჩემი საქმე, აღარაფერი არაა ჩემი
საქმე. თუ მე არ მეხება, მე! ეგენი არც ერთი
არაა ჩემი ჩარევის ღირსი. მივა კიუს ამაღამ
მავსთან, რომ ჩავერიო, არ მივიდეს იქნება,
მაგრამ უარესს შერგებიან მერე, ვიცი ეს! —
თუთაშხია დადუმდა, ხელი ჩაქინა და დასძინა
— გავთავე ეგენი მე!“

დათა თუთაშხიას გულგრილობით აღშფოთე-
ბულმა იასე ბერმა ლაჩარი უწოდა მას. მეთ-
ხველი ერთი წამით იასეს მხარეზე, რადგან ში-
ნაგანად აღამიანი ყოველთვის ბოროტებისადმი
წინააღმდეგობას ესწრაფვის. დურუს პატარა ბიჭის

ძობას მიხედავს რომ არ შეასრულა დათა თუ-
თაშხიამ, უფრო გაძლიერდა ზიზღი გმირისდ-
მი, როდესაც დურუ დაქრეს და განადგურებუ-
ლი კიუს დუმილი ხელში გამოლასლასდა გარეთ,
ეს ზიზღი რისხვად იქცა, მაგრამ ნაწარმოების
შინაგანი ლოკია მკაცრად მისდევს თავის
პრინციპს. აქ დათა თუთაშხიას ჩარევა ერთ-
ბაშად წაშლიდა ნაწარმოების დედახრს. მაგ-
რამ დათა თუთაშხიას წასვლა დურუს დუმი-
ლიდან შესანიშნავად არის გადაწყვეტილი. მწე-
რალმა შეძლო ამ სიტუაციის ზუსტი დასრულე-
ბით კიუსა და დურუს უბედურება კი არა ან
ამბავში აზრდაკარგული სიყვითის ტრაგიკული ამო-
გვეითხა. ყაჩაღები, რომელთაც გააბახეს კი-
უს, მოკლეს დურუ, გაა აუბნიეს ძობას და ასე
საშინელ ურჩხულებად წარმოვიდგებოდნენ.
დათა თუთაშხიას პირისპირ საცოდადვი ლარე-
ბად მოხანან:

„გარედან ცხენების ფლოქვების ხმა შემოი-
ქრა. ბონდო ყვალთავამ ყურები ცქციტა, მაუ-
ზერი ფეხზე შეაყენა და გარეთ გავარდა. ამხა-
ნაგებიც მიყვენენ:

- ცხენები მიყავს ჩვენი!
 - რატომ მიყავს, დათა თუთაშხია, ჩვენი ცხენები!
 - დატოვე ჩვენი ცხენები თვარს..
 - თვარა გესვრით!“
- დათა თუთაშხია პასუხობს:
- „—თქვენ დურუს რომ ესვრით ის კაცები
ხართ! მე რომ მესვრით ის კაცები არა ხარა,
წუბაკო მამაძალღუბო თქვენ!“

ამ სიტყვებშია გაბრწყინილი საიდუმლოებაც
და ტრაგიკულობაც დათა თუთაშხიას ხასიათისა.
აქ უნათლესად ჩანს, რომ მას ერთი ხელის აღ-
მართვით შეუძლია ბოროტების შეჩერება, მაგ-
რამ სიყვითის ქმნამ საბოლოოდ დაკარგა მისთვის
აზრი და ამ საშინელი დასკვნის ღრმა, მტკი-
ნეულმა განცდამ ერთიანად მოაღწუნა მისი
უზარმაზარი ენერჯია. ტრაგიკულია არა კიუს,
დურუ და მისთანანი; ისინი მხოლოდ უბედურ-
ნი არიან, ტრაგიკულია დათა თუთაშხია. ამ
ტრაგიკულობას განუმეორებელი სიღამაზე ახ-
ლავს, და სინანულნარევი განცდაც გასდევს
თან.

ქაბუა ამირეჯიბი სიტუაციების შექმნის დიდ
ოსტატობას ავლენს. ამაზე ცალკე უნდა აღი-
ნიშნოს. მაგრამ ეს ნიჭი რისკის გამო ზოგჯერ
ფანტაზიისაგან დაცლილ ხელოვნურ ხლართში
მოქცევა ხოლმე. ცოტა ადგილი როდი აქვს და-
თაშხიას ნარდის თამაშით ხალხის ყველფე-
ლი სელიმას ალაგმვას თუთაშხიას მიერ, სე-
ლიმას მუხანათურ საქციელს, დათა თუთაშხიას
შეპყრობას და გაქცევას, ყველა დეტალი და-

ჯანსუღ ღვინჯილია
შუარნად „ცინკარის“ პროზა



კავშირებულია და იქითკენ არის წარმართული, რომ დათა თუთაშხიამ ასეთი დასკვნა გამოიტანოს: „არ გამოვიდა ჩემი მოქმედებიდან არაფერი“.

დათა თუთაშხიას ხასიათს ასე მონოლითურს და მტიციეს ალიავებს ყურნალის მე-6, მე-7 ნომრებში წარმოდგენილი სიტუაციები. მაგრამ ამის შესახებ თვით ლოგიკური სიტუაციების განხილვისათვის ერთად მინდა ვილაპარაკო.

რომანის სიუჟეტის ლოგიკურობის ასახუნელად არანაყოები ენერჯიაა დასახარჩავი, ვფიქრობ, საგრძნობი უნდა იყოს, თუ რაოდენ ბუნებრივია დათა თუთაშხიას ხასიათი, ეს ბუნებრივობა ებრძვის ჩარჩოს, რადგან იგი „ზედმეტი სიუსტრითაა“ გაანგარიშებული. ჩარჩოში ვგულისხმობ ხელოვნურ გარეგნულ ფორმას, რომელიც ვარს ერთმის დინამურ სიუჟეტს და ხასიათის სიღრმედან არ იღებს დასაბამს.

გრათი სეგედის ჩანაწერები და პარალელურად რომანის ამბებთან დაკავშირებული მოხრობელების შემოყვანა ერთმანეთს უქვაგლებურად დანადგე ბუნებრივად აღიქმება დათა თუთაშხიას ცხოვრებასთან დაკავშირებული პირების მონათხრობი, იმდენადვე „ლიტერატურომანიის“ კვალი ატყვია გრათი სეგედის დღურებს, რითაც იწყება რომანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით გრათი სეგედის პიროვნება სხვა მხრივ დიდ ინტერესს აღძრავს.

მაგრამ სიტუაციების გაქვი საკმაოდ ვრცელია. რამდენიმე მთავანი დიდი „ლიტერატურის“ წიანს დაამშვენებს. ნაწარმოებს რომ სიტუაციები ჰკრავენ ერთ მთელად, ამის შეხსენება არავის ჰკრდება. მაგრამ სიტუაციებს სიმბოლური ძალაც მიანიჭო აგრეთვე, ეს ყოველთვის როდი ხერხდება. „დათა თუთაშხიას“ ავტორი წვიანდ ძნელი და სარისკო გზით, სიტუაციის სიმბოლური დანიშნულება მან ნათელ რვალიზმს შეარწყა. სადაც ეს ვერ შეძლო, იქ უფსკრულივით აშკარა ხელისმოცარავ, ხოლო სადაც მიზანი დაძლეულია, იქ მკითხველი და მწერალი ერთდროულად ზეიმობს.

ნუ შეაფერხ „დათა თუთაშხიას“ გარეგნული ფორმის ორიგინალობას, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ფორმა ქართული მწერლობის სინამდვილეში ერთგვარი სინედლის განცდას ტოვებს. მაგრამ იგი საერთოდ ნაცად გარეგნული ფორმაა. ნუ მივაფერხ, რადგან კიდევაც რომ იყო ასე, ეს მაინც არ ჰქნებოდა ისე დიდი მნიშვნელობის მომენტი, რომ დაერჩილა მთავარი ღირსება — დათა თუთაშხიას ხასიათის ტრაგედულობა და მასთან დაკავშირებული პრობლემა, აგრეთვე ლოგიკური სიტუაციების სიმბოლიკა.

ჩემი აზრით, რომანი პორტნიკ ანდრიეცკის დღიურებით იწყება, რადგან ხელოვნურობა რომელიც რომანის დასაწყისში ერთგვარად „აღიზიანებს“ მკითხველს, ამ თავში წყდება, იქ

ედება საფუძველი ძალდატანებელ მწერლობაში, რომლითაც გაიმარჯვა ნაწარმოებმა. როდესაც მწერალი მოქმედებაში გვიხატავს დათა თუთაშხიას ხასიათს, სულ სხვა ცხოველმოქმედი ძალა ხდება საცნაური. თიყვა ძაძუას მონათხრობის ყოველი სიტყვა ზოგადის გამომატეულია. უბრალო აღმინებთან გაეცემული სიკეთის ძალა გამოსცადა მწერალმა ამ ამბავში. აქ უნდა, „გადატყდეს“ დათას ხასიათი. ამიტომ ყოველ დეტალს საფუძველიანად ვვაცნობს. თითქოს მნიშვნელოვანი არაფერი ხდება, მაგრამ ამ „უმნიშვნელოში“ დათას ხასიათის შემობრუნება დაინახული. ბუღარასა და ბუღარასის უმაღლრობა ის ბიჭი იყო, რომელმაც აქამდე ჩვეულებრივი, კეთილშობილი ხასიათი ტრაგიკულობისაკენ მიაკვია.

მაგრამ სიმბოლური სიტუაციის ძალა ვერ კიდევ მხოლოდ ოდნავ თუ იგრძნობა.

სწევრის მონათხრობში აღუფასიანო ხერხია გამოყენებული გმირის ხასიათის გამოსამყვანებლად. „ქვეყნის გასწორების“ დათა თუთაშხიასეული ცლა ასე პრიმიტიულ დეტალებზე დანდობით შინაგანად აღიარებებს პიროვნებას, რომელიც აქამდე რამდენიმე კალმის მოსმით უკვე თავისთავადი ნიშნებით დამკვიდრდა ცნობიერებაში. მწერალი ამის აკეთებს სულ სხვა მიზნის გამო. უნდა, გმირი გვიჩვენოს სხვადასხვა შემთხვევაში და მათ შუქზე გაანათოს მისი სახე. მაგრამ სელომასა და მარტლას წინააღმდეგ ბრძოლით ქვეყნად სიკეთის დათვისის სურვილი გმირის აზარტს უფრო აშკარად აღიარებს, ვიდრე იმ პრობლემას, რომლის დასაწყობლადც ეს გმირია „შექმნილი“. დარბეულია ეს ხერხი არა მხოლოდ იმიტომ, რომ უმეტესად სათავედასავლო რომანებისათვის ნიშანდობლივი სიკეთის ქმნის დეტალებს იშვიათად მერაბდენედ, არამედ უფრო იმიტომ, რომ თითოთი ხასიათის ეწინააღმდეგება, რადგან დათა თუთაშხიას ხასიათისათვის ეს ყველაფერი წვირილმანია, ალოგიკური. დათა თუთაშხიას პიროვნება უფრო „მარტვი“ დეტალების შუქზეც განათდება ხომღე რომანში, მაგრამ ისინი ხასიათში შერწყმული არამედ უფრო მნიშვნელოვანად შეიგრძნობა. სწევრის მიერ მოთხრობალი ამბები კი შევცნებამდე დაღის.

„ამაშიც მართალი ხარ, დათა, ჩემისთანება ბევრია, ჩემისთანების ქვეყანა ჩვენი ქვეყანა. შენი ხნისა მეც შენისთანა, იქნება ცოტა უარესი იყავი, დრომ გაიარა — ქვეყნის გასწორებაზე ხელი ავადე. კასრებით ვეპურბ. ამისთანებას ქვეყანას რა გაასწორებს! სელემშ მამულს შიამვირა თითი — ხარბები არიან. იცის ჩემთან მომგები არ არის და დღეს-ხვალ ნახე, ორი მავდენი თუ ისევ ჩემთანვე არ წაგოს, რატომ? მკონია მოკვებს და იმიტომ“.

მაგრამ „დათა თუთაშხიას“ ავტორი ჰაიპარად არც ერთ სტრიქონს არ წერს. გამიზნული იყო



სნეგუკას მიერ გამოცემული ამბების დანიშნულება. მან კიდევ ერთხელ უნდა გვითხრას, რომ საიკეთეს ქმნის წყურვილი აზრს კარგავს დათა თუთაშხიას პიროვნებაში, მაგრამ ეს სიტუაციები მხატვრულად არ არის დასაბუთებული და ზემოქმედების ძალასა მოკლებული.

კაჯა ბულავასთვის ფულის წართმევის ამბავი ერთ ძვირფას თვისებას გვიმტყავნებს გმირისას. შემდეგ ეს თვისება რამდენიმე ადგილს კიდევ ვაგახლად, იგი მწერლის შინაგანი ხილვის ღიღ ძალაზე მიანიშნებს და არ შეიძლება არ აღინიშნოს. დათა თუთაშხიას ვეცაკეთობის თავზარდამცემი სახელი გარკვეულ მომენტებში პირდაპირ ეწინააღმდეგება გმირის მოქმედებას. ზოგჯერ დათა თუთაშხია ისე უბრალო, ჩვეულებრივადამიანად წარმოგვიდგება, რომ აღარც კი გვახსოვს, ეს კაცი ის ახრავი თუა. მთელი ქანდამერია რომ დასდევს დასაქვრად—თითქოს შეწინებულო, სხვებზე ნაკლებ აქტიური, წვრილმანი ვნებებით გატაცებული. ამ თვისებების წინ შემოჭვება მისასაღმებელია. მწერალი მხატვრულად ასაბუთებს იმ აზრს, რომ თვით ყველაზე დიდი რაინდიც კი ყოველთვის „უზორცილსავით უშიშო“ როდია. ასეთი უბრალო დათა თუთაშხია სწორედ კაჯა ბულავას აკლებს ამბავში. ამით არის ნიჭიერი ბუბუტიშვილის მონახობი საინტერესო და ლოგიკური, თორემ კაჯა ბულავას დარიგება დათას მხრივ ამდენი ფულების პატრონი ცოლ-შვილს შამშალით რატომ კლავს, — საახლად ვერ ჩათვლება.

სიმბოლიური სიტუაციების ზემოქმედება თანდათან ძლიერდება, მისე ზამთარაპის მონახობი მხატვრული სრულყოფილებით გვხვბლავს. ყოველი დეტალი ერთმანეთს აღრმავებს და აძლიერებს ამ ამბავში მოქმედულ აზრს. სიომეში ასელა სეთურთან და ძვირფასი შიშის მოპოვებაზე მომუშავე ადამიანთა ცხოვრების გამოსახვა მთლიანად საზოგადოებრივ ფსიქოლოგიამდია აყვანილი. ადამიანების ბუნება აქ იმ სიღრმემდია გაშთვლებული, სადაც მხოლოდ უზოგადესი კანონები მოქმედებენ. თვითონ სეთურის სახე, მისი „მარტივი“ ფილოსოფია ხალხის ცხოვრების მართვის შესახებ, ასინეთა უდიანის პიროვნება და ბავშვების ფსიქოლოგია ყველაფერი ურთულესი სულიერი შრეების განათებას ემსახურება.

— მე რომ ადამიანს და მის ზნეს ვხედავ, მსხე ბატონო, ყველა კაცი ისე ცხოვრობს და ისე იტყუვა, როგორც თვითონ მისწონს და სხვა კაცი მის საქმეში არ უნდა ჩაეროს, არ უნდა შეუშალოს ხელი. შენ გატანჯული გგონია და მას უხარია და მოსწონს თურმე, თავისი დღე და ხეღერი. ჩემი ბრალია ყველაფერი. იქ რომ მიიხრია, უნდა, ალბათ, მაგ ხალხს ყმობა და მონობა — მასე ყოფილა მართლაც. აგერ შენ და აგერ მე და ის მაღალი ღმერთი — ფიცი და მძღვია: აღარ ჩავერევი აღარავის საქმეში, სა-

ნამდევრ დაერწმუნდები, ჩარევა ღირს თუ შენთვის რეულობა. გგონია არც ერთი კაცი არაა ამდენად მსხე მისთანა, სხვისი ჩარევის და დახმარების ღირსი რომ იყოს“.

დათა თუთაშხია ფიცს დებს, რომ არ ჩაერვა არც ერთ საქმეში. რომანში შექმნილ სიტუაციებს ამიტომ აქვს განზოგადებული მნიშვნელობა. ყველაფერი გამიზნულია იმისათვის, რომ გმირი ამ დასკვნამდე მიიყვანოს. რა უნდა იყოს საზოგადოებისათვის იმ აზრში მისაღები არაფერი, მაგრამ ეს აზრი რომ დამაჯერებლად არის დახატული — ეს არის საინტერესო და დამაფიქრებელი. დათა თუთაშხიას ფიცი მხოლოდ მისი პიროვნების ტრავიულოზას როდი მოასწავებს, თვითონ საზოგადოება წარმოგვიდგება ტრავიულოზად. მწერლის ხედვამ საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ის შრეები ამოიტანა ზედაპირზე, რომლის დაფარევი მოჩვენებით წესრიგსა და მარმონიულობას განაპირობებს ცხოვრებაში. მაგრამ ეს მოჩვენებითობა დათა თუთაშხიას მსგავს პიროვნებას ვარაყვას, რაც ღირსეულ არსებობაზე უარის თქმას ნიშნავს თვითონ საზოგადოების მხრივ.

არაუგადლური ლიტერატურის შემოტანისათვის დოცენტის დაპატიმრება და მუშნი ზარანდას საუბარი მასთან: — ამბავში შემთხვევითი არაფერია. პოლოცენე მუშნი ზარანდას — მუშის რუსეთის მსახურის სიტუება გავისყენოთ: — „მე უპირველესად კოვლისა, ჩემი ხალხის, ჩემი მოღვმისა და ერის შვილთავანი ვარ. აქედან ვალდებულებებიც და, რა თქმა უნდა, არავითარი პარტიები. ვარ ჩემი ერის მოქმედი ერთეული, ვალცილი თითოეულ მარტოკლი. დიან და მე პირჩენილა, რომ თქვენ ჩემი ხალხი აზიაროთ იმ შეცნიერულ ცოდნასა და შეხედულებებს, რაც ჩვენი შორეული წინაპრების გენიამ შექმნა, ან რომელსაც საკუთრივ თქვენი და თქვენისთანების ტალანტი, ქართული კაცის ბუნება შეიმუშავებს ატლო მომავალში. სულერთია დაარსდება ქართული უნივერსიტეტი, აღსდება მეცნიერული ცოდნის გამომუშავების ძველთაძველი ტრადიციები. თქვენ და თქვენისთანების ამ დაწესებულებაში მოღვაწეობა ვაცილებთ მეტ სარგებლობას მოუტანს ჩემი ხალხს, ვიდრე ანარქისტთა იდეების ქაღავება და, მით უმეტეს, მათა ნაძალადევილ დამპყობისათვის თქვენი სიკვდილი“.

ქუჩი თორისაგან მოთხრობილი ვირთაგვების ამბავი: — რომანის სიუჟეტურ ქარავში ამ სიმბოლურ სიტუაციას საზოგადოებრივი მოვლენების ქიტექსტი აფარებს თავს. მერმან თორის „ლაზარეთთან“ დაკავშირებულ წგრილმან ამბავთა შორის ვირთაგვების ამბავის ჩართვა

ჯანსუღ ლინჯილია
 შურნალ „ცინკარის“ პრინჯ

კვლავ მთელი ძალით შეგვაგრძობინებს ნაწარმოების გამძლე ხერხემალს.

ერთგვებების ამბავი დიდი აზრით არის დატვირთული, სასოვადობა და თვით იშპირია უსუსტის თვალთა ამ ამბავში წყითებული. „ღათა თუთაშხიას“ ავტორი, როგორც მწერალი, ჰუმანიზმის მხარეზე რჩება; აქაც, როდესაც სინამდვილის ტრაგიკულ ბუნებას გვიმკვდინებს. ჰუმანიზმის მხარეზე რჩებოდა მაშინაც, როდესაც თუთაშხიას ხასიათის ტრაგიკულობას ვხეხატავდით. ერთგვებების ამბავი აუხსნელად ამბობს თავის სათქმელს:

„კაცობების გამოზრდა ორი ხერხით შეიძლება. შიშით და სიმაძღრით. საბოლოო გამში ორივე ერთნაირ კაცობიას იძლევა, მაგრამ მე შიშითის ხერხს ვაჭიროებდი, ნაკლები დრო სჭირია. აუცილებლად შეიძლება და ცხრა ცალი სპირით. დაქვრიობა ცხოველები უნდა ცარიელ კასრში მოვათავსოთ. თუ კაცობიას გამოყვანას შიშითის ხერხით ვაპირებთ, კასრითონის უნდა იყოს, თორემ ძალიან რომ მოშივდებარ, ხისას გაღრმან და გაიქცევიან. სიმაძღრის ხერხის დროს კი ჩვეულებრივი კასრის გამოყენება შეიძლება. — მაძღრი ცხოველები კედლებს არ ერჩიან. სიბნელეც აუცილებელია სიბნელე თუ არ იქნა, კაცობა ვერ გამოიზრდება. კასრში და მის ფეხებზე სიბნელეა. ამა რა იქნება, თუ არ ჩაანათე შივი. თუ შიშითის ხერხია — წყლის მეტი არ უნდა მივცეთ არაფერი. თუ სიმაძღრის არის — თავსაყრელი უნდა ჰქონდეს ერთი რომელიმე საკვება სიმინდი ან ხორბალი, თუ გნებავთ. ამას მოკლედ გელაპარაკებით, თვარა, მთელი პედაგოგიური სისტემაა ეს...“

გიგო ტატიშვილის მონათხრობი კულმინაციური ძალის დევილია რომანში. ხასიათი და სიტუაცია აქ სრულად შეერწყა ერთმანეთს და ორივე მალამხატვრული ძალით არის დასაბუთებული. თუთაშხიას ხასიათის განხილვასთან დაკავშირებით მე ამ სიტუაციაზე ვილაპარაკე და ამიტომ მეტად აღარ მიუბრუნდები.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მომენტის იწყება რომანის სხვა პლანში გადასვლა. აქ პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ რომანის პრობლემა და თავისთავადი ხასიათები „ებრძვის“ მე-6, მე-7 ნომრებში გადმოცემულ ამბებს. რამდენადაც აქ წარმოდგენილი სიტუაციები თავიანთი არსებითი სათავგადასავლესაკენ იხრებიან. ირაკლი ზურციძის კანტორიდან დაწყებული, ამბების მსვლელობა, და არხნეე მუსკიას ნიღაბში მოქცეული თუთაშხიას სახე რაღაც ძირითადი ხაზიდან დაიკლებს გრძობას იწყებს ჩემში. აქ დასკვნაში არ მინდა მხოლოდ ჩემი სუბიექტური დასკვნა ივლისსხმოს მკითხველმა. ეს დასკვნა ყველა პირობის დაშვების შემდეგაც ნდებდა. მუშნი ზარანდიას, გრაფი სევედისა და ღათა თუთაშხიას ხასიათების თავისთავადობა

ვერ უძლებს იმ სიმაძღრეს, რაც ამ სიტუაციებში სათავგადასავლო ბუნებას ახლავს. მწერლის მიტყენული საკითხების გარშემო შეიწოვს სიტუეტური ხლართს, სუფრანზე რომ მიმდინარეობს გაჭიანურებულად. მაგრამ შლითურისა და არხნეე მუსკიას შეპასულებაში, აგრეთვე ერთ-ერთი ეპიზოდური გმირის წამოახილვაში, „საცოდავო საქართველოვ, საით მიდიხარ!“ — ძვეს ის საეარაულო პირობა, რომელმაც შეიძლება რომანის მეორე ნაწილის განვითარებას პირველის შესატყვისი პარალელური ხაზი აღმოუჩინოს და საბოლოოდ შეაქსოვოს ერთმანეთს. გადაჭრით ამის თქმა ახლა შეუძლებელია; მწერლის დანტახიში უცნაური ჩარევა გამოვევიდოდა. მხოლოდ ეს კია, რომ ეჭვრნლის მე-6, მე-7 ნომრებში დასტამბული რომანის ნაწილი თავდაღმართს დაემსგავსა.

მუშნი ზარანდიას და გრაფი სევედის პიროვნებანი, მათი რომანის პრობლემასთან მიმართების საკითხი ისეთივე ჩაღრმავებას მოითხოვს, როგორც ესაჭიროება ღათა თუთაშხიას. ამგვარად არ ვეხები მათ, მაგრამ უნდა მივანიშნო, რომ მათი პიროვნული სამყარო დიდი ინტერესის აღმძვრელია. განსაკუთრებით ითქმის ეს მუშნი ზარანდიასზე.

უსათუოდ წამოიჭრება ამ ანალიზიდან გამომდინარე კითხვა, როგორ განვითარდება რომანი? თუთაშხიას ხასიათზე თავისი თავი ამოუფრია და პასუხი ვასცა პრობლემას თუ მწერლის ფანტაზიას კიდევ რჩება ფრთის გასაშლელა სივრცე? არ შეიძლება არ ენდო მწერლის ნიჭს, რომელმაც ამდენი სხივი გამოსცა რომანის პირველ ნაწილში, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ „ღათა თუთაშხიას“ ავტორის შემოქმედებით ფანტაზიას დიდი ჯაფა დაადგება ახალი სიღრმეების წარმოსაჩენად.

„ეცისრის“ მე-8 და მე-9 ნომრებში დასტამბა გვიე მადულარიას ისტორიული მოთხრობა „მეამბოხენი“. გვიე მადულარიამ ბარათაშვილისა და ქეთევან წამებულის სულიერი ცხოვრების გამოხატებით ადრინდელ მოთხრობებში სრულსხვაგვარი წარმოდგენა შეგვიქმნა თავის სტილზე. გმირის ფსიქოლოგია ამ მოთხრობებში შეიწოვს როგორც ემპირიულ მოვლენებს, ასევე ნაწარმოების სიტუეტსაც, ბარათაშვილისა და ქეთევან წამებულის სტლის მოძრაობა ისე ენერგიულად და ღრმა დინებად არის წარმოდგენილი, რომ მწერალი მხოლოდ ასეთი სტილის მფლობელად წარმოგვიდგენია უკვე. ერთგვარად ნოულოდენელი აღმოჩნდა ამიტომ „მეამბოხენის“ ემპირიული ნიშნებით განსაზღვრული ხსრობა. ამაში გასაკვირი რა უნდა იყოს, მწერალმა განსხვავებული ფორმა აირჩია, — არ გაყვა თავიდანვე აღებულ გზას, რომელიც შეიძლება ერთგვაროვნებაში ჩაყარულიყო, სწორედ ფსიქოლოგიზმის ფაქტორზე ზედმეტი ხაზგასმით. მაგრამ საქმე უფრო რთულია. რომელი გზით



შეძლო მწერალმა უკეთესი შედეგისათვის მი-
 ეღწია. ფსიქოლოგზომის მომენტების ჰარზად
 შემოტანით. თუ „მეამბოხენისათვის“ შესამჩნევი
 „მშრალი“ თხრობით? აქ შეიძლება ბევრი რამ
 იყოს სადაო. ის, რაც ასე ძლიერია ბარათშეუ-
 ლისა და ქეთევან წამებულის სულიერი მოძ-
 რაობის გამოსახვაში. უფრო ლირიკული საწყი-
 სისავენე მიაბრუნებს ნაწარმოებს. ორივე აღ-
 რინდელი მოთხრობა ფაქტიურად მონოლოგა.
 მხოლოდ ეს არის, რომ მწერალი ცდილობს
 პროზის სამოსელში მოაქციოს იგი. ამან განა-
 პირობა ის ექსპრესია, რომელიც ნაწარმოებში
 შეიგრძობა და რომელმაც ასე მკვეთრად გაუა-
 ჯა ხაზი მწერლის სტილს. მაგრამ, აი, ისტაბილება
 „მეამბოხენი“ და ირკვევა, რომ თხრობის ეს
 ფორმა არ უნდა მიგვაჩინდეს გივი მალულარიას
 სტილად. მწერალმა განსხვავებული ფორმა შე-
 მოგვთავაზა. ახლა გასარკვევია, რომელია მათ
 შორის გივი მალულარიას მწერლური თავისე-
 ბურების სრულყოფილიად გამომხატველი? რო-
 მელია უფრო ბუნებრივი, აღრინდელი თუ აწინ-
 დელი? იქნებ არც ერთი და არც მეორე. იქნებ
 მომავალში დადგინდება მწერლის სტილი და
 ჭრჭერობით მხოლოდ სტილურ მრავალფერო-
 ნებასთან გვაქვს საქმე. რაც ძიებას გამოხა-
 ტავს, და არა შედეგს? მხატვრული დამაჯერებ-
 ლელი როგორც პირველი ორი მოთხრობა, ასე-
 ვე „მეამბოხენი“, შთაბეჭდილებას პირველები
 უფრო ღრმას ახდენენ, მაგრამ პროზის კანონ-
 ნებს უფრო „მეამბოხენი“ პასუხობს.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც „მეამბო-
 ხენის“ წაკითხვის შემდეგ შეიგრძნობა, არის
 ერთგვარი გაკვირვება, დამღლევი ერთფე-
 როვნება. მაგრამ ამას ნაწარმოების სავანი და
 სათქმელი ამართლებს. აქვე უნდა აღინიშნოს,
 რომ ამ ვრცელ მოთხრობაში არც ერთი ადგი-
 ლი არ შემხვედრია მხატვრულად დაუძლეველი
 რომ ყოფილიყო. მსუყე, მიღიარო აწერებით
 არის დატვირთული ყოველი ფრაზა, არც სიუ-
 ეტური ხაზს აკლია სინედლე. მაგრამ ისტორი-
 ულ ამბებზე თხრობამ დაჩრდილა სულიერი
 მოძრაობა. მწერალი მიზნად ისახავს თანაღდ-
 როვე თვალთ წაკითხოს ისტორია, მაგრამ ამ
 მიზანს თვითონვე უშლის ხელს ზედამიერულ
 ფაქტებზე ყურადღების გადატანით. ამიტომ მო-
 თხრობის კითხვისას ინტერესი გზადაგზა ნელ-
 დება, რადგან ერთმანეთს ენაცვლება არა სუ-
 ლისმიერი წიადსელები და სინამდვილე, არამედ
 სინამდვილე და წარსულის მოგონება.

ეს შენიშვნები დასაბამს იღებს იმ მომთხოვნე-
 ლობიდან, რომელსაც იმსახურებს გივი მალუ-
 ლარიას ნიჭი. რაც შეეხება „მეამბოხენს“, რო-
 გორც ისტორიულ მოთხრობას, ის ძალზე სა-
 ყურადღებო და თავისებური ნაწარმოებია. აქ,
 ერთი მხრივ, იგრძნობთ ადამიანის ბუნების
 ღრმა ცოდნას, მწერალი ახერხებს დადებითი
 გმირის სწორზხოვნების თეორია უკუავეღოს

ან უფრო სწორედ, ისე დახატოს გმირი, რომ
 დადებითი პერსონაჟის სწორზხოვნება არ
 ძნობთ. იგრძნობთ ისტორიული ავბედობის გამო
 დეფორმირებულ ხასიათს ხალხისას, იგრძნობთ
 სალი, ანალიტიკური აღლოთი წაკითხულ ისტო-
 რიას, რომელშიც არაფერია შეღამაზებული,
 რომელშიც ბოლომდე გამართლებული ან ბო-
 ლომდე გამტყუნებული არავინ არ არის. იგრძ-
 ნობთ. რაც მთავარია ძირითადს: — ადამიანი
 არ არის გრანიტივით შეუვალი არსება, რომ
 აწეწილი, ამღერეული დრო და მოვლენები აშ-
 ლვრევენ თვით უწმინდესი ადამიანის სულსაც,
 მის საუკეთესო ბუნებით თვისებებს ფსიკრზე
 ჩაიტანენ და შემთხვევითს ამოატეტიებენ ზე-
 ვით. მწერალი არ ცდილობს აღიწოდოს გმირი,
 ამხელს მის საქციელს, ხოლო სიდიადეს იმაში
 ხედავს, რომ გმირს სწადია თავი დააღწიოს ამ
 შეცდომებს, ამბების მღვრიე ქაოსს და პირნათ-
 ლად ემსახუროს სამშობლოს.

ამ ნიშნებში მეთავენდება გივი მალულარიას
 ნიჭის ძალა.

რაც შეეხება ნაწარმოების ენას, კითხვისას
 გრძნობთ მსუყე ფერებს, სავსე სტრაქონებს,
 შინაგანად ძლიერ ენერგიულ ფრაზებს, რაც
 აცოცხლებს ისტორიის სიღრმეს და ზედამირს:
 „ამოლაზხარმა უკან მიიხედა, სიცხისაგან
 ქანცხილილი მხლებლები მომჩაერულიყვნენ,
 სიფხიზული დაეკარგათ, ირკვევა ყველაფერა
 გადაბუვული, გავერანებული ჩანდა. ერთ დროს
 ამ უნაყოფო ველეზზე ბაღები ყვავოდა, წარმარ-
 თული ტაძრები ქათათებოდა, ახლა კი დანაო-
 ქებული სივრცის მეტი არაფერი ირხეოდა. მი-
 წის რომ ხრწნა შეძლებოდა, აქაურობა, აღ-
 ბათ, შშორის სუნით იქნებოდა აყროლებული.
 ამ გზით მოდიოდნენ საქართველოში დედა-
 წულიანად აყრილი გადამთიელები. ამ გზით მო-
 ვიდა ნადირ-შაჰიც, მაღალი, პირხმელი ჯარს ისე
 მოუძღლოდა წინ, თითქოს თბილისის აღების შემ-
 დგ მისი სამფლობელო ერთი ათად გაიზრდე-
 ბოდა. მოგოგავდა უზარმაზარი, გზარეული-
 აღვირახსნილი ბრბო, რომლის ამლაგველი ძა-
 ლა საქართველოში არ მოიპოვებოდა. ყიზილ-
 ბაშები სივრცეს წითლად ღებავდნენ, ნახევრად
 შიშველი ავღანელები მტრის სქელი ფენით
 იმურებოდნენ, თუთიყუშებით აქრლებული
 ქურთები ველურად ყიოდნენ. უკან მათ სვავე-
 ბივით მოყვებოდნენ ქურდები, ყომარაზები,
 მაწანწალები, რის შუქმასაც მგლები ვერ მოას-
 წრებდნენ, ისინი შესანსლავენდნენ. ბრბო ქშინა-
 და, ქოთავდა, წამლავდა წყალს, ჰაერს, სულსა
 და ხორცს. უზარმაზარი სხეული იმხელა სტო-
 მაქს მოათრევდა თან, რომ თბილისის მისი ამო-
 ყორვა არ შეეძლო. ოსმალებისაგან ნარბევი ქა-

ჯანსუღ ლინჯილია
 ჟურნალ „ცისკრის“ კრძხა



ლაქი დაიძაბა. ლანძღვა-გინებისა და კვიღლის აღსაქმელად მოეშადა.

ეს ვრცელი ამონაწერი, ჩემი აზრით, კარვად მიანშებს. ნაწარმოებებს თხრობის სტილზე, რადგან იგი ვაბატონებული ხერხია აქ. დილოგს საერთოდ არ მიმართავს მწერალი. ეს ცნობილი მომენტია ლიტერატურაში, მაგრამ გვი მაღულარია იმდენად ითავისუნად მას, რომ გვეწინააღმდეგება. მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

საინტერესოდ არის დახატული ისტორიული მოვლენების მსვლელობა. ეს არის მკაცრი რეალისტი მწერლის თვალი, რომელიც ყურადღების გარეშე არც ერთ არსებით მოვლენას არ ტოვებს. გვი ამოღებავს ბრძოლები ისეა წაიხსნება, რომ მასში ხან ქვეყნის მოღალატე ილანდება, ხანაც უერთგულსი მამულიშვილი, ამით მითითებულია თვით ისტორიული ამბების სირთულეზე, რომელიც განაპირობებდა პიროვნების მთლიანობას თუ შინაგან „დაშლილობას“. ნაწარმოები მიანიშნებს, რომ ქვეყანას აკლდა ძალი, ცხოვრების მომწვესრივებით პირობები, რომელიც ბუნებით მოღალატეებს მოღალატეებად გაამყვანებდა და ერთგულში ერთგულს წარმოაჩენდა. ერთი და იგივე პიროვნების გზა იმდენ ადგილზე იყო გაართულებული, რომ ბუნებრივად ჩნდებოდა იქვე: საერთოდ უნდოდა თუ ამ ადამიანს სწორი გზით ევლო?

მოთხრობაში გვი მაღულარია მიანიშნებს, საქართველოს ბრბო არ ჰყავდაო. ეს ხანგრძლივი, მწერალური დაკვირვების ნაყოფია. მწერალურს იმითმ ვამბობ, რომ მოთხრობაში ეს აზრი მხატვრულად არის დასაბუთებული, საქართველო ინდივიდუალურად ძლიერი პიროვნებების შეჭლა-შემოხლის ასპარეზად წარმოგვიდგება: ეს შეჭლა-შემოხლა კვეთს იმ ძარღვებს, რომლითაც ერის ორგანიზმი უნდა მოიქსოვოს.

გვი მაღულარია „მეამბოხენი“ ალბათ იქცევა განსჯის საგნად. ისტორიის დანახვის ახლებური უნარი იმსახურებს ასეთ ყურადღებას.

„ცისკრის“ მე-ნომერში დაისტამბა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ვრცელი მოთხრობა: „შაბი მღვრიე წყალში“. მწერალი მისთვის ჩვეული ოსტატობით ფლობს სიტყვას. თხრობა ლაღი და ძალდაუტანებელია. ნაწარმოები ეკუთვნის მოთხრობების ციკლს „ჩემო ვაიხენ“, ასახავს რეერლუციის პირველ წლებს და იმ სიმწელებებს ეხება, რომელიც ახალი ცხოვრების დამკვიდრებას სდევდა თან ოციანი წლების დასაწყისში.

„ცაბუნის“ ავტორისათვის დამახასიათებელი სიტყვის სიმკიდრევე, ხასიათის სრულყოფილი გამოძერწვის უნარი აქ თითქოს ჩამცხრალია. და შინც, ყველა გამოანათებს ხოლმე მწერლის ნიჭი. აი ერთი მაგალითი:

„როგორც ნაწიმიარ ტყეში მკადა სოკო, ერთბაშად მომრავლდნენ ლიტერატურული წრეები და სალონები. იზადებოდნენ ისინი რომე-

ლიმე შეგერილი მეცენატის სუფრასთან კიდევ რომელიმე ცნენა ლიზიკოს სსსრ-ის იბადებოდნენ გიმნაზიის კედლებში, არისტულ კავში ან სადმე დილომისა და კოჭრის გზაზე ამოჩემებულ დუქანში, სადაც თავდავიწყებას მონატრებული მშვიერი ბოქმეა ყოველდღე ახალ-ახალ მანიფესტს უკითხავდა შეზარბოებულ სტუმრებს“.

„ცისკრის“ პირველ ნომერში დასტამბულია ვრცელი აბაშიძის „ევარსლან ბაქურციხელი“ — ნაწყვეტი ახალი ისტორიული რომანიდან. ბუნებრივია, ამ ნაწარმოების ხასიათის განსაზღვრაზე ამჯერად საუბარი წარმოუდგენელია. მაგრამ ეს ნაწყვეტი მაინც მიანიშნებს მწერლისეული ფაფაფაზედგისა და სტილის ზოგიერთ ნიშანზე.

რომანში „ლაშარელა“, რომელმაც თავის დროზე დავა გამოწვივა, მწერალი „ახლოს“ იყო თავის გმირებთან, მათ სულიერ ცხოვრებასთან, მათი სულიერი წილიდან აღიქვამდა ისტორიულ ფაქტებს და მოვლენებს. ეს კი ხორცილ მოსივდა თავისთავად შიშველ ისტორიულ ფაქტებს, აცოცხლებდა არჩულ დროს. „ლაშარელაში“ ზოგი მომენტი დევს იწყვედა, მაგრამ რომანში აშკარად შეიმჩნევა მეტი სიცხოველე. „დიდ დამეში“ შეიცვალა მწერლის დამოკიდებულება საგნებთან, გმირების ფსიქოლოგიაა უკან პლანზე გადაინაცვლა და მოვლენების ემპირიულმა ბუნებამ დაიჭირა მათი ადგილი. „ევარსლან ბაქურციხელი“ — ახალი რომანია ნაწყვეტი—უფრო „დიდი დამის“ გზას მისდებს სტილისა და გამოსახვის ხერხების თვალსაზრისით. ზოგჯერ თხრობაში სიმშრალე იგრძნობა: „ბაქურციხელი რთული პიროვნებაა და ზოგჯერ გაორებულ მოღვაწულ გვეჩვენება: ვაკერ თავგამოდებით იბრძვის მონღოლთა წინააღმდეგ. სხვა მთარებზე გვიან ურიგდება დამპყრობელ და მათი ბატონობის დასამბობად მოწყობილი შეთქმულების სული და გული ჩანს“.

ამ ამონაწერის გვერდით, ვფიქრობ, ფაფაფათლივ გამოჩნდება ნამდვილი, მწერლისეული თვალთახედვით დანახული სურათი:

„გატრუნულნი მიდიოდნენ და ბანაკს თვალს არ ამორებდნენ, იურტების მწკრივი, წედან რომ თერთ რივედ იჩვენათ, ახლა ყოველ ნაბიჯზე დიდდებოდა და გასაფრენად გამზადებული უზარამზარი თეთრი ფრინველების გუნდს ემსგავსებოდა“.

ევარსლან ბაქურციხელის ხასიათი ამ ნაწყვეტში უარყოფით ასექტშია წარმოდგენილი. მისი პიროვნების მეორე მხარეზე — მამულაშვილის თავგამოდებასა და ბრძოლაზე ცოტათქმული. ამიტომ მეც ფრამენტული შენიშვნებით უნდა დავმყოფივლიდ.

თეან მაღალანია თავის ვრცელ მოთხრობას „თოვანგვეში“ ამ სიტყვებით იწყებს: „ამ მოსაყენდა უინტერესო ამავეში არაფერია მოგონი-

ლი ან შელაპაშვილი, მაგრამ ამას მაინც დაჰმინდ
დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მით უმეტეს, მა-
შინ, თუ ეს ნაშედეგად ასეა. ასეთ „თავდაბ-
ლურ“ განცხადებას მწერლები ხშირად მიმარ-
თავენ ხოლმე, მაგრამ მკითხველი ყოველთვის
ვარაუდობს, რომ მწერალი მაინც ეტყვის მას
რამიმ მნიშვნელოვანს.

მუხუდების თანამშრომლების ცხოვრების
ფონზე განსწავლულია ყოველდღიური ერთფე-
როვნებისაგან დაკნინებულ ადამიანთა სახეები.
შინაგან სიკარიელ და პრიმიტიული ფსიქოლო-
გია იცოთება მათ ხასიათში. გარეგნულად დაბ-
ვეწვლილ, თანამედროვე შეხედულებებით გამო-
ჩეული ნაწარმოების გმირები, რომლებიც ერთ
მეგობრულ ჯგუფს კრავენ, თავიდან კეთილად
განაწილებს მათადამი მკითხველს. მაგრამ ფურ-
ცელზე ფურცელზე იკვებება, ამბავი ამბავს ცვლის
და მწერალი თანდათან ამოშვლებს მათ ერთფე-
როვან სიკარიელს, მოკონად ორიგინალებს,
შინაგანად ჩამოუყალიბებელ ბუნებას. მათ გვე-
რდით საშინაურს იწყებს ადამიანი, რომლისა-
დმიც მწერალი თავიდან არასიმბოლურად გან-
გაწილებს:

„ხმა“ თითქმის ქალური ჰქონდა, ყოველ შემ-
თხვევაში არა მამაკაციური, მეტყველება და აქ-
ცენტო პროვინციული“. ეს კაცი გივი ევაშლია
— მუხუდების ახალი თანამშრომელი, რომელიც
„ჩამოყალიბებული ჯენტლმენებისა“ და თანა-
მედროვე ქალიშვილების დაცინვის ობიექტა
გახდა. არც მერე იცვლება გივი ევაშლისადმი
მწერლისა და მკითხველის დამოკიდებულება.
ის ნაწარმოების დასასრულსაც იმადვე რჩება,
რადაც მოგვევლინა: მაგრამ სწორედ „უარყო-
ფითად“ წარმოდგენილ პიროვნებასთან მიმარ-
თებაში კიდევ უფრო მკვეთრად გამოჩნდა ზე-
რებისა და ჯუმბერის, ბონდოსა და ანზორის, მა-
ისა და მკაცრ ხასიათი. გამოჩნდა მათი „დახვე-
წილობისა“ და „ჯენტლმენობის“ სიყალბე.

ზოხტი გივი ევაშლისადმი, რომელმაც ზე-
რამში დისაღვურა, ძალზე ზანტად შლის
ფრთხილს. და მწერალი მკითხველს „აიძულეს“
ალოგიურ სიტუაციებსა და დეტალებზე დახარ-
ჯოს ყურადღება. ჯუმბერის უცნაურობანი (იგი
მაიას სახლის ფანჯარასთან არის ყოველგვარ
აბრულებს) მწერლისაგან აღუსწავლი რჩება. არ
აქვს ნაჩვენებები მხატვრულად, რომ ეს ჯუმბე-
რის ხასიათიდან მომდინარეობს. გმირის ქცევა
ამიტომ ხელოვნურად მიწერილ უცნაურობად
აღიქმება. ნაწარმოების მთავარი სათქმელი
წვრილმანდეტალებში ჩაიკარება.

რა თქმა უნდა, მწერალს ყველა დეტალი მთა-
ვარი „სათქმელის“ ნათელსაყოფად ჭირდება, მა-
გრამ მწერალი ხასიათების თანდათანობითი გა-
შისვლება ჰქონდა დასახული და ამან გამოიწვია
საკვირისპირი შედეგი. რაკი მხატვრულად სუს-
ტად არის ნაჩვენები გმირების ხასიათების თან-
დათანობითი. ვამდებენა, ნაწარმოები იქცა გა-

ქიანურებულ თხრობად, რომლის ძირითადი
ბაგს — ზურაბისა და ევაშლის ურთიერთობას
დაერთო სხვა უფერული ამბები.

ჯემალ ქირიას რომანის „ამბავი არამხეტისა“
რამდენიმე თავი, რომელიც დაისტამბა „ცისკა-
რის“ მე-7 ნომერში ცხოველ ინტერესს აღ-
ჩავს, ერთბაშად ერთმანეთის გვერდით ამ ნაწ-
ყვეტში საპირისპირო მწერლებმა ნიშნებმა იჩი-
ნეს თავი. მსუყე ფერები, მძაფრი სიუჟეტი,
მდიდარი ლექსიკა, რეალური და ზღაპრული
სამყაროს მიხლოება ერთმანეთთან, ამასთან:
დეტექტიური ამბის ზღაბით სიუჟეტში, ხელოვნ-
ურად გამართებული მოქმედებები, გაჭიანუ-
რებული თხრობა ერთმანეთშია ვადაწინელი და
სიხარულთან ერთად ექვის ვრცობასაც კვებავს.
რომანის მთლიანობაზე წარმოდგენა ამ ნაწყვე-
ტით ძნელია. ერთი რამ კი უდავოა, „ცისკარმა“
საინტერესო ნაწარმოებზე მიაწინა მკითხვე-
ლებს.

რევოლუციური ორგანიზაციის დავალებით
ნაწარმოების გმირი მახუტი გამკეცის სახლში
შიდის — უნდა გამოიტყუოს და მოკლას მოლა-
ლატი. გამკეცი მშვიდობიანი ოჯახის მამაა და
თავის ბავშვთან თამაშობს. მახუტმა შილის
თვალწინ მოკლა ეს კაცი. რაკი ის ვარტ არ
გაყვა. ვარკვევით არ ჩანს, რა წინაპირობა უძ-
ღვის მახუტის ასეთ გამხეცებას, ორგანიზაცია
ჩაავიწიებს, თუ მოსივე ბუნებიდან მოდის შემ-
ზარავი სიმაკაცრე. მწერლის ნიჭი ეფექტზე დაი-
ხარჯა. მაგრამ უნდა ისიც ითქვას, რომ ეფექტის
პრიმიტიულობა „განაღებულა“ გადმოცემის
მწერლური ოსტატობით:

„ტუთილია, სულ ტუთილია!“ თითქმის ბურ-
სი გადავიდა თვლებიდან მახუტის და მარჯვენა
ხელი მოწყვეტილი აიწინა. მერე თვითონაც არ
ახლოდა, თუ როგორ მოხდა ყველაფერი, რო-
გორ ეყო ძალა, როგორ გაბედა. ტაკიანი გაის-
მა, ალბათ ტანსაცმელი გაიხა და იგრონო, თუ
როგორ უძალიანდებოდა მკვრივი სხეული მახ-
ვილს და როგორ უწყვედა თბილი სითხე ხელს.

კაცის სახეზე გაოცება გამოიხატა, თვალე-
ში ჯერ კიდევ არ ვაჭირობოდა წინანდელი ლა-
მილის კვალ.

— ბავშვი, ბავშვი, — წაიჩურჩულა მან და
ხელები ჩამოკარა. გოგონა მახუტის ჩაუვარდა
მკლავებში და მან იგი ანგარიშითეცმელად
მეკრდში ჩაიკარა.

მაგრამ როგორც კი დეტექტივის ხელოვნურ
სიმძაფრეს ვაცდა, მაშინვე საინტერესოდ წარი-
მართა ნაწარმოები. აი, გაქვეული მკვლელი
განცდის გამოხატვა: „იცილა ქალმა სახლიდან,
კოლა ვამბო, მწარედ, დაჭრილი ნადირივით.
ზეუტუნა ქარი ხან ახშობდა, ხან ქუჩებსა და
ორღობებში ატრიალებდა კვიცილს და აჩქარე-

ჯანსუღ ლვინჯილია
შურნალ „ცისკარის“ პროზა



ბულ მახუტის ეწეოდა, ზურგზე უტყალაშენებდა“.

მწერლის უნარი, ღრმად შეიკვრანოს ადამიანების განცდა, მიწის სურნელი, მეგრული მითების შთამბეჭდაობა, ხშირად ნატურალისტურ სიზუსტემდე მიდის.

რომანის არც თუ ისე ვრცელ ნაწყვეტში მთავარი გმირის მახუტის ფსიქოლოგია სრულად გადმოიშალა. თავისთავად და უჩვეულოა ამ გმირის სახე, მეკვლელობით დარღვეული წონასწორობა ამჟღავნებს მის ბუნებას, რომანტიკულია ღამის სურათები, ტყეში ხეტიალი და თავგადასავლები გამოქვაბულში.

მიანც რჩება უკმარობისა და ნღობის შეგრძნება ერთდროულად. ჯვამ ჭირიას რომანის სრულად გაცნობა ნათელ წარმოდგენას მოეკეცეს მის ღირსებებზეც და ნაკლებიც.

გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობის „მშების“ სიუჟეტი ასეთია: მეორე მსოფლიო ომია. ახალგაზრდებს ნოუს და ცოტნეს ერთმანეთი უყვართ. მათი ძმები ომში წაიღიდნენ. ცოტნე და ნოუს სიყვარული პატრიოტიზმთან არის გადაჯაჭვული. ყველა მათი შეხედრეა სამშობლოს დაცვის იდეაზე საუბრით მთავრდება. ცოტნე, რომელსაც უარი უთხრეს ომში წაყვანაზე სუსტი ჯანმრთელობის გამო, მოხალისედ მიდის. ცოტნეს სიყვარული და სამშობლოს ერთგულება გრძნობით გამსჭვალული ნოუს მიდის ომში. ომის დამთავრების შემდეგ ცოტნე ბრუნდება სოფელში, სანამ სახლში მოვიდოდა, გულში არ მოუთმინა და ნოუს სახლთან ჩაიარა. აქ მას სამგლოვიარო წარწერამ ამცნო, რომ ნოე დაღუბლულა. გაოგნებულ ცოტნეს ნოუს ძმედა შეიპატივებდა ეზოში, ყველაფერს აუხსნიან და უცნობი რუსი ბიჭის წერილს წააკითხებენ. ამ წერილით ირკვევა, რომ ნოე ყველას უყვარდა, როგორც მოწყალების და პოლკში. წერილში ისიც საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ნოე თურმე ერთ თავის მეგობარზე ადარდობდა. სოფელში და თვით ნოუს სახლში ხალაქ არ იცოდა ვინ არის ნოუს მეგობარი. მოთხრობა ასე მთავრდება.

სიუჟეტი აშკარად ბანალურია, მაგრამ ამ ხელოვნურ ქარავაში ახერხებს გრიგოლ ჩიქოვანი რამდენიმე დასაბამსოვრებელი სურათი და გვიხატოს. „გახვეებული იდგა გუზაზე, თვალს არ აშორებდა ძაძას, — არა, არა, — დახუტა თვალები და გახილა. გამსხვილდა ძაძაზე ასოებო, სიტყვები. სწრაფად აეფარნენ უზარმაზარი სიტყვები თვალეზე, ხელი აიფარა, მიანც ხედავდა. სიტყვები მთელ მის სიმაღლეზე ედგა წინ იშორებდა მარჯვენა და მარცხენა ხელით. სიტყვები ისევ და ისევ დგებოდა მის წინ“.

ფიქრობთ. „მშები“ ვერ მიეკუთვნება გრიგოლ ჩიქოვანის კარგ მოთხრობებს. იგი ვერ აკლენს მწერლის შესაძლებლობას.

რეკავ მიხვედრის მოთხრობები „თომა“,

„კაცი ცუდად არის“ და „პარმენი“ მწერლის ლეზას იქვეყნ სიუჟეტის სიზუსტე, მოთხრობებში თითქმის არაფერია ზედმეტი, ყოველი დეტალი სათქმელის სრულყოფას ემსახურება. ეს ერთგვარად გაანგარიშებული დეტალები აზუსტებენ მოთხრობის შინაგან არქიტექტონიკას. მაგრამ ზღუდავენ მწერლის ფანტაზიას. საინტერესოდ არის მოღვირებული პირველი ორი მოთხრობის „თომა“ და „კაცი ცუდად არის“ ამბავი, მაგრამ მხატვრულად სუსტად არის დახატული გმირების ბუნება. „თომაში“ მწერალმა სცადა საინტერესო ხასიათი შეექმნა, უნდოდა ეჩვენებინა შინაგანად კეთილშობილი ახალგაზრდის პირველი დამოუკიდებელი დღე ბაზრში, ბაზრისათვის დამახასიათებელ „სინდნელებზე“ მისი რეაგირება, მაგრამ მოხდა პირუტყუ: ხასიათი მკრთალად მოიხაზა, ხოლო ბაზრის უწესრიგობა თვალშისაცემად არის დახატული, რის შედეგადაც აქცენტი ბაზრის უწესრიგობაზე გადავიდა და მთავარი გმირი მის ჩვენებას მოემსახურა.

„პარმენი“ გმირის ფსიქოლოგიაა წინა პლანზე წამოწეული, ამ მოთხრობაშიც არის იუმორი, მაგრამ აქ იუმორი ხასიათის წარმოჩენას ემსახურება. პარმენის სულიერი ღრამა ნათელი და მძაფრია. „ცოლშვილიან კაცს პარმენ მიქლადეს სხვა შეუყვარდა“ — ასე იწყება მოთხრობა, რომელიც მიზნად ისახავს გვიჩვენოს ის შინაგანი ბრძოლა, რომელიც უნებისყოფო პარმენის სულში მიმდინარეობს. გადაწყვეტს თუ არა პარმენი გაუტყდეს ცოლს თავის გრძნობებში, ოჯახი დატოვოს და საყვარელთან გადაბარდეს? ამ შინაგანი ჭიდილის ჩვენებაში საინტერესოდ და ორიგინალურად გამოიკვეთა პარმენის ხასიათი, ამ მოთხრობაში არაა მხილება, აქ ჩვენებაა, ხატვაა, მწერლური ხედეა.

ჩემთვის აუხსნელია, რატომ მოხვდა ელი შერ გიორგაძის ნაწარმოები „სალამი თქვენდა, ბატონო გოგენი“ პროზის განყოფილებაში. ის უფრო თავისუფალი ლექსია, არა მართო თავისი რიტმის გამო (პოეტური პროზა ხომ არსებობს), არამედ პირველ რიგში თავისი განწყობილების გამო, პოეტური ხილვებისა და ამაღლებულობის გამო: „მძიმედ უმზერენ ფარაონები ეგვიპტის მხარეს, ქვესავით მიმომე, ქვისგან ნაკეთი ფარაონები შესჩერებთან ცოცხალი მშერით უსულო ქვიშას, პირამიდებიც დღითა და ღამით ესალმებიან პირქუშ უდაბნოს და ეფინება დიდი სიცოცხლე უდაბნოს პირქუშს, რადგან ყოველი ქანდაკება გამოიკვეთა კაცის მიერ, სალამია — უკვდავების მიმართ ნასროლი“.

მაგრამ, რაც მთავარია, ნაწარმოები ორიგინალურად არის გადაწყვეტილი, დიდი მხატვრის გოგენის სულიერი მიუსაფრობა სიშპო-

ლური ძალის დეტალბით არის მიწინაშეული. თავისთავად საინტერესო თემისათვის მიუ-
მართავ ილია რურუს. მან ფერეიდული
მოთხრობები შესთავაზა მკითხველს. ფერეიდან-
ში ქართველი ხალხის სისხლისა და ხორცის
ესოდენ მწიშნელოვანი ნაწილი „დაესახლა“
თავის დროზე. შაჰ-აბაზისაგან მშობლიურ მი-
წას მოწყვეტილი ხალხი მას შემდეგ „გურჯის-
ტანზე“ ყოველობს და ამ ოცნებებში ლევენ
თაობები სიცოცხლეს. ილია რურუამ სცადა ამ
ტიკვილის დახატვა. ეს კეთილშობილური გან-
ზრახვა, მაგრამ ჩანადიერი არ არის ბოლომდე
მხატვრულად ხორცმეხმული, თემა არ არის
დაძლეული.

„არაგვის სათავეში ტიტველ ქედებს შო-
რის ჩაზვიენულ დაფარულ გორზე მთელ საა-
რავგოს მოეყარა თავი“ — შოთა არაბული
თითქოს ხევსურების ერთ-ერთ რიგით თავშეყ-
რას „აღწერს“, ნაწარმოებში გამოჩნდება შე-
მდგომ, რომ ეს თავშეყრა ტრადიციის გედის
სომეღრაა.

„მეზღენე-მეხვეწურებში“ შუღლით ცნობი-
ლი მურათ ბაყურა გაერგვა: ამ ადამიანს
უკავშირდება ნაწარმოების დედაბერი. მუ-
რათ ბაყურა ცხოვრებას ჩამორჩენილი კაცი
არ არის, როდესაც შუღლისა და კეცნაობის სა-
ბაბს ეძებს, ეს კაცი. უბრალოდ, ყველაზე
მეტად განიცდის იმ არსებითი ნიშნების და-
კარგვას, რაც თავის დროზე ხევსურთა საკრე-
ბულის შინაარსს და სილამაზეს განაპირობებ-
და. იგი განიცდის ახალი დროისაგან შემუსრუ-
ლი ტრადიციების განადგურებას და ხალხის
ზნისა და ხასიათის შეცვლას. მწერალმა მშვე-
ნიერი დეტალით გამოხატა ბაყურას სევდა:
გმირმა ჭლანებზე თასები შემოიხსნა, რათა
იმას დატკეპოდა, ვინც პირველი დააბიჯებდა
თასამაზე თებს, დატკეპოდა, რათა ერთხელ
კიდევ ეგვარნო სისხლში ხევსურული სისხლის
ქუხილი. ამ იმედის დამსხვრევა მიგნებული
შტრიხითაა გამოხატული:

„წუთიც და იგი ადგილზე გაქვევდა, თავისი
ცაცია ხმლის ვადას წაავლო და დინჯად შე-
მობრუნდა.

იქვე, მის ფეხებთან, სამოდე წლის ბი-
კუნა გაშხლართულიყო ბლახებზე და ბორო-
ლასაჭით მშვიდი, დიდრონი თვლებით გაოცე-
ბული შეკურებდა ბაყურას. მერე ბეჭემა
ფეხებთან გაძარღულ თასმას დახედა, რომელ-
მაც ის წააქცია, ფეხი შემთხვევით რომ დაად-
გა, როცა მახლობლად მყოფი დედისაკენ მი-
ფაჩუნობდა“.

ბაყურაში ცეცხლი ჩაქრა, იგი გამოეთხოვა
წარსულს. ხმალი და ფარი ბავშვის დაუტოვა
სახსოვრად და საკრებულოდან წაიხდა სამე-
დამოდ. არის მის წასვლაში დიდი სევდა
და მწერალმა შეძლო ამის გამოხატვა. მხო-
ლოდ ნაწარმოების დასასრულს ზედმეტად

მიმანინა ბაყურას მოწოდება ხევსურებისადმი
გიორგი ხორგუაშვილი თავის ვრცელ მო-
თხრობაში „შავი გული“ შეეცადა გაეხატა
გარეგნულად მკაცრი, შინაგანად თბილი, ადა-
მიანური კაცის პორტრეტი ერთი დაწესებუ-
ლების ყოველდღიური ცხოვრების ფონზე.
მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მწერა-
ლი იმდენ წვრილმანს გამოიკვლია, იმდენ
არაფრისმთქმელ დელოვს გვაწვდის, რომ
მისმა ჩანადიერმა ვერ აისხა მხატვრული ნა-
წარმოების ფორმა. ამ მოთხრობაში მე ვერ
დავინახე ისეთი რამ, რომლის გამოც ასე
ვრცელი ნაწარმოები უნდა დაწერილიყო. ან
იქნებ ასეთი დასკვნა იმიტომ ჩნდება, რომ
მწერლის სათქმელი მხატვრულად არ არის
დასაბუთებული.

აკაკი ვასაძის მოთხრობები „ერთი ღამის
სევდიანი პანგები“ და „ხელოვნების მსხვერპ-
ლი“ გვაგვრძობინებენ მწერლის დაკვირვე-
ბულ თვალს, რომელიც გმირთა ფსიქოლო-
გიაში არსებობის ამჩნევს და მასზე მიგვანის-
ნებს. საინტერესოა მოხუცი პეტრეს განცდ-
ები. ენერჯისაგან დაცლილი მოხუცი კაცისა
და ახალგაზრდა მეუღლის ფსიქოლოგია ბევრ
მწერალს ვამოუხატავს. უნტერესოდ მასზე
არც აკაკი ვასაძე წერს, დეტალებიც სწორია
და გადაწყვეტაც, მაგრამ მხატვრის ხელი მაინც
აქლია. მოთხრობაში ერთი ადგილი იქცევა ყუ-
რადღებებს, რომლის სისავსე გზიბლავს: „ქალ-
მა მთელმარე სიზანტით, როგორც ბუხარ-
თან გაწოლილმა, საკუთარი ზმანებებით ვართუ-
ლმა კატამ, რომელმაც წინასწარ იცის პატ-
რონის სიღარბე და გემრიელ ლუქმას არ მთ-
ელის, ზმორებით მოიხედა. ანც ერთი ნაკვით
არ შერბევია, ოღონდ სახზე ყრუ სევდა ვა-
დაეკრა. ბატონი პეტრე მწყურვალე თვალე-
ბით ეძებდა მის მზერას, მაგრამ ის სადღაც
საენჭეს მიღმა იკარგებოდა“.

ასეთი ადგილები იშვიათია მის მოთხრო-
ბებში, ამიტომ ვგვრძობთ ფსიქოლოგიურ სი-
ზუსტეს, მაგრამ მხატვრულად დაუსაბუთებ-
ლობას ერთდროულად.

შატილი მთელი საქართველოს დარდად
იქცა დღეს. კოლორიტული, თავისთავადი ფე-
რებითა და შინაარსით მცხოვრები შატილი
ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი სხეულისა
და ისტორიული სახის განუყრელი ნაწილია.
შატილის დაცარიელებას ყველაზე მეტად მი-
სივე მკვიდრნი განიცდიან, როგორც ადგილზე
დარჩენილი, ასევე ბარში გადმოსახლებულ-
ნი. სოსო ჭინჭარაულის მოთხრობას „შატი-
ლი“ ეს მძაფრა განცდა განმსკვალავს.

ძნელია ამ ნაწარმოებს მოთხრობა უწოდო,
უფრო მხატვრული ნარკვევის ფარგლებში

ჯანსუღ ღვინჯილია

შურნალ „ცინარის“ პროზა



ზის, მაგრამ მასში ბევრი კარგი ადგილია, განსაკუთრებით მაშინ არის დამაყრებელი მწერალი, როდესაც შემოაღწიწნულ ტივილებს გადმოსცემს: „ვილაყები“ მესალმენიან და ხელს-მართავენ. ვერტმფრენთან ბევრი ხალხი მოვროვდა. ზოგს ვიცნობ, ზოგს ვერა. უხერხულად ვდავაარ და თავი რატომღაც თვატრში მგონია. მოქმედების დაწყებამდე, თითქოს სცენის გასწვას ვეცდოდე.

ვილაყ მხარზე ყოველ შემხვო. ვმრავლები. ვფიქრობ: — ნუთუ შატალი ჩემთვისაც თვატრალიური. სანახაობის ასოციაციად გადაიქცა?.. ნუთუ შატალი?..

ან „ვადები“ ჩემი სახლის ხდებოდა და ყოველ ვტვირთ, ვტვირთ, ალბათ, პირველად და უკანასკნელად, ჩემი ნასახლარის დირეხუე უპატრონო-ბავშვივით ჩამოვჭდარი. არ მინდოდა, ვერ ვმედავდი ჩემს სახლში მოსვლას, ბოლოს, როგორც იქნა გავხადე, მოვედი, დიან, ჩემს სახლში მოვედი, ახლა კი მარტო ვხედავ, სოფლიად მარტო და ვტვირთი“.

სავანებოდ განხილავს საკითრებს რევან ინანიშვილს. მოთხრობები, განსაკუთრებით „მგლის ლეკვები“ და გურამ დოჩანაშვილის ვრცელი ნაწარმოებები. „ჩემი ბუჭბუჭა, ჩვენა ტრეზა“, დაწერილებითი და ღრმა ანალიზი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა ამ ნაწარმოებს საფუძვლიანად შესათანებლად, მიმონილვითი ხასიათის წვრილში არ ხერხდება, ამიტომ ფრაგმენტულ ანალიზს ამჯერად თავი შეგნებულად ავარიდებ.

„შატარა მოთხრობების“ რუბრიკის ქვეშ „ციკრიკი“ მეთუ ნომერში დაისტამბა მანანა ავალიშვილის, ლია ლომთაძის, თამარ ყავრიშვილის, ირაკლი ბერიაშვილის, რუსლან ღონაძის და ჯემალ მეხრიშვილის ნაწარმოებები. მე არ მიმანია საკითრად ამ ავტორებს შორის ვინმე განსაკუთრებით გამოვეყო, რადგან ჩემი აზრით, ეს რუბრიკა ერთგვარად ჭანჭიკის დუნქერას ასრულებს და იმისათვის არის გამოწვლილი, რომ ახალი ავტორები წარუდგანოს მკითხველს. ასე რომ, თითო-ორთა ნაწარმოებით რომელიმე მათგანის მწერლური შესაძლებლობის გაზომვა ამჯერად ძნელია, მა-

გრამ ამ რუბრიკის საერთო სახეა კარგი მოთხრობები ვმოგვებით არის შერჩეული და ამით არა მარტო მათი ავტორების ღირსებას ვავსების ხაზი, არამედ თვით ქურნალის საერთო დონესაც. ეს აზრი ჰაერში გამოვიღებულ რომ არ დარჩეს, ამიტომ ნათქვამის დასადასტურებლად ერთ ადგილს მოვიყვან მანანა ავალიშვილის მოთხრობიდან „ქალაქში დაკარგული ცაივი“, რომელიც საერთოდ ძლიერ მხატვრულ ადგილად მიმანია: „ქალის გრძობები ვსკერისკენ დაშვებულ ღრმა ძილს მოცევა. მკიდუე ყინულივით ვაუსხლტა: ხელიდან სიხარულისა და ვანციფრების ნიჭი, მხოლოდ ტკივილი დაბოვიენბდა მკერდში“ და მის ფერწასულ ყოფას აჩქარებდა“.

მე საკითრად არ ჩავთვალე აგრეთვე კარლო კობერიძის, თამაზ ბიბილურისა და ვალერიან ჩეკურიშვილის მოთხრობებზე სავანებოდ შეჩერება, რადგან ეს მოთხრობები იმდენად გამოვეთილი, კარგი მოთხრობები არ არიან, რომ მათი დაბეჭდვა მნიშვნელოვან ფაქტად ჩავთვალთ, ამასთან ამ მოთხრობებში არც ისეთი სერიოზული ხასიათის სადავო მომენტებია, რომ ამის გამო მათზე შეჩერება აუცილებელი ყოფილიყოს. ისინი მათზე ავტორების შემოქმედებაში საშუალო სიძლიერის ნაწარმოებებია, რომლებშიც ჩანს ამ ცნობილი მწერლების ოსტატობა და გემოვნება.

სავანებოდ არ შეჩერდი აგრეთვე ლაშა თაბუკაშვილის, ბადრი ზოხონელიძის, ანზორ სალუქვაძის, გოდერძი ჭეიშვილის, მზია შენგელიას, გიორგი ზედგინიძის, ზურაბ კუხიანიძის და გუგული ტოგონიძის ნაწარმოებებზე, რადგან ისინი ამ მწერლებია ვერც ძირითად ნაჯლზე ვეუბნებთან საფუძვლიან სიტყვას და ვერც ძირითად ღირსებაზე. ამიტომ უფლება არა მაქვს მათი შესაძლებლობა ამ მოთხრობების განხილვით ცხადვეო.

ქურნალმა „ციკრიკი“ შარშან თავის ფურცლებზე გამოქვეყნებული ნაწარმოებებით საკმაოდ ნათელი შეხედულება შეგვიქმნა თანამედროვე ქართული პროზის ტენდენციებზე.



პოქსანდრა სიბულავსკი

ბჭკარედის მიღმა

(ერთი პოემის სამი თარგმანი)

ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთ ადრინდელ პოემას „გოგოთურ და აფშინას“ მისი ვენის მწვერვალს მიაკუთვნებენ. არსებობს ამ პოემის სამი თარგმანი რუსულ ენაზე. — მანდელშტამის თარგმანი — გამოქვეყნებულია ეურნალ „ოსტრაკის“ მესამე წიგნში 1923 წელს, — ერთ-ერთი პირველი; ცდა ვაჟა-ფშაველას პოემების რუსულად თარგმნისა. „გოგოთურ და აფშინა“ 1940 წელს თარგმნა მ. ცვეტაევამ, ხოლო ათწლის შემდეგ — ნ. ზაბოლოცკიმ.

რამდენიმე წინასწარი შენიშვნა: მანდელშტამმა, ცვეტაევამ და ზაბოლოცკიმ ქართული ენა არ იცოდნენ და ბჭკარედის მიხედვით თარგმნიდნენ. ბჭკარედი ძალაუნებურად ერთგვარ უნდობლობას იწვევს, როგორც ნაწარმოები, რომელსაც დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია.

მაგრამ ბჭკარედი არა მხოლოდ პროზაული ასლია ლექსისა, არამედ მისი შინაგანი ხატიც. უფრო სწორად — მისი წინახატი. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ლექსი ორიგინალში, უპირველეს ყოვლისა, ბჭკარედის დონეზე არსებობს სანამ ლექსი განხორციელდება, მან ბჭკარედის ტადია უნდა გაიაროს. ბჭკარედი ერთგვარი საერთო მდგომარეობაა დედნისა და თარგმანისა.

ლექსის სიტუაციითი პროზაული თარგმანი ინარჩუნებს დედნის ზოგიერთ თვისებასა და ღირსებას. ბჭკარედი პროზა — პროზისაგან განსხვავებული. თუ ვარგად დაუყვირდება და დასძლევს იმ არაბუნებრივობის შთაბეჭდილებას, რომელსაც ბჭკარედი იწვევს. შეიძლება აღიარო, რომ ის წარმოადგენს გამოხატვის შეკუმშულ და ტევად საშუალებას. პოეტი ბჭკარედით გამოიკნობს სწორედ ამიტომ თხოულობს ბჭკარედით რედუქციას. ეკიდებიან მას

ამიტომ, რომ თარგმნის ერთ-ერთი ამოცანაა სწორედ მისი პოეტური მონაცემების შენარჩუნება. რა არის ეს მონაცემები? ერთის შეხედვით ეს გარკვეული ვერსიფიკაციული წესების, მეტრის, რიტმის, სტროფიკის, დაბოლოს, რითმის დაცვა უნდა იყოს. ყოველივე ეს იძლევა პროზისათვის მიუღწევებლ, განსაკუთრებულ სიტხადეს, სიმკვეთრეს, ტევადობას და პოეტური მეტყველების სხვა ატრიბუტებს და აღიარებულ ღირსებებს. ეს ღირსებები დედნიდან მემკვიდრეობით გადაეცემა ბჭკარედს. ამიტომ, რამდენიმე წინასწარი შენიშვნა, რომ ენის არცოდნა მთარგმნელს არც კი უშლის ხელს თარგმანის შესრულებაში, ზოგ შემთხვევაში შევლის კიდევ. ამ აზრმა ბრწყინვალე პრაქტიკული დადასტურება ჰპოვა ქართული პოეზიის ნიმუშების რუსულად თარგმნისას. საქმე იმაშია, რომ ენის მცოდნეს პირველ რიგში ელოდება „უთარგმნელობის“ ფაქტორი. ეს პოეტური ნაწარმოების უშუალო შევრძენების ცნებაა. და მართლაც, პოეზია არ ითარგმნება, უპირველეს ყოვლისა, მშობლიურ ენაზე, არ ითარგმნება საკუთარზე და ითარგმნება უცხო ენაზე. როცა ლაპარაკია ნაწარმოებზე, რომელმის თარგმნა შეუძლებელია, და ამავე დროს ბრწყინვალედ შესრულებულ თარგმანებზე — ერთმანეთში ურევენ ორ სხვადასხვა ცნებას: უთარგმნელობა — დედნის ბუნებაა, თარგმნა კი — მოვლენა, მთარგმნელობითი პრაქტიკის განხორციელება.

დედანი თავისი შექმნის გარკვეულ ეტაპზე არაფერია, თუ არ ბჭკარედი, რომელიც ტენად გამოხატავს მომავლის გეგმას, კონტურებს მაგრამ ეს განსაკუთრებული გეგმა და ნახაზი რადგან მას ყოველთვის არ მისდევნ და ემორჩილება. ბჭკარედი არა მხოლოდ ის, რაც უნდა შეინარჩუნო, არამედ ისიც, რაც უნდა და



ძლო. წინააღმდეგ შემთხვევაში თარგმნის ამოცანა შემოიფარგლებოდა მექანიკური გალექსებით ზწყარედის შინაარსის გადმოცემით. ზწყარედს, ისევე როგორც სინამდვილეს, ვერ დასძლევ მხოლოდ გალექსების საშუალებით. ის უნდა დაიმორჩილო, დაიპყრო ზეშთავიანობით. ეს პოეტური ფენომენი ზუსტ ანალიზს არ ექვემდებარება. თუმცა შესაძლოა მისდრო ამ ზეშთავიანების მიმართულებას: თარგმანი იძენს დამოუკიდებელ საფასურს, რამდენადაც იგი იქცევა არა მექანიკურ პოეტურ თბობად, არამედ ორიგინალის მთლიან კონცეფციად. სწორედ კონცეფციად — და არა ინტერპრეტაციად, რადგან ეს უკანასკნელი შეიცავს მოტივირებულ უკანდახვევის, უკუქცევის, დაახინჯების მომენტსაც. ინტერპრეტაციის დროს რაღაც შემოაქვთ. კონცეფციის წყარო კი ერთია.

„გოგოთურ და აფშინას“ თარგმნის ამოცანის გადაწყვეტისას ზაბოლოცკის უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა ჰქონდა, ვიდრე მანდელშტამსა და ცვეტაევს. ზწყარედის დაძლევისათვის ის უფრო მომზადებული აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა მის მხარეზე იყო ფორმალური უპირატესობა: ესაა რითმიანი ლექსის უპირატესობა მანდელშტამის თეთრ და ცვეტაევან ხახვერადგარიბთულ ლექსთან შედარებით.

ეს მოხდა არა მარტო მიტომ, რომ რითმიან ლექსს უტეოთესი ძღვრადობა აქვს. პარადოქსი იმაშია, რომ რითმა უზრუნველყოფს შინაარსსაც. ფორმალური ნიშანი იქცევა არსებობად.

ამ თვალსაზრისით ჰინდა განვიხილო პოემის ერთი ეპიზოდის თარგმანი, მას შემდეგ, რაც მართალია კაცმა გოგოთურმა უიარაღომ სძლია იარაღით აღუტყვილ აფშინას, სულგრძელად აჩუქა მას სიციცხლე და ორთაბრძოლაში წართმეული იარაღი და ცხენი დაუბრუნა, ამასთანავე წარუყენა ფსიქოლოგიურად საკმაოდ მკაცრი პირობა — აფშინას ყველასთვის უნდა ეამბნა მომხდარი ამბავი. აი, როგორ მიმართავს ზაბოლოცკისეულ თარგმანში გოგოთური აფშინას:

Вставай, Аншина, бог с тобою.
Бери оружие и коня.
Но помни: хвастаясь собою
Не забывай и про меня!
Будь мне свидетелем Копала,
Ты в честь Хакматского креста
Все то, что здесь с тобою стало,
откроешь людям дочиста.

შეუძლებელია იგივე გინდ პროზით, გინდ სხვაგვარი ლექსით ითქვას, უფრო ლაბიდარულად, უფრო პირდაპირ და ბუნებრივად. ერთი სიტყვით — უკეთ. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ რითმა კი არ ზღუდავს, არამედ ხელს უწყობს აზრის მკაფიოდ გამოთქმას. ნაკლებ შეზღუდული პოეტური მეტყველება არ გამოვიდოდა ასეთი მსუბუქი და თავისუფალი.

იგივე ადგილი მანდელშტამსა და ცვეტაევსთან:

მანდელშტამი:

Вот, бери коня, бери доспех,
Иди с миром, по-хорошему,
Да прошу — козь будешь хвастаться
Своей удалью военною, —
Мое имя вставить в очередь.
Да поручится хакматский крест
И Копала, драгоценная,
В том, что ты не скроешь истины,
В своем ярме и вокупе.

ცვეტაევი:

И коня возьми обратно.
Будешь, муж, непобедим,
Мужеством своим хвалиться —
Похваляся и мной.
Но тебя крестом хакматским
И Копала — камень — свят! —
Заклиная: все, как было,
Говори, хевсурский брат!

როგორც/ვხედავთ, ზაბოლოცკის რითმიანი ლექსის უპირატესობა ცვეტაევასა და მანდელშტამთან შედარებით — ცხადია. თუმცა, ნუ ვიჩქარებთ საბოლოო დასკვნის გამოტანას. არც ასე მარტივადაა ყველაფერი: ზაბოლოცკის თარგმანი უკეთესია, ცვეტაევასი და მანდელშტამის — უარესი, რადგან უარესში არის უკეთესი მხარეები. გოგოთურის მოუქნელ მეტყველებაში მანდელშტამსა და ცვეტაევასთან არის, თუ ვისარგებლებთ მანდელშტამის ტერმინოლოგიით, სტილისტური აზრი: ამას ვერ შეხედებით ზაბოლოცკისთან. მან გამოთქვა გოგოთურის სათქმელი, რომელიც ამოიწერა შინაარსით — არაა, ბუნებრივი წინააღმდეგობა, წინააღმდეგობა სიტყვისა და მის გამოთქმას შორის, სიტყვა გაცხრილულია, მისგან განდევნილია მოლაპარაკე.

მანდელშტამისა და ცვეტაევას გოგოთურის მეტყველებაში მეტია ინდივიდუალური, პიროვნული, ავტორისეული. გოგოთურის სიტყვა გამახსოვრდება, როგორც მაღალხარისხიანი ლექსი და მეტი არაფერი; ამ მხრივ ის სანიშნუა და ეტალონად გამოდგება. განხორციელებულია ის „სიმსუბუქე და სიმკვეთრე ლექსისა“ რომელზედაც ზაბოლოცკი წერდა. მისი მიზანია — მოცეცხლი ტექსტის საუკეთესოდ თარგმნა. ამ მიზნის განხორციელების საშუალება — რუსული კლასიკური პოეზიაა, რომლის ძღვრადობა აქუსტიკურად ახშიანებს თარგმანს. მკითხველის როლი პასიურია, მისი პოეტური მომზადება უფრო იძლევა არც თუ ისე მაღალი იყოს, მის ყურს არაფერი მისწვდება გაუგებარი, ყურისმომპირელი. მაგრამ ეს არ უკარგავს ზაბოლოცკის ლექსს სახეს და არ აქცევს მას მიბაძვად. თავისი თვითნებური და უნებური ნიშნებითა და ჩვევ-



ბით ზაბოლოცკის თარგმანს ასიდან გამოარჩევ — მისი ქვრადობა ორიგინალისას გავს. აქ გამოსკვივის მთარგმნელის დამოყიდებულება, რომელიც არა ჰყოფს თავისად და სხვისად.

მანდელშტამისა და ცვეტაევის გვოთურის მეტყველებაში არაფერია ეტალონური, სანიმუშო, ყველაფერი კანონგარეშეა. აქ მკითხველს არა აქვს მოღუნების საშუალება. „სისხუბუქეს“ ენაცვლება „სისძიმე“. ივლისისმება მომზადებული და აქტიური მკითხველი. შემოქმედების შედეგი თითქოს „ინარჩუნებს“ პროცესის კვალს, ის ჭერ კიდევ ნელა და ოხშივარა ახლის. ნათქვამის ხმა ჭერ არ მიმწყდარა, თვალნათლივია. «Исполнительский порыв» — მანდელშტამის ტერმინია. ამიტომ აქ შეფასების სხვა კრიტერიუმში მოქმედებს. მანდელშტამისა და ცვეტაევის თარგმანებს იმ კანონებით ვერ განსჯი, რომლითაც ზაბოლოცკის თარგმანს. მათ უნდა ეზიარო, შეეჩვიო — ისინი სხვა კანონებს ემორჩილებიან — მათ მიერვე დადგენილსა და აღიარებულს. განა ყოველთვის „უმჯობესია“, რაც „ადვილია“.

როგორც ვხედავთ, ცვეტაევას და მანდელშტამის „მეთოდოლოგიურ შეცდომებზე“ ლაპარაკი ძნელია, რადგან თარგმნის არაბელსაყრელი პირობები აქ უკვე დაძლეულია. მათ შესაძლებს რაღაც რითმის საწინააღმდეგო შეეცნათ ლექსში. იქმნება ყალბი შთაბეჭდილება, თითქოს ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში იყოს, რაკ ჩვენს წინაშეა შესანიშნავი სტრიქონები, რომლებიც ჩვენს მაღლიერ აღტაცებას იწვევს.

ცვეტაევა მთარგმნა ვაჟა ფშაველას სამი — მეტად განსხვავებული პოემა: „გოგოთურ და აფშინა“, „თეთრი“, „დაჭრილი ვეფხვი“ და სამივე ერთი საზომით: ოთხტერფიანი ქორეთი. ეს საზომი არ იყო ნებაყოფლობით შერჩეული, ის რეკომენდირებული იყო, როგორც ერთადერთი. რომელიც მიესადაგება ქართულს, ამიტომ თავიდანვე შეიზღუდა შინაგანი თავისუფალი დამოკიდებულება საზომისადმი. გაქრა ერთადერთი და ბედნიერი დამთხვევის შეგრძნება. პირიქით, პოეტი უცხო, დაუმორჩილებელი სტიქიის ვაჟუნის ქვეშ აღმოჩნდა. უნდა ითქვას, რომ ორი დანარჩენი პოემის თარგმანთან შედარებით, აქ ქორეს მდინარება შესამჩნევად შენელებულია, ჩანს დიდი ძალდატანება ნახშირით. ცვეტაევას მიერაა რეკომენდირებული გარითმის სისტემა — სტრიქონის გამოტოვებით, პირველისა და შესამის გაურითმავად.

ამ სისტემის ფორმალურ დასაბუთებას თითქოს დედანი იძლევა: იქ მართლაც გარითმავს ასეთი პრინციპი ჰარაბობს. ცვეტაევა არაა ჩვეული დამორჩილი ღირქტივის, მისთვის წმინდაა-წმიდაა „დეთის ნაბობები“, რომელსაც თარგმნისას ორიგინალი, ბჭკარედს ენაცვლება.²

არასრულმა გარითმემ უფრო გაუძნელა ცვე-

ტაევას შრომა. იგი წერს ერთ წებროსში „...ეს ურთმოდ საერთოდ არ იარსებებდა. მაგრამ არსებობს, აი, რატომ ვრითმავ ლექსებს“ და იქვე „თეთრი ლექსი, იშვიათი გამოწვლისის გარდა შვად დამუშავებად მეჩვენება, ჭერ კიდევ დაუწერლად, — მხოლოდ გადაწყვეტილებად, მეტი არაფერი“.

ჩემი ინსტიქტი ყოველთვის ეძებს და ქაის წინააღმდეგობებს, ე. ი. მე ვქმნი მათ ხელოვნურად ჩემს ცხოვრებაში ისევე, როგორც ლექსებში.⁴

წერილიდან ქალიშვილისადმი: „მე არასოდეს მითხოვია რითმზე მეტი (ეს ჩემი საქმეა) — მე ვითხოვდი (მოვიტოვებდი!) — ძალს მის საპოვნელად, ძალს ამ წამებისათვის. და მე ვახერხებდი ამას.“⁵

„გოგოთური და აფშინას“ თარგმნისას მანდელშტამი შეზღუდული აღმოჩნდა. პოემის ურთმოდ, ბილინების ყაიდაზე თარგმნის სტილურმა გადაწყვეტამ ვერ გამოაღვინა პოეტის შესანიშნავი მხარეები.

ლაპარაკია მანდელშტამისა და ცვეტაევის თარგმანების არა სისტეტზე — ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა თვით თარგმანები, არამედ მეთოდოლოგიური შეცდომა, რომელიც აღიბეჭდა ამ თარგმანებში. და რომელიც დაძლეულ იქნა მათი პოეტური ნიჭის მეშვეობით. მეორე მხრივ, ზაბოლოცკის მეთოდოლოგის სისწორეზე ერთგვარი თავშეკავებით შეიძლება მსჯელობა: სწორი მეთოდოლოგია თავისთავად საუკეთესო შესრულების საწინდრად ვერ გამოადგება.

გასაოცარია, თუ როგორ უარყო მანდელშტამა საკუთარი სტილი — მისთვის არსებითი და არსობითი. სადაა მანდელშტამის სპეციფიკური მაგია? რა შეუძლია ამ თარგმანს გვაუწყოს მის შესახებ? არაფერი, თითქმის არაფერი — მხოლოდ ცალკეული წვეთები — მთლიანობაში კი ყველაფერი უცხოა. თვითგამოკუნის გზაზე პოეტს, უპირველეს ყოვლისა, ეთილსინდისიერი, სტილისტური ცდუნება გადაეღობა. ძნელია უსაყვედურო: მის წინაშე იყო ტიპური ბილინის სიუჟეტი: ორი ვაჟაკის შეხვედრა და შეხება — ამიტომ ბილინის ყაიდაზე თარგმნის სრულიად ლოგიკური ჩანდა. მანდელშტამის მიდგომა თარგმანისადმი ეთილსინდისიერი და იმ დროისათვის „თანამედროვეც“ იყო. ვაჟა-ფშაველას ხალხურობის რუსული ხალხური ურითმო ლექსით გადმოცემა დღეს სამართლიანადაა მიჩნეული უბერსპექტეო, დრომოკმულ და ხელოვნურ საშუალებად. თავად, ზაბოლოცკიც კი 1936 წელს თეთრი ლექსით თარგმნინა „ალტა და ქეთელატის“. მის თარგმანს ისმენდნენ და მოწონებას გამოთქვამდნენ — და ეს რამ-

ალექსანდრე ციხულავესკი
ბჭკარედის მიღმა

დენივე წლის შემდეგ, რაც ბ. პასტერნაკმა თარგმნა „ვეჯლისმკამელი“ და ამით საფუძველი ჩაუყარა ქართული პოეზიის რუსულ ენაზე თარგმნას ასეთი ინტროს ტ. ტაბიძისადმი მიწერილ წერილში 1936 წ. 14 დეკ. ზაბოლოცი წერდა: „გიგზანით ვაჟა ფშაველას „ააულდა ქექეთელაურის“ თარგმანს. თეთრი ლექსი, რომლითაც შესრულებულია თარგმანი, ჩემის აზრით ყველაზე მეტად შეეხამება ვაჟა ფშაველას პოეტკას — ასე ახლო რომ დგას ხალხურ შემოქმედებასთან თარგმანის ხარისხზე მე არას ვიტყვი ყოველ შემთხვევისათვის შევამოწმე აქ, ლენინგრადში, საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე, და მაღალი შეფასებაც მივიღე.“⁶

13 წლის შემდეგ, 1949 წელს ზაბოლოცი წერს სიმონ ჩიქოვანს: „მე ეხლა თავიდან ვმუშაობ „ააულდა ქექეთელაურზე“ — ვთარგმნი რითმითა იამბით.“⁷

რა თქმა უნდა, „გოგოთურ და აფშინას“ თარგმანი მანდელშტამის ესთეტიკური ძიების წყარო არ ყოფილა. ეს უდავოა. მაგრამ იყო თუ არა შემთხვევითი ეპიზოდი — აქ ბევრი რამა გამოუცნობი. შეიძლება მხოლოდ ზოგიერთი ნიშნული თანხედრის, გარემოებისა და მოსაზრების გამოვლენა, რომლებმაც გარკვეული გავლენა მოახდინეს ამ თარგმანის სტილსა და ხასიათზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ვაჟა ფშაველას რუსულ ენაზე თარგმნის პირველი ცდაა. მანდელშტამი პასუხობდა მისივე სტატიების მოქალაქეობრივ-პათოსს, რომლებიც რამდენიმე წლით გვიან დაიწერა: «Потоки хатуры» დაბეჭდილი გაზეთ „იზვესტიაში“, — და «О переводах»⁸.

მანდელშტამი — „არტიტი“ ამ სიტყვის მართლი, ბლოკისებური გავებით და „შინაგანი რახონინები“ — ფიქრობდა, რომ თარგმანს უნდა იქნეს გამოხდული კულტურული შიშისი დასაკმაყოფილებლად და არა კოლექციონერობისა და მოყვრებისათვის“. მისი მოწოდება იყო: „...არ მივცეთ ახალგაზრდობის მოსახურების უფლება დიასახლისებს, სახედანოკებულ ქალბატონებსა და გაურკვეველი საქმიანობის მამაკაცებს“. შეფიქრანების საფუძველს იძლეოდა შემდეგი აქსიომა — „მთარგმნელი ავტორს განმარტავს. ის ფაქტიურად კონტროლგარეშეა. მისი უნებური შენიშვნა ათასი ჰუმბრტანიდან იპარება წიგნში“.

ეს ყოველივე იძლევა ერთგვარ ახსნას, თუ რატომ აღმოჩნდა მანდელშტამის თარგმანი მისი პიროვნული მხატვრული მრწამსისაგან განდგომილი, — მას უპირველეს ყოვლისა, უნდა ეპასუხა კულტურული მოთხოვნებისათვის, კულტურული შიშისათვის.

მაგრამ ამას კიდევ უფრო ღრმა საფუძველიც აქვს. ესაა არა მხოლოდ კულტურის მოთხოვნები, არამედ „ეპოქის კროლვა“. წერილ-

ში «О природе слова», რომელიც მანდელშტამი იმავე 1923 წელს, როცა ითარგმნა „გოგოთურ და აფშინა“, მანდელშტამი წერდა: „არაერთხელ განუცდია რუსულ საზოგადოებას დასავლეთ ევროპის ლიტერატურის გენიალური კითხვის წუთები: ასე ყოველთაა პეშინმა და მასთან ერთად მისმა თაობამ შენიშ... დღეს ქარმა გადაფურცლა კლასიკებისა და რომანტიკოსების წიგნი, რომელიც გადმოშალა სწორედ იმ აღვლზე, რომელსაც ყველაზე მეტად საპირობდა ეპოქა...“⁹

უნდა ვივლით, რომ შემთხვევით არ გადაუშლია მანდელშტამს ვაჟა ფშაველა, და არც პოემა შემთხვევით შერჩეული. შესაძლოა, ზეგნით მოყვანილი სტრიქონები მის მიერ თარგმნილი ვაჟა ფშაველათა ნაქარნახები. „სრულყოფილი სიმამაცის იდეალი. მომზადებულია ჩვენი ეპოქის სტილითა და პრაქტიკული მოთხოვნილებებით. ყოველივე გაიზარდა და დამძიმდა“¹⁰ ეს სიტყვები შეიძლება „გოგოთურ და აფშინასაც“ მოავლენით და, მართლაც, მანდელშტამის გოგოთური ისევეა „სრულყოფილი სიმამაცის იდეალი“, როგორც ვაჟა ფშაველასა.

ხალხური სტილისტიკა უცხოა მანდელშტამისთვის. მართალია იგი იყენებდა ხალხური ხასიათის ცალკეულ გრამატიკულ ფორმებს, მაგრამ აღიქვამდა მათ, როგორც თავისი სტილის ინდივიდუალურ თავისებურებებს — იმდენად ღრმად ქმონდა ისინი შეთვისებული.

მაგრამ მაინც რაღაც აკლია თარგმანს — თვით მანდელშტამი. პეტრარკას საში სონეტი მისი კალმის ქვეშ არა მხოლოდ „შეიფერა“, არამედ შინაგანად გარდაიქმნა. რა ვეწოდოთ მანდელშტამის ძირითად მავიურ თვისებას? — არტისტიზმი? თითქოს უახლოვდება, მაგრამ მას განმასხვავებელი ელფერი ახლავს. მანდელშტამს აქვს ლექსი არიოსტოზე, სადაც, შეიძლება ითქვას, ჩამოყალიბებულია მისი პოეტური პრინციპი, რომელსაც შეიძლება არიოსტოზე უწოდო.

«Рассказывай еще, тебя нам слишком мало», —

И морю говорит: — Шуми без всяких шум.

И дева на скале: — Леки без покрывала...

Рассказывай еще -- Тебя нам слишком мало,

Покуда в жилах кровь, в ушах покуда шум...

О город ящериц, в котором нет души!
Когда бы чаще ты таких мужей рождала,
Феррара черствая... который раз сначала,
Покуда в жилах кровь, рассказывай, спеша...¹¹

ასეთ მომავალეგულ საწყისს, რომელიც ამ შელოცვისმავარ სტრიქონებშია გამოხატული, მოკლებულია „გოგოთურ და აფშინას“ მანდელ-



შტამინტელ თარგმანი. ამის მიზეზია სტილისტური დაბნევა და წრეგადასული, მანდელშტამისათვის უცხო ეპიურობა გარემოსი, რომელშიც იგი აღმოჩნდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ეპოსის აუცილებელი თვისებია.

და, როდენ უცხოც არ უნდა იყოს მისთვის ეს გარემო, რომელიც თბობას ექვემდებარება, მანდელშტამი იწყებს მასზე ზემოქმედებას. აქა-იქ თავს იჩენს მისთვის ახლობელი სახეები:

И прозрачны козы пастбища
Из гранитной крепи выбиты.

„Прозрачный“ — მანდელშტამისეული ეპიტეტია, საკმაოდ ხშირად გამოყენებული მის ლექსებში:

«В полупрозрачный лес... И лес безлиственный прозрачных голосов... Душа не узнает прозрачные дубравы. С прозрачными играть... Все не о том прозрачная твердит... Прозрачная весна... Они шуршат в прозрачных дебрях ночи... Прозрачной слезой на стенах проступила «слеза...» და კიდევ «Прозрачная звезда, блуждающий огонь».

იმევე 1923 წელს, როცა თარგმანია შესრულებული, დაწერილია «Грифельная ода».

Обратно в крепь родник журчит
Цепочкой пеночной и речью

აი სიტყვა «Крепья» რომელსაც თარგმანისას გამოიყენა პოეტმა, და უფრო გვიან — თბილისზე:

«А город так горазд и так уходит в крепь и в моложавое стареющее лето».

ასე აღმოჩნდა მანდელშტამი თავის წრეში, უფრო სწორედ, შექმნა თავის გარემო წრე ამ საგნებისა, რომელთაც შეუძლიათ მისი სულისა და სიტბოს გამოვლენა «его дыхание и его тепло».

შეფარვით, მალულად მანდელშტამი აძლევს თავს ნებას, თუმცა ეს „ნება“ არ იქცევა „თვითნებობად“, თვითნებურ დამოკიდებულებად ტექსტის მიმართ, იგი ექვემდებარება მთარგმნელობით ავოცანას. ხშირად იგი ზუსტია და სიტყვისინიჭებით მიჰყვება დედანს. მაგალითი: პოემის ცოლი საყვედურობს ქმარს უმოქმედობას, ახსენებს ხმალს, რომელიც კარგა ხანია უქმდაა:

„აბა, დაჰკვლიე, უტირნავ,
ცრემლი აქვს პირზე მცვრეული.

ნიშანდობლივია, თუ როგორ თარგმნა ეს ნაწევრები სამამ მთარგმნელმა.

ცვეტაევა, რა თქმა უნდა, არ კმაყოფილდება რეპლიკის ყოფითი ხასიათით და ცდილობს ფარდა ახალოს თვით სიტყვებს, გააშუშელოს, მათი ფესვები, ისე, რომ სიტყვაცა აღმოჩნდეს მოქცეულ სიტყვებში. იგი იყენებს არა პირდაპირ მნიშვნელობას ხმალისას. „ლესკა“

(«точит») რომელიც უშუალოდ უკავშირდება „ხმალს“ («меч») ფონეტიკურად ლექსი აწყობილია ასო „ჩ“-ზე.

И опять героя точит:
«Муж, на что тебе твой меч?
Погляди: слезами плачет!
Хочет голову отсечь».

ზაბოლოცკიმ პირველ პლანზე ოთხთავიანი ლექსის პლასტიკა წამოსწია. ზაბოლოცკი იშვიათი გამონაკლისია პოეტთაგან, რომელიც აზროვნებს ოთხთავიანი ლექსით, და არა ცალკეული სტრიქონებით:

Смотри он рвется на раздолье,
Чтоб головы тельца с плеч,
А ты ни с места, поневоле
Слезами должен он истечь.

იგივე ნაწევრები მანდელშტამის თარგმანში სამართლიან გულისწყრომას იწვევს:

Посмотри, слеза обидная
Каплет с губ суровых лезвия.

ეს მეტაფორის გადაჭარბებული ხმარება. დედანშიც და ორ დანარჩენ თარგმანშიც „ხმალი ღვრის ცრემლს“, მაგრამ ხმლისთვის ტრეჩების გამოშმა და ამ ტრეჩებიდან ცრემლების დევნთა მეტამეტრია და მიანიც საქმე არც კუროთხთან გვაქვს და არც ანეგდოტურ უაზრობასთან. ესაა მეტად თავისებური პოეტია და სისტიკა. გაიხსენოთ რას წერად აღტაცებული მანდელშტამი დანტეს შესახებ:

«Поэзия тем и отличается от автоматической речи, что будит нас и встряхивает на середине слова... Данте, когда ему нужно, называет веки глазами губами... создает гибриды, приводит к губастому главу»¹² მაგრამ ეს, როცა მიიჩნია საჭიროდ «когда нужно» ასე ჩათვალა საჭიროდ მანდელშტამმაც — ეს არაა ქირვეულობა, არა კუროთხა, არის ნება — არა თვითნებობა.

ამ მხრივ საინტერესოა მანდელშტამის თარგმანის ერთი ადგილი. ძნელი გასარკვევია, რა მოხდა იქ. მექანიკური შეცდომა, რომელიც ბეჭატარდში გაიპარა და რომლის დათმობა შემდეგ გაუჭირდა მთარგმნელს. თუ გამოჩნული გადახვება ტექსტიდან საქმე იმაშია, რომ თარგმანში კვირანი იქცა ეიარაფს, ხოლო აფთარი — ვეფხვად. გამოვიდა ძლიერი, მხატვრული სახე, დასახატი: ვეფხვი შორიდან ამჩნევს ეიარაფს, ცოტა ხანში თავს დაესხმის მას. მანამ კი...

Я врага приветил издали,
Как жирафа тигр приветливо

ალექსანდრე ციხულაშვილი
გაჯარაღის მიღვა



კიდევ ამგვარი მაგალითი:

მეუფე დედოფალი

ილიძეებს იფშენეტს თვალებსა
მის არე-მარე მძინარე

მანდელშტამი

И с ресниц дремоту стряхивают,
Пробужденные окрестности.

„წამწამები“ რა თქმა უნდა, ისეთივე ზეკონკრეტულია, როგორც „ტუჩები“. მაგრამ ეს პოეტის საყვარელი მხატვრული სახეა („Певец захожий, с ресницами — нет длинней“ — ცვეტაევა მანდელშტამზე). ეს მოტივი მანდელშტამს სხვადასხვა საჭიროებისამებრ მუდამ მზადაა აქვს:

«Как будто я повис на собственных ресницах», «Сток счастья был короче, чем взмах ресницы», «ресничного недолговечней взмаха»...

ცვეტაევისათვის სიტყვა დამოუკიდებელი, მამოძრავებელი ძალის მქონე ფაქტორია, მის სიტყვას ფიზიკური სხეულის თვისებები გააჩნია. — მაგალითად, ინერცია. სიტყვასიტყვით მეტოდი მიჰყვება დედანს და შორდება კიდევ — სიტყვის სრულყოფისათვის. ცვეტაევა აფერხებს სიტყვას და სიტყვა იზიდავს მას თავისკენ. მაგალითად, გოგოთურზე ნათქვამია:

Он в бою подобен смерти,
Он, как смерть неуязвим
С Гоготуром биться — биться
С смерти ангелом самим.

სიტყვასიტყვით თარგმნის მეტოდი ციტირებდად იქცევა:

ძალაუნებურად გვახსენდება მანდელშტამის ციტატის განსაზღვრა: „ციტატა ამონაწერი არაა. ციტატა — კრიკინაა. მისთვის ნიშნულა გამუდმებული კრიკინი. ჩააფრინდება პერს და აღარ ეშვება.“¹³

სიტყვა მიიწევს სიტყვისკენ:

Древо клонится к оленю,
К древу тянется олень.

ცვეტაევა საგნებსაც ისევე აერთებს ერთმანეთთან, როგორც სიტყვებს — სიტყვის კანონით. მისი გოგოთური ამბობს:

«Одной породы меч с косой — что брат с сестрой».

ცვეტაევა ატოლებს ერთ სიტყვას მეორეს, სესხულობს ერთის მნიშვნელობას მეორისათვის — „ძარცვავს“ სიტყვებს. აქ ის აფშინა უფროა, ვიდრე გოგოთური.

მანდელშტამის სიტყვას ასეთი ძალა არ გააჩნია, დამოუკიდებელი და შემავსებელი. მან-

დელშტამისა და ცვეტაევის პოზიციები ერთმანეთთან ახლოა ერთმანეთთან, ყოველ შემთხვევაში არაა საპირისპირო, მაგრამ „ამინდს“ მაინც განსხვავება ქმნის. ცვეტაევისათვის სიტყვა არის პირველმიზეზი. ყოველივე, რაც მას შემთხვევა, როგორც საგანს, მის ძირშია ჩადებული და ნაფულისხმევი. მანდელშტამისათვის ლიტერატურა, ხელოვნება, მათი აზრი სიტყვის გარეშეა —

«Останься пеной, Афродита, и слово, в мюзыку вернись»¹⁴.

„პოეტურ მატერიას ხმა არ გააჩნია, ის არ ხმარობს საღებავებს და არ სარგებლობს სიტყვებით“¹⁵

ცვეტაევისთან ყოველივე ისწრაფვის იქცეს სიტყვად. ვანა სიტყვაა საგანობრივი, საგანი — სიტყვობრივი და ამით ის თითქოს ქარგავს საგანობრივობას, უფრო სწორედ საგანი — გრამატიკულად არსებითი სახელი — რჩება და მყარდება, სუსტდება მისი ფუნქციონალური პოტენცია — ზმნა, ზედსართავი.

მანდელშტამის საგანი საგნად რჩება, არ ქარგავს მატერიალურობას, მაგრამ სუსტდება, თითქოს სიტყვამ მიატოვია. „ვანა საგანი სიტყვის პატრონია? სიტყვა — ფსიქეაა. ცოცხალი სიტყვა კი არ აღნიშნავს საგანს, არამედ თავისუფლად ირჩევს მას, თითქოს საცხოვრებლად, ამით იმ საგანობრივ მნიშვნელობას, საყვარელ სხეულს. და საგნის გარეშე თავისუფლად დატრიალებს სიტყვა, როგორც სული მიტოვებული, მაგრამ არა დავიწყებული სხეულის გარეშე“¹⁶

მანდელშტამის საგანი არასიტყვიერია, ის საჭიროებს არა იმდენად სიტყვას, რამდენად სახელს, რაკი მისი სამყარო ბოლომდე არაა სხეულდებული.

«Отчего душа так певуча, и так мало милых имен», «Нам остается только имя — чудесный звук, на долгий срок», «Не забывай меня, казни меня, но дай мне имя, дай мне имя» და ა. შ.

მანდელშტამი ასუსტებს სიტყვას, მაგრამ არ უქარგავს მნიშვნელობას. ის გრამატიკულად აძლიერებს მის ფუნქციას — ჩნდება ძლიერი ზმნა, ძლიერი ზედსართავი. მანდელშტამის ლექსი თითქოს ჩაიშლეს სწორედ ამ ადგილას. არსებითი სახელი გამოითქმის სუსტად, სწრაფად, ხოლო ზმნა და ზედსართავი მკვეთრად გამოიყოფიან: აფშინა — «За народ и мир представляет», «сильными устами молится», по земле ходите радостно».

და ა. შ. — ნებისმიერი სტრიქონი ამ თარგმანისა. ფუნქცია უფრო მკვეთრია, ვიდრე სუბიექტი. «Сердце героическое» ქვემდებარედ, არსებათად, აღმოჩნდება განსაზღვრება და მოქ-

მედება. ზედსართავი არ ერთვის ზედ. განსაზღვრება არაა დაქვემდებარებული.

ცვეტაევასთან — პირიქით — განსაზღვრება და ზმნები ექვემდებარებიან სუბიექტს, გასკვალულნი არიან სუბიექტით, განსხვავებულნი, გარსებობენ. მთელი სიმძიმე არსებით სახელზეა:

Говорят, в последнем доме
Горного селенья Вло
Полнолунными ночами
Кто-то стонет тяжело
Бесконечный, заунывный
Стон, пугающий зарю
«Горе, горе мне увы мне
Мертвому богатырю.

ზაბოლოცკის მეტყველების ნაწილები თანასწორულებიანია:

И в огорчении великом
Поднялся витязь, полный сил,
И, подпоясав чоху лыком,
Свой меч на пояс прицепил.
Огромный, тяжкий, словно чрево,
С женой он спорить перестал.
На спину щит закинул слева,
Кремневый справа самопал.

მანდელშტამმა და ზაბოლოცკიმ თავის თარგმანებს დედანთან შედარებით ყოფითი ელფერი მისცეს. ცვეტაევამ ბევრად ნაკლებად. მშველზე ნათლად ის ცალ-ქმრის კამათში ვამოქვლავნდა: მანდელშტამი:

«...Чтобы вечно раскорякою дома дыхнуть... Что ты мелешь, баба глупая... Ты не суй свой нос, безродная, в дело честное... Я скажу тебе, бессовестной и лопай свои подвиги». ზაბოლოცკისთან «На черта силичи тебе, когда бездельничая сдуру... — О чем ты мне толкуешь, баба? Мозги ворочаются слабо, иль от безделья мелешь чужь?... И не твое болтунья дело...».

უხეშობა გაისმის არა მარტო დიალოგებში, არამედ ავტორის სიტყვებშიც: «Говорит слова бесстыжие, одуренная и шалая» — მანდელშტამი; «Что ни приспичит бабе сдуру» — ზაბოლოცკი. ეს სერიოზული შეცდომაა. არაა, და არც შეიძლება ყოფილიყო დედანში მსგავსი უხეშობა.¹⁷ მაგრამ არც მთლად მთარგმნელია დამანაშავე. ალბათ, ასე ყოფითად იკითხებოდა ვეცა იმ თაობის მიერ, ასეთი იყო იმ თაობის დონე, როცა ყურადღება გადაქონდათ არა მითოლოგიურ, არამედ ეთნოგრაფიულ მხარეზე, მხედველობაში იღებდნენ მოქმედებას და არა ნამოქმედარს.

ცვეტაევას თარგმანი ამ თვალსაზრისით საკრძოხლად გამოირჩევა — აქ უფრო დახვეწილია ყოფითი ხასიათები.

მაგალითად, მეორე თავის დასასრულში ზაბოლოცკისთან:

«Известно, женскую нагуру не ставят издавна ни в грош».

მანდელშტამთან:

«Есть старинная пословица, коль дерзка бывае женщина... говорит слова бесстыжие»...

შეუახსება უარყოფითია — თუმც მანდელშტამთან გაივლია გამართლების სურვილმა:

«И на ветер сердце бросила, ум от страсти улетучился».

შეადარეთ მის საკუთარ სტრიქოებს:

«Ты как нарочно создана для комедийной перебранки».

ცვეტაევა კი ქმნის სახეს, რომელიც სწორხაზოვანი მიდგომის, «კარგი» და «ცუდი» — შეფასებაზე მალა დგას — ასეთია აღმანი. ქალის არის თავისებური მშვენიერება — თავად განსაჯეთ:

Три у женщины приметы:
говорок быстрее воды,
Пол-ума / и тот с безумьем
Схож / и страсти без узды.

«Говорок быстрее воды» იმდენად მომზიბლავია, რომ გვერდით შეიძლება ახლდეს: «Мелешь, мелешь языком». თეთი ვეცას ეს ყოველივე უფრო რბილად, თითქოს პუშკინისებურად აქვს ნათქვამი: «მიპყვება გულის ხოაივას».

და ისევ ცვეტაევას პასუხები და დიალოგები ძლიერია, რადგან კონტრასტს გულისხმობს: ავტობიოგრაფიისა და ლოგიკურობაში მას ბაღალი არ გააჩნია. მანდელშტამსა და ზაბოლოცკისთან ილამბლებიან, ცვეტაევასთან კი — პექტრობენ: მკარი:

«Ты с вонителем венчалась, не с грабителем ночным».

ცოლი: «Слава — слабая одежда, варезо пустое чество»;

ქმარი: «Женщина, коль ты не демон».

ზაბოლოცკი და მანდელშტამი სწორი გადაწყვეტილისათვის არ მიმართავენ სიტყვაკამულობას, რომელიც ცვეტაევასთან მრავლად — მშვენიერთან შეხამებული. მაგალითად, როგორ გადაწყვიტა ცვეტაევამ ლტოლვა ცენის «უერის» საკითხი. მან თქვა, რომ ცხენი ლტოლვა, და არა მარტო ლტოლვა, არამედ უფრო ლტოლვა, ვიდრე... ლტოლვა (და ძახილის ნიშანი დაუსვა).

А навстречу, глян на Лурдже
Стройном на коне — синей
синей тучи!

ალექსანდრე ციხულავასი
ზნაარქილის მიღმა



და შემდეგ სიტყვიერი ინერცია:

Всадник Лурджи
Лурджа — всадника стройней

ეს ადგილი ზაბოლოცკის თარგმანში მსუბუქი, არტისტული ლექსით გამოიხატება:

Навстречу доблестному мужу,
Веселой песнею звеня,
Какой-то всадник гонит Лурджи —
Голубоватого коня.

მანდელშტამი ლურჯას გვერდს უვლის. იქნებ არ „უთარგმნეს“ მას იგი ბჭყარედში ცხენის სახელს ის არ ასხენებს. ამ უნებლიე კლიბურს მანდელშტამი ანახლადურებს ხატოვანი. სტროქონით: გოგოთური განსაკუთრებით მხოლოდ მაშინ ვაბრაზდა, როცა აფშინა მის ცხენზე გაუქაჩა. მანდელშტამმა შენიშნა ცხენი და ეს ელვის დარტყმას მიაგავს:

Конь глотнул, как птица, воздух
Гоготур герой не выдержал.

ცვეტაევა მომხდარ ამბავს სიტყვას უქვემდებარებს, ზაბოლოცკი, პირიქით, სიტყვა ვისახურება ამბავს, მას ინფორმაციის მნიშვნელობა აქვს. წამყვანი როლი ეპიკური მოქმედებას უნიჭება, თან ცდილობს, რომ ორივე ბუნებრივად გამოიყურებოდეს. მაგალითი: გოგოთურმა სძლია ვათავედებულ აფშინას — და აფშინამ, ნაცემი, შებოკილი, უმწიფოდ წევს მიწაზე. ვა. ე. ფშაველთ: „რა გქნა, — ამოთქვა აფშინამ წვერმოტეხილის ენითა, თან დნება ლურჯად, შავად, გულში ბორბტის კბენითა“.

ცვეტაევა:

Пошадн! — ему Апшина
От расправы побелел
Дозелена, а от гнева
Дочерна позеленел
ზაბოლოცკი:
Весь почернев, лежит Апшина
Горит от злобы и стыда,
Бормочет: «Что за чертовщина»
Откуда эта мне беда?

მანდელშტამი, როგორც ყოველთვის: სიტყვას და მოქმედებას ერთმანეთს უტოლებს, თუმცა დედთან შედარებით, ორივე კომპონენტი სიტყვაც და მოქმედებაც — გააღივრებულა.

Пошадн! — взмолился Апшина,
Выплюнул язык расщепленный,
Весь истаял черным-иссиня,
Сохраняя злость дремучую.

ცვეტაევასთან მოქმედება სიტყვის მაღლითაა აღბეჭდილი. სიტყვა პირველადია: პირველიდგან იყო სიტყვა... თავს იჩენს სიახლოვე. მომხდარ

ამბავსა და სიტყვას შორის, მათი ნათესაობა უნდა იყოს: აფშინა ვერ უძლებს თავის დაპირებებს და ლოვინად ვარდება:

«Чем война была мне хвату, стала хворому — постель».

ესლა საწოლია მისი ბრძოლის ველი — ეს შეიძლება არც თქმულიყო, არც დედანშია ასე, მაგრამ ცვეტაევას განა შეეძლო ასე არ ეთქვა? თქვა თანაც არა მოსწრებელი სიტყვისათვის, — აქ შეერთდა მომხდარი და სიტყვა. სიტყვა — თითქმის მისტიკური, მაგური შენაცვლება სათბრობი ამბისა. შენაცვლება იწვევს მომხდარის გაქრობას. სიტყვა სძლევს სავანსაც და მოქმედებასაც, ის უფრო ტევადია. და თვით მოქმედებასაც ეძლევა საშუალება გამოიხატოს მისი სიტყვიერი, გაფართოებული აზრით. ამ პლანში, შეიძლება არც კი მომხდარა მომხდარი ამბავი. გოგოთურს არასოდეს უცემია აფშინა აფშინას არასდროს არავე გაუძარცვავს... და ა. შ. მოქმედება იქცევა მეტაფიზიკური მნიშვნელობის მქონე ლტისსახურებად, რაც ეხმარება დედანს, სადაც იგივე მხარეა დაფარული. ვაჟა ფშაველა მიანიშნებდა, პოემის სიმბოლურ, თბრობის მიღმა ნაგულისხმევ ხასიათზე, მის „იღუმალ“ მხარეზე.

...ამ საშუალებამ დააბადა ჩემში აფშინას სიწინაული, ლოვინად ჩავარდნა, ხევისბრად შედგომა და სამუდამოდ ქერდობაზე ხელის აღება — მას შემდეგ, რაც მას გოგოთურმა იარაღი აპყარა.

თუ რა პირადმა განცდამ, რა შემთხვევამ დამაწერინა „გოგოთური“ და აფშინა“ ან ვინა მავს გოგოთურად, ვინ აფშინად დახატული, ეგ ჩემი საიდუმლოებაა და საფლავში თან ჩავეთყოლებ. მავს არ ვიტყვი და არც საჭიროა, რადგან თქმა არაფერს შეჰმატებს საქმის და უთქმელობაც არაფერს დააკლებს“.

არც შეჰმატებს და არც დააკლებს, მაგრამ ეს საიდუმლოება არაა უმოქმედო; იქნება სიმბოლური პლანი. რომელიც თბრობას უყარავს თბრობითობას — ესაა მარადისობის, ჩაღრმავების, მითის პლანი... თავს უფლებას მიეცემ მოვიტანო მაგალითი ვეჟას მეორე პოემიდან. ესაა „აღუდა ქეთელაური“... დაუვიწყარია და სულ თვალწინ გიდგას აღუდას და მისი ოჯახის განდივნა მშობლიური სოფლიდან. გვგონება, მათი სიარული გრძელდება და ასე ივლიან მუდამ. შექმნილია უწყვეტ, მუდმივად ტრაგიკული ხედვა.

ვერაფერი შეცვლის, ვერაფერი გადაეღობება ამ უმძიმეს, მწუხარე მსვლელობას, რომლის ბადელი იქნება არც მოიქმნის მსოფლიო ლიტერატურაში... მათ უჭირთ სიარული, ირგვლივ თვლიან, ანკი საათ უნდა წავიდნენ... იქნება, არც კი მადიან და ეს მხოლოდ მეტაფიზიკური არსებობის გავრქელებაა.



სამი თარგმანი, სამივე თავისებური. რა იქნება ერთმანეთს რომ შევერთოთ და ერთ თარგმანად წარმოვიდგინოთ? პოემა, ალბათ, მაინც იქნებოდა და ის მანდელშტამის ენით ამტყვევდებოდა... აი, აფშინა ბრუნდება სახლში, ღამით, დაპირებულნი, თითქოს გესმის: Ведет тяжбу яловитую чей-то голос жечюно вскормленный» — მანდელშტამის სიტყვები — ერთადერთია. რა თქმა უნდა გოგოთურმა და აფშინამ ფალაში ჩაყარეს არა ვერცხლის ნაფხეკი, როგორც ცვეტაევისა და ზაბოლოცის აქეთ, არამედ მტბერი (ვერცხლის). მაგრამ დავეწილი დსიქოლოგიური ნახატი ცვეტაევის ვეჟუნის. მაგალითად აფშინას ტანჯვა: როგორ გაამხილოს მინ თავისი მარცხი:

Утаить — обет нарушить,
Рассказать — живым дарить.
Вот и мается, не в силах —
Рассказать, не в силах — скрыть.

მიუხედავად ცვეტაევის ვირტუოზული სამებისა: აზრი — ბგერა — სიტყვა; უკანასკნელი — სიტყვა — მანდელშტამისაა:

А молчать ему не терпится,
Язык сохнет, слово просится!

აქაა აზრის საპირისპირო სიტყვების წყობა. საოცრება. ზაბოლოცისთან:

Во всем признался он общине,
Он ничего не утаил

როგორც ჩანს, ასეც უნდა თქმულიყო და მხოლოდ ასე. ამ შემთხვევაში პოემის საერთო ელტრადობა ზაბოლოცისეული იქნება. ის დააცხრობს ფორმის კონსერვატიზმის წყურვილს, შინაარსიანი ფორმის:

Еще далеко да рассвета,
Хоть глаз коли от темноты.
Могильным саваном одеты
Томятся горные хребты.

ზაბოლოცის ძალა მის შეურყენელ, ხელშეუხებელ ეპიურობაშია. თუნდაც პოემის დასაწყისი:

Во всем роду Миндодаури,
Как говорят в селении Бло,
Один Апшина, полсн дури,
Худое выбрал ремесло.
Он грабит недруга и друга,
И, словно ханская казна,
Его разбойничья лачуга
Добром захваченным полна.

ესაა ებოსი — თავისუფალი ყოველგვარი შენაერთებისაგან — აქიმიურად სულთა“. მეტი ეპიურობისათვის ზრუნვისას ზაბოლოცი ხშირად განზრახ დაბლა სწევს დედნის ტემპურატურას. და, რა თქმა უნდა, მეტ. მღვლეობას იწვევს, როცა საერთო სტატიურობას წონასწორობას არღვევს ცოცხალი ქმედებით, მაგალითად, გოგოთური ეუზნება მეფეს:

Когда меня не овевает
Прохладный горный ветерок,
Моя душа изменяет
И не могу я, шидит бег,
Ни пить, ни есть...

ეს. უბრველეს ყოვლისა, ლექსია, და მაინც მეტი უბრატესობით გაავსხვდება მანდელშტამის გოგოთურის სიტყვები — სიტყვები და არა ლექსი:

Царь, в долине мне не дышится.

(უბრატესობას არ ანელებს სამი ნე, ნე, ნე).

Горный ветер мне лицо свежит.
Сердце плачет, словно женщина.

როგორც ცხადად ჩანს, უბრატესობა, ღირსება და ნაკლი თარგმნისას არ უკავშირდება დედანთან სახლოვესა და სიშორეს.

„გოგოთურ და აფშინა“ ცვეტაევის სამი თარგმანიდან ვერ ჩაითვლება საუკეთესოდ. — თუმც მას მოძებნილი აქვს ტონალობა — განახლებული „ეთერის“ და „დაჭრილი ვეფხვის სავანა“ — მისი ნიჭი მაინც ვერ გიშალა აქ მთელი შესაძლებლობის მიხედვით. ვერ შესძლო ეზიდა პოემა მხოლოდ დიდაქტიკურ სიმაღლეზე. რაღაც მიაკლდა. არ ეყო. ორი გოლიათის შემბროტებაში მას არ ეყო სწორედ ბრძოლის, შერყინების ეინი. გოგოთურისა და აფშინას ერთმანეთისაგან მკვეთრი განსხვავების მიუხედავად, ისინი მაინც არ გამოხატავენ ურთიერთდაპირისპირებულ კეთილ და ბოროტ ძალებს, როგორც პოემაში „ეთერია“. აქ გარკვეულ ასპექტში, სწორფერტა ბრძოლა და ცვეტაევიც განიარაღებულია. საით მიმართოს თავისი მძაფრი თანაგრძნობა — ისე, როგორც „ეთერში“ მოხდა. ვერც იმ გულითადობისა და ილტვაკების გამოთქმა მოახერხა, რომელიც გამოიწვია დაჭრილმა ცხოველმა მესამე პოემაში. ვერც მუსიკალური გადაწყვეტისათვის მოძებნა საბაბი — „ეთერში“ ეზარ შერეს თემა, როგორც ბოროტების თემა — მკვეთრი რიტმული ნახატის მჭონე მუსიკალურ პარტიად აქცია: „Ликом темев, взором дик“ —

ალექსანდრე ციხულაშვილი
ბჰაპარდის მიღმა

День и ночь он, день и ночь он
 На пороге чинит нож
 Плачет, плачет, ножик точит
 Ночь и день он, день и ночь.
 Волком рыщет, смерти ищет
 День и ночь он, ночь и день.
 То как пес он, то как лис он,
 То как бес он, то как сын.
 Для чего же ножик точит
 Ночь и день он, день и ночь
 — Очи выколоть он хочет, —
 Ночи хочет! О кремь
 Оттого и ножик точит
 День и ночь он, ночь и день.

მსგავსი გადაწყვეტა ვერ მოიძებნა „გოგო-
 თურ და აფშინასის“. ასევეა ზაბოლოცკიც
 — ამ პოემაში ერთგვარად შეეცეცლია მისი
 განსხვავებული ნიშანი — არა აქვს სპეკუ-
 მის ფერწერული, მხატვრულ მხარეს, რომელიც
 სხვა პოემებში უმაღლეს სრულყოფილებას
 აღწევს. პორტრეტული ხასიათები ზაბოლოც-
 კის სტრიქონებს მოვავონებს, თავის კოლე-
 გებს რომ მიმართა:

Любите живопись поэты,
 Лишь ей, единственной дано
 Души изменчивой приметы
 Перенести на полотно.

ამ პოემაში კი ბევრი რამ მხოლოდ ჩვეული
 ოსტატობის შედეგი უნდა იყოს. მაგრამ ეს
 მხოლოდ ისეთ თარგმანებთან შედარებისას,
 როგორებიცაა „ალუდა ქეთელაური“ და ან
 თუნდაც „კობალა“. მართალია ეს თარგმანი
 არ შეიძლება ჩაითვალოს „კადემიურად“, მა-
 გრამ მაინც ეს არის თარგმანი, განუყოფელი
 მთელი ჩატარებული მუშაობისაგან, რომელ-
 საც სამართლიანად შეიძლება ეწოდოს — მი-
 ლწევა და სკოლა. ამაზე ცალკე უნდა იქნეს
 ლაპარაკი. იხლა, როცა ამ მიმართულების
 მთარგმნელობითმა სკოლამ საკმაოდ დიდი ძა-
 ლები შემოიკრიბა, ლაპარაკი ზაბოლოცკიზე,
 როგორც ამ სკოლის დამარსებელზე, დროუ-
 ლი და აუცილებელია დადგა დრო, როცა
 ობიექტურად უნდა შეფასდეს მისი მთარგმნე-
 ლობითი მუშაობა.

ზაბოლოცკის მიერ თარგმნილი „გოგოთურ
 და აფშინა“, ისევე როგორც ცვეტაევისი და
 მანდელშტამისა, ვერ აღწევს დედნის სიმაღ-
 ლეს და სიღრმეს. ამ თარგმანებში მიძინებუ-
 ლია „მითოლოგიური კონცეფცია“. ის ბწყა-
 რედის დონეზეა და არა გაცოცხლებული,
 აღორძინებული ლექსისა. გოგოთურის ძალა,
 რომელსაც შეუძლია ვეება ქაღარი მზრებზე
 გაიდოს და ყალიონის ბოლებით გასწიოს —
 თარგმანში რაოდენობრივი საკითხია, მაშინ,

როცა ვეებისთან გოგოთურის ძალაში არის
 თეისობრივი, უჩვეულო არაადამიანურიც კი
 — მითოლოგიური.

ამ პრინციპულად სხვა სისტემა, სხვა ყო-
 ჳა, სხვა საზოგადოება, სხვა მორალი, სხვა
 პეიზაჟი. ყოველი ნაბიჯი განსხვავებულია. ამა-
 სთანავე ერთად არაფერია უცხო — ყოველგვ
 ადამიანურა, მთრთოლვარე. არსებული თარ-
 გმანები თუმცა პოემის ერთობლივი წაკით-
 ხვის კონცეფციას წარმოადგენენ — პოემა
 იძლევა ასეთი წაკითხვის საშუალებას — მა-
 ინც მითოლოგიური კონცეფცია არ იყო ბო-
 ლომდე შინაგანად გააზრებული.

„გოგოთური და აფშინა“ ეკუთვნის ადამი-
 ანური გენიის იმ ბოლომდე აუხსნელ ქმნილე-
 ბებს, რომელთა საბოლოო, თუ კი ეს შესაძ-
 ლებელია კონცეფცია, რომელსაც თარგმანი
 წარმოადგენს — ჭერ კიდევ წინაა.

ზაბოლოცკი სამართლიანად წერდა:
 «Успех перевода — дело времени, он не
 может быть столь же долговечен как успех
 оригинала»¹⁸.

დღეს „ქულტურული შაშხილი“ დამკაყოფი-
 ლებულია და ვინ იცის, როდის გადაშლის ამ
 გვერდზე ეპოქის ქარღვა წიგნს... ვინ უწ-
 ყის და ვინ გადაშლის, ვინ შეეკიდება? უკვე
 წარმოითქმება ხმაშალა ზოგიერთი სახელე-
 ბი: ა. მეტიოროვი და ბ. ახმადულინა, ნაკლე-
 ბად ცნობილთაგან — გ. ლუონოვიჩი. ეს სა-
 ხელები შემოწმებულია, ამართობებული ქა-
 თულ პოეზიაზე.

ვუმადლოდეთ არსებულს. ყველა თარგმანი
 თავისებურად მშვენიერია — ყველაფრისაგან
 იზოლირებულად კი. იგი იძლევა ბევრ, ძლიერ
 ბევრ წარმოდგენას...

აი, მოდის გოგოთურა:
 ვაჟ ფშაველა:

გაზაფხული იყო მაშინა
 მანდელშტამი:

О ту пору о весеннюю

ერთ სტრიქონში გამოსქვივის ზუსტი „სტი-
 ლისტიკა“ ზარი. მართალია, ქართულად ეს
 „მაშინა“ უსასრულოა — ის ეხლაცაა და მა-
 მონი ვლის წინადაც — „ასოლუტურ წარ-
 სული“ — რუსულად არ ედგოს... მაგრამ იჭვე
 შემდეგ სტრიქონში — წინა სტრიქონის დინა-
 კლისს ასე ანაზღაურებს მანდელშტამი:

ვაჟ ფშაველა:
 ახლად ყოლდენ იანა...
 მანდელშტამი:

Как фиалка завестились...

ცვეტაევა ამ ადგილას იძლევა განაკეთრე-
 ბული ძალის სინთეზურ მხატვრულ სახეზე

По фиалковым глазочкам
Едет, едет богатырь.

თავად შეაფასე, მკითხველო!
ზაბოლოციც მომხიბლავია თავის ეპიურ
პლანში:

Была весна, цвели фиалки.
Надев весенний свой убор,
Цветами покрывались балки,
И зеленели склоны гор.
Последний стаял снег в лощинах,
Расселись птши по кустам,
Самец-олень, рога раскинув,
К зеленым тянется листам.

შემდეგ შეუძლებელია შეჩერება, ასეთი ძლიერი
ლტოლა.

Мир под весенним покрывалом
Глядит спросонок в глубь реки,
Где мчится Арагва вал за валом,
Ломая камни на куски.
Сочится влага вниз по скалам,
В верховьях тают ледники.

«Как сочится влага вниз по скалам» —
— იხილა ზაბოლოციმაც ვაჟსთან ერთად.
ლექსები გამსჭვალულია ძალით, რომელიც
მხოლოდ მხილველს ახლავს, ამასთანავე ის
რუსული კლასიკური პოეზიის ხმაა.

«Цветами покрывались балки, в верховьях
тают ледники».

— თითქოს არაფერია განსაკუთრებული, მაგ-
რამ რამდენი რამაა რუსი მკითხველისათვის,
ამის უკან „გადმოთარგმნა“ შეუძლებელია —
ასეთია უთარგმნელობის ფენომენი. და რამ-
დენია ასეთი სრულიად უბრალო, მხოლოდ
ქართულ გულს რომ ეყურება, რომელიც რჩე-
ბა დედანში, რადგან, სამწუხაროდ, თარგმნა
ნაკლებ ტევადია და ვერ იტევს ვაჟს ლექსის
მხოლოდ ქართულ ენაზე გასაგებ ყველა დე-
ტალს.

ეს პოემა განსხვავდება სხვებისაგან, არის
მასში რაღაც საიდუმლო, რომელზედაც თვით
ვაჟა ფშაველა წერდა. ჩვეულებრივ ბილინურ
ტექსტებს რაღაც განსაკუთრებული ტონი
ახლავს. ვინა გამოტანილი აქვს აფშინას პოე-
მაში უკანასკნელი მსგავარი? რა თქმა უნდა —
არა. დაფარული, მაღალი თანაგრძნობა აფშინ-
ასადმი შეიძლება პოემის კონსტრუქტულ მა-
მობრავებლად მივიჩნიოთ... ეს თანაგრძნობა
შენიღებულია და დაფარულად გამოხატულია
სამივე მთარგმნელის მიერ. ზაბოლოციც:

«И развязав Апшине руки, беднягу под-
нял Гоготур». ცეცხტავა: «Апшина — сииши,
весь заплаканный стоит». მანდელშტამი:

«Приподнялся бедный Апшина поныевший,
весь в слезах».

რატომაა დაფარული თანაგრძნობა, როცა ასე
ცხადია. ამ ფონზე უფრო კეთილშობილურია
გოგოთურიც, რომელიც აფშინას შეუნდობს
და ძმადაც გაეფიცება.

თუ პოემის ერთ გარკვეულ თვალსაზრისით
განვიხილავთ, გოგოთურის ეს ქცევა მოულო-
დნელია.

რა ხდება? როგორც ჩვეულებრივ, ვაჟა სა-
ღრმისეულ პლანს ნიღბავს უშუალო დაბუ-
ლით.¹² აქ სიღრმისეული პლანი მოცემულია
მოარული სიუჟეტის მიღმა. ეს სიუჟეტის ორი
გოლიათის შერკინებაა, რომელთაგან ერთი
ძლიერია, მაგრამ მეორემ, უფრო სუსტმა, ამ-
ის შესახებ არაფერი იცოდა — აი საცნაურ-
ყოფის ტრაგედია, მწარე სინამდვილე, რომე-
ლსაც უნდა შეეგუო. რაღაც იფარება ამ ამბის
მიღმა. თავისთავად ის არ უნდა იყოს შთავა-
ნების მიზეზი. ისევე, როგორც მორალი, ნო-
ტიაცია. რომელსაც უკითხავს გოგოთური დამა-
რცხებულ აფშინას — პოემის მთავარი იდეა
არაა. ლიტერატურაში არაა მისი პათოსი. უპირ-
ველეს ყოვლისა, ვიღაც ფგულისხმება პერსო-
ნაჟებში, მაგრამ არაფერი გარკვეული — ყოვე-
ლივე იკარგება საიდუმლოებაში. „საფლავში
თან ჩაიყარებო“ — იტყვის ვაჟა ფშაველა.
ვინ უწყის, რა პირადი, იქნებ სუფთა ლიტე-
რატურული მოვლენები დაელო საფუძვლად
ჩაღრმავებასა და სახეების ტრანსფორმაციას.
თვით ვაჟა გოგოთური? რასაკვირველია, გმი-
რის სახე ხომ ბავშვობიდან ყოფილია მისი იდე-
ალი. იქნებ ვაჟა ჩვენთვის გაუგებარ რომელი-
მე საკითხში აფშინადაც გულისხმობდა თავს...
ხდება ლოგიკურად შეუსაბამო ფერისცვალება,
მეტამორფოზები. ყაჩაღი აღარაა ყაჩაღი. ბო-
ლოს და ბოლოს რაღაც წამით ისე მეტორი-
აღლა პოემა, რომ აფშინა იქცევა არტისტულ
საწყისად — ის არტისტი, თითქმის მომღერა-
ლი. გოგოთური კი უბრალო, არარტისტული
საწყისია. მისი ფანდური „ქლარუნებს“, ის კი
არ მღერის, არამედ „ბუბუნებს“, მისი შესრუ-
ლება არა მუსიკალურია, არამედ, ხმამაღლა —
„ჭერი დაიწყებს ნმრევასა, თან ფხვს დაუ-
ცემს ვაკეკი, მიღამო იწყებს ნოქრევასა“
აფშინა, პირიქით — დახეწილია და მისი ლტ-
რჯა ზღაბრულსა ჰვავს, მერანს, იქნებ ფრთე
ბიც ასხია. ყოველ შემთხვევაში „გაფრენ-
ლაობს“. აფშინას მარცხი გაუგებრობის შე-
დეგია — ტრაგიკული „ვერცხოზისა“. მა-
ვერც იცნო ამ უზარმაზარ სხეულში „მთასა
ვით მძვინვარე“ გმირი. იქნებ აფშინა არ-
იყო ყაჩაღი — ეს თავისებური „წმინდა საქ-

პლანსაზედა ციხულმესიკი

კარბოლს მერღა



მიანობაა», ის ქონებისათვის კი არ ძარცვავს, აქ რაღაც მითოლოგიური ურევია ფშვებრა თქმულებიდან — როგორც: ვერცხლის მბოქველი დევები... ამიტომაც აუტყლა გოგოთურს ცოლი. «წაიღ, შენც ვინმე გაცარცვე»-ო. ვაქის დრო რთულია, მრავალხნოვანი. ბოლოს და ბოლოს ძარცვა არაა სირცხვილი ჰომეროსის დროსათვის, ძარცვა (შეკობრეობა) ქრისტიანულმა მორალმა დაკვმო — პოემაში კი ორივე წარსული ერთადაა — გარდასული და უფრო გვიანდელიც. იგი სსზღვარზე, წარმართულ სალოცავსა და ქრისტიანულ ტაძარს შორის. ირგვლივ ლაშარისა და ხახპატის ყვრები და შესაწირი სამხევეწროა. ეს არის ხანა დროული და ზედროულიც — მითოლოგიური.

არც გოგოთური, არც აფშინა, სრული მნა-შენელობით, მარტო აღამიანები არ არიან. აქ არის რაღაც დემონური, ან თუ ვისარგებლებთ ქართული მითოლოგიური ტერმინით — დევური. გოგოთურისა და აფშინას მადანაფიცობა არაა მარტო აღამიანური ძმობა. ასეთია ტექსტის ერთ-ერთი უცვლელი, გაუყინავი ასპექტი, მრავალმხრივი და არა სწორხაზოვანი, როგორც მცნება ან წესდება.

იღუპალი თანაგრძნობის ნოტა პოემის დასასრულს უკვე დაუფარავად ეღერს, როგორც «ცოცხლად დამარხული» ვაქეაცობის ეპიტაფია — ამოვიც რაოდენი მრავალაზრიანობა:

До сих пор округа Блойска
По ночам слышит стон жалобный,
Добровольно сердце геройское
Схоронило себя заживо.

(მანდელშტამი)

бесконечный, заунывный
Стон, пугающий зарю:
«Горе, горе мне, Увы мне!
Мертвому богатырю».

(ცვეტაევა)

Но есть в народе слух упорный,
Что на краю селенья Бло,
Едва лишь полог ночи черной
Покроет сонное село, —
Не раз слышали над рекою
Хватающий за сердце стон:
«Увы мне, мертвому герою!
Не я ль при жизни погребен?».

(ზაბოლოცი)

უკვეა ეზოვის და ამოიკითხავს ამ სტრიქონებში არა მხოლოდ იმის უშუალო საბაბს, რის დასამტყიცებლადაც არიან ისინი აქ მოტანილი, არამედ რაღაცას ვაქსეულს და კიდევ რაღაცას სრულიად „საკუთარს“.

შ ე ნ ი მ ე ნ ე ბ ი :

1 იხ. ამის შესახებ გ. მარგველაშვილის წინასიტყვაობა მ. ზღატიუნის წიგნისა «Когда книга сближает народы», გვ. 23. გამომც. «მერანი», თბილისი, 1972 წ.

2 იხ. მისი ჩანაწერი ვაქა ფშაველას პოემის თარგმნისას. 1940 წ.

3 «Новый мир», № 4, 1969 წ., გვ. 203.

4) იქვე, გვ. 204

5) იქვე, გვ. 213

6 მ. ზაბოლოცი, Избранные произведения — ტ. 11, გვ. 241, მ., 1972.

7) იქვე, გვ. 253.

8 ვაზეთი «Известия», 1929 წ. 7 აპრილი.

9 ეურნალი «На литературном посту», გვ. 42—45, № 13, 1929 წ.

10 მანდელშტამი «О поэзии», გვ. 44, 1928 წ.

11 День поэзии, 1962.

12 მანდელშტამი. «Разговор о Данте», გვ. 18. გამომც. «Искусство», 1967 წ.

13) იქვე, გვ. 11.

14 მანდელშტამი. ლექსები, გვ. 17, მ. 1928 წ. 1967, გვ. 143;

15 მანდელშტამი. «Разговор о Данте», გვ. 57. «Искусство», მ., 1967 წ.

16 მანდელშტამი. «О поэзии». 1928 წ.

17 ამის შესახებ იხილეთ წერილები: ნ. აბესაძე „გოგოთურ და აფშინას“ მანდელშტამის თარგმანი; ლ. გრიგოლაშვილის: „გოგოთურ და აფშინას“ ცვეტაევისეული თარგმანი. ვაქა ფშაველას კრებული თბ. უნივერს. გამომცემ. 1966 წ. და ნ. კონტრბის წერილი „ეთერის“ ზაბოლოციისეული თარგმანი; ვაქა ფშაველას კრებული, თბილისი, 1970 წ.

18 მითოლოგიური კონცეფციის შესახებ იხ. თ. ჩხენკელის „ტრაგიკული ნიღბები“, 1971 წ.

19 იხ. თ. ჩხენკელი, ტრაგიკული ნიღბები, 1971 წ. გვ. 143;



პიროვნების თქვენი და შენი პიროვნება კვლევითი მეთოდები

1

ანტიკური მითოლოგიისა და, კერძოდ, აგონაეტების თქმულებისადმი ინტერესი იმთავითვე ძლიერი ყოფილა ქართულ მწერლობაში. აგონაეტების თქმულების კვალი აღბეჭდილია ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში. ექვთიმე მთავრის მიერ დაახლოებით 1010-1020 წლებში ნათარგმნ გერმანე პატრიარქის (715-730) თხზულების „თხრობაჲ სასწაულთათჳს მთავარანგელოზისა მიქაელისათა“ ინტერპოლაციის ექვთიმე გადმოგვცემს სოსთენის ტაძრის წარმოშობის ამბავს, სადაც აგონაეტების თქმულების ერთი ეპიზოდი, სახელდობრ, ბებრიკების მეფე ამიოქსთან არგონაეტთა შებრძოლება და ამიოქსის დაღუპვა აღწერილი.

„ჩამთა მათ პირველთა, უწინარეს განაკეცისა ქრისტეს ღმრთისა ჩუტენისა, ერთი მრავალთაგან ნათესავთა შეკრებილი შეითქუა ფრიადი და შემზადნეს ნაგები და ტუტენვიდეს ქუეყანათა მრავალთა და იზარღებოდეს ნატუენავისა მისგან. ეწოდა მათ სახელი არღონაეტო, რომელი გამოითარგმანების. „უქმნი მენავენი“, რამეთუ არას იქმადეს სხუასა საქმესა, არამედ ტუტენვიდეს, და მისგან იყო საზრდელი მათი. ხლო ერთსა უამსა მოიწინეს ადგილსა მას იწრისა კერძოთა ბიზანტიისა და ქალციონისათა და შეადგინეს ნაგები მათი ანაბლოს ტუტენვიდ ადგილთა მათ. ხლო იყო მაშინ სოფელქალაქთა მათ მეფე ვინმე, გმირთა მსგავსი, სახელი ამოქი. ამან ამოქმან შეიკრიბა ერი ძლიერა ბრძოლად არღონაეტთა მათ. იხილეს მათ ერი იგი ურიცხვ და შეეშინდეს ძლიერებისაგან კაცისა მის. სივლტოლამ სმრავალსაგან ქართლსა ვერ ეძლო. და უღონობასი დიდსა მიეცნეს და შეკრბეს ღელესა ერთსა სერტუოვანსა მაღარასა და ივლოდეს

წარწყმედისა თვისსა: მაშინ იხილეს მათ ხილვამ საშინელი, რამეთუ ძლიერება საზარელი ვარდამო და ზეციით სახითა კაცისადათა და იყო ბრწყინვალე და დიდებულ, და მკართა მისთა ზედა ფრთენი ელვარენი და პრქუა ერსა მას განწირულსა: ნუ გეშინინ გმირისა მისგან, არამედ შეგმა უყავთ და მე ძლევამ მოგცე თქუენ! ესე რა იხილეს მათ, განძლიერდეს და ხვალისა დღე, ზედამოუქდა რამ ამოქი იგი ერთთა დიდითა და ქელითა ამპარტავანითა, წინააღუდგეს არღონაეტნი და ერეოდეს მას და მოკლეს იგი და შამაღობდეს ძალსა მას, რომელი იხილეს. ამისთვისა ადგილსა მას, რომელსა იხილეს დიდებული იგი მდგომარე, აღაშენეს ტაძარი დიდი და ქმნეს ხატი სახესა მას ზედა, ვითარცა იხილეს, და აღმართეს ტაძარსა მას შინა, და უწოდეს ადგილსა მას და ტაძარსა სუსთენი, რომელ გადმორთარგმნების „ძალი ცხოვრებისა“, რამეთუ მუნ მიეცა ძალი და განერნეს სიკუდილისაგან და ცხოვრდეს“.

ქ. ქველიძის შენიშვნით, ექვთიმე ათთხელს გამოუყენებია „ძველი ბერძნული. მითოსი არგონაეტების კოლხიდაში მოგზაურობის შესახებ. ა. აშოტონ როდოსელი თავის *Αργοναυτικᾶ*-ში (2,1 სვეგ.) მოგვიტობრბს შემდეგს. ბიფინიაში, ბებრიკთა ქვეყანაში იყო სახელგანთქმული მოკრივე მეფე ამიქი, ძე პოსეიდონისა, რომელსაც წესად ჰქონდა, თუ უტხოვროდ ვინმე მოხვდებოდა მის სამეფოში, უთუოდ კრივში უნდა გამოეწვია იგი. როდესაც კოლხიდისკენ გამგზავრებული არგონაეტები მოხვდნენ აქ, მათ თავს დაესხა დიდძალი ჯარით ამიქი და მათი მხრით პოლიდევი კრივში გამოიწვია. პოლიდეკმა ის მოკლა კრივში და თვისიანები ხიფათს გადაარჩინა“.

ექვთიმე მთხერი იქვე იძლევა „არგონაეტ-

ტის" ორიგინალურ განმარტებასაც: „...არღო-
ნაქტი, რომელი გამოთარგმანების „უქმნი მე-
ნავენი“. მაგრამ კ. კეკელიძის თქმით, „ექვეთი-
მის ეტიმოლოგია ამ სახელისა სწორი არაა
ბოლოველი ნაწილი სახელისა αεϋος ნიშნავს
არა „უქმს“, არამედ ან „ჩუპარს“, ან გემის
შეწებელს არგოსს, ფრიქსეს შვილს“ (იქვე).
ა. ურუშაძის განმარტებით, „ექვეთიმეს შედგე-
ნილი სიტყვის პირველი ნაწილი ესმის როგორც
„უქმი“ — αεϋος (=αεϋος), ხოლო მეორე,
როგორც — „მენავე“ — ναύτης“.

ეფრემ მცირეს (XI ს. II ნახ.) უთარგმნია
საუთულო საუთუნების მწერლობის პოეტულ-
არული ძეგლი „ელისთა ზღაპრობანი“ (გრეგორ
ნაზიანზელის სიტყვათა კომენტარები, რომელ-
შიც გვხვდება ერთი ასეთი ადგილი:

„მეთარამეტე თხრობა არს დღითიდღე და-
თესელთა და აღმოცენებულთა გამოთავს. თი-
გას ვიოტჯაისასა ითქუმის ვიეთთსმე კადმო-
მსგან გინა იასონისგან ანუ სხუსა ვისგანმე, ვი-
თარმედ მიხუნა კბილი ევშისა დელფინისა-
ნი და დათესთინა ქუეყანასა შინა და მიერ აღ-
მოცდეს კაცნი შექურდილნი, რომელი იგი ჩნდეს
ქუეყანასა ზედა წელთაჲთგან აღმართ და ესრეთ
მდგომარენი ჰბრძოდეს ურათიერთას და სხუა-
თაცა“⁴. იქ მოტანილი კომენტარი წარმოადგენს
არგონავტთა ოქმულებიდან იასონის მიერ არე-
ლის ველზე გველეშაპის კბილების დათესვისა
და მისგან აღმოცენებულ „კოლიათთა დახოცვის
ამბვის გადმოცემას“.

თუ ექვთიმე ათონელი თქმულების ეპიზოდის
გადმოცემისას ბიზანტიურ წყაროებს (იოანე
მალალა, იოანე ანტიოქელი, გიორგი კვიციანი,
ნიკიფორე კალისტი) იყენებდა⁵, ეფრემ მცი-
რეს თარგმანის დედნის მიხედვით აპოლონიოს
როდოსელის თხზულება ცნობდა: „...ვითარ
იგი აპოლონიოსი არღონავსტიკონი და სხუა-
თა არამცირდება, რამეთუ ამითნი აღწერილნი და
სიტყუს-მოქმედებანი აღსავსე არიან პონტოსა
საქრველებთაგან“⁶.

სწავლული ბატონიშვილის ვახუშტის XVIII
ს. „გეოგრაფიაში“ — „ოდისისათჳს“ ვითხუ-
ლობთ: „ხოლო ესე ოდიში ისახელა ორითა სა-
ხელითა: პირველად მეგრენი, რამეთუ ეგ-
როს აღაშენა ქალაქი და უწოდა ეგრი. ამას
ეგროპელი კოლიხდად, სადღამე იაზონ წარი-
დო ოქროს რუნი ანუ საწმისი. არამედ ქალა-
კი იგი (ალბათ, არგის ველი? გ. შ.) აქა არა-
სადა ნოიბოვების, არცა მატიაზე ჩენი მოიქცე-
ნებს მას, გარნა რამეთუ მას ქაშას ეგრის —
წალი იქითი — დასაუღეთისა — მყურათ ბერ-
ძენთა, აქა არს ადგილი იგი...“⁸

დავით ბატონიშვილის (1767-1819) მიერ
1788 წელს გადმოქართულებულ „მითოლოგი-
ურ ლექსიკონში“ იაზონის შესახებ ნათქვამია:
„იასონ — ძე მეფისა ძესალიისა. დიდებული
საქმე მისი არს, რომელ შეწვენითა მედიასითა,
რომელიცა იყო კოლიხიდას მეფისა ასული,

იშოვნა, ოქროს მატყლოსანი, რომელიცა
დაცულ მრავალთა ევშაჲთი მიერ და ამან მე-
დენამან ევშანი იგი ემძაურობითა თესითა
დააძინა“⁹.

იოანე ბატონიშვილმა (1768-1830) თავის
„კალმასობაში“ („გეტოლოგია“) საგანგებო ად-
გილი დაუთმო არგონავტების მიზს:

„იაზონ იყო მე ჰეზონისა და ალკიმედისი.
ხოლო მამა იაზონისა გარდაცვლილ იყო ტა-
ტიისაგან თვისისა. და ესე პელიას ეძიებდა წარ-
წყმედლას იაზონისასა, გარნა ჰუბუკი ესე გმირი
აღზარდა საიდუმლოდ ბრძენის ტირონისაგან;
ოღესცა მოიწიეა სრულსა მასაჲსა შინა, მაშინ
შეკრიბნა მის დროსა ჩინებულნი უკვე გმირ-
ნი და წარვიდა ერთბაშად კოლიხიდასა შინა
(კოლიხიდა არს მენგრელია ანუ ოდიში) შოგნი-
სათვის ოქროს-მატყლოსანის კრავისა; ლაშქრო-
ბასა ამას ეწოდების ლაშქრობა არღონავტთა.

მისრული კოლიხიდასა შინა, ხელმწიფე მე-
ნებური მიიღებს მას და აღუთქვამსცა მიცემად
მისა ოქროს — მატყლოვანის კრავისა, უკეთუ
აღასრულებს იგი სამსა უკვე მისდა შეეცეთილსა
საქმესა, ესე იგი: 1) რათა იგი შეებას გუთანსა
შინა ორთა ცეცხლისა მდგვეველთა ხარებთა
თანა და მოხნას ერთად რაოდენისამე დღისა მი-
წად და დასთესოს მას შინა ურჩხულისა უკვე
კბილები. 2) რომელ ამა ურჩხულისა დათესილ-
თა კბილებთაგან აღმოცენდებოან მხედრობანი
და ამითაჲთა თანაჲს, რათა აღწყვიტოს სრუ-
ლებით. ხოლო 3). რათა მოკლას მან ცეცხლ-
მგმვეველი საშინელი ურჩხული, რომელიცა
სცვიდა ოქროსმატყლოვანს ცხოვარსა.

იაზონც ეთანხმა ამ პირობასა ზედან და ეძი-
ებდა ღონესა რასამე, თუ ვითარის სახით აღას-
რულოს ადთქმა ესე.

მაშინ ამ გარემოებით გარემოცული იაზონ
იხილა რა ასულმან მეფისმან მედემ, რომე-
ლიცა ტყვე-ქმნილ იყო შეწიერებისა გამო ამა
იაზონისა, ესე ქალი უკვე იყო ფრიად მსახე-
რელი; და მიუწოდა გმირსა მის თვისთან იღუ-
მალ და ჰრქვა მას: მეწყალვის მე ჰუბუკობა
შენი და მე ვიხსნა შენ ზელთაგან მათთა. —
და მისცა მას ტანსა ზედა წასამელი წამალი,
საკვირველი ქვა და დასაძინებელი წამალი შე-
ზავებული და ჰრქვა: წასივი წამალი ესე ტანსა
ზედა და მივედ ხართა მათთან და მოხან და
დასთესე კბილი იგი და არა რა მე გვეწენის;
ოღესცა აღდგენ მხედრობანი, სტყორცენ ქვა
ესე, რომელნიცა ურთიერთს აღხოცენ, და
ოღეს მიხვიდე ურჩხულთან, მივეც შენ დასაძი-
ნებელი წამალი, რომელიც ვეღარას გავენებსა.
და ესრეთ სრულ ყავ ნათქვამი შენი. იაზონ
მადლობელი წავიდა და წარიღო წამალი ამა
მინჯლისა, წამალი იგი, ქალისაგან მიცემული,
წარისო ტანსა ზედა, და მივიდა ჰართა მათ,
ცეცხლისა აღთა მფრქვეველთადმი; მან შეაბნა
გუთანისა შინა, მოხნა ადგილი იგი დანიშნული,
ხოლო ხართა მათ ევრა რამე იენეს, და მერე

დათუნა კბილი იგი ურჩხულისანი; მყისვე აღდგენ მხედარნი შეპურეილნი და მისწრაფ-ლიან იაზონისადმი ყოველის გვირის საკურევე-ლებითა, ესე იგი: შუბით, ხმლით, ასრებით და სხვათა იარაღებითა. ოდეს დაუახლოვდნენ იაზონს, მაშინ სტყორცნა მან ქვა იგი, მიცე-მული მეფისა ასულისაგან, და მყისვე დაიწყეს მხედრობათა მათ ურთიერთისა ხოცა და აღისაწენმცა სრულად. უკანასკნელ განმართა იაზონ ურჩხულისადმი და, ოდეს მიუახლოვდა ურჩხულსა მას, მისცა მას დასაძინებელი იგი წამალი და შთანთქმისავე წამლა დაეცა ურჩხული ესე მკვდარი მიწისა ზედა, და მერეთ ადილო ყველად დევნილსა თვისისა ოქროსმატყლო-ვანი ცხოვარი იგი და მოვიდა თვისთა თანა მზიარულნი, და მიულოცეს ყოველთა და მერეთ მოვიდა თვისისა საყვარელისა მეფისა ასულისა მედეისადმი, და სიყვარულით შეიტკბეს ურ-თიერთ, და მასვე ღამესა შინა დაუტყვეს კოლ-ხიდა, და ორნივე საყვარელი ლაშქრობით თვისით განმართნენ იაზონისა ქვეყანისადმი. იაზონმან შეირთო მედეა, რომელმანც უშენა ორნი ძენი. და შემდგომად რაოდენისაჲმ დროსა მოიძულა იაზონმან მეუღლე თვისი და სუ-როდა სხვასა ზედა ქორწინება. მაშინ მედეამ წარუგზავნა სასძლოსა მისსა ძვირფასნი შკვე შესაბოსლნი; მან სიხარულით მიიღო იგი და, ოდეს შთაიკცა ტანისამოსი იგი, მყისვე ადგე-ზნო იგი ცეცხლითა, იწვებოდა, და ესრეთ საბ-რალს სრულიად დამწვარი იქმნა. რა ამა საქ-მისათვის იხილა მედეამ განრისხებული ქმა-რი თვისი, მყისვე მანც განრისხებულმან და-იზუნა ორნივე ძენი თვისნი. მხლველი მისი იაზონ მეცადინეობდა შურის გებასა მედეისასა, გარნა მედეია გაფრინდა ეტლითა, ორითა ურ-ჩხულთა შემბულითა, და განერა ხელთაგან მისთა¹⁰.

II

1848 წელს, პეტერბურგში, გამოქვეყნდა თე-იმურაზ ბაგრატიონის შრომა: „ისტორია დაწ-ყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რო-მელ არს სრულიად საქართველთა¹¹“, რომელ-იც, ავტორისავე შენიშვნით, „იპყრობს თვის შრომის ისტორიასა დასაბამითგან, ვიდრე მირიან მეფემდინ“ (წინასიტყვაობა, გვ. 2).

საქართველოს უძველეს ეპოქაზე მსჯელობის დროს, თეიმურაზი, თავის შრომაში, ერთს ასეთს საპეციალურ თავსაც გვთავაზობს: „მოს-ვლისათვის კოლხიდად საბერძნეთით მარშიადონ-თა, თესლონიკელთა მეფის ძის იაზონისა შოვ-ნად ოქროს-მატყლოსანისა ცხოვარისა, ხოლო იაზონს თანა ჰყვეს დიდი იგი ერკულეს და სხვაინცა შრავალნი დიდებულთა ძენი საბერძ-ნეთით: ხოლო კრებული ესე, რომელნი მოვი-დეს ივერიად პონტოსისა ზღვსა გზით ქვამალდი-თა და მოიწიენეს კოლხიდას, უწოდობდენ მათ

არღონა[ვ]ტთა, ვინაიდაგან ნავსა მათსა სახელ-ვედვა არღონ¹¹“.

როგორც ვხედავთ, თეიმურაზი, აქ, დამუშა-ვებული აქვს არგონავტთა მითი. მას დაუმუ-შაებია ამ მითის სამივე ნაწილი: მედეა კოლ-ხიდაში, მედეა ვლადში (იაზონი და მედეა იოლკოსში, პელიასის მოკვლა და კორინთოში გადასახლება, იაზონის ღალატი და მედეას შუ-რისიდაში, მედეას ათენში გაქცევა) და მედეას კოლხეთში დაბრუნება. ამთ გარდა, თეიმურაზს ჩართული აქვს ფრიქსესა და ჰელეას ამბავი, რომელსაც უკავშირდება ოქროს ვერძის კოლ-ხეთში მოხვედრის მითი.

საინტერესო იყო თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ დამუშავებული არგონავტების თქმულების წყაროების გამოკვლევა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი პირ-ველად (1948 წ.) ა. ურუშაძემ აღძრა. მისი სიტყვებით: „ყველაზე უფრო ვრცლად არგონ-ავტების თქმულება გადმოცემულია თეიმუ-რაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიაში“. თე-იმურაზს სხვადასხვა ვერსიები გამოუყენებია და ზოგი თავისივე კი დაუმატებია. მას აქ აღარ შეეხებოთ. აღსანიშნავია, რომ თეიმურაზიც რუსული წყაროებით იცნობს ამ თქმულებას. ამას ადასტურებს საკუთარ სახელთა გადმოღე-ბა. მაგ., თეიმურაზის პელება, ტეზება, პერსება, ელება რუსული გზით მოდის (Пелей, Тезей, და ა. შ.)¹².

ს. ყუბნიშვილი, აგრეთვე, იმ აზრისაა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის არგონავტების თქმულე-ბას რუსული წყაროებით იცნობდა¹³. თუმცა, სახელდობრ, რომელი რუსული წყარო იყო ეს, ამაზე მითითება არც ერთ ავტორთან არ გვხვდება.

ამის შემდეგ (1954 წ.) თბილისის სახელმწი-ფო უნივერსიტეტში მომზადდა ე. ამაშუკელის საკანდიდატო დისერტაცია: „არგონავტთა მითი ქართულ მწერლობაში¹⁴“. ჩვენთვის საინტერე-სო საკითხის გარშემო ე. ამაშუკელი შენიშნავს:

«Самое полное изложение сказания да-но в «Истории Иверии» Теймураза Бато-нишвили (1782—1846 гг.). Видимо, автор использовал различные версии и в некото-рых случаях добавлял свои:

Теймураз Батонишвили датирует время прибытия аргонавтов в Колхиду 969 г. (до н. э.). Нужно сказать, что время прибытия аргонавтов в Колхиду не известно ни по одному из вариантов. Возможно, что эта датировка принадлежит самому Теймуразу.

Теймураз Батонишвили указывает, что Язон и Геракл выступили против Трои,

მუშაშ მუშაშაშ

არგონავტების თქმულება და მედეას არგონავტთა ძმელ ქართულ მწერლობაში



после возвращения из Колхиды. Такого факта мы не встречали ни в одном греческом источнике. Источник, которым руководствовался Теймураз, нам неизвестен. Возможно, что это утверждение — плод фантазии самого Теймураза.

По изложению Теймураза, у золотого руна стоят на страже не только ужасный дракон и быки с медными рогами, но также и дэв. Можно предполагать, что этот третий страж добавлен Теймуразом.

Содержание сказания изложено Теймуразом полнее, чем в «Аргонавтике». Ап. Родосского Теймураз рассказывает о разрыве, который произошел, между Язоном и Медей из-за измены Язона, и о мести Медей. Рассказ кончается возвращением Медей в Колхиду¹⁵.

ე. ამაშუკელს, ბუნებრივია, აინტერესებს თეიმურაზისეული წყაროების საკითხი:

«Если принять во внимание такое изложение собственных имен, как, например — პელეა (Пелей), ტეზეა (Тезей), პერსეა (Персей), ელეა (Эгей) и др., то можно предполагать, что Теймураз Батонишвили в своем изложении сказания об аргонавтах пользовался русским источником (იქვე)

მასასადავმე, ე. ამაშუკელიც სვამს საკითხს თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ რომელიღაც რუსული წყაროს გამოყენების თაობაზე. მაგრამ ე. ამაშუკელიც იყო პირველი მეკლევარი, რომელმაც ყურადღება მიაკვირა ხელნაწერთა ინსტიტუტის S-3723 ხელნაწერ კრებულში ჩართულ თეიმურაზ ბაგრატიონის თხზულებას: «ფრკისა და ელლეისა და ოქროსმატყლოვანისათვის ვერძისა». ხელნაწერი ავტოგრაფულია და გადაწერილია 1840 წლის 14 ოქტომბერს, პეტერბურგში¹⁶. იგივერის ისტორიაში დაბეჭდილ ტექსტიასგან განსხვავებით, თხზულებას წინ უძღვის თეიმურაზის ანდერძი, სადაც სხვათა შორის, ნათქვამია: «მოძიებულ იქმნა ამბავი ესე პოვნილ და თარგმნილ ქართულსა ენასა ზედა საქართველოს მეფის ძის თეიმურაზის მიერ ქართულად ქველთა ელინერთა წიგნთავან გადამოთარგმნა და ძველად ქართველისა ვისგანნე ნათარგმანებთა თანა შესწორდა და უმკობეს იქმნა ქართული იაზონისა და მირმიადონთ ამბავი, ვგონებ, რვაასი წლის ნათარგმნი იყოს ქართულზედ» (S 3723, 245წ).

ამ ანდერძზე დაყრდნობით, ე. ამაშუკელმა გამოიტანა ასეთი დასკვნა:

«Из указанного изложения становится ясно, что: 1. Версия Т. Батонишвили была заимствована из какого-то древнейшего греческого источника 2. Изложение Теймураза исправлено на основе грузинских переводов. По этому сведению должен быть

снят вопрос о том, что Теймуразовская версия сказания заимствована из русских источников» ხაზი ჩვენია, ვ. შ.

როგორც ვხედავთ, ე. ამაშუკელმა, წინამორბედ მეკლევართაგან განსხვავებით, გამოიკიხა თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ არგონავტთა მითის დამუშავებისას რაიმე რუსული წყაროს გამოყენება და მის ნაცვლად თეიმურაზისეული ვერსია რომელიღაც უძველეს ბერძენულ წყაროზე დასესხებულ გამოაცხადა («Версия Т. Батонишвили была заимствована из какого-то древнейшего греческого источника»). ამაზე წინ ე. ამაშუკელი აღარ წასულა: კერძოდ, მას არ მიუთითებია, რომელი უძველესი ბერძენული წყარო შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული თეიმურაზ ბაგრატიონთან.

უკანასკნელ ხანს ამ მიმართულებით ვარკვეული მუშაობა გასწია ლ. ახოზაძემ. მართალია, მისი შრომა ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ხელთ გვაქვს ამ შრომის თვისებები: «თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულების „ფრკისა და ოქროსმატყლოვანისათვის ვერძისა“ წყაროს საკითხისათვის»¹⁷ თხზულების S-3723 ხელნაწერი ნუსხის (რომელიც ადრე, როგორც ვთქვით, ე. ამაშუკელსაც ჰქონდა მითითებული) ანალიზის საფუძველზე ლ. ახოზაძე წერს:

«ამ თხზულების ძირითადი ნაწილი (აჯობებულა: პირველი ნაწილი, ვ. შ.), სახელდობრ, ის ნაწილი, რომელიც გადმოგვცემს იაზონის მიერ მედეას შემწეობით ოქროს საწმისის გატაცებისა და სამშობლოში დაბრუნების ამბავს, უნდა მიმდინარეობდეს გვიდო დე კოლუმნის თხზულებიდან «მატიანე, რომელსა შინა წერილ არს დარღვევა ქალაქისა ტროადისა ფრიილის სახელმწიფოსა», რომლის პირველი თავები მოგვითხრობენ ამ ამბავს. დასახელებული თხზულების სლავური თარგმანი ეკუთვნის თეოდორე ზლობინს.

თეიმურაზისეული ვერსია არ მომდინარეობს უშუალოდ სლავური დედნიდან. თეიმურაზი სარგებლობს ამ თხზულების ქართული თარგმანით, რომელაც ეკუთვნის გაიოზ რექტორს, როგორც ეს ტრ. რუხაძემ გაარკვია. თარგმანი შესრულებულია 1780 წ.

თეიმურაზის თხზულება გამოყრდნობილია მას მხოლოდ არგონავტების ამბავი აინტერესებს და ტოვებს იმ ადგილებს, სადაც ტროელებთან დაპირისპირებისა და შემდეგ მითთან ბრძოლის ამბავია მოთხრობილი. მათ ნაცვლად ათავსებს მითითებებს ამ ფაქტებზე: «ეითარცა ცხადჱყოფს ისტორია ტროიანელთა», «რა იგი იქმნა მამინ, იუწყების ისტორიასა შინა ტროადისასა».

ამგვარად, მინიშნება იაზონისა და პერსელის ტროის წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ თეიმურაზის დანაზიხის ნაყოფი კი არ არის, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაში აღ-

ნიშნული, არამედ აღებულია იმ თხზულებიდან, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს" (იქვე).

III

რას გამოარჩევა? მკვლევართა ერთი ნაწილი (ს. ყაუხჩიშვილი; ა. ურუშაძე) თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ დამუშავებულ არგონავტების თქმულებას წყაროდ რომელიც რუსულ ძეგლს ვარაუდობდნენ, ე. ამაშუველი გამოირჩევაეს რა რუსულ წყაროს, არგონავტების მიჯის თეიმურაზისეულ ვერსიას უძველეს ბერძნულ წყაროზე დასესხებულ მიიჩნევენ, თუმცა სახელდებიან მითითებას მასზე არ იძლევა, ხოლო ლ. ახობაძემ უკვე დანამდვილებით გამოარჩევა, რომ თეიმურაზის თხზულების პირველი ნაწილის წყარო არის გვილი დე კოლუმნის „მატიანე, რომელსა შინა წერილ“ არს დარღვევა ქალაქისა ტრაპიზისა“.

შინა რა ძეგლი ეს და საიდან გაიცნო იგი თეიმურაზმა?

ქართულ ხელნაწერებს საკმაოდ შემოკონახვით თხზულება, რომელიც ასეა დასათარგმნელად: „მატიანე, რომელსა შინა წერილ არს დარღვევა ქალაქისა ტრაპიზისა“¹⁵ მისი ავტორი დე მთარგმნელი კარაკ ხანს უცნობი იყო. XIX ს. II ნახევრის ქართველმა მოღვაწემ ნ. გამრეკელმა გამოარჩევა, რომ ქართულად ეს ძეგლი 1780 წელს უფარგმნია ცნობილ გაიოზ რეპტორმა: „ტრაიანელთა ისტორია“... გაიოზს გადმოუთარგმნია 1780 წ. რომელი რიცხვიც ჩვენ მხოლოდ ერთ ხელნაწერ წიგნზე ვნახეთ. ამ „ტრაიანელთა ისტორიის“ ამბავი, რომ წიგნი ესე გაიოზ არხიზანდრიტმა გადმოთარგმნაო, მოგვითხრობენ მრავალი და ამ უკანასკნელს ემის თვით ეს ისტორიული ხელთნაწერიც ვიპოვეთ, რომლისთაც დამტკიცდა ზოგჯერითი წინათ დატოვებული ცნობანი“¹⁶.

მართალია, ნ. გამრეკელმა ცნობილი გახდა „მატიანის“ ქართული მთარგმნელის ვინაობა, მაგრამ საინტერესო იყო თვით ძეგლის ავტორის ვინაობის გარკვევა, მით უმეტეს, რომ თარგმანში ამჟამად უსვედლო-ავტორზე გვაქვს მითითება: „ესე კემმარტიო მათიანე დით ბერძნის მიერ აღწერილ არს“.

ამ საკითხს შეეხო ტრ. რუხაძე: „გვიდო დე კოლუმნის (VIII ს.) „მატიანე რომელსა შინა წერილ არს დარღვევა ქალაქისა ტრაპიზისა ფრილის სახელმწიფოსა“. ქართულსა და ზოგ სხვა თარგმანში „დით“ ბრძენს მიეწერება. „დით“ უნდა იყოს დიტიხის კრიტიკული თუ ფრიგელურ დარქის, რომელიც თავის თავს განთქმულთ ტრაპიზის ომის თანამედროვედ ასაღებს. „მატიანეს“ ეანრობრივი რაობა, ალბათ, სადავოდ დარჩება. იგი შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე როგორც რომანი. ამითაც აიხსნება, რომ გვიდო დე კოლუმნის ისტორიული მოთხრობა ფრილ პოპულარული იყო გვიან შუა საუკუნეებშიცა.

„მატიანეს“ ლათინური დედანი 1489, 1493 წლებში, აქედან ითარგმნა პოლონურზე, ხოლო პოლონურიდან რუსულად გადმოიღო თეოდორე ზლობინმა (XV ს.). ქართული თარგმანი, რომელიც რუსულიდან მომდინარეობს, შეასრულა გაიოზ რეპტორმა — თავის ძე ბარათაშვილმა (1780)“²⁰.

გვიდო დე კოლუმნის „მატიანის“ გაიოზ რეპტორისეული თარგმანი თეიმურაზ ბაგრატიონის რომ უსათოდ შეიძლება სკოლნოდ, ამაში გვარწმუნებს ნ. გამრეკელის კიდევ ერთი თეობა: „როგორც გავარკვეთ და შევტყუთ, ეს წიგნი გაიოს (ი. არხივისკოპოზის) იმ მიზნითა და მიმართვით უნდა ითარგმნა, რომ ეს საკითხავთ და სასწავლებლათ ქონიყოთ მაშინდელთ ქართველ მოსწავლე ყმაწვილ საცემს; ამავე აზრს ამტკიცებს ისა, რომ წარხელს საუკუნეში დაარსებულს სასულიერო სემინარიამი ასწავლიდნენ იმ ისტორიასა გასაცნობათ ტრაიანელთა და ბერძენთა. ამას ამტკიცებს თელავის სემინარიის წიგნების სია, რომელშიაც მოხსენებულია მაშინდელი სემინარიის. სასწავლო წიგნები და აგრეთვე წიგნთ საცემში წყობილისა და იმათ შორის მოხსენებულა ეს ტრაიანელთა ისტორიაცა და სხენებულია ყრმთა სასწავლო წიგნათა. ეს სია შედგენილია 1781 წ. როდესაც უკვე სემინარია გაიხსნა და სახელმძღვანელოდ მიღება დამტკიცებულ იქნა საქართველოს ჩინებულთა პირთაგან“ (H 2876, 29v—30r).

თუკი გვიდო დე კოლუმნის თხზულების გაიოზ რეპტორისეული თარგმანი თელავის სემინარიამი ისწავლებოდა, მას გაივლიდა თეიმურაზ ბაგრატიონიც რომელიც, როგორც ეს მისი ბიოგრაფიიდან საყოველთაოდ ცნობილია, სწორედ თელავის სემინარიამი სწავლობდა. ამას გვიამტკიცებს კიდევ ის ფაქტიც, რომ გვიდო დე კოლუმნის „მატიანის“ ერთი ნუსხა თეიმურაზს საყუთრად ჰქონია თავის წიგნოსაცემში, რაც ჩანს მისი „კატალოგიდან“ № 168. ტრაიანის ისტორია, ვრცლად აღწერილი და დარღვევა მისი“ (ს. იორდანიშვილის გამოცემა, თბ. 1948, გვ. 36).

მაშასადამე, ახლა უკვე საეჭვო აღარაა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონს არგონავტების თქმულების პირველი ნაწილი, სახელდობრ, იაზონის კოლხეთში ლაშქრობა, მედეასა და ოქროს საწმისის გლადამი გატაცება, იაზონისა და ჰერკულესის ტროას წინააღმდეგ გალაშქრება დამუშავებულს აქვს გვიდო დე კოლუმნის „მატიანის“ პირველი ხუთი თავის მიხედვით. ესენია:

1. მედეისა პელესისთვის, რომელმან გაგზავნა იაზონ შოენად ოქროს მატყლრვანისა [მის ვერძისა].

შუბამ შარამე
არგონავტების თამაშება და მედეას
პრობლემა ძვილ ძამოთელ მფარლოვარო

2. მეღობავს, ვითარ მოუწოდა მამამან მის-
მან ნაღობსა ზედა.

3. სწავება მეღვასი, რომელმან ასწავა
იაზონს ოქროს მატყლოვანისა მისთვის ბრძოლა.
4. აღებნათვის ოქროს მატყლოვანისა მის
ვერძისა.

5. ამბავნი, ვითარ შეატყუა მეროვსა მეფე-
ნი და მთავარნი, აღიძრნეს და მივიდნენ ტრო-
ადისა მიმართ, ზღვევად ავათ მოპყრობისათვის
იაზონისა²¹ (ამის შემდეგ მოთხრობილია ტრო-
ელთა ოცდაოთხი ბრძოლა, რომელიც თავდება
ულისე მეფის სიკვდილთ. „მატიანის“ ეს ნა-
წილი თეიმურაზს უკვე აღარ აინტერესებს).

თეიმურაზ ბაგრატიონს გვიდო დე კოლუმნის
„მატიანე“ სწორედ რუსულიდან ქართულად
თარგმნის გზით გამოუყენებია: „მატიანე“ ლა-
თინური დენდიდან პოლონურად უთარგმნიათ,
რუსულად თედორე ზლობინს, აქედან ქართუ-
ლად კი გაიზო რეპტორს, ხოლო გაიზოსეული
ქართული თარგმანი, რომელშიაც რუსიციზ-
მების კვალი გარკვეულად არის აღბეჭდილი,
საკვებლობს თეიმურაზი. ამდენად, ა. ურუშა-
ძისა და ს. ყაუხჩიშვილის ვარაუდი, თეიმურაზ
ბაგრატიონის მიერ არგონავტების თქმულების
დამუშავებისას რომელიდაც რუსული წყარო-
თი სარგებლობის თაობაზე, გარკვეულ თუ ნა-
წილობრივ გამართლებას მიიწე პოულობს, წი-
ნაღობდე ე. ამაშუკელის მტკიცებისა, თითქოს
«Должен быть снят вопрос о том, что Тей-
муразовская версия сказания заимствована
из русских источников» (ავტორეფერა-
ტი, გვ. 10).

IV

ეს, რაც შეეხება თეიმურაზ ბაგრატიონის
მიერ დამუშავებული არგონავტების თქმულე-
ბის პირველი ნაწილის წყაროს. მაგრამ ჩვენ
ხომ ვამბობდით, რომ თეიმურაზს დაუმუშავე-
ბია ამ მითის მეორე და მესამე ნაწილიც, სა-
ხელდობრ: მეღვა ელადამი (იაზონი და მეღვა
იოლკოსში, პელიასის მოკვლა და კორინთოში
გადასახლება, იაზონის დაღატი და მეღვას
შურისძიება, მეღვას ათენში გაქცევა) და მე-
ღვას კოლხეთში დაბრუნება. როგორ დგას
თქმულების თეიმურაზისეული ვერსიის ამ ნა-
წილთა წყაროს საკითხი. უნდა ითქვას, რომ
სამეცნიერო ლიტერატურაში ღღემდე მას არა-
ვინ შეეხება.

არგონავტების თქმულების თეიმურაზისეუ-
ლი ვერსია, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული,
ბეჭდულად 1848 წელს გამოქვეყნდა მის „ივე-
რიის ისტორიაში“, ხოლო ხელნაწერი ნუსხების
სახით დატულია თბილისში კ. კეკელიძის სახე-
ლობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S 3723,
გვ. 244-270) და ქუთაისის სახელმწიფო ისტო-
რიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ხელნ. განყ.
№ 480). ორივე ნუსხა ავტორგრაფულია. ამათ-

გან თბილისური გადაწერილია 1840 წლის 14
ოქტომბერს, პეტერგოფში, ხოლო ქუთაისური—
1841 წლის ივნისში. ორივე ხელნაწერი უკვე
აღწერილია²², მაგრამ სამეცნიერო ლიტერატუ-
რაში ღღემდე მხოლოდ თბილისურ ნუსხას
(S 3723) იყენებდნენ (ე. ამაშუკელი, ლ. ახო-
ბაძე). ისე კი უნდა ითქვას, რომ საპირთა მტეი
ანგარიში ქუთაისურ (№ 480) ნუსხას გაეწიოს,
რადგან იგი თხზულების საბოლოო რედაქციის
წარმოადგენს და ჩვენ ქვევით ყოველთვის მი-
ნით ესარგებლობთ.

ხელნაწერი ნუსხებში თეიმურაზის თხზულება
„ფრიკსა და ელვია და ოქროს მატყლოვანი-
სათვის ვერძისა“ თითქმის ერთნაირად არის
წარმოდგენილი და დიდ ცვლილებას არ გვიჩ-
ვენებენ. ვარიანტული სხვაობა მხოლოდ ან-
ღერძებში თუ შეიძლება იპოვნოს კაცმა. სა-
მაგიეროდ, ნაბეჭდი ტექსტი („ივერიის ისტო-
რიაში“ რომ არის შესული) ხელნაწერებისგან
განსხვავდება როგორც მოცულობით — მასში
ანღერძები ამოღებულია, ისე კომპოზიციურა-
დაც: კერძოდ, ხელნაწერი ნუსხებში თუ თქმუ-
ლება ფრიქსესა და ჰელვას ამბით იწყება, ნა-
ბეჭდში იგი თქმულების პირველი ნაწილის სტო-
ლიოშია გადატანილი („ივერიის ისტორია“,
გვ. 92-93). ამან გამოიწვია სათაურთა სხვადა-
სხვაობაც: შირ. „ივერიის ისტორია“, გვ. 85
და S 3723, 245r; ქუთ. № 480, 1r; ამასთან,
ნაბეჭდ გამოცემაში საკუთრივ თქმულების
ტექსტიც არ არის აბსოლუტურად იდენტური
ხელნაწერთა ჩვენებებთან.

მაგრამ მთავარი მიიწე ანღერძებია, რაც ნა-
ბეჭდ ტექსტში არაა წარმოდგენილი. იგი კი
ჩვენ გვეხმარება არგონავტების მითის თეიმუ-
რაზისეული ვერსიის მეორე და მესამე ნაწი-
ლების წყაროს გამოკვლევაში. თეიმურაზი წერს:
„მოძიებულ იქმნა ამბავი ესე ძველთა ელინურთა
სა წერილთა შინა და ქართულთაჲთა ეგრეთვე
ძველთა შინა ღირს სახსოვართა მოთხრობათა.
პოვნულ, თარგმნილ და შეკრებილ ერთად და
შემოწმებულ ურთიერთისა მეფის ძის თეიმუ-
რაზის მიერ... მოთხრობათა იგი შეუდგების
ამას მოსულისათვის არღონავტთა კოლხილად და
მოპოვნებისათვის იაზონ თესალიისა მეფის ძი-
სსაგან ოქროს-მატყლოვანისა მის ვერძისა, შე-
წყენთა და სწავებითა მეღვისათა“ (ქუთ.
№ 480, 1r).

როგორც ვხედავთ, თეიმურაზი აქ პირდაპირ
ვეუბნება მის მიერ „ძველთა ელინურთა წი-
რილთა“ გამოყენების ფაქტზე, მაგრამ სახელ-
დებით მითითებას მათზე არ გვაძლევს. ამის გა-
მორკვევაში ჩვენ დაგვეხმარება მისი „ივერიის
ისტორია“.

საქმე ისაა, რომ „ივერიის ისტორიაში“, სა-
ქართველოს უძველესი ეპოქის სურათის აღსად-
გენად, თეიმურაზს მოხმობილი და დასახელე-
ბული ჰყავს სხვადასხვა წყარო და ავტორი.
მათ შორის, ბერძენი და რომაელი ავტორებიც:



პილონ (აპოლოდორე), დიოდორე სიცილიელი, ლერადორე (პერალოტე), პლუტარხს, სტრაბონი, პლინი პლინოს, ვალერიანე (ვალერიუს ფლავიუსი) და სხვ. თუკა აღნიშნული ავტორებმა თუკა მერაზ ბაგრატიონს გამოყენებული და მითითებული აქვს გარკვეულ შემთხვევებში ბუნებრივი იქნებოდა გვეფიცქრა, რომ ჩამოთვლილ ავტორებს იგი გამოიყენებდა აგრეთვე არაგონავეტა თქმულების დასამუშავებლადაც; მით უმეტეს, რომ აქ ჩამოთვლილ ყველა ანტიკურ ავტორს თავიანთ შრომებში მოთხოვრებთ არგონავეტა ციკლის არა ერთი და არა ამბავი²⁵ და ეს ავტორები უკვე თარგმნილიც იყვნენ იმ დროისთვის, რუსულ ენაზე²⁶. კერძოდ, დედისგან — ინოსიგან მელიკერტეს დაღუპვის ამბავი თეიმურაზს აპოლოდორეს (II ს. ძვ. წ.) მიხედვით უნდა ჰქონდეს გადმოცემული: „მელიკერტე ინომ გადაიყოლა ზღვის უფსრულში თავისთან ერთად“ (აპოლოდორე), შტრ. „ენეაიდა ... ივლტოდა მელიკერტითურთ, მეორითა ძითა თვისთა. აღვიდა იგი მაღალსა კლდესა ზედა და გარდაიჭრა მუხით ზღვასა შინა“ (თეიმურაზი), მაშინ როცა სხვა წყაროებით (კერძოდ, პავსანიას, II ს. ახ. წ.), მელიკერტესაც და ლეარქესაც, მამამისმა, „ათამანტმა მოუღო ბოლო“²⁵.

საინმუშოდ ავიღოთ კიდევ დიოდორე სიცილიელი.

I საუკუნის II ნახევრის (ძვ. წელთაღრ.) ცნობილი ანტიკური ისტორიოსის დიოდორე სიცილიელის „ისტორიული ბიბლიოთეკის“ 40 წიგნიდან ჩვენამდე სრულად მხოლოდ 1-5 და 11-20 წიგნმა მოაღწია. დანარჩენის მხოლოდ ფრაგმენტებშია მოგვეპოვება. დიოდორეს „ბიბლიოთეკა“ წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის, მყოფლებულ უძველესი დროიდან იულოუს კეისრის ომებამდე ვადაიან²⁶. მათ შორის, IV წიგნის 40-56 თავებში გადმოცემულია არგონავეტების მითის თავისებური ვერსია, რომლისთვისაც დიოდორე სიცილიელს სხვადასხვა წყარო აქვს გამოყენებული.

დიოდორე სიცილიელის დასახელებულ თხზულებაზე არაერთხელ აქვს მითითება თეიმურაზ ბაგრატიონს თავის „ივერიის ისტორიაში“: წიგნი დიოდოს სიცილიელისა, ტომი პირველი, წიგნი მეორე, ფურცელი 169 ისტორიული ბიბ-

ლიოტია“ (გვ. 64); „იხილე ისტორიულ ბიბლიოტია დიოდორე სიცილიელისა, ტომი I, წიგნი 2, ფურცელი 165“ (გვ. 64). „დიოდორე სიცილიელი რომ სწერს“ (გვ. 64). „მოხატობა ესე არსებისა და პერსიდისა გამოწერილ არს წიგნისაგან, რომელსა ეწოდებინ ბიბლიოტია მსოფლიოსა ისტორიისა, ქმნილი დიოდორე სიცილიელისაგან, ტომი 2, წიგნი 2, ფურცელი 213, შეუცვალეხედ აღწერილ არს“ (გვ. 100) და სხვ.

საინტერესოა, თეიმურაზი ბერძნულ დედანში კითხულობდა დიოდორე სიცილიელს, თუ მას თარგმანის გზით იცნობდა? თვითონ თეიმურაზის მოწმობით „თუკა ყმაწვილობაში ესწავლებდი ბერძნულს, მაგრამ ქაშთა ცელილებსაგან ვერ შევისრულე“²⁷, ხოლო პეტერბურგში, ბერძენი ავტორების (სახელდობრ, დოსითეოს პატრიარქის) კითხვაში მას თურმე ვინმე გიორგი ბერძენი ეხმარებოდა: „აქა ერთი ბერძენი ვიშოვეთ, რომელმაც ელინური და რუსული კარგათ იცოდა, გიორგი სახელდებული, ისი მუყანა თანაშემწედ“ (იქვე). ასე რომ არაფერია მოულოდნელი, თუ დიოდორე სიცილიელსაც ირიგინალში გაცნობოდა სწავლული ბატონიშვილი. მაგრამ ჩვენ მაინც გვეგონია, რომ თეიმურაზ ბაგრატიონი დიოდორე სიცილიელს ივანე ალექსიევის რუსული თარგმანით იცნობდა, რომელიც ჯერ კიდევ 1774-75 წლებში იყო ს. პეტერბურგში დაბეჭდილი.²⁸ ამას ცხადყოფს რუსიციეზები, რომლებიც გადმოსულან თეიმურაზთან დამოწმებულ ადგილებში (ველიასი] პელები, აქსატე] აქსატ, თებე] თივა, ეგვოს] ეგვა, ათამანტ] აფამას, ლეარქ] ლეარხ, სქენეუსი] სხინევი...).

მაშასადამე, ეჭვს გარეშეა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონს გამოყენებული აქვს დიოდორე სიცილიელის „ისტორიული ბიბლიოთეკა“ და ჩანს, მისი IV წიგნის 40-57 თავებიც, სადაც არგონავეტების თქმულების თავისებური ვერსიაა წარმოდგენილი.

მართლაც, შედარებიდან ირკვევა, რომ თეიმურაზისეულ ვერსიაში არგონავეტების მითის მეორე ნაწილი გამოყრებით და ზოგჯერ თითქმის სიტყვა-სიტყვით („შეუცვალეხედ აღწერილ არს“) დიოდორე სიცილიელის მიხედვით არის დათმუებული.

თეიმურაზ ბაგრატიონი³⁰

„მიიტყია რა იაზონ... არა მიიღო მეფობა თესალონიკისა, არამედ ნაცვლად თესასა ჰყო მეფედ ძეა ბიძისა თვისისა პელეისა, სახელით აქსატ და თვით წარვიდა იაზონ პელეოთისს. მუნ შესწირა მსხვერპლი პოსიდონს და მისრული კორინთეს შინა დაწერა მოქალაქედ მუნებურად. (27v).

პურამ შარაძე
არგონავტების თქმულებაზე და მიღებას პრობლემა ძველ ძარბოულ მფარლობაში

დიოდორე სიცილიელი³⁰
„53. ...მან (იასონმა) პელიასის ვაჟს — აქსატეს მამისეული ზელისუფლება გადასცა... ვაჟკაცებთან ერთად პელოპონესში მდებარე ისთმოსზე გაემგზავრა. აქ მსხვერპლი მიუტანა პოსეიდონს და „არგო“ ღმერთს შესწირა. კორინთელთა მეფის კრონტის მხრივ იგი დიდი პატივისცემათა იქნა მიღებული, მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეებში და მთელი დანარჩენი დროც კორინთოში გაატარა.

54. ... ამბობენ, რომ იგი (იასონ) კორინთო-ში დასახლდა და მედვასთან იცხოვრა ათი წელი, ეკოლა მისგან შვილები; ორი უფროსი ტყუპები იყვნენ: თეტალოსი და ალიმენე, მესამე, ტისანდრე, ამითვე ბევრად უმცროსი იყო.

ამის შემდეგ, როცა დრომ დაიწყო მისი ბუნებრივი სილამაზის სულ უფრო და უფრო მეტად წარტყება, ამბობენ, იასონს მხურვალედ შეუყვარდა კრეონტის ასული გლავკე და კიდევ დანიშნა ქალწული. ... ამბობენ, იასონმა მიცემული ფიცი გატეხა და მეფის ასული შეირთო. ქალაქიდან გაძევებულმა მედეამ, რომელმაც ლტოლვისათვის მოსამზადებლად კრეონტისაგან ერთი დღის ვადა მიიღო, წამლებით სახე შეიცვალა, ღამით სასახლეში შევიდა და შენობას ცეცხლი წაუქიდა... როცა სასახლეს ხანძარი გაუჩნდა, იასონი მყისვე გამოვარდა გარეთ, გლავკესა და კრეონტს კი ცეცხლი შემოენთო და დაიღუპნენ.

55. ... მედეას, ამბობენ, თებში პერაკლე სიგეის სენით შეპყრობილი დაუხვდა: მას შვილები დაეჯლიტა. „მედეამ იგი წამლებით განკურნა. მედეა გაიქცა ათენში ეგეოსთან — პანდიონის ძესთან. აქ, ზოგიერთი ამბობენ, იგი დაუქავშირდა ეგეოსს და ეყოლა მემდოსი, რომელიც შემდეგ მიდიასზე გამოვდა“;

ამით გარდა, საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: როგორც თავის ადგილას იყო ნათქვამი, არგონავტთა თქმულების პირველი ნაწილი (იასონის ლაშქრობა კოლხეთში) თეიმურაზ ბაგრატიონს დამუშავებული აქვს გვიღო დე კოლუმნის „მატიანეს“ მიხედვით. მაგრამ როგორც ირკვევა, თეიმურაზი მას სქოლიოებს დიდო-

დიოდორე სიცილიელი:

41. „უწინარეს ყოვლისა პელიონთან აიგო ხომალდი... როცა იასონმა ხომალდი წყალში ჩაუშვა და ყველაფერი საოცრად ბრწყინვალედ შეამკო. ამ საქმის მოსურნეთა შორის შეარჩია ყველაზე უფრო წარჩინებული ვაჟაკები, ისე რომ მისი ჩათვლით სულ იყო ორმოცდაათობმეტი კაცი. მათ შორის იყვნენ ყველაზე სახელოვანნი კასტორი და პოლიდეკე, აგრეთვე პერაკლე და ტელამონი, ამით გარდა — ორფეოსი და სქენეპსის ასული ატლანტი, კიდევ თესპიოსის ვაჟები...“

„... ხომალდმა სახელი მიიღო ძლიერი სისწრაფის გამო, ვინაიდან ყველები „სისწრაფეს“ „არგოსს“ ეძახდნენ“.

იაზონ სცხოვრობდა კორინთისა შინა ათსა წელსა სიყვარულითა დიდითა მედეას თანა და ისხნა ძენი თესალ და აქმენ და შემდგომად მათსა ტისანდრ.

ხოლო ოდეს იწყეს შვენიერებათა და ფერონებათა მედეასთა მოკლებამ და სახემან მიხმან შექცნობამ, მაშინ იაზონმან შეიყვარა ასული კორინთისა მეფისა კრეონტისა, გლოსიაჲ (ანუ კრეუსა) და დაუტევა მედეა და შეეუღლა მას. ხოლო კრეონტ მეფემან ბრძანა განშორება მედეასი ქალაქისა მისგან. ღამესა ერთსა შევიდა მედეა ფარულად სახლსა შინა მეფისასა და გრძნებითა გარდასწვა სრულიად პალატი იგი მისი და კრეონტი მეფე და ასულიცა მისი დაიწუნეს მუნ, მაგრამ იაზონ განერა. (28რ).

...მედეა მივიდა თივას, ერკულესის თანა, საჩივლელად იაზონსა ზედა და ოდეს იხილა მედიამან ქუთაშეშლილობა ერკულესისა, განკურნა იგი ცნობა — ვნებულებისაგან და ყოვლითური მრთელ და უვნებელყო იგი... შეეუღლა მედეა ელემს და შუა ძე სახელით მიღ, ხოლო შემდგომად ესე მიღ, ძეა ელემს და მედიასი, იქმნა მეფედ მიდიასა“ (29).

რე სიცილიელის „ბიბლიოთეკის“ მიხედვით უკეთეს, რათა შეავსოს გვიღო დე კოლუმნის ცნობათა უცმარობა. კერძოდ, არგოს ხომალდის დამზადებისა და არგონავტთა კოლხეთში გამოლაშქრების ამბავი თეიმურაზს დიოდორეს მიხედვით აქვს გადმოცემული. შეეადაროთ:

თეიმურაზ ბაგრატიონი

„არღო ანუ არღონ ნავი იგი იყო ანუ ხემალი, რომელიცა შეიმზადა მთასა ზედა პელიოსისა იაზონისათვის... ხოლო კრებული იგი ნავისა მის იყვნეს შეკრებულ და დაწესებულ საბერძნეთით სხვათა და სხვათა ადგილთაგან საბერძნეთისა ჩინებულთა მეფეთა და მთავართა შვილნი, 54-ი სული. ყოველივე თვითოეული მათნი ძლიერნი და გმირნი მებრძოლნი და სახელგანთქმულნი პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა, რომელთაგანი იყვნენ პირველად თუ იაზონ და დიდი იგი გმირთა უაღრესი ერკულეს, რომელიცა დადგინეს თავად და წინამძღვრად ყოველთა არღონავტთა, კასტორ, პოლუდეკე, ტელემონ, ორფეი, ატლანტია ასული სპინევისა, ძენი ფესტიეისინა და სხვანი.“

... არღონ ამისთვის ეწოდა ნავსა მას; ვინამთგან ძველისა ელინურისა ენათა ნიშნავს მსწრაფსს... (11რ).



ასეთი მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლება, მაგრამ, გვონებ სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ თეიმურაზ ბაგრატიონთან დიდორე სიცილეელის გამოყენებას ფაქტი ნათელყოს. ამიტომ, თეიმურაზის ცნობა, მის მიერ არგონავტთა თქმულების დამუშავებისას „ძველთა ელინურთა წერილთა“ „პოვნის, თარგმნის, ერთად შეკრებისა და ურთიერთ შემოწმების“ შესახებ, დღეოდან უკვე სრულიად რეალურ მნიშვნელობას იძენს.

V

ახლა ერთი, საკუთრივ რუსული წყაროს შესახებ. თეიმურაზ ბაგრატიონს თავის მღიდავ წიგნთსაცავში ერთი ასეთი ხელნაწერი წიგნიც ჰქონია: „№ 205. მეფაოლღია. შემოკლებით ოსტლისაგან თარგმნილი და ანბანზედ დაწკობილი მეფის გიორგის XIII-ს ძის დავითის მიერ.“³¹ ახლა ეს ხელნაწერი ლენინგრადის აღ-

ბ. ჩუღუკოვი

1. „აბაზუს, ძე იუბიტერისა და სემელისა, ასული კადმ მეფისა ქთვისა...“ (H 396, 7v).

2. „(ტიზიფონა—ნახე ფერიანი) ... ფერიანი ჯოჯოხეთისა საკვირველებანი, რომელიცა იყუნენ განსახლებულ მტანჯულად წარწყმენდულთა და ესენი იყუნენ დანი სამი: ტიზიფონა, მედერა და ალექტონა, რომელი ბერძენთამებრ ენისა პნიშვნენ: პირველი მისუვევლსა ანუ ბოროტისა მოქმედსა და მიმგებას მგორე სიმძულავარსა ანუ ბოროტებით განუძლოშელობასა, მესამე მესურნეობასა ანუ შუბრით განუსვენებლობასა...“ (H 396, 30r).

VI

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს თეიმურაზს თავისით არაფერი დაემატებინოს არგონავტთა თქმულებისთვის.

უკვე ე. ამაშუკელმა შენიშნა, რომ არგონავტთა კოლხიდაში მოსვლის 969 წლით (ჩვ. წ.-მდე) დათარიღება თეიმურაზ ბაგრატიონს უნდა ეკუთვნოდეს.³² მხედველობაშია თეიმურაზის სიტყვები: „წელთა დასაბამითგან სოფლისა ბურძქელთა რიცხთა 4313-სა, რომელთა რიცხვთა იუდიოლისა 3518, ქართლისა ქორონიკონთა მეცხრისა მოქცევისა 153 იქმნა მოსლვა არღონავტთა ქვემო ივერიად კოლხიდად პოვნად ოქროს მატყლოვანისა ცხოვარისა“ (ივერიის ისტორია, გვ. 85). ამ მონაცემებიდან 969 წლის (ჩვ. წ.-მდე) გამოანვარიშება ე. ამაშუკელს ეკუთვნის; თვითონ თეიმურაზის სიტყვით კი ეს მომხდარა „უწინარეს ქრისტეს მოსვლისა 1195 წლითა“ (ქუთ. № 480, 5v). ამაშუკელისვე დაცვრებით ოქროს საწმისის მცველად, გველ-

მოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის საკუთრებაა (E-33) და ასეა დედანში დასათარგმნელი „ცნობა ისტორიული და ლეოღრაფიული. ზღაპარ-სიტყულობა: შეკრება რაოდენთამე ძველთა ლმერთებთა. ელინთაგან ლმერთად აღსარებულთა“³². ტრ. რუსხაძემ გამოარკვია, რომ დავით ბატონიშვილის მიერ 1788 წელს გამოქართულებული ამ ძეგლის დედანია მ. დ. ჩუღუკოვის (1743-1792). «Краткий мифологический словарь», 1767, 1788.

დასახელებულ ძეგლში ანტიკური მითოლოგიის ბევრი პერსონაჟია ახსნილ-განმარტებული. და იმ, თეიმურაზ ბაგრატიონს თავის მიერ დაშვებულ არგონავტთა თქმულების სქოლიოები (ბაბუს, იუნონა, ტიზიფონა, მარს, ერკუელს) სწორედ დავით ბატონიშვილის მიერ გადმოქართულებული მ. ჩუღუკოვის „მითოლოგიური ლექსიკონის“ მიხედვით აქვს შედგენილი; მაგალითად:

თეიმურაზ ბატონიშვილი

1. „აბაზუს, ძე იუბიტერისა და სემელისა, რომელ იყო ასული კადმ მეფისა თთვისა...“ (ქუთ. № 480, 1v).

2. „ტიზიფონ, ერთი ფერიათაგანი, რამეთუ ესენი იყვნეს სამნი დანი. ამათ უწოდებდენ ჯოჯოხეთისა საკვირველებად, რომელიცა იყვნენ განსახლებულ მტანჯულად წარწყმედულთა და ქვეყანასაცა ზედა შეგრძნებითა შურის მეძიებელ და მიმგებელ მათი, რომელთათვისცა ლმერანი რისხვით ბოროტსა უბრძანებდეს...“ (ქუთ. № 480, 1v).

შაპისა და ხარის გვერდით, დევი თეიმურაზის მიერ უნდა იყოს დამატებული (იქვე). მაგრამ ვერ დავეთანხმებით ე. ამაშუკელს, თითქოს კოლხეთიდან დაბრუნების შემდეგ, იაზონისა და პერკლეის ტრაში გალაშქრების ამბავიც თეიმურაზ ბაგრატიონის ფანტაზიის ნაყოფი იყოს, რადგან ეს არც ერთი წყაროთი უნდა იყოს არააო. (იქვე): როგორც უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, ეს ამბავი თეიმურაზს აღებული ჰქონია გვიდო დე კოლუმნის „მითანიდან“ და თეიმურაზ ბაგრატიონის ფანტაზია აქ უარაფერ შეაშა.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, ერთი თავისებური კონცეფცია, რომლის ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოტანა თეიმურაზ ბაგრატიონის სახელთან არის დაკავშირებული და თანმიმდევრულად გატარებულია, ამ შემთხვევაში,

გურამ შარაძე

არგონავტბაჰრის თქმულება და მისი დასაბამი პიროვნება მამულ ქართულ მწერლობაში

არგონავტთა თქმულების თეიმურაზისეულ ვერსიაშიც.

საქმე ისაა, რომ „ივერიის ისტორიაში“ და კერძოდ, არგონავტთა თქმულების სქოლიოშიც, თეიმურაზ ბაგრატიონი ამტკიცებდა ალექსანდრე მაკედონელის მოსვლამდე ჩვენში მეფის ინსტიტუტის ნაცვლად, მამასახლისთა ინსტიტუტის არსებობას: „მრავალი ისტორიკოსნი ძველნი შეცდეს და ივერიის მამასახლისთა რომელთაზე სწერდეს მეფობის სახელით და სხვათა მთავრებად და ესე ჯერ არს უწყებად „მკითხველთათვის, რომელ ივერიელთა ერის საზოგადოება იყო ალექსანდრე მაკედონელის მოსვლამდისინა, მინამდის არც ერთი მეფე და არც მთავარი მამასახლისთა გარდა სრულიად ზემოსა და ქვემოსა ივერიასა შინა არაივნ ყოფილა... მტებით მამასახლისი ყველაზე მამასახლისებზე უფროსი იყო...“ (ივერიის ისტორია, გვ. 87). ამიტომაც, რომ თეიმურაზი „ძველნი ისტორიკოსნი შეცდომას“ „ასწორებს“ და მის მიერ აღმუშავებულ არგონავტთა თქმულებაში აეტესს კოლხეთის მამასახლისად იცხადებს „უფლებასა ქვეშე მტხეთის მამასახლისისა“ (გვ. 86 და სხვ.) და ამაზეა აგებული თითქმის მედეას კოლხეთში დაბრუნების მთელი სიუჟეტი. ასევე, ორიგინალურია აეტესის თეიმურაზისეული განმარტება: „ოეტეს, სახელი ესე არს ოტია, რომელითაცა აწცა კაცნი არა თუ მხოლოდ სამეგრელოსნი, არამედ სრულიად ყოველ შინა ზემოსა და ქვემოსა საქართველოსა სახელიდებენ სახელსა ამას“ (ქუთ. № 480, 87). თეიმურაზის ეს თანისებური შეხედულებები გაზიარებული ჩინს აკავს წერეთელთან.¹

დაბოლოს, უნდა შევეხოთ მედეას პრობლე-

მასთან (კერძოდ, ძმისა და შვილების მკვლელობის ამბავი) თეიმურაზ ბაგრატიონის დამოკიდებულების საკითხს.

ქართულ მწერლობაში, როგორც უკვე ზემოთ იყო ნაჩვენები, ამ პრობლემას პირველად იოანე ბატონიშვილი შეეხო თავის „კალმასობაში“, სადაც მედეა, მან, შვილების მკვლელად გამოიყვანა: „მედელიამ... განრისხებულმან დახოცნა ორნივე ძენი თვისნი“ (კალმასობა, I, 1936, გვ. 121).

თეიმურაზ ბაგრატიონი არ გააყვია თავისი უფროსი ძმის კვალს. როგორც ცნობილია, მედეას მიერ შვილების მკვლელობას ტრადიციულად ევრიბილემ შეუქმნა, თორემ მინამდ, და მის შემდგომაც, ანტიკური წყაროების მიხედვით იაზონის ლალატის გამომქლავების შემდეგ მედეა შვილებს კორინთოში ტოვებს და შეურაცხყოფილი ათენში გარბის, ხოლო შვილები მსკრინთოელებმა დაუხოცეს² (ამას გარდა, ყველა ანტიკური წყარო ერთსულოვნად არ მიუთითებს მედეას მონაწილეობას ძმის — აფსირტეს მკვლელობაში³, რაც თეიმურაზთანაც გაზიარებული ჩინს).

თეიმურაზ ბაგრატიონს, გარდა ეროვნული თვითშეგნების, სრული მეცნიერული საფუძველი ჰქონდა, არ გააყოლოდა ევრიბილეს გზას და ამიტომ, ჩვენს მიერ ზემოთ ნაჩვენები ანტიკური წყაროების გამოყენებით, მან მედეა შვილების მკვლელად არც გამოიყვანა.

ქართულ მწერლობაში მედეას პრობლემის ისტორიულ მსჯელობას, რასაკვირველია, ამ მომენტზედ უნდა იქნას გამახვილებული ყურადღება.

შენიშვნები:

1 კ. კეკელიძე, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში, ეტიუდები, II, თბ. 1945, გვ. 246-247.
2 იქვე, გვ. 259.
3 ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 86. სქ. 11.
4 ილ. აბულაძე, „ელინთა ზღაპრობანი“, ენიმკის მოამბე, X, 1941, გვ. 28.
5 იხ. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა (წიგნი III), თარგმნილი და გამოცემული აკაკი ურუშაძის მიერ, თბ. 1970, გვ. 243-249.
6 კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 260.
7 ე. ხინთიბიძე, ბასილ დიდის სადაურობისათვის, მოამბე, III, 1962, გვ. 144; ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი..., გვ. 87, სქ. 14.
8 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რგვ., თბ. 1941, გვ. 165.
9 II-396, 13. როგორც ტრ. რუსუაძემ გამოარკვია, ამ ძეგლის დედანია მ. დ. ჩულკოვის (1743-1792). «Краткий мифологич. словарь»,

1767, 1788 (იხ. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1960, გვ. 265-266).
10 იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტომი I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 120-121.
11 ისტორია..., გვ. 85-100; აქედან გადაიბეჭდა ქურნალ „ციცკარში“ ასეთი სათაურით: „კოლხიდა (მეგრელია)“, 1857, № 3, გვ. 33-47.
12 აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და განმარტება დატურთა აკაკი ურუშაძემ, სახელგამო, თბ., 1948, გვ. 24-25.
13 ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1949, გვ. 112.
14 ხელნაწერი შრომა დაცულია თბილისის უნივერსიტეტის ფუნდამენტურ ბიბლიოთეკაში: F-25704. გამოქვეყნებულია ამ შრომის ავტორიფერატი: Е. В. Амашукели, Миф об аргонавтах в грузинской литературе, Тб., 1954.

¹⁵ ავტორფერატი, გვ. 9-10; შდრ. ხელნ. შრომა, გვ. 41-42.

¹⁶ შდრ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. V, თბ. 1957, გვ. 254.

¹⁷ საქართველოს სსრ ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1969, გვ. 567-568.

¹⁸ იხ. H-1427, H-2876, S-5185 და სხვ.

¹⁹ ნ. გამრეკელი, ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების ბიბლიოგრაფია, H 2876, ფ. 27, შდრ. ლ. ახოზაძის სიტყვებს: „ამ თხზულების ქართული თარგმანი ეკუთვნის ვაიოხ რექტორს, როგორც ეს ტრ. რუხაძემ გააკვია, თარგმანი შესრულებულია 1780 წ.“ (თეზისები, გვ. 568).

²⁰ ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 231.

²¹ შიითიებული გვაქვს „მატიანის“ H-1427 ნუსხის მიხედვით.

²² იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. V, თბ. 1967, გვ. 254; ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა ე. ნიკოლაძისა, ტ. II, თბ. 1964, გვ. 138-139.

²³ ყველა ისინი ქართული თარგმანით გამოკველევიან და კომენტარით გამოცემული აქვს ა. ურუშაძეს წიგნში: „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბ. 1964.

²⁴ შდრ. В. С. Соников, Опыт... №№ 1198, 1199, 4649, 3962, 8250, 8307, 8308, 10819, 13051—13053, 1771 და სხვ.

²⁵ შდრ. ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 351 და გვ. 459.

²⁶ В. Латышев, Scythica et Sarmatica, т. I, вып. 2, СПб., 1896, стр. 457.

²⁷ თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, თბ. 1964, გვ. 29.

²⁸ Библиотека (историческая) Диодора Сицилийского; переведена с греческого Иваном Алексеевым, 6 частей, СПб., 1774 — 1775. იხ. В. С. Соников, Опыт, ч. II, СПб., 1904, стр. 31.

^{29,30} შესადარებლად ვიყენებთ: „დიოდორე სიცილიელი, ისტორიული ბიბლიოთეკა, IV წიგნი: თავები 40-56, ა. ურუშაძის თარგმანი წიგნში: ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 377-410; თეიმურაზ ბაგრატიონი, ფრიქსა და ელეია და ოქროსმატყლოვანისათვის ვერძისა (ავტორაფი, 1841 წ. ქუთ. № 480).

³¹ თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი, ს. იორდანიშვილის რედ. თბ. 1948, გვ. 44.

³² Р. Орбели, Груз. рукописи ИВ АН СССР, М.—Л., 1956, стр. 136.

³³ Е. Амашукели, Миф об аргонавтах, стр. 9—10.

³⁴ გ. შარაძე, აკაკის „მედიას“ წყაროებისათვის, შტრნ.: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 2, 1972.

³⁵ დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ა. გაწერელია, დანტე და პრეისტორიული საქართველო, გავ. „ლიტერატურული საქართველო“, 22.V.1970.

³⁶ შდრ. ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტთა თქმულებაში, თბ. 1964.



ჯანსუღ ჩარკვიანი

„ნ ა თ დ ე ბ ა“

შავი ყლის გულში თეთრი ღრუბლები
არეულან, არეულან, მაგრამ მაინც ნათდება,
კეთილშობილური ფერები მოსავს აღმოსავ-
ლეთს, კარგი პირი უჩანს განთიადს, დიახ,
ნათდება... ასეც ჰქვია ვანო ჩხიკვაძის
პირველ წიგნს, „ნათდება“.

ჭერ შენს საყდარს არ დაერეკია, არ გამო-
ხდარა საყდრიდან ზრიადი და ზართა ცემა...

პირველი წიგნის ავტორი, პირველი ფიცის
წერილის დამწერია, ჭერ კიდევ აღიხანჯალაა,
ქაცვია მწყემსია, რომინ ჰუღია.

ვანო ჩხიკვაძეს არ შეუძახნია მთებისათვის,
მოედღივარ და გადმიშვიო, გულქართლად მო-
ლიოდა წლების მანძილზე და თავისი წილი
ფაქრი და რწმენა მოჰქონდა.

სანდომობა — სილამაზის მარლია, იგი
ყოველთვის უნდა ჰქონდეს ახალგაზრდა შე-
მოქმედს. მუზადანთლებულ კაცს თუ ფაქრი,
რწმენა და სანდომობა აქვს, ბედნიერ ვარსკე-
ლაზეა დაბადებული.

„ავტობიოგრაფია“ იხსნება ვანო ჩხიკვა-
ძის ლექსების პატარა კრებული.

• ოცდართი წლის ურა კვიცს ვებრძვი,

• უნდა მოვთხოვ მშის ამოსვლამდე,

• პირი სავსე მაქვს, ფაფარით, ბეწვით —

• ვარ ენიანი სულით ხორცამდე.

• შელიან გზები, ბედი, ხიფათი,

• ყალზე შემდგარი აღმართი მელის,

• ოცდართი წლის ულაცი ბორგავს,

• ოცდართი წლის ჭიხვიანებს ცენი.

ეს ლექსი იქნებ ის ნათელი სხივი არაა, რომელიც
გაეგებება ზღაპრულ პოეტიკულ მკითხვე-
ლის უფაქიხეს სულამდე, მაგრამ იგი ნამდვი-
ლი ავტობიოგრაფია, ნამდვილი ავტობიოგრა-
ფია. ამ ლექსში ნათლადაა მოტანილი ის წუ-
ხილნარევი წყურვილი, რომლითაც ხვალ ბეწ-
ნი

ვის ხილზე უნდა გავიღეს მქუხარე სიჭაბუკე.
ამ ლექსში არის დაუოკებელი სურვილი, რა-
თა შეიხსნას კარი გარინდებული მომავლისა.

ოცნების გზებით ნავალი კაცის ფესვები სა-
ოცრად ფაქიზია, მაგრამ უნადღესი, მშობლიუ-
რი წილიდანაა იგი აღმოცენებული.

თოვლისა და ფერადი ზღაპრების სინათლით
განათებულ ქოხში, ღუმელთან ფეხმორთხმუ-
ლა ტკივილამდე სათნო და საყვარელი გოგო-
ნა მარინე, როგორც „სითბოსთან მიტანილი
თოთო ყვავილი“.

ჩემი მარინე, დაი ჩემი, ღიმილი ჩემი...

ფართქალებს, მღერის

და ეშმაკებით ავსებია ფართე თვალები.

„მუხის ბაგაზე მძიმე ჩაქვევს ავღარტე-
ბენ—ჩვენი ზღაპრები და წიქარები“, აი, ასე
თენდება პოეტისათვის დეკემბრის ღამე. ასე
სათნოდ და ასე პოეტურად.

ვანო ჩხიკვაძეს ნათელი თვალი აქვს, ხან-
დახან კი მშის სხივივით ატანს ზოლზე უცხო
გარეშობი. იგი მშობლიურვით ზედღეს ფო-
თლებზე მბრწყინავ გაზაფხულის ფერად
ცრემლს.

„ჩვენ დავიბადეთ განთიადისას, როგორც
ციმციმა წვეთები ფოთლის“, ასე გულგაღვი-
ლი და შემართული უნდა მიჰყოინებდეს გზას
ურთულესს, მაგრამ შენგანვე ამოჩრეტულს.
დღევანდელ გზებზე დაუცხრომლობით სიარუ-
ლი დიდი მავალითა და დიდი იმედია მომდევ-
ნო კაცისათვის. საკუთარი თავისადმი ურწმუნ-
ო და ყალი მღალადებული, ყველაზე უფრო
მძიმე და დაეანგული მტერი ამწერლობისა.
გამოსარჩევ ლექსებში მერგენა და ყვლაგ გა-
დავიკითხე ვანო ჩხიკვაძის ლექსები „შემოდ-
გომის ფრაგმენტი“ და „ხარა“. ჩემის აზრით

ფერმწერის გამოცდილი ხელი ატყვია ამ ლექსებს. თავიდან ბოლომდე მოვიტან ლექსს, რომელიც დათარიღებულია 1968 წლით.

მამაპაპური ეზო და თავზე...
სავსეა წვიმით, თიხის ქოთანს.
მთვარის ნალექი უფდათ ხარებს
და დამშუული მზერით ლოკავენ.
ძველ სათონეში აბოლდა ფიჩხი,
სკამის ფეხებთან კრუტუნებს კატა,
ზის ფანჯარასთან გამხდარი ბიჭი
და გაყვითლებულ ხეივანს ხატავს.

„ქართლი.—მწვანეში გამოტოლი ლამაზი ხარი, განზანთლია გაზაფხულის ღვთაებრივ წვიმით,“ ეს ლექსი „მომხეტალე მუსიკოსია“, ავთანდილის მოლხენით ნათქვამი ლექსი, რომელსაც საოცარი ფეროვნება და სილალე ახლავს, ხატოვნად რომ გამოუთქვიათ — „მომხეტალე მუსიკოსი“ ქართლის გაზაფხულის მწვანე სიმშვიდის ფერადი სამკაულია.

ყველა განსაცდელი და ყველა საჭირბოროტო საკითხი თუ სადღეისო პრობლემა შენია და კარზე მომდგარა. რა თქმა უნდა, უპასუხოდ ვერ დატოვებ.

შენი წუთისოფელი უცხო, ზღაპრული გზებითაა დასერილი და დახლართული. ყველა გზა მნიშვნელოვანია და ანგარიშგასაწევი. ვაქაცობა ინაა; ყველაზე რთული აირჩიო მათ შორის, ამ რთულს დაადგე, მიხვდი ბოლომდე და შემდეგ, გამარჯვებული, უმცროს ძმასავით მაინც შენ დაბრუნდე.

გზაჯარედინზე ძველივით ვდგავარ,
ოთხი გზაა და ოთხზე მთავარი,
ზურგსტყან დარჩა ღამეთა თვეა
და მოგონების თეთრი კარავი.

პოეტისათვის სწორედ ეს ფაქიზი და ჯანსაღი სულსცევეთება უნდა იყოს უმთავრესი. წუთისოფლის დემილს აყოლიდა ახალგაზრდა ცოდვა კაცია. იმის გაფიქრებაც კი ღირსებაა, რომ „ყალბზე შემდგარი აღმართები“ შენს წინ მორჩილად დგანან. გრივალებს ადევნებულნი ხმა მდღიდღური, ისე არ დაიკარგება, რომ ქარბორიოდ მაინც არ მოველინის ქართლის ნაცრისფერი სიკრებებს.

ხშირად მიფიქრია ხოლმე, რომ ქვეყნისა და შეილის წინაშე ერთნაირად მართალი და მორიდებელი კაცი უნდა იყოს, რომ იჭიკოს ჭუჭყიანი ხელი არაფის შეეხოს. განერიდო, ოკონდ გუნებაში აპატიე, ადამიანის სული მთებზე მოფარფატე ნისლივით ფაქიზია, ადამიანი რაც არ უნდა ძლიერი იყოს, მაინც ცოდვას სულ ნაბირზე გასვლას ლამობს, სულ სად-

ღაც მიეჩქარება, სულ საითყენდაც ისწავლებულა, გზა კი, არაა ვარდით ფენილი.

ლექსი „ამბავი“ ადამიანისეულ ამბავია და არაფისთვის უცხო. დიახ, შეიძლება გაუწყრე და განერიდო კიდევაც, მაგრამ დროებით.

შენ გაუწყური ადამიანებს,
ჩამოისვენე ღელის პირას
და მღვრიე შორევეს
ესროდი ენქვებს...
მზე ჩადიოდა,
თეთრი დილა გაქრა თავისით,
მთელმა ქვეყანამ დაინახა
რაც მოხდა შემდეგ:
უბეში ჩიტს ბარტყი ჩაისვი
და გაეროდე ადამიანებს.

საკამოგონზე მოსვენებული ნეკრესის ქარები და ლოკაციან ვადაფარებული ჯვარდინი ხელები, სათოფურებივით პატარა სარკმლები და სარკმლებში შემოსული ლაქვარდის ფერები მარგალიტებივით გაფანტულან ვანო ჩხიკვაძის ლექსებში.

გამარჯვებული გზენმა სიმღერით მისდევს ამ პატარა წიგნში დატეულ პატარა წუთისოფელს. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ლექსმა „დაჯარგულმა მელოდიამ“, ლექსი საოცრად გულწრფელია, გულწრფელობა კი, ჩემის აზრით, ის პერანგი გახლავთ, რომლითაც იბადება ბედნიერი ლექსი.

ვესმენდი დიდხანს, როგორც სიჩუმეს,
პირველთოფლობა იდგა კარებთან...
და მოგონების თეთრი მარხილი
თოვლში ბავშვივით დავგატარებდა.
მთვარის ციალი გზას გვიანთებდა,
თოვლს ჩხვრდა ცხენის ნაბიჯი მძიმე
და გაღაბრილი წარაფზე ვერხვი,
ჭავდა პერში გაყინულ ირემს.

ეს ლექსი სიყვარულისა და პირველთოფლობის მშვენიერი მელოდიაა. ვანო ჩხიკვაძის ლექსების კითხვისას თავიდანვე ისე განეწყვი, რომ არც კი მინდოდა საჩოთირო რამ შემხვედროდა, მაგრამ უნებურად, ჩემდა უნებურად ერთი ასეთი სტროქონი მაინც შემეფეთა — „გააზარმაცა აინდმა კაცი, გატება ცეცხლი და კერიის ბოლო...“ ლექსის სათაურია „ნათლება“, წიგნის სათაურიც „ნათლება“ გახლავთ, ესე იგი რაღაც მნიშვნელოვანზეც უნდა მიგვანიშნებდეს პოეტი. ლექსში თითქოს ყველაფერი რიგზეა: „ბალი მწვანე ცერებზეა შემდგარი“, ხეებს წვიმის საყურეები ჰკიდიათ, „თითქოს დააფრთხო ყეფამ მწევარის, ჩრდილები ისე შედიან ტყეში“, ავტორი იქით მისწრაფვის, სადაც უკვე აღარც ელიან. გარითმულია ერთმანეთთან: საყურე და გაყურებდა, ყველარი

ჯანსუღ ნარკვიანი
„ნათლება“



და მწვეარი, ესე იგი თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ჩემის აზრით, მხოლოდ ოსტატობა არა კმარა კარგი ლექსისათვის. (აქ კი ავტორისავე სიტყვებს მოვიშველიებ), იგი დაწერილია ამინდით გაზარმაცებულ კაცის განწყობილებით. „გამტკბარი ცეცხლი და გამტკბარი კერია“, არაა, ვანო ჩხიკვაძის პოეზია, იგი სხვისეული განცდაა და სხვას ჰქონდეს, ვანო ჩხიკვაძის პოეზიის ქერი უფრო გამძლეა, ვიდრე ზემოდთქმულ ლექსში.

ვფიქრობ და მტკივა

ეს პატარა ნაგლეჯი მიწის, თითქოს საკუთარ სხეულზე ვდგავარ.

ეს სტრიქონებიც ნაგლეჯია ერთი მშვენიერი ლექსისა, მაგრამ ამ ნაგლეჯშიც საოცრად ნათლად მოსჩანს პოეტის მოქალაქეობრივი განწყობილება და შეშარბობა.

ვანო ჩხიკვაძის პირველი წიგნის ფურცლებიდან მინდვრის ყვავილების სუნს აქმევენ მშვენიერი ლირიკული ლექსები: „გახსენება“, „დაბადების დღე“, „მკალაეი“, „ხმები“.

ბევრი კარგი ლექსი, მოქალაქეობრივი და პატრიოტული ლირიკის ნიმუში, გვერდზე დარჩენია, უკრაში გამოუქეტავს პოეტს, რას

იზამ. რამდენი ვინდა ჩაატო ერთი წიგნი.

ვანო ჩხიკვაძის პირველ ლექსებს „ცისკარმა“ დაულოცა გზა. მის პირველ წიგნსაც „ცისკარი“ ეხმინება.

ჩემს პირველ შთაბეჭდილებას, რა თქმა უნდა, რეცენზიის პრეტენზიები არ გააჩნია, როგორც მოგახსენეთ, იგი პირველი შთაბეჭდილება გახლავთ, რომელიც მთავრდება პოეტის ერთი უსათაურო ლექსით.

შენც გაიზრდები მხიარულო, პატარა ბარტყო.

ფრთებს დაატოლებ, ცას და მერე დაგტოვებ მარტო.

ჩე-მი სა-მშობლო, სა-ქართ-ველო, დამარცვლავ თითით და მხრები შენი დამამიძლება ვეება ტვირთით.

ამ კარგი წიგნის რედაქტორია იზა ორჯონიკიძე, მხატვარი გახლავთ სპარტაკ ცინცაძე.

კრებულის ტირაჟი 2.000 ცალია, აჯობებდა ორჯერ მეტი ყოფილიყო.



ტრაგიკული დავით კლდიაშვილის პროზაში

დავით კლდიაშვილმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მოიპოვა კრიტიკის განსაკუთრებული ყურადღება და მკითხველის სიყვარულიც. ის, რასაც სხვები წლების განმავლობაში აღწევენ. მისი ტალანტი საყოველთაოდ აღიარებული იყო და სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა ადვილი ერთგული მწერლობის კლასიკოსთა შორის. უწოდებიათ მისთვის „ქართული სერგანტისი“, შეუღლებიათ მსოფლიო ლიტერატურის ტიტანებთან — ჩეხოვთან, მოპსანთან. მიუხედავად ამისა. რამდენადაც ბარადოქსალურად არ უნდა მოგეჩვენოს, ამ მწერლის ნამდვილი მნიშვნელობა ქართული პროზის განვითარების პროცესში ჯერ კიდევ შეუსწავლელია, გასაკვლევია. რა თქმა უნდა, თემატურად ან მოტივების თვალსაზრისით დავით კლდიაშვილის პროზა თითქმის არავითარ საიდუმლოს აღარ შეიცავს. დაწყებული ა. წულუკიძიდან, გათავებული თანამედროვე სასკოლო სახელმძღვანელოებით, ვარკვეულია ეს და ამ რივის საკითხები. ეს აუცილებელი და საჭირო ეტაპი ჩვენმა ლიტერატურისმცოდნეობამ დიდი ხანია განვლო. შემდგომი ეტაპი, როდესაც იწყება მწერლის მხატვრული ოსტატობის კვლევა, იღუმალებით მოცული შემოქმედებითი პროცესის წვდომა, ჯერ კიდევ არ ჩანს. არის რამდენიმე გამოკვლევა ზოგიერთ კერძო საკითხზე (მაგ. გრ. კიკნაძისა — დავით კლდიაშვილის სტილზე, იუმორზე) მაგრამ ეს ცოტაა. ჩვენ არ გვაქვს ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მონოგრაფია ან სრული მეცნიერული გამოკვლევა, რომელშიც აისახებოდა ქართული პროზის ამ ერთი უდიდესი, სრულიად ორიგინალური ოსტატის ნამდვილი ძალა და მნიშვნელობა. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა ვერ დაკმაყოფილდება ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების თემატური ან

იდევური სისტემატიზაციით. განსაკუთრებით ეს ეხება დავით კლდიაშვილს, რომლის პროზაც მეცხრამეტე საუკუნის მწერალთაგან ყველაზე ახლოს დგას თანამედროვე პროზასთან. დავით კლდიაშვილმა შესძლო თვისობრივად ახალი ელემენტები შეეტანა ქართულ პროზაში: მონიმუმამდე დაიყვანა სიტყვიერი მასალა და ტრადიციული პოეტოკური ფიგურები, გააღრმავა და გაამრავალდგინა მხატვრულ სახეობა შექმნის საშუალებანი, შეიმუშავა ნამდვილობის რლუზიის შექმნის ორიგინალური ხერხები და, რაც მთავარია, განდევნა პროზიდან ტრადიციული ლირიზმი, რაც ჩვენს პროზაში უპირატესად გამოიხატებოდა მხატვრული ნაწარმოების ქსოვილში მთხრობელის მოქარბებულ ჩარევაში.

ცხადია, დავით კლდიაშვილი უწინარო და უტრადიციო მწერალი არ ყოფილა, მაგრამ ისიც უმეველია, რომ მან დაასრულა ყველაფერი, რაც ქართულმა პროზამ მოიპოვა მანამდე და თავის მხრივ სათავე დაუდო ახალს, მომდევნოს, შემდგომი განვითარებისათვის მიუცილებელს. აქ ეყრება ერთმანეთს ტრადიცია და ნოვატორობა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ დავით კლდიაშვილი ნიშანსეტიად დგას ორი ეპოქის ქართული პროზის ვასყართან.

რაც დრო გადის ინტერესი დავით კლდიაშვილის პროზისადმი იზრდება. განსაკუთრებით ახლა, როცა ჩვენში დადგა ინტელექტუალურა ხელოვნების (თუკი საერთოდ არსებობა არაინტელექტუალური ხელოვნებაც) ეპოქა, დავით კლდიაშვილი მეტი და მეტი ყურადღების ობიექტი ხდება.

დავით კლდიაშვილის შემოქმედების მკვლევარები, პირველ ყოვლისა, მის იმ ნაწარმოებებს მიმართავენ, რომლებშიც ასახულია იმე-

რეთის გალატაკებელი აზნაურების ყოფა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე, თვითონ დავითმა „შემოდგომის აზნაურების“ სახელით რომ უკვდავო, სწორედ ამ ნაწარმოებშია თემატიკური, იდეური და სტილისტური ანალიზი იპყრობს ძირითადად მკვლევართა ყურადღებას. სამეცნიერო სტატიებში, სახელმძღვანელოებში და ა. შ. დავით კლდიაშვილი ორიოდე გამონაკლისის გარდა, წარმოდგენილია აზნაურული ყოფის მწერლად.

შემჩნეულია და დახასიათებული ის განსაკუთრებული, კლდიაშვილისებური იუმორი, რითაც აღბეჭდილია მწერლის ეს ნაწარმოებები და რითაც დავით კლდიაშვილი ასე გამოირჩევა ყველა სხვა მწერალთაგან. დავითის ოუმორს სპეციალური გამოკვლევა მთქმდნა გრ. კიკნაძემ, შეისწავლა და დახასიათა კომიში. და მისი ხერხები ყოველგვარ მავალითებზე. მოკლედ, დავით კლდიაშვილის შემოქმედების ეს მხარე ასე თუ ისე შესწავლილია და დახასიათებული.

ნაკლებად შემწავლილია დავით კლდიაშვილის პროზის ის ნაწილი, რომელშიაც გლეხთა ყოფა ასახულია: „შერისხვა“, „მსხვერპლი“, „მიქელა“, „მრეველი“. ამ მოთხრობებში მთელის ძალით გამჟღავნდა მწერლის დემოკრატიზმი, მისი ღრმა თანაგრძნობა ცრუმორწმუნეობისა და ხილტაკის კლანკებში მოქცეული გლეხობისადმი, საერთოდ მისთვის დამახასიათებელი ჰუმანიზმი. ეს ყველაფერი შეუფერავად, პირდაპირაა გატარებული ხსენებულ ნაწარმოებებში და განსაკუთრებული დაკვირვების უნარს არ საჭიროებს. საინტერესოა გაგარკვეით მათი აღგვიღ დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში, რა უფროსი, რა თვალსაზრისით ახასიათებს ეს მოთხრობები მწერალს, რა ცოდნას გვაძლევს ისინი მწერლის მხატვრული ოსტატობის შესახებ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით ხსენებულე მოთხრობები უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა.

ჯერ ერთი, საინტერესოა თავისთავად ის ფაქტი, რომ დავით კლდიაშვილი აზნაურული ყოფის და გლეხთა ყოფის ამსახველ მოთხრობებზე თითქმის ერთდროულად მუშაობდა. „შერისხვა“, „მსხვერპლი“ და „სოლომონ მორბელაძე“ 1893-94 წლებში დაიწერა. ასევე ერთდროულად დაწერილია (1903 წელს) „ღარისპანის გასაქირი“ და „მიქელა“. ქრონოლოგიურად ახლოსაა „ქამუშაძის ვაჟივება“ და „მრეველი“, „ბაკულის ღორები“ და „როსტომ მანველიძე“. გამოდის რომ დავით კლდიაშვილი არ ყოფილა მარტოოდენ „შემოდგომის აზნაურების“ მწერალი, მისთვის ასევე ახლოებული ყოფილა გლეხთა თემის მართალი, დავით კლდიაშვილმა „სოლომონ

მორბელაძეში“, „ქამუშაძის ვაჟივებაში“, „სამანიშვილის დედინაცვალში“, „ღარისპანის გასაქირში“ აზნაურთა ყოფის გაცილებით უფრო ფართო სურათი მოგვცა, ვიდრე „შერისხვაში“ ან „მიქელაში“ გლეხთა ყოფისა, მაგრამ ეს დავითის პროზის რაოდენობრივი ნიშანი და არა თვისობრივი. ჩვენ შევეცდებით დავანახოთ, რომ, მაგალითად, „მიქელა“, თავისი მხატვრული ღირსებებით არაფრით არ ჩამოუვარდება. ეთქვას, „სოლომონ მორბელაძეში“, პირიქით, „მიქელაში“ მწერლის სტილის ზოგი ის მხარეცაა გამჟღავნებული, რითაც შეიძლება ეს მოთხრობა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე „სოლომონი“. პირველ ყოვლისა, ზურადღებას იქცევს დ. კლდიაშვილის გლეხურ მოთხრობათა (ეუწოდოთ მე ვირობოთ ასე) ტრაგიკული შინაარსი. თუ „სოლომონ მორბელაძეში“ გვაქვს კომიკურის გვერდით ტრაგიკულიც (ამაზე მიუთითა გრ. კიკნაძემ), მოთხრობებში — „მიქელა“, „შერისხვა“, „მსხვერპლი“ ადგილი არ რჩება არაფრისათვის, გარეშე ტრაგიკულია. თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია: შემოდგომის აზნაურთა ყოფა თუ ღიმილს ჰკვირდა მწერალს, თუ საყვეს აძლევდა იუმორისათვის, გლეხთა ყოფა მხოლოდ სიბრალულისა და გულისწყურის გრძნობებს აღძრავდა მასში, ამ ყოფაში იგი მხოლოდ ღრამის, ტრაგედიის მასალას ხედავდა.

საერთო იერი ყველა ამ მოთხრობისა ტრაგიკულია. თავად მწერალს ეს ღრმად ვაცნობიერებული ჰქონდა. „შერისხვისა“ და „მსხვერპლის“ გამო მწერალს მიუთითა, „აწერილი სურათი მეტად აღზანდობისა, მიიმე შეთხვეულებს ტოვებსო“. ეს რჩევა მიუღებელი დარჩა ჩემთვის; ის კი არა, ენაწობდი, რომ ბევრი რამ ვამოწრა „აჩქარების გამო“. ვინმე მერისადმი მიწერილ ბარათში მწერალი ასე ახასიათებს „მსხვერპლს“ და მის მთავარ პერსონაჟს:

„... ერთი სიტყვით, იმისი მოთხოველი ვიქნები, რომ მჩავერელი სიბნელე იქნეს გამოჩხელი და ის, რომ მსხვერპლად ეწირება ადამიანი. გაბარებთ ფეფებს — უდიდეს მსხვერპლს ან სიბნელისას. იგი გაკაცებულია, გულგაქვავებულია ცხოვრებისაგან და არასდროს ცუდი ადამიანი არაა... ერთდეთ, ერთი სიტყვით. გამოსახოთ ზოგნი მსხვერპლად, ზოგნი მტარვალად; ყველანი მსხვერპლად ეწირებიან შავნელ ცხოვრებას, რომლის გაშუქების, განაიების, გაქვავებისათვის უნდა ემუშაოდეთ“. მასსადავმე, დავითი სრულიად შევწებულად, წინასწარ მოთქმულად არჩევს მასალას და ამყარებს მასთან სწორედ ამნაირ და არა სხვაგვარ დამოკიდებულებას.

ცნობია, როგორც ყველა დიდი ხელოვანის ხელში, ეს მასალა, ამნაირი დამოკიდებულება,



დავით კლდიაშვილის პროზაში იქცა ესთეტიკურ ფაქტად. ამიტომ ჩვენ თუ ვმსჯელობთ კომიკურის შესახებ დავით კლდიაშვილთან, ასეთივე უფლებით უნდა ვიმსჯელოთ ტრაგიკულის გამოც. ჩვენ ვიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომ ტრაგიკული ყოველთვის არ შეიცავს გმირულს. ჩვენთვის ტრაგიკულში მთავარია მძლავრი ენებანი, რომელიც ამოძრავებს პიროვნებას და ამ ენებათა მიმდინარეობის პროცესში. ამ თვალსაზრისით, ერთნაირად ტრაგიკული პიროვნებები არიან ფეფენაც და ლეონ მაკბეტიც, მიქელა ვიორჯაძეც და პრინცი ჰამლეტიც. ისინი ერთნაირადვე საკუთარი ენებების ტყვეობაში მოქცეულან, ამ ენებათა მსხვერპლნი არიან. სწორედ ამიტომ არ შეიძლება ამ პერსონაჟებისადმი სიმპათია არ იგრძნოთ, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს მათი ენებები. ამიტომ იცავს მწერალი ფეფენას: „გაბარბთ ფეფენას — უღრმეს მსხვერპლს ამ სიბნელისას. იგი გაკაეებულა, გულგაქვავებულია უზღედურებისაგან და არასდროს ცუდი ადამიანი არაა“.

საოცარი სიზუსტით გამოჰყოფს მწერალი თავის პერსონაჟში ერთ წამყვან, ძირითად ნიშანს ქვეყნის თუ ხასიათისა, აქცევს მას ენებად, რომელიც იმორჩილებს ამ პერსონაჟს მთლიანად. განუყოფელად, განსაზღვრავს ამ პერსონაჟის საქციელს, ხასიათს, ეს თანმიმდევრულადაა გატარებული ყველა ამ მოთხრობაში, ქვეყნის მყარ, მუდმივ სტილიერ ნიშნად. ამაში გვარწმუნებს დავით კლდიაშვილის გლეხური ყოფის ამსახველი ყველა მოთხრობის ანალიზი.

„შერისხვა“. მოთხრობის დასაწყისშივე გავნიშნავს მწერალი, რომ შურისძიება კაცია საკუნიშვილის საქციელის ერთადერთი აზრი. ანდრია ჭურაშვილზე შურისძიებამ უნდა მოუტანოს მას სიხარულიც, სიმშვიდეც და ტანჯვაც. კაცის ღრმად სწამს, რომ იგი მართალია, ამიტომ ხატმა უნდა დასაჯოს, პასუხი უნდა აგვიბინოს ანდრიას, რადგან ანდრია არაა მართალი. ანდრია გლეხური ლოგიკის ყველა პოსტულატი. კაცის აზრით, ანდრიამ შეაგულღიანა ხალხი და ამიტომ ჩამოაჭრეს მას მიწა სასოფლო ზღისათვის. რადგან კაცია სხვა გზით ვერაფერი გახდა, ახლა მისთვის შურისძიება მან მიიღო ყველაზე „უკეთესი მოსამართლეს“ — ღმერთს, თითონ ღმერთს და მასთან მყოფ წმინდანს გასცემ, შეილოსა, პასუხს. „შენ ჩემთან აწი აღარაფერი სალაპარაკო აღარა გაქვს... წმინდა გიორგის გაეცი პასუხი!“ მთელი თავისი გამომეტყველებით, საქციელით, კაცია უდიდეს მკაცრობილებას გამოხატავს, ღრმად დარწმუნებული, რომ წმ. გიორგი თავის საქმეს გააქეთებს: შურს იძიებს ანდრიაზე. სამავალითოდ დასჯის მას.

არა აქვს მნიშვნელობა იმას, რამდენად მარ-

თალია კაცია ანდრიასთან ან ვინმე სხვა პირისა შუ. (მოთხრობაში ანდრიას ერთობ დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს) მთავარია, რომ კაცის თვალსაზრისით, იგი შურტაცხევეს, „აარაფრად ჩაადგეს“, „დაჯანბნეს“. მწერალი დიდის ოსტატობით, თითქმის მთლიანად კაცის თვალსაზრისით გადმოგვცემს მისი სულის მოძრაობას, შურისძიებად ქცეულ სიძულვილის გრძნობით შეპყრობას, კაცის მძლავრი ენებით შეპყრობილ ადამიანად ქცევას. „აენთო კაცია, ის ჰგავდა მხეცს, რომელიც არა ლონისძიებს არ დარგიდებოდა, ოღონდ კი რითივე თავისი ჭაჭრი ამოეყრა, განსაკუთრებით იმ გაიძვერა, მოტიციციე ანდრიაზე, რომელიც თავი და ბოლო იყო სოფლის მოსამართლეებს შორის. კაცის ერთი გზაა დარჩა თავის შემავიწროვებელთა მოთავის დასახველად და კიდევად გადასწყვიტა მიემართნა ხატისათვის. გადაწყვიტულა აღარულეობაში მოიყვანა და კიდევად ჩაუგდო ხატს ხელში, გადასცა წმ. გიორგის ხატზე ანდრია. სადღა წაუდიდოდა წმ. გიორგის ანდრია? ევეი არ უნდა, წმ. გიორგი უსათუოდ დასჯიდა ანდრიასაც და მასთან მის უკუღმართ მოსამართლე ამხანაგებსაც. — ეს ნტიციელ სწამად ანდრიას.“

ამ ნაწყვეტში მწერალი შესანიშნავად იყენებს პერსონაჟის გარდასახვის ხერხს, რომ რაც შეიძლება ობიექტურად, რემარკების გარეშე გვიჩვენოს კაცის განცდები. არსებითად ესაა კაცის მოლოლოცა და არა თხრობა კაცის შესახებ. ეს ხერხი გატარებულია თითქმის მთელს მოთხრობაში.

კაცისათვის ხატი ურყევი ავტორიტეტია. ამიტომაც იგი ასეთა მშვიდი და დაჯერებული მოთხრობის დასაწყისში. „ღრო და ხანი გადიოდა, მაგარამ წმინდანის რისხვის ნიშნები კი არსად სჩანდა.“ ანდრიაც დაშვიდდა. თანდათან მოუთმენლობა დაეტყო კაცის. საოცარი ძალით გვიჩვენებს მწერალი გლეხის რწმენაში მომხდარ ძვრას. კაცია ჭერ გუნებაში ემდურება წმინდანს შეგვიანებისათვის, ხოლო შემდეგ „ბერმა კაცმა იმ ზომამდინაც მიადწია, რომ ხმამალა დაუწყო წმინდანს მდურება“. მწერალი პროტოკოლურად აღწერს კაცის მდგომარეობას: „მოხუცებული კაცია ახლა ანდრიასთან ერთად წმ. გიორგისაც ემდურება და სამდურება ხმა-მალა წარმოსთქვამდა ხოლმე. ეკლესიაში რომ იდგა, ხშირად თვალმოუშორებლად და საყვედურით მისჩერებოდა წმ. გიორგის ხატს, თითქო უნდოდა ამით გვეგებინებინა წმინდანისათვის: „ნუთუ დაგვიწყდა, რასაც გზოვდიო?!“ ვერაფერს საკმეხ ხელს ვეღარ ჰკიდებდა, აღარაფერი აღარ ახ-

ბექან ბარბაქაძე
ტრაბიკული დავით კლდიაშვილის პროზაში



სოფლა კაცის იმის მეტი, რომ ეს დაეჭვანა ანდროს, წმინდანის შემწეობით ჯერის ამოვიყრობო, მაგრამ ვერც ეს ასრულა და თვით წმინდანმაც არავითარი ყურადღება არ მიაქცია მას. დაუქმყოფილებელი შურისძიების გრძნობამ კაცია მიიყვანა უკიდურესობამდე: აღდგომის მეორე დღეს კაციამ საჩაროდ ჰგომ ხატი. „ესმის ახლა ვითომ მავას რამე?... ძალი ვიყვი მე, ჩემი რომ არაფერი შეისმინა მავან?“

კაცის საქციელი შემადრწუნებელია. ასე განიკადა იგი სოფელმაც, მისმა მეუღლემაც, მღვდელმა კი ასეთი კვალიფიკაცია მისცა მას: „ერთბო უცნაური ხასიათისა ვართ... ბუზს არ ვაღვდივრენთ ხანდახან თავზე... გულისწყრომას ხომ საზღვარი არა აქვს ხშირად...“

სწორედ ამ გულისწყრომის, დაუქმყოფილებელი ჯავრის ანალიზია მწერლის ამოცანა და არა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენებოდა, რელიგიური სიბნელის წყვედიადში მოქცეული გლეხობის ყოფის ჩვენება.

ცხადია, გლეხკაცისათვის მეტისმეტი იყო ასე ერთბაშად დამსხვრევა ყოველივესი, რაც სწამდა და ასულდგმულბედა: ამას მოჰყვა გარდუვალი შედეგი და დავითი დიდის ოსტატობით, აღწერითი ხერხის გამოყენებით, ყოველგვარი ემოციური რემარკების გარეშე გეხატავს კაცის ტრაგედიის ფინალს. „იმ სამახსოვრო დღიდან საკვირველად გამოიცივალა კაცია. ძვირად უნახავთ, რომ ვისმეს დალაპარაკებოდა“. „ბოლოს უწყინარ შეშლილს დაემსგავსა“, „მოტყუა, უცნაურად მოტყუა, სრულიად დაბერდა და მოკეთუშა ამას წინათ წარმოსადგინი კაცი“. მხოლოდ სიკვდილმა შეარჩა რელიგიასთან იგი. კაცია მოკვდა საშინელ ტანჯვაში, მაგრამ მოკვდა მიტომ კი არა, რომ ხატი ჰგომ (როგორც ეს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო გლეხკაცისაგან), — არამედ, — გვეუბნება მწერალი — „საწყალი ბერიკაცი თავის გულს შემოასკდა; გულ-ფიცობამ მიიყვანა ამ ზომამდის“.

მწერლის მიერ კაცის ვნების დაწვრილებითმა ანალიზმა ააშაფლა ეს პერსონაჟი, მიკოზველი დაბაბულად დევნებს თვალს ამ ვნების პერიპეტეებს, თანდათან, შეუქმნევლად იმსკვალება კაცისადმი თანაგრძნობით, სიმპათიით. უბრალო გლეხი, კაცია საგუნიშვილი, ეწირება თავის ვნებას და ეს გამოარჩევს მას სხვებისგან. „მიცვალბებულ კაცის სასაფლაოზე მხოლოდ ცოლშვილი მიჰყვა და ესენიც მხოლოდ იმის უბედურ დღეზე გაჩენას დასტიროდნენ“.

ამიტომაც კაცია ტრაგიკული პიროვნება. მისი ტრაგედია არანაკლებ შთამბეჭდავია ვიდრე ჰამლეტისა ან ალუდა ქეთელაურისა. ხელოვნებისათვის ისინი ერთნაირად საყურადღებოა.

ნებისათვის ისინი ერთნაირად საყურადღებოა. ან ირან. ყოველ შემთხვევაში დავით კლდ-აშვილმა ეს დამტკიცა.

„შურისხვა“ რომ ერთადერთი გამონაკლისი იყოს, იგი ვერ გახდებოდა ჩვენთვის განზოგადოებული დასკვნების საბაზი. მით უმეტეს, ვერ ვიმსჯელებდით ისეთ პრობლემატურ საკითხზე. როგორცაა ტრაგიკული დავით კლდ-აშვილის პროზაში.

„მსხვერპლი“.

თუ „შურისხვის“ მთავარი პერსონაჟის ხასიათის ძირითადი საყრდენია შურისძიების, ჯავრის ამოყრის გრძნობა, „მსხვერპლში“ იგივე ფუნქცია აკისრია ექვიანობის გრძნობას, რომელსაც მთლიანად შეუპყრია მოხუცებული ფეფენა ძრღის მიმართ.

საინტერესო ის არის, რომ ფეფენას ექვიანობაც, ისევე როგორც კაცის შურისძიებლობაც, ობიექტურად, საზოგადოების კანონების მიხედვით, საფუძველს მოკლებულია. ყველაფერიდან ჩანს, რომ კაცის მიწა უნდა დავით-მოსაფლო საქმისათვის, რომ ანდრია მის წინაშე სხვებზე მეტად მტყუანი არაა; ასევე, მარინეს დანაშაული არ ჩაუდენია, მას არ უღალატა ქმრისათვის, ფეფენას შვილისათვის. პირიქით, ყველანაირად ცდილობს დაარწმუნოს დედამთელი, რომ იგი არც აპირებს ამას. ნაკლებად ნიკეთი მწერლის ხელში ეს მასალა ვერ იქცეოდა ესთეტიკურ ფაქტად, მივიღებდით ჩვეულებრივ ყოფით სურათს, ჩანახატებს გლეხთა ცხოვრებიდან, რომლის მსგავსიც ბევრი გვაქვს მაშინდელ ხალხსნურ ლიტერატურაში, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ დავითმა ყველასათვის ჩვეული ფსიქოლოგიური განცდა შეძლო ექცია კაცის, ფეფენას, მქელას ხასიათის ძირითად ნიშნად, დაუძლეველ, ყოვლისმომცველ ვნებად. — ეს პერსონაჟები განასხვავა სხვებისაგან, აქცია ისინი დრამის, ტრაგედიის გმირებად.

მართლაც სასაცილო, კომიკურ მდგომარეობაში ჩავარდებოდა კაცია, რომელმაც ხატს მიანდო ანდრიას დასჯა, რომ იგი ღრმად შეპყრობილი არ იყოს თავისი სიმართლით. მართალია, სხვებს მისი საქციელი გადაჭარბებულად მიანათ. მაგრამ კაცის გაბოროტებას არც თუ უსაფუძვლოდ მიიჩნევენ. კაცის უნდა ჩამოაკან მიწის ნაკვეთი საზოგადო საქმისათვის. ის კი პირადად საზოგადოზე მდლა აყენებს. ასეთია მისი გლეხური ფილოსოფია და არა მარტო მისი: „რამი დავუთმომ სოფლის ჩემი ადვილი და მე შვიერი დავჩემე“. აი ერთი გლეხიც ასევე აცხადებს: „მე არ მოვკვდებ, მეც არავის მოვუთმენდი მაგისთანა რამე რომ ექნათ ჩემთვის... რას მეუბნები? მე და ჩემმა ღმერთმა, ერთი-ორი კაცი მაინც შე-მომიკვდებოდა იქვე!“ მაშასადამე, მთავარი ის კი არაა, ვინაა ობიექტურად მართალი —

სოფელი, რომლის განსახიერებაც კაციათ-
ვის ანდრია, თუ კაცია. მთავარია, რომ თვით
კაცია შინაგანად, თავისი გლუხური ლოგიკით
დარწმუნებულია თავის სიმართლეში, ამიტომ
შეხედვს მის საკციელს ასე სერიოზულად.
მწერლისათვისაც ეს სიმართლეა ძირითადი,
აქედან ქმნის იგი ხასიათს, გმირს.

ასევე, ფეფენას ღრმად სწამს, რომ ოჯახს,
რომლის უფროსიც ისაა და რომელიც მას
შეუქმნია დიდის შრომით, ლამაზი რძლის მა-
რინეს სახით საფრთხე ემუქრება. ფეფენას
გარდა არავის სჯერა ეს, მაგრამ ფეფენასათვის
ამას მნიშვნელობა არა აქვს. იგი ღრმად დარ-
წმუნებულია თავის ექვეში და სწორედ ამით
განაიარალებს კიდევ მასთან მუქარით მოსეულ
ონისიმეს, მარინეს მფარველს: „... ჩემი თავი
ნამუსიანად შემინახავს — ჩირქი ოჯახისათვის
არ მიმიცხვია და რომ ამდენი ტანჯვა-წვალებით
შენახულ ოჯახს ვინმემ თავსღარი დაასხას.
ქვეყნის სასაილოდ გამოიხადოს — მის სისხლს
დალევს ფეფენა: იცოდე! მის სისხლს დალევს
ფეფენა“ ფეფენას სწამს, რომ „ძველი სინ-
დისიანობა გაქრა... ყველა ამჩატდა... უტიფარი
შეიქმნა, მორადებასაც გადაეჩვივნენ... აღა-
რადრის რტყენიათ... გათამამდნენ“. მისი სი-
ტყვიით, ლამაზი მარინე სულ — „იმის ფიქრშია,
თუ ვის მოაწონოს თავი“. ექვს ის უფრო უძ-
ლიერებს, რომ შეილი ნიკა დონდლოა და ქა-
ლაჩუნა, ხოლო მარინეს აზნაურ დავით კა-
რუცკელაძის სახით თავყანისმცემელიც გა-
უჩნდა.

მწერალი დიდ ადვილს უთმობს ფეფენას
განცდებს, მიმართავს შინაგან მონოლოგს, რომ
გვიჩვენოს როგორ თანდათან იქცევა ეს გან-
ცდები მძალად ვნებად, დაუძლეველ ეჭვიანო-
ბად, რომელიც მოჩუქ ქალს დანაშაულს ჩაა-
დენინებს; ვნებამ, რომელმაც შეიპყრო ფეფე-
ნა, დაიმორჩილა არა მარტო ის, არამედ მისი
რძალიც, რომელიც თავიდან მძაფრ წინააღმ-
დეგობას უწევდა დედამთილს. მარინემ თანდა-
თან დაკარგა წინააღმდეგობის გაწევის უნარი,
დაკარგა ნებისყოფა, მილიანად მოექცა ფეფე-
ნას გავლენის ქვეშ, იქცა უსიტყვო, პირუტყ-
ვულად, მორჩილ არსებად. ეს არის ვნების გამარ-
ჯება ინსტინქტზე, ინტელექტის გამარჯვება
პრობიტივზე. სოფელი ამის ახსნა სხვანაირად
არ შეუძლია, თუ არა ზებუნებრივი ძალების
მოქმედებით. ფეფენა თავისი ძლიერი ნების-
ყოფით გლგობისათვის გამოცანაა. ამ გამო-
ცანას, ასე თუ ისე, ამოხსნა ეჭირებდა და აქ
მთავის მისაწვდომია ერთადერთი გზა, გზა
ერტუორწმუნებობისა. დიდის ძალითაა მოთხრო-
ბაში დაბატული შემზარავი სურათი „კუდიან-
ობაში“ ექვმიტიანოდ ფეფენას დადაღვის და
მარინეს სიკვდილისა.

„მიქელა“. „მიქელა“ დავით კლდიაშვილმა
დაწერა მაშინ, როდესაც მას უფვე გამოქვეყნე-

ბული ჰქონდა „სოლომან მორბელაძე“
მანიშვილის დედინაცვალი“. მაგრამ ეს მოთხ-
რობა როგორც თემატიკით, ასევე სტილით,
უახლოვდება „შერისხვას“ და „მსხვერპლს“.

შეიძლება გადაუქარებლად ითქვას, რომ
მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით „მიქე-
ლა“ დავით კლდიაშვილის ერთი შედეგთვა-
ნია. „მიქელაში“ გამქლავებულია ყველა ის
სტილური ნიშანი, რომლითაც ხასიათდება და-
ვითის პროზა, რითაც იგი გვევლინება ნამ-
დვილ ნოვატორად. „მიქელაში“ დავითმა მიაღ-
წია წერის ისეთ სრულყოფას, რომელიც ალ-
ბათ იღებოდა ყველა დიდი ოსტატისათვის.

აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ ერთ მხარეს,
განვავარძობთ ტრაგიკულის ელოვას დავით
კლდიაშვილის პროზაში.

მოთხრობის მთავარი გმირი მიქელა მთლია-
ნად შეუპყრია ოჯახის ამოკვეთის, ოჯახის ამო-
წყვეტის შიშს. მწერალი პირდაპირ ამათ
იწყებს მოთხრობას, გვიამცნობა, რომ მიქელა
გიორგაძე უბედურ მოხუცებულობას შეეს-
წრო, „სულ მოკლე ხნის განმავლობაში მი-
წას მიბაზრა თავისი სამი ვაჟი ცოლშვილიანად.
მის მრავალრიცხოვან ოჯახს შერჩა მხოლოდ
ერთი შვილი-შვილი და დაქვრივებული რძალი
მია“. მაგრამ მიქელა, უარესის შიშით, უბე-
დურებას არ იმჩნევს. პირიქით, ყოველნაირად
ცდილობს ღვთაების გულის მოგებას. როდე-
საც უფროსი შვილიშვილი სმიღონა ავად
გახდება, მაშინ შეიპყრობს მიქელას შიშს, ამის
შემდეგ მიქელას ქვეყნისა და ხასიათის განმსაზ-
ღვრელი მთელს მოთხრობაში მთლიანად და
განუყოფელად არის შიში. მწერალი, ისე რო-
გორც ზემოთ განხილულ მოთხრობებში, გულ-
მოდგინედ, თანმიმდევრულად აღწერს, რო-
გორც იქცევა ეს განცდა ვნებად. ეს პროცესი
დაახლოებით ჰგავს კაცის ხასიათში მომსდარ
პროცესს. ისევე, როგორც კაცია, „ეს მოხუ-
ცებული ახლა სრულიად გამოიცვალა“, „გულ-
გრილად ეკიდებოდა ყველაფერს, რაც მის გარ-
შემო ხდებოდა“. საერთოდ, ასე ეწყებათ და-
ვით კლდიაშვილის გმირებს გარდატეხის პრო-
ცესი, ე. ი. როდესაც გრძნობა, განცდა უნდა
იქცეს ვნებად, შეპყრობილობად. ეს არის ერ-
თგვარი პრინციპის მდგომარეობა, რომლის
შემდეგ იწყება აქტიური ქმედება. „მისი ოჯა-
ხის მომავალი ახლა ისეთ სუსტ ძაფზე ეკიდა“,
როგორც იყო მისი უმცროსი შვილის-შვილი,
პატარა, ათი წლის კაცი; ამდენ სულის
მომვლელ-პატრონად, როგორიც ეპიკირობო-
და ოჯახის მიცვალებულთ და მასთან მისი
სიკვდილის შემდეგ, რჩებოდა პატარა, უსუ-
სური ბავშვი, ნორჩი, ჭერეთ გასასრტელი

გაბიან ბარდაშვილი

ბრატკაშვილი ღვაწით კლდიაშვილის
პროზაში

ნესტორა — სუსტი იმედო". მამ ასე: სპიდონას სამქვეყნო პირი არა აქვს, დარჩა ნესტორა — სუსტი იმედო. მიქელას აქ უკვე იპყრობს შიში, იწყება ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული პროსტრაციის პროცესი. იგივე, რაც მსგავს შემთხვევაში მოსდის კაცობას, მაგრამ კაცია „უცებ აენთო“ — იწყებს აქტიურ ქმედებას, ხატს ჰგვობს, ასევე მიქელას უცებ „მეტის სიმძლავრით შემოენთება“ მისი იმედის, მოყვრებში განხიზნული ნესტორას ნახვის სურვილი. ბავშვის ნახვას მოჰყვება კიდევ უფრო მძლავრი სურვილი მისი ოჯახში დაბრუნებისა. ამ გზაზე მიქელამ უკვე არ იცის დაბრკოლება, მისთვის ახლა სხვა აღარაფერი არსებობს, გარეშე პატარა ნესტორასი — სუსტი იმედის სპიდონა მყდარია, იგი მხოლოდ დროებითაა იმქვეყნად. იმედი ნესტორა, მამ, ყველაფერი ნესტორასათვის, იმედის გადასარჩენად! მიქელა საოცარ ენერჯიას გამოიჩენს: დაარღვევს სახლს, დამდურღავს, თავიდან ააშენებს. სპიდონას მოშორებით, კარავში გაიყვანს. იგი უკვე შეპყრობილია შიშით სპიდონასადმი, სიკვდილისადმი. ამიტომ გული უნდა გაიქვანოს, რომ გადაარჩეს იმედი. — ნესტორა, „ამ მუშაობამ თითქმის სრულიად მიაციქვინებინა მიქელას კარავში გაყვანილი შვილისშვილი. თანდათან უკლებდა, მიხედვას, თვალ-ყურის დევნას; ხშირად მშინერსაც სტოვებდა“. „რა გინდა შენ აქ? წადი“, წადი... წადი! წადი შენთვის...“ აი, ერთადერთი სიტყვები, რომელიც ემატება მას წყურფრით აწირალებული სპიდონასათვის. იგი თანდათან უფრო ერადება შვილშვილს, ჯობზე წამოცმული ჰერკულით აწვდის ბოლზე იშვიათად საქმელ-სასმელს, ხოლო როდესაც სამზინელი ავდარი შეიქმნა, მოხუცებულს არაფერი გაუტეობია, რომ შვილიშვილი გადაერჩინა. მღვდელთან ასე იმართლა თავი: „... მაინც ეს დღე მოგელოდა ამ მოკლე

ხანში... ერთი ბალანა დამარჩა, ის უნდა იყვეს ჩემი პატრონი და სულის მაცხოვნებელი... ცხრა მთას იქით მყავს გადაშალული შიშით, არაფერი გადადებოდა და ისიც არ დამკარგვდის!“ სპიდონას დაღუპვასთან ერთად მიქელაც თავისუფლდება შიშისაგან. მას კვლავ დაუბრუნდა ადამიანური ვულგელობა, „ორი ჯურცხალი თვალთაგან გადმოუფარდა“. მიქელას გათავისუფლების მომენტს განსაკუთრებული ყურადღებით აღწერს მწერალი. „წესის ავების შემდეგ მოხუცებულმა კუბო ურემზე დედო და დიდის წვალებით, მარტოღმარტომ, მიიბარა მიწას სპიდონა: სასაფლაოდან ჩამობრუნებულმა ნაუხოვარში გადააგლო კუბოს ნადგამი ურმის ზესადგარი, გამოიცვალა ახალუქი და შარვალი, დაბანა ხარები და მხოლოდ მამის შევიდა სახლში. ახლა იგი უფრო მოსვენებულსა ჰგავდა, გულდამშვიდებულს. იქდა ცეცხლის პირას და სულ თავის პაწია ნესტორზე ჰქონდა მიმართული აზრი და ფიქრი“.

ჩვენ შევხებთ დავით კლდიაშვილის პროზის იმ ნაწილს, რომელშიც აისახა გლეხთა ყოფა. ირკვევა, რომ დავითი ამ მოთხრობებს ჰქმნიდა აზნაურთა ყოფის ამსახველ ნაწარმოებებთან ერთად. ასე რომ მისი თემატიკური სამყარო გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

ამასთანავე, ჩვენი მიერ განხილული გლეხთა ყოფის ამსახველი მოთხრობები საფუძველს იძლევა ვიმაჯელოთ ტრაგიკული შესახებ დავით კლდიაშვილის პროზაში. ამგვარად, გაფართოვდა ჩვენი ცოდნა დავით კლდიაშვილის სტილზეც: ახლა ჩვენ უკვე შეგვიძლია კომიკურთან ერთად დავით კლდიაშვილის პროზა დავახასიათოთ ტრაგიკულის თვალსაზრისითაც.

ტექნიკური ზელმძღვანელი ზ. ტყეშელაშვილი

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საფურცლით თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლუტონოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქციის — 95-08-75, პ. მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 13/VI-73 წ., ზელმოწევილია დასაბეჭდად 2/VIII-73 წ., ქალაქის ზომა 70x108 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14,5 შეკვეთა № 2028 უე 01928 ტირაჟი 27000

ფანდი 60 კვვ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236